ელიფ შაფაქი

სიყვარულის ორმოცი წესი

პროლოგი

ბობოქარ მდინარეში ქვა ჩააგდეთ და დააკვირდით, რა მოხდება. ისეთი არაფერი...იმ ადგილას პატარა ჭავლი გაჩნდება, ქვის ყრუ დგაფუნს კი მდინარის ხმა ჩაახშობს. ეგ იქნება და ეგ.

აი, ქვას რომ ტბაში გადაუძახოთ, სულ სხვა ეფექტს მიიღებთ, თანაც უფრო ხანგრძლივს: ერთბაშად შეიძვრის ტბის მდორე წყალი. ქვის ჩავარდნის ადგილას ჯერ ერთი წრე გაჩნდება, მას კიდევ ერთი წრე მოჰყვება, მერე კიდევ ერთი... და სულ მალე, ტბის მოსარკულ ზედაპირს მთლიანად მოედება ეს მღელვარება, რომელიც მხოლოდ მაშინ ჩაცხრება, როცა ტალღები ნაპირს მიაწყდებიან.

მდინარე ისე მიიღებს თავის ისედაც მშფოთვარე წიაღში შემოჭრილ ქვას, როგორც მორიგ „ამრევს.“ არ იუცხოებს, არ შეუდრკება. აი, ტბა კი ქვის ჩავარდნის შემდეგ ერთიანად შეიცვლება.

ელა რუბინშტეინის ცხოვრება ორმოცი წლის განმავლობაში სწორედ მშვიდ ტბას ჰგავდა. ეს იყო ჩვევების, მოთხოვნილებებისა და სასურველი არჩევანის წინასწარ განსაზღვრული თანამიმდევრობა. შესაძლოა, ასეთი ცხოვრება ვინმეს მონოტონური მოეჩვენოს, მაგრამ ელას იგი არა და არ სწყინდებოდა.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში თავის ყველა სურვილს, ახალგაცნობილ ადამიანს, თუ გადაწყვეტილებას გათხოვილი ქალის თვალით აფასებდა.

ელას ქმარი, დევიდ რუბინშტეინი, წარმატებული სტომატოლოგი იყო, ბევრს მუშაობდა და შემოსავალიც საკმარისად ჰქონდა. ელა ხედავდა, რომ მათი ურთიერთობა ვნების სიმძაფრით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მტკიცედ სწამდა, რომ ხანგრძლივი ცოლ-ქმრული ცხოვრების შემდეგ ემოციები უკან იხევს. მისი აზრით, ცოლქმრისთვის სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვნება და სიყვარული მაგალითად, ურთიერთგაგება, გულისხმიერება, თანაგრძნობა და ის, რაც ადამიანს ღმერთთან ასე აახლოებს: მიმტევებლობა. ელას მიაჩნდა, რომ ამ ყველაფერთან შედარებით სიყვარული მეორეხარისხოვანია და მხოლოდ რომანებსა და ფილმებში ცოცხლობს. იქ ხომ პერსონაჟი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ცხოვრება, სიყვარული კი ლამის ლეგენდის მასშტაბებს იძენს...

ამ ოჯახის პრიორიტეტთა სია შვილებით იწყებოდა. წყვილს ჰყავდა მომხიბლავი ქალიშვილი – კოლეჯის სტუდენტი ჯენეტი და მოზარდი ტყუპი – ორლი და ეივი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ოჯახის კიდევ ერთი წევრი თორმეტი წლის ოქროსფერი რეტრივერი სპირიტი ლეკვობიდან ელას განუყრელი მეგობარი და სეირნობის დროს მისი უცვლელი თანამგზავრი.

ძაღლი დაბერებულიყო, ქონი მოჰკიდებოდა, სმენა სრულიად წართმეოდა, თითქმის დაბრმავებულიყო. მისი დღეები დათვლილი იყო, მაგრამ ელას ამაზე ფიქრი ისე თრგუნავდა, მზად იყო, მისი უკვდავება ერწმუნა. დიახ, მას ეს თვისება გამოარჩევდა: არასოდეს უსწორებდა თვალს დასასრულის გარდაუვალობას, იქნებოდა ეს სიცოცხლის, რაიმე ჩვევის, ერთი ეტაპის თუ ცოლქმრული ცხოვრების დასასრული.

რუბინშტეინები მასაჩუსეტსის შტატში, ნორთჰემპტონში, დიდ ვიქტორიანულ სახლში ცხოვრობდნენ. შენობას განახლება არ აწყენდა, თუმცა, მაინც დიდებული სახლი იყო ხუთი საძინებლით, სამი აბაზანით, ძვირფასი ხის პრიალა იატაკით, სამი მანქანის სამყოფი ავტოფარეხით, ე.წ. ფრანგული კარითა და (რაც ყველაზე მიმზიდველი იყო) ღია ცისქვეშა ჯაკუზით!

ოჯახის თითოეული წევრის ჯანმრთელობაც დაზღვეული იყო და მანქანებიც. საპენსიო უზრუნველყოფაც განაღდებული ჰქონდათ, სწავლის საფასურსაც ზოგავდნენ და ერთობლივი საბანკო ანგარიშებიც ჰქონდათ გახსნილი. სახლის გარდა ორი პრესტიჟული ბინის მფლობელები იყვნენ ბოსტონსა და როდ აილენდში. რუბინშტეინების წყვილი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ეს ყველაფერი ჰქონოდათ. დიდი, ფუსფუსა სახლი, ბავშვები, მოხდენილი ავეჯი და შინ გამომცხვარი ღვეზელების სურნელი ყოველივე ეს, მავანთა აზრით, შესაძლოა, მეტისმეტად სქემატურად გამოიყურებოდა, მაგრამ რუბინშტეინებს სწორედ ეს მიაჩნდათ იდეალური ცხოვრების მოდელად. მათ ქორწინება სწორედ ასე წარმოედგინათ, ცოლქმრული ცხოვრებაც ამ წარმოდგენას დააფუძნეს და დარწმუნებული იყვნენ, ყველა თუ არა, ძალიან ბევრი ოცნება ასრულებული ჰქონდათ.

ბოლო ვალენტინობის დღეს ქმარმა ცოლს გულის ფორმის ბრილიანტის გულსაკიდი მიართვა, მისალოცი ბარათით: „ძვირფასო, მშვიდო, სულგრძელო და საოცრად მომთმენო! გმადლობ, რომ გიყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ. დიდი მადლობა, რომ ჩემი ცოლი ხარ. შენი დევიდი“.

ელას, ცხადია, ქმრისთვის არ გაუმხელია, მაგრამ ბარათი... ნეკროლოგად მოეჩვენა. „ალბათ, ასე დაწერენ, როცა მოვკვდები, გაიფიქრა მან, ...თანაც, თუ გულწრფელები იქნებიან, შეიძლება შემდეგი სიტყვებიც დაამატონ: „ელა რუბინშტეინი იყო ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება ქმარ-შვილს მიუძღვნა. ბრძოლა გადარჩენისთვის აი, სად მოისუსტებდა ეს ქალბატონი; სიძნელეებთან გამკლავებისათვის საჭირო მზადყოფნა და შეიარაღება აკლდა! არ იყო გაბედული. ის კი არა, ამოჩემებული ყავის შეცვლაც კი უჭირდა...“

ამიტომ ვერავინ (თვით ელამაც კი) ახსნა, 2008 წელს ოცწლიანი ცოლქმრული ცხოვრების შემდეგ რატომ მოინდომა მან განქორწინება.

მიზეზი კი ერთადერთი იყო: სიყვარული...

ისინი ერთ ქალაქში არ ცხოვრობდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთ კონტინენტზე. მეტსაც გეტყვით მათმხოლოდ მანძილი როდი აშორებდათ. დღე და ღამესავით განსხვავებული იყვნენ და ცხოვრების წესით ისე უცხონი, რომ სიყვარულის მიუხედავად, მათი ერთად ყოფნა წარმოუდგენელი იყო.

...მაგრამ ეს მაინც მოხდა. თანაც მოხდა ისე სწრაფად, რომ ელამ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რათა ამ ყველაფერს წინ აღდგომოდა, თუკი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია სიყვარულს წინ აღუდგე.

ერთი სიტყვით, მას სიყვარული ისე უეცრად დაატყდა თავს, როგორც წყნარ ტბაში არსაიდან ჩავარდნილი ქვა...

ელა

2008 წლის 17 მაისი, ნორთჰემპტონი

ბეღურების ჭიკჭიკთან ერთად იმ დღეს რუბინშტეინების სამზარეულოს ღია ფანჯრებში გაზაფხულის მათრობელა სურნელიც აღწევდა. შემდგომ ელა ამ სცენას იმდენჯერ გაიხსენებს, რომ მას თავისი წარსულის ერთერთ ეპიზოდად კი აღარ აღიქვამს, არამედ რაღაც უსასრულოდ განმეორებად აქტად, რომელმაც უკვე მარადისობაში გადაინაცვლა.

შაბათი იყო. რუბინშტეინები სუფრასთან ისხდნენ. ელას ქმარი თავის საყვარელ კერძს შემწვარი წიწილის ბარკლებს იდებდა თეფშზე. ეივი დანა-ჩანგლით მაგიდაზე „უკრავდა," მისი ტყუპისცალი ორლი კი ცდილობდა, გამოეთვალა, რამდენი ლუკმა უნდა გადაეყლაპა ისე, რომ ექვსას ორმოცდაათ კალორიაზე მეტი არ მიეღო. უფროსი ქალიშვილი, ჯენეტი, ახლომდებარე მაუნტჰოლიოკის კოლეჯის პირველკურსელი ჩაფიქრებული იჯდა და პურის ნაჭერს არაჟანს უსვამდა.

სუფრას იმ დღეს სტუმარიც უჯდა. ეს იყო დეიდა ესთერი, რომელმაც ოჯახს თავისი ნახელავი „მარმარილოს" უგემრიელესი კექსი მიართვა და შემდეგ სადილადაც დარჩა. ელას უამრავი საქმე ჰქონდა, მაგრამ სუფრას ვერ ტოვებდა. ამ ბოლო დროს მსგავსი სადილები იშვიათ მოვლენად ქცეულიყო და ელა ხვდებოდა, რომ ოჯახური თავშეყრის ასეთი მშვენიერი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.

– დეიდა ესთერ, ელამ ახალი ამბავი თუ გითხრათ? – მოულოდნელად ჰკითხა დევიდმა მოხუცს. – იცით, რა სამსახური იშოვა!..

მიუხედავად იმისა, რომ ელა ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი იყო და მხატვრული ლიტერატურა ძალიან უყვარდა, კოლეჯის დამთავრების შემდეგ ამ სფეროში ბევრი არაფერი გაუკეთეებია, თუ არ ჩავთვლით ქალთა ჟურნალებში გამოქვეყნებულ პატარა ჩანახატებს, რამდენიმე ლიტერატურული კლუბის წევრობასა და დროდადრო ადგილობრივ გაზეთებში ამა თუ იმ წიგნის განხილვას.

თავის დროზე ელა ლიტერატურის კრიტიკოსობაზე ოცნებობდა, მაგრამ მალე შეეგუა იმ აზრს, რომ ცხოვრებამ სულ სხვა გზას გაუყენა სამშვილიან, ფუსფუსა დიასახლისად აქცია და მრავალრიცხოვანი ოჯახური მოვალეობები აჰკიდა.

არა, ელა ბედს არ უჩიოდა. დედის, ცოლის, დიასახლისისა და ძაღლის გამსეირნებლის მოვალეობები ამის დროს არც უტოვებდა. მას არ სურდა, ოჯახის მარჩენალი ყოფილიყო; მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევანს მისი ფემინისტი დაქალები და თანაკურსელები არ უწონებდნენ, შინაყუდა დედიკოს როლი ძალიან გაუტკბა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ქმრის ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევდა. გარდა ამისა, კითხვის სიყვარული არასოდეს განელებია და კვლავინდებურად წიგნის ჭეშმარიტ მოტრფიალედ მიაჩნდა თავი.

თუმცა, რამდენიმე წლის წინ ვითარება შეიცვალა. ბავშვები წამოიზარდნენ, დედა უწინდებურად აღარ სჭირდებოდათ და ელა მიხვდა, რომ მეტი თავისუფალი დრო რჩებოდა, თუმცა ამ დროის მასთან ერთად გატარების მსურველთა სიმცირე აშკარა იყო,

ამიტომ დაფიქრდა, სამსახური ხომ არ მეშოვაო. ქმარი არ შეწინააღმდეგებია, მაგრამ ამ თემაზე მხოლოდ საუბრობდნენ, რეალურად კი არაფერი იცვლებოდა. ელა შესაძლებლობებს იშვიათად იყენებდა და მაშინაც დამსაქმებლები იწუნებდნენ: უფრო ახალგაზრდა ან უფრო გამოცდილი მუშაკი გვჭირდებაო. ელა მალე დაფრთხა და სამსახურის ძებნაზე ხელი აიღო.

მაგრამ 2008 წლის მაისში ყველა ეს დაბრკოლება ერთბაშად გაქრა და თავისი ორმოცი წლის იუბილემდე ორი კვირით ადრე ელა მოულოდნელად ბოსტონის ერთერთი ლიტერატურული სააგენტოს მუშაკი გახდა. სამუშაო ქმარმა უშოვა, თავისი ერთერთი პაციენტის, ან შესაძლოა, თავისი ერთერთი საყვარლის მეშვეობით.

– ისეთი არაფერია. ნახევარ განაკვეთზე ვარ. ჩემი მოვალეობაა წიგნების გაცნობა და აგენტისათვის ინფორმაციის მიწოდება, – სასწრაფოდ განუმარტა ელამ დეიდას.

დევიდი შეიშმუშნა. გამოდიოდა, რომ ცოლს ახალი სამუშაო მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა, ეს კი ხელს არ აძლევდა.

– ბარემ ისიც გეთქვა, რომ ცნობილი სააგენტოა... – სცადა ცოლის შეგულიანება, მაგრამ ელა რომ არ აჰყვა, თვითონ განაგრძო: – მოკლედ, ძალიან პრესტიჟული ოფისია, დეიდა ესთერ; უნდა ნახოთ თანამშრომლები სულ საუკეთესო კოლეჯებიდან ახალგამოსული ახალგაზრდები არიან, ეს ერთი ჰყავთ ვეტერანი დიასახლისი. ხვდებით, როგორი სამსახურია?!

ელა ჩაფიქრდა. მისი აზრით, ქმრის ასეთი თავგამოდება დანაშაულის გრძნობით აიხსნებოდა: ან მუდმივი ღალატის, ან იმის გამო, რომ თავის დროზე ცოლს კარიერის გაკეთების საშუალება არ მისცა და სახლში გამოკეტა.

დევიდი კი ღიმილით განაგრძობდა:

– აი, ხუცპაც ამას ჰქვია! ყველანი ვამაყობთ შენით, ჩემო კარგო...

– ცოლი კი არა, განძი გყავს, განძი! ყოველთვის ასეთი იყო, – თქვა დეიდა ესთერმა ისეთი გულაჩუყებით, თითქოს ელამ სუფრა მიატოვა და იქაურობას სამუდამოდ გაეცალა.

ყველამ სიყვარულით შეხედა ელას. ეივიმაც კი შეიკავა თავი გესლიანი შენიშვნისაგან, ორლი კი ცხოვრებაში პირველად დაინტერესდა ისეთი რამით, რაც მის გარეგნობას არ ეხებოდა.

ელამ სცადა, მათი კეთილგანწყობის ეს წუთიერი გამოვლინება ჯეროვნად დაეფასებინა, მაგრამ ისეთი დაღლილობა იგრძნო, როგორიც ადრეარასოდეს უგრძნია. გულში ინატრა, ვინმეს საუბრის თემა შეეცვალა. უეცრად, თითქოს მისი ნატვრა გაიგონაო, საუბარში უფროსი ქალიშვილი, ჯენეტი ჩაერია:

– მეც მაქვს ახალი ამბავი!

ყველამ ყურები ცქვიტა და მისკენ მიტრიალდა.

– მე და სკოტმა დაქორწინება გადავწყვიტეთ, გამოაცხადა გოგონამ, ვიცი, ახლა დაიწყებთ, ჯერ კოლეჯი არ დაგიმთავრებიაო, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ორივენი მზად ვართ ამ ნაბიჯისათვის.

სუფრასთან უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. უეცრად გაქრა ის სითბო, რომლითაც სულ ერთი წუთის წინ მთელი ოჯახი ისე ტკბებოდა, თითქოს ერთ საბანში შეყუჟულიყო. გაკვირვებულმა ტყუპმა ერთმანეთს გადახედა, დეიდა ესთერს ვაშლის წვენით სავსე ჭიქა ხელში გაუშეშდა. დევიდმა ჭამა შეწყვიტა, თითქოს ერთბაშად მადა დაკარგა. ჩანგალი გვერდზე გადადო და ქალიშვილს ხშირი ღიმილისაგან ნაოჭებშემოვლებული თაფლისფერი თვალები მიაპყრო, თუმცა ამ წუთში ღიმილის გუნებაზე აშკარად არ იყო. სახე ისე დაღრეჯოდა, თითქოს ძმარი დაალევინესო.

– რა მაგრები ხართ! მეგონა, ჩემს სიხარულს გაიზიარებდით. თქვენ კი ცივი წყალი გადამასხით... – აწუწუნდა ჯენეტი.

– მაშ, თხოვდები... – ისე თქვა დევიდმა, თითქოს ქალიშვილს თავად აცნობა ახალი ამბავი.

–მამა, ვიცი, რომ ეს ცოტა ნაადრევი გეჩვენება, მაგრამ სკოტმა ახლახან ხელი მთხოვა და მეც დავთანხმდი.

– კი მაგრამ, რატომ?! – ჩაერია საუბარში ელა.

ჯენეტი ასეთ კითხვას აშკარად არ ელოდა. კითხვები – როდის? ან როგორ? საქორწინო კაბისათვის მაღაზიებში სირბილს ხელს ნამდვილად არ შეუშლიდა. მაგრამ კითხვამ რატომ? გოგონა სახტად დატოვა.

– იმიტომ, რომ მიყვარს. სხვა რა უნდა იყოს? – უპასუხა მან დედას, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად.

– შვილო, რატომ ჩქარობმეთქი, ამას ვგულისხმობდი... – არ ეშვებოდა ელა, – ორსულად ხომ არ ხარ?

დეიდა ესთერი შეშფოთებული სახით გაქვავებულიყო თავის სავარძელში. ჯიბიდან ანტაციდი ამოეღო და ნერვიულად ღეჭავდა.

– აუ, რა კარგია! ბიძა გავხდები! – ჩაიხითხითა ეივიმ.

ელამ ქალიშვილს მკლავზე ხელი მოჰკიდა და ნაზად მოუჭირა.

– იცოდე, სიმართლის თქმა სჯობს, დედიკო. რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის მხარში ამოგიდგებით.

– კარგი, გეყოფა! – წამოიძახა ჯენეტმა და დედას ხელი გამოჰგლიჯა, – ორსულობა რა შუაშია, რატომ ცდილობ, შემარცხვინო?!

– შენი დახმარება მინდა, სხვა არაფერი... – მშვიდად მიუგო ელამ, არადა, თავის მშვიდად დაჭერა სულ უფრო უჭირდა.

– შეურაცხყოფით გინდა დამეხმარო?! გამოდის, რომ ქალი მხოლოდ მაშინ თხოვდება, თუ დაორსულდა! იქნებ მიყვარს და იმიტომ მივყვები! თუ გიფიქრია ამაზე?! უკვე რვა თვეა, ერთმანეთს ვხვდებით!..

ელამ დამცინავად ჩაიფხუკუნა.

– რვა თვეში ძალიან გაიგებ, ვისთან გაქვს საქმე! ოცი წელია, მე და მამაშენი ცოლ-ქმარი ვართ და ბოლომდე ჩვენც კი არ ვიცით ყველაფერი ერთმანეთის შესახებ. რვა თვე ურთიერთობისთვის არაფერია...

– ღმერთს მხოლოდ რვა დღე დასჭირდა სამყაროს შესაქმნელად! – გამოაცხადა ეივიმ და გაიბადრა, მაგრამ ოჯახის წევრების ცივმა მზერამ ხმა ჩააკმენდინა.

დევიდმა იგრძნო, რომ ვითარება იძაბებოდა. უფროს ქალიშვილს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

– შვილო, დედაშენი იმას გეუბნება, რომ შეხვედრები ერთია, ქორწინება კი სულ სხვა.

– კი მაგრამ, რამდენი უნდა ვიაროთ წინ და უკან?! – აღშფოთდა ჯენეტი.

ელამ მძიმედ ამოიოხრა.

– მოდი, პირდაპირ გეტყვი სათქმელს: მე მეგონა, ცოტა უკეთეს საქმროს მოძებნიდი; და საერთოდ, სერიოზული რომანისათვის ძალიან პატარა მგონიხარ.

– იცი, რას ვფიქრობ, დე? – დაიწყო უცებ ჯენეტმა სრულიად შეცვლილი, ყრუ ხმით, – მე მგონი, საკუთარი შეცდომის გამო მელაპარაკები ასე. მაგრამ შენ რომ ძალიან ახალგაზრდა გათხოვდი და ბავშვი გაგიჩნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მეც იმავე შეცდომას დავუშვებ.

ელას სახე ისე აუჭარხლდა, თითქოს სილა გააწნესო. გაახსენდა თავისი რთული ორსულობა და ნაადრევად დაბადებული ჯენეტი. ამ ბავშვმა ჩვილობისასაც და ფეხის ადგმის დროსაც ისე გამოაცალა ენერგია, მეორე შვილის გაჩენაზე ექვსი წელი აღარ უფიქრია. დევიდმა გადაწყვიტა, სტრატეგია შეეცვალა და ქალიშვილს სხვა მხრიდან „შემოუარა“:

– საყვარელო, გაიხსენე, განა არ გვიხაროდა, სკოტი რომ გაიცანი? – ფრთხილად წამოიწყო მან. – მშვენიერი ბიჭია, მაგრამ კოლეჯის დამთავრების შემდეგ ვინ იცის, რა მოგივა თავში? იმ დროისათვის ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს...

ჯენეტმა მოჩვენებითი თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია მამას და უცებ ასეთი შეკითხვა დასვა:

– იქნებ იმიტომ აქოთქოთდით, რომ სკოტი ებრაელი არ არის?...

დევიდმა წარბები აზიდა. თავი პროგრესულ მამად მიაჩნდა, რადგან რასობრივ, რელიგიურ და გენდერულ საკითხებზე უხერხულს არასოდეს არაფერს ამბობდა. მაგრამ გოგონა არცხრებოდა. ამჯერად დედამისს მიუბრუნდა:

– თვალებში შემომხედე და სიმართლე მითხარი, იგივე რეაქცია გექნებოდა, სკოტი რომ ახალგაზრდა ებრაელი ყმაწვილი იყოს და ვთქვათ, აარონი ერქვას?

ქალიშვილის ხმაში ისეთი გესლი იგრძნობოდა, ელამ გაიფიქრა, იქნებ ჯობს, აღარ ჩავაცივდე და თავი დავანებო, ემანდ, უარესი რამეები არ წამოსცდესო.

– კეთილი, გულწრფელად გეტყვი, თუნდაც გეწყინოს. მე ძალიან კარგად მესმის, რა კარგია, ახალგაზრდა რომ ხარ და შეყვარებული, დამიჯერე, მართლა მესმის. მაგრამ სხვადასხვა წარმომავლობისა და ბიოგრაფიის ადამიანების დაქორწინება დიდი რისკია. მშობლები ვართ და ვცდილობთ, სწორ გზაზე დაგაყენოთ...

– და რა იცით, რომ ის, რაც თქვენ მიგაჩნიათ სწორად, ჩემთვისაც სწორია? – იკითხა ჯენეტმა.

ამ კითხვამ, ცოტა არ იყოს, დააბნია ელა. მძიმედ ამოიოხრა და შუბლი შაკიკიანივით მოისრისა.

– მიყვარს ეს ბიჭი, გესმით?! სიტყვა სიყვარული გსმენიათ ოდესმე?! გული მისკდება, მის
გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია! – არ ცხრებოდა ჯენეტი.

ელას სიცილი წასკდა. ნამდვილად არ უნდოდა შვილის გრძნობების აბუჩად აგდება, მაგრამ თავი ვერ შეიკავა, არადა, თავისი სიცილი ირონიულად მოეჩვენა და ძალიან შეწუხდა. საერთოდ, ქალიშვილთან შეხლა-შემოხლა სხვა დროსაც არაერთხელ ჰქონია, მაგრამ დღეს გრძნობდა, რომ რაღაც განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს, ვიდრე სხვა დროს.

– ნუთუ შეყვარებული არასოდეს ყოფილხარ? – აშკარა ნიშნის მოგებით ჰკითხა ჯენეტმა.

– კარგი, გონს მოდი, ამ ბოლო დროს რაღაც სხვანაირი გახდი... – ელა გაჩუმდა და ფანჯრისაკენ მიიხედა, ეტყობოდა, რაც შეიძლება შთამბეჭდავ სიტყვას ეძებდა... და ბოლოს სიტყვა „რომანტიკულს“ მიადგა.

– რა არის ცუდი რომანტიკულობაში? – ეწყინა ჯენეტს.

„მართლაც, რა არის? როდის აქეთ მაღიზიანებს ასე ეს სიტყვა?“ – ჩაფიქრდა ელა, მაგრამ გონებაში გამალებით მოწრიალე აზრებსა და კითხვებს თავი ვეღარ გაართვა და დაწყებული კამათი განაგრძო:

– შვილო, რომელ საუკუნეში ცხოვრობ? გაიგე, რომ ქალები აღარ თხოვდებიან იმათზე, ვინც უყვართ. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ქალი იმას ირჩევს, ვინც, მისი აზრით, კარგი მამა და სანდო ქმარი იქნება. სიყვარული სასიამოვნო გრძნობაა, მაგრამ ისევე სწრაფად მიდის, როგორც მოდის... – ელა გაჩუმდა და ქმარს მიუბრუნდა.

დევიდმა წყალქვეშა მოცურავის შენელებული მოძრაობით შეაერთა ხელები, თითები ერთმანეთს გადააჭდო და ცოლს ისე მიაჩერდა, თითქოს პირველად ხედავდა.

– მე ვიცი, რატომ აკეთებ ამას, – თქვა უცებ ჯენეტმა, – გშურს ჩემი ბედნიერება და ახალგაზრდობა. გინდა, ერთი უბედური დიასახლისი გავხდე. მოკლედ, გინდა ისეთი გავხდე, როგორიც შენ ხარ!

ელას უცნაური გრძნობა გაუჩნდა: თითქოს მუცელში ვეებერთელა ქვა ედო.

„უბედური დიასახლისი... შუახნის ქალი, რომელიც როგორც ხაფანგში, ისე მოემწყვდა უიღბლო ქორწინების მარწუხებში... ჰო, სულ ესა ვარ... ასეთად მხედავენ შვილები... ქმარიც... მეგობრებიც.. მეზობლებიც... ალბათ, ზურგს უკან, ჩუმჩუმად ყველას ვეცოდები...“ – გაუელვა და ეს აზრი ისეთი მტკივნეული აღმოჩნდა, უნებურად მწარედ ამოიგმინა.

– ახლავე ბოდიში მოუხადე დედას!.. – შეუბღვირა დევიდმა შვილს.

– არა უშავს. არ მჭირდება მობოდიშება, – თქვა დაღონებულმა ელამ.

ჯენეტმა დამცინავი და ცბიერი მზერა გააპარა დედისაკენ. მერე სკამს ფეხი ჰკრა, ხელსახოცი გვერდზე მოისროლა და სამზარეულოდან გავიდა. ტყუპი თან გაჰყვა, ოღონდ გაურკვეველი იყო, რატომ – დას სოლიდარობა გამოუცხადეს (რაც იშვიათად ხდებოდა), თუ უბრალოდ, მოსწყინდათ უფროსების საუბარი. ყველაზე ბოლოს დეიდა ესთერი წავიდა. მოხუცი მორიგ აბს ღეჭავდა და ყასიდად ბოდიშობდა.

სუფრას დევიდი და ელა შემორჩნენ. საოცარი უხერხულობის გრძნობა ჩამოწვა ცოლ-ქმარს შორის. ელას გული შეეკუმშა. ორივეს კარგად ესმოდა, რომ ამ ემოციური ვაკუუმის უპირველესი მიზეზი არც ჯენეტი იყო და არც დანარჩენი ბავშვები.

დევიდი გვერდზე გადადებულ ჩანგალს დასწვდა და შეათვალიერა.

– თუ შენი ნათქვამი სწორად გავიგე, თურმე სიყვარულით არ გათხოვილხარ... – უთხრა ცოლს.

– მე ამის თქმა არ მინდოდა.

– აბა, რისი თქმა გინდოდა? – იკითხა დევიდმა ისე, რომ ჩანგლისათვის თვალი არ მოუშორებია. – მე მეგონა, სიყვარულით მომყვებოდი...

– დიახ, ასე იყო, მაგრამ ეს წარსულს ჩაჰბარდა, – ვეღარ მოითმინა ელამ.

– რამდენი ხანია... აღარ გიყვარვარ? – იკითხა დევიდმა ცივად.

ელამ ქმარს ისეთი გაკვირვებით შეხედა, თითქოს იგი სარკე იყო, რომელშიც თავისი გამოსახულება პირველად დაინახა.

რამდენი ხანია?.. ელას ეს კითხვა საკუთარი თავისთვის მანამდე არასოდეს დაუსვამს. უნდოდა პასუხის გაცემა, მაგრამ საჭირო სიტყვები ვერ იპოვა. ერთი რამ ორივეს კარგად ესმოდა, ახლა მათ ოჯახში ცოლ-ქმრული ურთიერთობის კრიზისი უფრო აქტუალური იყო, ვიდრე ბავშვების პრობლემები, მაგრამ ამ კრიზისთან ბრძოლის ნაცვლად ორივენი იოლ გამოსავალს ეძებდნენ: მოვლენებს თვითდინებაზე უშვებდნენ, ოჯახში გამეფებული რუტინული ერთფეროვნებით თითქოს დროის გაჩერებასაც კი ცდილობდნენ. ელამ ვეღარ გაუძლო მოწოლილ ნაღველს, რომელიც ამ ბოლო დროს ისედაც არ შორდებოდა... და ატირდა. დევიდი შეიშმუშნა და ცოლს თვალი აარიდა. ორივემ იცოდა, რომ დევიდი ისევე ვერ იტანდა ცოლის ცრემლებს, როგორც ელა ქმრის თვალწინ ტირილს. საბედნიეროდ, ტელეფონმა დარეკა და ამ ზარმა წამით ორივე იხსნა.

ყურმილი დევიდმა აიღო.

– დიახ, დიახ, სახლშია. ერთი წუთით.

ელა თავს მოერია და ყურმილი აიღო, თან შეეცადა, რაც შეიძლება მხიარული და ხალისიანი ხმა ჰქონოდა.

– დიახ, ელა გახლავართ...

– მიშელი ვარ... გაისმა ყურმილში ახალგაზრდა ქალის მელოდიური ხმა, ბოდიშს გიხდით, დღეს უქმეა, მაგრამ იცით, სტივმა გუშინ მთხოვა თქვენთან დარეკვა, მე კი სულ დამავიწყდა. მოკლედ, გვაინტერესებს, შეძლებთ თუ არა ხელნაწერზე მუშაობას?

ელას ელდა ეცა, ახლაღა გაახსენდა თავისი პირველი დავალება. მას ხომ უცნობი ევროპელი ავტორის რომანი უნდა წაეკითხა და მასზე ვრცელი ანგარიში დაეწერა.

– სტივს გადაეცით, რომ სანერვიულო არაფერი აქვს. უკვე დავიწყე კითხვა, – იცრუა მაშინვე, რადგან არც პატივმოყვარე და თავნება მიშელის განაწყენება უნდოდა და არც ის სურდა, თავისი კარიერის დასაწყისშივე დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა გამოეჩინა.

– უი, უკვე დაიწყეთ? როგორია?

ელა დაიბნა და სიტყვა გაუწყდა. მას ხომ ხელნაწერში არც კი ჩაუხედავს. მხოლოდ ერთი რამ იცოდა: საქმე ისტორიულ რომანს ეხებოდა, მისი მთავარი გმირი კი იყო

ცნობილი მისტიკოსი პოეტი რუმი, რომელსაც ისლამური სამყაროს შექსპირს უწოდებდნენ.

– როგორ გითხრათ, რაღაც ძალიან ...მისტიკურია... – ჩაიკისკისა ელამ. სცადა, უხერხულობა ხუმრობით შეენიღბა, მაგრამ მიშელი მეტისმეტად საქმიანი ჩანდა.

– გასაგებია, მოუჭრა მან, ოღონდ ცოტა უნდა აჩქარდეთ. ასეთ რომანზე ანგარიშის დაწერა ბევრად მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე თქვენ გგონიათ, – მიშელის ხმა უცებ გაქრა და ყურმილში გაურკვეველი ბგერები გაისმა.

ელამ წარმოიდგინა, როგორი ფართხაფურთხით აკეთებდა მიშელი ყველაფერს ერთდროულად: ამოწმებდა ელექტრონულ ფოსტას, კითხულობდა ერთ-ერთი წიგნის მიმოხილვას, ჭამდა თევზიან ბუტერბროდს, იქნიდა ფრჩხილებს და თან ტელეფონით ლაპარაკობდა. წუთიც და, ყურმილში კვლავ გაისმა მისი ხმა:

– მისმენთ?

– დიახ.

– მოკლედ, ახლა აქ სრული საგიჟეთია, ამიტომ უნდა დაგემშვიდობოთ. დაიმახსოვრეთ: სამ კვირას გაძლევთ.

– ვიცი. მოვასწრებ... – უპასუხა ელამ, რაც შეიძლება მტკიცედ და თავდაჯერებულად.

კაცმა რომ თქვას, ელას ამ ხელნაწერის შეფასების დიდი სურვილი არც ჰქონდა. უფრო სწორად, თავადაც არ იცოდა, უნდოდა თუ არა მისი შეფასება, არადა თავიდან თითქოს პირიქით იყო მოუთმენლად ელოდა, როდის წაიკითხავდა უცნობი ავტორის აქამდე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს. აღელვებდა და ახარებდა ის აზრი, რომ მისი ბედის გადაწყვეტაში გარკვეული როლი თვითონაც უნდა ეთამაშა. მაგრამ ახლა დაეჭვდა: შეძლებდა კი ისეთ საკითხზე ყურადღების მოკრებას, როგორიც იყო სუფიზმი? თანაც რომანის მოქმედება მეცამეტე საუკუნეში ხდებოდა...

მიშელმა თითქოს იგრძნო მისი ყოყმანი.

– რამე გაფიქრებთ? – ჰკითხა მან.

ელამ პასუხი დააყოვნა.

– გულახდილად მითხარით, – არ ეშვებოდა მიშელი.

მცირე პაუზის შემდეგ ელამ გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა.

– ასე მგონია, გულს ვერ დავუდებ ისტორიულ რომანს. ვერ ვიტყვი, რომ არ მაინტერესებს, მაგრამ ეს თემა მაინც უცხოა ჩემთვის. იქნებ სხვა ნაწარმოები მოგეცათ, ჩემთვის უფრო საინტერესო და ნაცნობ თემაზე.

– ცდებით, თუ გგონიათ, რომ უკეთ იმუშავებთ იმაზე, რასაც უკეთ იცნობთ, – შეეპასუხა მიშელი, – როგორ ფიქრობთ, რადგან მასაჩუსეტსში ვცხოვრობთ, მხოლოდ ის ნაწარმოებები უნდა გამოვცეთ, რომლებშიც მოქმედება ამ შტატში ხდება? მაშ, ლიტერატურული სააგენტოს მოვალეობა რაღაა?!

– არა, ამის თქმა ნამდვილად არ მინდოდა... – თქვა ელამ და უცებ გაახსენდა, რომ ამ წინადადებას დღეს მეტისმეტად ხშირად იმეორებდა. ქმრისკენ გააპარა თვალი, უნდოდა გამოეცნო, დევიდმაც თუ შეამჩნია ეს, მაგრამ დევიდის სახეზე იმ წუთში ვერაფერს ამოიკითხავდა კაცი.

– ჩვენ მეტწილად სწორედ ისეთ წიგნებს ვკითხულობთ, რომლებსაც ჩვენს ცხოვრებასთან არაფერი აქვთ საერთო. რას იზამთ, სამუშაო სამუშაოა. ამას წინათ ერთ წიგნზე მუშაობა დავამთავრე. ავტორი ირანელი ქალია, რომელსაც თეირანში საროსკიპო ჰქონდა გახსნილი და სამშობლოს დატოვება მოუხდა. ხომ არ ვეტყოდი, ირანულ სააგენტოს დაუკავშირდი-მეთქი? – არ ცხრებოდა მიშელი.

– რა თქმა უნდა, არა, – წაილუღლუღა ელამ. რატომღაც დანაშაულის გრძნობა გაუჩნდა.თანაც თავს იდიოტად გრძნობდა.

– განა კარგი ლიტერატურის ძალა, ყველაფერთან ერთად, ისიც არ არის, რომ იგი შორეულ ქვეყნებსა და კულტურებს გვაზიარებს?

– გეთანხმებით. ახლა კი ყური დამიგდეთ: დაივიწყეთ, რაც გითხარით. სამუშაოს დათქმულ ვადაზე ადრე მიიღებთ, – უკან დაიხია ელამ.

გულში სძულდა მიშელი. ეს ქალი ისე ელაპარაკებოდა, თითქოს ელაზე ბრიყვი არავინ ეგულებოდა ამქვეყნად. სძულდა თავისი თავიც, იმის გამო, რომ საქმე აქამდე მიიყვანა.

– ძალიან კარგი! – ჩაიჟღურტულა მიშელმა. – ნუ მიწყენთ, მაგრამ წუთითაც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ასეთ სამსახურზე უამრავ ადამიანს უჭირავს თვალი. თანაც მათი უმრავლესობა შვილად გეკუთვნით. გახსოვდეთ ეს. ასე უფრო მოტივირებული იქნებით და საკუთარ თავს მოდუნების უფლებასაც არ მისცემთ.

ელამ ყურმილი დადო. დევიდი გახევებული იჯდა და თვალს არ აშორებდა. ეტყობოდა, დაწყებული საუბრის გაგრძელება სურდა, მაგრამ ამჯერად თვითონ ელას აღარ ჰქონდა ქალიშვილის პრობლემებით თავის ატკივების არავითარი სურვილი, თუკი მაინცდამაინც ეს საკითხი უნდა განეხილათ.

იმავე დღეს, მოგვიანებით, ელა მარტო იჯდა სახლის აივანზე, თავის საყვარელ სარწეველა სავარძელში და ნორთჰემპტონის ნარინჯისფერი დაისით ტკბებოდა. ზემოდან ისეთი ზეცა დაჰყურებდა, თითქოს ცის კარი გაიხსნაო.

ელა ამჯერად მშვიდად იყო. მთელი ეს ქაოსი: მიმდინარე თვის საკრედიტო ბარათის გადასახადები, ორლის ჭამის პრობლემები, ეივის ცუდი ნიშნები, დეიდა ესთერი და მისი მოსაბეზრებელი ნამცხვრები, მიხრწნილობაში გადამდგარი ძაღლის გაუარესებული ჯანმრთელობა, ჯენეტის საქორწინო გეგმები, ქმრის საიდუმლო „სეირნობები," უსიყვარულობა... ყველაფერი, რასაც იგი წლობით საგულდაგულოდ ამწყვდევდა თავისი გონების პატარპატარა, საიდუმლო კოლოფებში, ახლა შორს იყო მისგან.

უცებ კონვერტს დასწვდა, ხელნაწერი ამოიღო და ხელში ისე შეათამაშა, თითქოს წონიდა. თავფურცელზე ლურჯი მელნით სათაური ეწერა: „საამო მკრეხელობა". ელა თავიდანვე გააფრთხილეს, რომ ავტორი ვინმე აზიზ ზ. ზაჰარა, არცთუ ისე ცნობილი მწერალი იყო და ჰოლანდიაში ცხოვრობდა. ხელნაწერიც სწორედ იქიდან მიეღო სააგენტოს. კონვერტში ხელნაწერთან ერთად ღია ბარათიც იდო. ღია ბარათზე ხასხასა ყვითელი, ვარდისფერი და იისფერი ტიტების მინდორი ჩანდა, უკან კი გაკრული, ლამაზი ხელით ეწერა:

„ძვირფასო ბატონო /ქალბატონო/!

მოგესალმებით ამსტერდამიდან. ჩემს ნაწარმოებში აღწერილი ამბავი მეცამეტე საუკუნეში მცირე აზიის ქალაქ კონიაში მოხდა. მაგრამ გულწრფელად მჯერა, ის გადალახავს ყველა საზღვარს, ყველა კულტურულ ბარიერს, ყველა საუკუნეს... იმედია, გამონახავთ დროს და წაიკითხავთ ამ ისტორიულ რომანს. მისი მთავარი თემაა ისლამის ისტორიაში ერთერთი ყველაზე პატივდებული სულიერი მოძღვრისა დადიდი პოეტის ჯალალ-ედ-დინ რუმის ურთიერთობა სკანდალებითა და უცნაურობებით განთქმულ დავრიშთან შამს თებრიზთან.

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ სიყვარული. დაე, მუდამ თქვენი ცხოვრების თანამდევი იყოს ეს გრძნობა.

ა.ზ. ზაჰარა.“

ელა მიხვდა, რომ ლიტერატურული აგენტის ყურადღება სწორედ ამ ღია ბარათმა მიიქცია. თუმცა, სტივს მოყვარული მწერლების ნამუშევრების საკითხავად არასოდეს ეცალა. შესაძლოა, ამიტომაც გადააბარა ეს სამუშაო თავის ასისტენტს მიშელს, ამ უკანასკნელმა კი ახალ ასისტენტს ელას გადაულოცა. ასე მოხვდა ელას ხელში „საამო მკრეხელობა“. მაშინ რა იცოდა, რომ ეს მისთვის უბრალოდ, წიგნი კი არ იყო, არამედ წიგნი, რომელიც მთელ მის ცხოვრებას შეცვლიდა. ამ რომანის კითხვისას თითქოს მისი ცხოვრების წიგნიც ხელახლა იწერებოდა.

ელამ პირველი გვერდი გადაშალა და ავტორის შესახებ ინფორმაცია წაიკითხა:

„ა. ზ. ზაჰარა ამსტერდამში, თავის წიგნებთან, კატებსა და კუებთან ერთად ცხოვრობს და ძირითად დროს მოგზაურობაში ატარებს. „საამო მკრეხელობა“ მისი პირველი რომანია და შესაძლოა, უკანასკნელიც. ის მწერლობას არ აპირებს. ამ წიგნის შექმნა ორმა პიროვნებამ შთააგონა დიდმა ფილოსოფოსმა და პოეტმა რუმიმ და მისმა მზემ შამს თებრიზმა.“

ელამ წიგნი გადაფურცლა და უცებ ისეთი რამ ამოიკითხა, რაც საოცრად ეცნო:

„...რამეთუ ვინც რა უნდა თქვას, სიყვარული სულაც არ არის მხოლოდ სასიამოვნო გრძნობა, რომელიც ისევე სწრაფად მიდის, როგორც მოდის...“

ელა გაოცდა. ეს იყო ზუსტად ის ფრაზა, რომელიც იმ დღეს, კამათისას, თვითონ უთხრა ქალიშვილს! ერთხანს გამშრალი იჯდა და იმის გაფიქრებაც კი ჟრჟოლას ჰგვრიდა, რომ მის ცხოვრებას რაღაც ან ვიღაც უჩუმრად ადევნებდა თვალს უხილავი სამყაროსეული ძალა თუ თვითონ მწერალი.

„იქნებ მწერალმა, ამ წიგნს რომ წერდა, წინასწარ იცოდა კიდეც, როგორი ადამიანი წაიკითხავდა მას პირველად...“ – ამ აზრმა რატომღაც ძალიან ააღელვა და შეაშფოთა ელა კარგად რომ ჩავუფიქრდეთ, ოცდამეერთე საუკუნე მეცამეტე საუკუნისგან დიდად არ განსხვავდება. ორივე ჩაიწერება ისტორიაში, როგორც უპრეცედენტო რელიგიური დაპირისპირებებისა და კულტურული შეუთავსებლობის ეპოქა, რომლებიც გამსჭვალული იყო დაუცველობის გრძნობითა და უცხოს შიშით. ასეთ ეპოქაში სიყვარული განსაკუთრებულად სჭირდებათ ადამიანებს...

უცებ გრილმა, ძლიერმა ქარმა წამოუბერა და აივნის ფიცარნაგზე ხმელი ფოთლები მიმოაბნია. ჩამავალი მზის ულამაზესმა ფერებმა ახლა დასავლეთისაკენ გადაინაცვლა და ირგვლივ ყველაფერმა თითქოს ერთბაშად მოიწყინა.

„...რამეთუ სიყვარული სიცოცხლის არსი და მიზანია და რუმის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველას შეახებს თავის ფრთას, მათაც კი, ვინც თავს არიდებს სიყვარულს; მათაც კი, ვინც სიტყვა რომანტიკას მხოლოდ მაშინ ამბობს, როცა ვიღაცას უწყრება და საყვედურობს.“

ელა ისე გაოცდა, თითქოს იქ ეწერა: „სიყვარული ყველას შეახებს თავის ფრთას, თვით ნორთჰემპტონში მცხოვრებ შუახნის დიასახლისს ელა რუბინშტეინსაც კი!..“

ერთი გაფიქრება გაიფიქრა, მოდი, თავს დავანებებ ამ ყველაფერს, შინ შევალ, მიშელს დავურეკავ და სამუშაოზე უარს ვეტყვიო, თუმცა ამის ნაცვლად, ერთი ამოიოხრა, ხელნაწერი გადაფურცლა და რომანის კითხვა დაიწყო.

საამო მკრეხელობა – ა. ზ. ზაჰარა

სუფიზმის მიმდევარი მისტიკოსები ამბობენ, რომ ყურანის საიდუმლო სურა ალ-ფათიჰაში დევს. თვით ალ-ფათიჰას საიდუმლო კი შემდეგ სიტყვაშია განფენილი:

ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ...

ამ სიტყვის კვინტესენცია გახლავთ ასო ბ(ბა).

თუ დააკვირდებით, ამ ასოს ქვეშ წერტილია...

ეს წერტილი მთელ სამყაროს იტევს...

„მათნავი“ ასო ბთი იწყება ისევე, როგორც ამ წიგნის ყველა თავი.

წინათქმა

ბრძოლა ძალაუფლებისათვის, დაუსრულებელი რელიგიური დაპირისპირებები, პოლიტიკური შეხლაშემოხლა... ამ ყველაფრით უაღრესად გადატვირთული მეცამეტე საუკუნე იმდროინდელი ანატოლიისთვის მართლაც მშფოთვარე გამოდგა.

დასავლეთიდან იერუსალიმისკენ ჯვაროსნები მოიწევდნენ. მათ დაიპყრეს და გაძარცვეს კონსტანტინოპოლი, რასაც ბიზანტიის იმპერიის დაშლა მოჰყვა; აღმოსავლეთიდან მონღოლთა ბრწყინვალედ ორგანიზებული ურდოები მოიბრძოდნენ, რომლებიც ჩინგიზ ყაენის სამხედრო გენიის წყალობით ელვის სისწრაფით აფართოებდნენ თავიანთი ბატონობის არეალს. დროდადრო თურქული ტომებიც ებრძოდნენ ერთმანეთს, ბიზანტიელები კი გააფთრებით ცდილობდნენ დაკარგული მიწების, დოვლათისა და ძალაუფლების დაბრუნებას. ეს იყო გაუგონარი არეულობის დრო, როცა ქრისტიანი ქრისტიანს, ქრისტიანი მაჰმადიანს, მაჰმადიანი მაჰმადიანს ებრძოდა. საითაც გაიხედავდი, ყველგან ომი, შუღლი, ტანჯვა და მოსალოდნელი ხიფათის გაუნელებელი შიში მეფობდა.

აი, ასეთ ქაოსში ცხოვრობდა გამოჩენილი მაჰმადიანი სწავლული, სახელად ჯალალ--ედ-დინ რუმი; მეტსახელად მევლანა, ანუ „ჩვენი ბატონი“, როგორც მას ბევრი უწოდებდა. რუმის უამრავი მოწაფე და თაყვანისმცემელი ჰყავდა იმ მხარეში; მეტიც: მთელი სამაჰმადიანო თავის გზის მანათობელ ვარსკვლავად მიიჩნევდა. 1244 წელს რუმიმ გაიცნო არატრადიციული შეხედულებებითა და მწვალებლური განცხადებებით სახელგანთქმული მოხეტიალე დავრიში შამს თებრიზი. ამ შეხვედრამ ორივეს ცხოვრება შეცვალა და ისეთ მტკიცე მეგობრობას მისცა დასაბამი, რომელსაც შემდგომი საუკუნეების სუფიები ორი ოკეანის კავშირს ადარებდნენ.

ამ განსაკუთრებულ ადამიანთან დამეგობრების შემდეგ ტრადიციების ერთგული სასულიერო პირი რუმი იქცა თავდადებულ მისტიკოსად, მგზნებარე სიყვარულის მეხოტბე პოეტად და დავრიშთა ცნობილი, ექსტატიური ცეკვის სულისჩამდგმელად, რითაც გაბედულად გასცდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ, ტრადიციულ საზღვრებს.

ბრმადმორწმუნეობისა და დაპირისპირებების იმ ეპოქაში რუმი საყოველთაო სულიერებას ქადაგებდა. მისი გული ღია იყო ყველა წარმომავლობისა და მდგომარეობის ადამიანისთვის. მან უარყო „ურწმუნოთა წინააღმდეგ ომად“ სახელდებული ჯიჰადი (რომელშიც იმ დროსაც ბევრი იყო ჩაბმული და ახლაც) და მის ნაცვლად მოგვიწოდა შინაგანი ჯიჰადისაკენ, რომლის მიზანია ბრძოლა საკუთარი ეგოს, ანუ ნაფსის წინააღმდეგ და მასზე საბოლოო გამარჯვება.

ყველა როდი მიესალმებოდა ამ იდეებს ისევე, როგორც ყველა არ უღებს გულის კარს სიყვარულს. ამ ორი ადამიანის მძლავრი სულიერი კავშირი ბოროტი მითქმამოთქმისა და თავდასხმების სამიზნე გახდა. მათი არ ესმოდათ, მათი შურდათ, მათ ტალახს ესროდნენ... ბოლოს უახლოესი ადამიანებიც კი მოღალატეებად ექცნენ.

შეხვედრიდან სამი წლის შემდეგ ისინი ტრაგიკულად დაშორდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს ამბავი ამით არც მაშინ დასრულებულა და არც არასოდეს დასრულდება. შამსისა და რუმის სულები დღესაც, თითქმის რვაასი წლის შემდეგაც, ცოცხლობენ და სადღაც აქვე, ჩვენ შორის, ტრიალებენ...

მკვლელი

1252 წლის ნოემბერი, ალექსანდრია

ბნელეთში, ჭის ფსკერზე გდია ახლა უსულოდ... სადაც წავალ, ყველგან თან დამდევს მისი თვალები, ჩაციებით მომშტერებიან და იმ ორი შავი ვარსკვლავივით კაშკაშებენ, ღამის ზეციდან ავად რომ დაგვყურებს.

არადა, რა იმედით ჩამოვედი ალექსანდრიაში: მეგონა, რაც უფრო შორს წავიდოდი, მით უფრო ადვილად მოვერეოდი ამ ვაიუშველებელს და სამუდამოდ გავექცეოდი ამ მოგონებას, დღედაღამ ტვინს რომ მიბურღავს...

სანამ სახე სისხლით შეეღებებოდა, თვალები ბუდიდან გადმოუცვივდებოდა და ხორხი გადაეკეტებოდა, ერთი შემომბღავლა. ეს იყო უკანასკნელი ამოსუნთქვა, დანაგაყრილი კაცის უკანასკნელი „მშვიდობით“, ხაფანგში გამომწყვდეული მგლის ყმუილი...

როცა კაცს კლავ, მისგან აუცილებლად მოგყვება რაღაც: ან კვნესა, ან სუნი, ან ხელის მოძრაობა. მე ამას „მსხვერპლის წყევლას“ ვეძახი. სხეულზე აგეკვრება, კანში ჩაგიძვრება, გულისკენ გაიწევს და სამუდამოდ გაგიჯდება მთელ ტანში. უბრალო გამვლელმა შეიძლება ვერაფერი შემამჩნიოს, მაგრამ ვინც კი მომიკლავს, ყველასგან გამომყვა რაღაც, რასაც სულ თან დავატარებ; უჩინარი ყელსაბამივით მკიდია ყელზე და ყოველ წუთს ვგრძნობ, როგორ მეტმასნება და მამძიმებს. მართალია, ვერაფერი სიამოვნებაა, მაგრამ მე უკვე მივეჩვიე ამ ტვირთის თრევას და მივიღე იგი, როგორც ჩემი ხელობის განუყოფელი ნაწილი. გეუბნებით, ყველა მკვლელში სუნთქავს მისი მსხვერპლი. ეს ასეა. ასეა იმ დღიდან, რაც კაენმა აბელი მოკლა... რომ იცოდეთ, დიდად არც მაწუხებს. ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც ადრე. ამიტომაც მიკვირს, რატომ შემზარა ასე იმ ბოლო შემთხვევამ. საერთოდ, ამ ამბავს დასაწყისიც უჩვეულო ჰქონდა. თუნდაც ის გავიხსენოთ, როგორ ვიპოვე ეს სამუშაო; თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, მეთქვა, რომ სამუშაომ თვითონ მიპოვა.

1248 წლის გაზაფხული იყო. იმ დროს ქალაქ კონიის საროსკიპოს მეპატრონესთან ვმუშაობდი, სიავითა და სიკაპასით ცნობილ ქალკაცასთან. იქ ორი მოვალეობა მეკისრებოდა მეძავებზე თვალი უნდა მჭეროდა და თუ საჭირო გახდებოდა, უსაქციელო მუშტრისათვის მიმეხედა.

გუშინდელივით მახსოვს ის დღე: საროსკიპოდან გაქცეულ ერთ-ერთ მეძავს დამადევნეს. ამ ქალს აკვიატებული ჰქონდა, გინდა თუუ არა, ღმერთი უნდა ვიპოვოო და იმ დღეს თვალსა და ხელშუა გაგვეპარა. ნაბრძანები მქონდა, დაჭერისთანავე მისი სახე ისე დამემახინჯებინა, რომ ყველა მამაკაცს დასანახავად შესჯავრებოდა. ძალიან ლამაზი იყო და ამიტომ ცოტა გული მეთანაღრებოდა... სად წამივიდოდა ის სულელი დედაკაცი, მაგრამ ზღურბლთან დაგდებულ რაღაც უცნაურ წერილს მოვკარი თვალი და იმას შევრჩი. კითხვა არ ვიცოდი, ამიტომ წერილი მედრესეში წავიღე, იქაურ მოწაფეს ფული გადავუხადე და წავაკითხე.

წერილს ხელს „რამდენიმე ჭეშმარიტი მორწმუნე“ აწერდა.

„სანდო წყაროებიდან ვიცით, საიდან მოხვედი და ვინ ხარ სინამდვილეში, ნათქვამი – იყო წერილში, – ასასინების ყოფილი წევრი ხარ. ისიც მოგვეხსენება, რომ ჰასან საბაჰის სიკვდილისა და თქვენი წინამძღოლების დაპატიმრების შემდეგ საქმე ცუდად წაგივიდათ. კონიაშიც ამიტომ ჩამოხვედი მდევარს გამოექეცი და იმალები...“

შემდეგ მწერდნენ, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვან საქმეში ჩემი დახმარება სჭირდებოდათ და მარწმუნებდნენ, გასამრჯელოთი უკმაყოფილო არ დარჩებიო. თუ მათი შემოთავაზება ჭკუაში დამიჯდებოდა, შებინდებულზე ქალაქის სამიკიტნოში უნდა მივსულიყავი, იქ, ფანჯარასთან, ერთერთ მაგიდას მივჯდომოდი. თავდახრილი, კარისკენ ზურგშექცეული და იატაკს მიჩერებული. მერე ვიღაცები მოვიდოდნენ,

მაგიდასთან მომისხდებოდნენ და საჭირო ცნობებს მომაწვდიდნენ. მათთვის არც მოსვლისას, არც წასვლისას სახეში არ უნდა შემეხედა; საუბრისას ხომ მით უმეტეს...

უცნაურად კი მეჩვენა ეს წერილი, მაგრამ მეორე მხრივ, თითქოს გასაკვირი არაფერი იყო... მუშტრების ხუშტურებს შეჩვეული ვიყავი, წლების მანძილზე ათასნაირი ჯურის ხალხი მიხდიდა ფულს ამ საქმეში და ვინაობას თითქმის არც ერთი არ ამხელდა. გამოცდილებით ვიცოდი რაც უფრო მკაცრად მალავდა მკვლელობის შემკვეთი ვინაობას, მით უფრო ახლობელი იყო თავისი მსხვერპლისათვის. თუმცა, ეს არ იყო ჩემი საქმე. ჩემი საქმე იყო მოკვლა. მიზეზები არ უნდა მეჩხრიკა. მას შემდეგ, რაც ალამუთი დავტოვე, ასეთი ცხოვრების წესი ავირჩიე. საერთოდ, კითხვებს იშვიათად ვსვამ ხოლმე. რად მინდა? ჩემს ნაცნობებში ისეთი არავინ მეგულება, ცხოვრებაში ერთი ადამიანის მოშორების სურვილი მაინც არ გასჩენოდეს. შეიძლება კაცი ისე მოკვდეს, რომ არავის არაფერი დაუშაოს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთ აზრებს გულშიც არ ივლებს. ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეუჩნდება ხოლმე ვინმეს მოკვლის ჟინი, უბრალოდ, სანამ საჭიროებას არ წააწყდება, ამას ვერ გრძნობს. ჰგონია, რომ ადამიანს ვერ მოკლავს. არადა, ეს მხოლოდ შემთხვევის ამბავია. ზოგჯერ ერთი ხელის აქნევაც კი კმარა, რომ წყობიდან გამოხვიდე. ყველაზე კეთილი და წესიერი ადამიანისგანაც შეიძლება საშინელებამ ამოხეთქოს, თუ უადგილო ადგილას და უდროო დროს ამოყო თავიან თუნდაც პატარა შელაპარაკება მოუვიდა.

ერთი სიტყვით, რძით დაბანილი არავინ არის, მაგრამ სრულიად უცნობი ადამიანის წარბშეუხრელად მოკვლა ყველას არ შეუძლია. აი, ეს უკვე ჩემი ასპარეზია... მოკლედ რომ ვთქვა, სხვების გასაკეთებელი ბინძური საქმეები მე მეკისრება.

ისე, რა გინდათ, ღმერთიც კი აღიარებს ჩემნაირების საჭიროებას. განა სიკვდილის მთავარანგელოზს, აზრაილს თვითონ გამჩენი არ გზავნის დედამიწაზე ჩვენი მზის დასაბნელებლად? ადამიანებს ჭირივით სძულთ ეს ანგელოზი, წყევლიან, ეშინიათ მისი, არადა, ანგელოზი ანგელოზია, ხელებიც სუფთა აქვს და სახელიც. ეს უსამართლობაა მის მიმართ. მაგრამ სამართალი, აბა, სად გეგულებათ ამქვეყნად?

კარგად რომ შებინდდა, სამიკიტნოს მივადექი. ფანჯარასთან მდგარ მაგიდას ვიღაც სახედაჩეხილი კაცი მისჯდომოდა და ეძინა. მოდი, გავაღვიძებ და ადგილს გავუცვლი მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ნასვამ ხალხთან საქმის დაჭერა შარია, მე კი ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი და ყურადღება ზედმეტად არ მიმექცია. ამიტომ გამოვბრუნდი და სხვა ფანჯარასთან დავჯექი.

ცოტა ხანში ორი კაცი შემოვიდა. ჩემ წინ ისე დასხდნენ, რომ მათი სახეები არ დამენახა. შეხედვა, როგორც გითხარით, აკრძალული მქონდა, მაგრამ ისედაც მივხვდი, როგორი ახალგაზრდები და მოუმზადებლები იყვნენ ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

– შენი თავი ძალიან გვიქეს... – დაიწყო ერთერთმა. ყოჩაღად ლაპარაკობდა, მაგრამ შეშინებული კი ჩანდა, – ასე გვითხრეს, საუკეთესო ოსტატიაო...

სასაცილო ნათქვამი გამოუვიდა, მაგრამ ღიმილი შევიკავე. შევატყვე, მართლა ძალიან ეშინოდათ ჩემი, ეს კი ხელს მაძლევდა; რაც მეტად შეეშინდებოდათ, მით ნაკლებად გამიბედავდნენ ზიანის მოყენებას.

– დიახ, საუკეთესო გახლავართ. ამიტომ მეძახიან ტურისთავას. რაც უნდა რთული დავალება ყოფილიყო, მუშტარი არასოდეს დამიღალატებია.

– მაგას რა სჯობს. არც ჩვენი დავალება იქნება იოლი, – მითხრა მან.

ახლა მეორე ალაპარაკდა:

– არის ერთი კაცი, რომელმაც ბევრი ვინმე გადაიმტერა. რაც ამ ქალაქში დასახლდა, დავიდარაბას და შარს ვერ ავუდივართ. ბევრჯერ გავაფრთხილეთ, მაგრამ არაფრად გვაგდებს, ის კი არა, უარესად აიშვა თავი. რა ვქნათ, სხვა გზას აღარ გვიტოვებს...

სულ ასე იყო. ერთი და იგივე მეორდებოდა. დამკვეთები ყოველთვის თავს იმართლებდნენ, თითქოს მე თუ მხარს ავუბამდი და მათ ჩანაფიქრს მოვიწონებდი, ამით იგი ნაკლებად ამაზრზენი გახდებოდა.

– გასაგებია, რისი თქმაც გინდათ. ვინ არის ეს კაცი? – ვიკითხე მე.

რატომღაც ყოყმანი დაიწყეს. დასახელებას არ ჩქარობდნენ, მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდნენ, მომავალ მსხვერპლს ჯერ ზოგადად მიხასიათებდნენ:

– ერთი მაწანწალაა, ვითომ დავრიშობს. მწვალებელია; მაჰმადიანობასთან არაფერი აქვს საერთო. აღვირახსნილი, თავზე ხელაღებული კაცია, მკრეხელი და ღვთისპირიდან გადავარდნილი.

დავრიშიო?.. ტანში გამცრა. ჭენებით ჩამიქროლა ათასნაირმა აზრმა. ვინ აღარ მომიკლავს მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, მაგრამ დავრიში (ღმერთის კაცი!) არასოდეს... რაღაცრაღაცები დაცდილი მაქვს და ნამდვილად არ მინდა, ღვთის რისხვა დავიტეხო თავს. მიუხედავად ყველაფრისა, ღმერთი მეც მწამს...

– ეგ საქმე არ გამოვა. დავრიშის მოკვლის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. სხვა ვინმე იპოვეთ, – ვთქვი და წასვლა დავაპირე, მაგრამ ერთერთმა ახალგაზრდამ ხელი მტაცა და შემეხვეწა:

– გემუდარები, ნუ წახვალ! იცოდე, შრომას არ დაგიკარგავთ. ნებისმიერი თანხა დაასახელე და ორმაგს გადაგიხდით.

–სამმაგზე რას იტყვით? – შევაპარე დარწმუნებულმა, რომ ასეთ დიდ თანხას ვერ მოერეოდნენ.

ცოტა კი შეყოყმანდნენ, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ორივე დათანხმდა. ისევ ჩამოვჯექი მაგიდასთან და მოუსვენრად ავწრიალდი. ასეთი ფულის პატრონს ცოლის შერთვაც აღარ გამიჭირდება და ლუკმა-პურისათვისაც აღარ ვიჯახირებ. ასეთ ფულად დავრიშის მოკვლაც კი ღირსმ-ეთქი, ვფიქრობდი.

რა ვიცოდი მაშინ, რომ უდიდეს შეცდომას ჩავდიოდი და მთელი დარჩენილი ცხოვრება სინანულში უნდა გამეტარებინა? რა ვიცოდი, რომ დავრიშის მოკვდინება ასე ძნელი იქნებოდა და მის ხანჯალივით ალესილ მზერას სიცოცხლის ბოლომდე ვეღარსად წავუვიდოდი?

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი ეზოში დანით მოვკალი და იქვე, ჭაში ჩავაგდე. მახსოვს, როგორ გაფაციცებით ვაყურადებდი წყლის დგაფუნის ხმას, რომელმაც ვერა და ვერ მოაღწია ჩემამდე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. თითქოს ეს კაცი ჭაში ჩავარდნის ნაცვლად

ცაში აიჭრა! დღემდე საზარელი სიზმრები მტანჯავს და როგორც კი წყალს შევხედავ (რა წყალიც უნდა იყოს), ისე ვიზაფრები, პირღებინება მეწყება.

ნაწილი პირველი

მიწა

ყოველი, რაც მყარია, თავის თავში ჩაფლული და უძრავია.

შამსი

1242 წლის მარტი, ფუნდუკი

სამარყანდის შემოგარენში ბნელ ოთახში თაფლის სანთლები ლიცლიცებდა და ჩემს მონჯღრეულ, დაბზარულ მაგიდას მკრთალად ანათებდა. ხილვა, რომელიც იმ საღამოს მქონდა, ყველაზე ძალიან ჰგავდა ცხადს.

დავინახე დიდი სახლი. ეზოში ყვითელი ვარდები ბიბინებდა. ეზოს შუაგულში კამკამა ჭა იდგა. გაზაფხულის წყნარი ღამე იყო. ცაზე სავსე მთვარე კაშკაშებდა. შორიდან მეღამური ცხოველების ყრუ გადაძახილი მოისმოდა...

ცოტა ხანში სახლიდან შუახნის, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი და თაფლისფერთვალება კაცი გამოვიდა. მე მეძებდა. შეძრწუნებული ჩანდა, უსაშველო სევდა უკრთოდა თვალებში.

– შამს! შამს! სად ხარ? – ყვიროდა იგი და აქეთიქით იყურებოდა.

ძლიერმა ქარმა დაჰბერა. მთვარე ღრუბელს ამოეფარა, თითქოს არ უნდოდა, იმის მოწმე გამხდარიყო, რაც ახლა მოხდებოდა. ჭოტები დადუმდნენ, ღამურებმა ფრთების ფართხუნი შეწყვიტეს, შინ ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლიც კი მიინავლა. თითქოს მთელი სამყარო გაირინდა.

კაცი ნელა მიუახლოვდა ჭას, დაიხარა და შიგ ჩაიხედა.

– შამს, ძვირფასო... – აჩურჩულდა იგი, – აქ ხარ?

შეხმიანება დავაპირე, მაგრამ ჩემი ხორხიდან ერთი ბგერაც არ ამოვიდა. ამჯერად უფრო დაბლა დაიხარა და კვლავ ჭაში ჩაიხედა. თავიდან ვერაფერს ხედავდა, შავად მოლიცლიცე წყლის გარდა. უცებ დაინახა ჭის ფსკერიდან ამოწვდილი ჩემი ხელი, რომელიც წყლის ზედაპირზე ისე ტივტივებდა, როგორც მორყეული ბორანი ნაავდრალ ზღვაში. შემდეგ თვალებიც ეცნო: ორი შავი, ბრიალა თვალი, სქელ-სქელი ლეგა ღრუბლებიდან გამოსულ სავსე მთვარეს რომ ასცქეროდა. ჰო, ჩემი თვალები მთვარეს მისჩერებოდა, თითქოს ჩემი მკვლელობის მიზეზი ზეცას უნდა გაემხილა.

კაცი მუხლებზე დაემხო, ატირდა და მკერდში მუშტები დაიშინა:

– მომიკლეს, მომიკლეს ჩემი შამსი!

უცებ ბუჩქიდან ვიღაცის ჩრდილი გამოიძურწა და ბაღის გალავანს სწრაფი, გარეული კატის შემპარავი ნაბიჯებით მიეახლა. კაცს მკვლელი არ შეუმჩნევია, უსაზღვრო ტკივილით შეპყრობილი იქამდე ყვიროდა და გოდებდა, სანამ ხმა არ გაებზარა და მინის ჭურჭელივით არ მიემსხვრა ღამის ჰაერს...

– შენ ეი! ნუ ღრიალებ შეშლილივით!

...

– ხმა გაიკმინდე, თორემ კინწისკვრით გაგაგდებ აქედან!

...

– გეუბნები, ხმა ჩაიკმინდემეთქი! არ გესმის?

მამაკაცის ხმაში მუქარა ისმოდა. თავი მოვიკატუნე, ვითომ არ მესმოდა. ფეხს ვითრევდი, მსურდა, ჩემი ხილვა კიდევ ცოტა ხანს გაგრძელებულიყო. მეტი მინდოდა შემეტყო ჩემი სიკვდილის შესახებ. ისიც ხომ უნდა გამეგო, ვინ იყო ის თვალებში სევდაჩამდგარი კაცი, რა აკავშირებდა ჩემთან და ასე სასოწარკვეთილი რატომ დამეძებდა გაზაფხულის იმ ღამეს?

მაგრამ სანამ ჩემი ხილვისაკენ კიდევ ერთხელ გავაპარებდი მზერას, ვიღაცამ სხვა განზომილებიდან ხელი გამოიშვირა, მწვდა, ისე შემანჯღრია, კინაღამ კბილები ჩამომცვივდა და ამ სამყაროში შემომაბრუნა.

ნება-ნება, უხალისოდ გავახილე თვალი. გვერდით ვიღაც მედგა. ახოვანი, ფერხორციანი, ბრგე კაცი იყო, ჭაღარა წვერითა და ხშირი, დაგრეხილი ულვაშით. მაშინვე ვიცანი ჩვენი მეფუნდუკე. ორ რამეს აშკარად ვატყობდი: მრისხანე კაცი იყო, უხეში საუბრითა და ძალადობით გაჰქონდა ხოლმე თავისი; ახლაც გაცეცხლებული ჩანდა...

– რა გინდა? – ვკითხე მე. – რატომ მეჯაჯგურები?

– როგორ თუ რა მინდა! სადილის დრო მოვიდა, შენ კი ყვირი და მუშტრებს მიფრთხობ! იცოდე, ხმა აღარ გავიგონო შენი! – შემიბღვირა მან.

– ნუთუ მართლა ვყვიროდი? – წავილუღლუღე მე და როგორც იქნა, ხელი გამოვგლიჯე.

– მერე როგორ! თათში ეკალგარჭობილი დათვივით ბღაოდი. რა დაგემართა? ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე?

თავის გასამართლებლად მართლაც დამაჯერებელი საბუთი იყო. კვერი რომ დამეკრა აღარ ჩამეძიებოდა და თავს გამანებებდა, მაგრამ ტყუილის თქმა არ ვისურვე.

– არა, ძმაო, არ მძინებია და არც ცუდი სიზმარი მინახავს. საერთოდ, სიზმრებს არ ვხედავ ხოლმე.

– მაშ, რა ჯანდაბა გაბღავლებდა? – არ მომეშვა მეფუნდუკე.

– ხილვა მქონდა. ეგ სულ სხვა რამეა...

გაკვირვებით შემომხედა და ულვაში მოიკვნიტა. კარგა ხანს აწვალებდა. ბოლოს თქვა:

– ეს დავრიშები ცოტა შექანებულები ხართ, განსაკუთრებით მოხეტიალე დავრიშები. თქვენი დღე და მოსწრება მარხულობთ, ლოცულობთ, თაკარა მზის ქვეშ დაბოდიალებთ და ტვინი გიხურთ. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ მოლანდებები გქონდეთ...

გამეღიმა. ალბათ, მართალი იყო. აკი ამბობენ, ღმერთში ჩაკარგვასაო და ჭკუის დაკარგვას შორის ზღვარი თითქმის არ არსებობსო.

ამ დროს ორმა მსახურმა თეფშებით სავსე ლანგრები ჩამოატარა. რა აღარ იდო ზედ: ახალშებრაწული თხის ხორცი, შებოლილი თევზი, შეკაზმული ცხვრის შიგანი, ხორბლის კვერები, თურქული ბარდა და გუფთა, ოსპის შეჭამანდი ცხვრის დუმით...

ბიჭებმა მთელი დარბაზი შემოიარეს და კერძი ჩამოარიგეს. ირგვლივ ნივრის, ხახვისა და საკაზმების მსუყე სურნელი დატრიალდა. როცა ჩემს მაგიდას მოუახლოვდნენ, ერთი ჯამი ცხელი წვნიანი და შავი პური ავიღე.

– გადამხდელი თუ ხარ? – მკითხა მეფუნდუკემ და ქედმაღლურად დამხედა.

– არა, – ვუპასუხე მე, – მაგრამ შემიძლია სხვანაირად მოგირიგდე: სადილისა და ლოგინის საფასურად სიზმრებს აგიხსნი.

მელურად ჩაიცინა და დოინჯი შემოიყარა:

– აკი სიზმრებს ვერ ვხედავო?!

– მართლა ვერ ვხედავ. სამაგიეროდ, მათი ახსნა შემიძლია...

– უნდა გაგაპანღუროს კაცმა აქედან! ხომ გითხარი, დავრიშები აფრენთ-მეთქი! – სეტყვასავით მომაყარა უკმეხი სიტყვები, – არ ვიცი, რამდენი წლისა ხარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საკმარისზე მეტი გილოცია. ერთ რამეს გირჩევ: ქალი შეირთე და შვილები გააჩინეთ, შენც მოისვენებ და მიწაზე ფეხს მოიკიდებ. რა აზრი აქვს ამ წანწალს, როცა ყველგან ერთი და იგივე ცოდობრალი ტრიალებს? დამიჯერე, ახალს ვერსად ვერაფერს იპოვი. მუშტრები მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან მყავს; მოვლენ ჩემს ფუნდუკში, ორ ჭიქას დალევენ და მერე ყველა ერთსა და იმავე ამბავს ჰყვება. ადამიანიც ყველგან ერთნაირია და მასთან ერთად, სხვა ყველაფერიც: იგივე საჭმელი, იგივე წყალი, იგივე სიბრიყვე...

– მე არც არაფერს ვეძებ, ღმერთის გარდა...

– მაშინ მისამართი შეგშლია, – მიპასუხა მეფუნდუკემ და ანაზდად ხმა დაუბოხდა, – ღმერთმა, კარგა ხანია, მიგვატოვა და არ ვიცით, როდის დაბრუნდება.

ამ სიტყვების გაგონებისას გულმა რეჩხი მიყო.

– ვინც ღმერთს გმობს, ის თავის თავს გმობს, – ვუთხარი პასუხად.

მეფუნდუკემ ცალყბად გაიღიმა. გესლით დაღრეჯილ, გაავებულ სახეზე წამით ბავშვური გაბუტვაც შევატყვე...

– განა ღმერთმა არ გვითხრა, მე უფრო ახლოს ვარ თქვენთან, ვიდრე თქვენი საუღლე ვენაო? – ჩავეკითხე მე. – ღმერთი სადღაც ზეცაში ნუ გეგულება. იგი ყოველ ჩვენგანშია და არასოდეს მიგვატოვებს. ან როგორღა უნდა მიატოვოს თავისი თავი?

– ისე მიგვატოვებს, მზე მაღლა იქნება, – თქვა მეფუნდუკემ და ცივი, უტიფარი მზერა შემომაგება, – თუ აქ არის დალოცვილი, რატომ თითს არ გაანძრევს, როცა ტანჯვით სული გვხდება? ჰა, რას იტყვი?

– აჰა, ისმინე წესი პირველი, ძმაო ჩემო. – ვუპასუხე და დავიწყე:

„ღმერთის შენეული აღქმა შენი ზუსტი ანარეკლია. თუ ღმერთი მარტო საყვედურის სურვილსა და შიშს აღგიძრავს, ეს იმას ნიშნავს, რომ სული შიშით და ღვარძლით გაქვს

სავსე. ხოლო თუ ღმერთში სიყვარულისა და თანალმობის წყაროს ხედავ, მაშინ შენც ასეთივე ხარ.“

იმ წუთში შემეკამათა, მაგრამ ჩემი სიტყვებით გაოცებული ჩანდა:

– გამოდის, რომ ღმერთი ჩვენი წარმოსახვის ნაყოფია... რაღაც, ვერ მიგიხვდი...

პასუხი ვეღარ გავაგონე, რადგან კუთხეში უცებ ჩოჩქოლი ატყდა. დარბაზს გავხედეთ: ორი მთვრალი აშკარად შარზე იყო. ტლანქები და თავხედები, რაღაცას გაუგებრად ბლუკუნებდნენ, როხროხებდნენ, სტუმრებს ჯამებიდან საჭმელს უყრიდნენ, მათი ფიალებიდან სასმელს წრუპავდნენ და თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, მაქთაბის უზრდელი მოწაფეებივით ელაზღანდარებოდნენ.

– ახლა უყურე ამათ სეირს! – კბილებში გამოცრა მეფუნდუკემ.

თვალის დახამხამებაში დარბაზის მეორე ბოლოში გაჩნდა, ერთ-ერთ მთვრალს ქეჩოში სწვდა და სახეში მუშტი უთავაზა. მთვრალი აშკარად არ ელოდა ამას და იატაკზე ცარიელ ტომარასავით დაებერტყა. რაღაც ძლივს გასაგონად წამოიძახა, მაგრამ სხვა ვერაფერი გააწყო. მეორე მთვრალი უფრო კუნთმაგარი აღმოჩნდა. გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მეფუნდუკე მასაც მოერია. ესეც არ აკმარა თავგასულ მუშტრებს: ჯერ ნეკნებში ურტყა, შემდეგ კი ხელის მტევნებზე მძიმე წაღებით შესდგა. გარკვევით გავიგონე თითების მსხვრევის ხმა.

– შეჩერდი! – წამოვიძახე მე. – მაინცდამაინც უნდა მოკლა?!

როგორც სუფის, ფიცი მქონდა დადებული, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე მეხსნა და თავად არავისთვის არაფერი დამეშავებინა. ამ ცრუგრძნობებით სავსე ქვეყანაზე ძალიან ბევრი ადამიანი ჩხუბობს უმიზეზოდ, ერთი იმდენი კიდევ, საბაბს ეძებს. რაც შეეხება სუფის, ის მაშინაც კი ერიდება ჩხუბს, როცა საამისო მიზეზი აქვს.

ერთი სიტყვით, ძალადობა ჩემი საქმე არ იყო. როგორმე შუაში უნდა ჩავდგომოდი, დამეშოშმინებინა და მომელბო მოჩხუბარნი.

– თავი დამანებე, თორემ შენც ღდინს გაგაცლი! – მიყვირა მეფუნდუკემ, თიმცა ორივემ ვიცოდით: არ იყო ამის გამკეთებელი.

ცოტა ხანში მიმტანმა ბიჭებმა ორი მთვრალი ფეხზე წამოაყენეს. ერთს თითი ჰქონდა მოტეხილი, მეორეს კი – ცხვირი გატეხილი. იქაურობა სისხლით იყო მორწყული.

დარბაზი გაისუსა. მეფუნდუკე სიამაყით აღარ იყო, ასეთი შიშის ზარი რომდასცა ყველას. მზერა ჩემკენ გამოაპარა და ომახიანად, მთელი დარბაზის გასაგონად მომმართა:

– მე ყოველთვის ასეთი არ ვიყავი, დავროშო. მოძალადე არ ვიყავი, ახლა კი ვარ!.. როცა ღმერთი აქ, მიწაზე მყოფთ გვივიწყებს, სამართალი ჩვენ, უბრალო ხალხმა უნდა გავაჩინოთ. ჰოდა, თუ კიდევ ერთხელ შეხვდები უფალს, ასე გადაეცი: შენი კრავები კი დაყარე უპატრონოდ, მაგრამ ყელს გამოსაღადრად არავის მიუშვერენ, უმალ მგლებად გადაიქცევიან-თქო.

– ცდები, – ვუთხარი მე და მხრები ავიჩეჩე.

– მაინც რაში ვცდები, ერთ დროს კრავი ვიყავი და მგლად ვიქეცი-მეთქი, რომ გითხარი, ეს არის შეცდომა?

– არა, ეგ სწორად თქვი. მგლად რომ ქცეულხარ, ვხედავ. შეცდომა ის არის, რომ სამართლის გაჩენას ეძახი იმას, რასაც აკეთებ.

– დამაცადე, ახლა შენთვისაც მოვიცლი, – მითხრა მეფუნდუკემ, – შენ, როგორც მახსოვს, ჩემი ვალი გაქვს. საჭმლისა და ლოგინის ნაცვლად სიზმრების ახსნას შემპირდი, ასე არ იყო?

– უკეთეს რამეს შემოგთავაზებ: ხელზე გიმარჩიელებ, ვუპასუხე მე, მივუახლოვდი და ანთებულ თვალებში ჯიქურ ჩავაცქერდი. უნებლიეთ უკან დაიხია და ეჭვიანად აიმრიზა, მაგრამ როცა მის მტევანს დავწვდი და ხელისგული ამოვუბრუნე, არ გამძალიანებია. დავხედე ღრმა, ოღროჩოღრო ხაზებით დაღარულ მის ხელისგულს, რომელიც მის გამრუდებულ ცხოვრებაზე მეტყველებდა. თანდათან გამოიკვეთა მისი აურის ფერებიც: ჟანგისფერი და ბაცი, ნაცრისფერში გადასული ცისფერი. მისი სულიერი ენერგია სრულიად დაშრეტილი მეჩვენა. თითქმის წაშლილი იყო ის ზღუდე, რომელიც მას გარე სამყაროსაგან იცავდა. როგორც ჭკნობამორეულ მცენარეს აღარ ეთქმის ცოცხალი, ისე აღარ ეთქმოდა ამ კაცსაც. სულიერი ენერგიის დანაკლისის შესავსებად ფიზიკური ენერგია გაეორმაგებინა და ახლა დაუზოგავად ხარჯავდა.

ამასობაში გულისცემა გამიხშირდა, იმიტომ, რომ რაღაც დავინახე. თავიდან ბუნდოვნად გამოკრთა ხილვა, თითქოს რაღაც გამჭვირვალე ქსოვილში იყო გახვეული, შემდეგ თანდათან გამოიკვეთა და ჩემ თვალწინ ასეთი სურათი დაიხატა: ახალგაზრდა, წაბლისფერთმიან ქალს შიშველ ფეხებზე შავი სვირინგები ჰქონდა და მხრებზე მოქარგული თავშალი მოეხურა...

– საყვარელი ქალი დაგიკარგავს... – ვუთხარი მეფუნდუკეს და მისი მარცხენა მტევანი ხელში მოვიმწყვდიე. – ძუძუები რძითა აქვს დაბერილი, იმოდენა მუცელი აქვს, ლამის შუაზე გადაუსკდეს. ალმოდებულ ქოხშია მომწყვდეული. ქოხის ირგვლივ მეომრები დააგელვებენ ვერცხლით მოჭედილუნაგირებიან ცხენებს. ირგვლივ დამწვარი თივისა და ადამიანის დამწვარი ხორცის სუნი ტრიალებს. მხედრები მონღოლები არიან. ბრტყელსახა, ბრტყელცხვირა, მოკლეკისერა და გულქვა. ეს ჩინგიზ ყაენის ძლევამოსილი ჯარია...

– ...ერთი კი არა, ორი საყვარელი ადამიანი დაგიკარგავს. – დავაზუსტე მოგვიანებით, – შენი ცოლი პირველ ბავშვზე იყო ორსულად...

მეფუნდუკეს კრიჭა შეეკრა, თვალები დახარა და ტყავის წაღებზე დაიხედა. სახე ისე წაეშალა, ზედ ვერაფერს ამოიკითხავდი. ერთბაშად, ჩემ თვალწინ დაბერდა.

– ვიცი, ვერაფერი შვებაა შენთვის, მაგრამ მაინც უნდა გითხრა... – ვაგრძელებდი მე. – შენი ცოლი ცეცხლს არ მოუკლავს, ფიცარი ჩამოვარდა ჭერიდან და თავზე დაეცა. უცებ მოკვდა, ყოველგვარი ტკივილის გარეშე. შენ სულ გეგონა, რომ ტანჯვაში ამოხდა სული, მაგრამ სინამდვილეში ერთი წუთიც არ უწვალია.

მეფუნდუკემ წარბები შეკრა და ისე მოიკუნტა, თითქოს რაღაც უხილავი ტვირთი აწვებოდა, რომლის სიმძიმეს მხოლოდ თვითონ გრძნობდა. შემდეგ გაბზარული ხმით მკითხა:

– საიდან იცი ეს ყველაფერი?

წავუყრუე და გავაგრძელე:

– სულ თავს იდანაშაულებდი, რომ წესისა და რიგისამებრ ვერ დაასაფლავე. დღემდე გესიზმრება, როგორ ამოდის სამარიდან, მაგრამ ეს შენი გონების თამაშია მხოლოდ. სინამდვილეში შენი ცოლიცა და ვაჟიც კარგად არიან და ლაღად დაფარფატებენ მარადისობაში, როგორც ორი ათინათი...

შემდეგ, რაც შეიძლებოდა, დინჯად დავძინე, ყოველ სიტყვას ვწონიდი:

– შენ კვლავ შეგიძლია გახდე კრავი, რადგან ის შენში ახლაც ცოცხლობს...

მეფუნდუკე გველნაკბენივით შეკრთა და ხელი გამომგლიჯა.

– დავრიშო, რაღაც არ მომწონხარ! – თქვა მან. – ამაღამ გაგათევინებ, მაგრამ ეცადე, მზის ამოსვლამდე მოშორდე აქაურობას. შენი დანახვაც აღარ მინდა...

ყოველთვის ასე იყო როგორც კი სიმართლეს ეტყოდი, მაშინვე შეგიძულებდნენ. რაც მეტს ელაპარაკებოდი სიყვარულზე, უფრო სძულდი...

ელა

2008 წლის 18 მაისი, ნორთჰემპტონი

ბევრი ეკამათა იმ დღეს ქმარსაც და ქალიშვილსაც; ახლა ისე იყო ამ ყველაფრისგან გამოფიტული, რომ რომანის კითხვას დროებით თავი მიანება. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უეცრად ვიღაცამ თუხთუხა ქვაბს სარქველი ახადა და იქიდან ძველ კონფლიქტებთან ერთად ახალახალმა უსიამოვნებებმა ამოხეთქა. საუბედუროდ, ამ წარმოსახვითი სარქვლის ამხდელი თვითონ იყო. საქმე ის გახლდათ, რომ იმ დღეს სკოტს დაურეკა და სთხოვა, ჩემს ქალიშვილს ცოლად ნუ შეირთავო.

შემდგომ ელა არაერთხელ ინანებს ყველა სიტყვას, რომლებიც ამ საუბრისას წარმოთქვა. მაგრამ იმ დღეს თავისი პოზიციის დასაბუთებულობაში თუ არა, სრულ სიმართლეში მაინც იყო დარწმუნებული. ამიტომაც ახალგაზრდების საქმეში ასეთი უხეში არევის სავალალო შედეგები წინასწარ ვერ გათვალა.

– გამარჯობა, სკოტ! მე ელა ვარ, ჯენეტის დედა... – დაიწყო მან, რაც შეიძლება მხიარული ტონით, თითქოს თავისი ქალიშვილის შეყვარებულს ყოველდღე ურეკავდა, – გცალია ერთი წუთით?

–დიახ, მისის რუბინშტეინ, გისმენთ, – წაილუღლუღა სკოტმა, გაოცების მიუხედავად, ძალიან თავაზიანად.

ელამ არც აცია, არც აცხელა და არანაკლებ თავაზიანად უთხრა, რომ თუმცა მისი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მეტისმეტად ახალგაზრდად და გამოუცდელად მიაჩნდა საიმისოდ, რომ მისი ქალიშვილი ცოლად შეერთო.

– ვიცი, რომ ეს საუბარი შენთვის არასასიამოვნოა, – დასძინა მან, – მაგრამ ოდესმე, არც ისე შორეულ მომავალში, ყველაფერს სწორად გაიგებ და მადლობასაც კი მეტყვი, დროზე რომ გაგაფრთხილე.

შემდეგ დელიკატურად სთხოვა, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ და ეს საუბარი ჩვენს საიდუმლოდ დარჩესო.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

– მისის რუბინშტეინ... თქვენ, როგორც ჩანს, არ გესმით... – დაიწყო სკოტმა, როცა ხმის ამოღება შეძლო, – მე და ჯენეტს გვიყვარს ერთმანეთი...

„აი, ისევ დაიწყო! რა გულუბრყვილობაა. რატომ ფიქრობენ, რომ სიყვარული ყველა სიძნელეს გადაალახვინებთ, რომ ის ჯადოსნური ჯოხია, რომლის ერთი მოქნევით ყველაფერი მოგვარდება," – გაუელვა ელას, მაგრამ ეს ბიჭისათვის არ გაუმხელია, ხმამაღლა ესღა უთხრა:

– დამიჯერე, მე მესმის შენი. მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ. წარმოიდგინე, მთელი ცხოვრება წინ გაქვს. ვინ იცის, იქნებ ხვალ სხვა შეგიყვარდეს.

– მისის რუბინშტეინ, უზრდელობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ არ გეჩვენებათ, რომ ეს ყველას ეხება, მათ შორის თქვენც? მართლაც, ვინ იცის? იქნებ ხვალ თქვენც შეგიყვარდეთ ვინმე...

ელამ გადაიკისკისა. თავისდა უნებურად საკმაოდ ხმამაღალი და ხანგრძლივი სიცილი გამოუვიდა.

– მე გათხოვილი ქალი ვარ. როცა დავქორწინდი, სამუდამოდ დავქორწინდი და არა დროებით. ასევე ფიქრობს ჩემი ქმარიც. ეს საუბარიც სწორედ იქით მიმყავს, რომ გითხრათ, ქორწინება ძალიან სერიოზული საკითხია და სიფრთხილეს მოითხოვს.

–ანუ, როგორც თქვენ მეუბნებით, თქვენი ქალიშვილი იმიტომ არ უნდა შევირთო, რომ შეიძლება ოდესმე სხვა შემიყვარდეს? – ჩაეკითხა სკოტი.

ამის შემდეგ საუბარი ვერა და ვერ აეწყო. საკმარისზე მეტი აწყენინეს ერთმანეთს. საუბარი რომ დაამთავრეს, ელამ სამზარეულოს მიაშურა და წამოიწყო ის, რასაც ყოველთვის აკეთებდა, როცა მოუსვენრობა შეიპყრობდა ხოლმე: საჭმლის მომზადებას შეუდგა.

ნახევარ საათში ქმარმა დაურეკა.

– არ მჯერა, რომ სკოტს დაურეკე და სთხოვე, ჩვენი გოგო ცოლად არ შეერთო. მითხარი, რომ ეს არ გაგიკეთებია...

ელა გაშრა.

„რა უცებ გაიგებს ხოლმე ყველა..." – გაიფიქრა თავისთვის.

– იცი, რა, მოდი აგიხსნი... – სცადა თავის მართლება, მაგრამ დევიდმა არ დააცადა...

– არაფერია ასახსნელი. ცუდად მოიქეცი. სკოტმა ჯენეტს ყველაფერი უამბო და ბავშვს ლამის გული გაუსკდეს. რამდენიმე დღე მეგობრებთან იქნება, ახლა შენი ნახვა არ უნდა... და არც ვამტყუნებ.

იმ საღამოს ოჯახში ღამისთევაზე უარი მხოლოდ ჯენეტს არ უთქვამს. ელამ ქმრის შეტყობინება მიიღო, გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და ნუ დამელოდებიო. რა უნდა ყოფილიყო ასეთი გადაუდებელი? დევიდი ასე არასოდეს იქცეოდა. მას შეეძლო, ყოველ შემხვედრ ქალთან ჰქონოდა ფლირტი და წარმოიდგინეთ, სექსიც კი, მაგრამ სახლში ყოველთვის დროზე მოდიოდა და საღამოობით, ვახშმის დროს, მაგიდასთან თავის ადგილს იკავებდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენად ღრმა იყო ბზარი მათ შორის, ელას მუდამ მზად ჰქონდა ვახშამი და დევიდიც ხალისით შეექცეოდა ყველაფერს, რასაც

თეფშზე დაუდებდნენ. მადლობის (თანაც გულწრფელი მადლობის) თქმაც არასოდეს ავიწყდებოდა, რასაც ელა მოღალატე ქმრის ერთგვარ მობოდიშებად აღიქვამდა და... პატიობდა. ყოველთვის პატიობდა. პირველად მოექცა ქმარი ასე უდიერად. ელამ თავისი თავი დაადანაშაულა. თუმცა, თავის დადანაშაულება ყოველთვის ახასიათებდა. უამისოდ არც კი შეეძლო...

მოგვიანებით, ტყუპთან ერთად სუფრას რომ მიუჯდა, დანაშაულის გრძნობა უგუნებობით შეეცვალა. ჯერ ერთ ტყუპისცალს მისდგა, პიცას შევუკვეთო, რომ აიკვიატა; დატუქსა მეორეც, რომელიც ცდილობდა, სუფრიდან მშიერი ამდგარიყო. ბოლოს ორივე აიძულა, უგემურად ეძიძგნათ ბრინჯი, ბარდა და მდოგვის სოუსმოსხმული როსტბიფი. მოკლედ, კვლავინდებურად აქტიური და ფუსფუსა დედის ამპლუაში იყო, მაგრამ ატყობდა, სასოწარკვეთა თანდათან ერეოდა, პირშიც კი რაღაც უცნაური გემო ჰქონდა, ნაღველივით მძაფრი და მწარე...

ვახშმის შემდეგ ელა კიდევ კარგა ხანს შემორჩა სუფრას, მაგრამ ირგვლივ გამეფებული სიმშვიდე და სიჩუმე უცნაურად ემძიმა და საგანგაშოც კი ეჩვენა. უცებ ვახშმის მზადების რამდენიმესაათიანი, საკმაოდ მძიმე პროცესი უაზრო და მოსაწყენ საქმედ ეჩვენა და მიხვდა, რომ შეეძლო, სხვა რამე გაეკეთებინა. შეებრალა საკუთარი თავი... დასანანი იყო, რომ ორმოცი წლის ასაკში სხვას ვერაფერს მიაღწია. რამდენი დაუხარჯავი სიყვარული იყო მასში... არადა, ვის რაში სჭირდებოდა?

ელა ფიქრებით ისევ წიგნს მიუბრუნდა. ძალიან დააინტერესა მთავარმა გმირმა შამს თებრიზმა.

„რა კარგი იქნებოდა, მსგავსი კაცი რომ მყავდეს გვერდით... გაეხუმრა თავის თავს, ალბათ, ასეთთან არც ერთ წუთს არ მოვიწყენდი...“

ანაზდად თვალწინ წარმოუდგა ეს ადამიანი: ახოვანი, იდუმალებით მოცული, ბაიკერულ ტყავის სამოსში გამოკვართული, გრძელთმიანი, მწუხარე იერის, ახალთახალი, ფერადფერადი ფუნჯებით მორთული „ჰარლი დევიდსონის“ საჭესთან.

ელას გაეცინა. „წარმოსადეგი, სექსუალური ბაიკერი სუფი, რომელიც უკაცრიელ ტრასაზე მიქრის... რა მაგარი იქნება, ავტოსტოპით მგზავრობის დროს ასეთმა ტიპმა მოტოციკლეტზე რომ შემოგისვას...“

ნეტავ რას ეტყოდა შამსი, მისი ხელისგული რომ ენახა? ან რას დაარქმევდა მის თავში დროდადრო დატრიალებული შავბნელი აზრების კორიანტელს? რა ახსნას მოუძებნიდა იმ ფაქტს, რომ ამხელა ოჯახის პატრონმა მარტოსულობა ვერ აიცდინა?

„ნეტავ ჩემი აურა რა ფერია? არა მგონია, ნათელი და ხალისიანი ფერი ჰქონდეს. ნათელი და ხალისიანი ჩემს ცხოვრებაში ამ ბოლო დროს არც არაფერი ყოფილა, თუმცა, რაღა ამ ბოლო დროს... არც არასოდეს!..“

სწორედ იქ ღუმელის მკრთალი შუქით განათებულ სამზარეულოში განმარტოებით ჯდომისას, საბოლოოდ გააცნობიერა ელამ, რომ უბრალოდ, იხტიბარს არ იტეხდა, თორემ გულის სიღრმეში ახლაც სიყვარულზე ოცნებობდა.

შამსი

1242 წლის მარტი, ფუნდუკი სამარყანდის გარეუბანში

ბანგნასვამივით ეძინა ფუნდუკის მეორე სართულზე ათიოდე მგზავრს. ყველა თავ-თავის სიზმრებში ჩაფლულიყო. მძინარეთა შიშველ ფეხებსა და ხელებს გადავაბიჯე და შმორითა და ოფლით აქოთებულ ლოგინამდე მივაღწიე. ვიწექი სიბნელეში და განვლილი დღის მოვლენებს ვიხსენებდი. ვუკვირდებოდი, იყო თუ არა მათ შორის რამე ისეთი, რაც ზეციურ ნიშნად უნდა მიმეღო, მაგრამ უყურადღებობითა და უგუნურებით მხედველობიდან გამომრჩა.

მე, პატარა ბიჭობიდან მოყოლებული, ხილვები მქონდა და ხმებიც ჩამესმოდა. ყოველთვის ვესაუბრებოდი ღმერთს და ისიც ყოველთვის მეხმიანებოდა. იყო დღეები, როცა ბუმბულივით მსუბუქი და უწონო გავმხდარვარ და ლამის ცას ავწვდომივარ, მაგრამ გამომივლია ისეთი წუთებიც, როცა დედამიწის ყველაზე ღრმა შრეებში ჩამძვრალი მძლავრი მუხის ან სურნელოვანი წაბლის ძირში დაფლულ, მიწის სუნით გაჟღენთილ ქვასავით უსულოდ ვგდებულვარ. დროდადრო მადა მეკარგებოდა ხოლმე. რამდენიმე დღე ისე ჩაივლიდა, პირში ლუკმას არ ჩავიდებდი, მაგრამ ასეთი რამეები არ მაშინებდა. უბრალოდ, დროთა განმავლობაში ჭკუა ვისწავლე და სხვებს აღარაფერს ვუმხელდი. ადამიანებს ხომ ასე სჩვევიათ: თუ რამე არ ესმით, აუცილებლად კბილი უნდა გაგკრან. ეს იმთავითვე კარგად შევითვისე და რაც შემეძლო, ვფრთხილობდი.

ჩემი ხილვები პირველ რიგში მამაჩემს არ მოუვიდა თვალში. ათი წლის ვიყავი, როცა პირველად ვიხილე ჩემი მფარველი ანგელოზი და მას შემდეგ ყოველდღიურად ვხედავდი. ისეთი გულუბრყვილო ვიყავი, მეგონა, ყველა ასე იყო.

ერთხელ მამაჩემს, რომელიც თავისი ხელობისთვის, დურგლობისთვის, მამზადებდა და კედრისაგან ზანდუკის გამოთლას მასწავლიდა, ჩემს მფარველ ანგელოზზე ვუამბე.

– წარმოსახვის უნარი, იცოცხლე, გაქვს, – მითხრა ცივად, – მაგრამ გიჯობს, შენთვის შეინახო; ამ ხალხს ნუ მიგიჟებ...

საქმე ის იყო, რომ რამდენიმე დღის წინ მეზობლებმა შესჩივლეს, შენი ბიჭი უცნაურად იქცევა და ბავშვებს გვიშინებსო.

– გამაგებინე, რა გინდა, შვილო? რატომ არ შეეგუები იმ აზრს, რომ მშობლებისაგან არაფრით გამორჩეული არ ხარ? შვილი ან დედას ემსგავსება, ან მამას. რაღა შენ უნდა იყო გამონაკლისი?! – გამიწყრა ბოლოს.

სწორედ მაშინ მივხვდი პირველად: მშობლები მიყვარდა, მათ სიყვარულსაც დანატრებული ვიყავი, მაგრამ ისინი მაინც უცხოები იყვნენ ჩემთვის...

– მამა, მე სხვა ვარ... შენს დანარჩენ შვილებს არ ვგავარ. წარმოიდგინე, რომ ქათმების გამოზრდილი იხვის ჭუჭული ვარ და არა შინაური ფრინველი, რომელმაც მთელი ცხოვრება საქათმეში უნდა გაატაროს. წყალი, რომელიც შენ გაშინებს, მე სიცოცხლეს მმატებს, რადგან შენგან განსხვავებით, მე ცურვა ვიცი და ამას არასოდეს დავიშლი. ჩემი სახლი ოკეანეა. თუ სურვილი გაქვს, გამომყევი, თუ არა, თავი დამანებე და საქათმეს დაუბრუნდი.

ჯერ თვალები გაუფართოვდა. მერე ისე მოწკურა, ძლივსღა უჩანდა. ბოლოს საყვედურით მითხრა:

– მამაშენს რომ ასე ელაპარაკები, მტრებს რაღას უზამ, როცა დაკაცდები?!..

ჩემი მშობლების საუბედუროდ, ასაკთან ერთად ხილვები კი არ მომშორდა, პირიქით, კიდევ უფრო მომეძალა და მთლიანად შემიპყრო. ვიცოდი, მშობლებს ვაწუხებდი და ამის გამო თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მაგრამ არც ამ ხილვებისგან თავის დაღწევა შემეძლო, თუმცა, რომც შემძლებოდა, ალბათ, ამას არ გავაკეთებდი.

ცოტა ხანში მამისეული სახლის კარი სამუდამოდ გამოვიხურე და მას შემდეგ არაფერი ჩამესმის ყურში ისე ტკბილად, როგორც სიტყვა თავრიზი. თაფლივით მადნება სასაზე მისი ამო ბგერები. ბავშვობის ქალაქის მოგონებას ყოველთვის სამი სურნელი ახლავს თან: მოჭრილი ხის, ხაშხაშის პურისა და ხრაშუნა თოვლის... მას შემდეგ მოხეტიალე დავრიში გახლავართ; ერთ ადგილას ერთ ღამეზე მეტი არასოდეს გამითენებია; ერთი და იმავე ჯამიდან ორჯერ არასოდეს მიჭამია; ყოველდღე სხვადასხვა სახეს ვხედავ. როცა მომშივდება, ორიოდე გროშს სიზმრების ახსნით ვშოულობ. ხან აღმოსავლეთისკენ ვიზამ პირს, ხან დასავლეთისკენ. ყველგან ღმერთს დავეძებ. ვეძიებ ცხოვრებას, რომელიც ცხოვრებად ღირს და ცოდნას, რომელიც ცოდნად ღირს; ფესვს არსად ვიკიდებ და ამავე დროს, ყველგან წამესვლება, საითაც გული გამიწევს.

რა ადგილები არ მოვიარე ამ ხეტიალში! ცნობილი სავაჭრო გზებიც დამილახავს და მივიწყებული ბილიკებითაც მივლია, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ სულიერსაც არ შევხვედრივარ; შავი ზღვის სანაპიროებიდან სპარსეთის ქალაქებამდეც მიმიღწევია და შუა აზიის ტრამალებიდან არაბეთის ქვიშნარამდეც; სულ ფეხით მაქვს მოვლილი ხშირი, უღრანი ტყეები, მოლით მოფენილი მდელოები თუ ხრიოკი უდაბნოები...

ღამეებს ფუნდუკებსა და ქარვასლებში ვათევ; საუკუნოვან ბიბლიოთეკებში მხცოვან ბრძენკაცებს ვებაასები; მაქთაბებში მასწავლებლებს ვუგდებ ყურს, მედრესეს მოწაფეებთან ტაფსირითა და ლოგიკური სჯაბაასით ვიქცევ თავს; ტაძრებსა და სალოცავებში დავდივარ; გამოქვაბულებში შეხიზნულ განდეგილებთან ერთად ფიქრებს ვეძლევი; დავრიშებთან ერთად ზექრს ვასრულებ, ბრძენკაცებთან ერთად ვშიმშილობ, მწვალებლებთან ერთად ვსადილობ, სავსემთვარეობას შამანებთან ერთად ვროკავ; ყველა სარწმუნოების, ასაკისა და ხელობის ადამიანს ვხვდები; უბედურებაც მინახავს და საოცრებების მოწმეც ვყოფილვარ; სიღატაკეში ჩაფლული სოფლებიც მახსოვს და ნაცარტუტად ქცეული ველ-მინდვრებიც; სისხლით წალეკილი, გაუკაცრიელებული, ნაოხარი ქალაქებიც შემხვედრია, სადაც ათი წლის ბალღების გარდა ცოცხალი აღარავინ დარჩენილა; კაცთა მოდგმის უკიდურესი სიავის მომსწრეც ვყოფილვარ და სიკეთისაც. აღარაფერი მაკვირვებს...

ამ გამოცდილების საფუძველზე ჩამოვაყალიბე კანონთა ერთგვარი კრებული. ამ კანონებს ვერც ერთ წიგნში ვერ ამოიკითხავთ, იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სულის ამოძახილია. ამ კრებულს „მოხეტიალე მაჰმადიანის მრწამსის გამომხატველი ძირითადი დებულებები“ ვუწოდე და ისინი ბუნების კანონებივით უქცეველ, საყოველთაო და

სარწმუნო კანონებად მიმაჩნია. ხსენებული დებულებები ქმნის სიყვარულის რელიგიის ორმოც წესს. მათი აღსრულება მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი.

აჰა, ისმინე ერთერთი მათგანი:

„ჭეშმარიტებისკენ გზის გაკვლევა გულის საქმეა და არა გონებისა. უპირველეს მეგზურად სწორედ გული უნდა გაიხადო. მედგრად დაუდექ შენს ნაფსს, შეერკინე და გულით აჯობე. როცა საკუთარ „მეს“ შეიცნობ, შეიცნობ ღმერთსაც!“

ამ წესების ჩამოყალიბებას ორმოცი წელი მოვანდომე. როცა ეს სამუშაო დასრულდა, ვიგრძენი, რომ ამ სოფლად ჩემი ყოფნის დროც მიიწურა. ამას ბოლოდროინდელი ხილვებიც მიდასტურებს. თავად სიკვდილი როდი მაფრთხობს (მე იგი დასასრულად არ მიმაჩნია), მემკვიდრეობის დატოვების გარეშე ამ ქვეყნიდან წასვლა მაშინებს მხოლოდ. სათქმელს გულში ვეღარ ვიტევ და მინდა, ეს ცოდნა სხვასაც გავუზიარო; ოღონდ ეს ადამიანი არც მასწავლებელი უნდა იყოს და არც მოწაფე. ტოლს ვეძებ, სულის სწორს...

– ღმერთო! – წავიჩურჩულე ბნელ, ნესტიან ოთახში მწოლიარემ. – ყარიბად ქცეულმა მთელი დუნია შემოვიარე. შენკენ სავალ ბილიკებს მოვდევდი. ყველა ადამიანის სულში ჩამიხედავს და თითოეული მათგანი მოარულ ყურანად მიცნია. თავს ვარიდებდი სპილოს ძვლის კოშკებში გამოკეტილ სწავლულებს; დევნილთან, გარიყულთან, მიუსაფარსა და არასმქონესთან მერჩივნა ურთიერთობა; ახლა კი სავსე ვარ ამ ყველაფრით და მსურს, შენი სიბრძნე იმას გადავულოცო, ვისაც ჯერ არს. მერე კი ისე მომეპყარი, როგორიც იქნება ნება შენი...“

ანაზდად ოთახი ისე უცნაურად აკიაფდა, რომ მძინარეთა სახეებს მკვდრულმა სილურჯემ გადაჰკრა. ჰაერიც კი შეიცვალა: თითქოს ვიღაცას ყველა ფანჯარა გაეღო და ქარს შორეული ბაღებიდან შროშანისა და იასამნის სურნელი მოეტანა.

– ბაღდადს წადი!.. – ჩამესმა ჩემი მფარველი ანგელოზის ღიღინა ხმა.

– ბაღდადში რა დამრჩენია? – ვკითხე მე.

– შენ ხომ სულიერი მეგზური ინატრე... ჰოდა, შეხვდები კიდეც. ბაღდადში ერთ ოსტატს გაიცნობ და ის უცდომლად მიგასწავლის, საით იარო...

თვალები მადლიერების ცრემლით ამევსო. ამიერიდან ვიცოდი, რომ ხილვაში ნანახი კაცი სხვა არავინ იყო, თუ არა ჩემი მომავალი მეგობარი. ადრე თუ გვიან შეხვედრა არ აგვცდებოდა და მაშინ ხომ მაინც შევიტყობდი, რატომ ჩასდგომოდა სათნო, თაფლისფერ თვალებში მარადიული სევდა, ან რამ მიმიყვანა გაზაფხულის იმ ღამეს ჩემი ფეხით იქ, სადაც სიკვდილი მიდარაჯებდა.

ელა

2008 წლის 19 მაისი, ნორთჰემპტონი

ბავშვების სკოლიდან დაბრუნების დრო იყო, ამიტომ ელამ გვერდი მონიშნა და წიგნი გვერდზე გადადო. რომანის ავტორმა ძალიან დააინტერესა და ინტერნეტში მის გვარ სახელს ა.ზ. ზაჰარას დაუწყო ძებნა. აინტერესებდა, რას ეტყოდა „გუგლი“, თუმცა ბევრს არაფერს ელოდა. და რაოდენ გასაკვირი იყო, როცა უცებ ავტორის პირადი ბლოგი

გამოჩნდა. ბლოგის ფერად ფონზე ამეთვისტოსფერი და ფირუზისფერი ჭარბობდა. ზემოთ თეთრკაბიანი მამაკაცის ფიგურა ტრიალებდა. ელას მოცეკვავე დავრიში ადრე არასოდეს ენახა, ამიტომ გამოსახულებას ყურადღებით დააკვირდა. ბლოგს ერქვა „კვერცხის ნაჭუჭი, სახელად ცხოვრება“. იქვე ამავე სათაურის ლექსიც ნახა:

„სულის ჯუფთებად გავიხადოთ ერთურთი, ძმანო,
ვეძმოთ ერთმანეთს და ერთმანეთს ფეხთით დავუსხდეთ.
ვირწმუნოთ ის, რომ სულიერად ერთმანეთს ვგავართ.
ტყუილად ვფიქრობთ, რომ ისა ვართ მხოლოდ, რაც ვჩანვართ“.

ბლოგის პირველი გვერდი სავსე იყო მთელი მსოფლიოს ქალაქების ხედებით. ყოველ ღია ბარათს ამა თუ იმ ადგილის შესახებ კომენტარები ახლდა. სწორედ ამ კომენტარების კითხვისას შეიტყო ელამ სამი რამ. პირველი (რამაც მისი ყურადღება თავიდანვე მიიქცია): ასო ა ზაჰარას სახელის აზიზის ინიციალი აღმოჩნდა. მეორე: ეს აზიზი თავს სუფიად მიიჩნევდა და მესამე: ამჟამად იგი სადღაც გვატემალაში იმყოფებოდა.

ბლოგის მორიგ განყოფილებაში თვითონ აზიზის გადაღებული ფოტოები ნახა. ფოტოებზე ყველა ეროვნებისა და რასის ადამიანები იყვნენ აღბეჭდილი. სრულიად სხვადასხვა ხალხი იყო, მაგრამ ერთი უცნაური რამ აერთიანებდათ: ყველა მათგანს რაღაც აკლდა. ზოგს სრულიად მარტივი და უმნიშვნელო რამ, მაგალითად, საყურე, ფეხსაცმელი ან ღილი. სხვებს კი უფრო არსებითი: მაგალითად: კბილი, თითი, ზოგს კი სულაც ფეხი. ფოტოების ქვემოთ ასეთი წარწერა იყო:

„არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ვართ ან სად ვცხოვრობთ, ყველა ჩვენგანს აწუხებს არასრულყოფილების განცდა. თითქოს რაღაც დავკარგეთ და მის დაბრუნებას ვლამობთ. მაინც რას ვისაკლისებთ? ამას ცოტა ვინმე თუ გაიგებს ალბათ, და ვინც გაიგებს, მათგან ერთეულებს თუ ეყოფათ ძალა, ძიების გზას დაადგნენ.“

ელამ მთელი საიტი დაათვალიერა. ყველა ფოტოს ადიდებდა და აზიზის ყველა კომენტარს კითხულობდა. გვერდის ბოლოს ელექტრონული მისამართი იყო: azizZzahara@gmail.com, რომელიც ელამ საგანგებოდ ამოიწერა.

ბლოგს რუმის ლექსი აგვირგვინებდა:

„მეგზურად სიყვარულს თუკი არ აირჩევთ,
ცხოვრება გექცევათ უმძიმეს ტვირთად...“

სწორედ ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ გაუნათა ელას გონება ერთმა აზრმა. წამით მოეჩვენა, რომ ყველაფერი, რაც აქ ნახა ფოტოები, კომენტარები, ციტატები თუ ლექსები აზიზ ზაჰარამ თავის ბლოგში მხოლოდ მის საყურადღებოდ, მის დასანახავად განათავსა. ცოტა არ იყოს, უცნაური და ქედმაღლური აზრი იყო, მაგრამ ჭკუაში კი ნამდვილად დაუჯდა.

იმავე დღეს, მოგვიანებით, ელა ფანჯარასთან იჯდა. დაღლილობა ერეოდა, გუნებაზეც ვერ იყო. ზურგზე მცხუნვარე მზე აჭერდა. სამზარეულოში მორიგი ნამცხვრის სუნი ტრიალებდა. მუხლებზე ხელნაწერი გადაეშალა, მაგრამ საკითხავს გულს ვერ უდებდა.

უცებ აზრად მოუვიდა: „მოდი, მეც შევქმნი წესების კრებულს და ასე დავარქმევ: „სახლში ჩამჯდარი, ქოთქოთა დიასახლისის ორმოცი წესი...“ და ბუტბუტით დაიწყო:

– წესი პირველი: „შეწყვიტე სიყვარულის ძებნა და აუხდენელი ოცნებების დევნა! ორმოცს მიღწეული გათხოვილი ქალისთვის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები არსებობს.“

ამ ხუმრობამ უცებ თავისი ერთერთი პრობლემა გაახსენა. ელა ანერვიულდა, თავი ვეღარ შეიკავა, უფროსი ქალიშვილის ნომერი აკრიფა და ავტომოპასუხეზე შეტყობინება დაუტოვა:

„ჩემო გოგო, ვიცი, რომ სკოტისთვის არ უნდა დამერეკა, მაგრამ გულში ცუდი არაფერი მქონია. მე, უბრალოდ, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ...“ – ელა შეჩერდა და მწარედ ინანა, რომ ტექსტის შინაარსი წინასწარ არ მოიფიქრა. ავტომოპასუხის ჩუმი შიშინი თითქოს ახსენებდა, ფირი ტრიალებს და დაუჩქარეო... – „ერთი სიტყვით, ჯენეტ, ვნანობ ჩემს საქციელს. ვიცი, რომ საწუწუნო არაფერი მაქვს და ბედნიერი უნდა ვიყო, მაგრამ ძალიანაც... უბედური ვარ“.

ტკაც. ავტომოპასუხე გაჩერდა. ელას გული შეუტოკდა, ეს რა ვთქვიო... თავი უბედურად არასოდეს ჩაუთვლია. ეს რა ხდება? ნუთუ შესაძლებელია, წლობით ასე გიჭირდეს და ამას ვერც კი ამჩნევდე? ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ამ უცაბედი აღიარების გამო დიდად არ შეწუხებულა. საერთოდ, ამ ბოლო დროს გრძნობები როგორღაც მოუდუნდა. უცებ მზერა აზიზ ზაჰარას ელექტრონული მისამართისაკენ გაექცა. ეს მარტივი, უპრეტენზიო მისამართი თითქოს იწვევდა და იტყუებდა. ელას ბევრი აღარ უფიქრია, კომპიუტერთან მივიდა და წერილის წერას შეუდგა:

„ძვირფასო (თუ შეიძლება ასე მოგმართოთ) მისტერ ზაჰარა!

ჩემი სახელია ელა. მე თქვენს რომანს ვკითხულობ. საქმე ის გახლავთ, რომ ლიტერატურული სააგენტოს თანამშრომელი ვარ და ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. წიგნის კითხვა ახლახან დავიწყე და უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. თუმცა, ეს ჩემი თვალსაზრისია და შესაძლოა, ჩემი ხელმძღვანელის თვალსაზრისს არ ემთხვეოდეს. ჩემი შთაბეჭდილება ნაკლებად იმოქმედებს ჩემი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე.

თუ სწორად გაგიგეთ, თქვენ გწამთ, რომ სიცოცხლის აზრი სიყვარულია და სხვას არაფერს აქვს მნიშვნელობა. უმიზნო კამათს ნამდვილად არ ვაპირებ; საკმარისია, ვთქვა, რომ მთლად ვერ დაგეთანხმებით, მაგრამ ახლა ამიტომ არ გწერთ. ეს ნაბიჯი სხვა რამემ გადამადგმევინა: საქმე ის გახლავთ, რომ თქვენი წიგნი, რაღაც უჩვეულო დამთხვევის ძალით, საოცრად დროულად ჩამივარდა ხელში. ამჟამად ვცდილობ, უფროს ქალიშვილს გავაგებინო, რომ ნაადრევად არ გათხოვდეს. გუშინ მის შეყვარებულს ტელეფონით ვთხოვე, ქორწინება გადაედო, ქალიშვილმა კი მომიძულა და ხმას არ მცემს. ასე მგონია, თქვენ გაუგებდით ერთმანეთს, რადგან სიყვარულზე თითქმის ერთნაირი აზრი გაქვთ. ვწუხვარ, რომ ჩემი პრობლემები მოგახვიეთ თავზე. ნამდვილად არ მქონდა ასეთი განზრახვა. თქვენს პერსონალურ ბლოგში (სწორედ იქ ვიპოვე თქვენი ელექტრონული მისამართი) ნათქვამია, რომ ახლა გვატემალაში ბრძანდებით. მოგზაურობა მართლაც

ბედნიერებაა. თუ ბოსტონში გამოივლით, იქნებ შევხვედროდით ერთმანეთს და ყავა დაგველია ერთად.

საუკეთესო სურვილებით, ელა.“

ამას, ალბათ, წერილიც არ ეთქმოდა; უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ელა იწვევდა ამ კაცს, საშველად უხმობდა, თუმცა ახლა, მყუდრო სამზარეულოში რომ იჯდა და სწერდა უცნობ მწერალს, რომელთან შეხვედრის შესაძლებლობას ვერც კი წარმოიდგენდა, ამას ვერ აცნობიერებდა.

ოსტატი

1242 წლის აპრილი, ბაღდადი

ბაღდადს შამს თებრიზის ჩამოსვლა შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ მე არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა იგი ჩვენს მოკრძალებულ სავანეს ეწვია. იმ დღეს საპატიო სტუმრები გვყავდა. თავისი მეგობრების თანხლებით უზენაესმა მოსამართლემ მოგვაკითხა. ვეჭვობდი, რომ ეს სტუმრობა მხოლოდ გულისხმიერებით არ იყო ნაკარნახევი. ყველამ იცოდა, რომ მოსამართლე სუფიებს არ წყალობდა და იმ დღესაც უფრო იმიტომ გვეწვია, რომ გავეფრთხილებინეთ: თვალი ფხიზლად მიჭირავს თქვენზეც და ყველა აქაურ სუფიზეცო.

ამპარტავანი, ფართოსახიანი, ღიპიანი კაცი იყო. კოტიტა თითებზე ძვირფასი ბეჭდები ჰქონდა ასხმული. საჭმლისაგან თავის შეკავება ჰაერივით სჭირდებოდა, მაგრამ ამის თქმას ვერავინ უბედავდა, თვით პირადი ექიმიც კი.

სჯულისკაცობა გვარში მოსდგამდა და ჩვენს მხარეში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი იყოერთი ბრაძანებით შეეძლო, სრულიად უბრალო ადამიანი სახრჩობელაზე აეყვანა, მაგრამ ასევე ადვილად შეეძლო, ბნელი დილეგიდან დამნაშავე გამოეყვანა და შეეწყნარებინა. ყოველთვის ბეწვის ქათიბები და მდიდრული სამოსი ეცვა. თავი ბატონკაცურად და თავდაჯერებულად ეჭირა.

თავის თავზე შეყვარებული ხალხი არაფრად მეპიტნავებოდა, მაგრამ ჩვენი სავანის საკეთილდღეოდ ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ამ გავლენიან ადამიანთან ურთიერთობა არ გამეფუჭებინა.

– ამქვეყნად ყველაზე დიდებულ და გასაოცარ ქალაქში ვცხოვრობთ! – ბრძანა მოსამართლემ და ლეღვი გადასანსლა. აივსო ბაღდადი მონღოლთა ურდოებისაგან დევნილი ადამიანებით. ჩვენმა ქალაქმა შეიკედლა ისინი. მსოფლიოს გულია ბაღდადი, ასე არ არის, ბაბა ზამან?

– თქმა არ უნდა, ეს ქალაქი ნამდვილი მარგალიტია, – დავეთანხმე ფრთხილად, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქალაქი ცოცხალ არსებას ჰგავს, მან ჯერ ბავშვობა უნდა გამოიაროს, შემდეგ მოწიფულობა, შემდეგ სიბერე, ბოლოს კი სიკვდილი არ ასცდება! ამ წუთში ბაღდადი სიყმაწვილის ასაკშია. მართალია, ისეთი მდიდრები აღარ ვართ, როგორიც ხალიფა ჰარუნ არ რაშიდის დროს ვიყავით, მაგრამ ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის, ხელოვნებისა და პოეზიის უმსხვილესი კერა ვართ. თუმცა,

არავინ იცის, როგორი იქნება ეს ქალაქი საუკუნეების შემდეგ. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს.

– გულგატეხილობა და უიმედობა არ გვეკადრება! – თქვა მოსამართლემ, თავი უკმაყოფილოდ გააქნია და ჯამიდან ფინიკი ამოიღო, – აბასიდები ტახტს არავის დაუთმობენ და ჩვენ შემდგომ აყვავებას წინ აღარაფერი დაუდგება. რა თქმა უნდა, თუ ჩვენს რიგებში მყოფმა ზოგიერთმა მოღალატემ არ აგვირია. ეს ის ხალხია, ვინც თავის თავს მაჰმადიანს უწოდებს, მაგრამ ისლამის მათებური გაგება ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე ურწმუნოთა მუქარა!

დუმილი ვარჩიე. ყველამ იცოდა, რომ მოსამართლე წესრიგის დამრღვევებად მიიჩნევდა იმ მისტიკოსებს, რომლებსაც ისლამის თავისებური ხედვა აქვთ და მის იდუმალ არსს იკვლევენ. იგი ბრალს გვდებდა შარიათის უგულებელყოფაში, რაც მისი აზრით, ისეთი დარბაისელი კაცების უპატივცემულობას ნიშნავდა, როგორიც თვითონ იყო. ზოგჯერ ვატყობდი: ერთი სული ჰქონდა, ყველა სუფი კინწისკვრით გაეგდო ბაღდადიდან.

– მართალია, თქვენი საძმო უწყინარია, მაგრამ არ გეჩვენებათ, რომ ზოგიერთი სუფი ძალიან გათავხედდა? – იკითხა მოსამართლემ და წვერზე ხელი მოისვა.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ბედად, სწორედ იმწუთას ვიღაცამ კარზე მოგვიკაკუნა. ჩვენი წითური მორჩილი იყო. სწრაფად მომეჭრა და ყურში ჩამჩურჩულა, სტუმრად მოხეტიალე დავრიში გვეწვია, მხოლოდ შენთან შეხვედრას ითხოვს, სხვებთან საუბარზე უარს ამბობსო.

სხვა დროს, ალბათ, მორჩილს დავავალებდი, ახალმოსული რომელიმე მყუდრო ოთახში შეეყვანა, თბილი სადილი მიერთმია და სტუმრების წასვლამდე იქ მოესვენებინა, მაგრამ ახლა, როცა მოსამართლე გასაქანს არ მაძლევდა, ვიფიქრე, მოდი, შემოვიპატიჟებ, მოგზაური კაცია, ათასნაირი ამბით შეგვიქცევს და დაძაბულობას გაანელებს-მეთქი.

ასეც მოვიქეცი.

რამდენიმე წუთში კარი გაიღო და ოთახში თავით ფეხებამდე შავებში გამოწყობილმა სტუმარმა შემოაბიჯა. გაურკვეველი ასაკის, მაღალი, ხმელხმელი, გალეული კაცი იყო, წვეტიანი ცხვირი და ბუდეში ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ჰქონდა. მუქი თმა სქელ კულულებად ჩამოჰყროდა შუბლსა და თვალებზე. ჩაჩიანი მოსასხამი, მატყლის ნაბადი და ცხვრის ტყავისაგან შეკერილი წუღები ეცვა; ყელზე ათასნაირი ავგაროზი და თილისმა ეკიდა; ხელში ხის ჯამი ეჭირა, როგორსაც დავრიშები იმისთვის დაატარებენ, რომ მოწყალების თხოვნით თავი დაიმდაბლონ და თავიანთი პატივმოყვარეობა ამით დათრგუნონ.

უცებ შევატყვე, ეს კაცი საზოგადოების აზრს ანგარიშს არ უწევდა და ყველაზე ნაკლებად ის ადარდებდა, რომ ხალხს შეიძლებოდა, გლახაკში შეშლოდა. იდგა და ელოდა, როდის მიეცემოდა საშუალება, ჩვენთვის თავი გაეცნო. თვალი შევავლე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ სულ სხვა კაცთან გვქონდა საქმე. მისი თვალები, მიხრა-მოხრა, სხეული, მთელი მისი არსება ამაზე მეტყველებდა. იგი მაგონებდა პატარა და ერთი

შეხედვით უმწეო რკოს, რომელშიც უკვე ჩასახულია მომავალი გოროზი მუხა. ჩუმად მომჩერებოდა თავისი გამჭოლი, შავი თვალებით და თავს მიქნევდა.

– კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს სავანეში, დავრიშო, – ვუთხარი და იქვე, მუთაქებზე მივუთითე.

მოსალმება რომ დაამთავრა, ჩამოჯდა და ოთახს ყურადღებით მოავლო თვალი. ერთი წვრილმანიც არ გამორჩენია. ბოლოს მზერა მოსამართლეზე შეაჩერა. ერთხანს უსიტყვოდ, ჯიქურ შესცქეროდნენ ერთმანეთს. უნებურად ცნობისმოყვარეობით აღვივსე, ნეტავ, რას ფიქრობდა ერთმანეთზე ეს ორი უკიდურესად განსხვავებული კაცი.

დავრიშს თხის თბილი რძე, ლეღვის ჩირი და ფინიკი შევთავაზეთ, მაგრამ ყველაფერზე თავაზიანი უარი გვითხრა. როცა ვინაობა ვკითხეთ, შამს თებრიზად გაგვეცნო. მოხეტიალე დავრიში გახლავართ, ყველგან ღმერთს დავეძებო, დასძინა.

– თუ გიპოვია ოდესმე? – ვკითხე მე.

წამით სახე მოეღრუბლა და თავი გააქნია.

– ის ყოველთვის ჩემთან არის...

მოსამართლე არც კი ცდილა იქედნური ღიმილის შეკავებას.

– ვერ გამიგია, ეს დავრიშები ასე რატომ ართულებთ ყველაფერს. თუკი ღმერთი შენთან არის, მის ძებნაში ფეხებს რატომღა იღლი?

შამსმა თავი ფიქრიანად ჩახარა და წუთით დადუმდა. როცა კვლავ ამოიხედა და საუბარი დაიწყო, სახე მშვიდი ჰქონდა, კილო კი დინჯი და აუღელვებელი:

– იმიტომ, რომ ცხადზე ცხადია: მაძიებელი ყოველთვის ვერ პოვებს, მაგრამ მხოლოდ ის პოვებს, ვინც ეძიებს...

– სიტყვებით თამაშობ, დავრიშო, – ჩაიქირქილა მოსამართლემ, – იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ღმერთს ვერასოდეს მივაგნებთ, თუ მთელი ცხოვრება ერთ ადგილს არ მოვშორდებით? ეს ხომ სისულელეა! რატომ გგონია, რომ მაინცდამაინც ყველამ შენსავით ჯვალო უნდა გადაიცვას და ღობეყორეს მოედოს?!

ამ სიტყვებს სიცილი მოჰყვა. ოთახში თავმოყრილნი ცდილობდნენ, მოსამართლისათვის კვერი დაეკრათ. ეს იყო ნაძალადევი, გაუბედავი, უსიხარულო სიცილი იმ ადამიანებისა, ვინც ამა ქვეყნის ძლიერთა ლიქნას არიან შეჩვეული. თავი უხერხულად ვიგრძენი. ტყუილად მეგონა, რომ მოსამართლესა და დავრიშს საერთო ენას ვაპოვნინებდი.

– როგორც ჩანს, არასწორად გამიგე. იმის თქმა სულაც არ მსურდა, რომ ადამიანი ღმერთს ვერ იპოვის, თუ თავისი მშობლიური ქალაქიდან ფეხს არ გადგამს, – თქვა დავრიშმა, – ყველაფერი შესაძლებელია. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არასოდეს უმოგზაურიათ, მაგრამ სამყარო, დიახაც, უნახავთ.

– მართლა?! – დამცინავად გაიკრიჭა მოსამართლე, მაგრამ ღიმილი მყისვე სახეზე შეეყინა, როცა დავრიშის შემდეგი სიტყვები გაიგონა:

– მე იმის თქმა მსურდა, მოსამართლევ, რომ ადამიანი ღმერთს ვერ იპოვის, თუ ბეწვის ქათიბი, აბრეშუმის კაბა და დიდებული სამკაულები არ მოიშორა.

ყველანი გავისუსეთ. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა, სუნთქვაც კი შეგვეკრა, თითქოს კიდევ ველოდით რაღაცას, თუმცა, ამაზე უფრო თავზარდამცემი რა უნდა ყოფილიყო, ვერც კი წარმომედგინა.

– დავრიშისათვის მეტისმეტად ბასრი ენა გაქვს, – უთხრა მოსამართლემ.

– სათქმელს ყოველთვის ვიტყვი, თუნდ მთელმა ქვეყანამ ყელში ხელი წამიჭიროს და გაჩუმება მიბრძანოს, – იყო პასუხი.

მოსამართლემ ეს სიტყვები წარბშეკრულმა მოისმინა, მაგრამ შემდეგ მხრები დაუდევრად აიჩეჩა და თქვა:

– სწორედ ახლა ვსაუბრობდით ჩვენი ქალაქის დიდებულებაზე და შენი აზრის მოსმენაც არ გვაწყენდა. ალბათ, მოგზაურობისას ბევრი რამ გინახავს. გეგულება სადმე ბაღდადზე მომხიბვლელი ადგილი?

შამსმა რიგრიგობით ყველას მოგვავლო ფრთხილი მზერა და თქვა:

– ბაღდადი რომ საუცხოო ქალაქია, თქმა არ უნდა. მაგრამ მარადიული სილამაზე არ არსებობს. ქალაქის საყრდენი სულიერებაა. ქალაქები ვეებერთელა სარკეებივით ირეკლავენ თავიანთი მცხოვრებლების გულებს. თუ ეს გულები ბნელმა მოიცვა და რწმენა გაუქრა, ქალაქები კარგავენ თავიანთ დიდებულებას. ეს ასეა და მუდამ ასე იქნება.

თანხმობის ნიშნად უნებურად თავი დავუქნიე. შამს თებრიზმა წამით თავი წაართვა ფიქრებს, მომიბრუნდა და მზერა შემომანათა. თაკარა მზის სხივებივით გამათბო ამ მზერამ. სწორედ მაშინ ვიგრძენი ცხადლივ, თუ როგორ ამართლებდა იგი თავის სახელს. ეს კაცი ცხოველმყოფელ ძალას ასხივებდა და შინაგანად ისევე იწვოდა, როგორც ცეცხლოვანი მნათობი. იგი მართლაც რომ შამსი იყო, მზე.

მაგრამ მოსამართლე სხვა აზრისა ჩანდა.

– თქვენ, სუფიები, ყველაფერს ართულებთ. ეს ფილოსოფოსებს და პოეტებსაც ეხება! რა საჭიროა ასეთი უხვსიტყვაობა? ადამიანი მარტივი არსებაა და მარტივი მოთხოვნილებები აქვს. წინამძღოლები უნდა მიუხვდნენ, რა სჭირდებათ და იზრუნონ იმაზე, რომ ადამიანები სწორ გზას არ ასცდნენ. ამისთვის კი შარიათის კანონები რაც შეიძლება მკაცრად უნდა დავიცვათ.

– შარიათი სანთელსა ჰგავს, – შეეპასუხა შამს თებრიზი, – მართალია, სანთელი ბნელში გზას გვინათებს, მაგრამ თუკი დაგვავიწყდა, საით მივდივართ, სანთელი რაღას გვიშველის?

მოსამართლემ უკმაყოფილოდ შეყარა წარბები. მეც ავწრიალდი. ცეცხლთან თამაში იყო ამგვარი დავის წამოწყება კაცთან, რომელიც შარიათის კანონებით ასამართლებდა ადამიანებს და ხშირად სჯიდა კიდეც. განა ეს შამსმა არ იცოდა?

მინდოდა, დავრიში ოთახიდან გამომეყვანა და საბაბს ვეძებდი. სწორედ ამ დროს გავიგონე მისი სიტყვები:

– არსებობს წესი, რომელიც სწორედ მსგავს ვითარებას შეესაბამება.

– რა წესი? – ჰკითხა დაეჭვებულმა მოსამართლემ.

შამს თებრიზი წამოიმართა, თვალი სივრცეს გაუშტერა, თითქოს უჩინარი წიგნის სტრიქონებს კითხულობსო და წარმოთქვა:

– წმინდა ყურანის მკითხველი წაკითხულს სხვადასხვა დონეზე აღიქვამს: პირველი შრე მკითხველს მხოლოდ ყურანის ზედაპირულ მნიშვნელობას აცნობს. ეს არის ის, რითაც ადამიანთა უმრავლესობა კმაყოფილდება. მეორე არის ბატინი, ანუ შიდა შრე. მესამე გახლავთ შიდას შიდა შრე. მეოთხე შრე კი ისე ღრმაა, რომ მისი აღწერა შეუძლებელია.

შამსი თვალებანთებული განაგრძობდა:

– ღვთისმეტყველებმა, რომლებიც შარიათის კანონებით ხელმძღვანელობენ, ყურანის ზედაპირული მნიშვნელობა იციან მხოლოდ, სუფიებმა შიდა მნიშვნელობა, წმინდანებმა შიდას შიდა, ხოლო რაც შეეხება მეოთხე შრეს, ამ ცოდნას მხოლოდ წინასწარმეტყველები და ღმერთის რჩეულები ფლობენ.

– იმის თქმა გინდა, რომ ჩვეულებრივ სუფის მეტი გაეგება ყურანისა, ვიდრე შარიათის მცოდნე ღვთისმეტყველს? – ჰკითხა მოსამართლემ და ფიალას თითები მიუკაკუნა.

დავრიშს ჩუმად ჩაეცინა, მაგრამ პასუხი არ გასცა.

– ფრთხილად, მეგობარო! – უთხრა მოსამართლემ. – შენს აზრებსა და წმინდა წყლის მკრეხელობას შორის ზღვარი თითქმის წაშლილია.

მის სიტყვებში მუქარაც იგრძნობოდა, მაგრამ დავრიშმა წაუყრუა და კითხვა შეაგება:

– მაინც რას გულისხმობ წმინდა წყლის მკრეხელობაში?

შემდეგ ჰაერი მძლავრად შეისუნთქა და დასძინა:

– ნება მიბოძე, ერთი იგავი გიამბო.

და აი, რა გვიამბო მან:

„ერთ დღეს მოსე მთებში დახეტიალებდა. შორიდან მწყემსს მოჰკრა თვალი. მწყემსი მუხლებზე დამხობილიყო, ხელები ცისკენ აღეპყრო და ლოცულობდა. მოსეს გულზე მოეფონა, მაგრამ როცა მიუახლოვდა, მლოცველის სიტყვებმა შეზარა:

„ო, ჩემო საყვარელო ღმერთო, არც კი იცი, როგორ მიყვარხარ. ოღონდ ერთი სიტყვა მითხარი და რას არ გავაკეთებ შენთვის! მზად ვარ, შენს სახელზე მსუქან ცხვარს ახლავე გამოვჭრა ყელი და შეგიბრაწო. მისი დუმა ფლავს გაგიგემრიელებს და პირს ჩაგიტკბარუნებს...“

მოსე მწყემსს მიუახლოვდა და ყური მიუგდო:

„ფეხებსაც სიამოვნებით დაგბანდი, ღმერთო, ყურებს გაგიწმენდდი და მკბენარს ამოგიხილავდი. აი, როგორ მიყვარხარ!“

მოსეს მეტის მოსმენა აღარ შეეძლო, მწყემსს თავზე დაადგა და ლოცვა გააწყვეტინა:

– შეჩერდი, უმეცარო! რას სჩადიხარ?! შენ რა, გგონია, ღმერთი ბრინჯს ჭამს ან დასაბანად ფეხებს მოგიშვერს? ეს ხომ ლოცვა არ არის! ეს წმინდა წყლის მკრეხელობაა!

შეჩქვიფებულმა და დარცხვენილმა მწყემსმა ბოდიში მოუხადა მოსეს და შეჰპირდა, ამიერიდან წესიერად ვილოცებო. მოსემ რამდენიმე ლოცვა ასწავლა და კმაყოფილი გაუდგა გზას, მაგრამ იმ ღამით ხმა ჩაესმა.

უფლის ხმა იყო:

„ეს რა ქენი, მოსე? საბრალო მწყემსი დატუქსე, იმას კი ვერ მიხვდი, რა ძვირფასია იგი ჩემთვის. შეიძლება სათქმელს რიგიანად ვერ გამოთქვამდა, მაგრამ ის ხომ გულწრფელი იყო! მისი გული სუფთაა და ზრახვები კეთილი. მე მან მასიამოვნა. მისი სიტყვები,

შესაძლოა, შენ მოგეჩვენა წმინდა წყლის მკრეხელობად, მაგრამ ჩემთვის ეს საამო მკრეხელობა იყო!“

მოსე მიხვდა თავის შეცდომას. დილაადრიან აუყვა მთებს და მწყემსი მოინახულა. მწყემსი კვლავ ღმერთს მიმართავდა. ამჟამად სწორედ ისე ლოცულობდა, როგორც ასწავლეს, მაგრამ მის ლოცვას უწინდებური გზნება აკლდა, რადგან საბრალო მხოლოდ იმაზე იყო გამეცადინებული, როგორმე სწორად ელოცა და ამის გამო ვაგლახად ბორძიკობდა.

ინანა მოსემ თავისი საქციელი. მწყემსს მხარზე ხელი შეახო და უთხრა:

– შევცდი, მეგობარო. მაპატიე. ილოცე ისე, როგორც შენს გულს გაუხარდება. ღვთისთვის ეგ უფრო ძვირფასია.

მწყემსი სახტად დარჩა, მაგრამ თან გულზე მოეშვა. თუმცა, აღარც უწინდებურად ისურვა ლოცვა და აღარც მოსესთვის მიუბაძავს. ღმერთთან ურთიერთობის სრულიად ახალი გზა გამოძებნა. მიუხედავად იმისა, რომ ღვთისადმი თავისი გულუბრყვილო ერთგულებით კმაყოფილი იყო, მან გადალახა ეს ეტაპი საამო მკრეხელობა.

– ასე რომ, ნუ განსჯი ადამიანებს იმისთვის, თუ ვინ როგორ ამყარებს კავშირს უფალთან. – დაასკვნა შამსმა, – ყველა თავისებურად ლოცულობს. ღმერთი ჩვენს სიტყვებს კი არ უკირკიტებს, ის ჩვენი გულის სიღრმეში იხედება. მთავარი რიტუალი კი არ არის, არამედ ის, სუფთაა თუ არა ჩვენი გული.

მოსამართლის სახეს დავაკვირდი. კარგად ვხედავდი, თავდაჯერებულობისა და სიმშვიდის ნიღაბქვეშ როგორ შფოთავდა, მაგრამ ეშმაკობა ეყო, რომ მიმხვდარიყო – თავი შარში ჰქონდა გაყოფილი. შამსის სიტყვებს რომ აჰყოლოდა, თავხედობისათვის უნდა დაესაჯა, ეს კი მდგომარეობას უფრო დაძაბავდა და ქვეყანა გაიგებდა, რომ უბირმა დავრიშმა უზენაეს მოსამართლეს ენის შებრუნება გაუბედა. ამიტომ წაყრუება არჩია და წარბიც არ შეიხარა, ვითომ არაფერი სწყენოდა.

ამასობაში ლეგა ღრუბლების ფთილებით გადაპენტილი ცა ჩამავალი მზის სხივებით შეიფაკლა. მოსამართლე წამოდგა, მნიშვნელოვანი საქმეები მოიმიზეზა, შამს თებრიზს ცივი მზერა ესროლა, მე მსუბუქად დამიკრა თავი და გაგვეცალა.

ამალა უსიტყვოდ დაედევნა.

– ვშიშობ, მაინცდამაინც თვალში არ მოუხვედი ჩვენს მოსამართლეს, ვუთხარი დავრიშს, როცა ყველა წავიდა.

შამსმა სახეზე ჩამოშლილი თმა გადაიწია და გაიღიმა:

– არაფერია, მაგას შეჩვეული ვარ.

აღტაცება ვერ დავმალე. ამ სავანეს წლობით ვუძღვებოდი, ვინ აღარ მინახავს, მაგრამ ვგრძნობდი, ამჯერად იშვიათი სტუმარი უნდა მწვეოდა.

– ერთი ეს მითხარ, დავრიშო, ბაღდადს რამ მოგიყვანა? – ვკითხე ბოლოს.

ინტერესით, მაგრამ რატომღაც შიშითაც ველოდი მის პასუხს.

ელა

2008 წლის 20 მაისი, ნორთჰემპტონი

ბზრიალა დავრიშები, მუცლით მროკველი ქალები, გზისპირა ფუნდუკში მოქეიფე, ტკბილეულით სავსე სუფრასთან მიმსხდარი ტლანქი ჯარისკაცები... ვინ აღარ ესიზმრა ელას იმ ღამეს, როცა დევიდი შინ არ დაბრუნდა. ეგ არაფერი. თავისი თავიც ნახა სიზმარში: ვითომ რომელიღაც უცხო ციხე-ქალაქის ხალხმრავალ ბაზარში გამალებული დაეძებდა ვიღაცას. მის ირგვლივ ხალხი ისე რიტმულად და ნელა ირწეოდა, თითქოს რაღაც ჩუმ ჰანგზე ცეკვავენო. მერე ერთი ულვაშებდაგრეხილი, მსუქანი კაცი გააჩერა და დაუსვა შეკითხვა, რომლის შინაარსს ცხადში ვეღარ იხსენებდა. კაცი უაზროდ მიაშტერდა და კოჭლობით გაეცალა.

გამყიდველებთან და მათ მუშტრებთანაც სცადა გამოლაპარაკება, მაგრამ ხმა არავინ გასცა. თავიდან ეგონა, ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ მათი ენა არ იცოდა. მაგრამ ხელი პირზე მიიდო და ჰოი, საშინელებავ! რას ხედავს ენა აქვს მოჭრილი! თავზარდაცემულმა მიმოიხედა და თავისი გამოსახულების დასანახავად სარკეს დაუწყო ძებნა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ისევ ის ელაა, მაგრამ მთელ ბაზარში სარკეს ვერსად მიაგნო. ტირილი წასკდა და ამასობაში გამოეღვიძა კიდეც. ენის დაკარგვით გამოწვეული შიში სიზმრიდან გამოჰყოლდა და კიდევ ვერ გარკვეულიყო, ენა ჰქონდა თუ არა.

თვალები რომ გაახილა, ძაღლის ბრჭყალების ფხაკუნის ხმა გაიგონა. სპირიტი გააფთრებული ფხაჭნიდა უკანა კარს. ალბათ, აივანზე რაღაც ცხოველი ამოვიდა და იმან შეაშინაო, გაიფიქრა ელამ.

სპირიტს განსაკუთრებით სკუნსების დანახვა აცოფებდა. წინა ზამთარს ერთ სკუნსთან შეტაკება რომ მოუხდა, ჯერაც ახსოვდა. ელა რამდენიმე კვირა ხეხავდა აქოთებულ ძაღლს. პომიდვრის წვენის აბაზანაშიც კი ჩააწვინა, მაგრამ მაინც ვერ მოაშორა სუნი, რომელიც დამწვარი რეზინისას ჩამოჰგავდა.

კედლის საათს შეხედა. დილის სამს თხუთმეტი წუთი აკლდა. დევიდი ჯერაც არ ჩანდა და შესაძლოა, აღარც გამოჩენილიყო. არც ჯენეტს დაურეკავს და ელას იმედიც აღარ ჰქონდა, რომ ოდესმე დაურეკავდა. იქნებ მიტოვებასაც კი უპირებდნენ ქმარი და ქალიშვილი? ამ აზრმა მოსვენება დაუკარგა. მაცივარი გამოაღო და კარგა ხანს იყურებოდა შიგ. ალუბლისა და ვანილის ნაყინით პირის ჩატკბარუნების სურვილი გააფთრებით ებრძოდა წონაში მომატების შიშს. გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაკეტა მაცივრის კარი, ოღონდ ჩვეულებრივზე უფრო მაგრად მიაჯახუნა და იქაურობას საჩქაროდ მოშორდა. შემდეგ წითელი ღვინის ბოთლი გახსნა და ერთი ჭიქა დაისხა. მსუბუქი, სასიამოვნო ღვინო იყო, პირდაპირ ძარღვებში მიდიოდა. ოდნავ ტკბილმწარე გემო დაჰკრავდა, რაც ელას ძალიან უყვარდა.

მეორე ჭიქას რომ ივსებდა, მაშინღა მიხვდა, რომ დევიდის ძვირად ღირებული „ბორდო“ გაეხსნა. იარლიყს დახედა: ჩჰატეაუ მარგაუხ 1996. მისთვის ეს წარწერა სრულიად არაფრისმთქმელი იყო, ამიტომ ბოთლს შეუბღვირა და გვერდზე გადადო. ძილი და დაღლილობა ისე მოერია, რომ კითხვის გაგრძელების თავი აღარ ჰქონდა, ამიტომ გადაწყვიტა, ელფოსტა შეემოწმებინა.

„ყუთი“ ნაგვით იყო სავსე. ამ ნაყარნუყარში მიშელის წერილიც ერია (ხელნაწერის საქმე როგორ მიდისო, ეკითხებოდა) და აზიზისაც:

„ძვირფასო ელა (თუ ნებას მომცემთ, ასე მოგმართოთ)!

თქვენი გზავნილი გვატემალის ერთერთ სოფელ მომოსტენანგოში ყოფნისას მივიღე. ეს იმ იშვიათ ადგილთაგანია, სადაც ჯერ კიდევ მაიას კალენდრით სარგებლობენ. ჩემი სასტუმროს წინ ათასობით ფერადფერადი ჭინჭით მორთული ნატვრის ხე დგას. აქაურები მას „გულგატეხილთა ხეს“ ეძახიან. ეს გულგატეხილი ადამიანები ქაღალდის ნაგლეჯებზე თავიანთ სახელებს წერენ, ჭინჭებში ახვევენ და გულის გამრთელების იმედით ტოტებზე კიდებენ.

იქნებ ჩემი მხრიდან ასეთი რამ ზედმეტ კადნიერებად მოგეჩვენოთ, მაგრამ წავიკითხე თუ არა თქვენი წერილი, ნატვრის ხესთან მეც მივედი და ვილოცე იმისთვის, რომ თქვენ და თქვენმა შვილმა ეს გაუგებრობა როგორმე მოაგვაროთ. სიყვარულის ერთი მარცვალიც კი არ იკარგება ტყუილუბრალოდ, რადგან როგორც რუმი ამბობს, სიყვარული სიცოცხლის წყალია. პირადად მე ოდესღაც ძალიან დამეხმარა ის, რომ ჩემს ირგვლივ მყოფთა საქმეებში ჩარევა შევწყვიტე. აღარ ვწუხდი და აღარ ვშფოთავდი იმის გამო, რომ ამ ხალხის გადასხვაფერება არ შემეძლო. ამიტომ ზედმეტ ჩარევას, ან პირიქით, სრულ უმოქმედობას იქნებ მინებება გერჩიოთ? ზოგიერთი ადამიანი ამ სიტყვას სისუსტესთან აიგივებს. მაგრამ მინებება ყველაფერია, სისუსტის გარდა. ეს არის სამყაროს წესების, კანონებისა და პირობების მშვიდად მიღება, მათ შორის ისეთი რამეებისაც, რისი შეცვლა ან გაგება ჩვენს ძალებს აღემატება.

მაიას კალენდრის მიხედვით დღეს კარგი დღეა. დიდი ასტროლოგიური ძვრები გვიახლოვდება, რაც ახალი ცნობიერების ჩამოყალიბების მაუწყებელია. ვჩქარობ, ხმა მოგაწვდინოთ, რადგან მზე ჩადის და ეს დღეც ილევა. დაე, სიყვარულმა იქ და იმ დროს მოგისწროთ, როცა ყველაზე ნაკლებად ელით მას.

გულწრფელად თქვენი აზიზი.“

გულაჩუყებულმა ელამ ლეპტოპი დახურა. სადღაც, ქვეყნის დასალიერში მყოფმა სრულიად უცხო ადამიანმა მისი კეთილდღეობისათვის ილოცა!.. ელამ თვალები დახუჭა და წარმოიდგინა ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი, ჭრელ ნაჭერში გახვეული, ნატვრის ხის ტოტზე ჩამოკიდებული, ჰაერში ფრანივით ლაღად მოფარფატე თავისი სახელი. რამდენიმე წუთში სამზარეულოს კარი გააღო, უკანა ეზოში გავიდა და სახე სასიამოვნო, გრილ ნიავს მიუშვირა.

გვერდით სპირიტი ედგა. ძაღლს მოუსვენრობა ეტყობოდა, იღრინებოდა და ჰაერს გამალებით ყნოსავდა. თვალებს ხან ჭუტავდა, ხან ფართოდ ახელდა. ყურები ისე ჰქონდა დაცქვეტილი, თითქოს რაღაც იგუმანაო.

გვიანი გაზაფხულის იმ ღამეს კარგა ხანს იდგნენ გვერდიგვერდ ძაღლი და მისი პატრონი, ერთნაირი გაუცნობიერებელი შიშით მისჩერებოდნენ ბნელში აჩქამებულ რაღაცას და ერთნაირი შიშით ძრწოდნენ ამოუხსნელის წინაშე.

მორჩილი

1242 წლის აპრილი, ბაღდადი

ბატონი მოსამართლე დიდის ამბით მივაცილე კარამდე და დასვრილი ჭურჭლის ასალაგებლად სუფრას მივუბრუნდი. ჩემდა გასაოცრად, ბაბა ზამანი და მოხეტიალე დავრიში ისევ იმ მდგომარეობაში დამხვდნენ, როგორშიც დავტოვე. არც ერთი მათგანი ხმას არ იღებდა. თვალი გავაპარე მათკენ და გავიფიქრე, ნუთუ შესაძლებელია ხმის ამოუღებლად საუბარი-მეთქი. შეძლებისდაგვარად ფეხს ვითრევდი, ხან ბალიშებს ვასწორებდი, ხან ნოხიდან ნამცეცებს ვიღებდი, მაგრამ მოსამიზეზებელი რომ აღარაფერი დამრჩა, უხალისოდ გავედი სამზარეულოში.

მზარეულმა დამინახა თუ არა, იმ წუთში მომაყარა ბრძანებები:

– დახლი გაწმინდე! იატაკი დაგავე! ჭურჭელი გარეცხე! ღუმელი გამოწმინდე! კედლები ჩამოხეხე! სათაგურების შემოწმება არ დაგავიწყდეს!..

ექვსი თვის მისულიც არ ვიყავი ამ სავანეში და ეს კაცი ყურით დამათრევდა, ყოველდღე სახედარივით მამუშავებდა და ამ წამებას სულიერ წვრთნას უწოდებდა, თითქოს ქონიანი ჯამჭურჭლის ხეხვას სულიერებისა რაიმე ეცხო. საერთოდ სიტყვაძუნწს, ერთი მანტრა ჰქონდა ამოჩემებული: „წმენდა ლოცვაა, ლოცვა კი წმენდა!“

– ეს რომ მართალი იყოს, ბაღდადის ყველა დიასახლისი სულიერი მოძღვარი გახდებოდა! – ენა შევუბრუნე ერთხელ.

გაგულისებულმა თავში ციცხვი მესროლა და დამჩხავლა:

– ენის შებრუნება კარგს არაფერს მოგიტანს, შვილო! თუ გინდა, რომ დავრიში გახდე, ამ ციცხვივით მუნჯი უნდა იყო. ურჩობა ვერაფერი თვისებაა მორჩილისთვის! ნაკლები ილაპარაკე და უფრო სწრაფად დაღვინდები.

მძულდა მზარეული. მეტიც: მეშინოდა მისი. არასოდეს ვეურჩებოდი, თუ არ ჩავთვლით იმ საღამოს, როცა შამსი გვეწვია. როგორც კი ზურგი მაქცია, სამზარეულოდან ფეხაკრეფით გამოვედი და დარბაზის კართან მივიპარე. ერთი სული მქონდა, მოხეტიალე დავრიშის შესახებ მეტი გამეგო. ვინ იყო ეს კაცი? რას აკეთებდა აქ? ის ხომ აშკარად არ ჰგავდა ჩვენს სავანეში შემოხიზნულ სხვა დავრიშებს. როგორი მეტყველი თვალები ჰქონდა, დაუმორჩილებელი და ქედუხრელი კაცის თვალები... მაშინაც კი, როცა თავს მოკრძალებით დახრიდა ხოლმე. უჩვეულო ვინმე იყო. რას მოიმოქმედებდა, წინასწარ ვერავინ იტყოდა. ამიტომ შიშსაც კი გგვრიდა...

კარის ღრიჭოში შევიხედე. თავიდან ვერაფერი დავინახე, მაგრამ მალე დაბინდულ ოთახს თვალი შევაჩვიე და მათი სახეები უკეთ გავარჩიე. გავიგონე ოსტატის სიტყვებიც:

– ერთი ეს მითხარ, დავრიშო, ბაღდადში რამ მოგიყვანა? სიზმრად ხომ არ ნახე ეს ქალაქი?

დავრიშმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

– არა, სიზმარს არ მოვუყვანივარ. ხილვამ მომიყვანა. მე სიზმრებს არასოდეს ვხედავ.

– სიზმრებს ყველა ხედავს, – რბილად შეეპასუხა ბაბა ზამანი, – უბრალოდ, ყოველთვის ვერ იხსენებ, რა დაგესიზმრა.

– არ ვხედავ-მეთქი, – თავისას არ იშლიდა დავრიში, – მე და ღმერთი ასე მოვრიგდით. პატარა ბიჭობაში ანგელოზებს ვხედავდი და სამყაროს საიდუმლოებები თვალწინ მქონდა გადაშლილი. როცა ჩემს მშობლებს ეს ვუთხარი, არ ესიამოვნათ და მიბრძანეს, ოცნებებს ნუ გადაჰყვებიო. როცა მეგობრებს გავენდე, მათაც გამოუსწორებელი მეოცნებე მიწოდეს. მასწავლებლებთანაც ვცადე გასაუბრება, მაგრამ მათგანაც იგივე პასუხი მივიღე. ბოლოს მივხვდი, როცა ადამიანები რაიმე უჩვეულოს ხედავენ, ამას ოცნებას ეძახიან. ამის შემდეგ ვეღარ ვიტან ამ სიტყვას, სულერთია, რასაც უნდა ნიშნავდეს იგი...

ამ სიტყვების თქმისთანავე დავრიში გაჩუმდა, თითქოს უეცრად რაღაც ხმა ჩაესმაო. მერე კი ძალიან უცნაური რამ მოხდა: წამოდგა, წელში გაიმართა და ნელა, გულდაგულ წამოვიდა კარისაკენ. თან სულ ჩემკენ იყურებოდა, თითქოს რაღაც მანქანებით მიმხვდარიყო, რომ ვუთვალთვალებდი, თითქოს ხის კარში ატანდა მისი მზერა. გული შემიქანდა. სამზარეულოში გაქცევა დავაპირე, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადავდგი. ცხადი იყო, კარს იქიდან შამს თებრიზის შავი თვალები მე მომჩერებოდნენ. შიშისგან ენა ჩამივარდა, მაგრამ ამავე დროს, მთელ სხეულში ენერგიის საოცარი მოზღვავება ვიგრძენი.

ამასობაში იგი კარს მოადგა და სახელურს ხელი ჩაავლო. აი, ახლა გააღებს და ხელს მტაცებსმეთქი, გავიფიქრე, მაგრამ უცებ გაჩერდა. ამჯერად მის სახეს ვეღარ ვხედავდი და ამიტომ ვერ ვხვდებოდი, რამ შეაცვლევინა განზრახვა. აუტანლად გაწელილი ერთი წუთის განმავლობაში ასე ვიდექით ორივენი. მერე შამსი მიტრიალდა, კარს მოსცილდა და გზადაგზა თავისი ამბავი განაგრძო:

– როცა წამოვიზარდე, ღმერთს ვთხოვე, ჩემთვის სიზმრის ნახვის უნარი წაერთმია, რათა ყოველთვის, როცა მას შევხვდებოდი, ზუსტად მცოდნოდა, რომ ეს ცხადი იყო. უფალმა შეისმინა ჩემი თხოვნა და სიზმრები წამართვა. ამიტომ ვეღარ ვხედავ მათ...

შამს თებრიზი ახლა ღია ფანჯარასთან იდგა. გარეთ ოდნავ ცრიდა, დავრიში ერთხანს ფიქრიანად გასცქეროდა წვიმას, შემდეგ თქვა:

– ღმერთმა სიზმრების ნახვის უნარი კი წამართვა, მაგრამ დანაკლისი იმით შემივსო, რომ სხვათა სიზმრების ახსნის ნიჭი მომცა. მე სიზმრების ამხსნელი ვარ...

მეგონა, ბაბა ზამანი არ დაიჯერებდა ამ სისულელეს და ისევე გაკიცხავდა, როგორც მე მიცაცხანებდა ხოლმე. მაგრამ ოსტატმა თავი მოწიწებით დააქნია და ბრძანა:

– უჩვეულო კაცი ჩანხარ. მითხარი, რით დაგეხმარო?

– არ ვიცი, იმედი მქონდა, რომ მაგას თვითონ მეტყოდი.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა მოძღვარმა.

– თითქმის ორმოცი წელია, მოხეტიალე დავრიში ვარ. ბუნების ენა კარგად შევითვისე, მაგრამ საზოგადოებისა არაფერი გამეგება, იგი ჯერაც უცხოა ჩემთვის. თუ თავის დაცვა დამჭირდა, შემიძლია გარეული მხეცივით ვიბრძოლო, მაგრამ თავად ვერავის ვავნებ. შემიძლია, ყველა თანავარსკვლავედი სათითაოდ დაგისახელო, ტყეში ყველა ხე ამოვიცნო, ხუთი თითივით ვიცნობ ყველანაირ ადამიანს, რომელიც ღმერთს შეუქმნია ხატად თვისად...

შამსი წამით შეყოვნდა, მოძღვარს ზეთის ლამპრის ანთება აცალა, შემდეგ კი განაგრძო:

– აჰა, ისმინე ერთერთი წესი: „ღმერთის შეცნობა ყოველი არსისა და უსულო საგნის მეშვეობით შეიძლება. ნურავის ჰგონია, რომ ღმერთი მეჩეთის, სინაგოგისა თუ ეკლესიის კედლებშია გამომწყვდეული, მაგრამ თუკი არ დაიშლი და მაინც მოინდომებ, გაიგო, სად არის მისი სამყოფელი, ერთადერთ ადგილას ეძებე იგი: ჭეშმარიტად მოსიყვარულე გულში. არავინ არის ისეთი, ვინც მისი დანახვის შემდეგ ცოცხალი დარჩა და არავინ არის ისეთი, ვინც მისი ნახვის შემდეგ აღესრულა. ვინც მას პოვებს, სამუდამოდ მის გვერდით დარჩება.“

ლამპრის მკრთალ შუქზე შამს თებრიზი კიდევ უფრო მაღალი ჩანდა. დატალღული თმა ბეჭებზე სცემდა.

– ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ ცოდნა, თუ მას გასაქანი არ მიეცი, ძველი ლარნაკის ფსკერზე შემორჩენილ დამყაყებულ წყალს ჰგავს. ამიტომ ვევედრებოდი ღმერთს, გამომიგზავნე მეგობარი, რომელსაც წლობით დაგროვილ ცოდნას გავუზიარებ-მეთქი. ბოლოს, სამარყანდში ყოფნისას, გამოცხადება მქონდა და ხმაც მესმა: „ბაღდადს წადი; იქ აღასრულე დაკისრებული მოვალეობა.“ როგორც გატყობ, შენ იცი, ვინც უნდა იყოს ეს კაცი და ადრე თუ გვიან, მეტყვი კიდეც... – დაასრულა შამსმა.

ამასობაში საბოლოოდ ჩამობნელდა და ღია ფანჯრებში მთვარის სხივმა შემოიჭყიტა. მაშინღა მივხვდი, რომ უკვე გვიანი იყო. ვიცოდი, მზარეული მელოდა, მაგრამ აღარ მენაღვლებოდა. სიცოცხლეში პირველად მომგვარა სიამოვნება წესრიგის დარღვევამ.

– არ ვიცი, რა პასუხს ელი ჩემგან, წაიბუბუნა მოძღვარმა, მაგრამ თუ მე წილად მხვდა პატივი, რაღაც გაცნობო, ვიცი, ეს თავის დროზე მოხდება. მანამდე კი დარჩი ჩვენთან... შენ სტუმარი და ჩვენ მასპინძელი.

დავრიში მაშინვე დაიხარა და ბაბა ზამანს ხელზე ემთხვია. ოსტატმა კი ასეთი უცნაური შეკითხვა დაუსვა:

– შენ ამბობ, რომ მზად ხარ, მთელი შენი ცოდნა სხვა ადამიანს გადასცე. ჭეშმარიტება ძვირფასი მარგალიტივით მოგიმწყვდევია მუჭში და მხოლოდ გამორჩეულ ადამიანს სთავაზობ მას. მაგრამ მოკვდავისათვის არ არის ადვილი, მეორე მოკვდავს გულის კარი შეუღოს და სულიერების შუქით გაასხივოსნოს იგი. ღმერთს ხომ არ ეცილები? და თუ ასეა, როგორ ფიქრობ, რით უნდა ზღო?..

სანამ ცოცხალი ვარ, დავრიშის პასუხი არასოდეს დამავიწყდება. წარბები აზიდა და მოძღვარს მტკიცედ მიუგო:

– მზად ვარ, ვზღო ჩემი თავით...

გავშრი. ჟრუანტელმა დამიარა. როცა ჭუჭრუტანაში გავიხედე, დავინახე, რომ ოსტატიც არანაკლებ შეძრა ამ სიტყვებმა.

– იქნებ ვიკმაროთ სადღეისოდ, – ამოიოხრა ბაბა ზამანმა, – შენც დაღლილი ჩანხარ. ნება მიბოძე, მორჩილს ვუხმო, წაგიყვანს, ლოგინს მიგიჩენს და ჭიქა რძეს მოგართმევს.

შამს თებრიზი კვლავ კარისაკენ დაიძრა. უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მხედავდა, თანაც მხოლოდ დახშულ კარში კი არ ატანდა მისი მზერა, არამედ ჩემს არსებაშიც აღწევდა, ჩემი სულის ყოველ კუნჭულში იხედებოდა და იქ ისეთ საიდუმლოებათა ამოკითხვას ახერხებდა, რომლებიც, მგონი, თავადაც არ ვიცოდი. რა აღარ ვიფიქრე.

„იქნებ შავი მაგია აქვს ნასწავლი? იქნებ ბაბილონის ორი ანგელოზის, არუთისა და მარუთის შეგირდია, ყურანი რომ გვაფრთხილებს, ერიდეთო? ან იქნებ რაღაც ზებუნებრივი ნიჭის პატრონია, მზერით კედელს რომ ხვრეტს?“ ვინც უნდა ყოფილიყო, ეს კაცი შიშს მგვრიდა.

– არა, მორჩილს ნუ უხმობ. არ არის საჭირო, – თქვა შამსმა ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა, – გული მეუბნება, რომ ის სადღაც აქვეა და ჩვენი საუბარიც ესმის.

ისეთი ოხვრა აღმომხდა, საფლავიდან მკვდარს ააყენებდა. დაფეთებული ბაღში გავვარდი და თავი სიბნელეს შევაფარე, მაგრამ იქაც არასასიამოვნო მოულოდნელობა მელოდა.

– აი, სად ყოფილხარ, პატარა გაიძვერავ! – მეცა მზარეული და ცოცხი მომიღერა, – ვერ გადამირჩები, იცოდე!

განზე გავხტი და ცოცხი სასწაულებრივად ავიცდინე.

– აქ მოდი, თორემ ფეხებს მოგამტვრევ! – ქშენით მომძახოდა მზარეული, მაგრამ არ დავემორჩილე და ისარივით გავქანდი წინ.

მთავარი შარაგზისაკენ ერთი ვიწრო ბილიკი მიიკლაკნებოდა. ამ ბილიკს გავუყევი სირბილით.თვალწინ სულ შამს თებრიზის სახე მედგა. თითქოს თავი უკვე შორს დავიგულე, მაგრამ მაინც გავრბოდი. გული ამოვარდნას მქონდა, ყელი მიშრებოდა. იქამდე ვირბინე, სანამ მუხლი არ მომეკვეთა.

ელა

2008 წლის 21 მაისი, ნორთჰემპტონი

ბინდბუნდი იყო, დევიდმა შინ რომ მოაღწია. ჩხუბს ელოდა, მაგრამ ცოლი მძინარე დახვდა. გადაშლილი ხელნაწერი ლოგინში ედო, იქვე ღვინის ცარიელი ჭიქა იდგა. დევიდმა ცოლისკენ გაიწია, უნდოდა საბანი გაესწორებინა, მაგრამ გადაიფიქრა. ათ წუთში ელასაც გაეღვიძა და სულაც არ გაჰკვირვებია, როცა შხაპის ხმა გაიგონა.

დევიდს უყვარდა ქალებთან ფლირტი, ზოგჯერ ფლირტსაც არ სჯერდებოდა, მაგრამ შხაპს ყოველთვის შინ, საკუთარ აბაზანაში იღებდა. როცა ქმარი საძინებელში შემობრუნდა, ელამ თავი მოიმძინარა, რათა ახსნა-განმარტებების მოსმენისთვის თავი აერიდებინა.

ერთი საათის შემდეგ ქმარშვილი გაისტუმრა და კვლავ მარტო დარჩა სამზარეულოში. ცხოვრება თითქოს ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. კვლავ გადაშალა საყვარელი წიგნი „კულინარიული ხელოვნება – მარტივი და სწრაფად მოსამზადებელი სადილები“, კარგა ხანს ფურცლა და ბოლოს არჩევანი საკმაოდ რთულ და პრეტენზიულ მენიუზე შეაჩერა. ასეთი სადილის მომზადებას, სავარაუდოდ, ნახევარი დღე მაინც დასჭირდებოდა. მოლუსკების წვნიანი ზაფრანით, ქოქოსითა და ფორთოხლით, ღუმელში გამომცხვარი მაკარონი სოკოთი, ახალი მწვანილითა და ხუთი სახეობის ყველით, როზმარინში, ძმარსა და ნიორწყალში ჩამბალი ხბოს ნეკნები, ლაიმის წვენში ჩაწყობილი მწვანე ლობიო და

ყვავილოვანი კომბოსტოს სალათა... შემდეგ დესერტიც შეარჩია: შოკოლადის თბილი სუფლე.

ელას მზარეულობა ბევრი მიზეზით უყვარდა. ჩვეულებრივი ინგრედიენტებისაგან გემრიელი სადილის მომზადების დროს სიამოვნებასა და კმაყოფილებას კი არა, ლამის ტკბობას განიცდიდა. თუმცა, კულინარია სხვა რამის გამოც მოსწონდა: ეს საქმე მართლა კარგად გამოსდიოდა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ამშვიდებდა. სამზარეულო ერთგვარი თავშესაფარი იყო, აქ თითქოს დროც ჩერდებოდა, ყოველ შემთხვევაში მისთვის. „ზოგიერთს ასეთივე სიამოვნებას, ალბათ, სექსი ანიჭებს, – ფიქრობდა ელა, – მაგრამ სექსისთვის, როგორც წესი, ორი ადამიანია საჭირო, მზარეულობისთვის კი მხოლოდ დრო, სურვილი და სურსათით სავსე პარკი.“

კულინარიული ტელეშოუების წამყვანების აზრით, ეს პროცესი შთაგონებას, ორიგინალობასა და კრეატიულობას ითხოვს. მათი საყვარელი სიტყვაა „ექსპერიმენტი“. ელასთვის ეს აზრი მიუღებელი იყო. „ექსპერიმენტების უფლება მეცნიერებს უნდა დავუტოვოთ, „ოფოფებისა“ კი – ხელოვანებს. მზარეულობაში მთავარია ტრადიციების ერთგულება, რეცეპტის ზუსტად დაცვა და ასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული სიბრძნის პატივისცემა. მზარეულმა საუკუნოვან ტრადიციებზე ექსპერიმენტები კი არ უნდა ატაროს, არამედ უნდა დაიცვას ისინი. მზარეულის ოსტატობის უმთავრესი საყრდენი წესი და ადათია. მართალია, ოცდამეერთე საუკუნე ასეთ ცნებებს ანგარიშს აღარ უწევს, მაგრამ ტრადიციას სამზარეულოში მაინც თუ მივაგებთ პატივს, ურიგო არ იქნება.“ ასეთი იყო მისი აზრი. საერთოდ, ელა რუტინის ერთგული იყო. მისი ოჯახი ყოველ დილით თითქმის ერთსა და იმავე დროს საუზმობდა; უქმეებზე, სასეირნოდ ერთსა და იმავე ადგილებს აკითხავდნენ. ყოველი თვის პირველ კვირადღეს მეზობლებთან ერთად სადილობდნენ.

დევიდი ბევრს მუშაობდა, დრო ცოტა ჰქონდა, ამიტომ ოჯახური ცხოვრების ყველა სფეროს ელა უძღვებოდა: ფინანსების განკარგვაც მას ეკისრებოდა, სახლის მოვლაც, ავეჯის განახლებაც, საქმეებზე სირბილიც, ბავშვების გრაფიკების დაგეგმვაც, საშინაო დავალებებიც...

ხუთშაბათობით მზარეულთა კლუბში დადიოდა. კლუბის წევრები სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოებს ეცნობოდნენ და ძველებურ კერძებს სანელებლებითა და ინგრედიენტებით აახლებდნენ. ყოველ პარასკევს ელა რამდენიმე საათს ბაზარში ატარებდა, ხან ფერმერებს ესაუბრებოდა, ხან შაქრის ნაკლები შემცველობის ჯემებს აგემოვნებდა, ხან კიდევ რომელიმე მყიდველს სოკოს მარინადის რეცეპტს აწერინებდა. რასაც აქ ვერ იშოვიდა, ეკოლოგიური პროდუქტების მაღაზიაში ყიდულობდა.

ყოველ შაბათ საღამოს ქმარს რომელიმე რესტორანში მიჰყავდა (ჩვეულებრივ, იაპონურში ან ტაილანდურში). თუ ძალიან დაღლილები და ნასვამები არ იყვნენ და უგუნებობა ხელს არ უშლიდათ, შინ მიბრუნებისას სექსიც ჰქონდათ ხოლმე. თუმცა, ამას ვნება ნაკლებად ეთქმოდა. ნელი, დუნე მოძრაობებითა და ნაწვეტ-ნაწყვეტი კოცნით თითქოს უბრალოდ სითბოს უნაწილებდნენ ერთმანეთს. სექსმა, რომელიც ერთ დროს

მათი ყველაზე ძლიერი შემაკავშირებელი ფაქტორი იყო, კარგა ხნის წინ დაკარგა თავისი მიმზიდველობა.

ზოგჯერ რამდენიმე კვირაც კი ჩაივლიდა ხოლმე სექსის გარეშე. ელას უკვირდა, რომ ოდესღაც მის ცხოვრებაში ეს მოვლენა ასეთი მნიშვნელოვანი იყო; და ახლა, როცა იგი საბოლოოდ გაქრა მათი ყოველდღიური ყოფიდან, ერთგვარი შვება და თითქმის თავისუფლებაც კი იგრძნო.

ელა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ დიდი ხნის დაქორწინებული წყვილის ურთიერთობა თანდათან გამოდის ხორციელი სიამოვნების სივრციდან და ცოლ ქმარი ურთიერთობის უფრო სანდო და სტაბილურ გზას ირჩევს. ოღონდ პრობლემა ის იყო, რომ დევიდმა ფიზიკური სიახლოვე მხოლოდ ცოლთან შეწყვიტა, სხვა ქალებთან ურთიერთობაზე კი უარს არასოდეს ამბობდა. ელა არასოდეს დაჰპირისპირებია ქმარს ღალატის გამო, თავისი ეჭვები გადაკვრითაც არასოდეს გამოუთქვამს. ამის შესახებ მათმა მეგობრებმაც არაფერი იცოდნენ და მოჩვენებითი სიმშვიდის ინსცენირებას ესეც აადვილებდა. მათთან არც ოჯახური სკანდალები ხდებოდა, არც რაიმე უხერხული დამთხვევები, არაფერი ისეთი, რაც ჭორების გავრცელების საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ელას წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ ახერხებდა ქმარი ამას (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ მის საკმაოდ ხშირ რომანებს, თანაც უპირატესად, ახალგაზრდა ასისტენტებთან), მაგრამ ფაქტი იყო, რომ დევიდი, მოხერხებულად და მშვიდად მოქმედებდა. ელას, უბრალოდ, ღალატის სუნი სცემდა, დანამდვილებით კი არაფერი იცოდა. უკვე აღარც ახსოვდა, რომელი მოვლენა რომელს უსწრებდა: მისი მხრიდან სექსისადმი ინტერესის დაკარგვამ გამოიწვია ქმრის ღალატი თუ პირიქით, ჯერ დევიდმა უღალატა და თვითონ მერე გახდა ასეთი გულგრილი საკუთარი გარეგნობისა და ხორციელი სიამოვნების მიმართ... თუმცა, ამას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ ერთბაშად და სამუდამოდ გაქრა ის გზნება, რომელიც წყვილს წლების განმავლობაში, ცოლქმრული ცხოვრების „შეუსწავლელ წყლებში“ გზის გაგნებას უადვილებდა და მათ ურთიერთლტოლვას, სამი შვილისა და ოცწლიანი თანაცხოვრების მიუხედავად, „ჩაძირვისაგან“ იცავდა.

შემდეგი სამი საათის განმავლობაში ელას გონება გამალებით მუშაობდა. მისი ხელები კი ამ დროს შეუსვენებლად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. პომიდორსა და ნიორს აქუცმაცებდა, ხახვს შუშავდა, ფორთოხლის ქერქს ხეხავდა და გაუცრელი ფქვილისაგან პურის ცომს ზელდა. სხვათა შორის ეს პროცედურა ელას ოჯახური საქმიანობის განუყოფელ ნაწილად დევიდის დედის რჩევის შედეგად იქცა. წყვილის ნიშნობის დღეს მან სარძლოს უთხრა:

– ისე არაფერი აგრძნობინებს მამაკაცს შინაურ სითბოს, როგორც ახლად გამომცხვარი პური. ნურასოდეს იყიდი პურს, საყვარელო. თვითონ გამოაცხვე. ნახავ, რა საოცრებებს დაატრიალებს ის შენს ოჯახში.

ელა საღამომდე საქმიანობდა და ბოლოს საუცხოო სუფრაც გააწყო: შეხამებული ფერის ხელსახოცებით, არომატული სანთლებითა და ნარინჯისფერყვითელი ყვავილების არაბუნებრივად ხასხასა თაიგულით. „ბოლო აკორდი“ იყო ხელსახოცის გასაყრელი

პრიალა რგოლები. როცა ელა ყველაფერს მორჩა, იქაურობა გლამურული ჟურნალების ფოტოს დაემსგავსა.

მოქანცულმა, მაგრამ კმაყოფილმა ელამ ტელევიზორი ჩართო და ახალ ამბებს მიუგდო ყური. ახალგაზრდა ექიმი საკუთარ ბინაში დანით მოეკლათ, რომელიღაც საავადმყოფოში დენის მოკლე ჩართვისაგან ხანძარი გაჩენილიყო; ოთხი მოსწავლე ვანდალიზმისათვის დაეკავებინათ.

ელა შეშფოთებით აქნევდა თავს. შიშს ჰგვრიდა საფრთხეებით სავსე, არეული მსოფლიო. აზიზ ზაჰარას მსგავსი ადამიანებისა უკვირდა: როგორ დადიოდნენ ასე თავისუფლად პლანეტის ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში, როცა ამერიკული ქალაქების გარეუბნებიც კი აღარ იყო უსაფრთხო?

საოცარი ის იყო, რომ აზიზსა და მის მსგავს ხალხს სწორედ მსოფლიოს ეს მოულოდნელობებით აღსავსე, გაუგებარი, ამოუხსნელი ბუნება იზიდავდა. სწორედ ეს არ ასვენებდა, გაკვალული ბილიკიდან გადახვევის სურვილს უღვიძებდა და თავგადასავლების ძიებისკენ უბიძგებდა. თვითონ ელა და მისი მსგავსი ადამიანები კი იმავე მიზეზით შინიდან ფეხის გადადგმასაც ერიდებოდნენ.

საღამოს რვის ნახევარზე რუბინშტეინები უკვე მშვენიერ სუფრასთან ისხდნენ. ანთებული სანთლები იქაურობას რაღაც საკრალურ ელფერს სძენდა. იმ წუთში უცხოს რომ ენახა, ალბათ, სანიმუშო ოჯახად ჩათვლიდა ამ ადამიანებს, მათ სუფრაზე მოციმციმე სანთლებს ადენილი, ჰაერში ტაატით ასული კვამლის სვეტებივით გაწვართულები რომ მისხდომოდნენ მშვენიერ სუფრას.

ცოლ-ქმარი მშვიდად მიირთმევდა სხვადასხვა კერძს, ტყუპი კი სკოლის ამბებს ჰყვებოდა. ელა ცხოვრებაში პირველად ემადლიერებოდა მათ იმისათვის, რომ ასეთი ყბედები და ხმაურიანები იყვნენ, რადგან ეს ხმაური რომ არა, ცოლ-ქმარს შორის მძიმე დუმილი ჩამოწვებოდა.

ელამ თვალი ქმრისკენ გააპარა. დევიდმა ყვავილოვანი კომბოსტო აიღო და აუჩქარებლად გაღეჭა. ელამ თვალი შეავლო მის წვრილ, ფერმკრთალ ტუჩებს და სადაფივით პრიალა კბილებს. რამდენჯერ დაუკოცნია ეს ტუჩები...

მერე უცებ წარმოიდგინა, როგორ კოცნიდა დევიდი სხვა ქალებს. რატომღაც ამჯერად თავისი მეტოქე მორიგი ახალგაზრდა მდივნის სახით კი არა, სიუზენ სარანდონის მსგავსი (ოღონდ დიდმკერდა) ქალის სახით წარმოიდგინა. თვალწინ დაუდგა დაკუნთული, თავდაჯერებული, ვიწრო კაბაში გამოკვართული, მაღალქუსლიან და მაღალყელიან წითელ ტყავის ჩექმაში გამოწყობილი, ათქვირებული ქალი, რომელსაც ზედმეტი მაკიაჟისაგან სახე ცისარტყელასავით აჭრელებოდა.

უცებ ცხადად წარმოიდგინა თავისი ქმრისა და ამ უცხო ქალის ალერსი. სადღა იყო დევიდის სიდინჯე, რომელსაც ახლა, კომბოსტოს ჭამისას იჩენდა. ხარბად, სულსწრაფად კოცნიდა თავის სატრფოს... სწორედ იქ და იმ წუთებში, მორიგი „სწრაფი და მარტივი“ კერძის დაგემოვნების დროს, როცა თავში ქმრის წარმოსახვითი რომანი უტრიალებდა, რაღაცამ ელვასავით გაკვესა ელას გონებაში.

ისე ცხადად დაინახა ეს შესაძლებლობა და თან ისეთი ცივი გონებით შეეგება ამ ახალ აზრს, თვითონაც შეეშინდა: „მიუხედავად ჩემი გამოუცდელობისა და გაუბედაობისა, ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მივატოვებ ამ ყველაფერს სამზარეულოს, ძაღლს, ბავშვებს, მეზობლებს, ქმარს, კულინარიულ წიგნებს, შინგამომცხვარი პურის რეცეპტებს... და შევაბიჯებ იმ სამყაროში, სადაც ფათერაკი ბატონობს.“

ოსტატი

1243 წლის 26 იანვარი, ბაღდადი

ბინას რომ დავრიშთა სავანეში დაიდებ, გაცილებით მეტი მოთმინება მოგეთხოვება, ვიდრე შამს თებრიზს აქვს. მაგრამ ცხრა თვე გავიდა უკვე და ის ჯერ კიდევ ჩვენთან იყო. თავიდან ყოველ წუთს ველოდი, რომ გუდანაბადს აიკრავდა და გაგვეცლებოდა, რადგან მკაცრად დადგენილი წესებისადმი აშკარად მტრულად იყო განწყობილი. ვხედავდი, უჭირდა ერთსა და იმავე საათებში დაწოლა, ადგომა, ჭამა და სხვების მსგავსად ერთი და იმავე საქმის დილიდან საღამომდე მორჩილად კეთება. თავის ნებაზე, კენტად ფრენას შეჩვეულ გარეულ ფრინველს მაგონებდა. ვეჭვობდი, რომ არაერთხელ დაუპირებია აქედან გაქცევა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ განმარტოებას მიელტვოდა, სულიერი მეგზურის პოვნაც სწყუროდა. შამსს მტკიცედ სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სასურველი ადამიანის ადგილსამყოფელს მივასწავლიდი. მხოლოდ ეს აჩერებდა ჩვენთან.

ცხრა თვის მანძილზე გულდასმით ვაკვირდებოდი. მაოცებდა ეს კაცი. მისთვის დროც კი თითქოს სხვანაირად მიიწევდა წინ. უფრო გამალებით, მთელი ძალით მიექანებოდა...

რამდენიმე კვირა (ზოგჯერ კი რამდენიმე დღეც) ჰყოფნიდა იმის ასათვისებლად, რისთვისაც სხვა დავრიშებს თვეები და ზოგჯერ წლებიც კი სჭირდებოდათ. ყოველივე ახალი და უჩვეულო საოცარ ცნობისწადილს აღუძრავდა; ბუნების ნამდვილი მესაიდუმლე იყო. რამდენჯერ შევსწრებივარ ბაღში ხან აბლაბუდას დასჩერებოდა, მისი სიმეტრიული აგებულებით მოხიბლული, ხან რომელიმე ღამის ყვავილის ფურცლებზე მოციმციმე ცვრის წვეთებით ტკბებოდა. იმასაც კი იფიქრებდით, რომ მწერი, მცენარე და ცხოველი უფრო აინტერესებდა, ვიდრე წიგნი და ხელნაწერი. მაგრამ ვერ მოასწრებდით ამის გაფიქრებას და უკვე ძველთაძველ ფოლიანტში თავჩარგულს ნახავდით სადმე. თუმცა, ამის შემდეგ შეეძლო, რამდენიმე კვირა ისე გაეტარებინა, არც წიგნში ჩაეხედა და არც რამე შეესწავლა.

ერთხელ ამაზე ჩამოვუგდე სიტყვა და აი, რა მითხრა:

– ადამიანმა, ცხადია, უნდა ასაზრდოოს თავისი გონება, მაგრამ, ამავე დროს, მის დანაგვიანებას უნდა მოერიდოს. გონება და სიყვარული სხვადასხვა მასალისაგან არის შექმნილი. გონება ადამიანებს ბოჭავს, მაგრამ არაფერს კარგავს, სიყვარული კი ყველა

ბორკილს ამსხვრევს და ყველაფრის დაკარგვის საფრთხე ემუქრება. გონება ყოველთვის გეუბნება: „ფრთხილად, ზედმეტ გზნებას ერიდე!“ სიყვარული კი ამბობს: „ნუ კრთი, იყავი თამამი!“ გონებას ადვილად ვერ გატეხ, სიყვარული კი ერთი ხელის მოსმით შეიძლება შემოგეფშვნას ხელში. მაგრამ განძი სწორედ ნანგრევებში იმალება. განძს შემუსრული გული ინახავს!“

რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი, მით უფრო აღტაცებაში მოვყავდი მის გაბედულებასა და გამჭრიახობას. თუმცა იმასაც ვხედავდი, რომ შამსის ამ უბადლო მახვილგონიერებასა და თავისთავადობას ნაკლიც ჰქონდა. ჯერ ერთი, ისეთი პირდაპირი იყო, რომ ეს უკმეხობაში გადასდიოდა. ჩემს დავრიშებს ვასწავლი, სხვა ადამიანების ნაკლი არ შეამჩნიონ და თუ შეამჩნევენ, ყოველთვის სიმშვიდე და მიმტევებლობა გამოიჩინონ.

მაგრამ შამსის თვალს არც ერთი შეცდომა არ გამოეპარებოდა და არავის არაფერს შეარჩენდა. თუ რამე არ მოეწონებოდა, პირდაპირ, მიკიბმოკიბვის გარეშე ამბობდა. ეს პირდაპირობა ბევრს სწყინდა, მაგრამ მას უყვარდა ადამიანის გამოწვევა, უნდოდა, გაეგო, რას მოიმოქმედებდა იგი გაბრაზების დროს. ერთი და იმავე დავალების შესრულებას ვერ აიძულებდი. ასეთი რამეებისთვის მოთმინება არ ჰყოფნიდა. დროდადრო რაღაც საქმეს მოჰკიდებდა ხოლმე ხელს, შეიძლება ამ საქმეში გაწაფულიყო კიდეც, მაგრამ ინტერესს უმალვე კარგავდა.

ყოველდღიური, ერთფეროვანი საქმიანობა სძაგდა; და თუ მაინც უწევდა ამის გაკეთება, გალიაში გამომწყვდეული ვეფხვივით ბრდღვინავდა. თუ საუბრით თავს შეაწყენდნენ ან ვინმეს სისულელე წამოსცდებოდა, დგებოდა და მიდიოდა, ყალბ თავაზიანობაზე დროს არ კარგავდა. ის, რაც მოკვდავთა უმრავლესობისათვის ასე ღირებულია: უსაფრთხოება, სიმშვიდე და კმაყოფილება, მისთვის დიდად არ ფასობდა. სიტყვებს ისე უნდობლად ეკიდებოდა, რომ ზოგჯერ დღეების განმავლობაში ხმას არ იღებდა. მისი ერთ-ერთი წესიც მის ამ თვისებას შეესაბამებოდა:

„ამქვეყნად თითქმის ყველა სიძნელის წყარო ენობრივი ცდომილება და მარტივი გაუგებრობებია. ყოველთვის კბილი მოუსინჯე სიტყვას, თავს ნუ მოატყუებინებ! როცა სიყვარულის საუფლოში შეაბიჯებ, ენა ზედმეტი ბარგი ხდება. მხოლოდ დუმილით თუ ჩასწვდები იმას, რაც ენით არ ითქმის.“

გადიოდა დღეები. თანდათან სულ უფრო მაფიქრებდა მისი ამბავი. გული მიგრძნობდა, რომ ადამიანი, რომელიც შინაგანად ასე იწვოდა, ხიფათს ვერ აიცდენდა. მაგრამ ჩვენი ბედი ხომ უფლის ხელშია. მხოლოდ მან იცის, როდის ან როგორ უნდა დატოვოს თითოეულმა ჩვენგანმა ეს ქვეყანა. ამიტომ გადავწყვიტე, ცდა არ დამეკლო და შეძლებისდაგვარად დამემშვიდებინა ეს კაცი, რათა შედარებით წყნარი ცხოვრების წესს შეჰგუებოდა. ერთხანს მეგონა კიდეც, რომ წარმატებით გავართვი თავი ამ საქმეს, მაგრამ მოგვადგა ზამთარი და კარზე მოგვაყენა მაცნე, რომელმაც შორიდან წერილი მოგვიტანა. ამ წერილმა ყველაფერი ერთიანად შეცვალა.

წერილი კაისერიდან ბაღდადში

1243 წლის თებერვალი, ბაღდადი

„ბისმილაჰირაჰმანირაჰიმ!

ჩემო ძვირფასო ძმაო, ბაბა ზამან! მშვიდობა და კეთილდღეობა ნუ მოგაკლოს მაღალმა ღმერთმა. რა ხანია, არ მინახავხარ, იმედია, კეთილად ბრძანდები. ბევრი საოცარი რამ მსმენია შენი სავანის შესახებ, ბაღდადის შემოგარენში რომ აგიშენებია, სადაც დავრიშებს სიბრძნეს უზიარებ და ღმერთის სიყვარულს ჩააგონებ. ამ წერილში ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, რომელიც ბოლო დროს მოსვენებას არ მაძლევს. ნება მიბოძე, თანამიმდევრულად გამცნო ყოველივე.

მოგეხსენება, ალბათ, რომ აწ გარდაცვლილი სულთანი ალადინ ქეიქუბადი საუცხოო პიროვნება იყო. მან ძნელბედობის ჟამს წინამძღოლობის განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა. მისი ოცნება იყო, აეგო ქალაქი, სადაც პოეტები, ოსტატები და ფილოსოფოსები

მშვიდად იცხოვრებდნენ და იმუშავებდნენ. თუმცა ქვეყნად გამეფებული არეულობისა და შუღლის შემხედვარე ბევრი ადამიანი ამას აუხდენელ ოცნებად მიიჩნევდა. არეულობასა და შუღლს რომ ვამბობ, უპირველესად ჯვაროსნებსა და მონღოლებს ვგულისხმობ, ყოველი მხრიდან რომ გვეძალებიან.

მართლაც, რისი მომსწრენი აღარ გავხდით: ქრისტიანი მაჰმადიანს გადაეკიდა, ქრისტიანი ქრისტიანს, მაჰმადიანი ქრისტიანს და მაჰმადიანი მაჰმადიანს. რჯული რჯულს ებრძვის, სექტა – სექტას, ტომი – ტომს, ძმა ძმასაც კი... მაგრამ ქეიქუბადი შეუპოვარი წინამძღოლი აღმოჩნდა. მან თავისი ოცნების ხორცშესასხმელად ქალაქი კონია აირჩია პირველი ქალაქი, რომელიც დიდი წარღვნის შემდეგ აღმოცენდა.

დღეს ამ ქალაქში ერთი სწავლული ცხოვრობს. არ ვიცი, გსმენია თუ არა მის შესახებ. მისი სახელია მევლანა ჯალალ-ედ-დინი, მაგრამ უმეტესად რუმის სახელით არის ცნობილი. მე, ჩემდა სასიხარულოდ, არათუ შევხვედრივარ, არამედ ხანგრძლივი ურთიერთობაც მქონია, თავდაპირველად როგორც მასწავლებელს, მამამისის სიკვდილის შემდეგ როგორც მოძღვარსა და დამრიგებელს, წლების შემდეგ კი... როგორც მოწაფეს. დიახ, ჩემო მეგობარო, მე მისი მოწაფე გავხდი. ისეთი ნიჭიერი და გონიერი იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი: ჩემგან აღარაფერი ესწავლებოდა და თვითონ უნდა დავმოწაფებოდი.

მამამისიც ჩინებული ღვთისმეტყველი გახლდათ, მაგრამ რუმის აქვს თვისება, რომელსაც სხვა ღვთისმეტყველებს ძვირად თუ შეამჩნევ: მას შეუძლია, სარწმუნოებას ქერქი შემოაცალოს და მისი ბირთვიდან ყოვლისმომცველი, მარადიული მარგალიტი ამოაბრწყინოს.

მინდა მოგახსენო, რომ ეს არ გახლავს მხოლოდ ჩემი მოსაზრება. როცა დიდ მისტიკოსს, მეწამლესა და მენელსაცხებლეს – ფარიდუდინ ათარს ჭაბუკი რუმი უნახავს, უთქვამს: ეს ახალგაზრდა კაცი ადამიანთა გულის კარს გასაღებს უპოვის და მისტიკის მოყვარულთა გულებში სიყვარულის ნამდვილ ცეცხლს დააგზნებსო. გამოჩენილ ფილოსოფოსს,

მწერალსა და მისტიკოსს იბნ არაბს კი, პირველად რომ უნახავს მამამისის ფეხდაფეხ მიმავალი რუმი, წამოუძახია:

– დიდება შენდა, მაღალო ღმერთო! ტბას ოკეანე მიჰყვება უკან!..

სულ ოცდაოთხი წლისა იყო რუმი, სულიერი წინამძღოლობა რომ იკისრა. დღეს კი, ცამეტი წლის შემდეგ, იგი კონიის მცხოვრებთათვის მიბაძვის საგანი გამხდარა. პარასკეობით ქალაქში მილეთის ხალხი იყრის თავს მისი ქადაგების მოსასმენად. რაში აღარ გამოიჩინა თავი: სამართალი იქნება თუ ფილოსოფია, ღვთისმეტყველება თუ ისტორია, ქიმია, თუ ალგებრა. ამბობენ, ათი ათასამდე მოწაფე ჰყავსო. მიმდევრები მის წარმოთქმულ ყოველ სიტყვას იმახსოვრებენ და მიიჩნევენ უდიდეს განმანათლებლად, რომელიც თუ მთელი მსოფლიოს არა, ისლამის ისტორიაში მაინც უდავოდ მოახდენს დიად ძვრებს. მე კი რუმი კვლავინდებურად შვილად მიმაჩნია. აწ განსვენებულ მამამისს თავის დროზე აღვუთქვი, რომ ყოველთვის მეთვალყურეობას გავუწევდი და აი, ახლა, სიბერის ჟამს, როცა ჩემი აღსასრული შორს აღარ არის, მინდა დავრწმუნდე, რომ სასურველი ადამიანების გარემოცვაში ვტოვებ.

საქმე ისაა, რომ მიუხედავად უდავო აღზევებისა და წარმატებისა, რუმიმ რამდენჯერმე გამანდო თავისი შინაგანი უკმაყოფილება. მას რაღაც აკლია და ამ დანაკლისს ვერც ოჯახი უვსებს და ვერც მოწაფეები. ერთხელ ვუთხარი, ნედლი ნამდვილად არ გეთქმის, მაგრამ ქურაში გამომწვარიც არა ხარ-მეთქი.

მისი თასი პირამდე სავსეა, მაგრამ მას უცილოდ სჭირდება სულის კარის შეღება, რათა სიყვარულის ნაკადის მიმოქცევა აღარაფერმა დააბრკოლოს. როცა მან მკითხა, როგორ უნდა მიეღწია ამისთვის, ვუთხარი: თანამგზავრი გჭირდება შენს სულიერ გზასავალზე-მეთქი. თან ყურანის სიტყვებიც მოვიშველიე, იმის შესახებ, რომ მორწმუნენი ერთმანეთისთვის სარკეები არიან...

საკითხი რომ კვლავ არ წამოჭრილიყო, ალბათ, მიმავიწყდებოდა კიდეც ჩვენი საუბარი, მაგრამ ერთხელ, სწორედ იმ დღეს, როცა კონიიდან წამოვედი, რუმი მესტუმრა და მითხრა, ერთი და იგივე სიზმარი არ მასვენებს და იქნებ ამიხსნაო.

სიზმრად ენახა, თითქოს შორეულ, დიდ და ხალხმრავალ ქალაქში ვიღაცას დაეძებდა. ირგვლივ არაბული ენა ჟღერდა. თვალს იტაცებდა ჩამავალი მზის სილამაზე. თუთის მწიფობის დრო იყო. თავიანთ პარკებში გამოხვეული აბრეშუმის ჭიები მოთმინებით ელოდნენ, როდის დაუდგებოდათ გარეთ გამობრძანების წუთი. თავად რუმი ვითომ მამისეული სახლის უკანა ეზოში, ჭრაქით ხელში, ჭასთან იჯდა და მწარედ ქვითინებდა.

თავდაპირველად ვერ მივხვდი, რაზე მიანიშნებდა მისი სიზმარი. ყველაფერი მეუცხოვა მის ნაამბობში. მაგრამ ერთ დღესაც საჩუქრად აბრეშუმის ყელსახვევი მომართვეს; სწორედ მაშინ მივიღე სასურველი პასუხი და ეს თავსატეხიც მყისვე ამოვხსენი. გამახსენდა, როგორ გიყვარს აბრეშუმი და აბრეშუმის ჭია. გამახსენდა საოცარი ამბები, რომელიც შენი ტარიკას შესახებ მსმენოდა და მივხვდი, რომ რუმი სიზმარში სწორედ შენს სავანეს ხედავდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ძმაო ჩემო, პირდაპირ უნდა გკითხო: რუმის მომავალი მეგობარი შენს ჭერქვეშ ხომ არ იმყოფება?

აი, რატომ გწერ ამ წერილს...

არ ვიცი, ცხოვრობს თუ არა მსგავსი ვინმე შენს სავანეში. თუ ასეა, შენთვის მომინდვია, ამცნო მას მოახლოებული საბედისწერო დანიშნულების შესახებ; და თუ მე და შენ ოდნავ მაინც ხელს წავაშველებთ ამ ორი მდინარის შერწყმასა და ღვთაებრივი სიყვარულის ოკეანეში ერთ ნაკადად ჩადინებას, თუ ღვთის ორი დიდი მეგობრის შეხვედრას ხელს შევუწყობთ, ჩემს თავს ნეტარ ადამიანად ჩავთვლი.

თუმცა ერთი რამ უნდა გაითვალისწინო. რუმი გავლენიანი კაცია, პატივი და თაყვანისცემა არ აკლია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აუგის მთქმელი არავინ ჰყავს. დიახაც, ჰყავს. მეტსაც გეტყვი: ზემოთ ხსენებული ერთიანი ნაკადის წარმოშობამ შესაძლოა ისეთი უკმაყოფილება და დაპირისპირება გამოიწვიოს, ვერც კი წარმოიდგენ. სულიერი მეგობრისადმი სიყვარულმა რუმის, შესაძლოა, ოჯახსა და ახლობლებთანაც შეუქმნას სიძნელეები.

მეორე მხრივ, ასეთი გაღმერთებული პიროვნების ყურადღებით განებივრებულ ადამიანსაც ემუქრება შარში გახვევის საფრთხე: იგი სიძულვილს თუ არა, შურს მაინც უთუოდ აღძრავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ძმაო ჩემო, ადამიანი, რომელსაც შენ კონიაში ამ საქმისთვის წარგზავნი, შესაძლოა, უკან ვეღარ დაბრუნდეს; ამიტომ გთხოვ, სანამ მას ამ წერილს გადასცემდე, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე.

პატიებას გთხოვ იმისათვის, რომ რთულ მდგომარეობაში გაყენებ, მაგრამ ორივემ ვიცით, ღმერთი არასოდეს აგვკიდებს ისეთ ტვირთს, რომელსაც ვერ მოვერევით. ველი შენს პასუხს. იმედი ვიქონიოთ, რომ რაც უნდა გამოვიდეს ამ საქმიდან, უთუოდ სწორ ნაბიჯებს გადადგამ და სწორ გეზს აირჩევ. დაე, მუდამ გადგეთ რწმენის ნათელი შენ და შენს დავრიშებს.

მოძღვარი სეიდ ბურანედინი.“

შამსი

1243 წლის 18 დეკემბერი, ბაღდადი

ბარაქიანად ბარდნიდა, სახურავებზე ლოლუები ეკიდა. თოვლით გადაპენტილ შარაგზაზე შორიდანვე დავლანდეთ უცხო შიკრიკი. რომ მოგვიახლოვდა, გვამცნო, კაისერიდან მოვდივარო. აფორიაქდნენ დავრიშები; წელიწადის ამ დროს სტუმარი ისეთივე იშვიათობა იყო ჩვენში, როგორიც ყურძნის მწიფე მტევანი. ასეთ წარღვნაში შიკრიკი რომ წერილს მოგირბენინებს, ორ რამეს ფიქრობ: ან რაღაც საშინელება დატრიალდა, ან რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოხდა.

შიკრიკის გამოჩენამ დავრიშებში მითქმამოთქმა გამოიწვია. ყველას აინტერესებდა, რა შინაარსის წერილი მიართვა მან ოსტატს, მაგრამ ოსტატმა ერთი გადაკრული სიტყვაც არ გვაღირსა. დადიოდა გარინდებული, რაღაცაზე ჩაფიქრებული და თავის საიდუმლოს ცოცხალი თავით არ გვიმხელდა. ჩანდა, საკუთარ თავს ებრძოდა და გადაწყვეტილების მიღება უჭირდა.

იმ დღეებში, როცა ბაბა ზამანს თვალს ვადევნებდი, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა როდი მამოძრავებდა. გუმანით ვგრძნობდი, რომ წერილში იყო რაღაც ისეთი, რაც მე მეხებოდა, ოღონდ არ ვიცოდი, რა. საღამოობით სამლოცველოში შევიკეტებოდი და ღმერთის ოთხმოცდაცხრამეტივე სახელს ვახსენებდი, რათა მას სწორ გზაზე დავეყენებინე. ამ სახელებიდან ყოველთვის ერთი გამოირჩეოდა – ალჯაბარი, ანუ იგი, ვის სამეუფოშიც მისი ნების გარეშე არაფერი ხდება. გადიოდა დღეები, საძმოს წევრები გაცხარებით ბჭობდნენ. რა მოსაზრებას არ გამოთქვამდნენ... მე კი განმარტოებას ვამჯობინებდი. ბაღში გავდიოდი და ვაკვირდებოდი თოვლის მძიმე საბნის ქვეშ გატრუნულ ბუნებას.

ერთ დღესაც, სამზარეულოში ყოფნისას, სპილენძის ზარის ჟღარუნი ჩამესმა. ეს სასწრაფო შეკრების ნიშანი იყო.

ხანაკის მთავარ დარბაზში შევედი. უფროსი დავრიშებიდან ახალბედა მორჩილებამდე ყველა იქ დამხვდა. წრიულად ისხდნენ. შუაში ბაგემოკუმული და თვალებმიმქრალი ოსტატი იჯდა.

მან ჩაახველა და დაიწყო:

– ბისმილლაჰ! ალბათ, მკითხავთ, რად გვიხმეო. გიხმეთ, რათა იმ წერილზე გესაუბროთ, ახლახან რომ მივიღე. არა აქვს მნიშვნელობა, საიდან მოვიდა წერილი. საკმარისია, გითხრათ, რომ მან ჩემი ყურადღება ძალიან მნიშვნელოვან საგანს მიაპყრო. ბაბა ზამანი დადუმდა და ფანჯარაში გაიხედა. ისედაც სიფრიფანა და ფერმკრთალი, ამჯერად მთლად მილეული ჩანდა, თითქოს ამ დღეებში ერთბაშად დაბერებულიყო... მაგრამ როცა კვლავ ალაპარაკდა, ხმაში მოულოდნელი რიხი გაერია:

– აქედან არც ისე შორს ერთი დიდად განსწავლული კაცი ცხოვრობს. სიტყვის დიდოსტატია, მაგრამ მეტაფორებში მოიკოჭლებს, რადგან პოეტი არ არის. ის ათასობით ადამიანის სიყვარულის, პატივისცემისა და აღტაცების საგანია, მაგრამ თავად, მიზეზთა და მიზეზთა გამო (მათ ვერც მე და ვერც თქვენ ვერ ჩავწვდებით), სიყვარულისაგან შორს არის. ჩვენი სავანიდან ერთ-ერთი უნდა წავიდეს, გაიცნოს იგი და დაუმეგობრდეს.

გული მომეწურა, ნელა, ძალიან ნელა ამოვისუნთქე. უნებურად გამახსენდა ერთერთი წესი: „მარტოობა და განმარტოება სხვადასხვა რამ არის. მარტოკაცს თავის მოტყუება უწევს, აქაოდა, სწორ გზას ვადგავარო; ისევ განმარტოება გიჯობს: ამ დროს მარტო ხარ, მაგრამ მარტოსული მაინც არ გქვია. თუმცა საბოლოოდ ყველაფერს ის აჯობებს, იპოვო ადამიანი, რომელიც შენი სარკე გახდება. დაიმახსოვრე, მხოლოდ სხვა ადამიანის გულში დაინახავ შენს ნამდვილ სახეს და შენში ღვთის არსებობას.“

ოსტატი კი განაგრძობდა:

– აქ იმიტომ შეგყარეთ, რომ გკითხოთ, რომელი თქვენგანია მზად, თავისი ნებით იტვირთოს ეს სულიერი მოგზაურობა? შემეძლო, მე დამევალებინა ეს ერთ-ერთი თქვენგანისთვის, მაგრამ ეს საქმე მოვალეობის მოხდის მიზნით კი არა, მხოლოდდამხოლოდ სიყვარულით და სიყვარულისთვის უნდა გაკეთდეს.

ერთმა ახალგაზრდა დავრიშმა სიტყვა ითხოვა:

– ვინ არის ეს სწავლული, ოსტატო?

– მისი სახელის გამხელა მხოლოდ იმისთვის შემიძლია, ვისაც წასვლის სურვილი უკვე გაუჩნდა, – უპასუხა ბაბა ზამანმა.

რამდენიმე დავრიშმა მოუთმენლად ასწია ხელი. მსურველი ცხრა იყო. მათ მეათედ მეც შევუერთდი, მაგრამ ბაბა ზამანმა ხელი აღმართა, სათქმელი დამასრულებინეთო.

– არის კიდევ რაღაც, რაც წამსვლელმა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებლად უნდა იცოდეს, – თქვა მან.

შემდეგ გვიამბო, რომ ეს იყო ძალიან სახიფათო მოგზაურობა, წამსვლელს უამრავი სიძნელის გადალახვა მოუწევდა და ვერავინ იქნებოდა თავდები, რომ უკან ცოცხალი დაბრუნდებოდა

ერთბაშად ყველამ ჩამოსწია ხელი, ჩემ გარდა. ბაბა ზამანმა თვალი თვალში გამიყარა, რაც დიდი ხანი იყო, არ გაეკეთებინა. როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, მივხვდი მან თავიდანვე იცოდა, რომ ერთადერთი მოხალისე სწორედ მე ვიქნებოდი.

– შამს თებრიზ! – მომმართა ოსტატმა. ჩემი სახელი ისე გაჭირვებით და მძიმედ წარმოთქვა, თითქოს რაღაც ემწარაო. – პატივს ვცემ შენს გამბედაობას, მაგრამ შენ ამ საძმოს სრულუფლებიანი წევრი არ ხარ; მხოლოდ სტუმარი ხარ ჩვენი.

– არ მესმის, ამან რატომ უნდა დამაბრკოლოს, – ვთქვი მე.

ოსტატი ჩაფიქრდა. შემდეგ მოულოდნელად ადგა და დაასკვნა:

– მოდი, დროებით დავეხსნათ ამ საგანს. რომ გაზაფხულდება, კვლავ ვიმსჯელოთ მასზე.

სასტიკად აღვშფოთდი. ოსტატმა იცოდა, რომ ბაღდადში ჩემი ჩამოსვლის ერთადერთი მიზეზი ეს საბედისწერო მისია იყო და ახლა მისი შესრულების საშუალებას მისპობდა!

– რატომ აკეთებ ამას, ოსტატო? რაღას ველოდო, როცა ყოველ წუთს მზად ვარ წასასვლელად! დამისახელე ქალაქი და სწავლულის ვინაობა და ხვალვე გზას გავუდგები! – წამოვიძახე მე.

მაგრამ ბაბა ზამანმა უჩვეულოდ მკაცრი, ცივი ხმით მომიჭრა:

– აღარაფერია სამსჯელო. შეკრება დასრულებულია.

სასტიკი ზამთარი იყო იმ წელს. ყინვისაგან დამზრალ ბაღში არც ერთი ტოტი არ იძროდა. ჰოდა, იმ დღიდან აღარც მე დამიძრავს სიტყვა. სამი თვის განმავლობაში ვდუმდი. ყოველდღე დავხეტიალებდი სოფელში იმ იმედით, რომ სადმე მაინც მოვკრავდი თვალს გაკვირტულ ხეს, მაგრამ თოვლს თოვლი ემატებოდა, გაზაფხულის მოსვლას კი პირი არ უჩანდა. მართალია, ვწუხდი და ეს მეტყობოდა კიდეც, მაგრამ მადლიერების გრძნობა და იმედი არ მტოვებდა, რადგან ვითვალისწინებდი ერთ-ერთ წესს, რომელიც ჩემს სულიერ განწყობას შეესაბამებოდა:

„რაც უნდა მოხდეს შენს ცხოვრებაში, როგორც უნდა შეგაწუხოს და დაგზაფროს მომხდარმა, სასოწარკვეთას ნუ მიეცემი. ყველა კარი რომ ჩარაზული დაგხვდეს, ღმერთი ახალ კარს გააღებს, მხოლოდ შენთვის! იყავი მადლიერი! მადლიერება იოლია, როცა დალხინებული ხარ. სუფი მხოლოდ იმისთვის კი არ არის მადლიერი, რაც მიეცა, არამედ იმისთვისაც, რაზეც უარი მიიღო.“

ერთ დილით თოვლის ნამქერიდან ისე გამოანათა უჩვეულოდ ხასხასა ფერებმა, თითქოს ვიღაცამ ყურში ტკბილი სიმღერა ჩამღიღინა. თოვლიდან სამყურას ამოეყო თავი და პაწაწინა, იისფერი ყვავილები გაეფურჩქნა.

გული სიხარულით ამევსო. სავანეში დავბრუნდი, იქ ჩვენს წითურ მორჩილს შევეჩეხე და მხიარულად მივესალმე. ჩემს უხიაგ დუმილს შეჩვეულ მორჩილს გაოცებისგან პირი ღია დარჩა.

– გაიღიმე, ჭაბუკო! ვერ ხედავ, გაზაფხული მოგვადგა კარს! – შევძახე მე.

იმ დღიდან მიდამო საკვირველი სისწრაფით იცვლებოდა. ბოლო თოვლიც ჩამოდნა, ხეები გაიკვირტა, ირგვლივ ბეღურები და ბზეწვიები აფუსფუსდნენ. ცოტაც და, ჰაერში ნაზი, ტკბილი სურნელი დატრიალდა.

ერთ დილით კვლავ ჩაგვესმა სპილენძის ზარის წკარუნი. ვერავინ დამასწრო დარბაზში შერბენა. ისევ ირგვლივ შემოვუსხედით ოსტატს და მოვისმინეთ მისი ნაამბობი სასიქადულო მაჰმადიანი ღვთისმეტყველის შესახებ, რომლის ჭკუა ყველაფერს მისწვდა, ყველაფერი გადალახა, სიყვარულის გზაწვრილების გარდა. წასვლის მსურველი ისევ მხოლოდ მე ვიყავი.

– ვხედავ, შამსი ერთადერთი ადამიანია თქვენ შორის, ვისაც ნებით სურს წასვლა, – თქვა ბაბა ზამანმა. საუბრისას თანდათან ხმას იმაღლებდა და ბოლოს მისი ხმა ქარის კივილს დაემსგავსა. – მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას შემოდგომამდე მაინც არ მივიღებ, – გამოგვიცხადა უცებ.

თავზარი დამეცა. ყურს არ დავუჯერე. სამი თვე ვიცადე, ყოველ წუთს მზად ვიყავი გასამგზავრებლად, ის კი ამ საქმის კიდევ ექვსი თვით გადადებაზე ლაპარაკობდა! სული ყელში მომებჯინა. გავიბრძოლე, ავვიშვიშდი, ლამის შევტირე, მითხარი ქალაქი და სწავლულის ვინაობა-მეთქი, მაგრამ ოსტატი უარზე იყო.

თუმცა, ამჯერად ვიცოდი, რომ ლოდინი უფრო გამიადვილდებოდა და რომ ეს ბოლო გადავადება იყო. თავს ვიმშვიდებდი, სადაც ამდენი მომითმენია, გაზაფხულიდან შემოდგომამდეც როგორმე მოვთოკავ-მეთქი თავს. ბაბა ზამანის უარმა სულიერად არ გამტეხა. პირიქით, გული მომეცა და კიდევ უფრო გავძლიერდი. ჩემი ერთ-ერთი წესიც ამავეს ამბობდა: „მოთმინება გაძლებას როდი ნიშნავს. მოთმინება შორსმჭვრეტელობაა, რომელიც საბოლოო შედეგის გარდაუვალობაში გარწმუნებს. მოთმინება ის არის, ეკალს რომ უყურებ და ვარდს ხედავ, ღამეს რომ უყურებ და განთიადს ჭვრეტ. მოუთმენლობა კი სიბეცეა, შედეგის განჭვრეტის უუნარობაა. ღვთის მოყვარულთ მოთმინება არასოდეს ელევათ, რადგან იციან, რომ ნამგალა მთვარის სავსე მთვარედ გადაქცევას დრო სჭირდება“.

როცა შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს კვლავ აწკრიალდა სპილენძის ზარი, აუჩქარებლად და გულდაჯერებულად შევაბიჯე ოთახში იმ იმედით, რომ ამჯერად ყველაფერი მოგვარდებოდა. ოსტატი ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი და მისუსტებული ჩანდა, თითქოს საბოლოოდ გამოლეოდა ენერგია... თუმცა, როცა დაინახა, რომ ჩემსას არ ვიშლიდი და კვლავინდებურად ხელს მაღლა ვწევდი, ზურგი

აღარ მაქცია და აღარც სიტყვა ამიგდო ბანზე, პირიქით, თავი დამიქნია და მტკიცედ მითხრა:

– კეთილი, შამს. ცხადზე ცხადია, შენ ის კაცი ხარ, ვინც ამ გზას უნდა დაადგეს. ხვალ დილითვე აქაურობას გაეცლები, ინშალა!

ხელზე ვემთხვიე. ნანატრი შეხვედრა შორს აღარ იყო! ბაბა ზამანმა თავისი ფიქრიანი თვალებით შემომხედა და ისე თბილად შემომღიმა, როგორც მამა უღიმის ხოლმე ბრძოლის ველზე მიმავალ ვაჟს. შემდეგ თავისი ჭაობისფერი ხალათის ჯიბიდან დაბეჭდილი წერილი ამოიღო, გადმომცა და ოთახი უსიტყვოდ დატოვა. სხვები უკან გაჰყვნენ. მარტო დარჩენილმა წერილს ბეჭედი ავხსენი და კითხვა დავიწყე.

გაკრული, ლამაზი ხელით დაწერილი ამ უსტარიდან ორი რამ შევიტყვე: ქალაქის დასახელება და სწავლულის ვინაობა. ერთი სიტყვით, კონიაში უნდა წავსულიყავი და იქ ვინმე რუმი გამეცნო. გულმა რეჩხი მიყო. ეს სახელი ადრე არასოდეს მსმენოდა. ოსტატისგან ვიცოდი, რომ ეს კაცი განთქმული სწავლული იყო, მაგრამ სხვა მხრივ ჩემთვის იდუმალებით გახლდათ მოცული.

სათითაოდ წარმოვთქვი მისი სახელის შემადგენელი ასოები: ჟღერადი და კაშკაშა რ; ხავერდოვანი უ; მედგარი მ და ბოლოს იდუმალი, ჯერაც ამოუხსნელი ი... შემდეგ ეს ასოები შევაერთე და მისი სახელი ზედიზედ რამდენჯერმე ჩურჩულით გავიმეორე, სანამ ეს სიტყვა შაქარყინულივით არ დამადნა ენაზე და ისეთივე ახლობელი არ გახდა, როგორიც „წყალი“, „პური“, ან „რძე“.

<u>ელა</u>

<u>2008 წლის 22 მაისი, ნორთჰემპტონი</u>

ბუმბულის საბანში თბილად გახვეულ ელას მაინც უსიამოვნოდ აციებდა, ყელი ისე სტკიოდა, ნერწყვს გაჭირვებით ყლაპავდა. დაღლილობამაც დარია ხელი. გვიან დაძინებამ და ზედმეტმა ალკოჰოლმა თავისი ქნა. მაინც წამოდგა, საუზმის მოსამზადებლად ქვევით ჩავიდა და შემდეგ ქმარშვილთან ერთად ისაუზმა. სუფრასთან ტყუპი, როგორც ყოველთვის, უდარდელად ლაყბობდა. ამჯერად საუბარი სკოლაში საუკეთესო მანქანებით მოგრიალებულ კლასელებს ეხებოდა. ელა ცდილობდა, მათთვის ყურადღებით მოესმინა, თუმცა, ერთი სული ჰქონდა, თავის ოთახში ასულიყო და ძილი შეებრუნებინა. უცებ ორლი დედას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– დე, ეივი ამბობს, ჯენეტი სახლში დაბრუნებას აღარ აპირებსო, მართალია?

გოგონას ხმაში ეჭვი და საყვედური ჟღერდა.

– არა, რას ამბობ. უბრალოდ, წავკინკლავდით, ერთმანეთი კი არ შეგვძულებია, – უთხრა ელამ.

– მართალია, რომ სკოტს ელაპარაკე და ჯენეტთან განშორება შესთავაზე? – იკითხა ეივიმ გესლიანი ღიმილით. ეტყობოდა, ძალიან სიამოვნებდა ამ თემაზე საუბარი.

ელამ ქმარს თვალები დაუბრიალა, მაგრამ დევიდმა ხელები გაასავსავა, აქაოდა, არ გეგონოს, მე ვუთხარიო.

ელამ ადვილად გაიმკაცრა ხმა, რადგან ამ საქმეში გაწაფული იყო. ასეთ მბრძანებლურ ტონს, ჩვეულებრივ, მაშინ იყენებდა, როცა ბავშვებს მითითებებს აძლევდა.

– არა, მთლად ასე არ არის. სკოტს მართლაც დავურეკე, მაგრამ არ მითქვამს, ჯენეტი მიატოვე-მეთქი. მხოლოდ ვთხოვე, დაქორწინება არ ეჩქარათ.

– მე არასოდეს გავთხოვდები! – მტკიცედ გამოაცხადა ორლიმ.

– კალთას არავინ დაგახევს! – უკბინა ეივიმ.

ტყუპის კინკლაობაზე ელას, რატომღაც, ნერვიულად გაეღიმა. თავის შეკავება სცადა, მაგრამ ღიმილი თითქოს ტუჩებზე აეკრა და მანამდე ვერ მოიშორა, სანამ ოჯახის წევრები კარამდე არ მიაცილა. სუფრას რომ მიუბრუნდა და თავი მარტო დაიგულა, კოპები მაშინღა შეკრა.

სამზარეულო ისე გამოიყურებოდა, თითქოს ვირთხების მთელ არმიას ეთარეშა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა ნახევრად შეჭმული ერბოკვერცხი, ფაფის ნარჩენები და დასვრილი ჭიქები. სპირიტიც მოუსვენრად წრიალებდა, სასეირნოდ წასვლას ითხოვდა, მაგრამ ელას მისთვის არ ეცალა. ორმა ჭიქა ყავამ და ხილის წვენმაც კი ვერ შემატა ძალა, ამიტომ ძაღლი მხოლოდ რამდენიმე წუთით გაიყვანა ბაღში. ბაღიდან მობრუნებულს ავტომოპასუხე წითლად აციმციმებული დახვდა. ელამ ღილაკს ხელი დააჭირა და მისდა სასიხარულოდ ოთახი ჯენეტის მელოდიურმა ხმამ აავსო.

„დე, სახლში ხარ? ალბათ, არ ხარ, თორემ ყურმილს აიღებდი, – ჩაიკისკისა ჯენეტმა, –- მოკლედ, ისე გამაბრაზე, შენი დანახვა არ მინდოდა, მაგრამ უკვე გამიარა. დამეთანხმე, არ გამოგივიდა კარგად. სკოტისთვის არ უნდა დაგერეკა. თუმცა ისიც მესმის, რატომ მოიქეცი ასე... ნუ გადამეფოფრები ხოლმე, რა... გაიგე, აღარ ვარ თოთო ბავშვი, ნაადრევად რომ დაიბადა და ინკუბატორში ზრდიდი. შეწყვიტე ეს ქოთქოთი და ცოტა მიმიშვი, კარგი?“

ელას თვალები ცრემლით აევსო. ახალშობილი ჯენეტი მოაგონდა. სასუნთქ მილზე მიერთებული, უსუსური, წითელი არსება, ერთი ბეწო, თითქმის გამჭვირვალე, დაჭმუჭნილი თითებით, საამქვეყნო პირი რომ არ უჩანდა... რამდენი ღამე გაუთევია მის სასთუმალთან. რამდენჯერ მიუყურადებია მისი სუნთქვისთვის, რამდენჯერ დაეჭვებულა, ცოცხალი იყო თუ არა, ან საერთოდ, თუ იცოცხლებდა...

„ჰო, დე, კიდევ ერთი რამე მინდა გითხრა, – დასძინა ჯენეტმა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, თითქოს გვიან გაახსენდაო, – მიყვარხარ!“

ელამ ამოიოხრა. უცებ ფიქრი აზიზის წერილისკენ გაექცა. ნატვრის ხემ შეისმინა აზიზის ვედრება, ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი ნაწილი. ჯენეტმა თავისი გასაკეთებელი გააკეთა. ახლა ელას ჯერი იყო, დანარჩენი მას უნდა გაეკეთებინა. ელამ ქალიშვილს მობილურზე დაურეკა. ჯენეტი კამპუსის ბიბლიოთეკაში მიდიოდა.

– მივიღე შენი შეტყობინება, საყვარელო. ახლა მე მომისმინე. ბოდიში მინდა მოგიხადო.

ამ სიტყვებს მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი პაუზა მოჰყვა.

– მოიცა, დედა...

– არა, მომისმინე. მეტი პატივისცემით უნდა მოვკიდებოდი შენს გრძნობებს...

– დავივიწყოთ, კარგი? – თქვა ჯენეტმა ისეთი ტონით, თითქოს ის იყო დედა, ელა კი მისი გაურჩებული ქალიშვილი.

– კარგი, ასე იყოს.

ჯენეტმა ხმას დაუწია და უცებ ჩურჩულზე გადავიდა, თითქოს პირზე მომდგარი შეკითხვის ხმამაღლა წარმოთქმის ეშინოდა.

– ცოტა შემაწუხა შენმა ამასწინანდელმა ნათქვამმა. მართლა უბედური ხარ?

– რა თქმა უნდა, არა, – სწრაფად ალაპარაკდა ელა, – როგორ შეიძლება უბედური იყოს დედა, რომელმაც სამი მშვენიერი შვილი გაზარდა?!

მაგრამ ჯენეტისთვის ასეთი საბუთი ნაკლებდამაჯერებელი აღმოჩნდა.

– მე მხედველობაში მქონდა... მამასთან...

ელას სიმართლის თქმის გარდა აღარაფერი დარჩენოდა:

– მე და მამაშენი დიდი ხანია ცოლ-ქმარი ვართ, ძნელია ამდენ ხანს სიყვარულის შენარჩუნება.

– მესმის... – თქვა ჯენეტმა და რაოდენ უცნაურიცუნდა ყოფილიყო, ელას მოეჩვენა, რომ შვილმა მართლაც გაუგო.

ელამ ყურმილი დადო, თავის სარწეველა სავარძელში ფეხმორთხმით მოიკალათა და სიყვარულზე ფიქრს მიეცა: „როგორ უნდა ეყოს ჩემსავით გულნატკენ და სკეპტიკურად განწყობილ ადამიანს ძალა, კვლავ განიცადოს სიყვარული? ეს გრძნობა ხომ მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც ამ შეშლილ სამყაროში იოტისოდენა პოეზიას მაინც ხედავს, ან რაღაც ხელჩასაჭიდი ჯერ კიდევ ეგულება. მაგრამ იმათ რა ეშველებათ, ვინც ფარხმალი დაყარა და დიდი ხანია, აღარაფერს ეძებს?“

სანამ დღე მიიწურებოდა, აზიზს პასუხი მისწერა:

„ძვირფასო აზიზ (თუ ნებას მომცემთ, ასე მოგმართოთ)!

დიდი მადლობა თბილი გამოხმაურებისათვის, რომელიც ოჯახური კრიზისის დაძლევაში დამეხმარა. მე და ჩემმა ქალიშვილმა გადავლახეთ ის საშინელება, რომელსაც თქვენ თავაზიანად „გაუგებრობა“ უწოდეთ. თქვენ ერთ რამეში მართალი აღმოჩნდით: მე მუდმივად ვმერყეობ ორ სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობას: აგრესიასა და პასიურობას შორის. ან ზედმეტად ვერევი საყვარელი ადამიანების ცხოვრებაში, ან სრულიად უმწეო ვარ და ვერაფერს ვუშლი მათ.

რაც შეეხება თქვენს ნახსენებ მინებებას, მინდა გითხრათ, რომ მშვიდობიანი კაპიტულაციის ეს ფორმა ჩემთვის უცხოა. ნამდვილად არ მგონია, ჩემგან ოდესმე სუფი გამოვიდეს, მაგრამ ერთ რამეს კი გეტყვით: რაღაც საოცარი ძალა მართლაც ამოქმედდა და ქალიშვილთან ურთიერთობა ჩემი სურვილისამებრ მხოლოდ იმის შემდეგ აეწყო, რაც მის საქმეში ჩარევა შევწყვიტე. დიდ მადლობას გიხდით ამისთვის. მეც სიამოვნებით ვილოცებდი თქვენთვის, მაგრამ იმდენი ხანია, ღვთის კარზე არ მიმიკაკუნებია, რომ უკვე მეეჭვება, ისევ იქ ცხოვრობს თუ არა. უჰ, მგონი მეც იმ მეფუნდუკესავით ავლაპარაკდი... თუმცა ნუ გეშინიათ, ისეთი ბოღმა ნამდვილად არ ვარ. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით...

თქვენი მეგობარი ნორთჰემპტონიდან ელა.“

წერილი ბაღდადიდან კაისერიში

1243 წლის 29 სექტემბერი

„ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ! ძმაო, სეიდ ბურანნედინ!

მშვიდობა შენდა. წყალობა და კურთხევა ნუ მოგაკლოს მაღალმა ღმერთმა. ძალიან მასიამოვნა შენმა წერილმა. როგორც გავიგე, კვლავინდებური ერთგულებით ადგახარ სიყვარულის გზას. მაგრამ ამ წერილმა, იმავდროულად, საგონებელშიც ჩამაგდო. რუმისათვის ჯუფთს ვეძებო, მწერ. უკვე ვიცი, ვინც უნდა იყოს იგი, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რა ნაბიჯები უნდა გადავდგა. საქმე ის არის, რომ ჩემს თავშესაფარს მოხეტიალე დავრიში შეეხიზნა, სახელად შამს თებრიზი. ეს კაცი ზედმიწევნით შეესაბამება შენ მიერ აღწერილ პიროვნებას. შამსი ამტკიცებს, რომ ამ ქვეყანას განსაკუთრებული მისიით მოევლინა. მისი თქმით, მან უნდა განანათლოს განათლებული პიროვნება. ეს კაცი შეგირდებს არ დაეძებს, იგი ღმერთს მხოლოდ სულიერი მეგზურის პოვნას შესთხოვს.

ერთხელ ასეთი რამ მითხრა: „მე ჩვეულებრივ მოკვდავთათვის როდი მოვსულვარ ამქვეყნად. მხოლოდ მას უნდა დავადო მაჯაზე ხელი, ვინც მსოფლიოს ჭეშმარიტებისაკენ გაუძღვებაო“. როცა შენი წერილი მივიღე, მივხვდი, რომ რუმის გაცნობა სწორედ შამსის ხვედრი იყო, მაგრამ მაინც სათითაოდ გამოვცადე ჩემი დავრიშები, რათა ყველა მათგანისათვის თანაბარი შესაძლებლობა მიმეცა. ამიტომ კვლავ შევკრიბე ისინი და წვრილმანების დაზუსტების გარეშე, ზოგადად ვუამბე სწავლულზე, რომლის გული სიყვარულისათვის უნდა განიღოს... მსურველი თავისთავად ცოტა აღმოჩნდა, მაგრამ შამსი იყო ერთადერთი, ვინც უკან მაშინაც კი არ დაიხია, როცა ამ ამოცანის შესრულებისას მოსალოდნელ საფრთხეებზე ვუამბე.

ეს ამბავი ზამთარში მოხდა. იგივე განმეორდა გაზაფხულსა და შემოდგომაზეც. რაღას აყოვნებდიო, მკითხავ, ალბათ. მეც ბევრი ვიფიქრე ამაზე და მხოლოდ ერთი მიზეზი შემიძლია დავასახელო: დროთა განმავლობაში ძალიან შემიყვარდა შამსი და ფათერაკისთვის ვერ გავიმეტე.

საქმე ის გახლავს, რომ შამსი არ არის მარტივი პიროვნება. იგი მომთაბარე ცხოვრებას ეწევა და ხეტიალი არ გაუძნელდება, მაგრამ თუ ქალაქში დამკვიდრდა და ხალხში გაერია, ვშიშობ, შარს არ დაერიდება და ბარე ორს „აუშლის ბუმბულს...“ ამიტომ შეძლებისდაგვარად ვწელავდი მის გამგზავრებას.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და მისი გამგზავრების წინა საღამოს მე და შამსმა თუთის ხეებთან ჩავისეირნეთ, სადაც მე აბრეშუმის ჭიას ვზრდი. უნაზესი და ამავე დროს, საოცრად გამძლე აბრეშუმი სიყვარულსა ჰგავს. შამსს ვუამბე, როგორ ანადგურებს ჭია ჭუპრიდან გამოჩეკისას თავისსავე ნახელავს. ამიტომაც უწევს მეაბრეშუმე გლეხს არჩევანის გაკეთება ჭიასა და ძაფს შორის. ხშირად ის ჭუპრშივე სპობს ჭიას, რათა ძაფი დაუზიანებლად ამოიღოს. ასე რომ, ერთი აბრეშუმის თავსაფარი ასობით აბრეშუმის ჭიის სიცოცხლეს იწირავს.

საღამო იწურებოდა. გრილმა ნიავმა წამოუბერა. შემამცივნა. ასაკოვანი კაცი ვარ და ხშირად მემართება ეს, მაგრამ მივხვდი, ამჯერად ასაკი არაფერ შუაში იყო. ჟრჟოლა სხვა რამემ მომგვარა: ვიცოდი, შამსი უკანასკნელად იდგა ჩემს ბაღში და ერთმანეთს ველარასოდეს ვნახავდით. ყოველ შემთხვევაში, სააქაოს. როგორც ჩანს, თვითონ შამსმაც იგრძნო ეს და თვალებში ნაღველი ჩაუდგა...

ამ დილით უთენია დამადგა თავზე, ხელზე მეამბორა და დამლოცეო, მთხოვა. გავოცდი: თავისი შავი, გრძელი თმა შეეკრიჭა, წვერი მოეპარსა... მიზეზი არ აუხსნია და არც მე ჩავძიებივარ. ერთმანეთს რომ ვშორდებოდით, ასეთი რამ მითხრა:

– ვხედავ, ამ საქმეში აბრეშუმის ჭიობა უნდა ვიკისრო. მე და რუმი ღვთაებრივი სიყვარულის ჭუპრს უნდა შევეხიზნოთ და დღის სინათლეზე მხოლოდ მაშინ გამოვიდეთ, როცა საამისო ჟამი დადგება, როცა ძვირფასი აბრეშუმი საბოლოოდ ამოიხვევა. ოღონდ აბრეშუმის გადასარჩენად ჭიის სიკვდილია საჭირო...

წავიდა შამსი კონიაში. ღმერთი იყოს მისი შემწე. ვიცი, სწორად მოვიქეცით მეცა და შენც, მაგრამ გული მაინც დარდით მევსება, რადგან უკვე მენატრება ყველაზე უჩვეულო და უმართავი დავრიში, რომლისთვისაც კი ოდესმე ჩემს სავანეში მიმასპინძლია.

ყველანი უფალს ვეკუთვნით და მასვე მივუვალთ.

შეგეწიოს უფალი.

ბაბა ზამანი.“

მორჩილი

1243 წლის 29 სექტემბერი, ბაღდადი

ბარე ბევრს გავუფრთხილებივარ, მაგ საქმეს ნუ შეეჭიდებიო, მაგრამ ერთი რამის თქმა ყველას დაავიწყდა: იმისთვის, რომ დავრიში გახდე, ნამდვილი ჯოჯოხეთი უნდა გამოიარო. რაც აქ დავსახლდი, სახედარივით ვარ წელში გაწყვეტილი. თითქმის ყოველდღიურად იმდენი შრომა მიწევს, რომ დღის ბოლოს ლოგინამდე ძლივს ვაღწევ და ღამეებს თეთრად ვათენებ, იმიტომ, რომ ყველა კუნთი და სახსარი მტკივა, ფეხები კი რუმბივით მაქვს დასივებული.

ნეტავ ვინმე თუ ხედავს, რა დღეში ვარ? ნუ გეშინიათ, ყველაფერს ხედავენ, მაგრამ არ იმჩნევენ. არც ერთ მათგანს თანაგრძნობის ნასახი არ ეტყობა. თან რაც მეტს გამოიდებ თავს, უარესია. ზედ არავინ გიყურებს. ჩემი სახელიც კი არ იციან. „ახალი მორჩილი“ ასე მახსენებენ ხოლმე; ჰო, მართლა, ზურგს უკან „წითურ უვიცსაც“ მიწოდებენ...

ყველაზე დიდი წამება მზარეულის მეთვალყურეობით სამზარეულოში მუშაობაა. ამ კაცს გულის მაგივრად ქვა უდევს მკერდში. მონღოლების ჯარის პირსისხლიანი მეთაურობა უფრო შეეფერება, ვიდრე დავრიშების სავანის მზარეულობა. არ მახსოვს, ვინმესთვის წესიერი სიტყვა ეთქვას ოდესმე. ღიმილი ხომ საერთოდ არ ეხერხება...

ერთხელ უფროს დავრიშს ვკითხე, ამ მზარეულის ხელში მაინცდამაინც ყველა მორჩილმა უნდა გაიაროს-მეთქი? იდუმალი ღიმილით ჩაიღიმა და მიპასუხა:

– ყველამ არა. მხოლოდ ზოგიერთმა.

– მე რატომ ამირჩიეს? რატომ უნდა ჩვენს ოსტატს, რომ სხვა მორჩილებზე მეტად დავიტანჯო? ნუთუ იმიტომ მხედნით ასე უმოწყალოდ, რომ ჩემი ნაფსი სხვებისას სწონის და მეტი წვრთნა მჭირდება? ყოველ დილით სხვებზე ადრე ვიღვიძებ და წყაროდან წყალს ვეზიდები, შემდეგ ღუმელს ვანთებ და შირბახტის პურებს ვაცხობ. საუზმისათვის წვნიანის მომზადებაც ჩემი მოვალეობაა. ორმოცდაათი სულის დაპურება იოლი საქმე არ არის. ყველაფერი ლამის აბაზანისხელა ქვაბებში იხარშება. მათი გახეხვა ვის უწევს, იმასაც ადვილად მიხვდებით, ალბათ. დილიდან საღამომდე ჩვრებს დავარბენინებ, მტვერს ვწმენდ, კიბის საფეხურებსა და ეზოს ვგვი, შეშას ვაპობ და დაოთხილი ვხეხავ იატაკის გაცვეთილ ფიცრებს. ხილფაფებისა და მწნილების დამზადებაც მე მევალება. სტაფილოსა და ყაბაყს მარილწყალში ვაწყობ. შესამოწმებლად კვერცხს ვაგდებ ხოლმე შიგ. თუ კვერცხი ამოტივტივდა, სამწნილე წვენი მზად არის. თუ გადავამლაშე ან მარილი დავაკელი, მზარეული ცოფებს ყრის და ყველაფერს თავზე მამხობს. სხვა რა ჩარა მაქვს, მოვყვები და თავიდან ვიწყებ...

ჰო, ჯერ მთავარი არ მითქვამს, არადა, ეს არის, რაც არის: როცა ვსაქმიანობ, თან არაბულად უნდა ვილოცო. მზარეული მთხოვს, რომ რაც შეიძლება ხმამაღლა ვილაპარაკო, რათა არასწორად წარმოთქმული ან გამორჩენილი სიტყვა არ გამოეპაროს. მეც ვლოცულობ და ვმუშაობ, ვმუშაობ და ვლოცულობ...

– რაც მეტს ივაჟკაცებ და გაუძლებ აქაურობას, მით უფრო მალე დაღვინდები, შვილო. სანამ მზარეულობას სწავლობ, შენი სული ნელ ცეცხლზე დუღს და იშუშება, – მეჩიჩინება ჩემი მტანჯველი.

– რამდენ ხანს გაგრძელდება ეს გამოცდა? – ვკითხე ერთხელ.

– ათას ერთი დღე! თუკი შეჰერაზადამ იმდენი მოახერხა, რომ ათას ერთი ღამე სალაპარაკო არ გამოილია, შენ როგორ ვერ უნდა გაძლო?!

მოდი და ნუ გაგიჟდები! გატლეკილ შეჰერაზადას არ შემადარა?! მუთაქებზე წამოკოტრიალებული, ფეხი ფეხზე გადადებული რომ ჩმახავდა რაღაცებს და ვიღაც წუწკ უფლისწულს ამ იწილო-ბიწილოთი და ტკბილი ყურძნით თაფლავდა. ეს არის შრომა?! აბა, ერთი, ჩემს დღეში ჩავარდნილიყო! ერთ კვირაში სული გასძვრებოდა!

არ ვიცი, ვინმე დღეებს თუ ითვლის ამ სავანეში. მე, დიახაც, ვითვლი და ვიცი, რომ აქ კიდევ 624 დღე უნდა გავატარო.

ჩემი გამოცდის პირველი ორმოცი დღე ისეთ ვიწრო და დაბალჭერიან სენაკში გავატარე, რომ ვერც დაწოლას ვახერხებდი და ვერც წამოდგომას. მუხლებზე დამხობილი ვათენ-ვაღამებდი. იმ შემთხვევისთვის, თუ რაიმე სასუსნავს ან ფუფუნების საგანს ვინატრებდი, ან სიბნელისა და სიმარტოვის შემეშინდებოდა, ან მთლად ღმერთი გამიწყრებოდა და სიზმარში ქალის სხეულით დავტკბებოდი, ნაბრძანები მქონდა, სულის სახსნელად ჭერიდან გადმოკიდებული ვერცხლის ზარები დამეწკარუნებინა. მე ეს არ გამიკეთებია, თუმცა, რომ გითხრათ, ზემოთ ხსენებული ცდუნებები საერთოდ არ გამხსენებია-მეთქი, მოგატყუებთ. რა გასაკვირია, გაუნძრევლად მჯდომ კაცს ცდუნებისკენ ფიქრი გაგექცეს?

როცა განმარტოების პერიოდი დასრულდა, ისევ სამზარეულოში მიკრეს თავი. ვის ხელში ჩავვარდი და რა დღე დამადგა, უკვე იცით.

ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია: ძალიან კი მამწარებდა ეს მზარეული, მაგრამ მისი დადგენილი წესებისთვის ერთხელაც არ გადამიხვევია, თუ არ ჩავთვლით იმ საღამოს, როცა შამს თებრიზი გვესტუმრა. მაშინ კი იცოცხლეთ, ფეხქვეშ გამიდო და იმდენი მირტყა, კინაღამ სული გამაფრთხობინა. ერთმანეთის მიყოლებით დამატეხა თავზე ტირიფის წკნელები. დილით ჩემი ფეხსაცმელი ზღურბლთან დააწყო, წვეტებით ეზოსკენ, იმის ნიშნად, რომ ჩემი წასვლის დრო მოვიდა. დავრიშთა სავანიდან პირდაპირ არავინ გაგდებს, არავინ გეუბნება, რომ მარცხი განიცადე. ჩუმად წასვლას გაიძულებენ.

მერე დამადგა თავზე და მეუბნება:

– ნაძალადევად ვერავინ გაქცევს დავრიშად. ვირი შეიძლება წყალთან მიიყვანო, მაგრამ წყალს ძალით ვერ დაალევინებ; ვირს წყალი უნდა მოსწყურდეს. სხვანაირად არ გამოვა.

ვირი, რა თქმა უნდა, მე ვიყავი...

სიმართლე გითხრათ, სავანეს უფრო ადრეც დავტოვებდი, შამს თებრიზი რომ არა. ცნობისწადილმა მიმაჯაჭვა იქაურობას. მსგავსი ადამიანი არასოდეს შემხვედრია. მას არავისი ეშინოდა და არავის ემორჩილებოდა. მზარეულიც კი პატივს სცემდა. თუ ოდესმე მისაბაძი ვინმე მყოლია, სწორედ ეს მომხიბვლელი, ღირსეული და ქედუხრელი პიროვნება იყო და არა ჩვენი მოკრძალებული, მოხუცი ოსტატი.

დიახ, შამს თებრიზი ჩემი გმირი გახლდათ. მისი გაცნობის შემდეგ მივხვდი, რომ თვინიერ დავრიშად გადაქცევა ჩემი საქმე არ იყო. ცოტა ხანს მის გვერდით ყოფნა რომ დამცალდეს, ალბათ, მასავით გაბედული, მტკიცე და მეამბოხე კაცი დავდგებიმეთქი, ვფიქრობდი. ამიტომ, როგორც კი შემოდგომა მოვიდა და მივხვდი, რომ შამსი სამუდამოდ გვტოვებდა, გადავწყვიტე, მეც თან გავყოლოდი.

როცა გადაწყვეტილება საბოლოოდ მივიღე, ბაბა ზამანს ვეახელი. ოსტატი იჯდა და ზეთის ლამპრის შუქზე ძველ წიგნს კითხულობდა.

– რა გნებავს, მორჩილო? – მკითხა მან ისეთი მილეული ხმით, თითქოს ჩემი დანახვაც კი ღლიდა.

მიკიბმოკიბვის გარეშე ვაუწყე სათქმელი:

– ოსტატო, გავიგე, რომ შამს თებრიზი მალე გვტოვებს. თან მინდა ვეახლო. ალბათ, თანამგზავრი დასჭირდება.

– არ მეგონა, ასე თუ გიყვარდა, – დაეჭვებით მითხრა ოსტატმა, – იქნებ სამზარეულოს მოვალეობებს გაურბიხარ? შენი გამოცდა ჯერ არ დასრულებულა. შენ ჯერ დავრიშსაც ვერ გიწოდებს კაცი...

– შამსისნაირ კაცთან ერთად მგზავრობა უფრო დიდ გამოცდად მიმაჩნია, – ვუპასუხე მე. ვიცოდი, რომ ამის თქმა თავხედობა იყო, მაგრამ მაინც ვთქვი.

ოსტატმა თვალები დახარა და ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა. რაც მეტხანს დუმდა, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი თავგასულობისთვის აუცილებლად გამკიცხავდა, ჩემს თავს კვლავ მზარეულს გადააბარებდა და კიდევ უფრო მკაცრად მოსთხოვდა ჩემს გაწვრთნას. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ერთი გადმომხედა, თავი უიმედოდ გააქნია და მითხრა:

– ასეთი ცხოვრება, ალბათ, საშენო არ იყო, შვილო. შვიდი მორჩილიდან, რომლებიც ამ გზას ადგებიან, საბოლოოდ ერთი რჩება. გული მეუბნება, რომ დავრიშობა არ შეგეფერება და შენი ყისმეთი სხვაგან უნდა ეძებო. რაც შეეხება შამსის თანამგზავრობას, ეგ თვითონ მას ჰკითხე.

გაფრთხილება მივიღე. ოსტატმა ხელის თავაზიანი, მაგრამ მტკიცე მოძრაობით მაგრძნობინა, რომ საუბარი დამთავრდა და თავის წიგნს მიუბრუნდა. თავი რაღაც საცოდავ კაცუნად ვიგრძენი, მაგრამ თან თითქოს ფრთებიც შემესხა.

შამსი

1243 წლის 30 სექტემბერი, ბაღდადი

ბევრი აღარ მიფიქრია, ცხენს მოვახტი, გზას გავუდექი და ახლა საშინელ ქარში მივიბრძოდი წინ. მხოლოდ ერთხელ შევჩერდი და უკან მოვიხედე. დავრიშთა სავანე თუთის ხეებსა და ბუჩქნარში შეყუჟულ ჩიტის ბუდეს ჰგავდა. გონებაში წამით ბაბა ზამანის დაღლილმა სახემ გამიელვა. ვიცოდი, რომ ძალიან ჯავრობდა ჩემ გამო, მაგრამ მიზეზი არ მესმოდა. მე ხომ ამიერიდან სიყვარულის გზაზე შემდგარი ყარიბი ვიყავი. ცუდი რა უნდა მომხდარიყო? ჩემი მეათე წესი ამბობდა:

„არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, აღმოსავლეთისაკენ აიღებ გეზს თუ დასავლეთისაკენ, ჩრდილოეთისკენ თუ სამხრეთისკენ. მხოლოდ ერთ რამეში უნდა იყო დარწმუნებული: ნებისმიერი მოგზაურობა არის მოგზაურობა საკუთარ თავში. თუ საკუთარ თავში მოგზაურობ, მთელ ქვეყნიერებას მოივლი და მის სამანებსაც კი გაარღვევ...“

სიძნელეებს დიახაც ველოდი, მაგრამ არ ვუფრთხოდი მათ. რა ხვედრიც უნდა მრგებოდა კონიაში, ყველაფერს სიხარულით მივიღებდი. მე სუფი ვიყავი და თავის დროზე მასწავლეს, რომ ვარდი ეკალთან ერთად უნდა მიმეღო, სიცოცხლის სილამაზე კი სიძნელეებთან ერთად. ჩემი მორიგი წესიც ამ მოსაზრების გამოძახილი იყო:

„ბებიაქალმა კარგად იცის: ტკივილის გარეშე ბავშვი დედის საშოდან ვერ გამოაგნებს და ვერ დაიბადება. ვერც შენი ახალი მე დაიბადება სიძნელეების გარეშე. თიხას გამოსაკვერად დიდი სიმხურვალე სჭირდება. ასეა სიყვარულიც: მან დიდი ტკივილი უნდა გამოიაროს, რომ სრულყოფას მიაღწიოს.“

სავანიდან წასვლის წინა ღამეს ფანჯრები გავაღე, რათა ჩემი ოთახი ღამის ხმებითა და სურნელებით ავსებულიყო. შემდეგ სარკეს მივადექი და სანთლის მბჟუტავ შუქზე თმა გავიკრიჭე. გრძელი, გრუზა თმა ბღუჯაბღუჯა ცვიოდა იატაკზე, ჩემს ფეხებთან. წვერ ულვაშიც მოვიპარსე და წარბებიც მოვიცილე. როცა ამ საქმეს მოვრჩი და საკუთარი სახე სარკეში შევათვალიერე, უფრო ნათელი, უფრო ჭაბუკური მეჩვენა იგი. სრულიად

თმაგაცლილს, უსახელო, უასაკო და უსქესო იერი მისცემოდა. ამ სახეს აღარც წარსული ჰქონდა და აღარც მომავალი; იგი იმ ერთ წუთში გაშეშებულიყო სამუდამოდ.

– შენი მოგზაურობა უკვე გცვლის, – მითხრა მოძღვარმა, როცა გამოსამშვიდობებლად ვეახელი.

– დიახ, თვითონაც ვხედავ ამას, – ვუპასუხე მშვიდად, – აკი ორმოც წესთაგან ერთ-ერთი გვასწავლის: „სიყვარულის ძიება გვცვლის. არ არსებობს სიყვარულის მაძიებელი, რომელიც ამ გზაზე არ დაღვინებულა. რა წუთიდანაც სიყვარულის ძიებას იწყებ, იწყებ შინაგან და გარეგნულ ფერისცვალებას.“

ბაბა ზამანმა ხავერდის კოლოფი გადმომცა. შიგ სამი რამ იდო: ვერცხლის სარკე, აბრეშუმის ცხვირსახოცი და ერთი პინა მალამო.

– ეს ნივთები გზაში გამოგადგება. საჭიროებისამებრ გამოიყენე ისინი. თუ საკუთარ ღირსებებში ეჭვი შეგეპარა, სარკეში ჩაიხედე; ის დაგანახვებს შენს შინაგან სილამაზეს. თუ სახელი შეგებღალა, ცხვირსახოცი ამოიღე. მისი სიქათქათე მოგაგონებს იმას, თუ რამდენად წმინდაა შენი გული. რაც შეეხება მალამოს, ის იარებს მოგიშუშებს, გარეთაც და შიგნითაც.

ყველა ამ ნივთს სათითაოდ მოვეფერე, კოლოფი დავხურე და ბაბა ზამანს მადლობა გადავუხადე. სალაპარაკო აღარაფერი დაგვრჩენოდა. როგორც კი ჩიტები აჭიკჭიკდნენ და ფოთლებზე ნამის პირველი წვეთები გამოჩნდა, ცხენს მოვახტი და კონიისაკენ გავწიე. არ ვიცოდი, რა მელოდა ამ ქალაქში, მაგრამ მთლიანად მივენდე ბედს, რომელიც არსთაგამრიგემ განმიმზადა.

მორჩილი

1243 წლის 30 სექტემბერი, ბაღდადი

ბევრი ვეცადე, ჩემი ნაპარავი ცხენით შამს თებრიზის კვალდაკვალ ისეთ მანძილზე მევლო, რომ არც ერთხელ არ შევემჩნიე. ბაღდადის ბაზარს რომ მივაღწიეთ, შამსი შეჩერდა, რათა სული მოებრუნებინა და ერთი-ორი საჭირო ნივთი ეყიდა. მალვას აზრი აღარ ჰქონდა, მივუახლოვდი და მის ცხენს ფეხებში ჩავუვარდი.

– წითურო უვიცო, შენა ხარ? ეს რა დაგმართნია, მიწაზე რატომ ფორთხავ? – მკითხა შამსმა. ეტყობოდა, თან უკვირდა და თან ახალისებდა ეს ამბავი.

მათხოვრების მიბაძვით მუხლებზე დავდექი, გულხელი დავიკრიფე, კისერი წავიგრძელე და გავაბი ხვეწნა-მუდარა:

– შენთან ერთად მინდა წამოსვლა, გევედრები, ნება დამრთე, თან გეახლო!..

– წარმოდგენა თუ გაქვს, საით მივდივარ? – მკითხა მან.

გავისუსე. ეს კითხვა აზრად არ მომსვლია.

– არა, არა მაქვს. მაგრამ ჩემთვის სულერთია, მინდა შენი მოწაფე გავხდე. შენ ჩემთვის სამაგალითო ადამიანი ხარ.

– დიდ მადლობას მოგახსენებ, მაგრამ მე ყოველთვის მარტო ვმოგზაურობ და მოწაფეები არ მჭირდება. თანაც არავისთვის არ ვარ სამაგალითო ადამიანი, ყველაზე

ნაკლებად კი სწორედ შენთვის. ასე რომ, გიჯობს შენს გზას დაადგე. თუმცა, თუ მომავალში მოძღვარს დაუწყებ ძებნას, გახსოვდეს ოქროს წესი: „ყალბი გურუებისა და ვითომ მოძღვრების რიცხვი ვარსკვლავების რიცხვს აჭარბებს. ჭეშმარიტ მოძღვარში ნუ შეგეშლება ძალაუფლების მოყვარული და საკუთარ თავზე გადაგებული ადამიანი. ნამდვილი სულიერი მოძღვარი საკუთარი თავისკენ როდი მიაპყრობს შენს ყურადღებას, სრულ მორჩილებას და აღტაცებას როდი მოგთხოვს, არამედ დაგეხმარება, ჯეროვნად შეაფასო შენი სულიერი რაობა და პატივით მოეპყრა მას. ჭეშმარიტი მოძღვარი მინასავით გამჭვირვალეა და ღვთიურ შუქს მინასავით ატარებს.“

– გემუდარები, ხელს ნუ მკრავ, შეევევედრე მე, – ყველა ცნობილ მოგზაურსა ჰყავს თანმხლებად ვინმე, შეგირდის მსგავსი...

შამსმა ნიკაპი მოიქექა, თითქოს ჩემს სიტყვებში სიმართლის პოვნას ცდილობდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ გამიძლებ? – მკითხა მან.

წამოვხტი და თავი მთელი ძალით დავუქნიე.

– გაგიძლებ. ძალა ნამდვილად მერჩის...

– კეთილი. აი შენი პირველი დავალება. უახლოეს სამიკიტნოში წადი, ერთი დოქი ღვინო მოიტანე და პირდაპირ აქ, შუა ბაზარში, საქვეყნოდ დამილიე.

სულის საწვრთნელად რა აღარ გამიკეთებია. იატაკები საკუთარი ტანსაცმლით მიწმენდია; ჭურჭელი ბევრჯერ იმ ვენეციურ შუშასავით გამიპრიალებია, როგორსაც ერთხელ, ჯვაროსნების მიერ დაპყრობილი კონსტანტინოპოლიდან გამოქცეული ოსტატის ხელში მოვკარი თვალი; ერთ ჯერზე ასი თავი ხახვი დამიჭრია და გაფცქვნილი ნივრის მთები დამიყენებია, მაგრამ იმავე მიზნით შუა ბაზარში ღვინის დალევა? ასეთ რამეს ჩემი გონება ნამდვილად ვეღარ იტევდა. საქციელი წამიხდა და შამსს უმწეოდ მივაჩერდი.

– არა, ამას ვერ გავაკეთებ. მამაჩემმა რომ გამიგოს, ფეხებს დამამტვრევს. დავრიშთა სავანეში იმიტომ გამგზავნა, რომ უკეთესი მაჰმადიანი გავმხდარიყავი და არა წარმართი. რას იფიქრებენ ჩემზე ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები?

შამსმა ანთებული მზერა მომაპყრო. მემძიმა ეს შემოხედვა. მაშინვე ის საღამო გამახსენდა, კარიდან რომ ვუთვალთვალებდი.

– არა, შენ ჩემი მოწაფე ვერ გახდები, – წყალი გადამიწურა მან, – მეტისმეტად მორიდებული ხარ; ხალხის აზრს ზედმეტ ანგარიშს უწევ; გახსოვდეს, ადამიანთა გულის მოგებას ასე თავგამოდებით რომ ცდილობ, სწორედ ამიტომაც ვერასოდეს აიცდენ მათ მწარე ენას, როგორც უნდა ეცადო.

მივხვდი, რომ შესაძლებლობა ხელიდან მეცლებოდა, სასწრაფოდ გავაწყვეტინე ლაპარაკი და თავის მართლება ვცადე:

– საიდან უნდა მცოდნოდა, ამ დავალებას განგებ რომ არ მაკისრებდი? ისლამი ხომ სასტიკად კრძალავს ღვინოს, ჰოდა, მეც გავიფიქრე, მცდის-მეთქი...

– მე ღმერთად როდი მომაქვს თავი. რა უფლება გვაქვს, ერთმანეთს ვუკირკიტოთ, ვინ როგორი მორწმუნე ვართ? – მომიგო შამსმა.

სასოწარკვეთილი აქეთ-იქით ვიხედებოდი, აზრებს თავს ვერ ვუყრიდი, ვერა და ვერ გამეგო, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი. ის კი განაგრძობდა:

– აგიხირებია, გინდა თუ არა, ამ გზას უნდა დავადგეო, საამისოდ კი არავითარი მსხვერპლის გაღება არ გსურს, ფული იქნება ეს, სახელი, ძალაუფლება, სიმდიდრე თუ ხორციელი სიამენი. არადა, ამ გზაზე შემდგარმა ადამიანმა პირველ რიგში სწორედ ის უნდა დათმოს, რაც ყველაზე ძნელად ეთმობა.

ბოლოს ცხენს ხელი გადაუსვა და მაგრძნობინა, რომ ჩვენს საუბარს ამთავრებდა:

– მე თუ მკითხავ, ბაღდადში უნდა დარჩე ოჯახთან ერთად. მოძებნე ვინმე დახლიდარი და ხელის ბიჭად დაუდექი. გული მეუბნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს შენგან კარგი ვაჭარი დადგება. ოღონდ გაფრთხილებ ხარბი ნუ იქნები! ახლა კი ნება მომეცი, გზა განვაგრძო.

ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გამომეშვიდობა, ცხენს დეზი ჰკრადა გაქუსლა. მისი ცხენის მძლავრ ფლოქვებქვეშ მთელი დედამიწა შეირხა თითქოს. მე ჩემს ცხენს მოვახტი და ბაღდადის შემოგარენამდე ვდიე, მაგრამ ჩვენ შორის მანძილი სულ უფრო იზრდებოდა, სანამ შამსი ერთ პაწია, შავ წერტილად არ იქცა. ბოლოს ის წერტილიც თვალს მიეფარა, მე კი კარგა ხნის შემდეგაც ვგრძნობდი შამსის მზერის სიმძიმეს.

ელა

2008 წლის 24 მაისი, ნორთჰემპტონი

ბევრჯერ გაგვიგია, რომ საუზმე „სულ სხვაა“. ელას მტკიცედ სწამდა ამ გამონათქვამის. ამიტომ ყოველ დილით, სადაგი დღე იქნებოდა თუ უქმე, სამზარეულოში გარბოდა, რადგან თვითონაც დაახლოებით იმ აზრისა იყო, რომ კარგი საუზმე მთელ დღეს ხალისიანს ხდის. ქალთა ჟურნალებში არაერთხელ ამოუკითხავს: „ოჯახი, რომელიც წესის და რიგისამებრ, მუდმივად ერთად საუზმობს, გაცილებით უფრო შეკრული და ჰარმონიულია, ვიდრე ის ოჯახი, რომლის წევრები დილაობით ნახევრად მშივრები გარბიან შინიდან.“ მართალია, ამ მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაზრისისა მტკიცედ სწამდა, მაგრამ ჟურნალებში აღწერილი მხიარული და სასიამოვნო საუზმე თვითონ არასოდეს ღირსებია. უნდა გენახათ, როგორ საუზმობდა ეს ოჯახი. აი, გემოვნებების დოღი იქ იყო, თუ იყო. ყველა თავისთვის ილუკმებოდა, ყველას თავისი პირის გემო ჰქონდა. ეს კი ნამდვილად არ შეესაბამებოდა ელას წარმოდგენას იდეალური ოჯახური ტრაპეზის შესახებ. ან როგორ უნდა ყოფილიყო ჰარმონია ისეთ სუფრასთან, სადაც ერთი ადამიანი ჯენეტი გახუხულ, ჯემწასმულ პურს წიწკნიდა, მეორე ეივი თაფლიან ბურბუშელას ლოღნიდა, მესამე დევიდი მოთმინებით ელოდა, როდის შეუწვავდნენ ერბოკვერცხს, მეოთხეს კი ორლის საერთოდ პირი ჰქონდა ამოკერილი?

და მაინც საუზმე საუზმე იყო. ამიტომ ელა ყოველ დილით ამზადებდა მას და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ რომელიმე მის შვილს დღე კანფეტის ან სუროგატული ნაყარ-ნუყარის ღეჭვით დაეწყო.

მაგრამ იმ დილით, როგორც კი სამზარეულოში შევიდა, ყავის მოხარშვის, ფორთოხლის წვენის გაწურვისა და პურის გახუხვის ნაცვლად ლეპტოპს ეცა, ელფოსტა გახსნა, აზიზის წერილს დაუწყო ძებნა და ძალიან ესიამოვნა, რომ იპოვა.

„ძვირფასო ელა!

გავიხარე, როცა გავიგე, რომ თქვენ და თქვენმა ქალიშვილმა ურთიერთობა მოაგვარეთ. ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, სოფელი მომოსტენანგო გუშინ, გამთენიისას დავტოვე. საოცარია, აქ მხოლოდ რამდენიმე დღე გავატარე, მაგრამ როცა წასვლის დრო დადგა, მოვიწყინე. მეტიც: ძალიან დავღონდი. ვნახავ კი გვატემალის ამ პაწაწინა სოფელს ოდესმე? არა მგონია.

ყოველთვის, როცა რომელიმე ადგილს ვემშვიდობები, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჩემი სხეულის რაღაც ნაწილს ვტოვებ იქ. მე ასე მწამს: თუნდ მარკო პოლოსავით ქვეყანა მოიარო, თუნდ აკვნიდან სამარემდე ერთ ადგილს არ მოსცილდე, ცხოვრება მუდამ დაბადებისა და სიკვდილის მონაცვლეობაა. უკან მოტოვებულ, მკვდარ წამს ახალი, ცოცხალი წამი ენაცვლება. იმისთვის, რომ ახალი განცდა დაიბადოს, ძველი უნდა მიილიოს, ასე არ არის?

მომოსტენანგოში ყოფნისას მედიტაციით ვიყავი დაკავებული და ვცდილობდი, თქვენი აურა წარმომედგინა. ცოტა ხანში სამი ფერი დამიდგა თვალწინ: თბილი ყვითელი, სადა ნარინჯისფერი და იისფერი. ეს ფერები თქვენს ფერებად აღვიქვი. მე მგონი, ყველა მათგანი ლამაზია, ერთადაც და ცალცალკეც...

ვტოვებ გვატემალას; ჩემი ბოლო გაჩერება არის ქალაქი ჩახული. პაწაწინა, ალიზით ნაშენი ქალაქია; აქაურ ბავშვებს დროული ბრძენკაცების გამოხედვა აქვთ. ნებისმიერი ასაკის აქაური ქალი გობელენის საოცარი ოსტატია. ერთ მოხუცს ვთხოვე, ამერიკელი ქალბატონისთვის გობელენი შემირჩიე-მეთქი. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და უზარმაზარი გროვიდან ერთი გობელენი ამოიღო. ღმერთს გეფიცებით, იმ გროვაში ორმოცდაათზე მეტი ნამუშევარი იყო. რა ფერებს არ ნახავდით იქ, მაგრამ მოხუცის ამორჩეულ გობელენში სამად სამი ფერი ფიგურირებდა: ეს იყო ყვითელი, ნარინჯისფერი და იისფერი. ამას იმიტომ გწერთ, რომ ვფიქრობ, უნდა გესიამოვნოთ ეს დამთხვევა, თუკი ღვთის გაჩენილ სამყაროში მსგავსი რამ საერთოდ არსებობს. გიფიქრიათ ოდესმე, რომ არც ჩვენი ურთიერთგაცნობაა უბრალო დამთხვევა?

საუკეთესო სურვილებით,

აზიზი.

პ.ს. თუ გნებავთ, გობელენს ფოსტით გამოგიგზავნით, თუმცა, შემიძლია, დაველოდო იმ დღეს, როცა ყავის დასალევად შევხვდებით ერთმანეთს და მაშინ ჩემი ხელით გადმოგცემთ მას.“

ელამ თვალები დახუჭა და სცადა, დაენახა, როგორ ციმციმებდა მისი სხეულის ირგვლივ მისი აურის სამივე ფერი. ოღონდ საკუთარი თავი რატომღაც მოწიფულ ქალად კი არა, პატარა, შვიდიოდე წლის გოგონად წარმოიდგინა. ერთბაშად მოაწყდა ათასნაირი მოგონება (არადა, ეს ამბები კარგა ხნის მივიწყებული ეგონა). თვალწინ დაუდგა მწვანე წინსაფრიანი დედა, საწყავი ჭიქით ხელში. ერთი შეხედვით მშვიდი სახე რომ

განაცრისფრებოდა და ტკივილის ნიღაბს მიუგავდა; ქაღალდისაგან გამოჭრილი, ბრჭყვიალა გულებით მორთული კედლებიც ამოუტივტივდა მეხსიერებაში და იქვე, ჭერში მოქანავე მამაც, რომელმაც თითქოს ისურვა, თავისი სხეული საშობაო მორთულობის ნაწილად ექცია.

გაახსენდა, რომ მოზარდობის წლები ისე გაატარა, მამის თვითმკვლელობაში დამნაშავედ ყოველთვის დედა მიაჩნდა. ქალიშვილობაში თავის თავს სიტყვა მისცა, რომ როცა გათხოვდებოდა, ქმარს მხოლოდ სიხარულს მიანიჭებდა და ცოლ-ქმრულ ცხოვრებას დედამისივით არ წაახდენდა. ამიტომაც დაისახა მიზნად, რომ მისი ქორწინება დედის ქორწინებისაგან განსხვავებული ყოფილიყო, ამიტომაც არ გაჰყვა ცოლად ქრისტიანს და ერთმორწმუნე კაცის ცოლობა არჩია. ასაკში ფეხი რომ შედგა, მაშინღა მოუბრუნდა გული მოძულებული დედისკენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს უკეთესი ურთიერთობა ჰქონდათ, წარსულზე ფიქრისას ელას მაინც უსიამოვნოდ ეკუმშებოდა გული.

– დე! გაიღვიძე, ჩვენ ვართ, დე! – მოესმა უცებ ზურგს უკან ხითხითი და ჩურჩული. ელა მოტრიალდა. ოთხი წყვილი თვალი გაკვირვებული უყურებდა. ორლი, ეივი, ჯენეტი და დევიდი ერთდროულად ჩამოსულიყვნენ სასაუზმოდ, ახლა გვერდიგვერდ ჩამწკრივებულიყვნენ და ისე ათვალიერებდნენ ელას, როგორც რაღაც ეგზოტიკურ არსებას. ეტყობა, კარგა ხანს იდგნენ ასე და მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ.

– დილა მშვიდობისა ყველას! – გაიღიმა ელამ.

– რა იყო, არ გესმოდა ჩვენი ხმა? – გულწრფელი გაოცებით იკითხა ორლიმ.

– თავიანად იყავი ეკრანში შესული, – ჩაილაპარაკა დევიდმა ისე, რომ ცოლისთვის არც შეუხედავს.

ელამ ქმრის მზერას თვალი გააყოლა. ღია ეკრანზე, მის წინ, მკრთალად ციმციმებდა აზიზ ზაჰარას გზავნილი. ელამ ერთ წამში დაკეცა ლეპტოპი, ისე, რომ მისი გამორთვაც კი დაავიწყდა.

– ძალიან ბევრი საკითხავი მაქვს, თქვა და თვალები მოუსვენრად ააცეცა, – ჩემს ანგარიშზე ვმუშაობდი.

– არაფერიც. ელფოსტას კითხულობდი! – თვალიც არ დაახამხამა ეივიმ.

„რატომ არიან ეს თინეიჯერი ბიჭები ასე მოწადინებულნი, რომ როგორმე გამოგიჭირონ?“ – გაიფიქრა ელამ, მაგრამ შვებით ამოისუნთქა, რომ შეატყო, სხვებს დიდად არ აინტერესებდათ ეს ამბავი და თვალი სამზარეულოს მაგიდისკენ გაურბოდათ.

ორლიმ ითავა, ხმამაღლა ეკითხა ის, რაც, როგორც ჩანს, ყველას აინტერესებდა:

– დე, რა ხდება, საჭმელი სად არის?

ახლა თვითონაც მიტრიალდა მაგიდისკენ და დაინახა ის, რასაც მისი ოჯახის წევრები ხედავდნენ: არც ყავა იხარშებოდა, არც ერბოკვერცხი შიშინებდა, არც მოცვის სოუსიანი გახუხული პური ჩანდა სადმე. ელამ თავი დააქნია, თითქოს უსიტყვოდ დაეთანხმა შინაგან ხმას, რომელიც რაღაცას დაბეჯითებით ჩასჩიჩინებდა.

„მართლები არიან. საუზმის მომზადება რამ დამავიწყა? რა მემართება?!..“

ნაწილი მეორე

წყალი

ყოველი, რაც მდინარი, ცვალებადი და ამოუცნობია...

რუმი

1244 წლის 15 ოქტომბერი, კონია

ბდღვრიალა, სავსე მთვარე ცაში გამოკიდებულ ვეება მარგალიტს ჰგავდა. ლოგინიდან წამოვდექი და ფანჯრიდან მთვარის შუქით განათებულ ეზოში გადავიხედე, მაგრამ ამ სილამაზის ხილვამაც ვერ დამამშვიდა; გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, ხელები ერთთავად მიკანკალებდა.

– რაღაც ფერმკრთალი ჩანხარ, ეფენდი. ისევ ის სიზმარი ხომ არ ნახე? – წამჩურჩულა ცოლმა, – წყალი ხომ არ მოგართვა?

ნუ ღელავ, დაიძინე-მეთქი, მივუგე. ცოლი ვერაფერს მიშველიდა. სიზმრები ჩვენი ხვედრის განუყოფელი ნაწილია და ღვთის ნებით მიუყვებიან თავიანთ გზასავალს. გარდა ამისა, ბოლო ორმოცი დღის განმავლობაში ერთსა და იმავე სიზმარს რომ ვხედავდი, ამას უთუოდ რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა.

სიზმრის დასაწყისი ყოველ ჯერზე ოდნავ განსხვავებული იყო... თუმცა, იქნებ იგივე იყო და მე შევდიოდი მასში სხვადასხვა „კარიდან“...

ამჯერად სიზმარი იმით დაიწყო, რომ ხალიჩებით მოფენილ ოთახში ვიჯექი და ყურანს ვკითხულობდი. ოთახი თითქოს მეცნობოდა, მაგრამ ამავე დროს არც ერთ ოთახს არ ჰგავდა, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ. ჩემ პირდაპირ მაღალი, შემართული, ხმელხმელი დავრიში იჯდა. სახე დაფარული ჰქონდა. ხელში კანდელი ეჭირა, კანდელში ხუთი სანთელი ენთო. ისე იყო იქაურობა გაჩახჩახებული, რომ კითხვა თავისუფლად შემეძლო. ცოტა ხანში თავი ავწიე, რომ დავრიშისათვის მეჩვენებინა ყურანის ლექსი, რომელსაც იმ წუთში ვკითხულობდი. უცებ, რას ვხედავ! ის, რაც თავიდან კანდელი მეგონა, მამაკაცის მარჯვენა ხელი აღმოჩნდა. ხელი ჩემკენ იყო გამოწვდილი და ხუთივე თითზე ცეცხლი ეკიდა. შიშით შეპყრობილმა წყალს დავუწყე ძებნა, მაგრამ ახლომახლო წყლის ნასახი ვერსად ვიპოვე. მოსასხამი მოვიხსენი და დავრიშს გადავაფარე, ალი რომ ჩამექრო და როცა მოსასხამი ავწიე, ვეღარავინ დავინახე. დავრიში გაუჩინარებულიყო და მხოლოდ ერთი ანთებული სანთელი დაეტოვებინა.

ამის შემდეგ უკვე ნაცნობი, ამოჩემებული სიზმარი დაიწყო: დავრიშს ძებნა დავუწყე, სახლის ყველა კუთხეკუნჭული მოვჩხრიკე, ეზოშიც გავიჭერი, სადაც ზღვასავით ლივლივებდა ყვითელი ვარდები. აქეთ-იქით ვაწყდებოდი, ვეძახდი, მაგრამ არსად ჩანდა.

– ძვირფასო, დაბრუნდი, სადა ხარ?! – დავიძახე კიდევ ერთხელ.

ავმა წინათგრძნობამ ჭასთან მიმიყვანა. გადავიხარე და შავად მოლიცლიცე წყალს ჩავაცქერდი. თავიდან ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ ამასობაში ეზოს მთვარემ დახედა და იქაურობა მკრთალად ააციაგა. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე ორი შავი თვალი, ჭიდან ენით უთქმელი დარდით რომ ამომყურებდა.

– მოკლეეეს! – ამომძახა ვიღაცამ.

იქნებ სულაც მე ვიყავი. იქნებ სწორედ ასეთი ხმა აღმომხდებოდა უსასრულო სატანჯველით გულგასენილს...

ვიდექი და ვყვიროდი. ვყვიროდი იქამდე, სანამ ცოლი არ მომეჭრა, გულში არ ჩამიკრა და დამიყვავა:

– რაო, ეფენდი, ისევ ის სიზმარი ნახე?!

ცოლს შინ შევყევი, დასაძინებლად გავისტუმრე და კვლავ ეზოში გავიპარე. იმ წუთში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სიზმარი კვლავაც გრძელდებოდა, ცხადივით ხელშესახები და საზარელი. ღამის სიჩუმეში ჭის დანახვაც კი ჟრჟოლას მგვრიდა, მაგრამ თავს ვერ ვერეოდი, მსურდა, მის გვერდით ვმჯდარიყავი და ყური მიმეგდო ფოთლებში მოშრიალე ღამის ნიავისათვის.

ასეთ წუთებში უეცარი სევდა აზვავდება ხოლმე ჩემს სულში და ყელში ხელს წამიჭერს. არც კი ვიცი, რატომ ხდება ეს. არაფერი მაკლია, სისხლსავსე ცხოვრებით ვცხოვრობ. ღმერთმა მომმადლა სამი რამ, რაც ყველაზე მეტად მეძვირფასება: ცოდნა, სათნოება და ღმერთის ძიებაში სხვების დახმარების უნარი.

ოცდათვრამეტი წლისას ღმერთმა იმდენი რამ მომცა, რამდენსაც ვერასოდეს ვინატრებდი. გავიწაფე და დავიხვეწე, როგორც მოქადაგე და მოსამართლე, ვეზიარე სწავლებას ღვთაებრივი ალღოს შესახებ, რომელზეც მეტნაკლებად მხოლოდ წინასწარმეტყველებს, წმინდანებსა და სწავლულებს მიუწვდებათ ხელი. ცოდნის გასაღრმავებლად ბევრი ვიშრომე, ჩემი აწ გარდაცვლილი მამისა და ჩვენი დროის საუკეთესო განმანათლებლების ხელმძღვანელობით. არასოდეს ვკარგავ რწმენას, რომ ეს ყოველივე ღვთის დაკისრებული მოვალეობაა.

ჩემი მოხუცი ოსტატი სეიდ ბურანედინი მეუბნებოდა ხოლმე, ჭეშმარიტად უფლის რჩეული ხარ, რაკი მან ასეთი საპატიო ამოცანა დაგაკისრა, რომ მისი მცნებები ხალხს გადასცე და მათ ავკარგის გარჩევაში დაეხმაროო. წლობით ვასწავლი მედრესეში და შარიათის სხვა მცოდნეებთან ერთად ღვთისმეტყველების საკითხებზე ვმსჯელობ, მოწაფეებს კანონსა და ჰადისებს ვაცნობ, ყოველ პარასკევს ქალაქის ყველა დიდ მეჩეთში ვქადაგებ. ჩემს ნამოწაფართ სათვალავი აღარ აქვთ. რა სჯობს, როცა ადამიანები ქადაგების ხელოვნებას გიქებენ და გეუბნებიან, რომ შენმა სიტყვებმა მათი ცხოვრება შეცვალა, თანაც ისეთ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ შენი მეგზურობა. ღმერთმა მომმადლა მოსიყვარულე ოჯახი, საუკეთესო მეგობრები და ერთგული მოწაფეები. არასოდეს მიწვნევია სიღატაკე და გაჭირვება. მართალია, პირველი მეუღლის გარდაცვალებამ სულიერად გამანადგურა და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ცოლს შევირთავდი, მაგრამ დავქორწინდი და კერას წყალობით კვლავ ვიგემე სიყვარული და სიხარული.

ვაჟიშვილებიც მომესწრნენ. გაოცებას ვერ ვმალავ, როგორი განსხვავებული კაცები დადგნენ ჩემი ბიჭები. მე მათ ერთმანეთის გვერდით დათესილ, ერთ მიწაზე გაზრდილ, ერთი წყლით მორწყულ და ერთი მზით გამთბარ ორ სრულიად სხვადასხვა მცენარეს ვამსგავსებ. მეამაყება ისინი, ისევე, როგორც ჩემი შვილობილი, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ქალი...

ბედნიერი კაცი ვარ, ოჯახშიც და მის გარეთაც.

მაშ, რად არის ასე გაუკაცრიელებული ჩემი სული? გამოფიტულობის ეს გრძნობა ყოველდღიურად სულ უფრო ღრმავდება, თანდათან მიპყრობს, სენივით მღრღნის და სადაც უნდა წავიდე, ყველგან თან მდევს, თაგვივით ჩუმჩუმა და გაუმაძღარი.

შამსი

1244 წლის 17 ოქტომბერი, კონია

ბევრ ქალაქს ვწვევივარ სტუმრად, მაგრამ არც ერთ მათგანში ფეხი არასოდეს შემიდგამს, სანამ მათი მფარველი წმინდანების კურთხევას არ მივიღებდი. ცხადია, ამ უცნობი ქალაქის კარიბჭესთანაც შევჩერდი, რათა თაყვანი მეცა მისი წმინდანებისთვის მკვდრებისთვისაც და ცოცხლებისთვისაც, საჩინოთათვის და უჩინართათვის.

ასეთ დროს ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, მაჰმადიანთა სამკვიდროა ეს ადგილი, ქრისტიანთა, თუ იუდეველთა. მტკიცედ მწამს, რომ წმინდანები ამ სიტყვიერ, პირობით ცნებებზე მაღლა დგანან. წმინდანი ხომ სრულიად კაცობრიობის კუთვნილებაა. ამიტომ, როცა კონია შორიდან პირველად დავინახე, ისე მოვიქეცი, როგორც ყოველთვის ვიქცეოდი... მაგრამ ამჯერად სრულიად უჩვეულო რამ მოხდა. იმის მაგივრად, რომ პასუხად მომსალმებოდნენ და დაველოცე, წმინდანებმა სამარისებური სიჩუმე შემომაგებეს. იქნებ ვერ გაიგონეს-მეთქი, გავიფიქრე და სალამი გავუმეორე, ამჯერად უფრო ომახიანად. პასუხად კვლავ დუმილი მივიღე. მივხვდი, წმინდანებმა ძალიან კარგად გაიგონეს ჩემი ხმა, მაგრამ ჩემი დალოცვა რატომღაც არ ისურვეს.

– მიბრძანეთ, რა დამიშავებია?! – შევძახე ქარს, რათა მას ხმა მიეწვდინა წმინდანებისთვის. ცოტა ხანში მათ ქარის პირით პასუხი დამიბრუნეს:

– ო, დავრიშო, ამ ქალაქში საშუალოს ვერაფერს ნახავ. ორი უკიდურესობა იქნება შენი თანამდევი, ან ნამდვილი სიყვარული, ან ნამდვილი სიძულვილი. ჩვენ გაფრთხილებთ, ახლა შენ იცი!

– თუ სულ ეს არის, მაშინ არაფერია, – მივუგე მე, – თუ ნამდვილი სიყვარული მეღირსა, სხვა რაღა მინდა?!

ამის გამგონე კონიის წმინდანებმა მაშინვე გზა დამილოცეს. მაგრამ ქალაქში შესვლას მაინც ვაყოვნებდი. ჩამოვჯექი იქვე, მუხის ძირში და სანამ ჩემი ცხენი აქა-იქ ამოზრდილ ბალახს წიწკნიდა, თვალი შევავლე ქალაქს, რომელიც შორიდან ბუნდოვნად იკვეთებოდა. შუშის ნამსხვრევებივით ბზინავდნენ მზეზე კონიის მინარეთები.

კანტიკუნტად ჩამესმოდა ძაღლების ყეფა, სახედრების ყროყინი, ბავშვების კისკისი და გამყიდველთა შეძახილები. ეს იყო მჩქეფარე, სიცოცხლით სავსე ქალაქის ჩვეული ხმები...

„ნეტავ რა ტრიალებს ამ გისოსებიან ფანჯრებსა და კარს მიღმა ამ წუთში? რა სიხარული და ჭირვარამი იმალება?“ – ვფიქრობდი ჩემთვის.

მომთაბარე ცხოვრებას ვიყავი მიჩვეული და ქალაქში დამკვიდრებაზე ფიქრი, ცოტა არ იყოს, მაწუხებდა. მაგრამ გამახსენდა ჩემი კიდევ ერთი ძირითადი წესი: „არ შეეწინააღმდეგო ცვლილებებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე დაგხვდება. იდინოს ცხოვრებამ. წინ ნუ გადაეღობები. თუ ყველაფერი თავდაყირა ამოტრიალდა, ნურც ეგ შეგაკრთობს. კარს მომდგარ სიახლეს რად უნდა ამჯობინო ის, რასაც უკვე შეჩვეული ხარ? განა რა იცი, რა სჯობს სინამდვილეში?“

უცებ ვიღაცის ალერსიანმა ხმამ ფიქრიდან გამომიყვანა:

– სალამ ალეიქუმ, დავრიშო!

მოვიხედე. ჩემ წინ, ფორნის კოფოზე, გრძელულვაშა, შავტუხა, ჩასკვნილი გლეხი იჯდა. ფორანში გაძვალტყავებული ხარი ჰყავდა შებმული. საბრალო პირუტყვი ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, ცოტაც და სულს გააფრთხობსო.

– ალეიქუმ სალამ, ღმერთმა დაგლოცოს!

– აქ მარტო რას უზიხარ? თუ ჭენებით დაიღალე, მე მიგიყვან, – მითხრა გლეხმა.

– გმადლობ. მაგ შენს ხარს ფეხით გავასწრებ, – ვუპასუხე ღიმილით.

– შენ ჩემს ხარს ეგრე ნუ უყურებ, ეწყინა გლეხს, მართალია, ბებერი და უძლურია, მაგრამ ჩემი საუკეთესო მეგობარია.

მივხვდი, რომ ზედმეტი მომივიდა. ეს რა დამემართა! როგორ ავიგდე აბუჩად მე, ამ დაუსაბამო წრებრუნვის უმცირესმა ნაწილაკმა, უფლის საბრძანებლის ასეთივე განუყოფელი ნაწილი, ცხოველი იქნებოდა ის, თუ ადამიანი?!

– ბოდიშს გიხდით, შენცა და შენს ხარსაც, – ვუთხარი გლეხს, – გთხოვ, მაპატიო!

გლეხს სახეზე ეჭვის ჩრდილმა გადაურბინა და ცოტა ხნით გაყუჩდა, ეტყობა, არკვევდა, დავცინოდი თუ არა.

– ასეთი რამ არასოდეს არავის გაუკეთებია, – მითხრა ბოლოს და თბილად გამიღიმა.

– ხარისადმი ჩემს მობოდიშებას გულისხმობ? – დავაზუსტე მე.

– ჰო, მაგასაც. მაგრამ თან იმის თქმაც მინდოდა, რომ მე არავინ არასოდეს მებოდიშება. პირიქით, მე ვებოდიშები ყველას. მაშინაც კი, როცა დამნაშავე არ ვარ... – მომიგო გლეხმა.

შემძრა მისმა სიტყვებმა.

– ყურანი გვეუბნება, რომ ყველა ჩვენგანი საუკეთესო ყალიბებში ჩამოგვასხეს. აჰა, ისმინე ერთერთი წესი.

– რა წესი? – ჩამეკითხა გლეხი.

„ღმერთი შენს სრულყოფას ცდილობს. გარეგანი სრულყოფაც იგულისხმე და შინაგანიც. ის მთლიანად შენითაა დაკავებული. ყოველი ადამიანი მიმდინარე სამუშაოა, რომელიც ნელა, მაგრამ განუხრელად მიიწევს სრულყოფილებისაკენ. ყველა ჩვენგანი ჯერაც დაუსრულებელი ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ელის და მიელტვის სრულქმნას.

ღმერთი თითოეულ ჩვენგანზე ცალ-ცალკე „მუშაობს,“ რადგან კაცობრიობა არის ნატიფი ნახელავი, ოსტატური ხელნაწერი, სადაც თითოეული წერტილი თანაბრად მნიშვნელოვანია ერთიანი სურათის მისაღებად.“

– შენც ქადაგების მოსასმენად ჩამოხვედი? – მკითხა გლეხმა და კვლავ ინტერესით შემომხედა. – ვატყობ, დღეს ძალიან ბევრი ხალხი მოიყრის თავს. დიდი კაცია...

გული შემიტოკდა. მივხვდი, ვისაც გულისხმობდა და ვკითხე:

– ერთი ეს მითხარი, გლეხკაცო, რა არის ამ რუმის ქადაგებებში ასეთი?

გლეხი დადუმდა, თვალები მოწკურა და ჰორიზონტს გახედა. ვატყობდი, ფიქრებით თან ყველგან იყო და თან არსად...

ბოლოს თქვა:

– მე ერთი სოფლელი კაცი ვარ. უბედურება, სხვებთან ერთად, ჩვენმა სოფელმაც იწვნია. ჯერ იყო და, შიმშილმა დაგვრია ხელი, შემდეგ მონღოლებმა აგვაწიოკეს. გადაწვეს და გაძარცვეს ყველა სოფელი, რომელიც გზაზე დახვდათ. უფრო უარესი დღე დიდ ქალაქებს აყარეს. ერზურუმი, სივასი და კაისერი ხელში ჩაიგდეს, მამაკაცები გაჟლიტეს, ქალები თან წაასხეს. მე არც საყვარელი ქალი დამიკარგავს და არც სახლი, მაგრამ სხვა რამე დავკარგე: სიხარული.

– მერედა რუმის რა ხელი აქვს ამ ყველაფერთან? – ვკითხე მე.

გლეხმა თავის ხარს გადახედა და უღიმღამოდ წაილუღლუღა:

– ყველა ამბობს, რუმის ქადაგებას თუ მოისმენ, დარდს გაგიქარვებსო...

ჩემთვის რომ გეკითხათ, დარდში ვერაფერს ვხედავდი ცუდს. პირიქით ბედნიერებას ადამიანი მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა ეთვალთმაქცებიან, სიმართლე გულს არავის უხარებს. მაგრამ გლეხისთვის ეგ არ მითქვამს, სხვა რამ ვუთხარი:

– მოდი, დაგემგზავრები. წამიყვანე კონიაში და გზად კიდევ მიამბე რამე რუმიზე.

ჩემი ცხენი ფორანს მივაბი და გლეხს კოფოზე ჩამოვუჯექი. ჩემდა სასიხარულოდ, ხარმა ზედმეტი ტვირთი სულაც არ იუცხოვა. როგორც მანამდე მიიზლაზნებოდა, ისევ ისე გააგრძელა გზა. გლეხმა ცოტაოდენი პური და თხის ყველი მიწილადა. ვისხედით, შევექცეოდით და ვსაუბრობდით.

აი, ასე შევდგი ფეხი კონიაში. მისი ლაჟვარდი ცა გადმომყურებდა ზემოდან, მისი თაკარა მზე მათბობდა, თან მომყვებოდა მისი მფარველი წმინდანების ფხიზელი თვალი...

– კარგად იყავი, მეგობარო, თავს გაუფრთხილდი! – ვუთხარი გლეხს, ფორნიდან ჩამოვხტი და ცხენი გამოვხსენი.

– ქადაგებაზე მოდი, იცოდე! – მომაძახა გლეხმა.

თავი დავუქნიე და ხელის აწევით დავემშვიდობე:

– ინშალა!

ქადაგების მოსმენა ძალიან მინდოდა; ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი რუმის, მაგრამ მანამდე ქალაქში გავიარე, მსურდა, გამეგო, რას ფიქრობდნენ კონიელები დიდ მქადაგებელზე. სანამ თვითონ ვიხილავდი, მინდოდა, მისთვის უცხო თვალითაც

შემეხედა მტრის თვალი იქნებოდა ის, თუ მოკეთისა, მოსიყვარულე თუ მოძულე ადამიანისა.

ჰასანი, მათხოვარი

1244 წლის 17 ოქტომბერი, კონია

ბევრმა იქნებ არც დაიჯეროს და ამ ღვთის რისხვას „წმინდა სატანჯველს“ ეძახიან. მე კეთროვანი ვარ. არც იქით ვარ და არც აქეთ. არც მკვდრებს ვუნდივარ და არც ცოცხლებს. დედები თავიანთ ურჩ პატარებს ჩემით აშინებენ. ბავშვები ქვებს მესვრიან. ხელოსნები სათოფეზე არ მიკარებენ, ემანდ, არ დაგვთარსოს ამ შავ დღეზე გაჩენილმაო. ორსული ქალები თვალს რომ მომკრავენ, სახეს მარიდებენ, მახინჯი შვილები რომ არ გაუჩნდეთ. არადა, თავად უფრო ვცდილობ, თავი ავარიდო ყველას. სულაც არ მჭირდება მათი სიბრალულით სავსე მზერა...

ჯერ კანი იწყებს შეცვლას: მუქდება და უხეშდება. მერე მხრებზე, მუხლებზე, ხელებსა და სახეზე ლაყე კვერცხისფერი ლაქები ჩნდება. თავიდან ყველაფერი გეწვის და გტკივა, მაგრამ მერე როგორღაც გიყუჩდება ტკივილი, თუმცა, რა ვიცი, იქნებ შენ თვითონ ხდები უგრძნობელი... თანდათან ეს ლაქები დიდდება, აფუებას იწყებს და საზიზღარ ბუშტუკებად იქცევა. ხელები კლანჭებს ემსგავსება, სახე კი ისე იცვლება, ვეღარავინ გცნობს.

მე ბოლო სტადიას ვუახლოვდები. უკვე თვალებს ვეღარ ვახამხამებ. ცრემლი და ნერწყვი თავისით მდის. ექვსი ფრჩხილი უკვე ჩამომძვრა, სადაცაა, კიდევ ერთი მიჰყვება. გაგიკვირდებათ, მაგრამ თმა ჯერ კიდევ მაქვს შერჩენილი (დიდი შეღავათი კია, მე და ჩემმა ღმერთმა!..)

გამიგია, რომ ევროპაში კეთროვნებს ქალაქიდან ასახლებენ. აქ კი ქალაქში ცხოვრების უფლება გვაქვს, ოღონდ ეჟვნებს ვატარებთ, რომ ხალხი დროზე გაფრთხილდეს. მათხოვრობის ნებართვაც გვაქვს. ასე რომ არ იყოს, ალბათ, შიმშილით სული გაგვძვრებოდა. გადარჩენის ეს ერთი გზა არსებობს ჩვენთვის, და კიდევ ლოცვა. არ გეგონოთ, რომ ღმერთი კეთროვნებს განსაკუთრებული ყურადღებით უსმენს; უბრალოდ, რაღაც გაუგებარი მიზეზით, ზოგიერთ ადამიანს ჰგონია ასე. ჰოდა, ამიტომაც, ქალაქის მცხოვრებლებს, ზიზღის მიუხედავად, დიდ პატივში ვყავართ. საგანგებოდ გვქირაობენ, რომ ავადმყოფებისათვის, ხეიბრებისა და მოხუცებისთვის ვილოცოთ. ყველას ჰგონია, რომ რაც მეტს გადაგვიხდიან და მაძღრად დაგვაპურებენ, უფრო გამოვიდებთ თავს და მეტს ვილოცებთ.

ქუჩაში კეთროვანს ძაღლად არავინ აგდებს, მაგრამ იქ, სადაც სიკვდილისა და უბედურების სუნი ტრიალებს, ნამდვილი სულთნები ვართ. როცა ასეთ შეკვეთას ვიღებ, თავს ჩავღუნავ ხოლმე და რაღაცას ვდუდღუნებ არაბულად, ვითომ ლოცვად ვარ დავარდნილი. სხვა რა გზა მაქვს, უნდა ვითვალთმაქცო...

რა ვქნა, არ მჯერა, რომ ღმერთს ესმის ჩემი. არა მაქვს ამის საფუძველი. ისე, ლოცვას მათხოვრობა სჯობს, თუმცა ნაკლებად სარფიანი საქმეა. მათხოვრობა უფრო ადვილია. არ იტყუები მაინც...

პარასკევი ყოველთვის საუკეთესო დღეა სამათხოვროდ, რამადანის დროს კი მთელი თვე შემოსავლიანია. რამადანის ბოლო დღეს ხომ ნუღარ იკითხავთ თუ კეთდება, მაშინ კეთდება ფული. ამ დღეს ყველაზე დიდი წუწურაქიც კი ცდილობს, მოწყალება გასცეს და ცოდვები ჩამოირეცხოს.

წელიწადში ერთხელ ადამიანები ზურგს არ აქცევენ მათხოვრებს. პირიქით, ეძებენ. თანაც რაც უფრო დაბეჩავებულია ადამიანი, მით უფრო ხელსაყრელია მათთვის. ამ დროს ისე სჭირდებათ გულუხვობითა და ქველმოქმედებით თავის გამოჩენა, რომ მარტო მოწყალების გაღებით კი არ კმაყოფილდებიან, იმ ერთი დღით ლამის შეგვიყვარონ კიდეც. დღესაც შემოსავლიანი დღე იქნება, ალბათ, რადგან პარასკევია და რუმი ქადაგებს. მეჩეთი უკვე გადაჭედილია. ვინც შიგნით ვერ შევიდა, ეზოში გამწკრივებულან და იცდიან. შუადღე საუკეთესო დროა მათხოვრებისა და ქურდბაცაცებისათვის. ახლა ისინიც ჩემსავით დასუნსულებენ აქ, ბრბოში.

მეჩეთის კართან, ნეკერჩხლის ქვეშ ჩამოვჯექი და ხეს ზურგით მივეყრდენი. გაწვიმებას აპირებდა და ჰაერში ნოტიო სუნი ტრიალებდა. ქალაქის ბაღებიდან ნიავს სხვა სურნელიც მოჰქონდა და ეს ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული.

ჩამოვჯექი, გლახაკის ჯამი ამოვიღე და წინ დავიდე. ამ საქმეს ბევრი მისდევს, მაგრამ მათგან განსხვავებით, ხმამაღალი ხვეწნამუდარა არ მიწევს ხოლმე. კეთროვანს არ სჭირდება ბევრი ვიშ-ვიში და ქაქანი, არიქა, ცოლი მიკვდება, დავრდომილი ვარ, ვიღუპები და მიშველეთო. ჩემი ერთი შემოხედვით გამოწვეული ზაფრა ათას სიტყვას უდრის. ამიტომ უბრალოდ, სახე გამოვაჩინე და კარგად მოვკალათდი.

ერთი საათიც არ გასულა და ჩემს ჯამში უკვე რამდენიმე მონეტამ გაიჩხრიალა. სულ წვრილი, სპილენძის ხურდა იყო; მე კიდევ ოქროს მონეტები მენატრებოდა, მზის, ლომებისა და ნახევარმთვარეების გამოსახულებით... მას შემდეგ, რაც ცხონებულმა ალადინ ქეიქუბადმა ფულის თავისუფალი მიმოსვლა შემოიღო, ჩვენში ალეპოს ბეების მიერ მოჭრილი ფულიც ტრიალებს, კაიროს ფატიმიდი მბრძანებლებისაც და ბაღდადის ხალიფებისაც, რომ არაფერი ვთქვა იტალიურ ფლორინებზე. ყველა ამ ფულს კონიის მმართველებიც ხმარობდნენ და არც ქალაქის მათხოვრები ვიწუნებდით, რასაკვირველია.

მონეტებთან ერთად კალთაში რამდენიმე ხმელი ფოთოლიც ჩამივარდა. ნეკერჩხალს უკვე სცვიოდა მოწითალოოქროსფერი ფოთლებიდა რადგან იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა, ჩემს ჯამში უამრავი ხმელი ფოთოლი აღმოჩნდა. თითქოს ხეც მოწყალებას იღებდა ჩემთვის...

უცებ მივხვდი, რომ ამ ნეკერჩხალსა და მე ბევრი რამ გვქონდა საერთო. ფოთოლცვენის დროს ხე ავადმყოფობის ბოლო საფეხურზე მყოფ კეთროვანსა ჰგავს, რომელსაც უკვე სახსრები ეშლება. მე შიშველი ხე ვარ. ჩემი კანი, შიგნეულობა და სახე თანდათან იშლება. ყოველდღიურად მტოვებს სხეულის თითო ნაწილი. ოღონდ ეგ არის ნეკერჩხლისაგან

განსხვავებით, მე აღარასოდეს დამიდგება გაზაფხული, აღარასოდეს გავიკვირტები, არ ვიყვავილებ. რასაც ვკარგავ, სამუდამოდ ვკარგავ.

რომ დამინახავენ, ჩემს ვინაობას არავინ დაეძებს, მხოლოდ ჩემი ნაკლი ხვდებათ თვალში. ჯამში ხურდას ისე სწრაფად მიგდებენ და თვალს ისე მარიდებენ, თითქოს ჩემი შეხედვაც კი გადამდებია. მათთვის ქურდსა და მკვლელზე უარესი ვარ. მართალია, კანონით დევნილი ხალხიც არავის ახატია გულზე, მაგრამ მათ ისე მაინც არ ეპყრობიან, როგორც უჩინარ არსებებს. ჩემი დანახვისას ადამიანები ხედავენ მხოლოდ სიკვდილს, რომელიც მათ სახეში ჯიქურ შესცქერის. სწორედ ეს აშინებთ ყველაზე მეტად: სიკვდილის ასეთი სიახლოვე და სიმახინჯე.

უცებ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა.

– მოდის! მოდის! – იყვირა ხალხმა.

მაშინვე მივხვდი, რუმი იყო. თოვლივით ქათქათა ცხენზე ამხედრებული გვიახლოვდებოდა. ქარვისფერი, საუცხოო ხალათი ეცვა, ოქროსფერი ფოთლებითა და წვრილ-წვრილი მარგალიტით მოქარგული. მოდიოდა გოროზი და წელგამართული, ბრძენი და კეთილშობილი; თან მოჰყვებოდა თაყვანისმცემელთა მთელი ჯარი. მოდიოდა და ასხივებდა თავის ღვთიურ ხიბლს. რომ შეხედავდით, სწავლულს კი არა, სულთანს ჰგავდა ქარების, ცეცხლის, წყლისა და მიწის მბრძანებელს. მისი ცხენიც კი ამაყად იღერებდა ყელს, თითქოს იცოდა, რომ გამორჩეული მხედარი მოჰყავდა.

ხურდა ჯიბეში ჩავიჩხრიალე, თავპირი შევიხვიე და მეჩეთში შევედი. იქაურობა ისე იყო ხალხით გადაჭედილი, სუნთქვა ჭირდა. ჩამოჯდომაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო, მაგრამ ჩემს სენს ერთი სიკეთე ახლავს: დასაჯდომს ყოველთვის ვპოულობ, რადგან კეთროვანს არავინ ეკარება.

– ძმანო! – დაიწყო რუმიმ და მისი ხმა ცაში აიჭრა. – სამყარო ისეთი ვეებერთელაა, რომ მის წინაშე უმნიშვნელო, პაწაწინა არსებებად ვგრძნობთ თავს. ზოგიერთ თქვენგანს, ალბათ, უჩნდება კითხვა: „ვინ ვარ ღვთისთვის მე, ყოველმხრივ ხელფეხშეკრული, უბადრუკი არსება?“ დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ დროდადრო ბევრ თქვენგანს მოსდის აზრად. დღევანდელ ქადაგებაში სწორედ ამ კითხვაზე მსურს ზუსტი და ამომწურავი პასუხი გავცე...

წინა რიგში რუმის ვაჟები იდგნენ წარმოსადეგი სულთან ველედი (რომელსაც ხალხი თავის გარდაცვლილ დედას ამსგავსებს) და უმცროსი ვაჟი ალადინი. ამ ბიჭს ცოცხალი სახე ჰქონდა, მაგრამ თვალებს რაღაც მოუსვენრად და უცნაურად აცეცებდა. ისე ჩანდა, რომ ორივეს ეამაყებოდა ასეთი მამა.

– ადამის ძეთ იმოდენა პატივი გვერგო და იმოდენა ცოდნა მოგვეცა, რომ ასეთ ტვირთს ვერც ცა გაუძლებდა და ვერც მყარი, – განაგრძობდა რუმი, – ამიტომაც გვეუბნება ყურანი: „ჩვენ შევთავაზეთ ანაბარი ცათა, ქვეყანასა და მთებს, მათ თავი შეიკავეს, რომ თავს ედვათ იგი და შეეშინდათ მისი; და თავს იდო იგი ადამიანმა.“ რადგან ადამიანს ასეთი პატივი ხვდა წილად, მისი ვალია, ღვთის განზრახულის აღსრულებას მიელტვოდეს მხოლოდ და არამც და არამც არ იფიქროს უფრო მდაბალ მიზნებზე.

რუმი ხმოვნებს თავისებურად გამოთქვამდა, როგორც ეს განათლებულ ადამიანებს სჩვევიათ; ბევრი ისაუბრა იმ დღეს ღმერთზე; დაგვარწმუნა, რომ ის სადღაც შორეულ, ზეციურ ტახტზე კი არ ზის, არამედ თითოეულ ჩვენგანთან ძალიან ახლოს არის, ხოლო ტანჯვა კიდევ უფრო გვაახლოებს მასთან.

– ჩვენი ხელები წამდაუწუმ იშლება და კვლავ ეკვრის ჩვენს სხეულს, განაგრძობდა რუმი, ადამიანები ვართ, ერთხელ გავიშლებით, ერთხელ მოვიკუნტებით... ასე რომ არ იყოს, დამბლა დაგვეცემოდა. ხელების ამ ორივე მოძრაობაში ფრინველის ფრთების მოძრაობის მსგავსად სრულყოფილი თანაფარდობა იგრძნობა...

თავიდან მომეწონა მისი ნათქვამი. გული გამითბო იმ აზრმა, რომ ტანჯვა და სიხარული ისევე ურთიერთდამოკიდებულია, როგორც ფრინველის ფრთების მოძრაობა. მაგრამ იმწამსვე სისხლი მომაწვა ყელში. რა გაეგებოდა რუმის ტანჯვისა? სახელოვანი მამის, შეძლებული და გამორჩეული ოჯახის შვილს ცხოვრება ყოველთვის ინდობდა. ვიცოდი, რომ პირველი ცოლი მოუკვდა, მაგრამ მაინც არ მჯეროდა, რომ მას ოდესმე ნამდვილი სიმწარე განეცადა. როგორ ბედავდა ტანჯვაზე ლაპარაკს ეს ქუდბედით დაბადებული, წარჩინებულთა წრეში აღზრდილი, საუკეთესო სწავლულების გაწვრთნილი, ნალოლიავები, ყველასგან მოწონებული კაცი?

გული ამომიჯდა. ვხედავდი, რამოდენა განსხვავება იყო ჩემსა და რუმის შორის. რატომ არის ღმერთი ასე უსამართლო? მე თავზე სიღარიბე, ავადმყოფობა და უბედურება დამატეხა, რუმის კი სიმდიდრე, წარმატება და სიბრძნე დააბერტყა... უმწიკვლო სახელისა და მეფური მიხრამოხრის პატრონს ამქვეყნიურობისა არაფერი ეცხო. ყოველ შემთხვევაში, საამქალაქო კაცი ნამდვილად არ იყო. მე სახე უნდა დამეფარა, რომ ადამიანებს დანახვისას არ შევზიზღებოდი, ის კი ხალხში ძვირფასი ნატვრისთვალივით კაშკაშებდა. ნეტავ რას იზამდა, ჩემს ტყავში რომ ამოეყო ოდესმე თავი? თუ დაფიქრებულა ოდესმე, რომ თვით მასავით უზადო და განსაკუთრებული უფლებებით მოსარგებლე ადამიანს ერთ დღეს შეიძლება კისერი წაეტეხა? თუ დაფიქრებულა ოდესმე, რას გრძნობს ადამიანი, როცა ის გარიყულია, თუნდაც ერთი დღით? ისევ იმ დიდ რუმიდ დარჩებოდა, ჩემნაირი ცხოვრება რომ მიესაჯა მისთვის განგებას?

კითხვა კითხვას მოსდევდა, ბრაზი მემატებოდა და ჩემს თვალში თანდათან ჩრდილი ადგებოდა ამ კაცს, რომელიც ადრე ასეთ აღტაცებას მგვრიდა. გაგულისებული, გამწარებული წამოვდექი და მუჯლუგუნებით გავიკვლიე გზა გასასვლელისკენ. ბევრმა გაოცებული მზერა გამომაყოლა. უკვირდათ, რატომ ვტოვებდი ქადაგებას, რომლის მოსმენა ხალხს ნატვრად ჰქონდა ქცეული.

შამსი

1244 წლის 17 ოქტომბერი, კონია

ბინა დიდხანს არ მიძებნია. კონიის შუაგულში, „მეშაქრეთა ფუნდუკში“ ვპოვე თავშესაფარი. ის კი არა, ჩემს ცხენსაც ერგო სადგომი. ჩემი მადლი მოისხა იმ გლეხმა, ქალაქში ფორნით რომ შემომიყვანა. მისვლისთანავე ფუნდუკი დამათვალიერებინეს.

სწორედ საჩემო ადგილი იყო. ოთხი ოთახიდან ყველაზე უბრალო ავირჩიე. ერთი ჭილობი, ერთი აშმორებული საბანი, მხრჩოლავი ზეთის ლამპარი და მზეზე გამომშრალი აგური, რომელიც ბალიშის მაგივრობას სწევდა. სულ ეს დამხვდა ოთახში. სამაგიეროდ,ბორცვებზე შეფენილი მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანდა ჩემი ფანჯრიდან.

დავბინავდი თუ არა, გარეთ გავედი და ქალაქი დავიარე. უნდა გენახათ, სხვადასხვა სარწმუნოების, ადათწესისა და ენის რა ორომტრიალი იდგა მის ქუჩებში. ვის აღარ გადავაწყდი: ბოშა მუსიკოსებს, არაბ მოგზაურებს, ქრისტიან მწირებს, ებრაელ ვაჭრებს, ბუდისტ ბერებს, ფრანკ ტრუბადურებს, სპარს ოსტატებს, ჩინელ ჯამბაზებს, ინდოელ გველის შემლოცველებს, ზოროასტრ ჯადოქრებს და ბერძენ ფილოსოფოსებს.

მონების ბაზარზე თვალი მოვკარი საჰარამხანოდ გამზადებულ, თოვლივით ქათქათა ქალებსა და ზორბა, შავგვრემან საჭურისებს, რომლებსაც იმდენი ბოროტება ჰქონდათ ნანახი, რომ ლაპარაკის უნარი წართმეოდათ და კრიჭაშეკრულები მიმოდიოდნენ. დალაქები ძარღვების გადასახსნელ და სისხლის გამოსაშვებ ხელსაწყოებს დაარბენინებდნენ, მარჩიელები ბროლის ბურთულებს ატრიალებდნენ ხელში; აქა-იქ ცეცხლიყლაპია ოინბაზებსაც ნახავდით. იერუსალიმს მიმავალი მომლოცველებიც ვნახე. მაწანწალებსაც მოვკარი თვალი, რომლებიც, ჩემი ვარაუდით, ბოლო ჯვაროსნული ომებიდან გამოქცეული ჯარისკაცები იყვნენ. ზოგი ვენეციურად უქცევდა, ზოგიც ფრანგულად, საქსონიურად, ბერძნულად, სპარსულად, თურქულად, ქურთულად, სომხურად, ებრაულად საუბრობდა; აქა-იქ ჩემთვის სრულიად უცხო ენები და კილოებიც ჩამესმოდა. თითქოს ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდებოდნენ, მაგრამ ყველას არასრულყოფილი იერი ჰქონდა, ჯერაც დაუსრულებელ სამუშაოს, ხელოვნების დაუსრულებელ ნიმუშს ჰგავდა თითოეული მათგანი.

ეს ქალაქი ნამდვილი ბაბილონის გოდოლი იყო. ყველაფერი განუწყვეტლივ იცვლებოდა, მზის სინათლეზე გამოდიოდა, ყვაოდა, იფანტებოდა, იშლებოდა და კვდებოდა. გარინდული ვიდექი ამ ქაოსის შუაგულში. გარე სამყაროს მიმართ ერთთავად გულგრილიც ვიყავი და ამავე დროს, მთელი გულით მიყვარდა წუთისოფლის მსახვრალ ხელში ჩავარდნილი და მასთან მებრძოლი ადამიანები.

ვუყურებდი ჩემ გარშემო მოფუსფუსე ხალხს და კიდევ ერთი ოქროს წესი მახსენდებოდა: „ადვილია, გიყვარდეს ყოვლად სრული ღმერთი სპეტაკი და შეუცდომელი. ბევრად უფრო ძნელია, გიყვარდეს მოძმე შენი ადამიანი, უამრავი ზადის მქონე. გახსოვდეს, რომ მხოლოდ მისი შეცნობა შეგიძლია, რისი შეყვარების უნარიც გაქვს. არ არსებობს სიბრძნე სიყვარულის გარეშე. სანამ ღმერთის ქმნილების სიყვარულს არ ისწავლი, ვერც ღმერთის შეყვარებასა და შეცნობას შეძლებ.“

დიდხანს დავხეტიალებდი მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაბანდებში. თავიანთ პაწაწინა სახელოსნოებში დაუღალავად შრომობდნენ ოსტატები. სადაც არ მივიდოდი, ყველგან რუმიზე ლაპარაკობდნენ. დავდიოდი და ვფიქრობდი: „ნეტავ როგორი გრძნობა გეუფლება, როცა ასეთი სახელგანთქმული ხარ? როგორი დაღი აჩნდება ამ დროს შენს სულს?“ ამ ფიქრებით გართული მივადექი მეჩეთს, სადაც რუმი ქადაგებდა.

თანდათან გარემო იცვლებოდა. რაც უფრო ღრმად შევდიოდი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, მით უფრო ხშირად მხვდებოდა მინგრეულმონგრეული სახლები და ჩამოშლილი მესრები. ამ უბნებში ბავშვებიც უფრო ურჩები და ხმაურიანები იყვნენ. აქ სულ სხვა სუნი ტრიალებდა. ნიორსა და სხვადასხვა სანელებელს დაემძიმებინა ჰაერი. ბოლოს მივადექი ქუჩას, სადაც სამი სუნი მძლავრობდა: ოფლის, სუნამოსი და ავხორცობისა. ეს ქალაქის მანკიერი უბანი იყო.

მოკირწყლული ქუჩის ბოლოში ერთი ფარღალალა, ბამბუკის ბოძებზე შემდგარი, ისლით გადახურული სახლი იდგა. მის წინ ქალები ისხდნენ და მუსაიფობდნენ. რომ დამინახეს, ცნობისმოყვარედ დამაკვირდნენ. სახლის გვერდით ვარდნარი იყო. რა ფერის ვარდს არ ნახავდით აქ... ირგვლივ საოცარი სურნელი ტრიალებდა.

დავინტერესდი, ვინ უვლიდა მათ. პასუხმაც არ დააყოვნა. ბაღის ჭიშკარს მივეახლე თუ არა, სახლის კარი გაიღო და იქიდან ერთი ზორბა, უსაშველოდ მსუქანი, ფართოსახიანი დედაკაცი გამოვიდა. ქონში ერთიანად ჩაფლულს ჭრუტა თვალები ძლივსღა უჩანდა. ბაგეს წვრილი, შავი ულვაში უფარავდა; ყურების გასწვრივაც თმა ჩამოზრდოდა. მოგვიანებითღა მივხვდი: ერთდროულად ქალიც იყო და მამაკაციც.

– რა გინდა? – მკითხა და ალმაცერად შემომხედა.

სახე წარამარა ეცვლებოდა ერთ წუთში ქალს მიუგავდა, მეორე წუთში კვლავ მამაკაცურად მოექცეოდა... თავი გავაცანი და ვინაობა ვკითხე, მაგრამ ჩემს შეკითხვას წაუყრუა.

– შენ აქ არაფერი გესაქმება, – მითხრა და ხელი ისე ამიქნია, თითქოს აბეზარი ბუზი ვყოფილიყავი.

– რატომ? – ვკითხე მე.

– ვერა ხედავ, რომ საროსკიპოა? თუ არაფერი მეშლება, თქვენ, დავრიშები, სამუდამო ფიცს დებთ, რომ სიძვას მოერიდებით. ასე არ არის? ხალხს რომ ჰკითხო, ცოდვებში ვბანაობ, მაგრამ მე, რომ იცოდე, მოწყალებასაც გავცემ და რამადანის დროს ამ სახლში ფეხს არავის ვადგმევინებ.აი, ახლაც შენს გადარჩენას ვცდილობ. იცოდე, ჩვენგან თავი შორს დაიჭირე. ეს ყველაზე ბინძური უბანია მთელ ქალაქში.

– სიბინძურე შიგნით არის და არა გარეთ, – შევეპასუხე მე, – ასე გვასწავლის წესი.

– რას მიედმოედები?! – შემომჩხავლა ქალ-კაცამ.

– აჰ, ისმინე ერთი, ორმოც წესთაგანი, – წამოვიწყე იმ იმედით, რომ რაღაცას მაინც შევასმენდი: „ნამდვილი სიბინძურე ის არის, რაც შიგნით გაქვს, სხვა დანარჩენი წყალს გაჰყვება. სიბინძურის ერთადერთი სახეობა არსებობს, რომელსაც სუფთა წყლით ვერ ჩამოირეცხავ. ეს არის სიძულვილი და შეუწყნარებლობა, რომელიც სულს ანაგვიანებს. შენ შეგიძლია, ხორციელად განიწმინდო თვითგვემითა და მარხვით, მაგრამ შენი გულის ჭეშმარიტი განსპეტაკება მხოლოდ სიყვარულს შეუძლია.“

თქვენც არ მომიკვდეთ. არაფრის გაგონება არ სურდა.

– თქვენ, დავრიშები, ცოტა შექანებულები ხართ. ვინ აღარ მყოლია აქ მუშტრად, მაგრამ დავრიში?! ვერ მოგართვი, ვერა! უმალ ბაყაყს წვერი ამოუვა, ვიდრე შენ აქ ფეხს

შემოდგამ! შენ რომ აქ შემოგიშვა, ღმერთი ამ სახლს თავზე ჩამოგვაქცევს და შეგვაჩვენებს მორწმუნე კაცის ცდუნებისათვის.

სიცილი ვერ შევიკავე.

– ვინ ჩაგაგონა ასეთი სასაცილო აზრები? შენ, გეტყობა, ღმერთი ერთი ახირებული ბერიკაცი გგონია, რომელიც ციდან გადმოგვყურებს და როგორც კი ფეხი წაგვიცდება, ქვებსა და ბაყაყებს გვესვრის?

სროსკიპოს პატრონმა წვრილი ულვაში მოიწიწკნა და ამრეზილი, უჟმური მზერა შემავლო.

– ნუ გეშინია, მე აქ შენი სროსკიპოს სანახავად არ მოვსულვარ, შენი ვარდებით ვტკბებოდი მხოლოდ, – ვცადე მისი დარწმუნება.

– ჰოო, ეს ჩემი ერთ-ერთი გოგოს, უდაბნოს ვარდის ნახელავია, – თქვა ქალ-კაცამ და მხრები დაუდევრად აიჩეჩა.

შემდეგ ახალგაზრდა ქალს მოუხმო, რომელიც იქვე, სხვა მეძავებთან ერთად იჯდა. თლილი ნიკაპი, სადაფივით პრიალა კანი, შავი, ნაღვლიანი, ნუშისებრი თვალები ჰქონდა; გულისწამღებად ლამაზი იყო... როგორც კი შევხედე, გულმა მითხრა: დიდი გარდაქმნა ელოდა, უკვე ფეხიც შედგმული ჰქონდა ამ გზაზე. ხმას დავუწიე და ჩურჩულზე გადავედი, ისე, რომ ჩემი ნათქვამი მხოლოდ პატრონს გაეგონა:

– კარგი გოგოა. ერთ დღეს ეგ ღვთის ძიების გზას დაადგება და ამ სახლს სამუდამოდ დატოვებს. როცა ეს დღე მოვა, გაუშვი, ნუ დაუშლი.

ქალკაცა ერთხანს განცვიფრებული მომშტერებოდა, მერე უცებ იფეთქა:

– რას როშავ?! ვისი რა საქმეა, ჩემს გოგოებს რას დავუშლი და რას არა? გიჯობს ახლავე გაეთრიო აქედან, თორემ ტურისთავას დავუძახებ!

– ეგ ვინღაა? – ვკითხე მე.

– დამიჯერე, არ გირჩევ მის გაცნობას, – თქვა ქალ-კაცამ და თითი ნიშნისმოგებით დამიქნია.

ამ უცხო მეტსახელის გაგონებისას ოდნავ გამაჟრჟოლა, მაგრამ მასზე ფიქრში დრო აღარ დამიკარგავს.

– კარგი, მივდივარ, – ვთქვი მე. – ოღონდ იცოდე, ერთხელაც იქნება, დავბრუნდები. ამიტომ ნუ გაგიკვირდება, თუ ძალიან მალე ისევ მიხილავ. მე არ ვგავარ იმ ფარისევლებს, მთელი ცხოვრება ლოცვად რომ დავარდნილან, გულზე კი ბოქლომი ადევთ. ეგეთები ყურანს მხოლოდ ზედაპირულად კითხულობენ, მე კი ყურანს ახლად გაკვირტულ ყვავილებსა და გადამფრენ ფრინველებში სტრიქონსტრიქონ ვკითხულობ. ყველა ადამიანშიც ყურანი ცოცხლობს და სუნთქავს.

– ანუ, იმის თქმა გინდა, რომ ადამიანებს კითხულობ? – ცალყბად ჩაიცინა ქალ-კაცამ. რას ბოდავ?

– თითოეული ადამიანი გადაშლილი წიგნია. თითოეული ჩვენგანი მოარული ყურანია. ღვთის პოვნის სურვილი ნებისმიერი ადამიანის გულში ცოცხლობს, მეძავი იქნება იგი თუ წმინდანი. სიყვარული თითოეულ ჩვენგანში დაბადებიდან იბუდებს და ელის, როდის აღმოაჩენენ. აჰა, ისმინე ერთერთი ორმოც წესთაგანი: „მთელი ქვეყნიერება

მოქცეულია ერთ ადამიანში – შენში. ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავ, მათ შორის ბევრი ისეთი რამ, რაც არ მოგწონს და ზიზღსა გგვრის, სხვადასხვა სახით შენშიც ძევს. ამიტომ ნუ ეძებ შაითანს სადღაც სხვაგან. ეშმაკი რაღაც განსაკუთრებული ძალა კი არ არის, რომელიც გარედან გიტევს, არამედ შენივე შინაგანი ხმაა. თუ შენს თავს ბოლომდე შეიცნობ და თვალს პატიოსნად და წარბშეუხრელად გაუსწორებ საკუთარ ავსა და კარგს, საბოლოოდ გაფაქიზებული, უმაღლესი გონის პატრონი ხდები. როცა ადამიანი შეიცნობს თავის თავს, ის შეიცნობს ღმერთსაც.“

ქალკაცამ გულხელი დაიკრიფა, თვალები მუქარით დამიბრიალა და ხრინწიანად დამჩხავლა:

– ერთი უყურეთ, დავრიში როსკიპებს მოძღვრავს! გაფრთხილებ, აქ ნურავის დაუპირებ შენი სისულელეებით ტვინის გამოლაყებას! სათოფეზე არ მიეკარო ჩემს საროსკიპოს, თორემ, ღმერთს გეფიცები, ტურისთავა მაგ გატლეკილ ენას წამში ამოგაცლის, მე კი მას სიამოვნებით შევსანსლავ!

ელა

2008 წლის 28 მაისი, ნორთჰემპტონი

ბურანიდან გამოსული არ იყო ჯერ კიდევ და უკვე გული შეეკუმშა. ამ ბოლო დროს დასჩემდა ასეთი რამ: გაღვიძებისთანავე სევდა დარევდა ხოლმე ხელს. თუმცა, სევდაც არის და სევდაც. ზოგჯერ ტირილი გინდება და უბედურად გრძნობ თავს. ელა კი, უბრალოდ, გუნებაზე ვერ იყო იმ ღიმილიან და არხეინ გუნებაზე, როცა ყველაფერს ჰაიჰარად უყურებ და არაფერი გამძიმებს. თითქოს მის ცხოვრებაში რაღაც ახალი ეტაპი დამდგარიყო, ის კი ამისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ელა სამზარეულოში შევიდა, ყავა დაადგა, უჯრიდან სია ამოიღო და გადახედა.

ათი რამ, რაც აუცილებლად უნდა გააკეთო, სანამ ორმოცი წლის შესრულდები:

1. ისწავლე დროის რაციონალურად მართვა, იყავი უკეთ ორგანიზებული; იყიდე ახალი დღიური (შესრულებულია).
2. კვების რაციონში მინერალური დანამატები და ანტიოქსიდანტები შეიტანე (შესრულებულია).
3. ებრძოლე ნაოჭებს. ამ მიზნით „ალფა ჰიდროქსისა“ და „ლ’ორეალის“ ახალი პროდუქცია მოსინჯე (შესრულებულია).
4. გამოცვალე შპალერი, იყიდე ახალი მცენარეები და ახალი ბალიშები (შესრულებულია).
5. გადახედე შენს ცხოვრებას, ღირებულებებსა და მრწამსს (ნახევრად შესრულებულია).
6. ამოიღე რაციონიდან ხორცი, შეადგინე ყოველკვირეული, ჯანსაღი მენიუ და საკუთარ სხეულს ჯეროვანი პატივისცემით მოეპყარი (ნახევრად შესრულებულია).
7. დაიწყე რუმის ლექსების კითხვა (შესრულებულია).

8. წაიყვანე ბავშვები ბროდვეის მიუზიკლზე (შესრულებულია).
9. დაიწყე კულინარიული წიგნის წერა (არ არის შესრულებული).
10. გაუღე გულის კარი სიყვარულს...

ელა უსიტყვოდ მისჩერებოდა მეათე პუნქტს და არ იცოდა, მიეწერა რამე მის გვერდით, თუ არა. კაცმა რომ თქვას, როცა ამ პუნქტს წერდა, თვითონაც არ იცოდა, რას გულისხმობდა.

– არა, მართლა რას ვფიქრობდი მაშინ? ალბათ, „საამო მკრეხელობის“ გავლენით დავწერე, – ჩაიბუტბუტა თავისთვის.

ამ ბოლო დროს რამდენჯერმე აღმოაჩინა, რომ სიყვარულზე ფიქრობდა.

„ძვირფასო აზიზ!

დღეს ჩემი დაბადების დღეა! ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ცხოვრების ახალ ეტაპს მივადექი. ამბობენ, როცა ადამიანი (განსაკუთრებით ქალი), ორმოც წელს მიაღწევს, მის ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი დგებაო. ასეთი გამონათქვამიც გამიგია: ორმოცი იგივე ოცდაათიაო (შესაბამისად, სამოცი იგივე ორმოცია). ძალიან კი მინდა ამის მჯეროდეს, მაგრამ მსგავსი დებულებები რაღაც ყურით მოთრეული მგონია. ერთი სიტყვით, თავს ვერ მოიტყუებ. ორმოცი ორმოცია. მორჩა და გათავდა. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: ამიერიდან ყველაფერი მომემატება: ცოდნაც, სიბრძნეც და რა თქმა უნდა, ნაოჭი და ჭაღარაც. ადრე დაბადების დღეები ყოველთვის კარგ გუნებაზე მაყენებდა, მაგრამ ამ დილით რომ გავიღვიძე, თავი დათრგუნვილად ვიგრძენი და ისეთი კითხვები გამიჩნდა, რომელთა „გადახარშვა“ დილაადრიან, უზმოზე, ცოტა არ იყოს, ძნელი მეჩვენა. „მინდა თუ არა ცხოვრების ძველებურად გაგრძელება?“ – ვკითხე ჩემს თავს და უცებ რაღაც შიშნარევი გრძნობა შემეპარა. ვაითუ ამ კითხვის ორივე პასუხმა დადებითმაც და უარყოფითმაც, ერთნაირად კატასტროფული შედეგები გამოიღოს? ამიტომ სხვა პასუხი ვიპოვე: ალბათ, მინდა...

დროებით. ყოველივე კარგს გისურვებთ,

ელა.

პ.ს. მაპატიეთ, რომ უფრო მხიარული წერილი ვერ მოგწერეთ. დღეს რატომღაც უგუნებოდ ვარ! არ ვიცი, რატომ. ორმოცის რომ ვხდები, ეგ იქით იყოს. ეს, შუახნის კრიზისს რომ ეძახიან, მგონი ის არის.“

„ძვირფასო ელა!

დაბადების დღეს გილოცავთ! ორმოცი წელი მამაკაცისთვისაც და ქალისთვისაც შესანიშნავი ასაკია. იცით თუ არა, რომ მისტიკოსები ამ ციფრს ახალ საფეხურზე გადასვლისა და სულიერი გამოღვიძების სიმბოლოდ მიიჩნევენ? დააკვირდით: როცა ვგლოვობთ, ორმოც დღეს ვგლოვობთ. როცა ბავშვი იბადება, მას ორმოცი დღე სჭირდება იმისათვის, რომ დედამიწაზე საცხოვრებლად მოემზადოს; როცა შეყვარებულები ვართ, ორმოცი დღე გვჭირდება იმისათვის, რომ ჩვენს გრძნობებში დავრწმუნდეთ; წარღვნა ორმოც დღეს გრძელდებოდა; როცა წყალმა ქვეყანა წალეკა, მან, ამავდროულად, მთელი სიბინძურეც ჩამორეცხა დედამიწას და კაცთა მოდგმას ყველაფრის თავიდან დაწყების საშუალება მისცა.

ისლამური მისტიციზმის მიხედვით, ადამიანსა და ღმერთს ორმოცი საფეხური ჰყოფს. არსებობს ცნობიერების ოთხი ძირითადი ეტაპი; თითოეული მათგანი ათ-ათი საფეხურისაგან შედგება, რაც ორმოც დონეს ქმნის. იესომ ორმოცი დღე გაატარა უდაბნოში; მუჰამადი ორმოცი წლის იყო, როცა მოციქულობის მოწოდება მიიღო; ბუდა ცაცხვის ქვეშ ორმოცი დღე ეძლეოდა მედიტაციას; შამსის ორმოც წესზე აღარაფერს ვამბობ...

თქვენ ორმოცი წლის ასაკში ახალი სამუშაო იშოვეთ, ახალი ცხოვრების საგზური. ორმოცი კეთილმოსურნე რიცხვია.

გილოცავთ!.. და ნუ შეგეშინდებათ სიბერის. ვერც ერთი ნაოჭი, ვერც ერთი ღერი ჭაღარა ვერ მოერევა ორმოცის ძლევამოსილებას!

კეთილი სურვილებით,

აზიზი.“

უდაბნოს ვარდი, მეძავი

1244 წლის 17 ოქტომბერი, კონია

ბევრი ფიცი და მტკიცი არ სჭირდება იმას, რომ საროსკიპოებიც უხსოვარი დროიდან არსებობს და ჩემისთანა ქალებიც. მაგრამ ერთი რამ მაოცებს: ადამიანებს რომ ჰკითხოთ, ქალი ამ ხელობისთვის არ ემეტებათ, არადა, თუ მოინანიე და ცხოვრების ხელახლა დაწყება მოინდომე, გასაქანს არ გაძლევენ. თითქოს გეუბნებიან: „თქმა არ უნდა, ცოდო ხარ, ასე რომ გაისვარე და დაეცი, მაგრამ სხვა გზა არა გაქვს, სამუდამოდ იმ ლაფში უნდა დარჩე.“

რატომ ხდება ასე? აბა, რა გითხრათ... მხოლოდ ის ვიცი, რომ ზოგიერთი სხვისი უბედურებით იკვებება და თუ მის ირგვლივ ერთი თავაწეული ადამიანი მაინც გაჭაჭანდა, გულზე სკდება. თუმცა, ამ ბოლო დროს დიდად აღარ მენაღვლება, ვინ რას ამბობს და აკეთებს. ერთ მშვენიერ დღეს აქედან უნდა ავიბარგო.

ამ დილით რომ გავიღვიძე, ერთი სული მქონდა, დიდი რუმის ქადაგება მომესმინა. საროსკიპოს პატრონისთვის ეს რომ გამემხილა, სასაცილოდ არ ეყოფოდა. „როდის იყო, როსკიპები მეჩეთებში დადიოდნენ?“ – ასე იტყოდა, ალბათ, ის გაბერილი ლოყები აუთახთახდებოდა და ჩაბჟირებამდე იცინებდა. ამიტომ ხრიკი ვიხმარე. ვამჩნევდი, იმ უწვერულ დავრიშთან ლაპარაკის შემდეგ ჩვენი პატრონი ფიქრებმა წაიღო და მივხვდი, რომ სწორედ ახლა იყო დრო. საერთოდ, როცა რაღაც საფიქრალი გამოუჩნდებოდა, უფრო ადვილად მოსახელთებელი იყო. მივედი და ვუთხარი, ბაზარში უნდა გავიქცე, რაღაც საქმეები მაქვს-მეთქი. მაშინვე დამიჯერა. დამიჯერებდა, აბა, რას იზამდა, ცხრა წლის მანძილზე რაც მე მისთვის ვიშრომე...

– მხოლოდ ერთი პირობით! – მითხრა მან. – სეზამი უნდა გაიყოლიო.

სულაც არ მწყენია, სეზამი ძალიან მიყვარდა. მთასავით კაცს ბავშვის ჭკუა ჰქონდა; უღალატო ადამიანი იყო, თან ისეთი ალალი და მიამიტი, რომ ცოტა წაიჩერჩეტებდა კიდეც. სულ მიკვირდა, რაც ამქვეყნად ბოროტება ტრიალებს, ცოცხალი როგორ გადარჩა-მეთქი. არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი. მგონი, არც თვითონ იცოდა. სეზამი იმიტომ შევარქვით, რომ შირბახტის ჰალვაზე გიჟდებოდა. როცა ჩვენი გოგოები ქალაქში გავიდოდნენ, სეზამი უსიტყვოდ, აჩრდილივით მისდევდა. უკეთეს მცველს ვერ ინატრებდა კაცი.

გავუდექით გზას. ხეხილის ბაღებს ერთი დაკლაკნილი ბილიკი ჰყოფდა და იმას გავუყევით. პირველივე გზაჯვარედინთან სეზამს ვთხოვე, დამელოდე-მეთქი და ბუჩქს მოვეფარე. იქ მამაკაცის ტანსაცმლით სავსე ტომარა მქონდა გადამალული. მამაკაცურად გადაცმა ბევრად ძნელი ყოფილა, ვიდრე ველოდი. გრძელი თავსაბურავები მკერდზე შემოვიხვიე და ძუძუები რაც შემეძლო, მჭიდროდ ავიკარი. შარვალსა და ბამბის პერანგზე ჟღალი ფერის გრძელი ხალათი მოვისხი და ჩალმაც დავიხურე. სახე ნახევრად შევიხვიე გრძელი თავსაბურავით, რათა არაბ მოგზაურს დავმსგავსებოდი.

– წავიდეთ, – ვუთხარი სეზამს ბუჩქიდან გამოსვლისთანავე.

სეზამი გაშრა.

– რა იყო, ველარ მცნობ? – ვთქვი და სახე დავანახვე.

– უდაბნოს ვარდო, შენა ხარ? – წამოიძახა და შეშინებული ბავშვივით პირზე ხელი იტაცა, – ეს რაები ჩაგიცვამს?!

– საიდუმლოს შენახვა შეგიძლია?

თავი დამიქნია; თან მოუსვენრად ცქმუტავდა და თვალებს აცეცებდა.

– მაშინ ყური დამიგდე, – წავჩურჩულე მე, – ჩვენ ახლა მეჩეთში მივდივართ. მაგრამ იცოდე, პატრონს არაფერი უთხრა.

სეზამს ქვედა ტუჩი აუკანკალდა:

– ვაიმე, არა, არა! ჩვენ ხომ ბაზარში მივდიოდით!..

– ჰო, ჩემო კარგო. ბაზარშიც წავალთ, ოღონდ მოგვიანებით. ჯერ კი დიდი რუმის ქადაგების მოსასმენად უნდა წავიდეთ.

სეზამის დაფეთება ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. გეგმის შეცვლა ყოველთვის ასე აშინებდა ხოლმე.

– გთხოვ, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია... თუ გამომყვები და არავისთან გამამხელ, ჰალვის დიდ ნაჭერს გიყიდი.

– ოოო, ჰალვა... – სეზამმა პირი ისე დააწკლაპუნა, თითქოს უკვე აგემოვნებდა ამ ნუგბარს.

ასე ავიყოლიე მოთაფლული სეზამი და დავიძარით დიდი მეჩეთისკენ, რუმის ქადაგების მოსასმენად.

მე ნიკეის მახლობლად, ერთ პატარა სოფელში ვარ დაბადებული. დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, კარგ ადგილას, მაგრამ ცუდ ვარსკვლავზე გაჩნდიო. მართლაც ცუდი დრო იყო. წინასწარ ვერაფერს იტყოდი. წარამარა რაღაც იცვლებოდა. ჯერ იყო და, ხმა გავარდა, ჯვაროსნები ბრუნდებიანო. ყურები გვქონდა გამოჭედილი იმ სიმხეცის აღწერით, რასაც

ისინი კონსტანტინოპოლში სჩადიოდნენ. მდიდრების სახლებს ძარცვავდნენ, ხატებს ანადგურებდნენ, ტაძრებში სიწმინდეებს ბილწავდნენ... შემდეგ ატყდა განგაში, არიქა, სელჩუკები მოდიანო. სელჩუკთა ურდოების ნამოქმედარზე რაც ჩვენ ამბები მოგვდიოდა, იმის მონელებაც ვერ მოვასწარით და უკვე მორიგ დაუნდობელ მოთარეშეებზე მონღოლებზე ალაპარაკდა ხალხი. გადამთიელი მაოხრებლების სახელები და სახეები იცვლებოდა, მაგრამ მათ წინაშე შიში არა და არ გვშორდებოდა, როგორც იდას არ შორდება მწვერვალზე შემორჩენილი თოვლი...

ჩემი მშობლები ხაბაზები იყვნენ, მართლმორწმუნე ქრისტიანები. ბავშვობიდან მახსოვს პურის საამური სუნი. მდიდრები არასოდეს ვყოფილვართ ეს სულ პატარამაც კი ვიცოდი მაგრამ არც ღარიბები გვეთქმოდა. ხშირად ვხედავდი მათხოვრებს, რომლებიც ჩვენს საცხობთან მოდიოდნენ და პურის ნამცეცებს გვთხოვდნენ. მათი ცრემლიანი თვალების შემყურე, ყოველ ღამით, ძილის წინ, უფალს მადლობას ვწირავდი, რომ მშიერი არ დამაწვინა. ასეთ წუთებში მეგონა, მეგობარს ვესაუბრებოდი. მაშინ ღმერთი მართლაც იყო ჩემი მეგობარი.

შვიდი წლის რომ გავხდი, დედაჩემი დაორსულდა. დღეს უკვე ვხვდები, რომ მანამდე ბევრჯერ მოეშალა მუცელი, მაგრამ მაშინ ასეთების არაფერი მესმოდა. ისეთი მიამიტი ვიყავი, ვინმეს რომ ეკითხა, ბავშვები საიდან ჩნდებიანო, ალბათ, ვეტყოდი, ღმერთი მათ ფაფუკი, ტკბილი ცომისაგან ზელსმეთქი. მაგრამ ეს ბავშვი, ღმერთმა დედაჩემისთვის რომ „მოზილა“, რაღაც ძალიან დიდი ჩანდა. ცოტა ხანში მუცელი ისე უსაშველოდ აუფუვდა და გაუტკიცინდა, ვეღარ სუნთქავდა.

ბებიაქალმა უთხრა, სხეულში წყალი გიგროვდებაო. მე მაგის არაფერი გამეგებოდა და არხეინად ვიყავი. თურმე ნუ იტყვით: ერთი კი არა, სამი ბავშვი ჩასახვოდა, თან სულ ბიჭები. ეს არც ბებიაქალმა იცოდა და არც დედაჩემმა. ჰოდა, ამ ჩემმა ძმებმა დედაჩემის მუცელში ომი გააჩაღეს. ერთმა ტყუპისცალმა ჭიპლარით მოგუდა მეორე; მკვდარი პატარა კი, თითქოს შურს იძიებსო, გასასვლელში გაეჩხირა და სხვებს გზა გადაუღობა. ოთხი დღე იტანჯებოდა დედაჩემი. დღე და ღამე გვესმოდა მისი ყვირილი. მერე უცებ გაჩუმდა. ბებიაქალმა დედაჩემის გადარჩენა ვერ შეძლო, მაგრამ ჩემი ძმების სიცოცხლის გამო სახსნელად ყველაფერი გააკეთა. მაკრატელი აიღო და დედას მუცელი გაუჭრა. საბოლოოდ მხოლოდ ერთი ჩვილი გადარჩა.

ასე დაიბადა ჩემი ძმა. მამაჩემმა ვერა და ვერ აპატია ბავშვს ეს ამბავი და მის ნათლობასაც კი არ დაესწრო. დედა აღარ იყო. მამა სიტყვაძუნწ, უცხვირპირო კაცად იქცა. ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ შეიცვალა. უკუღმა დატრიალდა ჩვენი საცხობის საქმეც. მუშტარი შემოგველია.

იმის შიშით, რომ გავღარიბდებოდით და ერთ დღეს მათხოვრობაც კი მოგვიწევდა, ლეიბქვეშ ფუნთუშების შენახვა დავიწყე. იქ ისინი ქვასავით მაგრდებოდა და ობდებოდა...

მაგრამ ყველაზე ცუდი დღე ჩემს ძმას დაადგა. ძალიან დაიჩაგრა საწყალი. მე კარგი ბავშვობა მაინც მქონდა. ყველას ვუყვარდი, თავს მევლებოდნენ, მას კი მსგავსი არაფერი ღირსებია. გული მიკვდებოდა, როცა ვხედავდი, როგორ ექცეოდნენ, მაგრამ სადღაც,

გულის სიღრმეში მიხაროდა, რომ მამა მასზე იყრიდა ჯავრს და არა ჩემზე. ნეტავ დამეცვა ჩემი ძმა მაშინ. ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. კონიის საროსკიპოში მაინც არ ამოვყოფდი თავს...

ერთი წლის შემდეგ მამამ მეორე ცოლი შეირთო. ჩემი ძმის ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა: ადრე მხოლოდ მამა ექცეოდა ცუდად, ახლა კი მას ცოლიც აჰყვა და ერთად აწვალებდნენ. ჩემს ძმას შინ გული აღარ უდგებოდა, სულ წავიდა ხელიდან, ცუდი ჩვევები და ცუდი მეგობრები გაიჩინა. ერთ დღეს მამამ ისე სცემა, რომ კინაღამ შემოაკვდა.

ამის შემდეგ ბიჭი შეიცვალა. თვალებში რაღაც სხვანაირი, ბოროტი სუსხი ჩაუდგა. ვატყობდი, გულში ბოღმას იხვევდა ჩუმჩუმად, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რა საშინელებას ამზადებდა. ნეტავ მივმხვდარიყავი. ნეტავ შემძლებოდა ამ უბედურების აცილება...

გაზაფხულის ერთ დღეს, მამაჩემი და ჩვენი დედინაცვალი თაგვის წამლით მოწამლულები იპოვეს. როცა ეს ამბავი გახმაურდა, ეჭვი ყველამ ჩემს ძმაზე მიიტანა. დაიწყო დაკითხვები, ბიჭი შეშინდა და თავს გაქცევით უშველა. მას შემდეგ აღარასოდეს მინახავს. დავრჩი სრულიად მარტო.

გული აღარ მიდგებოდა მშობლიურ სახლში, სადაც ჯერ კიდევ ტრიალებდა დედაჩემის სუნი. ვერც საცხობში მუშაობა გავაგრძელე, იქაც მოგონებები დამტრიალებდა თავზე. ამიტომ კონსტანტინოპოლში გადავწყვიტე წასვლა მოხუც, შინაბერა დეიდასთან, რადგან ახლო ნათესავთაგან ეგღა შემრჩენოდა.

მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი...

კონსტანტინოპოლში ეტლით წავედი. მგზავრებში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, თანაც მხოლოდ მე ვმგზავრობდი მარტო, თანმხლების გარეშე. რამდენიმე საათი მშვიდად ვიარეთ, მაგრამ ერთ-ერთ შარაგზაზე ყაჩაღების ბრბო დაგვხვდა. ყველაფერი წაჰგლიჯეს ხალხს ხელბარგიც, ტანსაცმელიც, ფეხსაცმელიც, ქამრებიცა და სამკაულიც. მეეტლეს ძეხვეულიც კი არ შეარჩინეს. მე არაფერი მებადა, ამიტომ განზე გავდექი; დარწმუნებული ვიყავი, არას მავნებდნენ. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა უკვე წასვლას აპირებდნენ, ყაჩაღთა წინამძღოლი მომიბრუნდა და მკითხა:

– ქალწული ხარ, ჩემო გვრიტო?

გავწითლდი. ასეთ უტიფარ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ ვისურვე. რა ვიცოდი, რომ ჩემი გაწითლება სწორედ ის პასუხი იყო, რომელიც მას სჭირდებოდა.

– წავედით! – იყვირა წინამძღოლმა. – ცხენები და გოგო წამოიყვანეთ!

ავტირდი, გავიბრძოლე, მაგრამ ჩემს მოშველებას არც ერთი მგზავრი არ ცდილა. ყაჩაღებმა უღრან ტყეში შემიყვანეს, სადაც, ჩემდა გასაოცრად, სოფელი დამხვდა. ქალი ბავშვი, იხვი, თხა და ღორი ერთმანეთში ირეოდა. ერთი შეხედვით მყუდრო სოფელი იყო, ოღონდ ბოროტმოქმედებით დასახლებული.

მალე მივხვდი, რატომ აინტერესებდა ჩემი სიქალწულე იმ ყაჩაღს. სოფლის თავკაცს მძიმე სენი შეჰყროდა ნერვული ციებცხელება; ლოგინად ჩავარდნილს სხეული სულ წითლად ჰქონდა დაფოთლილი; უშედეგოდ ჭყეპდნენ ათასნაირი წამლით. ჰოდა,

სწორედ იმ დღეებში ვიღაცას ეთქვა მისთვის, რომ თუ ქალწულთან დაწვებოდა, სენი ქალწულს გადაეცემოდა, თვითონ კი მორჩებოდა და განიწმინდებოდა...

ბევრი რამ მომხდარა ჩემს ცხოვრებაში ისეთი, რისი გახსენებაც არ მინდა. იმ ტყეში გატარებული დროც სწორედ ასეთი მოგონებაა. დღესაც, როგორც კი იქაურობას ვიხსენებ, ფიჭვის ხეებზე ვფიქრობ. ამ ხეებქვეშ ჯდომა მერჩივნა სოფლის ქალებთან ლაქლაქს, რომელთა უმრავლესობა ყაჩაღის ცოლი და ქალიშვილი იყო. ამ სოფელში თავისი ნებით მისულ მეძავებსაც შეხვდებოდით. ვერა და ვერ გამეგო, რა აჩერებდათ იქ. მე სულ გაქცევაზე მეჭირა თვალი...

ამ ტყეს ზოგჯერ მდიდრები და დიდებულები ჩამოუვლიდნენ ხოლმე ეტლებით. ჩემთვის საიდუმლო იყო, რატომ არავინ ძარცვავდა ამ ხალხს. მერეღა გავიგე, თურმე მათი მეეტლეები წინასწარ ქრთამავდნენ ყაჩაღებს, რათა ტყეში მშვიდობით გაევლოთ. როცა ამ ყველაფერში გავერკვიე, მეც გადავწყვიტე მათთან მორიგება. ქალაქისაკენ მიმავალი ერთი დიდი ეტლი გავაჩერე და მეეტლეს ვთხოვე, თან წავეყვანე. ბევრი ფული მომთხოვა, თუმცა კარგად იცოდა, რომ არაფერი მებადა. რა ჩარა მქონდა, გადავუხადე ისე, როგორც შემეძლო...

კონსტანტინოპოლში რომ დავსახლდი, კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რატომ არ ტოვებდნენ იმ ტყეს მეძავები – ქალაქი უფრო უარესი იყო. საშინელი და დაუნდობელი.

დეიდაჩემი აღარ მიძებნია. ვიცოდი, ლაფში ამოსვრილს პატიოსანი მოხუცი აღარ გამიკარებდა, ამიტომ ჩემთვის ყოფნა ვარჩიე.

ქალაქმა სულ ცოტა ხანში გამტეხა სულიერად და ხორციელად. ბოროტების, სიმხეცის, ძალადობისა და ავადმყოფობის ბუდეში ამოვყავი თავი. ზედიზედ რამდენჯერმე მოვიშალე მუცელი და თავი ისე გავინადგურე, რომ დედათა წესი შემიწყდა. მას შემდეგ აღარ ვორსულდებოდი.

ქალაქის ქუჩებში ისეთ რამეებს ვხედავდი, ამის გადმოცემა შეუძლებელია. ავიკარი გუდანაბადი და ჯარისკაცებს, მოხეტიალე მსახიობებსა და ბოშებს ავეკიდე. მათთან ერთად დავხეტიალებდი და ჟინს ვუკმაყოფილებდი.

მერე ერთმა კაცმა, მეტსახელად ტურისთავამ, მიპოვა და აქ, კონიის საროსკიპოში მომიყვანა. საროსკიპოს პატრონს ჩემი ასავალ-დასავალი დიდად არ აინტერესებდა. ჯერ კიდევ ლამაზი ვიყავი, ეს კი მისთვის მთავარი იყო. როცა გაიგო, რომ უშვილო ვიყავი და ამ მხრივ სიძნელეებს არ შევუქმნიდი, მთლად ცას ეწია სიხარულით.

ჩემი სიბერწის გამო „უდაბნო“ შემარქვა. „ვარდი“ კი ისე, გასახალისებლად დაამატა. მეც ეს მინდოდა, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ვარდები. რწმენაც ეგ არის ჩემთვის კაცთა თვალს მოფარებული, იდუმალი ვარდნარი, მათრობელა სურნელით გაჟღენთილი, ჩემი საყვარელი სასეირნო ადგილი, ჩემთვის ვინ იცის, რამდენი ხნით დახშული. მინდა, ისევ დავუმეგობრდე ღმერთს. ვუვლი და ვუვლი ბაღს გარშემო, ვეძებ შესასვლელს. იმედი მაქვს, ჭიშკარს ვუპოვი და შიგ შევაბიჯებ ოდესმე...

როცა მე და სეზამმა მეჩეთს მივაღწიეთ, თვალებს არ დავუჯერე. იქ ყველა ასაკისა და ხელობის კაცი ირეოდა; ქალებისთვის საგანგებოდ განკუთვნილი უკანა ადგილებიც კი დაეკავებინათ. გამობრუნება დავაპირე, მაგრამ უცებ ერთი მათხოვარი თავისი

ადგილიდან წამოდგა და ნელა დაიძრა გასასვლელისაკენ. ზეცას მადლობა შევწირე და გათავისუფლებულ ადგილამდე გაჭირვებით მივფორთხდი. სეზამი გარეთ მიცდიდა.

აი, ასე ამოვყავი თავი მამაკაცებით სავსე მეჩეთში, დიდი რუმის ქადაგების მოსასმენად. იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რა მოხდებოდა, რომ მიმხვდარიყვნენ მათ რიგებში გადაცმული ქალი იდგა, თანაც მეძავი! მაგრამ ცუდი ფიქრები მოვიშორე და მთელი გულისყური ქადაგებას მივაპყარი.

– ღმერთმა ტანჯვა იმისთვის შექმნა, რომ სიხარული უფრო თვალსაჩინო გახდეს მის გვერდით, – თქვა რუმიმ, – საერთოდ, ყველა მოვლენას მთელი სიცხადით მხოლოდ თავისი საპირისპირო მოვლენის გვერდით ვხედავთ. და რადგან ღმერთს თავისი საპირწონე არავინ და არაფერი ჰყავს, ის უხილავი რჩება.

მოქადაგეს ხმაში რიხი ემატებოდა. მისი ხმა მთის ნაკადულივით ძლიერდებოდა, მწვერვალიდან ჩამომდნარ თოვლს რომ მიიმატებს და გზადაგზა აზვირთდება...

– შეხედეთ ქვევით მიწას და ზევით ცის კამარას. სწორედ ასე უპირისპირდება ერთმანეთს ყოველივე ამქვეყნად: წყალდიდობა და გვალვა, ომი და მშვიდობა, რისხვა და დათმენა, პატიოსნება და ვერაგობა. რაც უნდა მოხდეს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ დამბადებელს ტყუილად არაფერი შეუქმნია.

ვუსმენდი და ვფიქრობდი, რომ რაც კი გადამხდენია, ყველაფერი გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა: დედაჩემის ორსულობაცა და მის საშოში ატეხილი ომიც, ჩემი ძმის უსაშველო მარტოობაც და მამაჩემისა და ჩემი დედინაცვლის მკვლელობაც, ტყეში გატარებული საშინელი დღეებიც და კონსტანტინოპოლის ქუჩებში ნანახი სისასტიკეც. ყოველივე ამან სათითაოდ რაღაც შემატა ჩემს თავგადასავალს. ყველა ამ ძნელბედობის უკან აშკარად რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი იმალებოდა. ბოლომდე ვერ გავრკვეულიყავი, რა იყო ეს, მაგრამ მთელი გულით ვგრძნობდი. როცა იმ დღეს, ხალხით გადაჭედილ მეჩეთში რუმის ვუსმენდი, სიმშვიდის სანუკვარი გრძნობა ფაფუკი ღრუბელივით შემომეხვია და გული ისე დამიამა, თითქოს საცხობში ვიჯექი და თბილ ღუმელთან მოფუსფუსე დედას ვუყურებდი...

ჰასანი, მათხოვარი

1244 წლის 17ოქტომბერი, კონია

ბოღმა მახრჩობდა ნეკერჩხლის ძირში მოკუნტულს. რუმის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები მაბრაზებდა. ტანჯვაო, ესაო, ისაო... ყველაფერს მიედმოედებოდა, არადა, ბევრი არაფერი ესმოდა იმისა, რაზეც ლაპარაკობდა.

მინარეთის გრძელი ჩრდილი ნელნელა მიუყვებოდა ვიწრო ქუჩას. ხან ვთვლემდი, ხან გამვლელებს ვათვალიერებდი. ის იყო, უნდა ჩამძინებოდა, რომ უცებ დავრიშს მოვკარი თვალი. ეს კაცი ადრე არასოდეს მენახა. შავ ჯვალოში გახვეულს ხელში დიდი კვერთხი ეჭირა, სახეზე თმის ნასახი არ ჰქონდა, ცალ ყურში ვერცხლის საყურე უელავდა. ისეთი ცნობისმოყვარობა აღმიძრა, რომ უნებურად თვალი ვერ მოვაშორე.

თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ამიტომ სულ ცოტა ხანში შემამჩნია, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მზერა აერიდებინა (როგორც ამას ყველა აკეთებდა, ვინც პირველად მნახავდა), გულზე ხელი მიიდო და ისე გულითადად მომესალმა, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით.

სახტად დავრჩი; უნებურად მიმოვიხედე, სხვა ვინმეს ხომ არ მიესალმა-მეთქი, მაგრამ იქ მხოლოდ მე და ნეკერჩხალი ვიყავით. გაოგნებულმა და დაბნეულმა მაინც მივიდე გულზე ხელი და სალამზე ვუპასუხე. დავრიში ნელა დაიძრა ჩემკენ. თვალები დავხარე, მეგონა, ან ხურდას ჩამიგდებდა ჯამში, ან პურის ნაჭერს მომაჩეჩებდა, მაგრამ ჩემ წინ მუხლი მოიყარა და სახეში მომაჩერდა.

– სალამ ალეიქუმ, უპოვარო! – მითხრა მან.

– ალეიქუმ სალამ, დავრიშო, – ვუპასუხე მაშინვე, მაგრამ საკუთარმა ხმამ ყური მომჭრა. იმდენად დიდი ხანი იყო, ძეხორციელს არ გამოვლაპარაკებოდი, რომ დამვიწყებოდა კიდეც, როგორ ჟღერდა ჩემი ხმა.

დავრიშმა შამს თებრიზად გამაცნო თავი და სახელი მკითხა.

– რად უნდა ჩემისთანა კაცს სახელი? – გამეცინა მე.

– უსახელო არავინ არის. ღმერთის სახელებს ხომ სათვალავი არ აქვს. თუმცა მათგან მხოლოდ ოთხმოცდაცხრამეტია ჩვენთვის ცნობილი. თუკი ღმერთს ამდენი სახელი აქვს, რა დააშავა ადამიანმა, მისმა ანარეკლმა?

ამაზე ვეღარაფერი ვუპასუხე და არც მიცდია. გული გადავუშალე, ვუთხარი, ერთ დროს ცოლიც მყავდა და დედაც, ისინი ჰასანს მეძახდნენ-მეთქი.

– მაშ, ჰასანი გრქმევია, – თავი დააქნია დავრიშმა და უცებ, ჩემდა გასაოცრად, ვერცხლის სარკე გამომიწოდა.

– შეინახე. ერთმა კეთილმა ბაღდადელმა კაცმა მისახსოვრა, მაგრამ ჩემზე მეტად შენ გჭირდება. ის შეგახსენებს, რომ გულით ღმერთს დაატარებ.

სანამ პასუხს მოვიფიქრებდი, ჩოჩქოლი ატყდა. თავიდან ვიფიქრე, მეჩეთში ჯიბის ქურდი დაუჭერიათ-მეთქი, მაგრამ როცა ყვირილმა იმატა, მივხვდი, რაღაც სხვა ამბავი იყო. ასეთი აურზაური ქურდბაცაცის გამო არ ატყდებოდა. სულ მალე გაირკვა ყველაფერი. მეჩეთში მამაკაცად გადაცმული ქალი, ცნობილი მეძავი აღმოეჩინათ და იმიტომ ქოთქოთებდნენ.

– გაწკეპლეთ, გაწკეპლეთ, ეგ მატყუარა, ეგ კახპა! – ისმოდა ყვირილი.

გამძვინვარებული ბრბო ქუჩებს მოედო. თვალი მოვკარი მამაკაცად გადაცმულ ახალგაზრდა ქალს. სახეზე მკვდრისფერი ედო, შვლის თვალებში შიში ჩასდგომოდა. ჩაქოლვა ადრეც მინახავს და სულ მიკვირს, როგორ ერთბაშად გადასხვაფერდება ხოლმე ადამიანი, როცა ბრბოს შეერევა. ჩვეულებრივი ადამიანები ხელოსნები, ვაჭრები და მეწვრილმანეები – ძალადობა აზრად რომ არასოდეს მოსვლიათ, ერთად რომ შეიყრებიან, ისე გამგელდებიან ხოლმე, თვალის დაუხამხამებლად მოგკლავენ. საერთოდ, სახალხო გასამართლება ჩვენში ჩვეულებრივი ამბავია. გულს რომ იჯერებენ, სხვების შესაშინებლად გამოფენენ ხოლმე გასამართლებულთა გვამებს.

– საბრალო ქალი, წაიბუტბუტა შამს თებრიზმა, მაგრამ პასუხის გაცემა ვეღარ მოვასწარი. რომ მოვტრიალდი, გვერდით აღარავინ მედგა. თვალი მოვკარი ცაში ავარდნილი, ალმოდებული ისრის სისწრაფით ბრბოსაკენ გაქანებულ დავრიშს. წამოვხტი და ფეხდაფეხ დავედევნე.

შამსი ბრბოს დაეწია, კვერთხი დროშასავით აღმართა და მთელი ხმით იღრიალა:

– ხალხო, შეჩერდით, შეჩერდით, ნუ იზამთ ამას!..

ერთბაშად გაიტრუნა ყველა და დავრიშს დაძაბულად მიაცქერდნენ.

– გრცხვენოდეთ, საკუთარი თავის გრცხვენოდეთ! – კიდევ შეუძახა შამსმა და კვერთხი მიწაზე დაჰკრა.

– ოცდაათი მამაკაცი ერთი ქალის წინააღმდეგ!.. განა ეს სამართალია?!

– ეგ სამართალს არ იმსახურებს! – შეეპასუხა ერთი ოთხკუთხასახიანი, ცალთვალგაშეშებული ახმახი. ეტყობოდა, ამ სახელდახელოდ შეყრილი ხალხის მეთაურობა ჰქონდა ნაკისრი. იმწუთას ვიცანი გუშაგი, სახელად ბაიბარსი; მას ქალაქის ყველა მათხოვარი იცნობდა; ერთი ავი და წუწკი კაცი იყო.

– ეს ქალი კაცად გადაცმული შემოიპარა მეჩეთში, კეთილმორწმუნე მაჰმადიანთა თვალის ასახვევად! – თქვა ბაიბარსმა.

– ესე იგი, ადამიანს მეჩეთში შესვლისათვის სჯით?! განა მეჩეთში შესვლა დანაშაულია?! ჩაეძია შამსი გამქირდავი ღიმილით.

ბრბო გაისუსა. როგორც ჩანდა, ამაზე არავის უფიქრია.

– ეგ ხომ კახპაა! – გამოსძახა ვიღაც ბრაზისაგან აპილპილებულმა კაცმა. – რა ესაქმება კახპას წმინდა მეჩეთში?!

ბრბოსაც ეს უნდოდა. იმ წუთში წამოიშალა და აყაყანდა:

– კახპა, კახპა! – ერთხმად გაიძახოდა ერთი ჯგუფი.

– დაიჭირეთ, კახპა! – უკნიდან ბანს აძლევდა მეორე.

ვიღაც ახალგაზრდა, თითქოს ბრძანებას ასრულებსო, სწრაფად დაწინაურდა, ქალს ჩალმაში ჩაავლო ხელი და ღონივრად მოქაჩა. ჩალმა გაიშალა და გრძელი, მზესუმზირის ყვავილივით ოქროსფერი თმა ტალღებად ჩამოეშალა მხრებზე. გავშრით მისი ახალგაზრდობითა და სილამაზით მოხიბლულები. ყველას სუნთქვა შეგვეკრა. როგორც ჩანს, შამსმაც იგრძნო ხალხის ეს გაორება და გამალებით მიაყარა საყვედურები:

– აბა, კარგად დაფიქრდით, ძმებო, გეზიზღებათ ეს ქალი, თუ მისი ალერსი გწყურიათ?..

მერე მეძავს ხელი მოჰკიდა და ბრბოს გამოარიდა. პატარა ბავშვი რომ დედის კაბას ამოეფარება, ისე მიიმალა ქალი მის ზურგს უკან.

– დიდ შეცდომას უშვებ, იცოდე! – გადაეღობა შამსს ბრბოს წინამძღოლი. – შენ ამ ქალაქში უცხო ხარ და ჩვენი ადათი არ იცი. ნუ ჩაერევი ამ საქმეში!

– საერთოდ, რა დავრიში შენა ხარ? – მხარი აუბა ვიღაცამ. – უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე, გარდა იმისა, რომ კახპას გამოესარჩლო?

შამს თებრიზი ერთხანს დუმდა, თითქოს ამ შეკითხვებს უფიქრდებოდა. თავი, რაც შეიძლება, მშვიდად ეჭირა. მერე თქვა:

– ერთი ეს მითხარით, როგორ შენიშნეთ ეს გოგო? გამოდის, რომ მეჩეთში ადამიანებს მეტ ყურადღებას აქცევთ, ვიდრე ღმერთს! თქვენ რომ ისეთი კეთილმორწმუნეები იყოთ, როგორადაც თავი მოგაქვთ, მას მაშინაც კი ვერ შეამჩნევდით, შიშველი რომ ყოფილიყო! ახლა წადით, ქადაგებას დაუბრუნდით და საერთოდ, თქვენს საქმეებს მიხედეთ.

უხერხული დუმილი ჩამოწვა. ჩვენს ფეხებთან, ფილაქანზე, მოწყვეტილი ფოთლები ეცემოდა. ირგვლივ სხვა ყველაფერი გაშეშებულიყო.

– წადით-მეთქი, ქადაგებას დაუბრუნდით! – გაიმეორა შამს თებრიზმა და ხალხს ცხვირწინ კვერთხი ისე აუქნია, თითქოს აბეზარი ბუზები ყოფილიყვნენ.

წასვლას აშკარად არ აპირებდნენ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯით უკან კი დაიხიეს. ცოტა ხანს უხერხულად ტკეპნიდნენ ერთ ადგილს; არ იცოდნენ, რა ექნათ. ზოგიერთმა მეჩეთისაკენ გაიხედა, თითქოს ფიქრობდა, დავბრუნდე თუ არაო. სწორედ ამ დროს დავრიშის ზურგს ამოფარებულ მეძავს გული მიეცა, ადგილს მოსწყდა და კურდღელივით მოქუსლა. როცა გარბოდა, გრძელ, გაშლილ თმას ქარი უფრიალებდა.

მხოლოდ ორმა ადამიანმა სცადა მისი გამოკიდება, მაგრამ შამს თებრიზმა გზა გადაუღობა და კვერთხი ისეთი ძალით დაჰკრა მათ ფეხებთან ფილაქანს, რომ მაშინვე წაიბორძიკეს და ზღართანი მოადინეს. კარგი სანახავი კი იყო... რამდენიმე გამვლელს სიცილი აუტყდა. მეც ვერ შევიკავე თავი. დარცხვენილები და ცხვირჩამოშვებულები წამოდგნენ ფეხზე, მაგრამ მეძავი უკვე შორს იყო.

დავრიშმა თავისი საქმე გააკეთა და გზა განაგრძო.

<u>სულეიმანი, ლოთი</u>

<u>1244 წლის 17 ოქტომბერი, კონია</u>

ბრბოში რომ ჩოჩქოლი ატყდა, დუქანში არხეინად ვთვლემდი, მაგრამ ხმაურმა ფეხზე წამომახტუნა. თვალები ვჭყიტე და წამოვიძახე:

– რა ამბავია? მონღოლები მოდიან?!

სიცილი გაისმა. მოვტრიალდი და დავინახე, დუქნის რამდენიმე სტუმარი მაქილიკებდა. ბინძური ნაბიჭვრები...

– ნუ გეშინია, ბებერო ლოთო! – გამომძახა მედუქნე ქრისტოსმა. – შენ მონღოლებსაც არ სჭირდები. რუმი მოდის თავის თაყვანისმცემლებთან ერთად.

ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე. ჰო, ეგენი იყვნენ. აღტაცებული თაყვანისმცემლებისა და მოწაფეების მთელი ჯარი მოდიოდა. ყველა ერთხმად გაჰყვიროდა: „დიდ არს უფალი! დიდ არს უფალი!“ ბრბოს შუაგულში რუმი მოაგოგმანებდა თავის თეთრ რაშს, როგორც ყოველთვის თავდაჯერებულად და მხნედ. ფანჯრიდან თავი გამოვყავი და ხალხს დავაკვრიდი. კუს ნაბიჯით მოუყვებოდნენ ქუჩას. ზოგი მათგანი უკვე ისე ახლოს იყო, რომ შემეძლო, ხელითაც კი შევხებოდი. უცებ ერთი კარგი რამ მოვიფიქრე: მოდი, ზოგიერთს ჩალმას მოვხდი-მეთქი. ქრისტოსის ზურგის საფხან ჯოხს დავავლე ხელი, ცალი ხელით რაფას დავეყრდენი, მეორით ჯოხი

მოვიმარჯვე, გადავიწიე და იმდენი ვქენი, ერთი კაცის ჩალმას მართლაც მივწვდი. მერე ეშხში შევედი, მეორესაც იგივე დავუპირე, მაგრამ უცებ თავი ასწია და შემომხედა.

– სალამ ალეიქუმ! – მივესალმე და გულიანად გავიკრიჭე.

– მაჰმადიანს დუქანში რა უნდა?! სირცხვილი შენი! არ იცი, რომ ღვინო შაითანის ნახელავია?! – მომაძახა მან.

შეპასუხება დავაპირე, მაგრამ სანამ ხმას ამოვიღებდი, ცხვირწინ რაღაც წვეტიანმა საგანმა ჩამიშხუილა. ჰოი, საშინელებავ! ქვა იყო... ბეწვზე გადავრჩი, ფანჯარას უცებ რომ არ მოვცილებოდი, თავს გამიპობდა!

მე კი ამცდა, მაგრამ ღია ფანჯარაში შემოფრინდა და იქვე, ერთი სპარსი ვაჭრის მაგიდაზე მოადინა ზღართანი. ვაჭარი კარგა შეზარხოშებული იყო და ვერაფერს მიხვდა; ქვას დასწვდა და ისე დაუწყო თვალიერება, როგორც ციდან მოვლენილ იდუმალ გზავნილს.

– სულეიმან, დახურე ფანჯარა და შენს მაგიდასთან დაბრუნდი! – იბღავლა ქრისტოსმა შიშისაგან ჩახლეჩილი ხმით.

– დაინახე, რა მოხდა?! – ვკითხე და მაგიდისკენ წავლასლასდი. – ვიღაცამ ქვა მესროლა. კინაღამ მომკლეს!

– აბა, რა გეგონა, ვაჟბატონო? საქვეყნოდ რომ გადმომდგარხარ ღვინით აქოთებული და ცხვირაწითლებული, არ იცი, მაჰმადიანს დუქანში ქეიფს ყველა რომ არ უწონებს? – შემიბღვირა ქრისტოსმა.

– ვვითომ რას ვაშავებ? – ვთქვი ენის ბორძიკით. – განა მე ადამიანი არა ვარ?

ქრისტოსმა მხარზე ხელი მომითათუნა, თითქოს ამით მეუბნებოდა: „კარგი, ნუ მებუტტებიო.“

– აი, ზუსტად ამიტომ მეზიზღება ყველანაირი სარწმუნოება! ამ მორწმუნეებს ღმერთი სულ თავის გვერდით ეგულებათ და ყველას ზემოდან გადმოჰყურებენ. – ვთქვი მე.

ქრისტოსმა არაფერი მიპასუხა. მორწმუნე კაცი იყო, მაგრამ თან გაქნილი მედუქნეც გახლდათ; იცოდა, როგორ დაეშოშმინებინა გაცეცხლებული მუშტარი. კიდევ ერთი დოქი დამიდგა და ცოტა ხანს მიყურა, როგორ ხარბად ვნთქავდი წითელ ღვინოს. გარეთ ქარი ბორგავდა, ფანჯრებს აჯახუნებდა და ხმელ ფოთლებს აქეთ-იქით დააფრიალებდა. ჩუმად ვიდექით და მისი ხმა ნანასავით ჩაგვესმოდა.

– არ მესმის, სააქაოს რატომ გვაქვს ღვინო აკრძალული, საიქიოს კი აღთქმული... – ვთქვი მე, – თუ ღვინო ისეთი ცუდია, როგორც ამბობენ, სამოთხეში რაღა უნდა?

– უჰ, ამისმა შეკითხვებმა ხომ მომკლა!.. – შეიცხადა ქრისტოსმა და ხელები გაასავსავა. – რა არ გასვენებს, რა?! ყველაფერზე შეკითხვა როგორ უნდა დასვა?

– მაშ, ტვინი რისთვისღა გვაქვს?

– სულეიმან, დიდი ხანია, გიცნობ. შემთხვევითი მუშტარი ხომ არა ხარ, მეგობარი ხარ ჩემი და ძალიან მაწუხებს შენი ამბავი, – დაიწყო ქრისტოსმა.

– არხეინად იყავი, მე არაფერი მიშავს, – ვცადე მისი დაშოშმინება, მაგრამ ლაპარაკი არ მაცალა:

– კარგი კაცი ხარ, მაგრამ ერთი უბედურება გჭირს – სამართებელივით ბასრი ენა გაქვს. კონიაში ათასნაირი ხალხი ცხოვრობს და მაჰმადიანის ლოთობა ბევრს არ მოსდის თვალში. ფრთხილად იყავი, ხალხში ცოტა მორიდება გამოიჩინე, ეგ შენი ხუშტურები შენთვის შეინახე.

უდარდელად გავიკრიჭე.

– გინდა, ეს საუბარი ომარ ხაიამის სტრიქონებით დავაგვირგვინოთ?

ქრისტოსს გულზე შემოეყარა, მაგრამ სპარსმა ვაჭარმა ყურები ცქვიტა და იმ წუთში მხიარულად ამყვა:

– მიდი, ერთი, წაგვიკითხე!

სხვა მოქეიფეებიც შემოგვიერთდნენ და ტაში დასცხეს. შეგულიანებული და გათამამებული, მაგიდაზე ავხტი და დავცხე:

„ვაზი ხომ ღმერთმა გააჩინა, სალხენად ჩვენდა?
ღვინის დალევას რად ჩაგვითვლის დიდ ცოდვად, ნეტავ?“

– მაგას რა კითხვა უნდა! მაშ, რაღა აზრი ჰქონდა ვაზის გაჩენას! – წამოიძახა სპარსმა ვაჭარმა.

„ყურძნისგან ღვინის დაყენებაც მან დააწესა,
ჭიქის წკარუნი სმენას უტკბობს, ალბათ, თვით ღმერთსაც.“

– ამდენი წლის ლოთობამ სხვა თუ არაფერი, ერთი რამ ნამდვილად მასწავლა: მსმელიცაა და მსმელიც... ხალხი მინახავს, ყოველღამე კოკებით ისხამენ ღვინოს და მხოლოდ ოდნავ თუ შექეიფიანდებიან ხოლმე. კარგად მოილხენენ, იმღერებენ და მერე არხეინად იძინებენ. მაგრამ ისეთებიც შემხვედრია, რამდენიმე წვეთი ღვინისაგან ურჩხულებად რომ ქცეულან. თუ ერთი და იგივე სასმელი ერთს მხოლოდ ამხიარულებს და აზარხოშებს, მეორეს კი აბოროტებს და აგიჟებს, მსმელს უნდა მოჰკითხო, თუ სასმელს?

„ღვინო დალიე, არვინ იცის, რა გზით მოხვედი.
იმხიარულე, არვინ იცის, ვინ საით მიდის...“

ისევ იქუხა ტაშმა. საერთო მხიარულებას ქრისტოსიც კი აჰყვა. კონიის ებრაულ უბანში, ქრისტიანი კაცის დუქანში, ყველა აღმსარებლობის ღვინის მოტრფიალეებმა ავწიეთ ჭიქები და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა ყველამ ერთად შევსვით სადღეგრძელო უფლისა, რომელსაც ვუყვარვართ და ყველაფერს გვპატიობს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არც სიყვარული შეგვიძლია და არც პატიება.

ელა

2008 წლის 31 მაისი, ნორთჰემპტონი

„ბევრი წვრილმანია გასათვალისწინებელი: დააკვირდით ქმრის პერანგზე პომადის კვალს, დააკვირდით, მის ტანსაცმელს უცხო სუნამოს სუნი ხომ არ ასდის...“ – ამ და სხვა რჩევებს იძლეოდა ვებგვერდი „სიფრთხილეს თავი არ სტკივა!“ ელა რუბინშტეინი პირველად ავსებდა ინტერნეტში ტესტს, რომელიც ასე იყო დასათაურებული:

„როგორ გავიგოთ, გვღალატობს თუ არა ქმარი.“

ტესტის შეკითხვები საკმაოდ ბანალური იყო, მაგრამ ელასთვის რომ გეკითხათ, იმავე ეპითეტით შეიძლებოდა ცხოვრების მოხსენიებაც. მიუხედავად იმისა, რომ ტესტმა სახარბიელო ვერაფერი უთხრა, ელას ქმართან დაპირისპირება არ სურდა. კვლავინდებურად არაფერს ეკითხებოდა, როცა ქმარი ღამით სახლში არ მოდიოდა. ასეთ დროს აზიზის რომანს კითხულობდა და თავისი დუმილის გამართლებას ამ საქმიანობით ცდილობდა. ისე იყო თავგზააბნეული, რომ წიგნის ბოლომდე ჩასაკითხად ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდა. მაინც სიამოვნებას იღებდა ამ ისტორიით და შამსის ყოველი ახალი წესის წაკითხვისას თავის ცხოვრებას უფიქრდებოდა

როცა ბავშვები შინ იყვნენ, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, მაგრამ როცა ცოლქმარი მარტო რჩებოდა, ელა ამჩნევდა, რომ დევიდი ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა. თითქოს უკვირდა, ეს რა ცოლია, ქმარს არ ეკითხება, ღამე სად გაატარეო. სინამდვილეში ელას, უბრალოდ, არ სურდა ისეთი რამის გაგება, რის მშვიდად მონელებას, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა. რაც ნაკლები ეცოდინებოდა ქმრის საქციელზე, ნაკლებად შეწუხდებოდა. იგი ეთანხმებოდა აზრს, რომ: „არცოდნა ნეტარებაა.“

ეს „ნეტარება“ ერთადერთხელ დაირღვა: ბოლო შობას, როცა საფოსტო ყუთში დევიდის სახელზე გამოგზავნილი ერთ-ერთი სასტუმროს სარეკლამო კითხვარი აღმოაჩინა. სასტუმროს ადმინისტრაციას აინტერესებდა, კმაყოფილი იყო თუ არა კლიენტი მათი მომსახურებით. ელამ კონვერტი გამოსაჩენ ადგილას დადო და ქმრის რეაქციას დაელოდა.

– სასტუმროდან ანკეტა მოსულა, კლიენტურის გამოკითხვაა! მაგრამ მე რაში მჭირდება? – თქვა დევიდმა და ცოლს ნაძალადევად, ცალყბად გაუღიმა. – მანდ შარშან სტომატოლოგების კონფერენცია იყო და როგორც ჩანს, ყველა მონაწილე კლიენტების სიაში ჩაურთავთ...

ელამ დაუჯერა. ყოველ შემთხვევაში მისი არსების იმ ნაწილმა, რომელსაც სურდა, რომ მათ ცოლ-ქმრულ ნავს დაუბრკოლებლად ეცურა. მისი არსების მეორე ნაწილი კი კვლავინდებურად ეჭვის ტყვეობაში იყო... სწორედ ამ მეორე ნაწილმა ააკრეფინა იმ სასტუმროს ტელეფონის ნომერი, იმისათვის, რომ მისი პერსონალისგან მოესმინა, რაც ისედაც იცოდა: „ამ სასტუმროში არასოდეს (არც წელს და არც შარშან) გამართულა სტომატოლოგთა კონფერენცია!“

გულის სიღრმეში ელა თავის თავს ადანაშაულებდა: ბოლო ექვს წელიწადში ასაკი მოერია, წონაში მოიმატა, ზედმეტი კილოგრამები კი თანდათან ვნებისაგან ცლიდა; სხვათა შორის, წონასთან ბრძოლას მზარეულობის გაკვეთილებიც აფერხებდა. არადა,

მის ჯგუფში იყვნენ ქალები, რომლებიც უფრო ხშირად და გაცილებით უკეთესად მზარეულობდნენ, მაგრამ ელაზე ბევრად ნაკლებს იწონიდნენ.

განვლილ ცხოვრებას რომ იხსენებდა, ხედავდა, მეამბოხე სულით ვერასოდეს დაიკვეხნიდა. არასოდეს გათიშულა ბიჭებთან ერთად მალულად მოწეული მარიხუანისგან, არასოდეს დაულევია ჩასახვის საწინააღმდეგო აბები, არასოდეს უჭირვეულია, არასოდეს მოუტყუებია დედა, არასოდეს გაპარულა გაკვეთილიდან, არასოდეს ჰქონია სექსი მოზარდობის ასაკში... მისი ასაკის გოგოები ან აბორტებს იკეთებდნენ, ან უკანონოდ გაჩენილ ბავშვებს აშვილებდნენ, ის კი ისე ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს, თითქოს ტელევიზორში ეთიოპიელი ხალხის შიმშილობის შესახებ გადაცემას უყურებდა. მართალია, მსოფლიოში დატრიალებული ტრაგედიები ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა, მაგრამ თვითონ, როგორღაც, განზე იდგა და ბოლომდე ვერ ითავისებდა, რომ იმ უბედურ ადამიანებთან ერთად ერთ პლანეტაზე ცხოვრობდა...

წვეულებებზეც არასოდეს დადიოდა, მოზარდობის ასაკშიც კი. ვიღაც უცნობებთან გიჟურ დროსტარებას ერჩივნა, პარასკევ საღამოს კარგი წიგნი წაეკითხა.

– რატომ ელას არ ჰგავხარ?! რატომ ის არ ეხვევა ცუდ საქმეებში?! უწყრებოდნენ დედები თავიანთ ქალიშვილებს.

უფროსების დიდი მოწონებით კი სარგებლობდა, მაგრამ სამაგიეროდ, ტოლებს ჰყავდათ ათვალწუნებული. მათთვის ერთი უგერგილო და მოსაწყენი დედიკოს გოგო იყო, რომელსაც იუმორის გრძნობა არ გააჩნდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სკოლაში სწავლის დროს პოპულარული არ იყო.

ერთხელ კლასელმა უთხრა:

– შენი უბედურება, იცი, რა არის? ამ დედამ... ცხოვრებას ძალიან სერიოზულად უყურებ.

ელამ ყურადღებით მოუსმინა და უთხრა, ვიფიქრებ ამაზეო.

წლები ისე გავიდა, ვარცხნილობაც არ შეუცვლია. გრძელ, სწორ, ქერა თმას ხან კეფაზე დაიმაგრებდა, ხან დაიწნავდა. მაკიაჟსაც ცოტას ხმარობდა, მოწითალო-მოყავისფრო პომადით კმაყოფილდებოდა. თვალების კონტურისთვის მწვანე ფანქარს იყენებდა, რაც მისი ქალიშვილის აზრით, ხაზს კი არ უსვამდა, პირიქით, ჩრდილავდა მის ისედაც ბაც ცისფერ თვალებს. ამასაც ვერ ახერხებდა ხეირიანად. ვერასოდეს ავლებდა ორ ერთნაირ ხაზს, ამიტომ ცალი თვალი ყოველთვის უფრო სქლად ჰქონდა შეღებილი, ვიდრე მეორე.

ელას კარგად ესმოდა, რომ რაღაც ხდებოდა მის თავს ან ზედმეტად ერეოდა ყველაფერში (თუ გავიხსენებთ ჯენეტის შემთხვევას), ან ზედმეტად პასიური და მორჩილი იყო (თუ გავითვალისწინებთ ქმრის რომანებს). ერთი სიტყვით, მასში ორი ელა ცხოვრობდა: ერთი მკაცრი და კონტროლის მოყვარული, მეორე კი უსაშველოდ სუსტი და უმწეო.

თვითონაც არასოდეს იცოდა წინასწარ, რომელი ელა წამოყოფდა თავს და როდის. სხვათა შორის, იყო მესამე ელაც ჩუმი დამკვირვებელი, რომელიც ელოდა, როდის მოვიდოდა მისი დრო. სწორედ ეს მესამე ელა ჩასჩურჩულებდა: „კი ხარ გატრუნული,

მაგრამ კარგა გვარიანად გაქვს მოზღვავებული ბრაზი და ამბოხების სურვილი, რომელსაც გულმოდგინედ იხშობ; მაგრამ იცოდე, ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება, ერთხელაც იქნება, აფეთქდები.“

...და, აი, მაისის იმ ბოლო დღეს, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, ელამ გააკეთა ის, რაც დიდი ხანი იყო, არ გაეკეთებინა. ლოცვა დაიწყო. ღმერთს ორი რამ სთხოვა: ან ისეთი სიყვარული მიეცა, რომელიც ერთიანად დანთქავდა მთელ მის არსებას, ან ისეთი გამძლეობა და გულგრილობა მიემადლებინა, რომელიც უსიყვარულობას გადაატანინებდა.

„არჩევანი შენზეა, უფალო... დასძინა ბოლოს. ოღონდ, იჩქარე, ნუ დაგავიწყდება, რომ უკვე ორმოცის ვარ, თანაც წლებს მაინცდამაინც ვაჟკაცურად ვერ ვუმკლავდები.“

უდაბნოს ვარდი, მეძავი

1244 წლის 17 ოქტომბერი, კონია

ბევრი ვირბინე ვიწრო ქუჩაბანდებში. უკან მოხედვის მეშინოდა. ფილტვები მეწვოდა, სული ყელში მებჯინებოდა. ბოლოს ხალხით სავსე ბაზარს მივადექი, გალავანს ამოვეფარე და იქვე, მუხლმოკვეთილი მივესვენე. მერეღა მოვიკრიბე მხნეობა და უკან მოვიხედე. რომ იცოდეთ, რა შვება ვიგრძენი, როცა დავინახე, რომ ერთადერთი ადამიანი მომდევდა – სეზამი.

აქოშინებული დამადგა თავზე, ხელები თოჯინას ხელებივით უსულოდ ჩამოჰკიდებოდა. გაწიწმატებული, თვალებგადმოკარკლული მიყურებდა, ეტყობოდა, ვერაფრით გაეგო, რა დამარბენინებდა შეშლილივით კონიის ქუჩებში. ეს ამბავი ისე უცებ დატრიალდა, რომ მომხდარის გააზრება მერეღა მოვახერხე, როცა ბაზარში აღმოვჩნდი. ქადაგებით გატაცებულსა და რუმის სიბრძნით მთვრალს მეჩეთში ჯდომა მხოლოდ ერთი წუთით დამცალდა. ისე ამიტაცა იმ ყველაფერმა, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ დააბიჯა ფეხი ვიღაც ახალგაზრდა კაცმა ჩემი თავსაბურავის ბოლოს. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, ისე გაიშალა ქსოვილი, რომლითაც სახე მქონდა დაფარული. ერთბაშად ჩალმაც ჩამომიცურდა თავიდან, სახეც გამომიჩნდა და თმის ნაწილიც. თავსაბურავი საჩქაროდ გავისწორე და კვლავ ქადაგებას მივუგდე ყური. დარწმუნებული ვიყავი, რომ არავის არაფერი შეუმჩნევია, მაგრამ როცა ამოვიხედე, წინა რიგში მდგომი ახალგაზრდა კაცი შევნიშნე. თვალებით მჭამდა. ოთხკუთხა სახე ჰქონდა, გაშეშებული თვალი, წვეტიანი ცხვირი და დამცინავად დაღრეჯილი პირი. მაშინვე ვიცანი; ბაიბარსი ბრძანდებოდა.

ეს კაცი ადრე ჩვენთან დაიარებოდა და უნდა გითხრათ, რომ საშინელი მუშტარი იყო. ჩვენს გოგოებს ასეთებთან საქმის დაჭერა ჭირივით სძულდათ. ზოგიერთ მამაკაცს ასე სჩვევია: თან უნდა მეძავთან დაწოლა, თან მისი შეურაცხყოფით ვერ ძღება. ეგეც მაგ ჯილაგისა იყო. უტიფარი ლაზღანდარობა უყვარდა, საზიზღარი ხასიათი ჰქონდა. ერთხელ ერთი გოგო ისე სცემა, რომ ჩვენმა პატრონმაც კი, ფული რომ ყველაფერს ერჩივნა, დაუცაცხანა, ახლავე დატოვე აქაურობა და აქ მეორედ აღარ გნახოო. ბაიბარსი

კარგა ხანს არ გვეშვებოდა, მაგრამ მერე რატომღაც ფეხი ამოიკვეთა და იმ დღიდან მის შესახებ არაფერი გვსმენოდა. ახლა კი აგერ, პირველ რიგში გამოჭიმულიყო. გრძელი წვერი მოეშვა ღვთისმოშიში კაცივით, მაგრამ თვალები ისევ ისე ბოროტად უელავდა.

მზერა მოვარიდე, მაგრამ გვიანღა იყო. მიცნო და გვერდით მდგომ კაცს რაღაც წასჩურჩულა. ახლა ორივენი მოტრიალდნენ და თვალი დამადგეს. შემდეგ კიდევ ვიღაცას მიუთითეს ჩემზე და იქ მდგომი ყველა მამაკაცი რიგრიგობით გამოახედეს ჩემკენ. სახეზე ალმური მომედო, გული ამიფართხალდა, მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე. ვიდექი და ბავშვივით მჯეროდა, რომ თუ თვალებს დავხუჭავდი, სიბნელე ერთიანად ჩაგვყლაპავდა ყველას და საფრთხე ამცდებოდა. როცა თვალის გახელა გავბედე, დავინახე, რომ უკვე ჩემკენ მოიწევდა. გასასვლელისკენ გავიწიე, მაგრამ ჩემ ირგვლივ ზღვა ხალხი ირეოდა და ისიც თვალის დახამხამებაში წამომეწია. უკვე ისე ახლოს იყო, რომ მისი სუნთქვაც კი მესმოდა.

ხელი დამავლო და კბილებში გამოცრა:

– შენ აქ რა გინდა, შე კახპა? არა გრცხვენია?!

– გეხვეწები, ხელი გამიშვი! – ვბუტბუტებდი საცოდავად, მაგრამ მგონი, არც კი ესმოდა ჩემი. ამასობაში ამფსონებიც წამოეშველნენ. თანდათან მიახლოვდებოდნენ შემზარავი, გაბღენძილი, დაბოღმილი ჯეელები და გზადაგზა უშვერი სიტყვებით მამკობდნენ. ყველამ უკან გამოიხედა, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა. ზოგიერთი აღშფოთების ნიშნად ენას აწკლაპუნებდა, მაგრამ ჩარევით არავინ ჩარეულა. ერთბაშად მომერღვა მთელი სხეული. ცომს დავემსგავსე, ბრბოს მივნებდი და თავი გასასვლელისაკენ წავათრევინე.

ქუჩაში რომ გამოვედი, იმედი მომეცა, რომ სეზამი წამომეშველებოდა. თუ მაინცდამაინც ქვეყანა დაიქცა, გავიქცევი და ეგ იქნება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ როგორც კი ქუჩაში აღმოვჩნდით, ყველა ერთბაშად გადიდგულდა. მივხვდი, მეჩეთში მხოლოდ მოქადაგისა და საზოგადოების რიდით იკავებდნენ თავს აყალმაყალისა და გაწევ-გამოწევისაგან. აქ კი, გარეთ, მათი გამჩერებელი უკვე აღარავინ იყო.

ცხოვრებაში უარესებიც გადამხდენია, მაგრამ ასე არასოდეს დავზაფრულვარ. ამდენი წლის ყოყმანის შემდეგ ღმერთისაკენ ნაბიჯი გადავდგი და რით მიპასუხა – თავისი სახლიდან კინწისკვრით გამომაგდო!

– არ უნდა წამოვსულიყავით, – ვუთხარი სეზამს და ხმა თხელი ყინულივით გამებზარა, – ამ ხალხს ვერ გაამტყუნებ. მეძავის ადგილი ღმერთის სახლში არ არის მეჩეთი იქნება ის, თუ ეკლესია...

– მაგას ნუ იტყვი! – გავიგონე უცებ ვიღაცის ხმა. მივტრიალდი და თვალებს არ დავუჯრე. ისევ ის მოხეტიალე, უწვერული დავრიში იყო. მისი დანახვისას სეზამი სიხარულით ცას ეწია და პირი ლამის ყურებამდე აეხა. მეც მივვარდი, მინდოდა, მისთვის ხელები დამეკოცნა, მაგრამ ნება არ მომცა:

– არა, მაგას ნუ იზამ!

– მაშ, როგორ გადაგიხადო მადლობა? შენ ისეთი სამსახური გამიწიე!.. – ვუთხარი მუდარანარევი ხმით.

მხრები აიჩეჩა და მითხრა:

– შენ არაფერი გმართებს ჩემი.ყველანი მხოლოდ მისგან ვართ დავალებული.

დავრიშმა თავი შამს თებრიზად გამაცნო, მერე კი უცებ ისეთი უცნაური რამ მითხრა, ადრე რომ არასოდეს გამეგო:

– ზოგიერთ ადამიანს კაშკაშა აურა აქვს, მაგრამ დროთა განმავლობაში უფერმკრთალდება. ეტყობა, მსგავსი რამ შენც გჭირს. ერთ დროს შენი აურა შროშანზე უსპეტაკესი იყო, ყვითლად და ვარდისფრად დაწინწკლული, მაგრამ დროთა განმავლობაში გაუფერულდა და ახლა ღია ყავისფერია. არ გენატრება შენი ნამდვილი ფერები? არ გინდა, შენს ნამდვილ არსს კვლავ შეერწყა?

საგონებელში ჩამაგდო მისმა სიტყვებმა. ის კი განაგრძობდა:

– შენს აურას სიკაშკაშე მოაკლდა, რადგან თავი თვითონვე დაირწმუნე, რომ ერთიანად გასვრილი ხარ.

– გასვრილი ვარ, აბა, ვინ ვარ? – ვთქვი მე და ტუჩი მოვიკვნიტე. განა არ იცი, რითი ვჭამ პურს?

– ნება მიბოძე, ამბავს მოგიყვე, – მითხრა მან.

და აი, რა მიამბო:

ერთი მეძავი ქუჩაში მაწანწალა ძაღლს გადაეყარა. თაკარა მზით დასიცხულ, უმწეო ცხოველს წყურვილი კლავდა და საშინლად ქელავდა. მეძავმა ფეხსაცმელი გაიძრო, იქვე, ჭიდან წყალი ამოიღო, ძაღლს წყურვილი მოუკლა და გზა განაგრძო. მეორე დღეს ამ მეძავს ერთი სუფი შეხვდა, დიდი ბრძენკაცი. დაინახა თუ არა მეძავი, მიეჭრა და ხელები დაუკოცნა. მეძავი შეკრთა. სუფიმ კი უთხრა:

– შენ გუშინ ცხოველის მადლი მოისხი. თანაც ისე გულწრფელად გააკეთე ეს, რომ იმ წუთიდან ყველა ცოდვა მოგეტევა.

მესმოდა, რისი თქმაც უნდოდა შამსს, მაგრამ საკუთარ თავს მაინც ვუძალიანდებოდი. ამიტომ ვუთხარი:

– გარწმუნებ, მთელი კონიის ძაღლები რომ დავაპურო, ჩემს ცოდვებს მაინც ვერ გამოვისყიდი.

– ეგ შენ არ იცი. მხოლოდ ღმერთმა იცის. ეგეც რომ არ იყოს, რატომ გგონია, რომ ის კაცები, შენ რომ მეჩეთიდან გამოგაგდეს, ღმერთთან უფრო ახლოს არიან?

– იქნებ არც არიან, მაგრამ აბა, ვინ უნდა უთხრას მათ ეს? შენ ხომ არ ეტყვი? ჩავეკითხე მე.

დავრიშმა თავი გაიქნია.

– არა, ასე არ ხდება ხოლმე. მათ ეს შენ უნდა უთხრა.

– როგორ ფიქრობ, მომისმენენ? მე ხომ მათ ვძულვარ!..

– მოგისმენენ, – მითხრა დაბეჯითებით, – იმიტომ, რომ არ არსებობს ცნებები – ისინი ან მე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგო: ამ სამყაროში ყველა და ყველაფერი გადაჯაჭვულია. ჩვენ არა ვართ ათასობით სხვადასხვა არსება, ჩვენ ყველა ერთი ვართ.

მთლად არ მესმოდა, მინდოდა, უკეთ აეხსნა, ის კი განაგრძობდა:

– აჰა, ისმინე ერთერთი ორმოც წესთაგანი: „თუ გსურს, შეცვალო სხვების დამოკიდებულება შენდამი, პირველ რიგში შეცვალე შენი დამოკიდებულება საკუთარი

თავისადმი. სანამ საკუთარი თავის გულწრფელ სიყვარულს არ ისწავლი, ვერავინ შეგიყვარებს. მაგრამ თუ ერთხელ მიაღწიე ამ საფეხურს, იყავი მადლიერი ყოველი ეკლისათვის, რომელსაც მოიხვედრებ და კეთილი საზღაური არ აგცდება: საბოლოოდ ვარდების ზღვაში იბანავებ.“

შამსი ცოტა ხნით გაჩერდა, შემდეგ კი დაამატა:

– როგორ უნდა გცენ სხვებმა პატივი, როცა შენი თავი არ მიგაჩნია პატივისცემის ღირსად?

ხმაამოუღებლად ვიდექი. ვგრძნობდი, რომ ბოლოს და ბოლოს, მოვიხელთე ის რაღაც, რაც აქამდე ხელიდან მისხლტებოდა. მომაგონდა ყველა ის მამაკაცი, რომელთანაც ვწოლილვარ, მომაგონდა მათი სუნი, მათი ტლანქი, დაკოჟრილი ხელები, მათი ყვირილი ტკბობის ბოლო წუთებში... ჩემ თვალწინ წესიერი ბიჭები ურჩხულებად ქცეულან და პირიქით – ურჩხულები წესიერ ბიჭებად.

ჩემს ერთ მუშტარს ჩვევად ჰქონდა ტკბობის დროს მეძავებს აფურთხებდა.

– შე ბილწო კახპა! – მეტყოდა ხოლმე და პირში ჩამაფურთხებდა.

ეს დავრიში კი მეუბნებოდა, წყაროს წყალივით სუფთა ხარო... სასაცილოდ მეჩვენებოდა მისი სიტყვები, მაგრამ როცა გაცინება ვცადე, სიცილის ნაცვლად მოგუდული ქვითინი აღმომხდა.

– წარსული ერთი დიდი მორევია. თუ მას შენს აწმყოზე გააბატონებ, ჩაგითრევს, – თქვა შამსმა, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა, – დრო ცრუ, წარმოსახვითი ცნებაა. მხოლოდ ამ წუთით უნდა იცხოვრო. ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

აქ მან ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოაძვრინა.

– აჰა, გქონდეს. ერთმა კეთილმა ბაღდადელმა კაცმა მისახსოვრა, მაგრამ შენ უფრო მეტად გჭირდება. ის შეგახსენებს, რომ შენი გული სუფთაა და რომ ღმერთს დაატარებ.

თქვა ეს, თავის კვერთხს ხელი წამოავლო, ადგა და წასასვლელად მოემზადა.

– წამოდი მაგ საროსკიპოდან... – მითხრა ბოლოს.

– კი მაგრამ, სად წავიდე? მე ხომ არსად მიმესვლება!

– ეგ არ არის ძნელი, – თქვა შამსმა და თვალები აუციმციმდა, ნუ გაფიქრებს ის, საით წაგიყვანს გზა. ჯობს, მთელი ყურადღება პირველ ნაბიჯს მიაპყრო. ეს არის ყველაზე რთული და შენც პასუხს სწორედ ამაზე აგებ. თუ ამ ნაბიჯს ერთხელ გადადგამ, ბუნებრივად მოსახდენს მოხდენა აცალე, დანარჩენი კი მას თავისთავად მოჰყვება. ნუ მიჰყვები დინებას. თავად იყავი დინება.

თავი დავუქნიე. შეკითხვებით აღარ შემიწუხებია, ისედაც მივხვდი: თავისი ერთ-ერთი წესი გამაცნო.

სულეიმანი, ლოთი

1244 წლის 17 ოქტომბერი, კონია

ბოლო ჭიქაც გადავკარი და დუქნიდან გავედი.

– გახსოვდეს ჩემი დარიგება. ენას კბილი დააჭირე, – გამაფრთხილა ქრისტოსმა და ხელი დამიქნია. მეც თავი დავუქნიე. მიხაროდა, ვიღაც რომ ზრუნავდა ჩემზე. მაგრამ როგორც კი ბნელ, უკაცრიელ ქუჩაში აღმოვჩნდი, ერთბაშად მოვეშვი. ასე დაჩაჩანაკებულად თავი არასოდეს მიგრძნია. ნეტავ ბოთლი წამომეღო თან, ყელს მაინც გავისველებდი-მეთქი, ვინანე.

მივლასლასებდი ოღროჩოღრო ფილაქანზე და უცებ გამახსენდა რუმის ამალის წევრი, დღეს რომ კინაღამ შუბლი გამიპო. გული მეტკინა, მისი სიძულვილით სავსე, გაცეცხლებული თვალები რომ გამახსენდა. არაფერი მეზიზღებოდა ამქვეყნად ისე, როგორც ფარისევლობა. ამ ვითომ წესიერი ხალხის საყვედურებით ისე ვიყავი გაბეზრებული, მათ გახსენებაზეც კი ტანზე ბუსუსებს მაყრიდა.

ამ ფიქრით გულამღვრეულმა რომელიღაც ვიწრო ქუჩაბანდში გადავუხვიე. სიბნელე აქ იყო თუ იყო. ირგვლივ ვეებერთელა ხეები იდგა და თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ჩემს ჯიბრზე მთვარეც სადღაც მიიმალა და უცებ კუნაპეტ სიბნელეში ამოვყავი თავი. ამიტომ ვერ შევნიშნე დროზე ორი გუშაგი, რომლებიც მიახლოვდებოდნენ.

– სალამ ალეიქუმ! – შევძახე ყოჩაღად, ჩემი შიში რომ არ შეემჩნიათ. გუშაგებმა ჩემს სალამს წაუყრუეს და მკითხეს, ამ შუაღამისას აქ რას აკეთებო.

– ვსეირნობ. – ვუპასუხე მე.

ერთხანს გაშეშებულები ვიდექით ერთმანეთის პირისპირ, სრულ სიჩუმეში. ძაღლების ყმუილიღა ჩაგვესმოდა შორიდან. ერთმა გუშაგმა ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა, ჰაერი დაყნოსა და როყიოდ თქვა:

– ყარს აქაურობა!

– ჰო, ღვინის სუნია, – კვერი დაუკრა მეორემ.

ვითარების შერბილება ვცადე:

– ნუ ღელავთ, ბატონებო, ეს მხოლოდ მეტაფორული სუნია. ჩვენ, მაჰმადიანებს, ხომ მხოლოდ მეტაფორული ღვინის დალევის უფლება გვაქვს. ჰოდა, სუნიც მეტაფორულია.

– რაო, რას როშავ?! – შემიღრინა ერთერთმა გუშაგმა.

სწორედ ამ დროს მთვარემაც გამოიჭყიტა ღრუბლიდან და დაგვხედა. მის ნაზ შუქზე კარგად ვხედავდი გუშაგის სახეს. ოთხკუთხა, ნიკაპგამოშვერილი სახე ჰქონდა, ყინულივით ცივი, ცისფერი თვალები და წვეტიანი ცხვირი. ზარმაცი თვალი და უხიაგი გამომეტყველება რომ არა, ალბათ, კარგი გარეგნობის მამაკაცი იქნებოდა.

– რას დაძუნძულებ ამ შუაღამისას? – მკითხა კიდევ ერთხელ. – საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ?

– ძალიან ღრმა საკითხებია, შვილო ჩემო. ეგ რომ ვიცოდე, ამსოფლად ჩვენი მოსვლის მიზანს ჩავწვდებოდი, – ვეღარ მოვითმინე მე.

– დამცინი, შე მყრალო? – დამჭყივლა გუშაგმა და სანამ გონს მოვიდოდი, ჰაერში მათრახმა გაიწუილა.

ისე იბრიქებოდა, სიცილი ვერ შევიკავე. მაშინ არც აცია, არც აცხელა, მათრახი მეორედ მოიქნია და ამჯერად პირდაპირ მკერდზე გადამიჭირა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ წონასწორობა დავკარგე და დავეცი.

– იქნებ ამან გასწავლოს ზრდილობა, – მითხრა გუშაგმა და მათრახი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა, – არ იცი, რომ სმა უდიდესი ცოდვაა?!

საკუთარი სისხლის სითბოს ვგრძნობდი, ტკივილისაგან რეტი მესხმოდა, მაგრამ მაინც ვერ ვიჯერებდი, რომ შვილისტოლა კაცი შუა ქუჩაში მათრახს მიტლაშუნებდა.

– დამსაჯე, დამსაჯე! თუ სამოთხე მხოლოდ შენისთანებისთვის არის, მაშინ მირჩევნია, ჯოჯოხეთში დავიწვა! – ვუპასუხე მე.

გაცოფებულმა გუშაგმა მთელი ძალით დამიშვა მათრახი. სახეზე ხელები ავიფარე, მაგრამ ამან არ მიშველა. უცებ ერთი მხიარული, ძველი სიმღერა გამახსენდა და გასისხლიანებულ ტუჩებზე უნებურად მომადგა მისი სიტყვები. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, იხტიბარი არ გამეტეხა და მათრახის ყოველ მოქნევაზე სულ უფრო ხმამაღლა მემღერა:

„კიდევ მაკოცე, გევედრები, ჩემო ლამაზო,
ნაზი ამბორით ამ გულს დარდი შემოაცალე.
შენს წითელ ბაგეს დაჰკრავს სიტკბო ალუბლის ღვინის,
მაშ, ჩამომისხი, კიდევ ერთი თასი დავცალო!“

ჩემი ქილიკით მთლად გავაცოფე გუშაგი. რაც უფრო ხმამაღლა ვმღეროდი, მით უფრო გამეტებით მირტყამდა. საოცარი იყო, ამ ერთ კაცში ამდენ ბოღმას როგორ მოეყარა თავი.

– გეყოფა, ბაიბარს! – დაფეთდა მისი ამფსონი. – გეყოფა!

მათრახის შხუილი ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო. მინდოდა, ბოლო სიტყვა მეთქვა, ერთიც შემომექნია მათთვის ჩემი ბასრი ენა, მაგრამ, პირში დაგუბებულმა სისხლმა ხმა ჩამიხშო, გულმუცელი ამომიტრიალდა და პირღებინება დამეწყო.

– არა მგონია, დღეიდან კაცად ივარგო და ახიც არის შენზე. რაც მოგივიდა, შენს თავს დააბრალე! – მომახალა ბაიბარსმა, ზურგი შემაქცია და მეწყვილესთან ერთად სიბნელეში გაუჩინარდა.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიწექი ასე. იქნებ რამდენიმე წუთი, იქნებ სულაც მთელი ღამე. თითქოს დროც გაშეშებულიყო და მასთან ერთად სხვა ყველაფერიც, რასაც ირგვლივ ვხედავდი. მთვარე ისევ ღრუბლებს მოეფარა და ახლა უკვე არათუ სრულ სიბნელეში აღმოვჩნდი, ისიც კი აღარ ვიცოდი, ვინ ვიყავი. სადღაც სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე დავფარფარებდი და უკვე აღარც მენაღვლებოდა, სად ამოვყოფდი საბოლოოდ თავს.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოვედი ამ მდგომარეობიდან, მაგრამ ყველა იარა და ყველა ნაკაწრი ისე უსაშველოდ ამტკივდა, ვეღარ გავძელი და დაჭრილი ნადირივით ავღმუვლდი.

წამით გონიც კი დავკარგე. როცა თვალი გავახილე, შარდში ვცურავდი; დაბეჟილი ხელ ფეხის გატოკება არ შემეძლო. ღმერთს შევევედრე, ან ამ სატანჯველისგან მიხსენი, ან სასმელი მაშოვნინე-მეთქი.

უცებ ფეხის ხმა გავიგონე. ვიღაც მიახლოვდებდა. ელდა მეცა. არ ვიცოდი, ამჯერად ვინ დამადგებოდა თავზე – ქუჩის ბიჭი, ღამის ქურდი თუ მკვლელი, მაგრამ შიშს აღარ ავყევი; იმაზე უარესი რაღა უნდა დაემუქროს ღამის მგზავრს, რაც ამათ დამმართეს?

უცებ ჩრდილიდან ახოვანი, ტანადი დავრიში გამოვიდა; თავსა და სახეზე თმის ნასახი არ ჰქონდა; ჩემ წინ ჩაიმუხლა და ადგომაში მომეშველა; მერე შამს თებრიზად გამეცნო და სახელი მკითხა.

– თქვენი მონამორჩილი, კონიელი ლოთი სულეიმანი, – ვუთხარი მე და პირიდან ჩამტვრეული კბილი გამოვიღე.

– სასიამოვნოა შენი გაცნობა, ჩაილაპარაკა შამსმა და სახე მომწმინდა, მთლად გასისხლიანებულხარ, ჩემო კარგო. შინაგანი სისხლდენაც გაქვს... თქვა ეს და ჯიბიდან ვერცხლის პინა ამოიღო.

– აი, ეს მალამო წაისვი ჭრილობებზე, – მითხრა მან, – ერთმა კეთილმა ბაღდადელმა კაცმა მისახსოვრა, მაგრამ ჩემზე მეტად შენ გჭირდება.

– ისე, იცოდე, შიგნით უფრო ღრმა იარა გაქვს, ვიდრე გარეთ. ეგ უფრო დასაფიქრებელია. აი, ეს მალამო შეგახსენებს, რომ ღმერთს დაატარებ.

– გმადლობ, ვუპასუხე ენის ბორძიკით.

შემძრა მისმა სიკეთემ და ვუთხარი:

– ღამის გუშაგმა მათრახით ტყავი გამაძრო. ასე მითხრა, შენზე ახიაო!..

მე თვითონ გამიკვირდა, ნაცემი ბავშვივით რომ შევწუწუნე, თანაგრძნობას და დამშვიდებას რომ ითხოვს...

შამს თებრიზმა თავი გააქნია.

– არ ჰქონდათ ამის უფლება. ყველა ადამიანი დამოუკიდებლად ეძიებს თავის სიწმინდეებს. სწორედ ამას გვეუბნება წესი: „ღმერთს ხატად თვისად შევუქმნივართ ყველანი, მაგრამ მაინც ყველანი განსხვავებულნი და თავისებურად განუმეორებელნი ვართ. დედამიწის ზურგზე ორი ერთმანეთის მსგავსი ადამიანი არ მოიძებნება. ორი გულიც კი არ ძგერს ერთი რიტმით. არსთაგანმრიგეს რომ ჩვენი ერთნაირობა ნდომებოდა, ყველას ერთნაირებად გაგვაჩენდა. ამიტომ ვინც განსხვავებას პატივს არ სცემს და თავის აზრს სხვებს ახვევს, პირველ რიგში ღვთიურ წესრიგს არ უწევს ანგარიშს.“

– კარგი სიტყვებია, – ისე მშვიდად ვთქვი, თვითონვე გამიკვირდა, – მაგრამ ერთი ეს მითხარი, თქვენ, სუფიებს არასოდეს გეპარებათ მასში ეჭვი?

შამსს დაღლილი ღიმილი გაუკრთა სახეზე.

– გვეპარება. ეჭვს რა სჯობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალი ხარ და ეძიებ...

წამღერებით ლაპარაკობდა, თითქოს წიგნს კითხულობსო...

– გარდა ამისა, ადამიანი მორწმუნე ერთ დღეში არ ხდება. თავიდან მას თავი მორწმუნე ჰგონია. მერმე რაღაც ხდება მის ცხოვრებაში, ისეთი, რაც რწმენას აკარგვინებს; მერმე

კვლავ მორწმუნე ხდება და ასე შემდეგ. ჩვენ მუდმივად ვმერყეობთ, სანამ გარკვეულ საფეხურს არ მივაღწევთ. წინსვლის ერთადერთი გზა მხოლოდ ეს გახლავს, თითოეული ახალგადადგმული ნაბიჯი ჭეშმარიტებასთან გვაახლოებს.

– ეს რომ ქრისტოსმა გაგიგოს, ალბათ, შენც გეტყვის, ენას კბილი დააჭირეო. მაგას რომ ჰკითხო, ყველასთან ყველაფერი არ ითქმის, – ვუთხარი მე.

– რას იზამ, იქნებ მართალიცაა, – ჩაიცინა შამს თებრიზმა და წამოდგა, – ახლა კი მოდი, შინ მიგიყვან. შენს ჭრილობებს მიხედვა უნდა, გამოძინებაც არ გაწყენდა.

ფეხზე წამომაყენა, მაგრამ სიარული ვერ შევძელი. მაშინ უყოყმანოდ, ბუმბულივით მსუბუქად ამიყვანა ხელში და ზურგზე შემომიგდო.

– გაფრთხილებ, ვყარვარ! – წავილუღლუღე დარცხვენილმა.

– არაფერია, სულეიმან, მაგას ნუ დარდობ, – მიპასუხა შამსმა.

აი, ასე, ზურგით მათრია კონიის ქუჩებში უცხო დავრიშმა, რომელსაც არც სისხლი შეეზიზღა ჩემი, არც შარდი და არც სუნი...

ჩავუარეთ ღრმა ძილში ჩაფლულ სახლებსა და ქოხმახებს. გაავებული ძაღლები ბაღების გალავნებს აწყდებოდნენ და ხმამაღლა გვიყეფდნენ, თითქოს ქვეყანას ატყობინებდნენ ჩვენს მიახლოებას.

– ერთი ეს მითხარი, სუფიები რომ თავიანთ ლექსებში ღვინოს აქებენ და ადიდებენ, ნამდვილ ღვინოს გულისხმობენ, თუ მეტაფორულს? – ვკითხე შამსს.

– რა მნიშვნელობა აქვს მაგას, მეგობარო? – მითხრა შამსმა და იქვე, ჩემი სახლის წინ ჩამომსვა, – მოდი, ერთ წესს გაგაცნობ და პასუხიც ეგ იქნება:

„როცა ღვთის ჭეშმარიტი მოყვარული დუქანში შედის, დუქანი ხდება მისი სამლოცველო, მაგრამ როცა იმავე სამლოცველოში ლოთი შედის, იგი მისი დუქანი ხდება. რასაც უნდა ვაკეთებდეთ,გულია მთავარი და არა გარეგნობა. როცა სუფი ადამიანს აკვირდება, გარეგნობითა და ვინაობით როდი აფასებს მას. სუფი ორივე თვალს ხუჭავს. ამ დროს მესამე თვალი ეხილება და სწორედ ამ მესამე თვალით ხედავს მისი სულის საუფლოს.“

როცა იმ გრძელი და დამღლელი ღამის შემდეგ შინ მარტო დავრჩი, მომხდარს კარგად ჩავუფიქრდი. მართალია, შავი დღე მადგა, მაგრამ ცოტა ხანში დავმშვიდდი და სასიამოვნოდ მოვითენთე. რაღაც წამიერი გარინდება იყო, მაგრამ ისე გამიტკბა, სულ იქ მინდოდა ყოფნა. სწორედ მაშინ ვიწამე ბოლოს და ბოლოს, რომ ღმერთი არსებობს და ვუყვარვარ.

...და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ფეხებამდე დაბეჟილი ვიყავი, ტკივილი სადღაც გაქრა...

ელა

2008 წლის 3 ივნისი, ნორთჰემპტონი

„ბიჩ ბოიზის“ სიმღერები იღვრებოდა ღია ფანჯრებიდან. ელა ზაფხულის მზით ახლად გარუჯულ უნივერსიტეტის სტუდენტებს აკვირდებოდა და მათი ბედნიერებისადმი სრულიად გულგრილი იყო. მისი გონება ახლა უახლოეს წარსულს, რამდენიმე დღის წინანდელ მოვლენებს დასტრიალებდა.

დავიწყოთ იმით, რომ სამზარეულოში შესულს სპირიტი მკვდარი დახვდა. ამ მომენტისთვის თავს ყოველთვის ამზადებდა, მაგრამ ახლა, მწუხარებასთან ერთად, დაუცველობისა და ობლობის გრძნობამაც შეიპყრო, თითქოს ძაღლის დაკარგვის შემდეგ სრულიად მარტო დარჩა ამქვეყნად.

მეორე პრობლემა ის იყო, რომ ორლის ბულემია აღმოაჩნდა. თანაც ეს მთელმა მისმა კლასმა გაიგო. ელამ თავი დამნაშავედ იგრძნო. რა დედა ვარ ამის შემდეგ, ბავშვს უჭირდა, მე კი ვერ მივუხვდიო, საყვედურობდა თავის თავს.

დანაშაულის გრძნობა ელასთვის ახალი არ იყო, მაგრამ თავის კარგ დედობაში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. ამიტომ აზიზ ზაჰარასთან კვლავ ყოველდღიური, ინტენსიური მიმოწერა დაიწყო. დღეში ორ, სამ, ზოგჯერ კი ხუთ წერილსაც უგზავნიდა. წერდა ყველაფერზე და მისდა გასაოცრად, აზიზი პასუხს არასოდეს უგვიანებდა. ელას უკვირდა, როგორ პოულობდა დროს (ან თუნდაც ინტერნეტკავშირს) და როგორ ახერხებდა ასე რეგულარულად ელფოსტის შემოწმებას კაცი, რომელიც ასეთ მივარდნილ ადგილებში მოგზაურობდა.

ცოტა ხანში ელა ისე შეეჩვია მის გზავნილებს, წარამარა ელფოსტას ამოწმებდა. ჯერ დილით, საუზმის შემდეგ გახსნიდა ლეპტოპს, შემდეგ სეირნობიდან შინ მობრუნებული, შემდეგ ლანჩის მომზადების დროს. სანამ საქმეებზე გაიქცეოდა, ერთსაც ჩაიხედავდა და ასე გასინჯეთ, საქმეებზე სირბილის დროსაც ახერხებდა ამას (ინტერნეტკაფეებში შერბოდა).

როცა თავის საყვარელ სატელევიზიო გადაცემებს უყურებდა, მზარეულთა კლუბში პომიდორს ჭრიდა, მეგობრებთან ტელეფონით საუბრობდა, ან ტყუპის სასკოლო ისტორიებს უსმენდა, ლეპტოპი სულ ჩართული ჰქონდა, ელფოსტა კი – ღია. თუ აზიზისგან ახალი არაფერი იყო მოსული, ძველ წერილებს გადაავლებდა ხოლმე თვალს. მიიღებდა თუ არა ახალ გზავნილს, უნებურად სახეზე ღიმილი მოეფინებოდა. ეს იყო სიხარულის ღიმილი, მაგრამ ამავე დროს, რაღაც დაბნეულობის ელფერიც დაჰკრავდა, თითქოს უკვირდა, ეს რა ხდება ჩემს თავსო...

არადა, ნამდვილად რაღაც ხდებოდა...

აზიზთან მიმოწერისას ელას თანდათან ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქოს თავისი დინჯი, მოზომილი და მშვიდი ცხოვრების არტახებიდან თანდათან თავისუფლდებოდა. მისი ცხოვრების ტილოს, რომელზეც ყოველთვის მოსაწყენი, უსიხარულო ფერები ჭარბობდა, თანდათან შეერია მკვეთრი, ხასხასა, გამომწვევი და იდუმალებით მოცული წითელი ფერი...

აზიზი ის კაცი იყო, ვისაც აშკარად არ აკმაყოფილებდა წვრილმანი ამსოფლიური სიამეები. ცოცხლადაც კი არ მიაჩნდა ადამიანი, რომელიც გულის კარნახით არ მოქმედებს, სიყვარულისთვის მზად არ არის და მის გზას არ მიუყვება, როგორც მნათობს ადევნებული პირიმზე.

„ნეტავ მე თუ ვყავარ ცოცხლების სიაში?“ – ხშირად ეკითხებოდა თავის თავს ელა...

აზიზი არასოდეს წერდა ამინდზე, ან ბოლო დროს ნანახ ფილმებზე. თავის გზავნილებში ის უფრო ღრმა თემებს ეხებოდა სიკვდილს, სიცოცხლეს, პირველ რიგში კი სიყვარულს.

ელას გრძნობების გამომზეურება არ სჩვეოდა, განსაკუთრებით, უცნობთან, თუმცა იმასაც აღიარებდა, რომ ისეთ ქალს, როგორიც თვითონ იყო, ისევ უცნობი თუ აალაპარაკებდა. თუკი მათ მიმოწერას ფლირტის ელფერი დაჰკრავდა, ამ ფლირტს, ელას აზრით, ორივესთვის მხოლოდ დადებითი ემოციები მოჰქონდა. კიბერსივრცის დახლართული ლაბირინთების სხვადასხვა ბოლოში მოკალათებულებს შეეძლოთ, უსასრულოდ გაეგრძელებინათ ურთიერთობა...

საერთოდ, ამ მიმოწერამ ელას იმედი ჩაუსახა, რომ ნაწილობრივ მაინც აღიდგენდა ცოლ-ქმრული ცხოვრების მანძილზე თანდათან შემოძარცულ ღირსებას. აზიზი იმ იშვიათ მამაკაცთაგანი იყო, რომელიც ქალს შეიძლებოდა თავმოყვარეობის შეულახავად ჰყვარებოდა. თავის მხრივ, აზიზსაც ერთგვარ სიამოვნებას ჰგვრიდა შუახნის ამერიკელი ქალის ყურადღება.

ვირტუალური ურთიერთობისას, ერთი მხრივ, ყველაფერი თითქოს გაზვიადებული ჩანდა, მეორე მხრივ კი, პირიქით ზედმიწევნით იოლი. აქ შეგეძლო, თავისუფლად გეკეკლუცა მამაკაცთან და თან არ გაგჩენოდა გრძნობა, რომ რაღაცას აშავებ (რაც ელას „აწყობდა,“ რადგან დანაშაულის გრძნობა ისედაც მთელი ცხოვრება ტანჯავდა) და გემოგზაურა რისკის გარეშე (რაც მას აგრეთვე „აწყობდა,“ რადგან ცხოვრებაში არასოდეს გაურისკავს).

აკრძალული ნაყოფის ჭამას ჰგავდა ეს ყველაფერი, ოღონდ კალორიების მომატების ალბათობა იყო ნაკლები. გათხოვილი ქალისა და უცნობი მამაკაცის მიმოწერა იქნებ იყო კიდეც მკრეხელობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის პლატონურ ბუნებას, ეს იყო საამო მკრეხელობა.

<u>*ელა*</u>

<u>*2008 წლის 5 ივნისი, ნორთჰემპტონი*</u>

„საყვარელო აზიზ!

თუ გახსოვთ, ერთერთ წერილში მწერდით: „ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ თავისი ცხოვრების მართვას მოახერხებს, ისევე ცდება, როგორც თევზი, რომელმაც ოკეანის ზედამხედველობა მოინდომაო“. ბევრი ვიფიქრე თქვენს მომდევნო წინადადებაზეც: „ზოგჯერ თავი ყოვლისმცოდნეებად გვეჩვენება, მაგრამ ეს თავდაჯერება საპნის

ბუშტივით სკდება, როცა ცხოვრება ამ ცრუმოლოდინს არ ამართლებს. გულისტკენა არ ასცდება არავის, ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია.“

ახლა კი დროა, გამოგიტყდეთ: თავად მე კონტროლის მოყვარული ადამიანი ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ახლობელებს რომ ჰკითხოთ, ასეა. ჯერ კიდევ სულ ახლახან ძალიან მკაცრი დედა ვიყავი. საკუთარი წესებიც ჩამოვაყალიბე (დამიჯერეთ, ისინი სუფიური წესებივით სასიამოვნო არ არის!), ჩემგან შეღავათს არასოდეს არავინ ელოდა. ერთხელ უფროსმა ქალიშვილმა წამომაძახა, პარტიზანივით სანგარში ხარ ჩასაფრებული და ჩვენს ყველა შეცდომას იქიდან ზვერავო!

გახსოვთ სიმღერა: „ქუე შერá, შერá“? ჰოდა, მე თუ მკითხავთ, ეგ საჩემო სიმღერა ნამდვილად არ არის. „რაც იქნება, იქნება“ ამ წესის მიმდევარი არასოდეს ვყოფილვარ. მე დინებას ვერ მივყვები. ვიცი, რომ რელიგიური პიროვნება ხართ. აი, მე კი არა ვარ რელიგიური. მართალია, როგორც წესი, ოჯახში შაბათს აღვნიშნავთ ხოლმე, მაგრამ რომ მკითხოთ, ბოლოს როდის ილოცეო, ვერ გიპასუხებთ.

უი, არა, გამახსენდა. ამას წინათ, ორი დღის წინ, სამზარეულოში ვილოცე, მაგრამ ეგ არ ითვლება. რაღაც წუწუნს უფრო ჰგავდა, ვიდრე ლოცვას. თითქოს ჩემს გასაჭირს შევჩიოდი ჩემსავე თავს, უფრო სწორად, მის მეტაფიზიკურ ორეულს. იყო დრო, კოლეჯში სწავლისას აღმოსავლური სპირიტუალიზმით ვიყავი გატაცებული და ბუდიზმსა და ტაოიზმსაც გავეცანი. ერთ ჩემს უცნაურ მეგობართან ერთად ინდოეთშიც კი ვგეგმავდი წასვლას და აშრამში ერთი თვის გატარებას, მაგრამ ჩემი ცხოვრების ეს ეტაპი ხანმოკლე აღმოჩნდა.

მისტიკური სწავლებანი, დიახაც, მიმზიდველია, მაგრამ ჩემი აზრით, ზედმეტ მორჩილებას ითხოვს ადამიანისაგან და თანამედროვე ცხოვრებასთან სრულიად შეუთავსებელია.

მას შემდეგ აზრი შევიცვალე. იმედია, რელიგიისადმი ჩემი ასეთი არაკეთილგანწყობა არ გეწყინებათ. ჩათვალეთ, რომ ეს არის აღიარება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. მიიღეთ იგი ადამიანისგან, რომელიც თქვენ მიმართ გულგრილი არ არის.

სიყვარულით, ელა.“

„ძვირფასო „პარტიზანო“ ელა!

თქვენმა გზავნილმა ამსტერდამში მაშინ მომისწრო, როცა მალავიში გასამგზავრებლად ვემზადებოდი. იქაურ სოფლებში შიდსი მძვინვარებს, ბავშვების უმრავლესობა დაობლებულია. მე ამ ადამიანების სურათების გადაღება დამავალეს.

თუ მშვიდობა იქნა, ოთხ დღეში დავბრუნდები. როგორ ფიქრობთ, უნდა ვიქონიო ამის იმედი? იმედის ქონას ვერავინ დამიშლის, ცხადია, მაგრამ შემიძლია ამის მართვა? რა თქმა უნდა, არა! ლეპტოპი თან მექნება, შევეცდები, მოგწეროთ კიდეც და იმედი მაქვს, ხვალ ცოცხალი ვიქნები. სულ ეს არის, სხვა არაფერი შემიძლია.

სწორედ ამას ეძახიან სუფიები მეხუთე ელემენტს ანუ სიცარიელეს. ეს გახლავთ აუხსნელი და გაუკონტროლებელი, ღვთაებრივი წარმოშობის ელემენტი, რომელსაც ვერავინ ჩასწვდება, მაგრამ მის არსებობას ყველა უნდა აცნობიერებდეს. არ მწამს უმოქმედობა, თუ ამ სიტყვაში უსაქმურობა და ცხოვრებისადმი უინტერესობა

იგულისხმება. მაგრამ მეხუთე ელემენტს უთუოდ პატივი უნდა მივაგოთ, ეს ნამდვილად მჯერა. საერთოდ, მგონია, რომ ჩვენ ყველამ გარკვეული შეთანხმება დავდეთ ღმერთთან. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად გავაკეთე ეს. როცა სუფი გავხდი, უფალს აღვუთქვი, დაუზარებლად მეკეთებინა ჩემი საკეთებელი, დანარჩენი კი მისთვის მიმენდო, ანუ ერთხელ და სამუდამოდ ვაღიარე, რომ თავს ზევით ძალა არ არის და რაღაცრაღაცებს გონებით ვერ მისწვდები. მხოლოდ ნაწილობრივ, ფილმის ფრაგმენტებივით ვხედავ ხოლმე მოვლენებს, მაგრამ ამ უმაღლესი წესრიგის მთლიანობად აღქმა ნამდვილად მიჭირს.

თქვენ მწერთ, რომ მე რელიგიური ვარ. ეს ასე არ არის. მე სულიერების კაცი ვარ, რელიგიურობა და სულიერება კი ერთი და იგივე არ არის და მე თუ მკითხავთ, ამ ცნებებს შორის არასოდეს ყოფილა ისეთი ღრმა უფსკრული, როგორიც დღესაა. საერთოდ, დღევანდელი სამყაროს შემყურე, საგონებელში ვარ ჩავარდნილი. ერთი მხრივ, თითქოს სულ უფრო ვრწმუნდებით იმაში, რომ ინდივიდუუმი თავისუფალი და დამოუკიდებელია ღმერთის, ყოველგვარი ძალაუფლების, მთავრობისა თუ საზოგადოებისაგან. მართლაც, ადამიანი დღითი დღე სულ უფრო თავკერძა და მატერიალისტი ხდება. მეორე მხრივ, თუ დღევანდელი კაცობრიობის პორტრეტს ზოგადად შევავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მას სულიერება დღითი დღე ემატება. ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრეთ ფხიზელი გონების კარნახით, მაგრამ მგონი მივაღწიეთ იმ ეტაპს, როცა უნდა ვაღიაროთ მისი შეზღუდულობა. დღეს, ისევე, როგორც შუა საუკუნეებში, საზოგადოებას სულიერება მოეძალა. დასავლური საზოგადოება ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სივრცე დაუთმოს მას თავის მოუცლელ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვერაფერს იტყვი, კეთილი განზრახვაა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანის მეთოდები არ მომწონს. სულიერება ძველი კერძის შესანელებელი ახალი საკაზმი როდია. მას დიდი ძვრების მოუხდენლად ვერ „დაუმატებ“ შენს ცხოვრებას.

მე ვიცი, რომ მზარეულობა გიყვართ. შამსს უთქვამს ერთხელ, სამყარო ერთი ვეება ქვაბია, რომელშიც რაღაც დიდი იხარშებაო. მართალია, ჯერ არ ვიცით, რა არის ეს, მაგრამ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ვგრძნობთ ან ვფიქრობთ, ამ „წვნიანის“ შემადგენელი ნაწილია. ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს ხოლმე: „რას ვამატებ ამ ქვაბში ყოველდღიურად? მტრობას, რისხვას, ძალადობას? თუ სიყვარულს და ჰარმონიას?..“

თქვენ რას ფიქრობთ, საყვარელო? რა ინგრედიენტებს ამატებთ კაცობრიობის ამ ერთობლივ „შეჭამანდს?“ პირადად მე ერთ გულიან ღიმილს ვამატებ მას, რასაც ყოველთვის მგვრის თქვენზე ფიქრი.

სიყვარულით, აზიზი.“

ნაწილი მესამე

ქარი

ყოველი, რაც მოძრავი, ღია და გამომწვევია

ფანატიკოსი

1244 წლის 19 ოქტომბერი, კონია

ბინის ფანჯრები ღია მაქვს და ძაღლების ყეფა-ღრენა არ მასვენებს. ვწევარ გატრუნული და ხმაურს ყურს ვუგდებ. ალბათ, ძაღლებმა ვიღაცის სახლში შეპარული ქურდი შენიშნეს, ან რომელიმე აქოთებულმა ლოთმა ჩაიარა...

წესიერ ხალხს მშვიდად ვეღარ დაუძინია. ყველგან გარყვნილება და თავაშვებულობაა. არადა, ყოველთვის ასე არ იყო. რამდენიმე წლის წინ ერთი მშვიდობიანი და უსაფრთხო ქალაქი გახლდათ ჩვენი კონია. მე თუ მკითხავთ, სულიერი ხრწნა ბევრად არ განსხვავდება რომელიმე საშინელი სენისაგან, მოულოდნელად რომ იფეთქებს, ელვის სისწრაფით რომ მოედება ქვეყანას და განურჩევლად ჟუჟავს ყველას მდიდარს და ღარიბს, დიდს თუ პატარას. აი, ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ქალაქი. მედრესეში თანამდებობა რომ არ მეჭიროს, სახლიდან ფეხს აღარ გავადგამდი.

მადლობა ღმერთს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სათემო ინტერესებს თავისაზე მაღლა აყენებენ, დღე და ღამე წელებზე ფეხს იდგამენ, რომ წესრიგი დაამყარონ. ყველას მოსწონს ჩემი ახალგაზრდა ძმისშვილი ბაიბარსი. მე და ჩემი ცოლიც ვამაყობთ ამ ბიჭით. გული საგულეში გაქვს ადამიანს, როცა იცი, რომ ამ შუაღამისას, როცა ქუჩაში ათასი ჯურის ბოროტმოქმედი და ლოთი დაძრწის, ბაიბარსი და მისი ამხანაგები ქალაქს პატრონობენ.

ძმა ადრე მომიკვდა და ბაიბარსის მეურვეობა მე ვიკისრე. უტეხი ბიჭია, უკან არაფერზე დაიხევს. ექვსი თვის წინ გუშაგად დაიწყო მუშაობა. ჭორიკანებს რომ ჰკითხოთ, ეს სამსახური ჩემი წყალობით იშოვა, რადგან მედრესეს მასწავლებელი ვარ. სისულელეა! ვითომ რატომ ვერ უნდა ეშოვა ასეთ ვაჟკაცს შესაფერისი სამსახური? ის კი არა, ჯარისკაცობაც დაშვენდებოდა. ამას წინათ დააპირა კიდეც იერუსალიმში წასვლა, ჯვაროსნების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მე და ჩემმა ცოლმა დავუშალეთ. დროა, დაღვინდეს და ოჯახს მოეკიდოს.

– აქ უფრო გვჭირდები, შვილო, საომარი აქაც ბევრია, – ვუთხარი მე და მართალიც ვიყავი.

ამ დილით ჩემს ცოლსაც ვეუბნებოდი, ეს რა დრო დაგვიდგა, ყოველდღე ახალ-ახალ უბედურებას ვიგებთ და აღარც გვიკვირს-მეთქი...

მონღოლები რომ ასე აღზევდნენ, ქრისტიანები რომ ასე თავს გავიდნენ, ისლამის მტრებმა რომ აიკლეს ქალაქი თუ სოფელი, ეს სულ იმათი ბრალია, ვინც მხოლოდ მოსაჩვენებლად ატარებს მაჰმადიანის სახელს. როცა ადამიანი ღვთის გზას ასცდება, ცხვარივით დაიბნევა, აბა, რა მოუვა...

ეს მონღოლები ჩვენი ცოდვებისათვის მოგვევლინნენ სასჯელად. თუმცა, ეგენი რომ არა, ან მიწისძვრა დაგვატყდებოდა თავზე, ან შიმშილი, ან წარღვნა.

მაინც რამდენი უბედურება უნდა დატრიალდეს კიდევ, რომ ამ ქალაქის ცოდვილებმა ღვთის ნიშანი ყურად იღონ და თავიანთი უსაქციელობა მოინანიონ? იმასაც კი ვფიქრობ, ემანდ, მალე ქვების წვიმა არ წამოვიდეს... ერთ მშვენიერ დღეს კი, სოდომისა და გომორის კვალად, იქნებ სულაც აღვიგავოთ პირისაგან მიწისა...

ამ სუფიებმა ხომ სულ შეშალეს ხალხი. წარმოიდგინეთ, მუსლიმებად მოაქვთ თავი, არადა, ისეთ რამეებს ამბობენ, არც ერთ მუსლიმს თავში აზრადაც რომ არ მოუვა! სისხლი ყელში მაწვება ხოლმე, თავიანთი სულელური აზრების ხალხში დასანერგავად ხშირ-ხშირად წინასწარმეტყველს რომ იმოწმებენ (მშვიდობა მისდა!)

თურმე ნუ იტყვით, მუჰამად წინასწარმეტყველს უთქვამს თავისი ხალხისათვის: ამიერიდან პატარა ჯიჰადს დავეხსნათ და დიდი ჯიჰადი გამოვაცხადოთ საკუთარი „მეს“ წინააღმდეგო!

თურმე ნუ იტყვით, იმ დღიდან ყოველი მაჰმადიანისათვის ერთადერთ მტრად საკუთარი თავი ქცეულა!

კი ბატონო, ლამაზი სიტყვებია, მაგრამ ერთი მითხარით, ისლამის მტრებთან ბრძოლაში რამდენად წაგვადგება ეს ყველაფერი?

სუფიები ისე გავიდნენ თავს, რომ შარიათს, უბრალოდ, ერთ-ერთ ეტაპს უწოდებენ, რომელიც ამ გზაზე შემდგარმა ადამიანმა უნდა გაიაროს. რა ეტაპი, რის ეტაპი, ერთი გამაგებინეთ?!

ეგ კიდვ არაფერი, უარესსაც გაიგონებთ მათგან: განსწავლულმა პირვნებამ ეს საწყისი ეტაპი აუცილებლად უკან უნდა მოიტოვოსო, ბრძანებენ.

შეიძლება ჰგონიათ, რომ თვითონ უკვე მიაღწიეს ამ უმაღლეს საფეხურს, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს შარიათის კანონების უგულებელყოფას. სმა, ცეკვა, მუსიკა, პოეზია და მხატვრობა უფრო მნიშვმელოვანია მათთვის, ვიდრე სარწმუნოებრივი ვალი.

ქადაგად რომ დავარდნილან და გვიჩიჩინებენ, ისლამში იერარქია არ არსებობს და თითოეულ ადამიანს ღმერთის ძიების საკუთარი გზები უნდა ჰქონდესო... კი ბატონო, კეთილი და პატიოსანი. მაგრამ თუ ამ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს კარგად ჩავუკვირდებით, მათში დამღუპველი აზრი იმალება: გავლენიანი და სახელოვანი სჯულისკაცების არად ჩაგდება!

სუფიებს რომ ჰკითხო, წმინდა ყურანი სავსეა ფარული სიმბოლოებითა და ქარაგმებით, რომლებსაც მხოლოდ იდუმალმიმთხრობი თუ ამოიკითხავს. ყოველ სიტყვას უკირკიტებენ და ამტკიცებენ, რომ გარკვეულ ციფრებთან აქვს კავშირი;ციფრების ფარულ მნიშვნელობასაც სწავლობენ და წმინდა ტექსტებში შენიღბულ მინიშნებებს ეძებენ. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ წაუყრუონ უფლის სრულიად მარტივ, გასაგებსა და დღესავით ნათელ გზავნილებს.

ზოგიერთი სუფი იმასაც კი ამბობს, რომ თითოეული მოკვდავი მოარული ყურანია! გეკითხებით: რა არის ეს, თუ არა წმინდა წყლის მკრეხელობა?

ამ მოხეტიალე დავრიშებს, ხომ ნუღარ იკითხავთ. აი, უწესო და უგვანო კაცების კიდევ ერთი ნაირსახეობა! რა აღარ დაარქვეს – ქალანდარებიო, ჰაიდარებიო, ქამილებიო... მე თუ მკითხავთ, ყველაზე დიდი უბედურება მაგათ მოაქვთ.

ან რას უნდა ელოდოთ კარგს ადამიანისგან, ვისაც ერთ ადგილას ფეხი ვერ მოუკიდებია? თუ კაცს საკუთარი გრძნობა არა აქვს, ქარს აყოლილი ხმელი ფოთოლივით უმისამართოდ დაფრიალებს წინ და უკან, ასეთი კაცი სწორედ რომ კარგი ლუკმაა შაითანისთვის!..

სუფიებზე უკეთესები არც ფილოსოფოსები არიან. გაუთავებელი ფიქრით ტვინს იჭყლეტენ და ჰგონიათ, რომ ამ უკიდეგანო სამყაროს თავიანთი შეზღუდული გონებით ჩასწვდებიან.

აი, ახლა ერთ ამბავს მოგიყვებით და თვითონვე დარწმუნდებით, რომ სუფიებს და ფილოსოფოსებს ერთმანეთზე კუდები აქვთ გადაბმული:

ერთი ფილოსოფოსი ერთ დავრიშს შეხვდა. მყისვე დამეგობრდნენ. რამდენიმე დღე შეუჩერებლად ლაპარაკობდნენ, ერთი რომ წინადადებას წამოიწყებდა, მეორე ამთავრებდა. როცა ერთმანეთს დაშორდნენ, ფილოსოფოსმა ამ საუბრიდან ასეთი დასკვნა გამოიტანა:

„ის ხედავს ყველაფერს, რაც მე ვიცი“.

სუფიმ კი თავის მხრივ დაასკვნა: „მან იცის ყველაფერი, რასაც მე ვხედავ“.

ერთი სიტყვით, სუფის რომ ჰკითხოთ, ხედავს; ფილოსოფოსს რომ ჰკითხოთ – იცის! ახლა მე მკითხეთ: ვერც ვერაფერს ხედავენ და არც არაფერი იციან!.. რით ვერ გაიგეს, რომ უბრალო მოკვდავს იმაზე მეტის ცოდნა არ მოეთხოვება, ვიდრე საჭიროა? შემოქმედის შესახებ ზერელე წარმოდგენა აი, რა არის საჭირო; სხვა არაფერი! ჩვენ ღვთის მოძღვრების განბჭობა კი არა, მისი მორჩილება გვევალება.

ბაიბარსი რომ მოდის, ხშირად ვლაპარაკობთ ასეთ რამეებზე. მსგავსი საუბრები ჩვევად გვექცა, პატარა რიტუალადაც კი. ყოველ ღამით, ცვლას რომ სხვას გადააბარებს, შინ მოდის, ჩემი ცოლის მირთმეულ წვნიანსა და კვერებს მიუჯდება და ვმუსაიფობთ ხოლმე.

რა კარგი მადა აქვს! მსიამოვნებს, რომ ვუყურებ. მას ახლა ღონე სჭირდება. ამ უღმერთო ქალაქში სამუშაოს რა გამოულევს ახალგაზრდა კაცს, რომელიც უკან არაფერზე იხევს?

შამსი

1244 წლის 30 ოქტომბერი, კონია

ბედი რუმისთან შეხვედრას რომ მიმზადებდა, წინა ღამით „მეშაქრეთა ფუნდუკის“ აივანზე ვიჯექი და ვხარობდი, ღვთის შექმნილი სამყაროს დიდებულების შემყურე. საითაც მიბრუნდებოდი, ყველგან შეგეძლო გეძებნა და გეპოვა კიდეც იგი. არადა რა იშვიათად აკეთებენ ამას ადამიანები...

მახსენდებოდა ყველა, ვისაც შევხვედრივარ: მათხოვარი, მეძავი, ლოთი... ყველა მათგანი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომლებსაც ერთი საერთო სენი შეჰყროდათ: ერთ

არსს იყვნენ მოწყვეტილნი. ეს ის ხალხი იყო, რომლებსაც სწავლულები თავიანთი მაღალი გადმოსახედიდან ვერც კი ამჩნევენ. მაინტერესებდა, ნეტავ რუმი თუ განსხვავდებოდა იმ სწავლულებისაგან. თუ ასე არ იყო, მაშინ მე უნდა გავმხდარიყავი მისი და საზოგადოების ამ ყველაზე უმწეო ფენების შემაკავშირებელი.

ქალაქი ძილს წაეღო. ეს ის დრო იყო, როცა ღამის ცხოველებიც კი აღარ არღვევენ ხოლმე ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს. მძინარე ქალაქის მიყურადება ერთდროულად სევდასაც მგვრიდა და ხალისსაც. ნეტავ ვიცოდე, რა ამბები ტრიალებს ამ დაგმანულ კარებს მიღმა, ნეტავ რა გადამხდებოდა, სხვა გზა რომ ამერჩია და ამ ადამიანების ცხოვრებით მეცხოვრამეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ ეს გზა ხომ მე არ ამირჩევია. გზამ თვითონ ამირჩია...

აქ ერთი იგავიც გამახსენდა:

„რომელიღაც ქალაქში მოხეტიალე დავრიში ჩავიდა. ამ ქალაქის მკვიდრნი უცხოებს ეჭვის თვალით უცქერდნენ და დავრიშს დაუცაცხანეს:

– წადი აქედან! შენ აქ არავინ გიცნობს!

დავრიშმა მშვიდად მიუგო:

– ვიცი, რომ არ მიცნობთ. სამაგიეროდ, მე ვიცნობ საკუთარ თავს და მჯერა მისი. ბევრად უარესი იქნებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო“.

სანამ ჩემი თავის შეცნობის უნარი მაქვს, არა მიჭირს რა, ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, შეიცნობს ღმერთს.

ამასობაში მთვარე აციალდა და მსუბუქი წვიმა აბრეშუმის სიფრიფანა ლეჩაქივით გადმოეფინა ქალაქს. დამბადებელს მადლობა შევწირე ამ დალოცვილი წუთისთვის და მთლიანად მივენდე მას. კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდი საწუთროს ხანმოკლეობასა და სიმყიფეს და მორიგი წესი გამახსენდა:

„წუთისოფელი სესხად გვეძლევა. ეს ქვეყანა არაფერია, თუ არა რეალობის ზერელე მიბაძვა. მხოლოდ ბავშვი ვერ არჩევს სათამაშოს ნამდვილი ნივთისაგან. და მაინც, ადამიანებს ასე სჩვევიათ: სათამაშო ან მეტისმეტად გაიტაცებთ ხოლმე, ან დაუდევრად მოისვრიან მას სანაგვეზე. თავი აარიდე ყველანაირ უკიდურესობას, თორემ შინაგანი წონასწორობა დაგერღვევა. სუფიები უკიდურესობებს ყოველთვის გაურბიან. სუფი ყოველთვის ლმობიერი და ზომიერია“.

ხვალ დილით დიდ მეჩეთში წავალ, რუმის ქადაგების მოსასმენად. შესაძლოა ხალხი არც ცდება, ქადაგების ხელოვნებას ასე რომ უქებს, მაგრამ ორატორის ხელოვნებას საბოლოოდ მაინც მისი მსმენელის გონებრივი შესაძლებლობები განსაზღვრავს. რუმის მიერ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება ველურ ბაღს ჰგავდეს, რომელიც ეკალბარდითაც სავსეა, სამკურნალო ბალახითაც, წიწვოვანი მცენარეებითაც და ბუჩქნარითაც, მაგრამ ბაღის სტუმარი თვითონ ირჩევს იმას, რაც მოეწონება. ლამაზ ყვავილებს მყისვე კრეფენ, ეკლიან მცენარეებს კი ძვირად თუ აქცევს ვინმე ყურადღებას. არადა, ყველამ ვიცით უებარი წამლები სწორედ მათგან მზადდება.

განა სიყვარულის ბაღზეც იგივე არ ითქმის? სიყვარული რაღა სიყვარულია, თუ ადამიანი მხოლოდ მისი სილამაზით ტკბება, სიძნელეებს კი გვერდს უვლის? მაგაზე

იოლი რა არის კარგით გაიხარო, ცუდი კი აითვალწუნო. ეგ ყველას შეუძლია. ნამდვილი გამოცდა ის არის, როცა კარგსაც და ცუდსაც ერთნაირად შეიყვარებ; განა იმიტომ, რომ ავსა და კარგს ვერ არჩევ, არამედ იმიტომ, რომ ამ განსაზღვრებებზე მაღლა უნდა დადგე და სიყვარული მთლიანად, თავისი ავითა და კარგით მიიღო.

ერთი დღეღა მრჩება. ხვალ ჩემს სულიერ მეგზურს უნდა შევხვდე. თვალზე რული არ მეკარება. ო, რუმი! სიტყვისა და აზრის მეუფევ! ნეტავ თუ მიცნობ, როცა დამინახავ?

დამინახე!..

რუმი

1244 წლის 31 ოქტომბერი, კონია

ბედნიერი და დალოცვილი დღეა ეს დღე, რამეთუ შამს თებრიზს შევხვდი. ოქტომბერი მიიწურა და ჰაერში სულ სხვა სუსხი დატრიალდა, ქარმაც უფრო ძლიერად მოიქნია ფრთები, თითქოს გვეუბნება, შემოდგომა, სადაცაა, აიბარგებაო. ამ დილით მეჩეთში, როგორც ყოველთვის, ტევა არ იყო. ასეთი ხალხმრავლობის დროს ვცდილობ, ისე ვიქადაგო, რომ ჩემი მსმენელი არც მთლად დავივიწყო და არც ყოველ წამს მახსოვდეს. ამის გაკეთების ერთადერთი ხერხი არსებობს: დიდძალი ხალხი ერთ პიროვნებად უნდა წარმოიდგინო.

ყოველკვირა ასობით ადამიანი მისმენს, მაგრამ მე მუდამ ერთ პიროვნებას ვესაუბრები. მხოლოდ იმას, ვისაც თავის გულში ჩემი სიტყვების გამოძახილი ესმის, ვინც ისე მიცნობს, როგორც სხვა არავინ.

იმ დღეს, ქადაგება რომ დავასრულე და მეჩეთიდან გამოვედი, ცხენი შეკაზმული დამხვდა. ფაფარი დაწნული ჰქონდა, ძუაში ვერცხლის პაწაწინა ზანზალაკებიანი ოქროს სირმები ჩაეყოლებინათ. ისინი ცხენის ყოველ ნაბიჯზე საამურად წკარუნებდა, მაგრამ ირგვლივ იმდენი ხალხი იყო, სწრაფად გადაადგილება ჭირდა.

ნელა ჩავუარეთ ჩამოძონძილ დახლებსა და ისლით დახურულ ქოხმახებს. მოაჯეთა ძახილი, ბავშვების ჟრიამული და ორიოდე გროშის შოვნის იმედით ყელჩახლეჩილი მათხოვრების ყვირილი ერთმანეთში არეულიყო. ამ ადამიანების უმრავლესობას სურდა, მათთვის მელოცა. ზოგს, უბრალოდ, ჩემი სიახლოვე სიამოვნებდა; მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მეტს ელოდნენ ჩემგან, მაგალითად, სასიკვდილო სენისაგან განკურნებასა და ჯადოს ახსნას მთხოვდნენ. სწორედ ესენი მაწუხებდნენ ყველაზე მეტად. რა წინასწარმეტყველი ან ბრძენთაბრძენი მე მნახეს, რომ სასწაულების ჩადენა შემძლებოდა?

ამასობაში სხვა ქუჩაზე გადავუხვიეთ და მეშაქრეთა ფუნდუკს მივუახლოვდით. უცებ მოხეტიალე დავრიშს მოვკარი თვალი. გულდაგულ მოიწევდა ჩემკენ და თვალებით მხვრეტდა. მკვირცხლი, მოსხლეტილი მოძრაობები ჰქონდა, დამოუკიდებელი და თავდაჯერებული ადამიანის აურას ასხივებდა. სრულიად უთმო იყო. არც წვერი, არც წარბები... იშვიათად გულღია კაცი ჩანდა, მაგრამ ამავე დროს, შეუვალი და იდუმალებით მოცული გამომეტყველება ჰქონდა; თუმცა მაინცდამაინც მის გარეგნობას

არ დავუინტერესებივარ. კონიაში ღვთის საძიებლად ჩამოხეტებული დავრიშების მეტი რა მენახა. უცნაური სვირინგებით, ჯინჯილებით, საყურეებითა და საცხვირეებით დახუნძლულები რომ დაიარებოდნენ. თითოეულ მათგანს შუბლზე ეწერა: „მე უმართავი ვარ“ და ამით თავი მოჰქონდა კიდეც. ზოგს ძალიან გრძლად მოეშვა თმა, ზოგს სულაც პირწმინდად გადაეპარსა, ზოგი ქალანდარი ენასა და ძუძუსთავებსაც კი იხვრეტდა. ასე რომ, როცა პირველად ეს დავრიში ვიხილე, მის გარეგნობას როდი გავუკვირვებივარ. სხვა რამემ განმაცვიფრა: მისმა მზერამ. ხანჯალივით ბასრ, შავ თვალებს მიბრიალებდა, შუა ქუჩაში გახიდულიყო და გაშლილი ხელები ისე აღეპყრო, თითქოს მარტო ამ ზღვა ხალხის კი არა, დროის მდინარების შეჩერება სურდა.

ანაზდად მთელი სხეულით შევტორტმანდი, თითქოს გუმანით ვიგრძენი რაღაც. ის კი არა, ცხენიც გამიოჩნდა ხმამაღლა აფრუტუნდა და თავის ქნევას მოჰყვა. ვცადე მისი დამშვიდება, მაგრამ ისე წრიალებდა, მისი მღელვარება მეც გადმომედო. დავრიში მოუახლოვდა აცქმუტებულ ცხენს და რაღაც ჩასჩურჩულა. ცხოველი მძიმედ აქოშინდა. დავრიშმა ერთიც აუქნია ხელი და ცხენი მყისვე დაშოშმინდა. ხალხს მღელვარების ტალღამ გადაურბინა.

– ეს ხომ შავი მაგიაა! – ყური მოვკარი ვიღაცის ნათქვამს.

დავრიშმა ყურადღება არავის მიაქცია, ცნობისმოყვარე მზერა მომაპყრო და მომმართა:

– ო, დიდო სწავლულო აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ბევრი მსმენია შენ შესახებ. მოვსულვარ იმად, რომ ერთი შეკითხვა დაგისვა. მომცემ ნებას?

– ბრძანე, – ვუთხარი თითქმის ჩურჩულით.

– კეთილი, მაგრამ, ჯერ ჩამოქვეითება მოგიწევს, რათა ერთმანეთის პირისპირ დავდგეთ.

გავშრი. კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე. ირგვლივ შეკრებილებიც არანაკლებ შეცბნენ. ასე დალაპარაკება ჩემთვის არასოდეს არავის გაუბედავს. ღაწვები ამეწვა, ძარღვები ამეშალა, მაგრამ თავს მოვერიე და ცხენიდან ჩამოვხტი. ამასობაში კი დავრიშმა ზურგი მაქცია და გამშორდა.

– ეჰეი, მოიცადე, გეთაყვა! – გავძახე და დავეწიე. – მკითხე, რაც გნებავს. გისმენ.

შეჩერდა, მიმოიხედა და პირველად გამიღიმა.

– კარგი, გკითხავ. მითხარი გეთაყვა, ვინ არის, შენი აზრით, უფრო დიადი, მუჰამად წინასწარმეტყველი თუ სუფია ბისტამი?

– ეს რა შეკითხვაა? – გავიკვირვე მე. – როგორ ადარებ ჩვენს სათაყვანო წინასწარმეტყველს (მშვიდობა მისდა!), დიდ წინასწარმეტყველთაგან უკანასკნელს, ვიღაც საძრახის მისტიკოსს?

ცნობისმოყვარეები გარს შემოგვეხვივნენ, მაგრამ დავრიში ზედაც არ უყურებდა მათ, კვლავინდებურად ყურადღებით აკვირდებოდა ჩემს სახეს და თავისას არ იშლიდა:

– გთხოვ, დაფიქრდი ამაზე. წინასწარმეტყველს უთქვამს, მაპატიე, ღმერთო, თურმე ისე არ გიცნობდი, როგორც უნდა მცნობოდიო! ბისტამის კი უთქვამს: ჭეშმარიტად მადლი გადმოსულა ჩემზე, რამეთუ ღმერთს სამოსელქვეშ დავატარებო! ერთ ადამიანს

ღმერთთან შედარებით თავი ეპატარავება, მეორე კი ამტკიცებს, რომ ღმერთს თან დაატარებს. რომელიმათგანია უფრო დიდი?

გული ყელში მომებჯინა. ერთი შეხედვით უაზრო შეკითხვა ამჯერად ჭკუაში დამიჯდა. შამსმა ამ შეკითხვით თითქოს ფარდა გადასწია და მის უკან დამალული საინტერესო თავსატეხი გამომიჩინა. ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა. ვხედავდი, აქ რაღაც სხვა ამბავი იყო. გიჟთან ნამდვილად არ მქონდა საქმე. ამ კაცს დაებადა კითხვა, რომელზეც ადრე არასოდეს მიფიქრია.

– მიგიხვდი, რისი თქმაც გწადია... – დავიწყე ფრთხილად, რადგან ხმა მითრთოდა და მეშინოდა, არ შეემჩნია, ახლა შენ წარმოთქმულ ორ წინადადებას შევადარებ და გეტყვი, რატომაც არ არის ბისტამი მართალი, მიუხედავად იმისა, რომ მის სიმართლეში თითქოს ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

– ყურადღებით გისმენ, – თქვა დავრიშმა.

– საქმე ის გახლავს, რომ ღვთის სიყვარული უნაპირო ოკეანეა. მოკვდავნი ცდილობენ, ამ ოკეანიდან რაც შეიძლება მეტი წყალი ამოიღონ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი ჭურჭლის ზომაზეა დამოკიდებული. ზოგს კასრი უპყრია ხელთ, ზოგს სათლი, ზოგს კი მხოლოდ თასი...

როცა ვლაპარაკობდი, დავრიშის სახის გამომეტყველებას ვაკვირდებოდი. სახე ეცვლებოდა, ხან ეშმაკური, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი მოადგებოდა ბაგეზე, ხანაც მადლიერებით გაიბადრებოდა, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა სხვისი აზრები შენსას დაემთხვევა.

– ბისტამის ჭურჭელი შედარებით მცირე ზომისა იყო და წყურვილის მოსაკლავად ერთი ყლუპიც ეყო. მას სავსებით აკმაყოფილებდა თავისი მდგომარეობა. საკუთარ თავში ღვთაებრივის შეცნობა, დიახაც, ახარებდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი რჩება ხოლმე რაღაც ზღვარი ღმერთსა და მოკვდავს შორის, ანუ სრულ ერთიანობამდე ჯერ კიდევ შორია. რაც შეეხება წინასწარმეტყველს, ის ღვთის რჩეული იყო და მისი ჭურჭელი მეტს იტევდა. აკი ეუბნება კიდეც ყურანში მას უფალი: „განა ჩვენ არ გადავხსენით გულმკერდი შენი?“ ესოდენ გადიდდა გული მისი და მისმა თასმაც უზომოდ იმატა, წყურვილი წყურვილზე ემატებოდა... ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს მისი ნათქვამი: „ისე არ გიცნობ, როგორც უნდა მცნობოდიო“, თუმცა არავინ იცნობდა უფალს ისე, როგორც თვითონ. დავრიშმა გულიანად გაიღიმა, თავი დამიქნია და მადლობა გადამიხადა. მერე მადლიერების ნიშნად ხელი გულზე მიიდო და რამდენიმე წამი ასე იდგა. როცა ჩვენი თვალები კვლავ შეხვდა ერთმანეთს, შევამჩნიე მზერა მოულბა.

დავრიშს თვალი მოვაშორე და მიდამოს გავხედე. ჩვენს ქალაქს რუხი სადაფისფერი გადაჰფენოდა, რაც მისთვის წელიწადის ამ დროს არის დამახასიათებელი. ჩვენს ფეხებთან რამდენიმე ხმელი ფოთოლი დაფარფატებდა. დავრიშმა კვლავ მომაპყრო კითხვით სავსე, ცნობისმოყვარე მზერა და შემიძლია დავიფიცო, რომ ჩამავალი მზის მიმქრალ შუქზე მის ირგვლივ წამით ქარვისფერი აურა აციმციმდა. მან მოკრძალებით მომიხარა ქედი, მეც თავი დავუკარი. არ ვიცი, რამდენი ხანი ვიდექით ასე...

თავზე იისფერი ზეცა დაგვნათოდა...

ცოტა ხანში შევამჩნიე, რომ ჩვენ ირგვლივ თავშეყრილი ხალხი შეიშმუშნა. ვხედავდი, ჩვენს საუბარს შეშფოთებულნი უგდებდნენ ყურს და უკვე ვეღარ მალავდნენ, რომ ამ საუბრის შინაარსი არ ეპრიანებოდათ.

მათ თავდახრილი არასოდეს ვუნახავვარ. ვიღაც უბირ სუფის რომ თავი გავუყადრე და ქედი მოვუხარე, ნამდვილი დარტყმა იყო ბევრი მათგანისთვის, მათ შორის ჩემი ერთგული მოწაფეებისათვისაც კი.

დავრიშმა იგრძნო, საქციელს არ გვიწონებდნენ და თავისი ხავერდოვანი ხმით თითქმის ჩურჩულით მითხრა:

– ახლა კი ჯობს, წავიდე და თაყვანისმცემლების გარემოცვაში დაგტოვო.

– არა, – შევეწინააღმდეგე მე, – ნუ წახვალ, დარჩი. გთხოვ...

წამით ჩაფიქრდა, სახეზე სევდის ღრუბელმა გადაურბინა. თითქოს რაღაცის თქმა კიდევ უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო, ან განგებ არ ამბობდა. სწორედ ამ წამიერი დუმილის დროს გავიგონე მისი შეკითხვა, რომელიც მას არ დაუსვამს:

„შენს თავზე რას იტყვი, დიდო მოქადაგევ? რა ზომისაა შენი ჭურჭელი?“

ამის შემდეგ სათქმელი აღარაფერი იყო. სიტყვები გამოგველია. დავრიშისაკენ ნაბიჯი წავდგი და ისე ახლოს მივედი, რომ მის შავ თვალებში ოქროსფერი წინწკლებიც კი დავინახე.

ანაზდად უცნაური გრძნობა მეწვია, თითქოს ეს წუთები ოდესღაც უკვე გამომევლო, თან არაერთხელ. მეხსიერებამ თანდათან, ნაწილნაწილ აღმიდგინა უკვე ნანახი პორტრეტი: ახოვანი, მოხდენილი, სახეშებურული კაცი, ალმოდებული თითებით...

...და უცებ ყველაფერს მივხვდი. ჩემ წინ მდგარი დავრიში სიზმარში ნანახი კაცი იყო! სხვა არავინ! ვიპოვე ჩემი თანამდევი! სხვა რაღა მინდოდა... თითქოს სიხარულით ცას უნდა ვწეოდი, მაგრამ სიხარულის ნაცვლად შიშისაგან გამაცივა...

<u>ელა</u>

<u>2008 წლის 8 ივნისი, ნორთჰემპტონი</u>

ბუზებივით ეხვეოდა ელას უპასუხო კითხვები... ერთი რამ ცხადი იყო: აზიზი მართლა ბევრი რამით აკვირვებდა. თვით ის ფაქტი რად ღირდა, რომ ეს ყველაფერი მის თავს ხდებოდა. თვით ეს ხშირი მიმოწერაც, ორ ასეთ განსხვავებულ ადამიანს შორის, ძალიან უჩვეულო იყო.

აზიზი ასაწყობ ნახატს აგონებდა. მისი ყოველი ახალი გზავნილი ამ ე.წ. ფაზლს ახალ ფრაგმენტს მატებდა. მართალია, მთლიანი სურათი ჯერ კიდევ არ ჩანდა, მაგრამ ელამ უკვე გაიგო ბევრი რამ ამ კაცზე, რომელთანაც თითქმის ყოველდღიური მიმოწერა ჰქონდა.

ჯერ ერთი, მისი ბლოგიდან შეიტყო, რომ იგი პროფესიონალი ფოტოგრაფი და თავგადაკლული მოგზაური იყო, რომელსაც მსოფლიოს მიუვალ ადგილებში ხეტიალი ისეთივე ჩვეულებრივ საქმედ მიაჩნდა, როგორც უბნის პარკში სეირნობა.

სად აღარ იყო ნამყოფი ეს მომთაბარე ცხოვრების მოტრფიალე კაცი. იგი ყველგან შინ გრძნობდა თავს: ციმბირსა თუ შანხაიში, კალკუტასა თუ კასაბლანკაში... ერთი ზურგჩანთისა და ერთი ლერწმის სტვირის ამარა მოიარა ქვეყნიერება და ადამიანებს ისეთ ადგილებში დაუმეგობრდა, რომლებსაც ელა რუკაზეც კი გაჭირვებით პოულობდა. უცხვირპირო მესაზღვრეები, მტრულად განწყობილი ქვეყნების ბიუროკრატიული საელჩოები და ვიზებთან დაკავშირებული პრობლემები, დაბინძურებული წყლით გამოწვეული ინფექციური ავადმყოფობები, მოწამვლისა და დაყაჩაღების საფრთხე, პოლიტიკური არეულობები და შეჯახებები არაფერი აჩერებდა, მოგზაურობის ჟინს არაფერი უკლავდა ამ დაუღალავ მოხეტიალეს.

ელასთვის რომ გეკითხათ, ეს იყო კაცი ჩანჩქერი, რომელიც სწორედ იქ ამოხეთქავდა ხოლმე მთელი ძალით, სადაც თვითონ ელას ფეხის დადგმისაც კი ეშინოდა. ელა ნაბიჯის გადადგმამდე ყოყმანობდა და ნერვიულობდა, აზიზი კი ჯერ ნაბიჯს დგამდა და მხოლოდ ამის შემდეგ ნერვიულობდა, თუკი საერთოდ ნერვიულობდა ოდესმე. ეს იყო თავად სიცოცხლე, თუმცა მასში ერთი კაცისთვის საკმაოდ ბევრ იდეალიზმსა და ვნებას მოეყარა თავი. ის ბევრ ქუდს ატარებდა და ყველა მათგანს იხდენდა.

ელას თავი ლიბერალურ დემოკრატად და არაორთოდოქს ებრაელად მიაჩნდა. ვეგეტარიანელობისკენ ეჭირა თვალი და გადაწყვეტილი ჰქონდა, ერთ მშვენიერ დღეს თავისი რაციონიდან ყველანაირი ხორცი ამოეღო. საერთოდ, ყველაფერი კატეგორიებად ჰქონდა დაყოფილი და თავის შინაგან სამყაროსაც ისევე მოწესრიგებულად და მარჯვედ „მართავდა“, როგორც ოჯახს. გონებაში სასურველი და საძულველი მოვლენების ერთნაირად გრძელი სიები ჰქონდა „ჩამოწერილი“. მიუხედავად იმისა, რომ ათეისტი ნამდვილად არ იყო და დროდადრო ამა თუ იმ რიტუალების ჩატარება სიამოვნებდა, ელას სწამდა, რომ მსოფლიოს უდიდესი პრობლემა დღეს, ისევე, როგორც წარსულში, რელიგიაა. ფანატიკოსთა ქედმაღლობა და საკუთარი შეხედულებების უზენაესობაში ეჭვმიუტანლობა ნერვებს უშლიდა, მაგრამ ყველაზე უარესებად მაინც მაჰმადიანი ფანატიკოსები მიაჩნდა.

აზიზი სულიერებით სავსე კაცი იყო და რწმენის საკითხებს სერიოზულად ეკიდებოდა, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკისაგან შორს იდგა. მას არავინ და არაფერი სძულდა. მაგალითად, სიამოვნებით მიირთმევდა ხორცს და ამბობდა, რომ კარგად შებრაწულ შიშქაბაბზე უარს არასოდეს იტყოდა. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე ათეისტი იყო, შემდეგ ისლამი მიიღო. როგორც თვითონ ხუმრობით ამბობდა, ამის გაკეთება ქეთ სტივენსს დაასწრო და ქარიმ აბდულ ჯაბარს დააცადა.

მას აქეთ ყველა ეროვნების ადამიანთან და ყველა მრწამსის მიმდევართან გაუტეხავს პური და მათ თავის „დებსა და ძმებს“ უწოდებდა. თავგადადებულ პაციფისტსა და მტკიცე ჰუმანისტური შეხედულებების მქონე აზიზს მიაჩნდა, რომ ყველა რელიგიური ომი არსებითად, ლინგვისტური პრობლემებით არის განპირობებული. „ენა ჭეშმარიტებას კი არ ავლენს, პირიქით, მალავს. შედეგად ვიღებთ გაუგებრობებს, რომელთა მსხვერპლი არაერთი ადამიანი გამხდარა. რა საგანზეც უნდა წამოიწყო საუბარი, მას ყოველთვის აძნელებს და ბუნდოვანს ხდის ენობრივი შეუსაბამობები.

აკვიატებული მოსაზრებებიც ხშირად უბრალო გაუგებრობიდან აღმოცენდება. ამიტომ ზედმეტი სიხისტე საჭირო არ არის, რადგან თუ მართლა ცოცხალი ხარ, ეს ყოველწამიერ ფერიცვალებას გულისხმობს“.

ასეთი იყო მისი აზრი.

აზიზი და ელა დროის სხვადასხვა სარტყელში ცხოვრობდნენ, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ელასათვის დრო, პირველ რიგში, მომავალს ნიშნავდა. დროის უმეტეს ნაწილს გეგმებს უთმობდა, გეგმებს მომავალი წლისთვის, მომავალი თვისთვის, მომავალი წუთისთვისაც კი. ისეთ ტრივიალურ რამესაც კი, როგორიც იყო საყიდლებზე წასვლა, ან გატეხილი სკამის გამოცვლა, წინასწარ გეგმავდა და ჩანთით მუდამ დაატარებდა გასაკეთებელი საქმეების ვრცელ სიას.

აზიზისათვის კი დროის ცნება მხოლოდ აწმყოს უკავშირდებოდა. მისთვის ამწუთიერის გარდა სხვა ყველაფერი ილუზია იყო. ამავე მიზეზით სწამდა, რომ სიყვარულს არაფერი ჰქონდა საერთო „სამომავლო გეგმებსა“ და „გარდასულ დღეთა მოგონებებთან“. მისი აზრით, სიყვარულის არსებობა მხოლოდ ახლა და ამწუთას იყო შესაძლებელი. აკი აზიზის პირველი გზავნილი სწორედ ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

„მე ვარ სუფი აწმყოს პირმშო“.

ელამ ამ სიტყვებზე ასე უპასუხა:

„ეს უცნაურად ჟღერს ქალისთვის, რომელიც ძალიან ბევრს ფიქრობს წარსულზე და კიდევ უფრო მეტს მომავალზე, აწმყო კი მისთვის თითქოს არც არსებობს“.

ალადინი

1244 წლის 16 დეკემბერი, კონია

ბედად იქ არ ვიყავი, როცა იმ დავრიშმა მამაჩემს გზა გადაუღობა. მეგობრებთან ერთად ირმებზე ვნადირობდი და მეორე დღეს დავბრუნდი. უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა მამაჩემისა და შამს თებრიზის შეხვედრაზე.

– ვინ არის ეს დავრიში, რუმისნაირმა სწავლულმა რომ თავი გაუყადრა და ქედი მოუხარა?!.. – სისინებდა ხალხი.

პატარა ბიჭობიდან ვხედავდი, როგორ იყრიდა ყველა მუხლს მამაჩემის წინაშე და ვერც კი წარმომედგინა, რომ ვინმეს შეეძლო სხვანაირად მოპყრობოდა მას, თუ ეს ვინმე ან მეფე არ იქნებოდა, ან დიდი ვეზირი. ნახევარიც არ დავიჯერე გაგონილიდან და ჭორებს არ ავყევი, მაგრამ შინ მისულს ეს ამბავი ჩემმა დედინაცვალმა, კერამაც დამიდასტურა; კერა კი არასოდეს ტყუოდა და არაფერს აზვიადებდა.

დავრწმუნდი, მოხეტიალე დავრიში მართლა საქვეყნოდ გაეპაექრა მამაჩემს; ეგ კიდევ არაფერი: იგი ახლა ჩვენი სტუმარი იყო!

ვინ იყო ეს უცხო კაცი, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა, როგორც ციდან ჩამოვარდნილი ქვა? საკუთარი თვალით მინდოდა მისი ნახვა და კერას ვკითხე:

– ახლა სად არის?

– დამშვიდდი, – წამჩურჩულა, ცოტა არ იყოს, აღელვებულმა კერამ, – მამაშენი და დავრიში ბიბლიოთეკაში არიან.

გვესმოდა მათი მოგუდული ხმა, თუმცა, ძნელი გასარჩევი იყო, რაზე საუბრობდნენ. იქით წასვლა დავაპირე, მაგრამ კერამ გამაჩერა:

– მოცდა მოგიწევს. მთხოვეს, ნურავინ შეგვაწუხებსო.

არც იმ დღეს, არც მეორე დღეს ბიბლიოთეკიდან არ გამოსულან. რაზე უნდა ელაპარაკათ ამდენ ხანს? რა უნდა ჰქონოდა საერთო მამაჩემისნაირ კაცს ვიღაც უბირ დავრიშთან?

გავიდა ერთი კვირა, გავიდა მეორე. კერა ყოველ დილით საუზმეს ამზადებდა, ლანგარზე აწყობდა და ბიბლიოთეკის კართან ტოვებდა. რა ნუგბარს არ უმზადებდა, მაგრამ ყველაფერზე უარს ამბობდნენ. საუზმედ პურის ნაჭერს სჯერდებოდნენ, ვახშმად კი თხის რძეს.

ავფორიაქდი, მოსვენება დავკარგე, დანა პირს არ მიხსნიდა. მთელი დღეები ბიბლიოთეკის კართან ვწრიალებდი და ჭუჭრუტანაში ვიჭყიტებოდი. იმასაც კი აღარ დაგიდევდით, რომელიმე მათგანი რომ უეცრად გამოსულიყო და კართან მიყურადებულს თავზე დამდგომოდა. საათობით ვიყავი კარზე აკრული და ვცდილობდი, გამეგო, რაზე საუბრობდნენ, მაგრამ მოგუდული ბუბუნის მეტი არაფერი მესმოდა. დანახვითაც ბევრს ვერაფერს ვხედავდი. ფარდები გადაწეული იყო და ამის გამო ოთახში სანახევროდ ბნელოდა.

არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ სამაგიეროდ, საკუთარი წარმოსახვა ავამუშავე. გამოგონილი, სავარაუდო საუბრებით ვავსებდი ამ დანაკლისს. ერთხელ კარზე ყურმიდებულს კერამ მომისწრო, მაგრამ ხმა არ ამოუღია. თვითონაც ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა ხდებოდა. ხომ იცით, ქალები ცნობისმოყვარეობას ვერ ერევიან. ეს მათი ბუნებაა.

სულ სხვა იყო, როცა ერთხელ კართან ატუზულს ჩემი ძმა, სულთან ველედი დამადგა თავზე. თვალებით ლამის გამხვრიტა, სახე აერია...

– ჯაშუშობის უფლება არ გაქვს, განსაკუთრებით, როცა საქმე საკუთარ მამას ეხება, მისაყვედურა მან.

– ერთი, ჩვენს ძმობას, მითხარი, ნუთუ არ გაწუხებს, რომ მამაჩვენი უკვე თვეზე მეტია ვიღაც უცნობს ამდენ დროს უთმობს, ოჯახი კი მიტოვებული ჰყავს? – ვკითხე მე.

– არავინაც არ ჰყავს მიტოვებული, – მიპასუხა ჩემმა ძმამ. – მან შამს თებრიზის სახით ძალიან კარგი მეგობარი იპოვა. პატარა ბავშვივით კი ნუ წუწუნებ, გიხაროდეს, თუ მამა მართლა ასე ძალიან გიყვარს.

ასეთი რამის თქმა მხოლოდ ჩემს ძმას შეეძლო. შეჩვეული ვიყავი მის უცნაურობებს და ეს გაკენწვლა არ მწყენია. ყოველთვის სამაგალითო ბიჭი იყო, ოჯახისა და უბნის ნებიერი გახლდათ. მამასაც განსაკუთრებულად უყვარდა.

ორმოცი დღის შემდეგ უცნაური რამ მოხდა. მე კვლავინდებურად კართან ვიყავი ატუზული და ყურს ვუგდებდი ბიბლიოთეკაში ჩამოწოლილ უჩვეულო სიჩუმეს. უცებ დავრიში ხმამაღლა ალაპარაკდა:

– ორმოცი დღეა, რაც აქ ვართ განმარტოებულნი. სიყვარულის რელიგიის ორმოცი წესიდან ყოველდღე თითო წესს ვარჩევდით. დავასრულეთ ეს საქმე. ახლა კი ჯობს, გარეთ გავიდეთ, თორემ ოჯახი მოგისაკლისებს და შეწუხდება.

მამაჩემი შეეწინააღმდეგა:

– ეგ არაფერია. ჩემი ცოლი და ვაჟები ზრდასრულები არიან და კარგად ესმით, რომ დროდადრო განმარტოება მჭირდება.

– შენს ცოლზე არაფერი ვიცი, მაგრამ შენი ორი ვაჟი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც დღე და ღამე, – უპასუხა შამსმა, – უფროსი ფეხდაფეხ მოგყვება, მაგრამ უმცროსი თავისნათქვამა ჩანს. წყენასა და ღვარძლს ვერ იტევს მისი გული.

ბრაზისგან წამოვენთე. როგორ ბედავდა ასეთი საშინელი რამეების თქმას, როცა არც კი მიცნობდა?

– მას ჰგონია, არ ვიცნობ, მაგრამ ცდება, – თქვა დავრიშმა ცოტა ხნის შემდეგ. – კართან რომ იყო მოკუნტული და ჭუჭრუტანიდან მათვალიერებდა, მაშინ მეც ვაკვირდებოდი.

ტანში გამცრა, თმა ყალყზე დამიდგა. არც ვაციე, არც ვაცხელე, კარი გავაღე და ოთახში შევაბიჯე. მამაჩემი ჯერ სახტად დარჩა და გაოგნებული მომაშტერდა, მაგრამ სულ ცოტა ხანში გაოგნება ბრაზით შეეცვალა.

– ალადინ, ხომ არ შეიშალე? რაებს ბედავ?! – დაიქუხა მან.

კითხვაზე პირდაპირ არ ვუპასუხე. შამსისკენ ხელი გავიშვირე და წამოვიძახე:

– ერთი ამისთვის გეკითხა, როგორ ბედავს ჩემზე ასეთ ლაპარაკს?

მამას ხმა არ ამოუღია, შემომხედა და ისე მძიმედ ამოიოხრა, თითქოს ჩემი იქ ყოფნა გაუსაძლისი ტვირთი იყო მისთვის.

– მამა, ყური დამიგდე: კერას ენატრები, მოწაფეებს ენატრები, ვიღაც საძაგელი დავრიშის გულისთვის ყველა ახლობელს ზურგი როგორ უნდა აქციო?! – წარმოვთქვი თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე ვინანე, მაგრამ გვიანღა იყო.

გულდაწყვეტილმა შემომხედა. ასეთი მამა არასოდეს მენახა.

– ალადინ, კეთილი ინებე და ამ წუთში გაბრძანდი აქედან, – მითხრა მან, – წადი, სადმე მშვიდ ადგილას განმარტოვდი და იფიქრე იმაზე, რაც გააკეთე. სანამ საკუთარ სულში არ ჩაიხედავ და შენს შეცდომას არ გააცნობიერებ, ხმას ნუ გამცემ.

– კი მაგრამ, მამა...

– გიმეორებ, ახლავე გამეცალე, – გაიმეორა და ზურგი მაქცია.

გული საგულეს აღარ მქონდა. ოთახიდან გავედი. ოფლმა დამასხა, მუხლი მომეკვეთა. სწორედ იმწუთას მივხვდი, რომ ყველაფერი შეიცვალა და უწინდებური ცხოვრება აღარასოდეს გვეღირსებოდა. თავი ობლად ვიგრძენი, ზუსტად ისე, როგორც რვა წლის წინ, როცა დედა მომიკვდა.

რუმი

1244 წლის 18 დეკემბერი, კონია

ბატინ ალაჰ! ღვთის დაფარულო სახევ! გამიხსენი გონების კარი, რათა ვიხილო ჭეშმარიტება. როცა შამს თებრიზმა მუჰამად წინასწარმეტყველისა და სუფია ბისტამის შესახებ კითხვა დამისვა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ ორნი ვიყავით. ჩვენ წინ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა გადაჭიმულიყო თავისი შვიდი მაქამატით, რომლებიც თითოეული ადამიანის ნაფსმა ერთარსად ქცევის მიზნით უნდა გაიაროს. პირველ მაქამატს გარყვნილი ნაფსი ეწოდება. ეს არის ყველაზე მარტივი და ყველაზე ჩვეულებრივი მდგომარეობა, როცა სული ამსოფლიური ვნებების ტყვეობაშია მოქცეული. მოკვდავთა უმრავლესობა სწორედ ამ საფეხურზეა დარჩენილი და ადგილიდან ვეღარ იძვრის.

ასეთებს ლამის სული ამოხდეთ საკუთარი „მეს“ მონურ სამსახურში, მაგრამ თავს დატეხილი დაუსრულებელი უბედურებებისთვის პასუხს ყოველთვის სხვას სთხოვენ. როცა ადამიანი ხვდება, რაოდენ დამცრობილია მისი მე ამ საფეხურზე ყოფნისას, იგი იწყებს თავის თავზე მუშაობას და შედეგად შესაძლოა, სულიერების მორიგ საფეხურს მიაღწიოს, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით, პირველის საწინააღმდეგოა. ამიერიდან სხვების დანაშაულის მაძიებელი საკუთარი თავის დადანაშაულებას იწყებს და საკუთარი თავის არარად ქცევამდეც კი მიდის. შედეგად ვიღებთ ბრალმდებელ ნაფსს.

აი, აქედან იწყება სვლა შინაგანი თვითგანწმენდისაკენ. მესამე მაქამატში ადამიანი სულიერად გაცილებით მომწიფებულია. მისი ეგო უკვე საკმაოდ დახვეწილია და ეგრეთ წოდებულ შთაგონებულ ნაფსად არის ქცეული. მხოლოდ და მხოლოდ ამ მდგომარეობაში და არამც და არამც სხვა დროს შეუძლია მაძიებელს, ბოლომდე ჩასწვდეს სიტყვა „დათმობის“ მნიშვნელობას და ცოდნის ველში შეაბიჯოს. თუ იქამდე მიაღწიე, უცილობლად შეიძენ და გამოავლენ კიდეც შემდეგ თვისებებს: მოთმინებას, შეუპოვრობას, სიბრძნესა და თვინიერებას. ასეთი ადამიანი ახლებურად და სისხლსავსედ შეიგრძნობს სამყაროს. იგი მისთვის შთაგონების წყაროდ იქცევა. თუმცა ამ საფეხურს მიღწეული ბევრი ადამიანისათვის დამახასიათებელია ერთი რამ: მათ აღარ სურთ გზის გაგრძელება და მზად არიან, სამუდამოდ დარჩნენ იქ, სადაც არიან. ამიტომ არის, რომ რაც უნდა მშვენიერი და მადლიანი იყოს ეს მესამე ეტაპი, იგი არსებითად ხაფანგია მათთვის, ვინც უფრო მაღალ მიზანს ისახავს. ადამიანი, რომელიც უფრო შორს წასვლას მოახერხებს და ცოდნის ველს თავს დააღწევს, მშვიდი ნაფსის პატრონი ხდება. ამიერიდან ეს ადამიანი ის აღარ არის, რაც იყო. ის ცნობიერების უმაღლეს საფეხურს აღწევს. სულგრძელობა, მადლიერება, მუდმივი კმაყოფილება, მიუხედავად სიძნელეებისა – აი, მისი მთავარი თვისებები.

ამის შემდეგ უკვე ერთიანობის ველი იწყება.

ამ სიბრტყეში მყოფი ადამიანი ყველაფრით ნასიამოვნებია, რასაც ღმერთი უგზავნის. მას მიწიერი აღარაფერი აინტერესებს, რადგან ეგრეთ წოდებულ ნეტარ ნაფსს მიაღწია... შემდეგი საფეხური არის მოამაგე ნაფსი, როცა ადამიანი კაცობრიობისათვის მანათობელ

ლამპრად ქცეულა და თავის ენერგიას უშურველად უნაწილებს ყველა მსურველს; მოძღვრავს და ანათლებს მათ, როგორც ნამდვილი მასწავლებელი.

ასეთ ადამიანს ზოგჯერ ავადმყოფის განკურნების უნარიც ეძლევა. სადაც უნდა წავიდეს იგი, სხვა ადამიანების ცხოვრებას აუცილებლად შეცვლის. რასაც უნდა აკეთებდეს, ან მიელტვოდეს, მისი მთავარი მიზანია, სხვების მსახურების გზით ემსახუროს უფალს. დასასრულ, არსებობს მეშვიდე საფეხური, სადაც ადამიანი განწმენდილ ნაფსს აღწევს და ხდება ინსანალქამილი, ანუ სრულყოფილი მოკვდავი. თუმცა, ამ საფეხურის შესახებ ბევრმა არაფერი იცის და რომც იცოდეს, დუმილს არჩევს. ჭეშმარიტების ბილიკზე შემდგარი ადამიანის მიერ გასავლელ ამ საფეხურებზე მსჯელობა და დასკვნების გაკეთება ადვილია, მაგრამ ამ სულიერი მსვლელობის საკუთარ თავზე გამოცდა ძნელი რამ არის. გარდა იმისა, რომ მთელი ამ გზის განმავლობაში ბევრი დაბრკოლება გვხვდება, მუდმივი წინსვლაც საეჭვო ხდება. ეს გზა არ არის სწორხაზოვანი. ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ წინა საფეხურებზე წაიფორხილებ და იქიდან ფეხს ვეღარ მოიცვლი. ზოგჯერ უმაღლესი საფეხურიდანაც კი შეიძლება პირველზე დაენარცხო. მთელი ეს გზა მახეებით არის მოფენილი, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საბოლოო საფეხურებისათვის ყოველ საუკუნეში მხოლოდ ერთეულებს თუ მიუღწევიათ.

ყველაფერს მივხვდი: როცა შამსმა შეკითხვა დამისვა, მას წინასწარმეტყველისა და სუფის შედარება ნაკლებად აინტერესებდა. სხვა რამის გაგება სურდა: სადამდე ვიყავი წამსვლელი. ვიყავი თუ არა მზად, ყოველივე პიროვნული წამეშალა და ღმერთს შევრწყმოდი. ანუ მის კითხვაში სხვა კითხვა იმალებოდა:

„შენს თავზე რას იტყვი, დიდო მოქადაგევ? შვიდი საფეხურიდან რომელზე ხარ ამჟამად? როგორ ფიქრობ, გეყოფა თუ არა სითამამე, უფრო შორს, სულ ბოლომდე წახვიდე? მითხარ, რამხელაა შენი ჭურჭელი?“

კერა

1244 წლის 18 დეკემბერი, კონია

ბედის სამდურავი არ უნდა წამოგცდეს, ვიცი, მაგრამ მაინც არ შემიძლია, არ გამოვთქვა სინანული, რატომ არა ვარ უფრო განსწავლული რელიგიაში, ისტორიაში, ფილოსოფიასა და ყველა იმ საგანში, რომლებზეც, ალბათ, მსჯელობდნენ ბიბლიოთეკაში დღედაღამ ჩაკეტილი რუმი და შამსი.

ზოგჯერ გული მომდის, ქალად რად გავჩნდიმეთქი. გოგო რომ იბადება, მზარეულობას, დალაგებას, სარეცხის რეცხვას, ძველი წინდების კემსვას, კარაქის დღვებას, ყველის ამოყვანასა და ბავშვების დაპურებას ასწავლიან. ზოგიერთ ქალს სიყვარულის ხელოვნებასაც აზიარებენ. უხსნიან, როგორ გახდეს მიმზიდველი მამაკაცისათვის. მაგრამ სულ ეს არის. ქალს წიგნს არავინ აკარებს, ემანდ, თვალი არ აეხილოსო...

ჩვენი ქორწინების პირველ წელს შემთხვევას არ გავუშვებდი ხელიდან, რომ რუმის ბიბლიოთეკაში არ შევპარულიყავი. ვიჯექი იქ, მისი სანუკვარი წიგნებით

გარშემორტყმული, ვისუნთქავდი მტვრისა და ობის სუნს და ვფიქრობდი, ნეტავ რა საიდუმლოს ინახავენ-მეთქი ისინი. ვიცოდი, როგორ აღმერთებდა რუმი წიგნებს, რომელთა უმრავლესობა მას განსვენებულმა მამამ ბაჰაუდდინმა გადასცა. ამ წიგნებიდან ყველაზე მეტად „მაარიფი“ უყვარდა. რამდენი ღამე გაუთენებია თეთრად მის კითხვაში, თუმცა მგონი, მთელი წიგნი ზეპირად იცოდა.

– ტომრებით ოქრო რომ შემომთავაზონ, მამაჩემის წიგნებს არაფერზე გავცვლი. თითოეული ამ წიგნთაგანი ფასდაუდებელი მემკვიდრეობაა, რომელიც ჩემი წინაპრებისაგან მერგო. ისინი მამაჩემისგან გადმომეცა, მე კი ჩემს ვაჟებს გადავულოცავ, ამბობდა რუმი ხშირად.

მწარედ მახსოვს ერთი ამბავი, რომელიც ამ წიგნებს უკავშირდება. მაშინ პირველად მივხვდი, რა ძვირფასი იყო ისინი რუმისთვის. ეს ამბავი ჩვენი ქორწინების პირველ წელს მოხდა. ერთ დღეს სრულიად მარტო დავრჩი სახლში, თანაც მთელი დღით. გადავწყვიტე, წიგნებისათვის მტვერი ჩამომეშორებინა. თაროებიდან ყველა წიგნს სათითაოდ ვიღებდი და მათ ყდებს ვარდის წყალში ამოვლებული ხავერდის ჩვრით მტვერს ვაცლიდი. ჩვენს ხალხს სწამს ახალგაზრდა ჯინის, სახელად ქებიქეჩის არსებობა, რომელიც რატომღაც წიგნების გაფუჭებით იოხებს გულს. მის დასაფრთხობად ჩვენში ერთი ჩვეულება არსებობს: ყოველ წიგნს შიგნით ასეთ წარწერას უკეთებენ: „განვედ, ქებიქეჩ! შორს ამ წიგნისაგან!“ რა ვიცოდი მაშინ, რომ ამ წიგნებისაგან არა მხოლოდ ქებიქეჩს, არამედ მეც შორს უნდა დამეჭირა თავი.

იმ დღეს მთელი ბიბლიოთეკის წიგნები გავწმინდე. თან ვსაქმიანობდი და თან ვკითხულობდი: ღაზალის „რელიგიურ მოძღვრებათა განახლებასაც“ კი გადავავლე თვალი. როგორც ჩანს, კარგა დრო გასულიყო, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა ზურგს უკან რაღაც შარიშური გავიგონე.

– კერა, რას აკეთებ მანდ?

რუმი იყო, სხვა ვინ იქნებოდა, არადა, ვეღარ ვცნობდი: პირგამეხებული იდგა, ხმა გამკაცრებოდა... რვა წელია, ცოლქმარი ვართ და მაშინ პირველად დამელაპარაკა ასე უკმეხად.

– რა ვიცი, წიგნებს ვწმენდ... ვიფიქრე, შინ რომ დაბრუნდება, გაუხარდება-მეთქი...

წავილუღლუღე ძლივს გასაგონად.

– გასაგებია, მაგრამ გთხოვ, ამიერიდან ჩემს წიგნებს ხელი არ ახლო. საერთოდ, ამ ოთახში შემოსვლას თუ თავს აარიდებ, ძალიან დამავალებ.

ის დღე იყო და ის დღე, ბიბლიოთეკას აღარ გავკარებივარ, მაშინაც კი, როცა თავს მარტო დავიგულებდი. ერთხელ და სამუდამოდ შევეგუე იმ აზრს, რომ წიგნების სამყარო საჩემო არასოდეს ყოფილა და არც იქნებოდა.

მაგრამ როდესაც შამს თებრიზი გვესტუმრა და ჩემს ქმართან ერთად ბიბლიოთეკაში ორმოცი დღით ჩაიკეტა, ისევ ადუღდა ჩემში ძველი წყენა. კვლავ გამეხსნა იარა, რომელიც კარგა ხნის მოშუშებული მეგონა.

კიმია

1244 წლის 20 დეკემბერი, კონია

ბალღობაში, თორმეტი წლისა მიშვილა რუმიმ, მთისძირა სოფელში მცხოვრები ერთი უბირი გლეხის გოგო. ჩემი მშობლები მშრომელი ხალხი იყო, თავიანთი დღე და მოსწრება წელებზე ფეხს იდგამდნენ და დროზე ადრე დაბერდნენ.

ერთი პატარა სახლი გვედგა. მე და ჩემს დას საზიარო ოთახი გვქონდა და იქ ვცხოვრობდით ჩვენი დახოცილი და-ძმების აჩრდილებთან ერთად (ისინი ხუთნი იყვნენ და ყველა მათგანი თავის დროზე სახადმა იმსხვერპლა).

მე მიცვალებულების სულებს ვხედავდი. ოჯახში სხვას არავის ჰქონდა ასეთი უნარი. ჩემი და შიშით შემომყურებდა, დედაჩემი კი ტირილს იწყებდა, როცა დავიწყებდი ხოლმე მოყოლას, აი, ახლა ამას აკეთებენ პატარა სულები, ახლა კი ამას-მეთქი. რამდენჯერ მითქვამს, რომ ტყუილად შფოთავდნენ; ჩვენი პატარები საშიშებად სულაც არ გამოიყურებოდნენ, არც შეწუხებულები ჩანდნენ... მაგრამ ვერა და ვერ შევასმინე ეს ჩემს ოჯახს.

ერთხელ ჩვენს სოფელში ვიღაც მწირმა ჩამოიარა. ძალიან დაღლილი ჩანდა. მამამ შინ შემოიპატიჟა და ღამის გათენება შესთავაზა. მიმწუხრისას ყველანი ბუხართან ვისხედით და თხის ყველს ვბრაწავდით, მწირი კი შორეულ ქვეყნებზე ისეთ ამბებს გვიყვებოდა, მონუსხულებივით ვუსმენდით. თვალდახუჭული ვუგდებდი ყურს მის ბუბუნს და მასთან ერთად ვმოგზაურობდი: არაბეთის უდაბნოებშიც ვიხეტიალე; ჩრდილოეთ აფრიკის ბედუინთა კარვებსაც ვესტუმრე; ხმელთაშუა ზღვად წოდებული ულურჯესი ზღვის სანაპიროზეც ამოვყავი თავი; იქ ერთი დიდი, დაგრეხილი ნიჟარაც კი ვიპოვე, ჯიბეში ჩავიდე და ვიფიქრე, მოდი, თავიდან ბოლომდე მოვივლი მთელ სანაპიროს-მეთქი, მაგრამ რაღაც მძაფრმა, საზიზღარმა სუნმა შუა გზაზე გამაჩერა. როცა თვალი გავახილე, იატაკზე გაშოტილს ირგვლივ აფორიაქებული ჩემიანები მეხვეოდნენ. დედაჩემს ცალი ხელით ჩემი თავი ეჭირა, მეორით ხახვის ნაჭერს მჩრიდა ცხვირში.

– გონს მოვიდა! – იყვირა ჩემმა დამ და სიხარულით ტაში შემოჰკრა.

– მადლი უფალს! – შვებით ამოისუნთქა დედაჩემმა. მერე მწირს მიუბრუნდა და უთხრა: – პატარაობიდან ჭირს ეს გულყრა ჩემს კიმიას. ხშირად ემართება ასე...

დილით მწირმა სტუმართმოყვარეობისათვის მადლობა გადაგვიხადა და გამოგვემშვიდობა, მაგრამ წასვლის წინ მამაჩემს უთხრა:

– შენი ქალიშვილი კიმია უჩვეულო ბავშვია. ძალიან ნიჭიერია. ცოდოა ასეთი ნიჭის დაკარგვა. სკოლაში უნდა გაუშვა...

– გოგო და განათლება სად გაგონილა?! – აღშფოთდა დედაჩემი. – გოგო გვერდით უნდა მყავდეს და ხალიჩები ქსოვოს, სანამ არ გათხოვდება. მერედა, რომ იცოდეთ, რა ოსტატია!

– მე კი გეუბნებით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისგან კიდევ უკეთესი სწავლული შეიძლება დადგეს. როგორც ხედავთ, ღმერთმა არ მოიძულა თქვენი ქალიშვილი იმის გამო, რომ ქალია და დიდი ნიჭი უბოძა. თქვენ რა, ღმერთზე მეტი იცით? თუ სკოლაში

ვერ ატარებთ, რომელიმე სწავლულს მიაბარეთ, რომ ბავშვმა საკადრისი განათლება მიიღოს, – თავისას არ იშლიდა მწირი.

დედამ უარის ნიშნად თავი გაიქნია, მაგრამ ვხედავდი, მამა სხვა აზრისა იყო. ვიცოდი, მამას განათლება უყვარდა, ვიცოდი, ჩემს შესაძლებლობებს აფასებდა, ამიტომ არ გამკვირვებია, როცა მწირს უთხრა:

– ნაცნობი სწავლულები ჩვენ არა გვყავს. სად შეიძლება ასეთი ადამიანის პოვნა?

სწორედ მაშინ წარმოთქვა მწირმა სახელი კაცისა, რომელსაც ჩემი მომავალი ცხოვრება მთლიანად უნდა შეეცვალა.

– კონიაში მეგულება ერთი სწავლული. მისი სახელია მევლანა ჯალალედდინ რუმი. კიმიასნაირ გოგოს სიხარულით დაიმოწაფებს. მიუყვანეთ ეს ბავშვი. არ ინანებთ.

როცა მწირი წავიდა, დედამ ხელები გაასავსავა:

– ხალხო, ფეხმძიმედ ვარ; მალე კიდევ ერთი სული გვეყოლება სარჩენი; ვიღაც ხომ უნდა დამეხმაროს? გოგოს რად უნდა წიგნი?! გოგომ საოჯახო საქმე და ბავშვების მოვლა უნდა იცოდეს!

სხვა რამე მაინც მოემიზეზებინა, გული ასე არ დამწყდებოდა. რომ ეთქვა, მომენატრება და სხვის ოჯახში დროებითაც კი ვერ გავაბარებო, ალბათ, დარჩენას ვირჩევდი. მაგრამ მსგავსი არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, მამაჩემს დაუჯდა ჭკუაში მწირის რჩევა. რამდენიმე დღეში კი მეც დავრწმუნდი, რომ მწირს ჭკუა მართლაც ეკითხებოდა. ცოტა ხანში მე და მამაჩემი კონიას გავემგზავრეთ და მივადექით მედრესეს, სადაც რუმი ასწავლიდა.

როცა რუმი დავინახე, ისე დავიმორცხვე, თვალი ვერ გავუსწორე და მის ხელებს მივაჩერდი. მისი გრძელი, ჩამოქნილი, მოხდენილი თითები ხელოვანის თითებს უფრო მიაგავდა, ვიდრე სწავლულისას.

– ჩემი ქალიშვილი ძალიან ნიჭიერია. მე და ჩემი ცოლი უბირი ხალხი ვართ. გავიგეთ, რომ ჩვენს მხარეში ყველაზე ნასწავლი კაცი ბრძანდები. ხომ არ დაიმოწაფებდი? – უთხრა მამაჩემმა და ხელი მკრა.

რუმისთვის არ შემიხედავს, მაგრამ ისედაც მივხვდი, რომ არაფერი გაკვირვებია. ეტყობოდა, მიჩვეული იყო მსგავს თხოვნებს. სანამ ის და მამაჩემი საუბრით იყვნენ გართულნი, მედრესეს ეზოში შევედი. ეზო ბიჭებით იყო სავსე, გოგო არსად ჭაჭანებდა, ამიტომ ძალიან გამიკვირდა და მესიამოვნა, როცა ერთ კუთხეში ახალგაზრდა ქალი დავლანდე. თავისთვის იდგა. მრგვალი, თეთრი, მშვიდი სახე მარმარილოს ქანდაკებას მიუგავდა. ხელი დავუქნიე. თავიდან შეცბა, მაგრამ ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ თვითონაც დამიქნია ხელი.

– გაგიმარჯოს, გოგონი. ნუთუ მხედავ? – მკითხა მან.

თავი დავუქნიე.

გაიბადრა, გულიანად გამიღიმა და ტაში შემოჰკრა.

– რა კარგია! სხვა ვერავინ მხედავს!

მერე ერთად დავიძარით მამაჩემისა და რუმისაკენ. მეგონა, ახალგაზრდა ქალის დანახვისას საუბარს შეწყვეტდნენ, მაგრამ ის მართალი გამოდგა – ვერ ხედავდნენ.

– კიმია, მოდი ჩვენთან! – დამიძახა რუმიმ. – მამაშენი მეუბნება, სწავლა უყვარსო. მითხარი, მაინც რა გიტაცებს წიგნებში ყველაზე მეტად?

ყელში ბურთი გამეჩხირა. გავშეშდი, პასუხი ვერ გავეცი.

– ხმა ამოიღე, გოგო, – წამჩურჩულა ნირწამხდარმა მამაჩემმა.

რაღაც ისეთი მინდოდა მეპასუხა, რითაც მამაჩემი იამაყებდა, მაგრამ სათქმელს თავი ვერ მოვუყარე და სასოწარკვეთილი ოხვრაღა აღმომხდა. ალბათ, იმ დღეს პირში ჩალაგამოვლებულები დავბრუნდებოდით სოფელში, ის ახალგაზრდა ქალი რომ არ ჩარეულიყო. მან ხელი ჩამავლო და წამჩურჩულა:

– სიმართლე უთხარი. არ წააგებ, გპირდები.

შვებით ამოვისუნთქე, რუმის მივუბრუნდი და ვთქვი:

– ჩემთვის დიდი პატივი იქნება, ყურანს თუ გამაცნობ და შემასწავლი, მოძღვარო. დღედაღამ ვიმეცადინებ, შრომის არ მეშინია.

რუმის სახე გაუბრწყინდა.

– ძალიან კარგი, – მიპასუხა მაშინვე, მაგრამ წამით გაირინდა, თითქოს, რაღაც უსიამოვნო გაახსენდაო.

– ეგ არის, რომ გოგო ხარ. რაგინდ თავგამოდებით უნდა ვიმეცადინოთ და წარმატებას მივაღწიოთ, მალე გათხოვდები, შვილებს გააჩენ და წლობით ნასწავლი წყალში ჩაგვეყრება...

არ ვიცოდი, რა მეთქვა. დავფრთხი, თითქმის დამნაშავედ ვიგრძენი თავი. მამაჩემიც უხერხულად შეიშმუშნა და უნებურად ფეხსაცმელზე დაიხედა.

მაგრამ ამასობაში ისევ ის ყმაწვილი ქალი წამომეშველა:

– უთხარი, შენი ცოლი ყოველთვის ქალიშვილზე ოცნებობდა და ახლა თუ დამიმოწაფებ, გაიხარებს-თქო.

როცა მისი ნათქვამი რუმის გადავეცი, გაიცინა.

– როგორც გატყობ, ჩემს ოჯახში სტუმრად ყოფილხარ და ჩემს ცოლს გასაუბრებიხარ, მაგრამ გარწმუნებ, კერა ჩემს საქმიანობაში არასოდეს ერევა.

ახალგაზრდა ქალმა სინანულით გაიქნია თავი და ყურში ჩამჩურჩულა:

– უთხარი, რომ მის მეორე ცოლს, კერას კი არ გულისხმობდი, არამედ გევერს, მისი ვაჟების დედას.

– მე შენი ვაჟების დედას, გევერს ვგულისხმობდი, – ვუთხარი რუმის, თანაც ქალის სახელი რაც შეიძლება მკაფიოდ წარმოვთქვი.

რუმი გაფითრდა.

– გევერი მკვდარია, ბალღო, – მითხრა მშრალად, – შენ რა იცი ჩემი გარდაცვლილი ცოლის შესახებ? რაღაც, ხუმრობას ვერ მიგიხვდი...

საუბარში მამაჩემი ჩაერია.

– გარწმუნებ, მოძღვარო, შენი წყენინება არც უფიქრია. დამიჯერე, კიმია დინჯი გოგოა, უფროსი და უმცროსი ნამდვილად არ ეშლება.

მივხვდი, სიმართლის თქმა მომიწევდა.

– შენი გარდაცვლილი მეუღლე აქ არის, მოძღვარო. ახლა ჩემი ხელი უჭირავს და მაგულიანებს. მუქი, ნუშისებრი თვალები აქვს, სახე ლამაზად აქვს დაჭორფლილი და გრძელი, ყვითელი კაბა აცვია.

წამით დავდუმდი, რადგან შევამჩნიე, ახალგაზრდა ქალი თავის ქოშებზე მიმითითებდა.

– აი, ახლა უნდა, მის ქოშებზე გელაპარაკო. ხასხასა ნარინჯისფერი აბრეშუმის ლამაზი ქოშები აცვია, წითელი ყვავილებით მოქარგული.

– ეგ ქოშები ერთხელ დამასკოდან ჩამოვუტანე, – თქვა რუმიმ და თვალები ცრემლით აევსო, – ძალიან მოსწონდა...

ამის შემდეგ სწავლული კარგა ხანს დუმდა და წვერზე ხელს ისვამდა. ჩანდა, ფიქრებით შორს იყო ჩვენგან, მაგრამ როცა კვლავ ალაპარაკდა, სულ სხვა ხმა ჰქონდა: თბილი, რბილი და აუმღვრეველი.

– ახლა კი ვხვდები, ტყუილად რომ არ უქებენ შენს ქალიშვილს ნიჭს, – უთხრა რუმიმ მამაჩემს, – მოდი, შინ მესტუმრეთ, ვისადილოთ და ამ ბავშვის მომავალზე ვიმსჯელოთ. დარწმუნებული ვარ, საუცხოო მოწაფე დადგება. ბევრ ვაჟს აჯობებს.

შემდეგ მე მომიბრუნდა და მკითხა:

– გევერს თუ ეტყვი იმას, რაც ახლა ვთქვი?

– არ არის საჭირო, მოძღვარო. გევერმა გაიგონა შენი ნათქვამი, – ვუთხარი მე. – ახლა კი ამბობს, რომ უნდა დაგვტოვოს, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ მუდამ სიყვარულით გადევნებს თვალს.

რუმიმ თბილად გაიღიმა. მამაჩემმაც. ერთბაშად ყველას გულზე მოგვეშვა. იმ წუთიდან ვიცოდი, რომ ამ შეხვედრას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვებოდა. დედაჩემთან ახლოს არასოდეს ვყოფილვარ და თითქოს ამ დანაკლისის შესავსებად ღმერთი ორ მამას მჩუქნიდა – ნამდვილსა და მამობილს.

აი, ასე მოვხვდი ერთი მორცხვი დასწავლას მოწყურებული გოგონა წლების წინ რუმის ოჯახში. კერა თავს მევლებოდა და დედის მაგივრობას მიწევდა, რუმის ვაჟებიც გულთბილად შემხვდნენ, განსაკუთრებით უფროსი, რომელმაც დროთა განმავლობაში ნამდვილი ძმობა გამიწია.

მართალი გამოდგა ის მწირი. ჩემიანები ძალიან მენატრებოდა, მაგრამ კონიაში ჩამოსვლა და რუმის ოჯახში ცხოვრება ერთი წუთითაც არ მინანია. ამ ჭერქვეშ ბევრი ბედნიერი წუთი გავატარე... ოღონდ მანამდე, სანამ შამს თებრიზი გვესტუმრებოდა. მისმა გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა...

ელა

2008 წლის 9 ივნისი, ნორთჰემპტონი

ბუნებით მარტოობის მოყვარული არასოდეს ყოფილა, მაგრამ ამ ბოლო დროს აშკარად გრძნობდა, რომ მარტო ყოფნა ერჩივნა. დიდი გულმოდგინებით ასრულებდა ლიტ-სააგენტოს დავალებას და მიშელს ვადის ერთი კვირით გადაწევაც კი სთხოვა. უფრო ადრეც შეეძლო დასრულება, მაგრამ არ ჩქარობდა, რადგან ამ სამუშაომ საშუალება მისცა, საკუთარ თავს ჩაღრმავებოდა, ოჯახურ მოვალეობებს გაქცეოდა და დიდი ხნის მომწიფებულ ცოლქმრულ დაპირისპირებაზეც დაფიქრებულიყო.

ამ კვირაში პირველად გააცდინა მზარეულთა კლუბის მეცადინეობა. არც საჭმლის თითხნის გუნებაზე იყო და არც იმ ქალების ყბედობის მოსმენის თავი ჰქონდა, ერთნაირი ცხოვრებით რომ ცხოვრობდნენ. სურდა, პირველ რიგში საკუთარ ცხოვრებაში გარკვეულიყო. ამიტომ კლუბში დარეკა და ავადმყოფობა მოიმიზეზა.

აზიზთან მიმოწერას, ცხადია, საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ ამ საიდუმლომ იბარტყა და სხვა საიდუმლოებებიც შვა: აზიზმა არ იცოდა, რომ ელა არა მხოლოდ კითხულობდა მის რომანს, არამედ-ანგარიშსაც წერდა მასზე; ლიტ-სააგენტომ არ იცოდა, რომ ელას ფარული ფლირტი ჰქონდა რომანის ავტორთან; ელას ქმარშვილმა კი არც ავტორზე იცოდა რამე, არც რომანის შინაარსსა და არც ფლირტზე. ამრიგად, სულ რამდენიმე კვირაში ელას ცხოვრება, აქამდე რომ ახალშობილის კანივით სუფთა და გამჭვირვალე იყო, ფარული ზრახვებითა და სიცრუით სავსე ცხოვრებად იქცა.

გასაკვირი ის იყო, რომ ეს ცვლილება დიდად არ აწუხებდა. თითქოს რაღაც დიდ მოვლენას ელოდა რუდუნებითა და მოთმინებით და ეს აუხსნელი, ირაციონალური მოლოდინი მის ბოლოდროინდელ განწყობას ერთგვარ ხიბლს მატებდა. გასაიდუმლოების მიუხედავად, ამ ყველაფერში მართლაც იყო რაღაც მიმზიდველი.

ელა ელფოსტით ურთიერთობას აღარ დასჯერდა, აზიზს ტელეფონით შეეხმიანა და ახლა, მიუხედავად ხუთსაათიანი განსხვავებისა, ისინი თითქმის ყოველდღე ტელეფონით საუბრობდნენ.

ერთ-ერთი საუბრის დროს აზიზმა უთხრა:

– ისე ხმადაბლა, გაუბედავად და ნაწყვეტნაწყვეტად იცინი, თითქოს დარწმუნებული არ ხარ, რომ სიცილის უფლება გაქვს; ასე ისინი იცინიან, ვინც სხვების აზრს ვერასოდეს გადააბიჯებს, რადგან მსგავსი რამ მისთვის არ უსწავლებიათ.

– მიუშვი შენი თავი! – ხშირად აგულიანებდა იგი ელას.

საით უნდა „მიეშვა“? მის ირგვლივ იმ დროს ყველაფერი ბორგავდა. ოჯახში უამრავი რაღაც ხდებოდა. ეივიმ მათემატიკაში კერძო მეცადინეობა დაიწყო; ორლიმ დახმარებისთვის დიეტოლოგს მიმართა და მისი რჩევების გათვალისწინება დაიწყო. იმ დილით ნახევარი ომლეტი შეჭამა. ასეთი მსუყე საჭმელი საუკუნე იყო, არ ეჭამა და თუმცა კერძის კალორიულობა მაშინვე გადაამოწმა, ეს მაინც გამარჯვება იყო. მარტო ის რად ღირდა, რომ ჭამის შემდეგ თავი დამნაშავედ არ იგრძნო და მაშინვე გული არ აირია.

ამასობაში კიდევ ერთი ბომბი გასკდა: ჯენეტმა გამოაცხადა, სკოტს ვშორდებიო. განმარტებებით თავი არ შეუწუხებია, მხოლოდ თქვა, ორივეს მეტი სივრცე გვჭირდებაო.

„სივრცეში“, როგორც ჩანს, ახალი სიყვარული იგულისხმებოდა, რადგან არც ერთი მათგანი განშორების შემდეგ კენტად დიდხანს არ დარჩენილა.

ელას ძალიან აკვირვებდა ურთიერთობების ეს ელვისებური ცვალებადობა, მაგრამ ამ ბოლო დროს ადამიანთა განსჯას ერიდებოდა. აზიზთან მიმოწერისას უპირველესად სწორედ ეს ისწავლა: რაც უფრო მშვიდად მიიღებდა ყველაფერს, შვილებიც უფრო მეტად გაუწევდნენ ანგარიშს.

და მართლაც, როგორც კი შვილების კუდში დევნა შეწყვიტა, აღარც ისინი გაურბოდნენ. როგორღაც თავისით ჩაწყნარდა და მოგვარდა ყველაფერი, თანაც ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე წარსულში, როცა ელა ყველაფრის გამოსწორებას და ყველას დახმარებას ცდილობდა.

არადა ამ შედეგის მისაღწევად განსაკუთრებულს თითქოს არაფერს აკეთებდა! უბრალოდ, თუ ადრე შეუმჩნევლად ცდილობდა ოჯახის წევრების შეკავშირებას, ამჯერად უტყვი დამკვირვებლის როლი მოირგო. მოვლენებს თვალს ადევნებდა და მართალია, მთლად გულგრილი ვერ იყო, მაგრამ აღარც ადრინდელივით ახლოს მიჰქონდა გულთან ყველაფერი.

როცა ერთხელ და სამუდამოდ მიხვდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები უნდა ენერვიულა იმაზე, რასაც ვერ განაგებდა, მის არსებაში ვიღაც სხვა ადამიანმა გაიღვიძა; ეს „ვიღაც“ უფრო ბრძენი, უფრო მშვიდი და უფრო გონიერი იყო.

„მეხუთე ელემენტი... მეხუთე ელემენტი... მიიღე და გაითავისე სიცარიელე...“ – ხშირად იმეორებდა გულში.

მისმა ქმარმა ცოტა ხანში შეამჩნია, რაღაც უცნაური რომ ხდებოდა ცოლის თავს. ეს ქალი ელას აღარ ჰგავდა. იქნებ ამიტომაც გაუჩნდა მასთან მეტი დროის გატარების სურვილი? ამ ბოლო დროს სახლში ჩვეულებრივზე ადრე ბრუნდებოდა და ელამ თავისთვის ივარაუდა, რომ დევიდი სხვა ქალებს აღარ ხვდებოდა.

– ხომ მშვიდობაა, ფისო? – ეკითხებოდა ცოლს ხშირხშირად.

– კი, მშვიდობაა. – უპასუხებდა ელა ღიმილით.

როგორც კი თავის საკუთარ სივრცეში განმარტოვდა, მის თვალწინ თითქოს უეცრად ფარდა აეხადა ყოვლად უმაქნის ეტიკეტს, რომლის მიღმა მათ ხანგრძლივ ქორწინებას საღათას ძილით ეძინა. და ახლა, როცა ორივემ თვალთმაქცობას თავი დაანება, მათი ურთიერთობის ყველა შეცდომა და მანკიერი მხარე ერთბაშად გამოვლინდა. ელამ მსახიობობაზე ხელი აიღო და ხედავდა, რომ დევიდიც იმავეს ლამობდა. სუფრასთან რომ ისხდნენ, ისე მშვიდად საუბრობდნენ დღის მოვლენებზე, თითქოს ბირჟის ინვესტიციებზე მსჯელობდნენ. ზოგჯერ ჩუმდებოდნენ კიდეც, მაგრამ ეს სიჩუმე სრულიად არ აღელვებდათ. არც ერთი მათგანი თვალს აღარ ხუჭავდა იმაზე, რომ ბევრი აღარაფერი ჰქონდათ სალაპარაკო. ყოველ შემთხვევაში, ამიერიდან.

ზოგჯერ ელა ქმრის დაჟინებულ მზერას იჭერდა. დევიდს აშკარად ერთი სული ჰქონდა, ცოლს რამე ეთქვა მისთვის, თუნდაც უმნიშვნელო. ელა გრძნობდა, ახლა ქმრისთვის მისი საყვარლების შესახებ რამე რომ ეკითხა, გულს სიამოვნებით გადაუშლიდა. მაგრამ აღარ იყო დარწმუნებული, რომ ეს უნდოდა.

ადრე ურთიერთობის მოგვარების სურვილი ისეთი დიდი იყო, რომ თავის მოტყუებასაც არ ერიდებოდა. ახლა კი ქმარს აგრძნობინა, რომ ძალიან კარგად იცოდა, სად დადიოდა, მაგრამ აღარ აინტერესებდა. სწორედ ამ უჩვეულო გაუცხოებამ დააფრთხო დევიდი.

სხვათა შორის, ელას მისი კარგად ესმოდა, რადგან გულის სიღრმეში თავადაც შეშინებული იყო. ორიოდე თვის წინ დევიდს რომ თუნდაც ერთი ნაბიჯი გადმოედგა მდგომარეობის გამოსასწორებლად, ელა, ალბათ, მადლიერი იქნებოდა და ქმრის ამგვარი მცდელობა ესიამოვნებოდა. ახლა კი სულ სხვა ვითარება იყო.

ელას არც კი სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა მის თავს. როგორ მივიდა აქამდე? როგორ აღმოაჩინა ერთ მშვენიერ დღეს ყველაფრით უზრუნველყოფილმა ადამიანმა და სამი შვილის დედამ, რომ თურმე მხოლოდ ერთი გულგატეხილი ქალია? და რაც ყველაზე მთავარია: თუკი მართლაც ასეთი უბედური იყო, როგორც ჯენეტს უთხრა იმ დღეს, რატომ არ იქცეოდა ისე, როგორც უბედური ადამიანები იქცევიან? აბაზანაში ჩაკეტილი რატომ არ ქვითინებდა, ჭურჭლის რეცხვის დროს რატომ არ იცრემლებოდა, სახლიდან შორს რატომ არ მიუწევდა გული, რატომ არ ლეწავდა ყველაფერს? რატომ?!..

მთელ მის არსებას უჩვეულო სიმშვიდე დაეპატრონა. არასდროს უგრძნია თავი ასე გაწონასწორებულად, მიუხედავად იმისა, რომ შეჩვეულ ცხოვრებას ელვის სისწრაფით შორდებოდა. დილაობით დიდხანს, გულმოდგინედ იყურებოდა სარკეში, რომ თავის სახეზე რაიმე ცვლილება შეემჩნია. გაახალგაზრდავდა? გალამაზდა? გამოცოცხლდა? არა, მსგავსს ვერაფერს ხედავდა. თითქოს არაფერი შეცვლილიყო... და მაინც აღარაფერი დარჩენილიყო უწინდებურად.

კერა

1245 წლის 5 მაისი, კონია

ბუნებამ ფერი იცვალა ერთ დროს თოვლით დამძიმებული ხის ტოტები გაიკვირტა, შამსი კი არა და არ იძვრის ჩვენი ოჯახიდან...

ქმარზე სულ თვალი მიჭირავს და ვხედავ, ის სულ სხვა კაცად იქცა. ყოველდღიურად მშორდება მეცა და მთელ ოჯახსაც. თავიდან მეგონა, ერთმანეთი მალე მობეზრდებოდათ, მაგრამ ნურას უკაცრავად. კიდევ უფრო მიეჯაჭვნენ ერთმანეთს. ხან უცნაურად გაყუჩდებიან, ხან შეუჩერებლად ბუტბუტებენ; შიგადაშიგ გადაიხარხარებენ ხოლმე. განცვიფრებასა ვარ, როგორ არ ელევათ სალაპარაკო...

შამსთან ყოველი ახალი გასაუბრების შემდეგ რუმი სხვა კაცი ხდება, თანდათან გვიუცხოვდება. ვეღარ გაეკარები, თითქოს სააქაოს აღარ არის, თითქოს ვიღაცამ ბანგი შეასვა, რომელსაც ვერც თვალით ხედავ და ვერც გემოს უსინჯავ. ერთმანეთზე გადაჯაჭვულმა ამ ორმა კაცმა თითქოს ერთ ბუდეში მოიკალათა, რომელშიც მესამისთვის ადგილი აღარ დარჩენილა. თავებსაც ერთდროულად აკანტურებენ, ღიმილითაც ერთდროულად იღიმებიან, ერთდროულად გადაიხარხარებენ ხოლმე,

ერთდროულად იჭმუხნიან შუბლებს, საუბრის დროს მრავალმნიშვნელოვნად ჩააშტერდებიან ხოლმე ერთმანეთს თვალებში.

გუნებაც ერთნაირად ეცვლებათ. არის დღეები, როცა ნიავივით წყნარები არიან, არაფერს ჭამენ, ხმას არ იღებენ, მაგრამ ზოგჯერ ისე აწრიალდებიან, ისეთი აღტყინებულები ხდებიან, რომ შეშლილებს ემსგავსებიან.

ერთი სიტყვით, ჩემს ქმარს ვეღარ ვცნობ. კაცი, რომელსაც რვა წელზე მეტია ცოლობას ვუწევ, კაცი, რომლის შვილებს დედობა გავუწიე და ღვიძლ შვილში არ ვარჩევდი, კაცი, რომელსაც შვილი გავუჩინე, სრულიად უცხო გახდა ჩემთვის. მასთან სიახლოვეს მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როცა ღრმად სძინავს. ამ ბოლო დროს ღამეებს თეთრად ვათენებ. მისი სუნთქვის რიტმს ვუგდებ ყურს. მისი ფშვინვა ნაზი ჩურჩულივით მელამუნება კანზე, მისი გულისცემა სმენას მიტკბობს, შვებას მგვრის და თითქოს ესღა შემახსენებს, რომ იგი ჯერ კიდევ ჩემი ქმარია. სულ თავს ვინუგეშებ: ეს დროებითია, შამსი მოხეტიალე დავრიშია, ერთხელაც იქნება, წავა, რუმი კი ჩემთან დარჩება, ის ხომ ამ ქალაქს ეკუთვნის, თავის მოწაფეებს სჭირდებათ-მეთქი...

უნდა დაველოდო ამ წუთს, სხვა რა დამრჩენია? მაგრამ თმენა იოლი არ არის და რაც დრო გადის, უფრო მიძნელდება.

როცა ძალიან დავღონდები, ძველ დროს ვიხსენებ. განსაკუთრებით იმ დღეებს, როცა მიუხედავად ყველა სიძნელისა, რუმი მხარში მედგა.

– კერა ქრისტიანია. ისლამიც რომ მიიღოს, ჩვენიანი მაინც არასოდეს გახდება... გამორჩეულმა მაჰმადიანმა ღვთისმეტყველმა სხვა სარწმუნოების ქალზე არ უნდა იქორწინოს... – ასისინდა ხალხი, როცა ჩვენი მოსალოდნელი ქორწინების შესახებ ხმა გავარდა. მაგრამ რუმი მათ ყურადღებას არ აქცევდა, არც მაშინ და არც შემდგომ. ამისთვის ყოველთვის მისი მადლიერი ვიქნები.

ანატოლია სარწმუნოებების, ერების, კერძების აღრევის ადგილია. თუკი ერთ საჭმელს ვჭამთ, ერთსა და იმავე ნაღვლიან სიმღერებს ვმღერით, ერთი და იმავე ცრურწმენების გვჯერა და ღამღამობით ერთსა და იმავე სიზმრებს ვხედავთ, რატომ ვერ უნდა ვიცხოვროთ ერთად?

არაერთხელ მინახავს, ქრისტიანი ბავშვისთვის მაჰმადიანური სახელი რომ შეურქმევიათ, მაჰმადიანი ბავშვებისთვის კი ქრისტიან დედებს ძუძუ უწოვებიათ. ეს ქვეყანა ერთ დიდ მდინარეს ჰგავს, წყალი კი, ხომ იცით, არაფერს აჩერებს ერთ ადგილას და ყველაფერს ერთმანეთში ურევს. ასე რომ, ზღვარი ქრისტიანობასა და ისლამს შორის (თუკი ის მართლაც არსებობს) გაცილებით უფრო ადვილად გადასალახია, ვიდრე ორივე სარწმუნოების ღვთისმეტყველებს ჰგონიათ.

რადგან სახელოვანი სწავლულის ცოლი ვარ, ხალხს მიაჩნია, რომ მათზე მაღალი წარმოდგენა უნდა მქონდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. სწავლულებმა უდავოდ ბევრი იციან, მაგრამ როცა საქმე რწმენას ეხება, არა მგონია, ბევრი ცოდნა სასარგებლო იყოს. ისე მაღალფარდოვნად ლაპარაკობენ, ზოგჯერ ვერც კი გაუგებ.

მაჰმადიანი ღვთისმეტყველები ქრისტიანებს სამების აღიარების გამო საყვედურობენ, ქრისტიანები კი მაჰმადიანებს ამუნათებენ, ყურანის იქით ვერაფერს ხედავთო. მათი

მოსმენისას უნებურად იფიქრებ, რომ ეს ორი სარწმუნოება ძალიან დაშორებულია ერთმანეთს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ კარგად ჩაუღრმავდები, რიგით ქრისტიანსა და რიგით მუსლიმს მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ორივე მხარის ღვთისმეტყველთ.

ამბობენ, ქრისტიანად მოქცეული მაჰმადიანისათვის ყველაზე ძნელი სამების აღიარებაა, მაჰმადის სჯულზე მოქცეული ქრისტიანისთვის კი სამების უარყოფაო. აკი ყურანში თვით იესო ამბობს, უფლის მსახური ვარ, მან გადმომცა წიგნი და მაქცია მოციქულად თვისადო.

რჯულის შეცვლის შემდეგ ისე არაფერი გამძნელებია, როგორც მარიამთან განშორება (თვით ის აზრიც კი არ მეუცხოვა და არ მეხამუშა, რომ იესო უფლის მსახურია და არა ძე). მე ეს არავისთვის მითქვამს, თვით რუმისთვისაც კი, მაგრამ ზოგჯერ დედა მარიამის კეთილი, თაფლისფერი თვალების ნახვა მენატრება. ყოველთვის მამშვიდებდა მისი მზერა...

მართალი გითხრათ, რაც შამს თებრიზი ჩვენთან დასახლდა, ისეთი დაზაფრული და თავგზააბნეული ვარ, რომ მარიამისკენ კიდევ უფრო გამიწია გულმა. სისხლი მიდუღს, ვერა და ვერ ვთოკავ ლოცვის წყურვილს. ასეთ წუთებში თავს დამნაშავედ ვგრძნობ ხოლმე, თითქოს ჩემს ახალ მრწამსს ვღალატობ.

ეს ამბავი არავინ იცის, მეზობლის ქალმა საფიამაც კი, რომელიც სხვა მხრივ ჩემი მესაიდუმლეა. თუმცა, რომ ვუთხრა, მაინც ვერ გაიგებს.

ნეტავ შემეძლოს ქმარს გავენდო, მაგრამ რა ვქნა? ისედაც აღარ მიკარებს და მეშინია, სამუდამოდ არ დავკარგო. რუმი ყველაფერი იყო ჩემთვის. ახლა კი უცხოა. ვერც კი წარმოვიდგენდი ოდესმე, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო: კაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდე, ერთ საწოლში იწვე და მაინც გრძნობდე, რომ ის შენთან არ არის.

შამს თებრიზი

1245 წლის 12 ივნისი, კონია

ბრმადმორწმუნევ! ყოველ რამადანს უფლის სახელით მარხულობ და ყოველ აიდს ცოდვების მოსანანიებლად უფალს ცხვარს ან თხას სწირავ, შენი დღე და მოსწრება მექას მიილტვი და ხუთჯერ დღეში ემხობი სალოცავ ხალიჩაზე, მაგრამ თუ შენს გულში სიყვარულისათვის ადგილი არ დარჩენილა, რაღა გრჯის მაშინ?!

სიტყვა „რწმენა“, თუ მას სარჩულად სიყვარული არ უდევს, ერთი რიგითი, დუნე, უსიცოცხლო და ფუყე სიტყვაა, რომელიც გულიდან არ მოდის.

ამათ ხომ არ ჰგონიათ, რომ ღმერთი მედინაში, მექაში ან რომელიმე ადგილობრივ მეჩეთში ცხოვრობს? ის ხომ გარკვევით გვეუბნება: „ჩემი სავანე არც ზეცაა მხოლოდ და არც დედამიწა, ჩემი ერთგული მსახურის რწმენით სავსე გულია სავანე ჩემი!..“

ვაი, იმ უგუნურს, ვინც ფიქრობს, რომ მოკვდავის გონება ყოვლისშემძლე უფალს იტევს.

ვაი, იმ უგნურს, ვინც ფიქრობს, რომ ღმერთთან გარიგებას მოახერხებს. ამათ ღმერთი დახლიდარი ხომ არ ჰგონიათ, რომელიც ჩვენს სიქველეს, ან სიავეს სასწორზე წონის? ამათ ღმერთი წვრილი მოხელე ხომ არ ჰგონიათ, რომელიც დავთარში დაწვრილებით

იწერს ჩვენს ცოდვებს, რომ ეს ვალი მერე გადავუხადოთ? ასე ესმით მათ ერთიანობის ცნება?!

არა, არც მედუქნეა უფალი ჩემი და არც მედავთრე. დიდებულია უფალი ჩემი! იგი ცოცხალი უფალია! რად მინდა მკვდარი ღმერთი? დიახ, ცოცხალია იგი. სახელი მისი არის ალჰაი, ანუ მარად ცოცხალი. რად მინდა დაუსრულებელი შიში და შფოთვა, ათასნაირი ტაბუთი ხელფეხშებორკილს? ულევია მისი თანალმობა. სახელი მისი არის ალვადუდი, ანუ ღირსად საქები.

ქებას ვუძღვნი მას. ქებას ვუძღვნი სიტყვითაც და საქმითაც. ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ვაკეთებ ამას, როგორც ვსუნთქავ. სახელი მისი არის ალჰამიდი... რისთვისღა უნდა ვავრცელო ჭორი და ცილისწამება, თუკი ვიცი, რომ მას ყველაფერი ესმის და ყველაფერს ხედავს? სახელი მისი არის ალბაიოსრი... იგავმიუწვდომელია მშვენიერება მისი.

მისი სახელებია ალჯამალი, ალქაიუმი, ალრაჰმანი, ალრაჰიმი...

შიმშილისა თუ წყალდიდობის დროს, მშიერი თუ მწყურვალი, დაუსრულებლად ვიმღერებ და ვიცეკვებ მისთვის, სანამ მუხლი არ მომეკვეთება და გული ძგერას არ შეწყვეტს. ნაფლეთებად ვაქცევ ჩემს „მეს," სანამ საბოლოოდ არ შევერწყმები არარას. სრულ სიცარიელეში მოხეტიალე ყარიბად ვიქცევი, მისი დიადი ნაგებობის ნამუსრევი და მტვერთა მტვერი; მადლიერებით, სიხარულით, დაუცხრომლად ვაქებ და ვადიდებ დიდებულებას და დიდსულოვნებას მისას. მადლს მივაგებ ყველაფრისათვის, რაც მომცა და რაზეც უარი მითხრა, რადგან მხოლოდ მან იცის, რა არის ჩემთვის უმჯობესი.

ერთ-ერთი ჩემი წესი მაგონდება და ამ სიტყვების წარმოთქმისას გულში სიხარული და იმედის ტალღა ზვავდება:

„ღვთის შექმნილ არსთა შორის ადამიანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აკი ამბობს უფალი: „მე მას ჩავბერე სული ჩემი". თითოეული ჩვენგანი ამ ქვეყნად ღვთის წარმოგზავნილია. ჰკითხე შენს თავს, ხშირად იქცევი, როგორც ღვთის წარგზავნილი? თუკი საერთოდ იქცევი ასე ოდესმე. გახსოვდეს, თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ არსებაში უნდა აღმოაჩინოს ღვთიური სული და მისი კარნახით იცხოვროს..."

იმის მაგივრად, რომ ღვთის სიყვარულში მთლიანად დაინთქან და საკუთარ თავკერძობას ომი გამოუცხადონ, ბრმადმორწმუნენი სხვა ხალხებს ებრძვიან და ჩვენ ირგვლივ შიშის ზვირთებს აგორებენ, ხოლო როცა სამყაროს შეშინებული თვალებით უმზერ, ყოველთვის დაინახავ ისეთ რამეს, რაც შიშს მოგგვრის.

მიწისძვრას, გვალვას ან სხვა უბედურებას ღვთის რისხვის ნიშნად მიიჩნევენ, თითქოს ღმერთი არ ამბობდეს, ჩემი თანალმობა ჩემს რისხვაზე ძლიერიაო... ამა თუ იმ მიზეზით მუდამ ვიღაცაზე გაბუტულები ყოვლისშემძლისაგან ელიან, რომ ჩაერიოს მათ უბადრუკ ცხოვრებაში და მათ მაგივრად იძიოს შური. მათი ცხოვრება არის დაუსრულებელი ღვარძლი, მტრობა და უკმაყოფილება, შავი ღრუბელივით მუდამ თან რომ სდევთ, წარსულსაც რომ უჩრდილავთ და მომავალსაც...

რწმენას აქვს ერთი თვისება: ცალკეულ ხეებს ხედავ და არა მთელ ტყეს. რელიგია გაცილებით დიდი და ტევადია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა.

ცალკეული წესები მთლიანის გათვალისწინებით უნდა წაიკითხოთ, მთლიანი კი არსში იმალება. იმის მაგივრად, რომ ყურანის არსი იკვლიონ და იგი ერთ მთლიანობად აღიქვან, ამოიჩემებენ ხოლმე თითოოროლა სურას, იმის მიხედვით, თუ როგორ ეპასუხება ღვთის მიერ გაცხადებული ესა თუ ის სიტყვა მათ დამფრთხალ გონებას. სულ იმას გვიჩიჩინებენ, რომ განკითხვის დღეს კაცთა მოდგმას უთუოდ მოუწევს სირათის ხიდზე გადასვლა, რომელიც ბეწვივით წვრილია და სამართებელივით ბასრი. ცოდვილთ, რომლებიც ამ ხიდს ვერ გადაივლიან, ხიდქვეშ მოგიზგიზე ჯოჯოხეთის ცეცხლი შთანთქავს, სადაც სამუდამო სატანჯველი ელით, მართალნი კი გაღმა გააღწევენ, სადაც მათ უცხო ხილით, შარბათითა და ქალწულებით გაუმასპინძლდებიან. ეს არის, ორიოდე სიტყვით, მათი მოსაზრება საიქიოს შესახებ.

ბრმადმორწმუნეთა გონება ისეა შეპყრობილი იმქვეყნიური სასჯელისა თუ ჯილდოს, ჯოჯოხეთური კოცონებისა თუ საუცხოო წალკოტების, ანგელოზებისა თუ დემონების მოლოდინით, ისინი იმდენს ფიქრობენ თავიანთი სააქაო ცხოვრების ტოლფას საიქიოზე, რომ ღმერთი ავიწყდებათ!

დაუკვირდით ამ სიტყვებს:

„ჯოჯოხეთი აქვე, ახლოს არის. იგივე ითქმის ზეციურ სავანეზეც. ნუ გეშინია ჯოჯოხეთის, ნურც სამოთხეზე ოცნებობ, რადგან ორივე ისევ და ისევ შენშია და არა სადმე სხვაგან. როცა გვიყვარს, ზეცად სწორედ მაშინ ვმაღლდებით. გეენაში კი მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილი გვაგდებს“. ესე არს წესი ოცდამეხუთე.

განა ჯოჯოხეთურ სატანჯველზე ბევრად უარესი არ არის განცდა კაცისა, რომელმაც გულის სიღრმეში კარგად იცის, რომ სასტიკად შესცოდა? ჰკითხეთ ასეთ კაცს. ის გეტყვით, რა არის ჯოჯოხეთი.

განა სამოთხის განცხრომაზე უტკბესი არ არის განცდა კაცისა იმ იშვიათ წუთებში, როცა სამყარო ანაზდად თვალწინ გადაუშლის თავის დახშულ საგანძურს და მარადისობის ყველა საიდუმლოს ნაზიარებ, ღმერთთან საბოლოოდ შერწყმულ ადამიანად აგრძნობინებს თავს? ჰკითხეთ ამ ადამიანს. ის გეტყვით, რა არის სამოთხე.

რას გვარგებს სავარაუდო შედეგების შიში და წარმოსახვითი მომავლის გამო შფოთვა, როცა მთელი სიცხადით მხოლოდ ახლა, ამწუთას განვიცდით ჩვენში ღვთის არსებობას თუ არარსებობას? სუფიებს არც ჯოჯოხეთური სასჯელის შიში ამოძრავებთ და არც ზეციური ჯილდოებისაკენ ილტვიან. მათ ღმერთი უყვართ, უბრალოდ, უყვართ.

დიახ, უყვართ იგი უზადო და უბრალო, უხრწნელი და მოუსყიდველი...

სიყვარული არის მიზეზი. სიყვარული არის მიზანი და როცა ღმერთი ასე გიყვარს, როცა სათითაოდ ყველა მის ქმნილებას სიყვარულს უცხადებ, თავისთავად გშორდება ყველაფერი, რაც ზედმეტია და იმ წუთიდან შენი „მე“ უკვე აღარ არსებობს. შენ უტოლდები ნულს, რომელიც მთელ შენს არსებას ფარავს.

ამასწინათ მე და რუმი სწორედ ამ საკითხებზე ვმსჯელობდით. მან უცებ თვალები დახუჭა და შემდეგი სტრიქონები წარმოთქვა:

„არც ქრისტიანი, არც იუდეველი, არც მუსლიმი, არც ჰინდუისტი, არც ბუდისტი და არც სუფი. არც ერთ სარწმუნოებას არ ვეკუთვნი, არც ერთ კულტურას, არც აღმოსავლეთს და არც დასავლეთს. ადგილი ჩემი არის უადგილო. კვალი ჩემი არის უკვალო“.

რუმი თავს პოეტად არ მიიჩნევს. მაგრამ მასში პოეტი ცოცხლობს. თანაც საარაკო პოეტი! ის სწორედ ახლა გამოდის სამზეოზე.

ჰო, რუმი მართალია. ის არც აღმოსავლეთს ეკუთვნის და არც დასავლეთს. ის ეკუთვნის სიყვარულის საუფლოს. ეკუთვნის მას, ვინც უყვარს.

ელა

2008 წლის 12 ივნისი, ნორთჰემპტონი

ბოლო გვერდები იმ დღეს წაიკითხა და რომანის შესახებ ანგარიშიც დაამთავრა. მაშ, ასე, „საამო მკრეხელობაზე“ მუშაობა დასრულებული იყო.

ელას ძალიან უნდოდა, რომანის შესახებ თავისი მოსაზრებები აზიზისთვის გაეზიარებინა, მაგრამ პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობამ სძლია. მისი აზრით, ეს არ უნდა გაეკეთებინა, სანამ დავალებას ბოლომდე არ მიიყვანდა. მას ისიც კი არ გაუმხელია აზიზისთვის, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ რუმის ლექსების კრებული იყიდა და ძილის წინ კითხულობდა.

მართალია, ელამ მკაცრი მიჯნა გაავლო რომანზე მუშაობასა და აზიზთან მიმოწერას შორის, მაგრამ თორმეტ ივნისს რაღაც ისეთი მოხდა, რომ ეს მიჯნა ერთხელ და სამუდამოდ წაიშალა.

მანამდე ელას აზიზის სურათი არასოდეს ენახა; იგი ვებგვერდზე თავის ფოტოებს არასოდეს აქვეყნებდა, ამიტომ ელას მის გარეგნობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. თავიდან სიამოვნებდა კიდეც „უსახო“ კაცთან მიმოწერა, მაგრამ დროთა განმავლობაში ცნობისმოყვარეობამ სძლია და გაუჩნდა სურვილი, რომ მის გზავნილებს გამოსახულებაც მოჰყოლოდა. თვითონ აზიზს არასოდეს უთხოვია მისთვის ეს, რაც ელას ძალიან უცნაურად ეჩვენებოდა.

ამიტომ არც აცია, არც აცხელა და თავისი ფოტო გაუგზავნა.

ამ სურათზე ღია ცისფერ კაბაში გამოწყობილი ელა სახლის აივანზე იდგა, თავის საყვარელ სპირიტთან ერთად. კაბა ოდნავ უსვამდა ხაზს მისი სხეულის ფორმებს. ერთი შეხედვით ბედნიერად იღიმებოდა, მაგრამ ჩანდა, რაღაც აწუხებდა. თითებით ჩაჰფრენოდა ძაღლის საყელურს, თითქოს სურდა, ცხოველს მისთვის გადმოეცა ის ძალა, რომელიც თვითონ აკლდა. ნაკუწებისაგან შეკერილი საბანივით აჭრელებული, მოიისფრო ნაცრისფერი ცა დაჰყურებდა ორივეს...

ელას მაინცდამაინც არ მოსწონდა ეს ფოტო, მაგრამ მასში თითქოს სულიერება იგრძნობოდა, მეტიც, რაღაც არაამქვეყნიურობის ელფერიც კი დაჰკრავდა. ან იქნებ ელას ეჩვენებოდა ასე...

მან სურათი თავის მორიგ წერილთან ერთად გაგზავნა და პასუხს დაელოდა. ამ ჟესტით ყველაფერი ნათქვამი იყო: ადრესატს საპასუხოდ თავისი სურათი უნდა გამოეგზავნა.

ასეც მოხდა. ეკრანზე აზიზის ფოტო გამოჩნდა. ელას ვარაუდით, იგი სადღაც, შორეულ აღმოსავლეთში უნდა ყოფილიყო გადაღებული, თუმცა თვითონ იქ არასოდეს ყოფილა და არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდნენ იქაურები. აზიზს თორმეტიოდე სხვადასხვა ასაკის შავტუხა ბავშვი ეხვია გარშემო. შავი პერანგი და შავი შარვალი ეცვა, ხმელ-ხმელი კაცი იყო, წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, მაღალი ყვრიმალები, გრძელი, მუქი, დატალღული თმა მხრებამდე სწვდებოდა. თვალები ზურმუხტებს მიუგავდა. ეს მოელვარე თვალები ენერგიით იყო სავსე, მაგრამ რაღაც სხვაც იგრძნობოდა მათში. ალბათ, თანაგრძნობა... ყოველ შემთხვევაში, ელას ასე მოეჩვენა.

აზიზის პორტრეტს ცალი საყურე და საკმაოდ უჩვეულო და გაურკვეველი ფორმის მედალიონი ასრულებდა. უკანა პლანზე აბიბინებული ბალახით მოარშიებული, ვერცხლისფერი ტბა ლივლივებდა. კუთხეში კი ვიღაცის ჩრდილი ილანდებოდა, ვისი გამოსახულებაც კადრში არ ჩანდა.

ელა კარგად დააკვირდა ფოტოზე აღბეჭდილ მამაკაცს. ყველა ნაკვთი გულდასმით დაუთვალიერა და მისდა გასაოცრად, ეცნო იგი. რაოდენ დაუჯერებელიც უნდა ყოფილიყო, მას შეეძლო დაეფიცა, რომ ეს კაცი ადრე სადღაც ენახა.

...და უცებ გონება გაუნათდა:

შამს თებრიზი ჰგავდა აზიზ ზ. ზაჰარას. უფრო სწორად, თვით აზიზი ზედმიწევნით ჰგავდა თავის აღწერილ შამსს, სანამ იგი რუმის შესახვედრად კონიაში გაემგზავრებოდა.

„საინტერესოა, გამიზნულად მიამსგავსა თავისი გმირი საკუთარ თავს, თუ არა? იქნებ, როგორც მწერალს, სურდა, ხატად თვისად შეექმნა თავისი მთავარი გმირი, როგორც ღმერთმა შექმნა ადამიანი ხატად თვისად?.“ ფიქრობდა ელა.

უცებ კიდევ ერთმა აზრმა გაუელვა:

„იქნებ რეალური შამს თებრიზი ზუსტად ასე გამოიყურებოდა, როგორც წიგნშია აღწერილი და თითქმის რვა საუკუნით დაშორებული ეს ორი კაცი, უბრალოდ, საოცარი დამთხვევის ძალით ჰგავს ერთმანეთს? არც ის არის გამორიცხული, რომ აზიზი ამ მსგავსებას თავად ვერ ამჩნევს“.

მით უფრო უძლიერდებოდა ელას ეჭვი, რომ ეს უბრალო ლიტერატურული ხრიკი არ იყო და შამს თებრიზსა და აზიზ ზ. ზაჰარას რაღაც სხვა აკავშირებდათ.

ამ აღმოჩენამ ელაზე ისე იმოქმედა, რომ გადაწყვიტა რომანი ხელახლა, ოღონდ ამჯერად სხვა თვალით გადაეკითხა. ამ შემთხვევაში ფაბულა მეორეხარისხოვანი იყო. მას თავის პერსონაჟში ჩამალული ავტორი უნდა ეპოვა. შამს თებრიზში უნდა ეპოვა აზიზ ზაჰარა.

ამ წუთიდან ელა კიდევ უფრო დაინტერესდა აზიზის პიროვნებით. ვინ იყო ეს კაცი? რა გამოიარა მან? წინა წერილებში ახსენა, შოტლანდიელი ვარო, მაგრამ ეს აღმოსავლური სახელი რატომღა ერქვა? ნამდვილი სახელი იყო ეს თუ სუფიური? და ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს, იყო სუფი?

ამ ფიქრებთან ერთად ელას არსებაში სხვა რამეც ამოძრავდა: ვნების პირველი, თითქმის უმნიშვნელო, ძლივსშესამჩნევი ნიშნები. იმდენი ხანი იყო, ეს გრძნობა არ განეცადა, რომ მის გასაცნობიერებლად რამდენიმე წამი დასჭირდა.

კარგად დაფიქრდა... ჰო, ეგ იყო. საკმაოდ მძაფრი და ძნელად მოსარევი... ეჭვს აღარ იწვევდა ის ფაქტი, რომ მას ფოტოზე აღბეჭდილი მამაკაცის ალერსი სწყუროდა.

ეს გრძნობა ისე მოულოდნელად დააცხრა ელას, რომ ლეპტოპი სასწრაფოდ გამორთო, თითქოს ეშინოდა, რომ აზიზი ხელს სტაცებდა და ეკრანში შეათრევდა.

ბაიბარსი, მეომარი

1245 წლის 10 ივლისი, კონია

ბაიბარს, შვილო, არავის ენდო, იცოდე, ხომ ხედავ, დღითი დღე ირყვნება ეს ქვეყანა! მეჩიჩინება ხოლმე ბიძაჩემი.

საერთოდ, მაგას რომ ჰკითხოთ, წესრიგი მხოლოდ მაშინ იყო, როცა ოქროს ხანა გვედგა და თვით მუჰამედ წინასწარმეტყველი (მშვიდობა მისდა!) გვპატრონობდა, მისი სიკვდილის შემდეგ კი ყველაფერი უკუღმა წავიდა...

მაგრამ მე თუ მკითხავთ, იმ ადგილს, სადაც ორი კაცი იყრის თავს, ბრძოლის ველად გადაქცევა არ ასცდება. განა წინასწარმეტყველის დროსაც საკმაოდ არ იყო მტრობა და შუღლი? ეს ცხოვრება ომია, ომი! ლომი ირემს რომ შესანსლავს, ნარჩენებს სვავები მოუთავებენ ხოლმე ხელს. ბუნება ავია.

უკლებლივ ყველა სულიერისათვის, დედამიწაზე იქნება ის, ზღვაში თუ ჰაერში, გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს: ეშმაკობით უნდა აჯობოს თავის მტერს. ცოცხალი რომ დარჩე, უნდა იბრძოლო. ეს მარტივი ამბავია... ჰოდა, ვიბრძოლებთ კიდეც. ყველაზე გულუბრყვილოებიც კი ხვდებიან, რომ ჩვენს დროში სხვანაირად არ შეიძლება.

ჩვენი საქმე ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ წავიდა ცუდად, როცა ჩინგიზ ყაენის მიერ სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის წარგზავნილი ასი მონღოლი ერთიანად დახოცეს. ჩინგიზმა სულ ცეცხლი ყარა და ისლამს ომი გამოუცხადა.

როგორ და რატომ დახოცეს ის წარგზავნილები, ვერავინ იტყვის. ზოგი იმასაც კი ეჭვობს, რომ ყაენმა თვითონ გაჟლიტა თავისი ხალხი, რომ შემდეგ აი, ამ დიდი ლაშქრობის მოწყობის საბაბი ჰქონოდა. შეიძლება მართალიც იყოს, რას გაიგებ, ქვეყანა კი აიკლეს და...

ხორასნის მხარე ხომ ერთიანად მოაოხრეს. სადაც გადაითარეშეს, ყველაფერი იავარყვეს და ყველგან სიკვდილი დათესეს. ორი წლის წინ ქოშედაღში სელჯუკთა სპა დაამარცხეს და იქაურ სულთანს ხარკი დააკისრეს. ერთიანად რომ არ ამოგვჟუჟეს, ისევ იმიტომ, რომ თვითონვე ურჩევნიათ, უღელქვეშ ვყავდეთ.

ომები დედამიწაზე უხსოვარი დროიდან ხდება (კაენმა რომ აბელი მოკლა, იმ წუთიდან მაინც!), მაგრამ მონღოლების მსგავსი არავის არაფერი უნახავს. მერედა რა გაწვრთნილები არიან! ხომ არ გგონიათ, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით უჭრით ძალა? რა იარაღს აღარ იყენებენ; თან ყველა მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. თითოეული მონღოლი ჯარისკაცი კბილებამდეა შეიარაღებული კვერთხით, ცულით და ხელშუბით. ახლა ისრებს არ იკითხავთ? ბეგთარშიც კი აღწევს მათი ისარი, მთელი სოფლების გადაბუგვაც შეუძლია და მსხვერპლის მოშხამვაც, ადამიანის ყველაზე მკვრივ

ძვალში ისე ატანს, ვითომ არაფერი! რაღაც სტვენია ისრებიც აქვთ და ამ ისრებით ერთმანეთს საიდუმლო ნიშნებს აწვდიან. მიწასთან ასწორებენ ყველაფერს, რაც გზად შეხვდებათ, დიდსა და პატარა ქალაქებსა და სოფლებს. ბუხარა რომ ბუხარაა, ეს უძველესი ქალაქიც კი ნანგრევებად აქციეს.

ერთი სიტყვით, ქვა ქვაზე აღარ დარჩა და ეგ არის...

მხოლოდ მონღოლები როდი გვიჭირვებენ ცხოვრებას. იერუსალიმიც გამოსახსნელი გვაქვს ჯვაროსანთა ხელიდან. აქეთ ბიზანტიელები არ გვასვენებენ; შიიტებსა და სუნიტებს შორის გაუთავებელ კინკლაობაზე ხომ აღარაფერს ვამბობ. რა დროს მშვიდობისმოყვარეობაა, როცა ყოველი მხრიდან მტერი გესევა?!

ამიტომ მაღიზიანებენ რუმისნაირი კაცები. თუნდ მთელმა ქვეყანამ აქოს და ადიდოს. მე თუ მკითხავთ, ერთი მშიშარა ვინმეა და სხვებსაც მხოლოდ სიმხდალეს ჩააგონებს. ოდესღაც შეიძლება კარგი სწავლული იყო, მაგრამ დღეს იმ ურჯულო შამსის აშკარა ზეგავლენის ქვეშ არის.

აბა, დაუკვირდით, რას გვიქადაგებს იმ დროს, როცა ისლამის მტრები შავი ღრუბელივით მოიწევენ ჩვენზე?!

სიმშვიდეს! უმოქმედობას! თვინიერებას!

„ძმაო, გაუძელი ტკივილს, აირიდე მაცდური მისწრაფებების შხამი და სამსალა. თუ ეს შეძელი, ზეცა ქედს მოიხრის შენი სულიერი მშვენიერების წინაშე. ეკალი ვარდად გექცევა, უმნიშვნელო წვრილმანი კი საყოველთაო მნიშვნელობას შეიძენს!“

დიახ, რუმი მორჩილებას ქადაგებს. სამაჰმადიანოს მოუწოდებს, სუსტი და თვინიერი ცხვრების ფარად გადაიქცეს. მას რომ ჰკითხო, ყველა წინასწარმეტყველს გამოუჩნდება მიმდევრები, ეს მიმდევრები ერთობას შექმნიან, თითოეულ ასეთ ერთობას კი თავისი დრო დაუდგებაო.

ამოუჩემებია სიტყვა „სიყვარული“; სხვაც ბლომად აქვს საყვარელი სიტყვები:

მოთმინება, სულიერი წონასწორობა, შემწყნარებლობა...

მაგას რომ უსმინო, ყველანი სახლებში უნდა ვისხდეთ და ველოდოთ, როდის გამოგვჭრის გადამთიელი ყელს ან როდის დაგვექცევა თავზე ეს ქვეყანა. მერე კი, დარწმუნებული ვარ, ნანგრევებზე გადაივლის, ერთს გადახედავს იქაურობას და ამ იავარქმნას ბარაქას დაარქმევს.

კარგად ვიცნობ ხალხს, რომელსაც თავისი ყურით გაუგია მისი ნათქვამი: „როცა სკოლები, მეჩეთები და მინარეთები დაინგრევა, მათ ადგილას დავრიშთა თემები აღმოცენდებაო“. აბა, ეს რა ლაპარაკია?!

ერთიც ვიკითხოთ, რამ მოიყვანა ეს კაცი ჩვენს მხარეში? წლების წინ მთელი მისი ოჯახი ავღანეთიდან გამოიქცა და თავი ანატოლიას შეაფარა. ეს ის დრო იყო, როცა სელჯუკთა სულთანმა გავლენიან, შეძლებულ ოჯახებს ფართოდგაუღო ჩვენი ქვეყნის კარი. მათ შორის იყო რუმის მამაც.

აი, ასე შეგვეხიზნენ, ბატონო, ავღანეთის საგიჟეთი კონიის ედემზე გაცვალეს. განსაკუთრებული უფლებებითაც სარგებლობდნენ და ყურადღებითა და სიყვარულით

იყვნენ განებივრებულნი. შემწყნარებლობას იქადაგებ, აბა რას იზამ, როცა ასეთი ცხოვრება გამოიარე!

ამას წინათ მაცნობეს, თურმე შამს თებრიზს ხალხისათვის ბაზარში ასეთი რამ უამბნია: „მუჰამად წინასწარმეტყველის მონაცვლე და მეგობარი ალი ურჯულოებს შებმოდა ბრძოლის ველზე. ის იყო, მეტოქისთვის გულში მახვილი უნდა ეძგერებინა, რომ უეცრად ურჯულომ თავი ასწია და შეაფურთხა. ალიმ მახვილი დააგდო, ერთი ამოიგმინა და იქაურობას გაეცალა. გაშრა თურმე ურჯულო. გამოუდგა ალის და ჰკითხა, რატომ გამიშვიო.

– იმიტომ, რომ ძალიან გაბრაზებული ვარ შენზე, – უთქვამს ალის.

– მაშ, რატომღა არ მომკალი? – უკითხავს ურჯულოს.

– როცა სახეში შემაფურთხე, ძალიან გავბრაზდი. შენ ამით ჩემს თავმოყვარეობას შეეხე და შურისძიების წყურვილით აანთე. ახლა რომ მოგკლა, ჩემი თავმოყვარეობის ყურმოჭრილი მონა ვიქნები, ეს კი უდიდესი შეცდომა იქნება, – უთქვამს ალის და მტერი უვნებლად გაუშვია.

ურჯულო ისე შეუძრავს ამ ამბავს, რომ ალის მეგობარი და მიმდევარი გამხდარა და თავისი ნებით მაჰმადიანობაც კი მიუღია“.

აი, ასეთი ამბების მოყოლა უყვარს შამსს.

როგორ ფიქრობთ, რისი თქმა უნდოდა ამით? ურჯულოებს სახეში ვაფურთხებინოთ, ხომ? ცოცხალი თავით არ დავთმობ, არა! მეომარ ბაიბარსს სახეში ვერავინ შეაფურთხებს, ურჯულო იქნება თუ რჯულიანი...

<u>ელა</u>

<u>2008 წლის 13 ივნისი, ნორთჰემპტონი</u>

„საყვარელო აზიზ!

შეიძლება გიჟად ჩამთვალოთ, მაგრამ რაღაც უნდა გკითხოთ აზიზი იგივე შამსია, თუ პირიქით შამსია აზიზი?

გულწრფელად თქვენი, ელა...“

„ძვირფასო ელა!

შამსი იყო კაცი, რომელმაც თავის თავზე აიღო რუმის პიროვნების გარდაქმნა და ფერისცვალება: მან ადგილობრივი მნიშვნელობის სასულიერო პირი მსოფლიოში ცნობილ მისტიკოს პოეტად აქცია.

ოსტატ სამიდს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის:

– თუნდაც გამოჩნდეს ოდესმე შამსის მსგავსი კაცი, არის კი სადმე მისი დამნახავი რუმი?

სიყვარულით, აზიზი“.

„ძვირფასო აზიზ!

ვინ არის ოსტატი სამიდი?

სიყვარულით, ელა“.

„საყვარელო ელა!
ეს გრძელი ისტორიაა. მართლა გაინტერესებთ?
სიყვარულით, აზიზი“.
„ძვირფასო აზიზ!
მე უამრავი დრო მაქვს...
სიყვარულით, ელა“.

რუმი

1245 წლის 2 აგვისტო, კონია

ბარაქიანად დაგაბერტყა ბედმა ყველა სიკეთე. არაფერი გაკლია თითქოს. ყოველ შემთხვევაში, ასე გგონია, სანამ მოვა ის ერთი ვინმე და მიგახვედრებს, რა გაკლდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. როგორც სარკე ნაკლს უფრო ირეკლავს, ვიდრე ღირსებას, ასეა ის ვინმეც საკუთარ სულში ჩაგახედებს და დაგანახვებს, რომ ის გაუდაბურებულია, შენ კი ამის აღიარება აქამდე არა და არ გსურდა. ეს ვინმე შეიძლება საყვარელი მეგობარი იყოს შენი ან სულიერი მოძღვარი, ზოგჯერ კი სულაც ბავშვი, რომელსაც პატრონობ და უვლი. მთავარი ის არის, რომ როგორმე პოვო სული, რომელიც შენსას შეავსებს. ყველა
წინასწარმეტყველი გვირჩევდა: „პოვე ვინმე, ვინც შენი სარკე იქნება!“
ჩემთვის ეს სარკე შამს თებრიზია.
სანამ ეს კაცი არ მოვიდა და ჩემი სულის ყველა კუნჭულში არ ჩამახედა, სინამდვილეს თვალს ვერ ვუსწორებდი: არ მსურდა იმის დანახვა, რომ წარმატებულობისა და კეთილდღეობის მიუხედავად, მარტოსული, შინაგანად დაუკმაყოფილებელი და გულნაკლული ვიყავი.
ეს იმას ჰგავს, წლობით რომ ლექსიკონს ადგენ და შენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ყველა მოვლენასა და ცნებას (როგორებიცაა, ვთქვათ, „ჭეშმარიტება“, „ბედნიერება“, „სილამაზე“) შენებურად განსაზღვრავ.
ცხოვრების ყველაზე გადამწყვეტ წუთებში მიმართავ ამ ლექსიკონს და ერთი წუთითაც საეჭვო არ გეჩვენება მასში თავმოყრილი სიტყვიერი ავლადიდება. უცებ მოდის ეს ვინმე, ხელს სტაცებს შენს ნამუშევარს, გადაგიგდებს და გეუბნება: „ყველა ამ განსაზღვრებას გადახედვა სჭირდება. ყველაფერს სახელი უნდა გადაარქვა. დროა, დაივიწყო ის, რაც გისწავლია და იცი“. შენ კი, შენივე გონებისათვის ყოვლად გაუგებარი, მაგრამ სამაგიეროდ, გულისათვის სრულიად ხილული მიზეზით, წინააღმდეგობას არ უწევ, არ ურისხდები და არ ეუხეშები, პირიქით სიხარულით ემორჩილები.
აი, ეს გააკეთა შამსმა ჩემთვის. ჩვენმა მეგობრობამ ბევრი რამ მასწავლა. მეტიც მან მასწავლა ყველაფრის დავიწყება, რაც აქამდე ვიცოდი.
როცა ვინმე ასე გიყვარს, ძალაუნებურად სხვებისგანაც ითხოვ, გაიზიარონ შენი სიხარული და აღტყინება. მაგრამ როცა ეს არ ხდება, ჯერ გიკვირს, შემდეგ გწყინს და მიგაჩნია, რომ გიღალატეს.

როგორ უნდა დამენახვებინა ოჯახისა და მეგობრებისათვის ის, რასაც თავად ვხედავდი? როგორ აღმეწერა აღუწერელი?

შამსი ჩემთვის გულმოწყალებითა და მადლით სავსე ზღვაა, ჭეშმარიტებისა და რწმენის მზეა. მე მას სულიერების მეფეთ მეფეს ვუწოდებ. ის შადრევანია, საიდანაც სიცოცხლე მოჩქეფს, ის ცადაწვდილი კვიპაროსია, ჯადოსნური და მარადმწვანე. მასთან მეგობრობა ჰგავს ყურანის მეოთხედ წაკითხვას ანუ საკუთარ თავში მოგზაურობას, რომელიც შეიძლება მხოლოდ შინაგანად განიცადო, გარედან კი ვერასოდეს ჩასწვდე.

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა მოვლენებს მხოლოდ ყურმოკრული მითქმა-მოთქმის საფუძველზე აფასებს. ასეთებისთვის შამსი ერთი ახირებული დავრიშია, რომელიც უცნაურად იქცევა და მკრეხელურ აზრებს გამოთქვამს. მათთვის ეს არის სრულიად არაკეთილსაიმედო ადამიანი, წინასწარ რომ ვერაფერს მიუხვდები. ჩემთვის კი შამსი განსხეულებული სიყვარულია, სიყვარული, რომელიც ამოძრავებს ამ სამყაროს. იგი ხან უკან იხევს, თვალს ეფარება და მისხალ-მისხალ აკოწიწებს და ადუღაბებს ყველაფერს, ხან კი უეცრად ფეთქდება და მირიად ნაწილაკად იფანტება შენ წინ. მსგავსი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება. ოცდათვრამეტ წელიწადში ერთხელ.

იმ დღიდან, რაც ჩვენს ცხოვრებაში შამსმა შემოაბიჯა, ხალხი განუწყვეტლივ მეკითხება, მაინც რას ხედავ მასში ასეთ განსაკუთრებულსო. მე მათ ვერაფერს ვპასუხობ. ვინც ამ კითხვას სვამს, ის ხომ მაინც ვერაფერს გაიგებს და ვისაც ესმის, არც მეკითხება ამას.

ამ ჩემს მდგომარეობას რომ ვუფიქრდები, ერთი ამბავი მაგონდება სახელგანთქმული აბასიდი მბრძანებლის, ჰარუნ არრაშიდისა და ლეილას შესახებ.

ერთ ბედუინ პოეტს, სახელად ქაისს, უიმედოდ შეჰყვარებია ლეილა და ჭკუიდან შეშლილა. ამიტომაც უწოდებიათ მისთვის მაჯნუნი – ანუ შეშლილი კაცი. ამის გამგონე მბრძანებელი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. აინტერესებდა, ვინ იყო ეს ქალი, ამდენი უბედურება რომ გამოიწვია.

„ეს ლეილა რაღაც განსაკუთრებული არსება უნდა იყოს, სხვა ქალებზე ასჯერ აღმატებული. ვინ იცის, იქნებ სულაც რაღაც თილისმას ფლობს ეს მზეთუნახავი...“ – ფიქრობდა ჰარუნ არ რაშიდი.

აფორიაქდა მბრძანებელი. ამ ქალის ნახვის სურვილმა არ მოასვენა. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა იმდენი ქნა, რომ ბოლოს ლეილა სასახლეში მიჰგვარეს; მაგრამ როცა ქალს პირბადე ახადა, მოლოდინი გაუცრუვდა. ვერავინ იტყოდა, რომ ლეილა მახინჯი, ხეიბარი ან ხნიერი იყო, მაგრამ არც განსაკუთრებულად მიმზიდველი ეთქმოდა. მბრძანებელს ხელთ შერჩა ჩვეულებრივი ადამიანი, თავისი სისუსტეებითა და უამრავი ნაკლით. ერთი უბრალო ქალი იყო ლეილა – უთვალავი სხვა ქალის მსგავსი.

გულაცრუებულმა მოურიდებლად მიახალა:

– დავიჯერო, შენა ხარ ლეილა, მაჯნუნი რომ ჭკუიდან შეშალა? დიდი ვერაფერი ბედენა ყოფილხარ! ნეტავ რით მონუსხე ეს კაცი?

ლეილას სახეზე ღიმილი მოეფინა:

– მე კი გახლავარ ლეილა, მბრძანებელო, მაგრამ შენ არა ხარ მაჯნუნი. მაჯნუნის თვალით უნდა შემომხედო, სხვაგვარად ამ სიყვარულის საიდუმლოს გასაღებს ვერ უპოვი.

როგორ უნდა ავუხსნა იგივე საიდუმლო ჩემს ოჯახს, მეგობრებს, ან მოწაფეებს? როგორ გავაგებინო, შამს თებრიზის განსაკუთრებულობის დანახვა რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მას მაჯნუნის თვალით შეხედავ?

განა შეიძლება სიყვარულის აღქმა, თუ თავად არ გიყვარს?

სიყვარული ახსნას გაურბის. მისი განცდა შეიძლება მხოლოდ.

სიყვარული გაუგებარია და მაინც... ის ყველაფერს გასაგებს ხდის.

კიმია

1245 წლის 17 აგვისტო, კონია

ბურთივით მაქვს სული ყელში მობჯენილი. როდის მიხმობს, როდის? მაგრამ ეჰ, არა, რუმის ჩემთან მეცადინეობის დრო არა აქვს. მენატრება ჩვენი გაკვეთილები, თავს მიტოვებულად ვგრძნობ, მაგრამ მევლანაზე წყენას გულში მაინც ვერ ჩავიდებ. იქნებ იმიტომ, რომ მიყვარს და არ შემიძლია მასზე გაბრაზება. ან იქნებ იმიტომ, რომ სხვებზე უკეთ მესმის მისი. ის კი არა, როგორც ვატყობ, მეც ამიტაცა ამ გიჟურმა ორომტრიალმა, რომელსაც შამს თებრიზი ჰქვია.

რუმი ისე მიჰყვება შამსს, როგორც მზესუმზირის ყვავილი მზეს. მათი სიყვარული ისეთი აშკარა და ძლიერია, ისეთი იშვიათი რამ არის ის, რაც მათ თავს ხდება, რომ შეუძლებელია, მათ შემხედვარეს გული არ დაგწყდეს, რადგან ძალიან კარგად იცი ასეთ გრძნობას თავად ვერასოდეს ეღირსები.

ეს ვითარება ჩვენს ოჯახში ყველასთვის როდი გამოდგა ადვილად ასატანი. დავიწყოთ ალადინით.

რამდენჯერ დამიჭერია შამსისაკენ მიმართული მისი სატევარივით ბასრი მზერა; კერაც წუხს, მაგრამ არაფერს ამბობს და არც მე ვეკითხები. ყველანი დენთის კასრზე ვსხედვართ. უცნაურია, მაგრამ ამ დაძაბულობის მთავარი მიზეზი თვითონ შამს თებრიზი, ან ვერაფერს ხვდება, ან დიდად არ ენაღვლება ეს ამბავი.

თან გამწყრალი ვარ შამსზე, რუმი რომ წაგვართვა, თან მისი უკეთ გაცნობის სურვილი არ მასვენებს. ადრე თითქოს ვებრძოდი ამ წინააღმდეგობრივ გრძნობებს, მაგრამ დღეს, მგონი, საბოლოოდ გავეცი საკუთარი თავი.

გადავწყვიტე, თვითონ მემეცადინა. რომ მოსაღამოვდა, კედელზე ჩამოკიდებული ყურანი ჩამოვხსენი. მე და რუმი რომ ვმეცადინეობდით, ყოველთვის თანმიმდევრულად მივყვებოდით ყურანის სურეს, მაგრამ ახლა, როცა ჩვენი ცხოვრება თავდაყირა დადგა და მეგზურის გარეშე დავრჩი, უწესრიგოდ კითხვა დავიწყე და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავდი.

ბრმად გადავფურცლე ყურანის რომელიღაც გვერდი და თითი პირველსავე შემხვედრ სურას დავადე. ალნისა აღმოჩნდა! ყველაზე მეტად სწორედ ეს სურა მაგდებდა

საგონებელში. ვერაფერი ნუგეში იყო მისი კითხვა. იქ ქალებს ჭკუას ასწავლიან, ეს კი ჩემთვის საკმაოდ ძნელად გასაგებსა და კიდევ უფრო ძნელად მისაღებს ხდიდა ამ სურას. უკვე მერამდენედ გადავიკითხე იგი, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მივედი, რომ დახმარება მჭირდებოდა. მართალია, რუმი მეცადინეობებს აცდენდა, მაგრამ კითხვების დასმას ნამდვილად არ დამიშლის-მეთქი, გავიფიქრე, დავავლე ყურანს ხელი და რუმის ოთახისაკენ გავწიე.

რუმის ნაცვლად ოთახში შამსი დამხვდა. ფანჯარასთან იჯდა კრიალოსნით ხელში. სახეზე ჩამავალი მზის სხივები ეფერებოდა. ისეთი მოხდენილი იყო, თვალი ვერ მოვაშორე.

– უკაცრავად, მევლანას ვეძებდი. მოგვიანებით შემოვალ, – სხაპასხუპით მივაყარე და წასვლა დავაპირე.

– რატომ გარბიხარ? დარჩი, – მითხრა შამსმა, – გეტყობა, რაღაცის კითხვა გინდოდა, იქნებ მე დაგეხმარო.

რატომაც არამეთქი, გავიფიქრე და ფრთხილად დავიწყე:

– ყურანში ერთი სურაა, რომელიც ცოტა ძნელი გასაგებია ჩემთვის...

შამსი ისე აბუტბუტდა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

– ყურანი მორცხვ პატარძალს ჰგავს. ის პირბადეს მხოლოდ მაშინ აიხდის, როცა დანამდვილებით იცის, რომ მნახველი კარგი თვალით შეხედავს.

შემდეგ მხრები აიჩეჩა და მკითხა:

– მაინც რომელი სურაა?

– ალნისა. არის იქ რამდენიმე ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მამაკაცი ქალზე მაღლა დგას. ისიც კია ნათქვამი, რომ მამაკაცს შეუძლია ცოლი სცემოს...

– მართლა?– იკითხა შამსმა ისეთი გაზვიადებული ინტერესით, რომ დავეჭვდი, მასხრად ხომ არ მიგდებსმეთქი.

წამით შეყოვნდა, შემდეგ გულიანად გადაიხარხარა და ყურანის ეს ნაწყვეტი ზეპირად წარმოთქვა:

„...და კაცები დგანან ქალთა ზემოთ იმით, რითაც ალაჰმა გამოარჩია ისინი ერთმანეთისაგან, და იმით, რასაც (კაცები) ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან; პატიოსანი ქალები მორჩილნი არიან (ქმრისა) და იცავენ იმ საიდუმლოს, რაც მათ ალაჰმა ჩააბარა; ხოლო რომელთა პატიოსნების გამო შიშობთ, შეაგონეთ მათ, სარეცელი გაუცალკევეთ და სცემეთ (კიდეც), მაგრამ თუ დაგემორჩილებიან, ნუღარ გამოედევნებით მათ შემაწუხებელ გზას. ალაჰი მაღალია, დიდებული“.

როცა დაამთავრა, შამსმა თვალები დახუჭა და იგივე სურა ამჯერად სხვაგვარად წარმოთქვა: „მამაკაცი ქალის საყრდენია, რამეთუ ღმერთი მავანთ სხვებზე მეტ შესაძლებლობასა და სახსრებს მიუბოძებს და რამეთუ მამაკაცი იხარჯება ქალისთვის. სათნოებით გამორჩეული ქალი ღვთის მორჩილია და ღვთისგან მიბარებული საიდუმლოს სადარაჯოზე დგას, მაგრამ უკეთუ ქალმა პირი გაქცია, სცადე მისი დაყოლიება; შემდეგ მარტო დატოვე (თავს ნუ შეაწყენ) და სარეცელი მხოლოდ მაშინ

გაიყავი მასთან, როცა მას სურს. თუ ქალი გაგეხსნა და დაგყვა, ნუღარ ეძებ მის დასადანაშაულებელ მიზეზს. ღმერთი მაღალია, ღმერთი დიდია“.

– ხედავ განსხვავებას? – მკითხა შამსმა.

– დიახ, მივუგე მე, – ხელშესახები განსხვავებაა. ალნისაში მამაკაცი თითქოს ხელდასხმულიც კია საიმისოდ, რომ ცოლი სცემოს; აქ კი მამაკაცს მხოლოდ რჩევა ეძლევა, რომ ცოლს დროზე გაეცალოს. სხვაობა მართლაც დიდია. რატომ?

– რატომ... რატომ... რამდენჯერმე ექოსავით გაიმეორა შამსმა, თითქოს ეს შეკითხვა სიამოვნებდა.

– ერთი ეს მითხარი, კიმია, მდინარეში თუ გიცურავია ოდესმე?

თავი დავუქნიე. გამახსენდა ჩემი ბავშვობა და ტაურუსის მთებიდან ჩამომავალი ანკარა მდინარე. ახლა უკვე აღარაფერი დარჩენილიყო იმ პატარა, ცქრიალა გოგოსგან, რომელიც თავის დეზსა და მეგობრებთან ერთად ოდესღაც მხიარულად ჭყუმპალაობდა მის ჩქერებში. სახე მივაბრუნე, არ მინდოდა, შამსს ჩემი ცრემლები ენახა...

– როცა მდინარეს შორიდან უყურებ, კიმია, ასე გგონია, მასში მხოლოდ ერთი დინებაა, მაგრამ თუ ჩაყვინთავ, მიხვდები ერთ მდინარეში რამდენიმე მდინარე ჩქეფს. ჰო, იქ უამრავი ნაკადია, ყველა მათგანი თავის გზასავალს მიჰყვება, თუმცა გვერდიგვერდ, მაგრამ ცალცალკე.

შამსი მომიახლოვდა, ნიკაპზე ხელი მომკიდა და მაიძულა, მის შავ, უძირო, სულიერებით სავსე თვალებში ჩამეხედა. გული შემიტოკდა. სუნთქვაც კი შემეკრა.

– ყურანი მჩქეფარე მდინარეა, კიმია; ვინც მას შორიდან უყურებს, ერთ მდინარეს ხედავს მხოლოდ, მაგრამ ვინც მასში შეცურავს, იქ ოთხი სხვადასხვა ნაკადი დახვდება. ეს იმას ჰგავს, განსხვავებული სახეობის თევზი რომ სხვადასხვა ადგილას ცურავს: ზოგი ზედაპირთან ახლოს, ზოგიც ფსკერთან...

– ვშიშობ, გამიჭირდება ამის გაგება, – ვთქვი მე, თუმცა ვგრძნობდი, რომ გონება თანდათან მინათდებოდა.

– ვისაც ზედაპირთან ახლოს ცურვა ურჩევნია, ყურანის მნიშვნელობას ზედაპირულად აღიქვამს და ამით კმაყოფილდება. ასეთები მრავლად არიან. ისინი სურებს სიტყვასიტყვით იგებენ, ამიტომაც არ მიკვირს, ალნისას მსგავსი სურების კითხვისას ნაუცბათევი დასკვნა იმის შესახებ, რომ მამაკაცი ქალზე მაღლა დგას. მათ ხომ სწორედ ამის დანახვა სურთ.

– სხვა დინებებზე რას იტყვი? – ვკითხე მე.

შამსმა ძლივს გასაგონად ამოიფშვინა. უნებურად მისი პირისაკენ გამექცა თვალი და შევნიშნე, რომ ეს მაცდური ბაგე ისე გიტყუებდა, როგორც იდუმალი ბაღი.

– კიდევ სამი დინება არსებობს. მეორე უფრო ღრმაა პირველზე, მაგრამ ზედაპირთან მაინც ახლოა. რაც უფრო ფართოვდება შენი თვალსაწიერი, ყურანსაც უფრო ღრმად სწვდები. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ღრმად უნდა ჩაყვინთო!

ვუსმენდი ამ სიტყვებს და ვგრძნობდი, ერთდროულად თითქოს დაცლილიც ვიყავი და სავსეც.

– რა მოხდება, როცა ღრმად ჩაყვინთავ? – ვკითხე ფრთხილად.

– მესამე ქვედინება ყურანის ეზოტერული წაკითხვაა, ანუ ბატინი. თუ ალნისას შინაგანი მზერით ჩახედავ, აღმოაჩენ, რომ იგი საკუთრივ ქალებს კი არ ეხება, არამედ ქალურობასა და მამაკაცურობას. ეს ორი საწყისი მეტნაკლებად ყველა ჩვენგანში ძევს, ჩემშიც და შენშიც. თუ საკუთარ თავში ამ ორივე საწყისის შერწყმას და შესისხლხორცებას ვისწავლით, ერთარსად გადაქცევა აღარ გაგვიჭირდება.

– იმის თქმა გსურს, რომ ჩემში არის რაღაც მამაკაცური?

– დიახ, სწორად მიმიხვდი. ჩემშიც არის რაღაც ქალური.

სიცილი ვერ შევიკავე.

– რუმიზე რას იტყვი?

შამსმა ჩაიღიმა.

– მეტნაკლებად ყველა მამაკაცში არის ქალურობის მარცვალი.

– ყველაზე ვაჟკაცურ მამაკაცშიც კი?

– მათში არის თუ არის, ჩემო კარგო, – თქვა შამსმა და თვალი ჩამიკრა. ეს სიტყვები ისე ჩამჩურჩულა, თითქოს რაღაც საიდუმლოს მანდობდა.

სიცილი ძლივს შევიკავე. პატარა, ცუგრუმელა გოგოდ ვგრძნობდი თავს. აშკარად რაღაც მემართებოდა მის სიახლოვეს. უცნაური კაცი იყო, მომნუსხველი ხმა ჰქონდა, მოქნილი, დაკუნთული ხელები... მზერას ხომ ნუღარ იკითხავთ რასაც თვალს შეავლებდა, ყველაფერს მზის მაცოცხლებელი შუქივით ასხივოსნებდა და ახალ სიცოცხლეს სძენდა თითქოს. მის გვერდით მთელი სისავსით ვგრძნობდი ჩემს სინორჩეს, მაგრამ ამავე დროს, ჩემს არსებაში სადღაც ღრმად დამარხული დედობრივი გრძნობაც ამოძრავდა, რძის მსუყე სურნელით გაჟღენთილი...

ძალიან მინდოდა, ეს კაცი დამეცვა, ოღონდ არ ვიცოდი, როგორ და რისგან. შამსმა მხარზე ხელი დამადო და ისე მომიახლოვდა, რომ მისი თბილი სუნთქვაც კი ვიგრძენი. ამჯერად მის მზერაში რაღაც ახალი, იდუმალი ბინდი შევნიშნე. მის თითებში ისე ვიყავი მომწყვდეული, როგორც ხაფანგში. ღაწვებზე თითისწვერებით რომ მეხებოდა, ისეთ სითბოს ვგრძნობდი, თითქოს ვიღაცას ჩემს სახესთან ანთებული სანთელი მოეტანა. ცოტა ხანში თითები ქვევით, ტუჩებისკენ ჩამიცურა და ჩემს ქვედა ტუჩს შეეხო. გაოგნებული, რეტდასხმული ვიდექი. თვალები დავხუჭე და გავიფიქრე, სიცოცხლე თუნდაც ამ საოცარი გრძნობისთვის ღირდა-მეთქი. მაგრამ როგორც კი ტუჩებზე ხელი შემახო, იმწამსვე უკან გასწია და წაიბუბუნა:

– ახლა კი უნდა წახვიდე, ჩემო კიმია.

ჩემი სახელი რატომღაც ისე წარმოთქვა, როგორც რაღაც ძალიან სევდისმომგვრელი სიტყვა.

უკან რომ ვბრუნდებოდი, თავბრუ მეხვეოდა, ღაწვები მიხურდა...

ოთახს მივაშურე, ლოგინზე გულაღმა გავიშოტე და ჩემს თავს ვკითხე, ნეტავ რას ვიგრძნობდი, რომ ეკოცნა-მეთქი. მაშინღა გამახსენდა, რომ მეოთხე ნაკადზე, ანუ ყურანის ყველაზე ღრმა წაკითხვაზე არაფერი მიკითხავს.

არ მასვენებდა ამაზე ფიქრი: მაინც როგორ უნდა ჩასწვდეს ადამიანი ასეთ სიღრმეებს? რას გრძნობს იგი, ვინც ბედავს და ბოლომდე ყვინთავს?

სულთან ველედი

1245 წლის 4 სექტემბერი, კონია

ბავშვობიდან ვზრუნავდი ალადინზე, როგორც უფროსი ძმა, მაგრამ ეს ბოლო ხანია, განსაკუთრებული დაჟინებით მიჭირავს მასზე თვალი. ფიცხი ყოველთვის იყო (სულ პატარაც კი), მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან შარიანი და ადვილად ფეთქებადი გახდა. სულ საკამათოდ არის მომართული. უმნიშვნელო რაღაცაზე წაგეკიდება ხოლმე. ისეთი აღრენილია, მისი დანახვისას უბნის ბავშვებიც კი ფრთხებიან. ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისაა და უკვე თვალის უპეები დანაოჭებული აქვს, რადგან ერთთავად კოპებშეკრული და თვალმოჭუტული დადის. აი, ამ დილითაც შევამჩნიე, ტუჩებთან ახალი ნაოჭი გასჩენია; დანა კბილს არ უხსნის და აბა, რა იქნება...

იმ დღეს ვიჯექი და ცხვრის ტყავის ეტრატზე ვწერდი. უცებ ზურგს უკან რაღაც შარიშური გავიგონე. ალადინი იყო. ღმერთმა იცის, რამდენი ხანი იდგა და მაკვირდებოდა თავისი თაფლისფერი თვალებით. ტუჩები, როგორც ყოველთვის, პირქუშად მოეკუმა.

– რას აკეთებ? მკითხა ბოლოს.

– მამაჩვენის ადრინდელი საჯარო გამოსვლის ტექსტს ვიწერ, – ვუთხარი მე, – კარგი იქნება, მისი ყველა გამოსვლისა თუ ქადაგების დამატებითი ასლი რომ გვქონდეს.

– რა საჭიროა?! – წამოიძახა გაცეცხლებულმა. – მამა ხომ აღარც სიტყვით გამოდის და აღარც ქადაგებს. თუ ჯერ არ შეგიმჩნევია, იმასაც მოგახსენებ, რომ მედრესეშიც აღარ ასწავლის, რახანია. ვერ ხედავ, რომ ყველა თავისი მოვალეობა გვერდზე გადადო?

– ეგ დროებითი ამბავია. მალე ისევ შეუდგება საქმეს, – ვთქვი მე.

– თავს რატომ იტყუებ? ნუთუ არ გესმის, რომ შამსის გარდა არავისთვის და არაფრისთვის აღარ სცალია? სასაცილოა, ღმერთმანი! ამ შამსს რომ ჰკითხო, მოხეტიალე დავრიშია, არადა ფეხს აღარ იცვლის ჩვენი სახლიდან!

ალადინს მწარედ ჩაეცინა და ცოტა ხნით დადუმდა, ეგონა, ბანს მივცემდი, მაგრამ ხმა რომ არ ამოვიღე, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მისთვის არც შემიხედავს, ისე ვიგრძენი თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა.

– ხალხი უკვე ჭორაობს... – ბოღმიანად ჩაილაპარაკა მან, ყველა ერთსა და იმავეს მეკითხება: როგორ კადრულობს ასეთი პატივდებული ღვთისმეტყველი ვიღაც მწვალებლის ჭკუაზე სიარულსო. მალე ყინულის ნატეხივით ჩაგვადნება ხელში მამაჩვენის პატიოსანი სახელი. თუ დროზე არ მოთოკა თავი, მოწაფეებსაც ვეღარ ეღირსება. ამ ქალაქში აღარავის მოუნდება მისი შეგირდობა და... არც გაემტყუნებათ!

ეტრატი გვერდზე გადავდე და ძმას შევხედე. ჯერ კიდევ ნორჩი იყო, მაგრამ ლაპარაკსა და მიხრამოხრაზე ეტყობოდა, უკვე კაცობდა. საერთოდ, შარშანდელი წლიდან ძალიან შეიცვალა და ეჭვი გამიჩნდა, რომ შეყვარებული იყო. ვინ უნდა ჰყვარებოდა, ნამდვილად არ ვიცოდი და არც მისი ახლო მეგობრები მეუბნებოდნენ.

– ძმაო, მესმის, რომ შამსი არ მოგწონს, მაგრამ ეს კაცი სტუმარია ჩვენი და პატივი უნდა ვცეთ. გირჩევ, ჭორებს არ აჰყვე და საერთოდ, მოდი, ბუზს სპილოდ ნუ გადავაქცევთ.

ვიგრძენი, რომ საუბარში მფარველის მედიდური კილო შემეპარა, ენაზე ვიკბინე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ხმელ შეშას რომ წამში ცეცხლი წაეკიდება, ისე წამოენთო.

– ბუზიო?! ბუზს ეძახი ამ საშინელებას, რაც ჩვენს თავს ტრიალებს? ასე რამ დაგაბრმავა?!

მეორე ეტრატი ავიღე და მის სათუთ ზედაპირს ხელი მოვუსვი. ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა მამაჩემის ქადაგებების ჩაწერა. მიხაროდა, რომ მის ნააზრევს სიცოცხლეს ვუხანგრძლივებდი, რომ ხალხი მამაჩემის მოძღვრების გაცნობას ასი წლის შემდეგაც შეძლებდა და შთაგონების წყაროდაც გაიხდიდა. როგორი მცირეც უნდა ყოფილიყო ჩემი წვლილი ამ საქმეში, მაინც მეამაყებოდა იგი.

ჩემი ბუზღუნა ძმა თავზე მადგა და ჩემს ნამუშევარს აკვირდებოდა. მწარე ნაღველი ჩასდგომოდა ფიქრიან თვალებში. ისეთი დაზაფრული ჩანდა, რომ კიდევ ერთხელ გავიფიქრე: „სულ მთლად ბავშვია, მამის სიყვარულს დანატრებული პატარა ბიჭი...“ გული შემეკუმშა. მივხვდი, მამაჩვენზე უფრო იყო გამწყრალი, ვიდრე შამსზე. მის სიყვარულს ისაკლისებდა, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი დიდკაცობაც კი აღიზიანებდა, რადგან ეს მორჭმული და სანაქებო ადამიანიც კი ვერ დაუდგა წინ სიკვდილს, რომელმაც დედა ასე ნაადრევად მოგვტაცა.

– ამბობენ, შამსმა მამაჩვენი მოაჯადოვაო, – არ ცხრებოდა ალადინი, – იმასაც ამბობენ, ასასინების შემოჩენილიაო.

– ასასინების?! რა სისულელეა! – აღვშფოთდი მე.

ასასინებად წოდებული საძმოს ძირითადი საქმიანობა მკვლელობა იყო. ათასნაირ ხერხებს მიმართავდნენ, შხამების გამოყენებაშიც კი იყვნენ გაწაფულნი. მათი სამიზნე უმეტესწილად გავლენიანი ხალხი იყო. თანაც, როგორც წესი, საჯაროდ მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა გულებში შიში დაეთესათ.

ერთხელ მისმა წევრებმა სულთან სალადინის კარავშიც კი გაბედეს შესვლა და იქ მოწამლული ნამცხვარი და შემდეგი შინაარსის ბარათი დატოვეს: „ჩვენს ხელში ხარ!..“ თვით სალადინი, ისლამის ეს დიდი სარდალი, ჯვაროსანთა წინააღმდეგ ვაჟკაცურადმებრძოლი, მათ ხელში ჩავარდნილი იერუსალიმის კვლავ დამბრუნებელი, ვერ ბედავდა ასასინებთან დაპირისპირებას და მათთან მშვიდობიან გარიგებაზე წასვლას ამჯობინებდა. როგორ იფიქრა ხალხმა, რომ შამსი ამ ბოროტმოქმედებთან იყო შეკრული? ალადინს მხარზე ხელი დავადე და ჩემკენ გამოვახედე.

– ეგ ორდენი, ჩემო ძმაო, დიდი ხანია ის აღარ არის, რაც იყო. მისგან ცარიელი სახელიღა დარჩა.

ალადინი წამით ჩაფიქრდა და მიპასუხა:

– ეს მეც გამიგია, მაგრამ ჰასან საბაჰს თურმე ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰყავს ყველაზე ერთგული სამი წევრი. სწორედ ესენი წამოსულან ალამუთის ციხესიმაგრიდან და ფიცი დაუდვიათ, რომ სადაც მივლენ, ყველგან შიში და უბედურება დათესონ. ჰოდა, ხალხი ეჭვობს, რომ შამსი მათი წინამძღოლია.

მოთმინების ფიალა ამევსო:

– ღმერთო, შენ მიშველე!.. კი, მაგრამ აღარ მეტყვი, მაინც რატომ უნდა უნდოდეთ ასასინებს მამაჩვენის მოკვლა?

– იმიტომ, რომ გავლენიანი ადამიანები სძულთ, იმიტომ, რომ არეულობა და განუკითხაობა ყველაფერს ურჩევნიათ, – მიპასუხა მან.

ძალიან გაეტაცებინა ამ შეთქმულების თეორიებს. აღელვებისგან სახე მთლად აუფორაჯდა. ვხედავდი, სიფრთხილე მმართებდა.

– ეჰ, ხალხი ბევრ რამეს ამბობს, ალადინ, ვუთხარი მე, ნუ აჰყვები ამ ბოროტ სისინს. მოიშორე ცუდი ფიქრები, ხომ ხედავ, გული შხამით გაქვს სავსე.

მწარედ ამოიგმინა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და გავაგრძელე:

– შეიძლება შამსი პირადად არ მოგწონდეს და კაცმა რომ თქვას, არც მოგეთხოვება. მაგრამ მამაჩვენის ხათრით მის მიმართ ცოტაოდენი პატივისცემა მაინც უნდა გამოიჩინო.

მომიტრიალდა და თვალებით დამსუსხა. ვხედავდი, მხოლოდ მამაზე არ ბრაზობდა; არც მხოლოდ შამსზე იყო გაბოროტებული; აშკარად ჩემზეც იყო გულნატკენი. შამსისადმი ჩემს ასეთ დამოკიდებულებას სისუსტედ მითვლიდა. ეტყობა, ფიქრობდა, რომ მამის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ვიქცეოდი ასე როგორც ყურმოჭრილი მონა, როგორც უნიათო და უხერხემლო ადამიანი.

მართალია, ხმამაღლა მსგავსი არაფერი უთქვამს და ეს მხოლოდ ჩემი ეჭვები იყო, მაგრამ ასეთი შეფასება მაინც ვიუკადრისე. არადა, ვერც ვუბრაზდებოდი. ჩემთვის ალადინი ისევ ის ბავშვი იყო, ოდესღაც ქუჩის კატებს რომ დასდევდა, გუბეებში რომ წუწაობდა და მთელი დღე მაწონწასმულ პურს ციცქნიდა. როცა მას ვუყურებდი, მინდოდა თუ არ მინდოდა, ისევ ის საყვარელი, ბუთხუზა, თავისი ასაკისთვის ტანდაბალი ბიჭუნა მედგა თვალწინ.

უცებ გამახსენდა, როგორ მიიღო მან დედის სიკვდილის ცნობა... ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია მაშინ. ფეხებზე დაიხედა რატომღაც, თითქოს თავისი ფეხსაცმელი ესირცხვილებოდა. კიდევ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, თანაც ისე მაგრად, რომ სიმწრისგან ფერი წაუვიდა. არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენია, ქვითინზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. არადა, ნეტავ ეტირა...

– გახსოვს, უბნის ბიჭებთან ჩხუბი რომ მოგივიდა? ცხვირგასისხლიანებულმა და აბღავლებულმა რომ მოირბინე. რა გითხრა მაშინ დედამ? – ვკითხე მე.

ჯერ თვალები მოჭუტა, გახსენებას ცდილობდა თითქოს, შემდეგ უცებ გაუფართოვდა თვალები, როგორც ჩანს, მოგონება მასაც ამოუტივტივდა მეხსიერებაში... მაგრამ არაფერი მიპასუხა.

– ასე გითხრა, როცა ვინმეზე გაბრაზებული ხარ, მისი სახე გონებაში საყვარელი ადამიანის სახით უნდა ჩაანაცვლოო. სცადე და შამსის სახე დედაჩვენის სახით შეცვალე. იქნებ მაშინ მაინც მოგიბრუნდეს მისკენ გული.

სულ რაღაც წამით, ქარიან დღეში ცაზე მიმქროლავი ღრუბლის სისწრაფით გადაურბინა ტუჩებზე ღიმილმა. მაგრამ ამ ძლივს შესამჩნევმა ღიმილმაც კი საოცრად მოალბო მისი სახის გამომეტყველება.

– ჰო, რა ვიცი... – ჩაილაპარაკა და სახე გაუნათდა. გულისწყრომის ნასახიც აღარ ეტყობოდა.

მეც მეტი რა მინდოდა. გულში უსიტყვოდ ჩავიკარი. არც არაფერი დამრჩენოდა სათქმელი. ისიც სიყვარულით ჩამეხუტა. იმ წუთში ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ალადინი შამსთან ურთიერთობას მოაგვარებდა და კვლავ შეხმატკბილებულად ვიცხოვრებდით, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ სასტიკად ვცდებოდი.

კერა

1245 წლის 22 ოქტომბერი, კონია

ბჭობას ბოლო არ უჩანდა. შამსი და რუმი იმ დღესაც, როგორც ყოველთვის, ჩაკეტილ ოთახში საუბრობდნენ. კარზე მივუკაკუნე, პასუხს აღარ დაველოდე და ლანგრით ჰალვა შევუტანე.

როცა მათთან შევდივარ, შამსი ხმას ჩაიკმენდს ხოლმე, თითქოს ლაპარაკს ვუშლიდე. ნახელავსაც არასოდეს მიქებს. ჭამითაც ძალიან ცოტას ჭამს. ზოგჯერ მგონია, რომ მისთვის სულერთია, საუცხოო სადილს მივართმევ, თუ გამხმარ პურს... მაგრამ ამჯერად ჰალვა ჩაკბიჩა თუ არა, თვალები აენთო და მეუბნება:

– უგემრიელესია, კერა! როგორ გააკეთე?

არ ვიცი, უცებ რა დამემართა. იმის მაგივრად, რომ ქათინაური შემეფერებინა, უნებურად წამომცდა:

– რატომ მეკითხები? ჰალვის გამკეთებელი ხარ?!

თვალი თვალში გამიყარა და თავი ოდნავ დააქნია, თითქოს კვერს მიკრავდა. მეგონა, რაღაცას მეტყოდა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს.

უხმოდ გამოვედი და სამზარეულოში შევბრუნდი. ეს შემთხვევაც თითქოს ამით ამოიწურა და შეიძლება სამუდამოდ დამვიწყებოდა კიდეც, რომ არა დღევანდელი დილა...

იმავე დილით, როცა სამზარეულოში კარაქს ვდღვებდი, უცებ ეზოდან რაღაც უცნაური ხმები შემომესმა და გარეთ გავედი. თქვენს მტერს, მე იქ ამბავი დამხვდა! ყველგან წიგნები ეყარა. მთელ ეზოში წიგნების მთები იდგა. ერთი იმდენი აუზში ტივტივებდა. აუზის წყალი მელნისგან სულ ერთიანად გალურჯებულიყო...

და ეს ყველაფერი ჩემი ქმრის თვალწინ ხდებოდა.

შამსმა ერთერთ წიგნს (ალმუთანაბის ლექსების კრებულს) ხელი სტაცა, პირქუშად

დახედა და წყალში გადაუძახა. წიგნი იმწამსვე ჩაიძირა. ახლა მეორე წიგნს (ამჯერად ათარის „საიდუმლოებებს“) სტაცა ხელი... რაღა ბევრი გავაგრძელო ეს კაცი სათითაოდ ანადგურებდა რუმის საყვარელ წიგნებს!

ადგილზე გავშეშდი... ცოტაც და რუმის მამის ნაშრომი, „ღვთიური მოძღვრებანიც“ წყლით სავსე აუზში აღმოჩნდა. ქმარს შევხედე. ვიცოდი, როგორ აღმერთებდა მამამისს და როგორ თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ამ ხელნაწერს. აი, ახლა კი იფეთქებს- მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ნურას უკაცრავად. იდგა გახევებული, ცვილივით გაფითრებული, ხელებაკანკალებული და... ხმას არ იღებდა. ვერაფრით გამეგო, რა აჩერებდა. კაცი, რომელმაც ერთხელ იმისთვისაც კი მისაყვედურა, რომ მის წიგნებს

მტვერს ვაცლიდი, ახლა გასუსული იდგა და უყურებდა, როგორ ავლებდა მუსრს ვიღაც გადარეული მთელ მის ბიბლიოთეკას! ეს უსამართლობა იყო. გადავწყვიტე თავად ჩავრეულიყავი.

– რას აკეთებ? – ვკითხე შამსს. – ეს ფასდაუდებელი წიგნებია, მათი ასლები არ არსებობს. რატომ ისვრი მათ წყალში? ხომ არ შეიშალე?!

პასუხის ნაცვლად შამსმა რუმის გადახედა და ჰკითხა:

– შენც ასე ფიქრობ?

რუმიმ ცალყბად ჩაიღიმა. ხმა არც ამჯერად ამოუღია.

– რამ დაგამუნჯა?! – ვუყვირე ქმარს.

შამსმა ერთი გადმომხედა. არხეინად, გულდაჯერებით დაიკაპიწა სახელოები და წყლიდან წიგნების ამოღება დაიწყო. სახტად დავრჩი: ყველა წიგნი მშრალი იყო...

– ეს რა არის? კუდიანი ხომ არა ხარ? როგორ აკეთებ ამას?! – ვკითხე მე.

– რატომ მეკითხები? ამის გამკეთებელი ხარ? – იყო პასუხი.

გული ამომიჯდა. ბრაზისაგან აკანკალებული შევვარდი სამზარეულოში, რომელიც იმ დღეებში სულის მოსაბრუნებელ, ლამის წმიდათაწმიდა ადგილად მქცეოდა. ჩამოვჯექი იქვე, ჭურჭლითა და საკაზმებით სავსე მაგიდასთან და ტირილით გული ვიჯერე.

<u>რუმი</u>

<u>1245 წლის დეკემბერი, კონია</u>

ბინდბუნდში, დილაბნელზე დავიძარით მე და შამსი ლოცვის აღსავლენად. კარგა ხანს მივაგელვებდით ცხენებს ტრიალ მინდორზე. ყინულივით ცივ ნაკადულებში ვტოპავდით, დილის მაცოცხლებელ ნიავს ვუშვერდით სახეს... აქა-იქ პურის ყანებში ჩადგმული საფრთხობელები უჟმურ დუმილს გვაგებებდნენ. ქარი გამალებით აფრიალებდა სოფლური ქოხმახების წინ თოკზე გაფენილ სარეცხს.

აქეთ წამოსვლისას შამსმა სადავე მოქაჩა და ქალაქის შესასვლელთან მდგარი მუხის ქვეშ ჩამოვსხედით. მან თავისი მოსასხამი მიწაზე დააფინა, ზედ მოვიკალათეთ და შორეული თუ ახლომდებარე მეჩეთებიდან გამოსულ ლოცვებს ხმები ავაყოლეთ. თავზე უკვე მეწამულად შეფერილი ზეცა დაგვცქეროდა...

– კონიას პირველად რომ მოვადექი, სწორედ ამ ხის ძირში შევისვენე, – თქვა შამსმა.

წამით შორეულ მოგონებას გაუღიმა, მაგრამ უცებ კვლავ მოეღრუბლა სახე და დასძინა:

– ერთ გლეხს დავემგზავრე მაშინ. შენი დიდი თაყვანისმცემელი იყო. რუმის ქადაგება ნაღველს აქარვებსო, ასე მითხრა.

– დრო იყო, სიტყვის ჯადოქარს მეძახდნენ... – ვთქვი მე, – მაგრამ ახლა მეჩვენება, თითქოს ეს ყველაფერი საუკუნის წინ ხდებოდა. აღარ მინდა ქადაგება. მეყო, რაც ვიქადაგე...

– სიტყვის ჯადოქარი ახლაც ხარ, – თქვა მტკიცედ შამსმა, – მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ამიერიდან მოქადაგე გონების ნაცვლად მომღერალი გულის პატრონი ხდები.

არ ვიცოდი, რას გულისხმობდა, მაგრამ აღარ ჩავძიებივარ. ამასობაში აისმა ღამის უკანასკნელი ნარჩენებიც მიფანტმოფანტა და ცა ხასხასა ნარინჯისფრად შეაფერადა. შორიდან ვხედავდით, როგორ იღვიძებდა ქალაქი. ბოსტნებში ყვავები ფუთფუთებდნენ და ხარბად კენკავდნენ ყველაფერს, რასაც მოიხელთებდნენ. ისმოდა კარების გაბმული ჭრიალი და სახედრების ყროყინი. აქაიქ საკვამურებიც ახრჩოლდა. ახალი დღე იბადებოდა და ადამიანებიც გამალებით ემზადებოდნენ მასთან შესახვედრად.

– ყველა ცდილობს თავისი შესაძლებლობების სრულყოფას, მაგრამ ამას თავისით, ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე აკეთებს, – წაიბუტბუტა შამსმა თავის კანტურით, – შენი ქადაგებებით სწორედ ამაში ეხმარებოდი მათ. მე კი, ჩემი მხრივ, ყველა ღონეს ვიხმარ, რომ შენ დაგეხმარო, მე შენი მსახური ვარ.

– ნუ იტყვი მაგას, – შევეპასუხე მე, – შენ ჩემი მეგობარი ხარ.

შამსმა ყური არ მათხოვა და განაგრძო:

– მთელი ცხოვრება თითქოს ნაჭუჭში ხარ გამომწყვდეული. როგორც სახელგანთქმულ მოქადაგეს, მუდამ პირმოთნე და მორჩილი თაყვანისმცემლები გახვევია, მაგრამ იცნობ კი კარგად ჩვეულებრივ ხალხს? ლოთებს, მათხოვრებს, მეძავებს და მოთამაშეებს? ეს ყველაზე გაუხარელი და დაჩაგრული ხალხია, იცოდე. ისინიც ღვთის შვილები არიან. გაქვს კი ძალა, რომ ღვთის ყველა ქმნილება ერთნაირად შეიყვარო? აი, რა მაფიქრებს ყველაზე მეტად. ეს საკმაოდ რთული გამოცდაა. მას ყველა ვერ უძლებს...

ამას რომ ამბობდა, მის სახეს ვაკვირდებოდი. სინაზით, თანაგრძნობით სავსე სახეზე კიდევ ვამჩნევდი რაღაც ისეთს, რაც დედობრივ მზრუნველობას მაგონებდა.

– მართალი ხარ, – დავეთანხმე მე, – ცივი ნიავი არასოდეს მომკარებია, ამიტომ არ ვიცი, როგორ ცხოვრობს ჩვეულებრივი, უბრალო ხალხი.

შამსმა ბელტი აიღო, დაფშვნა და ნათქვამს რბილად დასძინა:

– თუ გონებით მთელ სამყაროს მისწვდები, თავისი სიჭრელითა და წინააღმდეგობებით, ეს ყველაფერი ადრე თუ გვიან ერთმანეთს შეერწყმება და ერთარსად ჩამოიქნება.

ამ სიტყვებით ხმელ ტოტს დასწვდა და მუხის ირგვლივ დიდი წრე შემოხაზა, ხელები ცისკენ აღაპყრო (თითქოს სურდა, უჩინარი თოკით ვიღაცას ზეცაში აეყვანა) და ღმერთის ოთხმოცდაცხრამეტი სახელი წარმოთქვა. შემდეგ თავის მოხაზულ წრეში ნელი ბრუნვა დაიწყო. თავიდან ნელა, ტაატით, საღამოს ნიავივით ნაზად მოძრაობდა, ცოტა ხანში სიჩქარეს უმატა და ბოლოს ქარბორბალასავით დაბზრიალდა.

დამატყვევებელი სანახაობა იყო. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთელი სამყარო უვლიდა მასთან ერთად ამ გიჟურ დავლურს. შევცქეროდი ამ სრულიად უჩვეულო როკვას და სულითა და ხორცით ვიწოვდი ენერგიას, რომელსაც შამსის არსება იმ წუთში ასხივებდა.

შამსმა თანდათან ტრიალს უკლო და ბოლოს გაჩერდა. მკერდი აუდჩაუდიოდა, სახე გასთეთრებოდა, ხმა სადღაც ხორხში ჩაკარგვოდა, თითქოს შორიდან მოისმისო.

– სამყარო ერთარსია. ყველა და ყველაფერი ამბების უჩინარი ქსელით არის დაკავშირებული. უნებურად ყველანი უსიტყვო საუბარში ვართ ჩაბმულნი. ნუ დააშავებ. თანაგრძნობაში გაიწაფე. ზურგს უკან ნურავის გაჭორავ. თუნდაც ეს სრულიად

უწყინარი შენიშვნა იყოს. ჩვენი პირიდან ამოსული სიტყვები არასოდეს ქრება. მათ მარადისობა ინახავს. დრო მოვა და ისინი ჩვენვე მოგვიბრუნდება. ერთი ადამიანის ტკივილი ყველას დაგვისერავს გულს, ერთი ადამიანის სიხარული ყველას ღიმს მოგვგვრის... ასე გვასწავლის ერთერთი ორმოც წესთაგანი, – ჩაიბუბუნა შამსმა და გამომცდელი მზერა მომაპყრო.

მისი თვალების უძირო სიღრმიდან ისეთი მწუხარება გამოკრთოდა, რომელიც ადრე არასოდეს შემიმჩნევია.

– დადგება დრო, როცა შენ სიყვარულის ხმას გიწოდებენ, – მომმართა ბოლოს, – ეს ხმა შთაგონების წყარო გახდება ადამიანებისთვის (მათთვისაც, ვისაც არასოდეს თვალით არ უნახავხარ), აღმოსავლეთის მკვიდრნი იქნებიან ისინი თუ დასავლეთისა.

– ეგ როგორღა უნდა მოხდეს? – ვკითხე დაეჭვებულმა.

– როგორ და სიტყვებით, – მომიგო შამსმა, – ოღონდ სიტყვებს რომ ვამბობ, შენს ქადაგებებს კი არ ვგულისხმობ, არამედ პოეზიას.

– პოეზიას? – ჩავეკითხე და ხმაში ბზარი გამერია, – მე ლექსებს არ ვწერ. მე სწავლული ვარ.

შამსს ჩაეღიმა.

– შენ, ჩემო მეგობარო, ხარ ერთ-ერთი უდიდებულესი მგოსანი, რომელსაც მსოფლიო გაიცნობს.

შეპასუხება დავაპირე, მაგრამ მისმა შეუპოვარმა მზერამ გამაჩერა. კაცმა რომ თქვას, კამათის დიდი სურვილი არც მქონდა.

– ეგრე იყოს. მაგრამ რაც უნდა დამაკისროს განგებამ, მე და შენ ეს გზა ერთად უნდა განვვლოთ.

შამსმა თავი დამიქნია, მაგრამ მისი გონება სხვაგან ქროდა. კარგა ხანს ავისმომასწავებლად დუმდა და ჩანაცრულ ჰორიზონტს გაჰყურებდა. როცა ბოლოს და ბოლოს ხმა ამოიღო, ის საბედისწერო სიტყვები წარმოთქვა, რომლებიც სამუდამოდ ჩემთან დარჩა და სულს ახლაც მიკაწრავს:

– იცოცხლე, ძალიანაც მინდა, მაგრამ ვშიშობ, მარტოს მოგიწევს ამის გაკეთება...

– როგორ? შენ სადღა იქნები? – ვკითხე მე.

შამსი კიდევ უფრო მოიქუფრა, თვალები დახარა და თქვა:

– ეს ჩემს ხელთ არ არის.

ამ დროს ქარმა წამოუბერა და ერთბაშად აცივდა. სრულიად მოწმენდილი ციდან წვიმა დაეშვა. პეპლის ფრთებივით ნაზად გვეხლებოდა სხეულზე მსუბუქი, თბილი წვეთები.

პირველად მაშინ გავიფიქრე, რომ შამსი მტოვებდა და ამ მტკივნეულმა აზრმა გული ლამის შუაზე გამიპო.

სულთან ველედი

1245 წლის დეკემბერი, კონია

ბევრს ჭორაობა გართობად აქვს ქცეული. მე კი ჭორი გულს მიკლავს. მოდგებიან და იგესლებიან, თითქოს რამე გაეგებოდეთ იმისა, რაზეც ლაპარაკობენ. ეს ადამიანები საოცრად... ან უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, სასტიკად შორს არიან სიმართლისაგან. მათ არ ესმით, რა ღრმა კავშირია მამაჩემსა და შამსს შორის. ეტყობა, ყურანი არ წაუკითხავთ, თორემ ეცოდინებოდათ, რომ იგი ხშირად მოგვითხრობს მსგავსი სულიერი მეგობრობის შესახებ.

თუნდაც მოსეს და ხიდრის ამბავი რომ გავიხსენოთ, სურა ალკაფში სრულიად გასაგებად და მკაფიოდ რომ არის მოთხრობილი.

მოსე თითით საჩვენებელი კაცი იყო. პიროვნულმა სიდიადემ წინასწარმეტყველობამდეც კი მიიყვანა. საარაკო წინამძღოლი და სჯულმდებელიც გახლდათ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მასაც ჰაერივით დასჭირდა სულიერი თანამძღოლი, რომელიც მესამე თვალს აუხელდა. და აი, გამოჩნდა კიდევაც კაცი, სახელად ხიდრი, გაჭირვებულთა და ჩაგრულთა ნუგეშისმცემელი.

მან მოსეს უთხრა:

– მე მარადი მგზავრი ვარ. ღმერთმა განმაწესა სახეტიალოდ, რათა გზადაგზა გავაკეთო ის, რასაც საჭიროება მიკარნახებს. შენ ამბობ, რომ ჩემთან ერთად წამოსვლა გსურს. თანახმა ვარ. მხოლოდ, იცოდე, რაც უნდა მოვიმოქმედო, არაფერი მკითხო. შეძლებ ჩემს თანხლებას შეკითხვების გარეშე? მენდობი თუ არა ბოლომდე?

– შევძლებ, – დაარწმუნა მოსემ, – ნება მომეცი, გამოგყვე. გპირდები, რომ არაფერს გკითხავ.

გაუდგნენ გზას. დაიარეს ქალაქები და სოფლები, მაგრამ ხედავს მოსე, რომ ხიდრი ყოველ ნაბიჯზე ავკაცობას სჩადის. ხან პატარა ბიჭი გამოასალმა სიცოცხლეს, ხან ნავი ჩაძირა...

გამწარდა მოსე, სათქმელი გულში ვეღარ დაიტია და ჰკითხა:

– რატომ ჩაიდინე ეს საშინელი საქმეები?

– სადაა შენი დაპირება? – კითხვა შეუბრუნა ხიდრმა, – ხომ გითხარი, შეკითხვებს ერიდე-მეთქი!

მოსემ მოუბოდიშა, კვლავ აღუთქვა, არაფერს გკითხავო, მაგრამ ამ პირობას მაინც წარამარა არღვევდა. ბოლოს ხიდრმა თითოეული თავისი ნაბიჯის მიზეზი განუმარტა როგორც იქნა, ჩასწვდა მოსე ხიდრის ქმედებების არსს. ბევრი მათგანი ბოროტი და უბედურების მომტანი ჩანდა, მაგრამ ამართლებდა ანდაზას „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. ხოლო ის, რაც შეიძლებოდა ერთი შეხედვით სიკეთედ მოგჩვენებოდათ, სამომავლოდ მხოლოდ ზიანის მომტანი იყო. ისე არაფერს აუხელია მოსესთვის თვალი, როგორც ხიდრთან ამ ხანმოკლე მეგობრობამ აუხილა.

ეს იგავი ისეთი სახის მეგობრობაზე მიგვანიშნებს, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავის ჭკუა ძნელად თუ ჩასწვდება. ის სულ სხვა სიღრმეებში გვახედებს, სულ სხვა სიბრძნისაკენ მივყავართ...

ჩვენში მსგავსი თვალთახედვისაგან შორს არიან. მეც ამიტომ ვერ ვისვენებ.

საუბედუროდ, არც შამსი ეძებს იოლ გზებს ხალხის გულის მოსაგებად. მტარვალის სახით ჩამოჯდება ხოლმე სასწავლებლის ზღურბლზე, მამაჩემთან გასაუბრების მსურველებს გზას უღობავს და ასეთ შეკითხვებს უსვამს:

– რისთვის გინდა დიდი მევლანას ნახვა? რას მიართმევ ძღვნად?

ხალხი იბნევა, სათქმელს თავს ვერ უყრის, ბორძიკობს და ბოდიშობს, შამსი კი უკან ისტუმრებს მათ. გადის რამდენიმე დღე და ეს ადამიანები საჩუქრებით დატვირთულები ბრუნდებიან. ზოგს ჩირი მოაქვს, ზოგს ვერცხლის დირჰემები, ზოგს აბრეშუმის ხალიჩები, ზოგს კიდევ ძუძუთა ბატკნები. შამსი მთლად ცოფდება, თვალებს აბრიალებს და კუდით ქვას ასროლინებს ხოლმე მათ.

ერთხელ ვიღაც კაცი ძალიან გაუნაწყენდა და შეუტია:

– რა უფლება გაქვს, მევლანას ზღურბლთან რომ დამჯდარხარ და კარს ცხვირწინ გვიხურავ? ყველას რომ ეკითხები, რა მოგაქვთო, აბა, ერთი გვიბრძანე, შენ თვითონ რა მიუტანე?

– ჩემი თავი მივუტანე, – უპასუხა შამსმა ყველას გასაგონად, – მე მას ჩემი თავი მსხვერპლად შევწირე.

კაცი მაშინვე გაეცალა იქაურობას. გზადაგზა რაღაცას ძლივს გასაგონად ბუტბუტებდა, მაგრამ ამჯერად დაბნეულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გაბრაზებულს. იმ დღეს შამსს ვკითხე:

– ნუთუ არ გაწუხებს, შენი რომ არაფერი ესმით, შენი ფასი რომ არ იციან?

იმ დღეებში ავი წინათგრძნობა არ მასვენებდა. ამიტომ ვუსაყვედურე, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი მტერი გაიჩინე-მეთქი. ისე მომაშტერდა, თითქოს ჩემი ნათქვამის აზრი ვერ გაიგო. მერე მხრები აიჩეჩა და მომიგო:

– მე მტრები არ მყავს. ღვთის მოყვარულს შეიძლება ჰყავდეს მგმობელი, მეტოქეც კი, მაგრამ არამც და არამც მტერი.

– რა ვიცი, ამ ხალხს კი ეჩხუბები და... – შევეპასუხე მე.

– მე ადამიანებს კი არა, მათ ნაფსს ვეჩხუბები. ეს სულ სხვაა! – გაცეცხლდა შამსი. მერე კი უფრო რბილად დასძინა:

– ორმოცი წესიდან ერთერთი გვამცნობს: „ეს სამყარო თოვლიან მთას ჰგავს, სადაც შენი ხმა ექოს სახით გიბრუნდება. რაც უნდა ამოვიდეს შენი პირიდან ავი თუ კარგი – ამა თუ იმ სახით უთუოდ უკანვე მოგივა. ამიტომ ლანძღვით ნუ უპასუხებ იმას, ვინც შენ წინააღმდეგ უკეთურ ზრახვას ატარებს გულში. ამით ვერაფერს მიაღწევ და ბოროტი ენერგიის მანკიერ წრეში იტრიალებ დაუსრულებლად. გიჯობს, ორმოცი დღის განმავლობაში მხოლოდ კარგი ილაპარაკო და იფიქრო ამ ადამიანზე. თავად ნახავ, ორმოცი დღის შემდეგ ყველაფერი სხვანაირად იქნება, რადგან დროის ამ მონაკვეთში თვითონ შენც იცვლი ფერს“.

– ხალხი ათას რამეს ამბობს შენზე. იმასაც კი ამბობენ... ორ მამაკაცს შორის ასეთი სიყვარული რაღაცაზე მეტყველებს, რაც არ ითქმისო, – ამოვთქვი ბოლოს და მღელვარებისაგან ხმა ჩამიწყდა.

შამსმა მკლავზე ხელი მომკიდა, თავისი არაჩვეულებრივი, სიმშვიდის მომგვრელი ღიმილი შემომანათა და აი, რა მიამბო:

– ორი კაცი ერთი ქალაქიდან მეორეში მიდიოდა. მიადგნენ ერთ ნაკადულს, რომელიც კოკისპირული წვიმების შემდეგ ადიდებულიყო. ნაპირთან ლამაზი ქალი იდგა, ფონი ვერ ეპოვა და შველა სჭირდებოდა. ერთ-ერთი მგზავრი წამსვე მასთან გაჩნდა, ხელში აიტაცა და გაღმა გადაიყვანა. შემდეგ ჩამოსვა, ხელი დაუქნია და ამხანაგთან ერთად გზა განაგრძო. დარჩენილი გზა ისე გაიარეს, მეორე მგზავრს ხმა არ ამოუღია და შუბლი არ გაუხსნია. მეგობრის შეკითხვებს ჯიუტად არ პასუხობდა. კარგა ხანს იყო ასე გაბუტული. ბოლოს ვეღარ გაძლო და უსაყვედურა:

– რატომ შეეხე იმ ქალს? მას ხომ შენი ცდუნება შეეძლო! მამაკაცისა და ქალის ასეთი სიახლოვე დაუშვებელია!

თანამგზავრმა მშვიდად უპასუხა:

– ჩემო მეგობარო, მე ის ქალი ხელით სულ ერთი წუთი ვატარე, წყალზე გადავიყვანე და დავეხსენი. შენ კი ვერა და ვერ იშორებ თავიდან და ახლაც თან დაატარებ...

– სწორედ იმ კაცსა ჰგავს ზოგიერთი ადამიანი, – თქვა შამსმა, – ისინი თავიანთ შიშსა და უკეთურ მიდრეკილებებს მხრებით დაათრევენ და ამ ტვირთის ქვეშ ისრისებიან. ჰოდა, თუ კიდევ გაიგე მსგავსი რამ, იმ ხალხს უთხარი, პირველ რიგში ტვინი გამოირეცხონ!

ელა

2008 წლის 15 ივნისი, ნორთჰემპტონი

„საყვარელო ელა!

შენ სულ მეკითხები, სუფი როგორ გახდიო. ეს ერთი ხელის მოსმით არ მომხდარა. ჩემი ნამდვილი სახელია კრეგ რიჩი. დავიბადე შოტლანდიის ჩრდილოეთში, ზღვისპირა სოფელ კინლოხბერვიში.

როცა წარსულზე ვფიქრობ, სიყვარულით ვიხსენებ მეთევზეთა ნავებს, თევზით სავსე ბადეებს, ზედ გველებივით დაკიდებულ წყალმცენარეებს, ნაპირზე მოხტუნავე, ჭიაღუების კენკვით გართულ მექვიშიებს, აქაიქ, სრულიად მოულოდნელ ადგილებში ამოზრდილ თავყვითელებს და ზღვის მკვეთრ, მლაშე სურნელს, რომელიც ამ ყველაფერს ახლდა. ეს სუნი, მთებისა და ტბების სუნსა და ომის შემდგომი ევროპის მშვიდი ცხოვრების წესთან ერთად ჩემი ბავშვობის თანამდევი იყო.

ცოტა ხანში სამოციანი წლებიც დაგვატყდა თავს და მსოფლიო სტუდენტური დემონსტრაციების, თავდასხმების, გატაცებებისა და რევოლუციების სარბიელად გადაიქცა. მე კი, ამ ყველაფერს სრულიად მოწყვეტილი, ჩემს მწვანე, იდილიურ სავანეში ვიყავი შეყუჟული.

მამაჩემი ბუკინისტური მაღაზიის მეპატრონე იყო, დედაჩემი კი ჯიშიანი ცხვრის მოშენებით იყო დაკავებული. ბავშვობაში ორივეს ზეგავლენას განვიცდიდი, მწყემსის მარტოსულობაც იყო ჩემში და წიგნით მოვაჭრის ფიქრიანი ხასიათიც დამყოლოდა. ავიდოდი ხოლმე ერთ ბებერ ხეზე და იქიდან ვათვალიერებდი არემარეს.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელ ცხოვრებას აქ გავატარებდი. ხანდახან გული თავგადასავლებისაკენ მიწევდა, მაგრამ იქაურობაც ძალიან მიყვარდა და ასეთი დაგეგმილი ცხოვრებით სავსებით კმაყოფილი ვიყავი. რა ვიცოდი მაშინ, რომ ღმერთს ჩემთან დაკავშირებით სხვა გეგმები ჰქონდა...

ოცისა რომ შევსრულდი, ორი ფაქტის პირისპირ აღმოვჩნდი, რომლებმაც ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. პირველი იყო პროფესიული ფოტოაპარატი. ფოტოგრაფიის კურსებზე დავიწყე სიარული. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ საქმე უბრალო ჰობისთან არ მქონდა, რომ ის მომავალში ნამდვილ ვნებად მექცეოდა. მეორე კი იყო სიყვარული. ჰოლანდიელი ქალი გავიცანი, რომელიც მეგობრებთან ერთად ევროპაში მოგზაურობდა. მას მარგო ერქვა.

ეს ლამაზი, თავნება ქალი რვა წლით იყო ჩემზე უფროსი. თავი ბოჰემური ცხოვრების მიმდევრად, იდეალისტად, რადიკალად, ბისექსუალად, მემარცხენედ, ინდივიდუალისტად, ანარქისტად, მულტიკულტურისა და კონტრკულტურების დიდ ქომაგად, ადამიანის უფლებათა დამცველად და ეკოფემინისტად მიაჩნდა. იმ დროს ვინმეს რომ ეკითხა, ამ ტერმინების მნიშვნელობაც კი არ ვიცოდი...

მე კიდევ ერთ „წოდებას“ ვუბოძებდი მას: ქალიქანქარა, რომელიც დროის უმოკლეს მონაკვეთში ხან ერთ ემოციას მიაწყდებოდა, ხან კი მეორეს, სრულიად საპირისპიროს. დიდი სიხარული რამდენიმე წუთში უსაშველო დეპრესიით ეცვლებოდა. ეს იყო მოულოდნელობის განსახიერება. ერჩოდა ყველაფერს, რაც „ბურჟუაზიული ცხოვრების წესად“ მიაჩნდა, ყოველ წვრილმანს კრიტიკული თვალით უყურებდა და საზოგადოებას ნამდვილ ომს უცხადებდა.

დღემდე საიდუმლოა ჩემთვის, რატომ არ გავექეცი. პირიქით, ბოლომდე ჩამიყოლია ამ დინამიკური, დაუდგრომელი პიროვნების ხიბლმა.

საერთოდ, ეს იყო თვისებებისა და მისწრაფებების წარმოუდგენელი კომბინაცია: ერთი მხრივ რევოლუციური იდეები, მოუთოკავი გამბედაობა და ორიგინალურობა, მეორე მხრივ კი ბროლისდარი სიმყიფე და დაუცველობა... ჩემს თავს პირობა მივეცი, გვერდიდან არ მოვცილებოდი და დამეცვა არა მხოლოდ გარე სამყაროს, არამედ საკუთარი თავისაგანაც.

მკითხავ, ალბათ, მას თუ ვყვარებივარ ოდესმე ისე, როგორც მე მიყვარდა? არა მგონია. თუმცა, ალბათ, ჰქონდა გულში რაღაც თავისებური, ეგოისტური სიყვარული როგორც თვითგანადგურების კიდევ ერთი გამოხატულება.

აი, ასე ამოვყავი თავი ოცი წლის ჭაბუკმა ქალაქ ამსტერდამში. ჩვენ იქ დავქორწინდით. მარგომ ევროპაში პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული მიზეზებით ჩამოსული დევნილების დახმარებას მიჰყო ხელი და ამ საქმიანობას მთლიანად მიუძღვნა თავი. მისი ორგანიზაცია ცხელი წერტილებიდან ჩამოსული და ჰოლანდიაში ფეხმოკიდებული ემიგრანტების პრობლემებითა და დაზარალებულთა დახმარებით იყო დაკავებული. მარგო ამ ადამიანების მფარველი ანგელოზი იყო. ინდონეზიიდან, სომალიდან, არგენტინიდან, პალესტინიდან ჩამოსულ ოჯახებში ახალშობილ ქალიშვილებს მის სახელს არქმევდნენ. რაც შემეხება მე, ასეთი დიადი მიზნები ნაკლებად მაინტერესებდა.

ბიზნესსკოლის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო კომპანიაში დავიწყე მუშაობა და ძირითადად კარიერით ვიყავი დაკავებული. მარგოს ჩემი თანამდებობა და ხელფასი არ აინტერესებდა, რაც კიდევ უფრო მეტად აღმიძრავდა კარიერისტულ მადას. ძალაუფლების წყურვილით ვიყავი შეპყრობილი. მსურდა, მნიშვნელოვან საქმეებს შევჭიდებოდი. დაგეგმილ ცხოვრებაზე ვოცნებობდი. ორ წელიწადში შვილებიც უნდა გაგვეჩინა. ჩემს წარმოდგენას იდეალურ ოჯახზე ორი პატარა გოგო აგვირგვინებდა. მწამდა, რომ მშვენიერი მომავალი გველოდა. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ყველაზე დაცულ ადგილას ვცხოვრობდით და არა რომელიმე არეულ ქვეყანაში, რომლებიც მოშლილი ონკანივით რწყავენ ევროპის კონტინენტს ემიგრანტთა უწყვეტი ნაკადით. ახალგაზრდები და ჯანმრთელები ვიყავით, ერთმანეთი გვიყვარდა. არაფერი გვემუქრებოდა თითქოს... არც კი მჯერა, რომ ახლა ორმოცდათოთხმეტი წლის ვარ, მარგო კი ცოცხალი აღარ არის.

ეს ქალი იყო ფიზიკური სიჯანსაღის განსახიერება, თავგადადებული ვეგეტარიანელი (თანაც იმ დროს, როცა ესტერმინი არც კი არსებობდა!). მხოლოდ სასარგებლო საკვებს ეტანებოდა, ყოველდღიურად ვარჯიშობდა და წამლებს თავს არიდებდა. მისი ანგელოზური სახეც სიჯანსაღეს ასხივებდა. ტანად სიფრიფანა იყო, ხმელხმელი, მოძრავი და მოქნილი. თავს ისე უვლიდა, რომ მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, მე უფროსად გამოვიყურებოდი.

სრულიად მოულოდნელი, პროზაული სიკვდილი ხვდა წილად. ერთხელ შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა, რუს ჟურნალისტთან ვიზიტის შემდეგ, რომელმაც ჰოლანდიას თავშესაფარი სთხოვა. შუა გზაზე მანქანა გაუფუჭდა. და აი, ეს საკმაოდ კანონმორჩილი ქალი სრულიად მოულოდნელ ნაბიჯს დგამს: იმის მაგივრად, რომ ფარები ჩაერთო და დახმარებას დალოდებოდა, მანქანიდან გადმოვიდა და მახლობელ სოფელში ფეხით წასვლა გადაწყვიტა. ტანთ მოყავისფრო-ნაცრისფერი წყალგაუმტარი საწვიმარი და მუქი ფერის შარვალი ეცვა. არც ფარანი ეჭირა და არც რამე ისეთი, რაც მძღოლს თვალში მოხვდებოდა. იუგოსლავიიდან მომავალმა ტრაილერმა გაიტანა. მძღოლი ამტკიცებდა, რომ ვერ შეამჩნია.

ასე წამგლიჯა ხელიდან მარგო ღამემ...

ერთ დროს უბრალო ბიჭი ვიყავი. სიყვარულმა თვალი ამიხილა და უფრო სისხლსავსე ცხოვრება დამანახვა. საყვარელი ქალის დაკარგვის შემდეგ კი ნირი ვიცვალე. უკვე აღარც ბიჭი ვიყავი და აღარც მოწიფული მამაკაცი. ხაფანგში მომწყვდეულ ცხოველად ვიქეცი... ჩემი ცხოვრების ამ ეტაპს სიტყვა სუფის შემადგენელ ასო ს-სთან შეხვედრას ვუწოდებ.

იმედია, თავი არ შეგაწყინე ასეთი გრძელი წერილით.

სიყვარულით, აზიზი“.

უდაბნოს ვარდი, მეძავი

1246 წლის იანვარი, კონია

ბორკილდადებულივით ვიყავი იმ დღეებში... მეჩეთში ატეხილი ალიაქოთის შემდეგ პატრონი გარეთ ფეხს აღარ მადგმევინებდა. მგონი, სამუდამოდ მიპირებდა აქ დასამარებას, მაგრამ ეს დიდად არ მადარდებდა. სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს რაღაც უგრძნობი გავხდი.

ყოველ დილით სულ უფრო ფერმკრთალდებოდა სახე, რომელსაც სარკეში ვუყურებდი. აღარც თმას ვივარცხნიდი და აღარც ღაწვებს ვიჩქმეტდი, რომ ოდნავ ფერზე მოვსულიყავი. გოგოები მსაყვედურობდნენ, რას დაემსგავსე, მუშტარს გვიფრთხობო!

რა მეთქმოდა? ალბათ, მართლები იყვნენ...

ამიტომ გამიკვირდა, როცა ამბავი მომირბენინეს, არიქა, გაიქეცი, ვიღაც ბობოლა მუშტარი გკითხულობს, გინდათ თუ არა, უდაბნოს ვარდი მომგვარეთო. მივედი და რას ვხედავ: ბაიბარსი არ აღმოჩნდა?!

– ეგზომ პატივცემულ წესრიგის დამცველს საროსკიპოში რა ესაქმება? – ვკითხე, როცა ოთახში მარტონი დავრჩით.

– როსკიპს თუ მეჩეთში შეესვლება, ჩემი აქ მოსვლა რაღა გასაკვირია? – ნიშნი მომიგო იმწამსვე.

– დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით ჩამქოლავდი იმ დღეს. ჩემს გადარჩენას შამს თებრიზს უნდა ვუმადლოდე, – ვუთხარი მე.

– ნუ მიხსენებ მაგ საზიზღარს. ეგ კაცი მწვალებელია!

არც კი ვიცი, რამ წამომიარა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და მივახალე:

– არაფერი შეგეშალოს! რომ იცოდე, იმის შემდეგ შამსმა არაერთხელ აქაც მომაკითხა!

– ჰეჰეჰე! დავრიში საროსკიპოებში დაიარება. უყურე შენ!.. – გადაიხარხარა ბაიბარსმა.

– სულ ტყუილად გგონია, რომ იმისთვის მოვიდა, – ვუპასუხე მე.

შამსის სტუმრობა არავისთვის გამიმხელია და რაღა ბაიბარსს გავანდე, მე თვითონაც მიკვირდა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში შამსი მართლაც ყოველკვირა მაკითხავდა. როგორ ახერხებდა სხვების (განსაკუთრებით ჩვენი ქოფაკი პატრონის) შეუმჩნევლად აქ შემოპარვას, წარმოდგენა არ მქონდა. ბევრი, ალბათ, შავ მაგიას მიაწერდა ამას, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ასე არ იყო.

კარგი კაცია შამსი. რწმენის კაცი... გამორჩეული ნიჭით ცხებული... თანაც ასე გულიანად ცხოვრებაში არავინ მომქცევია, დედის გარდა. სწორედ მან მასწავლა ჭირში გამაგრება. როცა ვეუბნები, ჩემნაირებისათვის წარსულის დავიწყება შეუძლებელია- მეთქი, თავის ერთერთ წესს შემახსენებს ხოლმე:

„წარსული განვლილ დღეთა ჩვენეული ხედვაა, მომავალი კი ილუზია. სამყარო წარსულიდან მომავლისკენ სწორხაზოვნად როდი მიჰყვება დროის დინებას; დრო ჩვენი გავლით და ჩვენსავე შიგნით უსასრულოდ, სპირალისებურად მოძრაობს. მარადისობა უსასრულო დროს როდი ნიშნავს, არამედ უდროობას. თუ გსურს, ეზიარო მარადისობის ნათელს, გონებიდან ამოიშალე წარსულიცა და მომავალიც და სამუდამოდ დარჩი აწმყოში“.

ყოველთვის მეუბნება ხოლმე: „აწმყო ერთადერთია, რაც არის და მარადჟამს იქნება. იმ დღიდან, რაც ამ ჭეშმარიტებას გაითავისებ, აღარაფრის შიში აღარ შეგაწუხებს და ამ საროსკიპოს დატოვებასაც იოლად შეძლებ...“

ბაიბარსი ყურადღებით მაკვირდებოდა და თან მარჯვენა თვალი გვერდზე გაურბოდა, თითქოს ჩვენთან ერთად ოთახში კიდევ ვიღაც უჩინარი ეგულებოდა. მზარავდა ეს კაცი. მივხვდი, რომ მასთან შამსი აღარ უნდა მეხსენებინა. გავჩუმდი და ლუდით სავსე ტოლჩა მივაწოდე. უცებ გადაკრა, შემდეგ მეორე ტოლჩაც დააყოლა და მითხრა:

– ერთი ეს მითხარი, რა ხარ ასეთი განსაკუთრებული? თუმცა, თითო რაღაცის ნიჭი, ალბათ, აქაურ გოგოებს, ყველას გაქვთ. მაგალითად... მუცლით როკვა თუ გეხერხება?

– არა, ნიჭით ვერ დავიკვეხნი. რაც მქონდა, ისიც დავკარგე, რადგან ავად ვარ და კაცმა არ იცის, რა მჭირს, – ვუპასუხე მე.

პატრონს რომ გაეგო, მუშტართან ასეთი რამეები წამომცდა, ალბათ არ მაცოცხლებდა, მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო. მართალი გითხრათ, სადღაც, გულის კუნჭულში, იმედი მრჩებოდა, იქნებ შეეშინდეს და ღამე სხვა ქალთან გაატაროსმეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მხრები აიჩეჩა და ჩემთვის სულერთიაო, განაცხადა. გული შემიღონდა ამის გამგონეს...

მერე ქისა ამოიღო, ხელისგულზე მოწითალოყავისფერი ფხვნილი გადმოიყარა, პირში ჩაიდო, ზანტად გაღეჭა და მკითხა.

– არ გინდა?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. კარგად ვხვდებოდი, რაც იყო.

– ეჰ, რომ იცოდე, რა სიამოვნებას იკლებ, – უტიფრად ჩაიცინა და ლოგინზე წამოგორდა. წამიც და უკვე ამქვეყნად აღარ იყო...

იმ საღამოს ლუდითა და კანაფით გალეშილმა ბევრი რამ მიამბო ომსა და იქ ნანახ საშინელებებზე. თავისი საგმირო საქმეებიც არ დავიწყებია; მერე კი ბრძანა:

– ჩინგიზ ყაენი მკვდარია. მისი სხეული მიწაში ლპება, მაგრამ მისი აჩრდილი ახლაც თან ახლავს მონღოლთა სპას და აქეზებს, რომ ქარავნები ძარცვონ, სოფლები ააწიოკონ, დაუნდობლად ჟლიტონ ქალი და კაცი...

ამის შემდეგ ზამთრის ერთი სუსხიანი ღამის ამბავიც მიამბო და აღწერა, დახოცილი და სულთმობრძავი ჯარისკაცებით მოფენილ ბრძოლის ველს თბილი საბანივით როგორ გადაეფარა დუმილის საბურველი.

– ამქვეყნად ყველაზე მშვიდობიანი ხმა არის სიჩუმე, რომელიც ხოცვაჟლეტას მოჰყვება... – დაასკვნა ბოლოს.

ენას ძლივს აბრუნებდა...

– სევდას მგვრის ამის გაგონება, – ვთქვი მე.

არაფერი მიპასუხა. აღარც ჰქონდა ლაპარაკის თავი. არც აღარაფერი იყო სალაპარაკო. ხელი მტაცა, საწოლზე დამაგდო და კაბა გამხადა. თვალები ჩაუსისხლიანდა, ხმა ჩაეხლიჩა. ბანგის, ოფლისა და მრუშობის სუნი შემომაფრქვია. მერე უხეშად, მტკივნეულად შემოიჭრა ჩემს სხეულში. ვცდილობდი, ხელიდან დავსხლტომოდი, მაგრამ მკერდზე ისეთი ძალით დამაჭირა ხელები, ვეღარ გავინძერი.

დიდხანს ბორგავდა და ტოკავდა ძაფებზე გამობმულ თოჯინასავით. თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი არ ასვენებდა. ვერა და ვერ დაკმაყოფილდა, ამიტომ მეგონა, კიდევ დიდხანს არ მომეშვებოდა, მაგრამ ჩემდა სასიხარულოდ, როგორც იქნა, დაცხრა. ჯერ კიდევ ჩემს სხეულზე მოკრულმა ისეთი სიძულვილით შემომხედა, თითქოს უსაზღვროდ ეზიზღებოდა ეს სხეული, რომელიც წუთის წინ ასე აღელვებდა.

– ჩაიცვი რამე, – მითხრა და ზურგი მაქცია.

კაბა გადავიცვი. თან თვალს მისკენ ვაპარებდი.

ხელმეორედ გამოიტენა პირი კანაფით და ყბაგამობერილმა ამოილუღლუღა:

– დღეიდან ჩემი საყვარელი იქნები.

მუშტრისაგან ასეთი მოთხოვნა სულაც არ იყო გასაკვირი. ასეთ დროს არ ვიბნეოდი. ვიცოდი, თავი უნდა მომეჩვენებინა, რომ სიხარულით ცას ვეწიე, რომ ერთი და იმავე მამაკაცის მომსახურება ჩემთვის ბედნიერება იყო და რომ ამ წინადადებაზე სიამოვნებით ვთანხმდებოდი, მხოლოდ იმ პირობით, თუ ფულს არ დაიშურებდა და ჩვენს პატრონს კარგად მოთაფლავდა. მაგრამ ამჯერად მსახიობობის ხასიათზე ნამდვილად არ ვიყავი და ვუთხარი:

– ეგ საქმე არ გამოვა. მალე აქედან მივდივარ.

ისეთი ხორხოცი ატეხა, თითქოს ამაზე სასაცილო არასდროს არაფერი გაეგო.

– მაგას ვერ იზამ! – მითხრა დარწმუნებით.

ვიცოდი, რომ ამ კაცთან კინკლაობა არას მარგებდა, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე და ვუთხარი:

– მე და შენ დიდად არ განვსხვავდებით. ორივეს ისეთი რამეები გვაქვს ჩადენილი, რასაც ახლა ძალიან ვნანობთ. მაგრამ შენ გავლენიანი ბიძის წყალობით თანამდებობა ჩაიგდე ხელში, მე კი ზურგს არავინ მიმაგრებს.

ბაიბარსი გაქვავდა. ჩვეულებრივ ცივი და არაფრის მთქმელი თვალები რისხვით აევსო. გადმოიხარა, თმით დამითრია და მიღრიალა:

– შენ რა, კარგმა მოპყრობამ გაწყინა? ვინ გგონია შენი თავი?!.

რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ უეცარმა ტკივილმა სიტყვა გამაწყვეტინა. ბაიბარსმა ისეთი სილა გამაწნა, რომ კედელს მივენარცხე. ეს არ იყო პირველი შემთხვევა. მუშტარს ადრეც ვუცემივარ, მაგრამ არა ასე სასტიკად. იატაკზე დამხობილს წიხლებით შემდგა, გვერდებსა და ფეხებში მირტყამდა და გაუგონარი სიტყვებით მთათხავდა. სწორედ მაშინ დამეუფლა ეს უცნაური გრძნობა: ტკივილისაგან მოკუნტულს უცებ მომეჩვენა, რომ ჩემი სული (ან გნებავთ, ის, რაც სულად მეჩვენებოდა) ცემისაგან დაოსებულ და ყოველი ახალი დარტყმისაგან ლამის ნაწილებად დაშლილ სხეულს მოსცილდა და ცაში ფრანივით ლაღად და თავისუფლად აიჭრა. ცოტაც და უკვე მსუბუქ ეთერში დავფარფატებდი. თითქოს რაღაც უჩინარმა ძალამ სრულ სიცარიელეში გადამისროლა, სადაც სიმშვიდე სუფევდა, სადაც არავის ვებრძოდი და არსად მიმეჩქარებოდა. უბრალოდ, ვნავარდობდი... ზემოდან დავყურებდი ახალაღებულ ყანებს, გლეხის გოგოების ქარში აფრიალებულ თავსაფრებს, აქა-იქ ჩინური ფარნებივით მოციმციმე ციცინათელებს. ეს მდგომარეობა ვარდნას ჰგავდა, ოღონდ, ზევით, უძირო ზეცაში...

თუ ვკვდები, სიკვდილი მშვენიერი რამ ყოფილა და მისი სულ ტყუილად შინებიათ-მეთქი, ვფიქრობდი. ერთმანეთის მიყოლებით მშორდებოდა ყველა დარდი. რაღაც მსუბუქ, სუფთა, ჯადოსნურ არეში ამოვყავი თავი და ასე მეგონა, ძირს ვერანაირი ძალა ვეღარ დამანარცხებდა. უცებ მივხვდი, რომ სამუდამოდ გავცდი შიშისა და დარდის საუფლოს, გვერდი ავუარე ისე, რომ წარბიც არ შემიხრია.

ნუთუ საროსკიპოს ამდენ ხანს ხორციელი ტანჯვის შიშით ვერ ვტოვებდი? რაკი სიკვდილის შიშს ვძლიე, ამ ცოდვის ბუდის დატოვებასაც ადვილად შევძლებ-მეთქი, ვფიქრობდი გულმოცემული. შამს თებრიზი მართალი აღმოჩნდა. სიბინძურე შიგნით გვაქვს მხოლოდ...

თვალები დავხუჭე და თვალწინ წარმომიდგა ჩემი მეორე „მე“: ხალასი, სინანულით აღსავსე, გაახალგაზრდავებული, საროსკიპოდან გაქცეული და ახალი ცხოვრებისაკენ მიმქროლავი. ნათლად წარმოვიდგინე, როგორი ნორჩი და სახეგაცისკროვნებული ვიქნებოდი, ცხოვრებას რომ მეტი სიყვარული ეწილადებინა ჩემთვის, ძალადობისთვის რომ არ გავემეტებინე...

ეს ხილვა ისეთი მიმზიდველი და ხელშესახები იყო, უნებურად გამეღიმა, მიუხედავად იმისა, რომ მასისხლიანებდნენ და ნეკნებს მიმტვრევდნენ.

კიმია

1246 წლის იანვარი, კონია

ბევრი ვიწრიალე იმ დღეს. მოუსვენრობისგან ოფლმაც კი დამასხა. ბოლოს მოვიკრიბე მხნეობა და შამს თებრიზს გამოველაპარაკე. მანამდეც ერთი სული მქონდა, ყურანის ღრმა წაკითხვაზე გავსაუბრებოდი და ბევრი რამ მეკითხა, მაგრამ რამდენიმე კვირა ისე გავიდა, ვერა და ვერ შევხვდით ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით.

მაგრამ იმ დილით სწორედ ისეთ დროს გამოვიდა სახლიდან, როცა ეზოს ვგვიდი. მარტო იყო და ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი, ასე რომ, ამჯერად ხანგრძლივი საუბარიც მოვახერხე მასთან და თვალებშიც ჩავხედე.

– როგორ არის საქმე, კიმია, საყვარელო? – მხიარულად მკითხა მან.

რაღაც უცნაური გარინდება შევნიშნე. თითქოს ძილიდან ან მორიგი ხილვიდან ვერ გამორკვეულიყო. ხილვები რომ ჰქონდა (თანაც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით რომ მოუხშირდა), ვიცოდი და ყოველ ჯერზე ადვილად ვატყობდი კიდეც: ასეთ დროს ფერს კარგავდა და მზერა ებინდებოდა.

– ქარბუქი იქნება, – ჩაიბუტბუტა შამსმა და ცას ახედა.

ჰაერში უკვე ტრიალებდნენ მონაცრისფრო ფანტელები, პირველი თოვლის მაცნეები. მივხვდი, რომ სწორედ ახლა იყო დრო. აღარ დავაყოვნე და ფრთხილად შევაპარე შეკითხვა, რომელიც ამდენ ხანს მოსვენებას არ მაძლევდა:

– გახსოვს, რომ მითხარი, ყურანს ყველა მკითხველი სხვადასხვანაირად აღიქვამს, იმის მიხედვით, რამდენად ღრმა ხედვა აქვსო?.. მას შემდეგ სულ მინდა გკითხო მეოთხე შრის შესახებ, მაშინ რომ ახსენე...

შამსი ჩემკენ მოტრიალდა და ჯიქურ შემომხედა. მიყვარდა მისი ეს გამოხედვა. ასე პირმოკუმული და კოპებშეკრული კიდევ უფრო მოხდენილი მეჩვენებოდა.

– მეოთხე შრეზე არაფერი ითქმის, – მიპასუხა მან, – როცა სიყვარულის სამფლობელოში შედიხარ, ენა გღალატობს. მეტსაც გეტყვი: იგი ზედმეტი ბარგი ხდება.

– ნეტავ მე თუ მეღირსება იქ ფეხის შედგმა... – წამომცდა უცებ, მაგრამ ჩემივე სიტყვების შემრცხვა, – იმის თქმა მინდოდა, ნეტავ ყურანში უფრო ღრმად ჩამახედა-მეთქი.

შამსს იდუმალი ღიმი მოადგა ბაგეზე და მითხრა:

– თუ შენში ეს არის და სურვილიც გექნება, დარწმუნებული ვარ, შეძლებ. ჩაყვინთავ მეოთხე დინებაში და თავად იქცევი დინებად.

ისევ მეწვია ის მივიწყებული გრძნობა, რომელსაც მხოლოდ შამსი აღმიძრავდა. მის გვერდით თავს ბავშვადაც ვგრძნობდი და მოწიფულ ქალადაც, რომელიც მზად არის, მუცლით ახალჩასახული სიცოცხლე ატაროს.

– რას გულისხმობ, როცა ამბობ, შენში არისო? – ვკითხე მე. – ხვედრს?

– დიახ, სწორად მიმიხვდი, – თავი დამიქნია შამსმა.

– როგორ ფიქრობ, რა არის ხვედრი?

– ძნელი სათქმელია, რა არის ხვედრი. შემიძლია მხოლოდ გითხრა, რა არ არის. აი, ერთ წესს გეტყვი და პასუხიც ეს იქნება: „ხვედრი არ ნიშნავს იმას, რომ შენი ცხოვრება ვიღაცის მიერ წინასწარ არის განსაზღვრული. უმეცარია ის, ვინც ბედს ბრმად მიენდობა და სამყაროს მუსიკას თამამად არ ააყოლებს ხმას. სამყაროს მუსიკა ყველგან აღწევს, ყველაფერს მსჭვალავს. იგი ორმოც სხვადასხვა დონეზე ითხზვება. ხვედრიც, ალბათ, სწორედ ის დონეა, რომელზეც შენ საკუთარ ჰანგს დაუკრავ. შეიძლება საკრავი არასოდეს შეცვალო, მაგრამ როგორ დაუკრავ, ეს მხოლოდ შენ ხელთაა“.

როგორც ჩანს, შემატყო, რომ რეტდასხმული ვიდექი და განმარტება მჭირდებოდა. ამიტომ ხელი მომკიდა, ნაზად მომიჭირა, თავისი მეტყველი, შავი თვალები შემომანათა და მითხრა:

– ნება მიბოძე, ერთი ამბავი მოგითხრო.

და აი, რა მიამბო მან:

ერთხელ ახალგაზრდა ქალმა დავრიშს ჰკითხა, ბედისწერა რა არისო.

– გამომყევი. ერთად შევავლოთ თვალი ქვეყანას, – უთხრა დავრიშმა.

ცოტა გაიარეს და ბრბოს შეეჩეხნენ. მკვლელი ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ. დავრიშმა თქვა: ეს კაცი ახლა დაისჯება, მაგრამ საკითხავია, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ვიღაცამ ფული მისცა და ამ ფულით სასიკვდილო იარაღი იყიდა? თუ იმიტომ, რომ არავინ გააჩერა იგი, როცა დანაშაულს სჩადიოდა? ან იქნებ იმიტომ, რომ ამის შემდეგ ვიღაცამ დაიჭირა? სად არის ამ შემთხვევაში მიზეზი და შედეგი?

ვეღარ მოვითმინე და გავაწყვეტინე.

– ეს კაცი იმიტომ უნდა ჩამოახრჩონ, რომ საშინელება ჩაიდინა. მან პასუხი უნდა აგოს ამისთვის. მიზეზიც აქ გახლავს და შედეგიც. არსებობს ბოროტება და არსებობს სიკეთე. ავ-კარგის გარჩევა უნდა შეგვეძლოს.

– ეჰ, ჩემო კიმია, მიპასუხა შამსმა რატომღაც დაღლილი, მისუსტებული ხმით, როგორ გიყვარს ეს ზუსტი განსაზღვრებები. ასე გგონია, ისინი ცხოვრებას აიოლებს. არადა, ვშიშობ, არ არის ყველაფერი ასეთი იოლი.

– მკაფიო განსაზღვრებებს თვითონ ღმერთი ითხოვს ჩვენგან, – ვცადე შეპასუხება, – სხვაგვარად აღარ იარსებებდა ისეთი ცნებები, როგორიცაა ჰარამი და ჰალალი. არ იქნებოდა არც ჯოჯოხეთი და არც სამოთხე. ადამიანებს ჯოჯოხეთით რომ არ აფრთხობდნენ და სამოთხით არ ამხნევებდნენ, რას დაემსგავსებოდა ეს ქვეყანა?

ამასობაში ქარმა წამოუბერა და ფიფქები ჰაერში ააცეკვა. შამსი ჩემკენ გადმოიხარა და თავსაფარი გამისწორა. კვლავ მეცა მისი სხეულის სუნი. ეს იყო სანდალის ხისა და ქარვის რბილი სუნი, რომელსაც შიგადაშიგ ნაწვიმარი მიწის ხამი და მქისე სუნი დაჰკრავდა. შიგნით ყველაფერი მიხურდა. ფეხებს შორისაც ტალღებად მივლიდა სითბო. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ თან მეხამუშებოდა ეს ყველაფერი და თან არა.

– სიყვარული საზღვრებს არ ცნობს, – მითხრა შამსმა და თვალებით მომეფერა.

რას გულისხმობდა? ღვთის სიყვარულს თუ ქალისა და მამაკაცის ტრფიალს? ჩვენ ორს გვეხებოდა ეს სიტყვები თუ სხვა ვინმეს? და საერთოდ, მქონდა თუ არა იმის საფუძველი, რომ ეს სიტყვა („ჩვენ“) ფიქრში გამევლო?

შამსს ჩემთვის არ ეცალა, თავისას განაგრძობდა:

– ჭირს წაუღია ჰარამიცა და ჰალალიც. რომ მიმიშვა, ჯოჯოხეთის ცეცხლს ჩავაქრობდი და სამოთხეს ავაგიზგიზებდი, რათა ადამიანებმა ღმერთი მხოლოდ ერთი მიზეზით სიყვარულის გამო შეიყვარონ.

– ეგ არსად წამოგცდეს. ხალხი ბოროტია. ყველა ვერ გაგიგებს! – ვუთხარი მე. ჩემდა უნებურად წამომცდა ეს გაფრთხილება.

მის სრულ მნიშვნელობას, ცხადია, მაშინ ვერ ვხვდებოდი. შამსმა გაბედულად, მე ვიტყოდი, ვაჟკაცურად გაიღიმა და ჩემი ხელი თავის ცხელ ხელისგულში მოიმწყვდია. მეც მივნებდი...

– იქნებ მართალიც ხარ, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმას მაინც ვერავინ დამიშლის. გარდა ამისა, მწირი გონების ხალხი ისედაც ყრუა. მათ დახშულ ყურებს ისედაც მკრეხელობად ჩაესმით ყველაფერი, რასაც მე ვამბობ.

– მე კი ყოველი შენი სიტყვა თაფლივით მატკბობს, – ვუთხარი უცებ.

შამსმა შემომხედა. მის მზერაში ეჭვთან ერთად გაოცებაც ჩანდა. თუმცა, ჩემმა ნათქვამმა თვითონვე გამაოგნა.

„რამ მათქმევინა ასეთი რამ? ხომ არ შევიშალე? ჯინმა შემიპყრო, თუ რა ხდება?..“

– მაპატიე, უნდა წავიდე, – ვთქვი და წამოვხტი.

სირცხვილით ლოყები მეწვოდა, გული ამოვარდნას ლამობდა. მაღელვებდა ყველაფერი, რაც ჩვენ შორის ითქვა და არ ითქვა... სახლში შევვარდი.

მორჩა! ზღვარს გადავაბიჯე. ამ წუთიდან თვალს ვეღარ დავხუჭავდი იმაზე, რაც მანამდეც ცხადი იყო ჩემთვის: მე შამს თებრიზი მიყვარდა.

შამსი

1246 წლის იანვარი, კონია

ბუნებით მოსდგამს ზოგიერთს უთუოდ უნდა გაგლექსოს ზურგს უკან. სულ მესმის ხოლმე ჩემ შესახებ ჭორები. რაც კონიაში ჩამოვედი, ჩემი თრევის მეტს არაფერს აკეთებენ.

არც მიკვირს...

ყურანი გვეუბნება, რომ ცილისწამება ერთერთი უმძიმესი ცოდვაა, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა სრულიად არ ერიდება მას. ღვინის მსმელსაც განსჯიან, მოღალატე ცოლებზეც ფხიზლად უჭირავთ თვალი და ყოველთვის მზად არიან მათ ჩასაქოლად, მაგრამ როცა საქმე ჭორაობაზე მიდგება (რომელიც ღვთის თვალში გაცილებით მძიმე ცოდვაა), მასში ცუდს ვერაფერს ხედავენ.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მაგონდება:

სუფისთან ვიღაც უცნობი ქოშინით მიიჭრა და უთხრა:

– შეხედე, შეხედე, ლანგრები მიაქვთ!

– მერე, მე და შენ რა შუაში ვართ? როგორ ფიქრობ, ეს ჩემი საქმეა? – ჰკითხა სუფიმ.

– კაცო, შენს სახლში მიაქვთ ლანგრები! – არ ცხრებოდა კაცი.

– მაშინ, როგორ ფიქრობ, ეს შენი საქმეა? – ჰკითხა სუფიმ.

საუბედუროდ, ადამიანები სხვების ლანგრებს ყოველთვის ადევნებენ თვალს. იმის მაგივრად, რომ თავიანთ საქმეს მიხედონ, სხვებს განიკითხავენ. განცვიფრებას ვარ, რას არ მოიგონებენ ხოლმე! მათ წარმოსახვას ხომ საზღვარი არა აქვს, თუ ვინმეს გასვრა და ცილისწამება ჩაიდეს გულში. ვიცი, ამ ქალაქში ცხოვრობს ხალხი, რომლებსაც სჯერათ, რომ მე ასასინების ფარული მეთაური ვარ. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ ალამუთის უკანასკნელი ისმაელიტელი იმამის ვაჟი ვარ. მათ რომ ჰკითხო, შავი მაგიის ისეთი ოსტატი და ისეთი კუდიანი ვარ, რომ ვისაც დავწყევლი, ადგილზე ქვავდება. ზოგი კიდევ უფრო აღმაშფოთებელ ბრალდებას მიყენებს, თითქოს რუმის ჯადო გავუკეთე და ამ ჯადოს ძალა რომ არ დაეკარგოს, ყოველ ცისმარე დღე გველის ნახარშს ვასმევ!

ასეთ სისულელეებს რომ ვისმენ, მეცინება და ვუყრუებ, სხვა რა უნდა ვქნა? დავრიშს რა უნდა დაუშავოს მწარე ენამ? მთელი ქვეყანა რომ წყალმა წაიღოს, იხვისთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ეგ არის, რომ ჩემს ახლობლებს მოსვენება დაეკარგათ. განსაკუთრებით, სულთან ველედს. არადა, გონებაგახსნილი ბიჭია, დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღე მამამისის მარჯვენა ხელი გახდება. აქეთ კიდევ კიმია... ჩვენი საყვარელი კიმია... ისიც შეწუხებული ჩანს.

მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ ტალახი არც რუმის ასცდა. ჩემგან განსხვავებით, ის ძაგებას არ არის შეჩვეული. გული მტკივა, როცა ვუყურებ, როგორ იტანჯება უბირი

ხალხის ავსიტყვაობის გამო. მევლანა შინაგანად ლამაზი კაცია, ჩემში კი სილამაზეც არის და სიმახინჯეც. ამიტომ მე უფრო ადვილად შემიძლია სხვების სიმახინჯისათვის თვალის გასწორება. სად შეუძლია ასეთ განსწავლულ კაცს, რომელიც გონივრულ სჯა-ბაასსა და ლოგიკურ დასკვნებს არის შეჩვეული, ბრბოს უხამსობის ატანა? ტყუილად კი არ უთქვამს მუჰამად წინასწარმეტყველს: „ამქვეყნად სამი ადამიანი გებრალებოდეთ: მდიდარი, რომელმაც სიმდიდრე დაკარგა, პატივცემული კაცი, რომელსაც პატივი მოაკლდა და ბრძენი, რომელიც სულელების გარემოცვაში აღმოჩნდა“.

თუმცა მაინც მგონია, რომ ამ ყველაფერს რუმისთვის სიკეთეც მოაქვს. ცილისწამება მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი რამ არის შინაგანი ფერიცვალებისათვის. რუმის მთელი ცხოვრება ეთაყვანებოდნენ. იგი პატივისცემის, აღტაცებისა და მიბაძვის საგანი იყო. მისი სახელი შეურყვნელი იყო, მას არასოდეს უწვნევია განკიცხულობის, დაუცველობის, მარტოსულობის სიმწარე, რომელიც დროდადრო ყოველ ადამიანს ხვდება ხოლმე წილად. მისი თავმოყვარეობა არასოდეს შელახულა, მისთვის არასოდეს არავის უვნია. მაგრამ მას ეს სჭირდება. რაც უნდა მტკივნეული იყოს, ცილისწამება სუფიურ გზაზე შემდგარი ადამიანისთვის ყოველთვის სასარგებლოა.

აჰა, ისმინე წესი ოცდამეათე:

„ჭეშმარიტი სუფი მოთმინებით იტანს უსამართლო ბრალდებებს, თავდასხმებსა და ლანძღვას, თავად კი არც ერთი სააუგო და ცილისმწამებლური სიტყვა არ წამოსცდება თავის მძაგებლებზე. მოწინააღმდეგე და მეტოქე საიდან ეყოლება, როცა მისთვის საკუთარი თავიც კი აღარ არსებობს? როგორ უნდა დაადანაშაულოს ცალკეული ადამიანი, როცა მისთვის ყველა და ყველაფერი ერთია?“

ელა

2008 წლის 17 ივნისი, ნორთჰემპტონი

„საყვარელო ელა!

ძალიან გამახარე, ჩემი ამბებით რომ დაინტერესდი და მეტის მოყოლას მთხოვ. გულახდილად გითხრა, არა მგონია, ჩემი ცხოვრების შემდგომი პერიოდის აღწერა გამიადვილდეს. მაგრამ მაინც ვცდი:

...მარგოს სიკვდილის შემდეგ ჩემი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. ნარკომანთა წრეში გავითქვიფე, ამსტერდამის ღამის კლუბებს მოვედე და ისეთ დაწესებულებებს შევეჩვიე, რომელთაც ადრე არ ვიცნობდი. ყველაზე მეტ ნუგეშსა და სიმშვიდეს საეჭვო ადგილებში სიარული და მანკიერ ხალხთან სიახლოვე მგვრიდა. ნამდვილი ღამურა გავხდი. სადაც მიღამდებოდა, იქ მითენდებოდა. რამდენიმე თვეში ოცდახუთ გირვანქაზე მეტი დავიკელი.

პირველად, როცა ჰეროინი გავსინჯე, გული ამერია და ისე ცუდად გავხდი, მთელი დღე თავი ვერ ავწიე. ორგანიზმმა არ მიიღო ნარკოტიკი. ეს იყო აშკარა სიგნალი, რომელიც მე ვერ შევნიშნე.

ჩემთვისვე შეუმჩნევლად თანდათან ნემსზე გადავედი. მოკლედ, მარიხუანა, ჰაშიში, კოკაინი ყველაფერი ვცადე, რაც ხელში ჩამივარდებოდა. ცოტა ხანში აღარაფრად ვვარგოდი, არც გონებრივად და არც ფიზიკურად. რასაც ვშოულობდი, ყველაფერს წამალში ვხარჯავდი.

სხვათა შორის, ნარკოტიკის საშუალებით ეფექტური, სანახაობრივი თვითმკვლელობის სხვადასხვა ვარიანტსაც ვგეგმავდი. სოკრატესავით კონიოს დალევაც კი ვცადე, მაგრამ ან მისმა შხამმა არ იმოქმედა ჩემზე, ან იაფფასიანი ჩინური სასადილოს უკანა ეზოში ჩუმად ნაყიდი მუქი ფერის ფხვნილი ერთი ჩვეულებრივი ბალახბულახი იყო და სხვა არაფერი. არ გამოვრიცხავ, რომ მწვანე ჩაის რაღაც ნაირსახეობა მომასაღეს და კარგადაც იცინეს ჩემზე.

დილაობით უცხო ადგილებში, ვიღაცების ლოგინებში ვიღვიძებდი. გვერდით ხან ერთი უცნობი მეწვა, ხან მეორე, მაგრამ შინაგანად თითქოს გამოხრული ვიყავი და ეს გრძნობა არ მშორდებოდა.

ქალები ზრუნვას არ მაკლებდნენ. ზოგი მათგანი ჩემზე ახალგაზრდა იყო, ზოგიც ბევრად უფროსი. მათ სახლებში ვცხოვრობდი, მათ საწოლებში მეძინა, მათ აგარაკებზე ვისვენებდი, მათ გაკეთებულ საჭმელს მივირთმევდი, მათი ქმრების ტანსაცმელი მეცვა, მათი საკრედიტო ბარათებით ვსარგებლობდი, მაგრამ მაინც უარს ვეუბნებოდი სიყვარულის თუნდაც უმნიშვნელო გამოვლინებაზეც კი. არადა, მთხოვდნენ ამას და უდავოდ, იმსახურებდნენ კიდეც.

ცხოვრების ასეთმა წესმა მალე თავისი ქნა. დავკარგე სამსახური, მეგობრები, ბოლოს დავკარგე ბინაც, რომელშიც მე და მარგომ ბედნიერი დღეები გავატარეთ. როცა მივხვდი, რომ ასეთ ცხოვრებას ვეღარ გავუძლებდი, უსახლკაროების მიერ უკანონოდ დაკავებულ ცარიელ სახლში დავბინავდი, სადაც ყველაფერი საერთო იყო. როტერდამში ერთერთ ასეთ სახლს თხუთმეტ თვეზე მეტხანს ვაფარებდი თავს.

უკარო შენობას აბაზანაც კი არ ჰქონდა. ყველაფერი საერთო იყო: სიმღერაც, სიზმარიც, ჯიბის ფულიც, წამალიც, საჭმელიც, ლოგინიც... ყველაფერი, ტკივილის გარდა. წლობით წამალზე შემჯდარმა და გარყვნილებაში ჩაფლულმა ბოლოს მთლად ფსკერზე ამოვყავი თავი და იმ კაცის აჩრდილს დავემსგავსე, რომელიც ოდესღაც ვიყავი.

ერთ დილით, ხელპირის ბანისას, სარკეში ჩავიხედე. ასეთი გამოფიტული და წყალწაღებული ახალგაზრდა კაცი არასოდეს მენახა. ლოგინში ჩავწექი და ბავშვივით ავტირდი.

იმავე დღეს ყუთებიდან მარგოს ნივთები ამოვქექე: წიგნები, ტანსაცმელი, ფირფიტები, ბარათები, სურათები. სათითაოდ ამოვიღე ყველა ეს სახსოვარი და გამოვემშვიდობე. შემდეგ კოლოფებში დავანაწილე და იმ დევნილ ბავშვებს ჩამოვურიგე, რომლებზეც მარგო ასე ზრუნავდა.

ეს იყო 1977 წელს. ღმერთმა გადმომხედა ერთ ცნობილ გეოგრაფიულ ჟურნალში ფოტოგრაფად დამაწყებინეს მუშაობა და ჩრდილოეთ აფრიკაში მიმავლინეს. ერთადერთი ტილოს ჩემოდნის ამარა გავუდექი გზას, შიგ ჩარჩოში ჩასმული მარგოს სურათის მეტი თითქმის არაფერი მედო.

ასე გავექეცი საკუთარ თავს, უფრო სწორად, იმ კაცს, რომლადაც ბოლო წლებში ვიქეცი. საჰარის ატლასში ყოფნისას ერთი ბრიტანელი ანთროპოლოგი გავიცანი. მან საკმაოდ უცნაური აზრი მომაწოდა:

– შენ შეგიძლია გახდე პირველი დასავლელი ფოტოგრაფი, რომელიც სამაჰმადიანოს წმინდა ქალაქებში შეიპარება. რას იტყვი?

თავიდან არც კი მესმოდა, რას მეუბნებოდა. მაშინ დამსვა და ამიხსნა, რომ საუდის არაბეთის კანონების თანახმად, მექასა და მედინაში არამუსლიმს შესვლა ეკრძალებოდა;

ამ ქალაქებში არც ქრისტიანს შეესვლებოდა და არც იუდეველს. სურათების გადაღება მხოლოდ მალულად იყო შესაძლებელი. დაპატიმრების შემთხვევაში ციხე არ აგცდებოდა. არც უარესი სასჯელი იყო გამორიცხული...

ყურები ვცქვიტე. აკრძალულ ტერიტორიაზე შეჭრა, იმის მიღწევა, რაც შენამდე ვერავინ განახორციელა, ადრენალინის კარგა მოზრდილი დოზა... რომ არაფერი ვთქვათ სახელსა და ფულზე, რომელიც ამას მოჰყვებოდა... სხვა რა უნდა მენატრა?

როგორც ფუტკარი ეტანება თაფლით სავსე ქილას, ისე მიმიზიდა ამ იდეამ. ანთროპოლოგმა ისიც მითხრა, რომ ამას მარტო ვერ გავაკეთებდი და გარკვეული კავშირები დამჭირდებოდა. ამიტომ ხსენებული რეგიონის სუფიურ საძმოებთან დაახლოება შემომთავაზა და იმედი გამოთქვა, რომ მათ ამ საქმეზე დაითანხმებდა.

სუფიზმზე არაფერი ვიცოდი და არც მაინტერესებდა. თუ დახმარებაზე უარს არ მეტყოდნენ, სიხარულით გავიცნობდი ამ ხალხს. ჩემთვის ეს მხოლოდ მიზნის მისაღწევი საშუალება იყო. საერთოდ იმ დროს ყველას და ყველაფერს ამ კუთხით ვუყურებდი.

ცხოვრება უცნაური რამ არის, ელა. მექასა და მედინაში არც მაშინ წავედი და არც შემდგომ. შენ წარმოიდგინე, არც მაშინ, როცა ისლამი მივიღე. ბედმა სულ სხვა გზით მატარა. მოულოდნელი მოსახვევებით სავსე, დახლართული გზით. თითოეულმა „მოსახვევმა“ ისეთი ძირფესვიანი, საბოლოო და შეუქცევადი ცვლილება მოახდინა ჩემს არსებაში, რომ თავდაპირველი მიზანი სრულიად უმნიშვნელო გახდა ჩემთვის. თუკი თავიდან მხოლოდ მატერიალური ინტერესი მამოძრავებდა, მოგზაურობის დასასრულს სრულიად სახეცვლილი კაცი ვიყავი.

რაც შეეხება სუფიებს... ვინ იცოდა მაშინ, რომ ის, რაც თავიდან მხოლოდ მიზნის მისაღწევ საშუალებად მიმაჩნდა, სულ მალე მიზანი გახდებოდა? ჩემი ცხოვრების ამ მონაკვეთს სიტყვა სუფის შემადგენელ ასო უსთან შეხვედრას ვუწოდებ.

სიყვარულით, აზიზი“.

უდაბნოს ვარდი, მეძავი

1246 წლის თებერვალი, კონია

ბოროტების ის ბუდე რომ დავტოვე, ქალაქში გაუგონარი ავდარი იდგა. ორმოცი წლის მანძილზე არ მოვსწრებივარ ასეთ სიცივეს. ვიწრო, ჩახლართული ქუჩები ახალდადებული თოვლისაგან ბზინავდა, ლოლუები სამკაულებივით გადმოკიდებულიყო სახლის სახურავებიდან და მინარეთებიდან. შეგზარავდათ ეს

გაშეშებული, ავი სილამაზე. ცოტა ხანში ყინვა ისე გაძლიერდა, რომ ქუჩის კატებს ულვაშები გაეფიჩხათ. ფარღალალა ქოხმახებმა თოვლის სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩამოიქცა. ქუჩის კატების შემდეგ ყველაზე მეტად კონიის უსახლკაროები დაზარალდნენ. ექვსიოდე გაყინული ადამიანი ვნახე იმ დღეს. ყველა მათგანი ისე იყო მოკუნტული, როგორც ნაყოფი დედის საშოში. სახეზე ნეტარი ღიმილი გადაჰფენოდათ, თითქოს ელოდნენ, რომ ხელმეორედ მოევლინებოდნენ ქვეყნიერებას, ოღონდ ამჯერად ბევრად უკეთესს.

ჩემი ოთახიდან შუადღისას გავიპარე, როცა ყველა თვლემდა და საღამოს ციებ-ცხელებისათვის ემზადებოდა. რამდენიმე უბრალო კაბის გარდა თან არაფერი წამიღია. ხელუხლებლად დავტოვე აბრეშუმის სამოსი და სამკაული, რომელსაც განსაკუთრებული მუშტრისათვის ვატარებდი. რაც საროსკიპოში მუშაობით მქონდა შეძენილი, საროსკიპოშივე დარჩა.

კიბე ჩავლილი არ მქონდა, რომ უცებ სადარბაზო კარში მაგნოლიას მოვკარი თვალი. მას ერთი მავნე ჩვევა ჰქონდა: რაღაც ყავისფერ ფოთლებს ღეჭავდა ხოლმე. ახლაც პირს აცმაცუნებდა.

მაგნოლია სხვა გოგოებზე უფროსი იყო და ამ ბოლო დროს კლიმაქსი ტანჯავდა. ღამღამობით გვესმოდა, როგორ ბორგავდა ლოგინში. ვხედავდით, თანდათან ჩადიოდა მისი ქალობის მზე... გოგოები ხუმრობდნენ, ნეტავი ამას, არც სისხლი სდის, არც ორსულობა აწუხებს, არც მუცლის მოშლა სჭირდება და ნებისმიერ მამაკაცთან თავისუფლად კოტრიალობსო, მაგრამ ყველამ ვიცოდით, ასაკოვანი მეძავისთვის თავის გატანა გაცილებით რთული იყო.

მაგნოლია რომ დავინახე, მივხვდი, დიდი არჩევანი არ მქონდა: ან უკან უნდა შევბრუნებულიყავი და გაქცევაზე აღარც მეოცნება, ან გვერდი მშვიდად ამევლო მისთვის და ჩემს გზას დავდგომოდი; მერე კი რაც მოხდებოდა, მოხდებოდა. გულმა მითხრა, რომ მეორე გზა უნდა ამერჩია.

– ჰეი, მაგნოლია, უკეთ ხარ? – ვკითხე მოჩვენებითი უდარდელობით.

ჯერ გაიბადრა, მაგრამ როცა ხელში ჩანთა დამინახა, კვლავ შეკრა კოპები. ტყუილს აზრი არ ჰქონდა. მაგნოლიამ იცოდა, რომ არათუ საროსკიპოს დატოვება, ოთახიდან გამოსვლაც კი აკრძალული მქონდა.

– შენ რა... მიდიხარ?! – ძლივძლივობით ამოთქვა ეს სიტყვა, თითქოს მისი წარმოთქმისაც კი ეშინოდა.

არაფერი ვუპასუხე. ახლა მისი ჯერი იყო. არჩევანი უნდა გაეკეთებინა ან გავეჩერებინე და განგაში აეტეხა, ან გავეშვი.

გამწარებული, ღვარძლით სავსე მზერა მესროლა და დაისისინა:

– ახლავე უკან შებრუნდი, უდაბნოს ვარდო, თორემ ტურისთავას დაგადევნებენ. გაიხსენე, რა დღე დააყენეს...

სათქმელი არ დაუსრულებია. საროსკიპოში ერთი დაუწერელი კანონი იყო: არც ერთ ჩვენგანს ხმა არ უნდა ამოეღო იმ უბედურ გოგოებზე, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობდნენ და ამა თუ იმ მიზეზით დროზე ადრე გამოესალმნენ სიცოცხლეს... და თუ

ათასში ერთხელ ამ შემთხვევებს მაინც გავიხსენებდით, ვცდილობდით, მათი სახელები ხმამაღლა არ წარმოგვეთქვა. არ იყო საჭირო მათი სულების შეწუხება. მათ საკმარისზე მეტი სიმწარე იგემეს და ახლა საფლავში მაინც უნდა დასცლოდათ მშვიდად ყოფნა.

– კარგი, ვთქვათ, მოახერხე და გაიქეცი. თავის რჩენას რითი აპირებ? შიმშილით სული ამოგხდება! – არ მეშვებოდა მაგნოლია.

თვალებში შიში ჩასდგომოდა. განა იმის ეშინოდა, რომ კოვზი ნაცარში ჩამივარდებოდა და პატრონის სასჯელი არ ამცდებოდა; სხვა რამე არ აძლევდა მოსვენებას: ვაითუ, პირიქით, წარმატებისთვის მიმეღწია! მე ხომ იმის გაკეთებას ვაპირებდი, რაზეც თვითონ ყოველთვის ოცნებობდა და რის განხორციელებასაც ვერასოდეს ბედავდა, ამიტომ ახლა ჩემი გაბედულების გამო ერთდროულად პატივსაც მცემდა და ვძულდი კიდეც.

კინაღამ უკან გავბრუნდი, მაგრამ შამს თებრიზის ხმამ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ექოსავით რომ ჩამესმოდა, ადგილზე გამაშეშა.

– გზა მომეცი, მაგნოლია. აქ ერთი დღეც აღარ გავჩერდები.

იმ დღიდან, რაც ბაიბარსმა მცემა და სიკვდილს თვალებში ჩავხედე, ვიგრძენი, რომ ჩემში რაღაც შეიცვალა. თითქოს უკანმოუხედავად, სამუდამოდ დამტოვა შიშმა. აღარაფერი მენაღვლებოდა. გადაწყვეტილი მქონდა: დარჩენილი სიცოცხლე ღმერთისათვის უნდა მიმეძღვნა. რამდენ ხანს ვიცხოვრებდი ერთი დღე თუ ასი წელი ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ერთხელ შამს თებრიზმა მითხრა, რწმენა და სიყვარული უბრალო მოკვდავს დევგმირად აქცევს, რადგან მისი გული ამ დროს შიშისა და შფოთვისაგან თავისუფლდებაო. ამ სიტყვების არსი თანდათან სულ უფრო მკაფიო ხდებოდა ჩემთვის...

და რაოდენ უცნაურიც უნდა ყოფილიყო, ეს მაგნოლიამაც გაიგო. ერთხანს დაღვრემილი, ტკივილით სავსე თვალებით მიყურა, შემდეგ განზე გადგა და გამატარა.

ელა

2008 წლის 19 ივნისი, ნორთჰემპტონი

„საყვარელო ელა!

დიდი მადლობა თანაგანცდისათვის. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ისტორიამ შენზე შთაბეჭდილება მოახდინა და ჩაგაფიქრა.

ჩემს წარსულზე, ჩვეულებრივ, არავის ველაპარაკები ხოლმე. არადა, როცა ეს ყველაფერი შენ გიამბე, უცნაური შვება ვიგრძენი.

1977 წლის ზაფხული სუფიების ერთ ჯგუფთან ერთად მაროკოში გავატარე. თეთრად შეფეთქილი, პატარა და სადად მოწყობილი ოთახი მქონდა. ლეიბი, ზეთის ლამპარი, ქარვის კრიალოსანი, ფანჯრის რაფაზე ქოთნის ყვავილი, ავი თვალის საწინააღმდეგო თილისმა, წაბლის ხის საწერი მაგიდა და მის უჯრაში რუმის ლექსების კრებული სულ ეს დამხვდა ოთახში. არც ტელეფონი, არც ტელევიზორი, არც საათი, არც დენი...

ერთი წუთითაც არ შევწუხებულვარ. მიტოვებულ სახლებში წლობით ცხოვრებას შეჩვეული ვიყავი და მსგავსი გარემო სულ არ მეუცხოებოდა.

პირველივე საღამოს ოსტატმა სამიდმა მომაკითხა და მითხრა, რომ სანამ მექაში წასასვლელად საბოლოოდ მოვემზადებოდი, სიამოვნებით მიმასპინძლებდნენ, მაგრამ... იყო ერთი პირობა: არავითარი ნარკოტიკები!

მახსოვს, ბავშვს რომ ტკბილეულის ქურდობაზე წაასწრებენ, ისე ავპილპილდი. რა იცოდნენ? ჩემს არყოფნაში ჩანთა ხომ არ გამიჩხრიკეს?

არასოდეს დამავიწყდება, ოსტატის სიტყვები, რომლებიც თითქოს ამ ჩემს უხმო შეკითხვებს მოჰყვა პასუხად:

– ჩვენ არ გვჭირდება შენი ჩანთების ჩხრეკა, ძმაო კრეგ, შენ ნარკომანის თვალები გაქვს...

ელა, თუ დამიჯერებ, მანამდე არც კი მიფიქრია, რომ ნარკომანი ვიყავი. მეგონა, რომ სიტუაციას ვაკონტროლებდი და წამალი, უბრალოდ, პრობლემების დაძლევაში მეხმარებოდა.

– სულიერი ტკივილის დათრგუნვა ერთია, განკურნება კი სულ სხვა, – მითხრა ოსტატმა სამიდმა, – გამაყუჩებლის მოქმედება მალე განელდება, ტკივილი კი სამუდამოდ შენთან რჩება.

რა მეთქმოდა, ცამდე მართალი იყო... თავმომწონედ, ყოჩაღად მოვიშორე ყველა წამალი, დასაძინებელი აბებიც კი... მაგრამ ცოტა ხანში მივხვდი, რომ არც ისე გაუტეხელი ვიყავი, როგორც მეგონა. წინ საკმაოდ დიდი გამოცდა მელოდა და მისთვის მოუმზადებელი აღმოვჩნდი.

ოთხი თვის განმავლობაში, რაც ამ პატარა თავშესაფარში დავყავი, პირობა არაერთხელ დავარღვიე. როცა საღ გონებაზე ყოფნას გაბრუება გირჩევნია, ნარკოტიკის შოვნაზე ადვილი არაფერია, თუნდაც უცხო ქვეყანაში.

ერთხელ თავშესაფარს გალეშილი მივადექი. ყველა კარი დაკეტილი დამხვდა. ბაღში მომიწია ღამის გათევამ. მეორე დღეს ოსტატმა სამიდმა არაფერი მკითხა და არც მე დამიწყია თავის მართლება.

ამ სამარცხვინო შემთხვევების მიუხედავად, სუფიებს საკმაოდ კარგად შევეწყვე. მსიამოვნებდა საღამოობით ამ სამყოფელში გამეფებული სიმშვიდე. უჩვეულო გარემო იყო და თან საოცრად წყნარი. ადამიანებთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ახალი ხილი არ იყო ჩემთვის, მაგრამ აქ რაღაც სხვა განცდა დამეუფლა: სულიერი სიმყუდროვე. ერთი შეხედვით კოლექტიურად ვცხოვრობდით. ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით, ერთად ვსაქმიანობდით, მაგრამ სინამდვილეში მთელი ეს ატმოსფერო განმარტოებისა და საკუთარ სულში ჩახედვისაკენ გიბიძგებდა. როცა სუფის გზას ადგახარ, უპირველესად ხალხმრავლობაში განმარტოების ხელოვნებას უნდა დაეუფლო. ამის შემდეგ თვით შენს მარტოობაში აღმოაჩენ ხალხმრავლობას შინაგან ხმებს გაიგონებ.

სანამ მაროკოელი სუფიები მექასა და მედინაში უსაფრთხოდ და მალულად ჩემი გადაყვანის თადარიგს იჭერდნენ, სუფიზმის ფილოსოფიასა და პოეზიას ჩავუჯექი. თავიდან, უბრალოდ, დროის მოსაკლავად ვაკეთებდი ამას, შემდეგ კი სულ უფრო მეტი ინტერესით. მე ვგავდი კაცს, რომელსაც საშინლად სწყურია, მაგრამ ამას იქამდე ვერ

ხვდება, სანამ წყალს არ მოსვამს. როგორც კი სუფიზმის საფუძვლებს გავეცანი, ვიგრძენი, რომ მეტი მწყუროდა.

იმ ზაფხულს წაკითხული წიგნებიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რუმის პოეტურმა კრებულმა მოახდინა.

გადის სამი თვე და უცებ ოსტატი მეუბნება:

– ერთ ვინმეს მაგონებ, კერძოდ, მოხეტიალე დავრიშს, შამს თებრიზს. ეს კაცი ბევრს ნამუსგარეცხილ ერეტიკოსად მიაჩნდა, მაგრამ რუმი მას თავის მზესა და მთვარეს უწოდებდა.

ძალიან დავინტერესდი. მაგრამ ეს არ იყო მოცლილი კაცის ცნობისმოყვარეობა. როცა ოსტატმა შამსი მიხსენა, ტანში გამცრა და დეჟავუს უცნაური გრძნობა გამიჩნდა. ალბათ, გიჟად ჩამთვლი, მაგრამ ღმერთს გეფიცები, იმ წუთებში მართლა ჩამესმოდა აბრეშუმის შრაშუნი. თავიდან თითქოს შორიდან გაისმა ეს ხმა, შემდეგ თანდათან მომიახლოვდა. ვიღაცის ჩრდილიც კი დავინახე, არადა, სრულიად მარტო ვიყავი. რა ვიცი, იქნებ საღამოს ნიავი არხევდა ტოტებს, ან იქნებ ანგელოზები იქნევდნენ ფრთებს...

ასე იყო თუ ისე, ერთ რამეს საბოლოოდ მივხვდი: არსად წასვლა აღარ მჭირდებოდა. აქამდე სულ სადღაც მიმიწევდა გული, სხვაგან ყოფნას ვნატრობდი, სულ სადღაც ვიწევდი, საკუთარ თავს წინ ვუსწრებდი... დავიღალე ამ ყველაფრისგან. ამჯერად სწორედ იქ ვიყავი, სადაც მართლა მინდოდა ყოფნა. ახლა მხოლოდ ერთი რამ მჭირდებოდა: ერთ ადგილას გაჩერება და საკუთარ სულში ჩახედვა.

ჩემი ცხოვრების ამ ახალეტაპს სიტყვა სუფის შემადგენელ ასო ფსთან შეხვედრას ვუწოდებ.

აბა, დროებით, საყვარელო! აზიზი...“

შამსი

1246 წლის თებერვალი, კონია

ბნელი ნათელმა იმ დილით თითქოს ჩვეულებრივზე სწრაფად გაფანტა, რადგან მოვლენებით მდიდარი დღის გათენება მელოდა. მოგვიანებით რუმის ოთახში შევედი და ფანჯარასთან მჯდომს შევუსწარი. ფიქრმორეულს შუბლი შეეჭმუხნა და კრიალოსანს აწვალებდა. ხავერდის ფარდებს ოთახი თითქმის ჩაებნელებინა, მზის ერთადერთი სხივი სოლივით შემოჭრილიყო ოთახში და სწორედ იმ ადგილს ანათებდა, სადაც მევლანა იჯდა. ამიტომ ეს ყველაფერი სიზმარს ჩამოჰგავდა.

ძალიან მაინტერესებდა, რით მიპასუხებდა თხოვნაზე. გულწრფელ განზრახვას დაინახავდა ჩემს საქციელში თუ თავზარი დაეცემოდა და მიწყენდა?

სწორედ მაშინ, როცა ამ მშვენიერი წამის სიმშვიდით ვტკბებოდი და შინაგანად ვთრთოდი, უეცარი ხილვა მეწვია: რუმი ჩემ წინ, ზუსტად იმავე ადგილას იჯდა, მხოლოდ ამჯერად ასაკოვანი და დაუძლურებული. ტანთ მუქი მწვანე ხალათი ემოსა. სახე კიდევ უფრო გაკეთილშობილებოდა, მაგრამ გულზე ნაჭდევივით ეტყობოდა

მოურჩენელი ჭრილობა, რომელსაც ადამიანის მოყვანილობა ჰქონდა; ეს ადამიანი მე გახლდით...

ხილვა ორ რამეს მიმანიშნებდა: რუმი სიბერეს აუცილებლად აქ, მამისეულ სახლში გაატარებდა; ჩემი დაკარგვით მიყენებულ იარას კი მოშუშება არ ეწერა.

ცრემლი მომერია.

– ხომ კარგად ხარ? რაღაც ფერმკრთალი მეჩვენები, – მითხრა რუმიმ.

ნაძალადევად გავუღიმე, მაგრამ ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებდი, ძალიან მძიმე ტვირთად მაწვა მხრებზე, ამიტომ საუბარი რომ დავიწყე, ხმა ამიკანკალდა; ჩემს პასუხს სასურველი დამაჯერებელობა აკლდა:

– არაფერია, უბრალოდ, ძალიან მომწყურდა და წყურვილი ვერაფრით მოვიკალი.

– კერას ხომ არ დავუძახო? – მკითხა რუმიმ.

– არა. ის, რაც მე მჭირდება, ჩვენს სამზარეულოში კი არა, დუქანში მეგულება. დალევა მინდა...

სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე და გავაგრძელე:

– სამზარეულოში წასვლას, იქნებ დუქანში გამეგზავნო?

– იმის თქმა გინდა, რომ ღვინო უნდა გიშოვო? – მკითხა რუმიმ. სიტყვა ღვინის წარმოთქმისას ისეთი სიფრთხილე შევატყვე, თითქოს მყიფე ჭურჭელი ეჭირა ხელში და მისი დამსხვრევის ეშინოდა.

– დიახ, მადლობელი ვიქნებოდი, ცოტა ღვინო რომ მოგეტანა. ორი ბოთლი იკმარებდა. ერთს მე დავლევდი, ერთს კი შენ. მაგრამ ერთი დიდი თხოვნა მაქვს დუქანში რომ შეხვალ, ბოთლებს უცებ ნუ წამოიღებ, გეთაყვა. დარჩი იქ მცირე ხანს და ხალხს გამოელაპარაკე. მე აქ დაგელოდები. ნუ იჩქარებ...

რუმიმ შემომხედა. მის მზერაში ერთდროულად გაღიზიანებაც შევნიშნე და გაოგნებაც. გამახსენდა ბაღდადელი მორჩილი, რომელსაც ჩემი თანამგზავრობა ეწადა, მაგრამ თავის სახელს გაუფრთხილდა და ამის გაკეთება ვერ გაბედა. ახლა ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა, იგივე მიზეზი რუმისაც თუ დაახევინებდა უკან. რა შვება ვიგრძენი, როცა წამოდგა და თავი თანხმობის ნიშნად დამიქნია!

– დუქანში ადრე არასოდეს ვყოფილვარ, ღვინო არასოდეს დამილევია. მე თუ მკითხავ, ღვინის სმა არ არის წესიერი საქციელი, მაგრამ გენდობი; ვენდობი ჩვენს ურთიერთსიყვარულს... რაკი ასეთ რამეს მთხოვ, საამისო მიზეზიც გექნება. მინდა გავიგო, რა მიზეზია. ახლა კი წავალ და ღვინოს მოვიტან.

ამ სიტყვებით დამემშვიდობა და გამეცალა.

ფრთები შემესხა. მუხლებზე დავემხე, რუმის ქარვის კრიალოსანს ხელი ვტაცე და შემოქმედს მადლობა შევღაღადე იმისთვის, რომ ჭეშმარიტი სულისსწორი მაჩუქა. შემდეგ კი გულმხურვალედ ვილოცე იმისთვის, რომ მის მშვენიერ სულს არასოდეს განელებოდა ღვთიური სიყვარულით თრობა.

ნაწილი მეოთხე

ცეცხლი

ყოველი, რასაც ზიანი, ნგრევა და განადგურება მოჰყვება

სულეიმანი, ლოთი

1246 წლის თებერვალი, კონია

ბევრი რამე მომლანდებია ღვინით გალეშილს, მაგრამ როცა ჩვენი დუქნის ზღურბლზე დიდი რუმი დავინახე, მეტისმეტი მომივიდა-მეთქი, გავიფიქრე. ხელზეც კი ვიჩქმიტე, მაგრამ მოჩვენება არ გაქრა.

– ეი, ქრისტოს, ეს რა დამალევინე, შე კაცო? – შევძახე ჩვენს მედუქნეს. – იმ ბოთლმა, წეღან რომ დამიდგი, მთლად ბოლო მომიღო. აბა, გამოიცანი, რა მელანდება ამ წუთში?

– ჩუმად, შე ყეყეჩო! – წამჩურჩულა ვიღაცამ უკნიდან.

ერთი ვნახო, ვინ მაჩუმებს-მეთქი, გავიფიქრე, მივტრიალდი და რას ვხედავ: ყველა, ვინც დუქანში იჯდა, ქრისტოსიანად, კარს მიშტერებოდა. მთელი დარბაზი სულგანაბული იდგა და აშკარად ერთ რამეს ფიქრობდა: ჩვენს თავს ფარსაგი რამ არისო. მედუქნის ძაღლი, საკიც კი გაიყურსა და პარტყუნა ყურებით იატაკს მიეკრა; სპარსული ხალიჩების გამყიდველმაც კი შეწყვიტა თავისი გაბმული ყიყინი, რომელსაც სიმღერას ეძახდა. იდგა, ქანაობდა და ლოთებისთვის ჩვეული, მოჩვენებითი სიდინჯით იღერებდა ყელს, აქაოდა, ფხიზელი ვარ და ჭკუა მომეკითხებაო.

სიჩუმე პირველად ქრისტოსმა დაარღვია:

– კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს დუქანში, მევლანა, – უთხრა მან რუმის დიდი მოწიწებით, – ჩემთვის დიდი პატივია, ამ ჭერქვეშ რომ გხედავ. რით შემიძლია გემსახურო?

თვალები რამდენჯერმე დავახამხამე. მინდოდა, კარგად გავრკვეულიყავი, მართლა დიდი რუმი იდგა ჩემ წინ თუ არა.

– გმადლობ, – თავაზიანი, მაგრამ უსიცოცხლო ღიმილით მიუგო რუმიმ მედუქნეს, – ცოტაოდენ ღვინოს თუ მიბოძებდი...

საბრალო ქრისტოსი გაოგნდა. როცა მოძრაობის უნარი დაუბრუნდა, რუმი პირველივე თავისუფალ მაგიდასთან მიიყვანა, ჩემ გვერდით რომ იდგა!

– სალამ ალეიქუმ! – დაჯდომისთანავე მომმართა რუმიმ. სალამზე ვუპასუხე და ერთი ორი თავაზიანი სიტყვაც მივაყოლე, მაგრამ, მგონი, სიტყვებს მაინცდამაინც სწორად ვერ გამოვთქვამდი. ამ დარბაისელ, გულდინჯ და საუცხოოდ შემოსილ კაცს სრულიად არ შეჰფეროდა იქ ყოფნა. ახლოს მივუჩოჩდი და გადავუჩურჩულე:

– ძალიან დიდი უზრდელობა ხომ არ იქნება, რომ გკითხო, აქ რამ მოგიყვანა?

– სუფიურ გამოცდას გავდივარ, მითხრა რუმიმ და ძველი დოსტივით თვალი ჩამიკრა, – შამსმა გამომგზავნა, რომ სახელი გავიტეხო.

– მერე ეს კარგია? – ვკითხე მე.

რუმის გაეცინა.

– აბა, რა გითხრა... გააჩნია, როგორ შეხედავ. ზოგჯერ, საკუთარი თავკერძობის დასაძლევად ყველაფერი უნდა მოიკვეთო, რასაც მიჯაჭვული ხარ. მაგალითად, თუ ძალიან გეძვირფასება ოჯახი, ან შენი ადგილი საზოგადოებაში, სკოლასა თუ მეჩეთში და თუ ატყობ, რომ ეს ღმერთთან შერწყმაში ხელს გიშლის, მოგიწევს ყოველივე ამასთან კავშირის გაწყვეტა.

მაინცდამაინც ყურადღებით ვერ ვუსმენდი, მაგრამ იმ არეულ ჭკუაში მაინც დამიჯდა მისი ნათქვამი. საერთოდ ყოველთვის თვალში მომდიოდა ეს ლაზათიანი, ოფოფებიანი ხალხი – სუფიები.

ახლა რუმი გადმოიხარა ჩემკენ და ჩურჩულითვე მკითხა:

– ძალიან დიდი კადნიერება ხომ არ იქნება, რომ გკითხო, საიდან გაქვს სახეზე ეს იარა?

– რა ვიცი, არა მგონია, შენთვის საინტერესო იყოს... ერთხელ, გვიან ღამით, შინ მივდიოდი და გუშაგმა ცემით კინაღამ სული ამომხადა.

– კი მაგრამ, რატომ? – გულწრფელად შეწუხდა რუმი.

– იმიტომ, რომ ღვინო დავლიე, – ვუპასუხე მე და მივუთითე ბოთლზე, რომელიც ქრისტოსმა რუმის მაგიდაზე დაუდგა.

რუმიმ თავი გაიქნია. თითქოს არც კი სჯეროდა, რომ ქვეყანაზე ასეთი რამეები ხდებოდა, მაგრამ მერე თბილად ჩაიღიმა და ჩვენი შემდგომი საუბარიც ასევე თბილად წარიმართა. პური გავტეხეთ, თხის ყველი მივაყოლეთ და ცისას და ბარისას მოვედეთ. ვლაპარაკობდით რწმენაზე, მეგობრობასა და ბევრ სხვა ცხოვრებისეულ რამეზე. ასე მეგონა, ეს ყველაფერი მივიწყებული მქონდა, მაგრამ ახლა სიამოვნებით გადავუშალე გული და ენად გავიკრიფე.

ამასობაში მზე ჩავიდა და რუმი წასასვლელად მოემზადა. მაშინვე დუქნის ყველა სტუმარი ფეხზე წამოდგა. ამ სურათის ნახვა ერთ რამედ ღირდა...

– ნუ დაგვტოვებ, მევლანა, სანამ არ გვეტყვი, ღვინის სმა რატომ გვეკრძალება... – ვთხოვე მე.

ქრისტოსმა თვალები დამიბრიალა, ემანდ, ასეთი სახელოვანი მუშტარი არ გამინაწყენოო.

– ხმა ჩაიგდე, კაცო, რეებს ეკითხები?! – ჩამისისინა მან.

– არა, მართლა მაინტერესებს, – არ ვიშლიდი მე, – აი, ხომ ხედავ, მსმელები ბევრს არაფერს ვაშავებთ, არადა, ყველას ჰგონია, რომ ქვეყანას ვაქცევთ! მითხარი, რა შავდება ღვინის სმით, თუ კაცს არაფერი ეშლება და არავის ვნებს?

ერთ კუთხეში სარკმელი გამოღებული გვქონდა, მაგრამ კვამლით სავსე დარბაზი მაინც ჩახუთული იყო. თანაც მოლოდინად ვიყავით ყველანი ქცეული და სული კბილით გვეჭირა. მაშინ ამ სევდიანმა, კეთილმა, არამსმელმა კაცმა ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა და აი, რა მითხრა:

თუ ღვინის მსმელი შინაგანად სათნო კაცია,
ის ამ თვისებას სიმთვრალეშიც გამოავლენს.
მაგრამ თუ ღვარძლი და ამპარტავნება გასჯდომია

მალულად სულში,
თავს იჩენს მყისვე სიმთვრალეში მისი ეს ნირი.
და რადგან ჭირი ესე კაცთაგანს ბევრს სჭირს,
ღვინო მიტომაც ეკრძალება უკლებლივ ყველას...
სანამ ამ სიტყვებს ვუფიქრდებოდით, სიჩუმე ჩამოწვა.

– მეგობრებო, ღვინო არ არის უწყინარი სასმელი, – მოგვმართა რუმიმ და ხმაში ჩვეული რიხი და სიმტკიცე გაერია, – მას სააშკარაოზე გამოაქვს ყველაზე ცუდი რამ, რაც ჩვენში ბუდობს. ამიტომ გვიჯობს, ღვინისაგან თავი შევიკავოთ. თუმცა ყველაფერს სასმელს ვერ გადააბრალებ. ბევრი რამისთვის თავადაც ვაგებთ პასუხს. ამპარტავნება და რისხვა, აი, რა უნდა დავიოკოთ უპირველესად. ეს ყველაზე საშური საქმეა. ბოლოს და ბოლოს, ვისაც დალევა სწყურია, მაინც დალევს, ხოლო ვინც დალევას ერიდება, ის ყოველთვის შორს დაიჭერს ღვინისგან თავს. ჩვენ, ღვთისმეტყველთ, უფლება არ გვაქვს, თავს მოვახვიოთ ადამიანებს ჩვენი ცხოვრების წესი. სარწმუნოება იძულებას როდი გულისხმობს.

ბევრი ხალისით დაეთანხმა მის სიტყვებს და თავი სიხარულით დაუქნია, მე კი ისევ ჭიქას დავავლე ხელი, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ბრძნულ სიტყვას აუცილებლად სადღეგრძელო უნდა მოჰყვეს.

– შენ დიდი კაცი ხარ და დიდი გული გაქვს, – ვუთხარი რუმის, – არა აქვს მნიშვნელობა, რას იტყვის ხალხი იმაზე, რაც ახლა აქ გააკეთე და ბრძანე. ეჭვი არ მეპარება, სათქმელი არ გამოელევათ. მაგრამ მე რომ მკითხო, როგორც ღვთისმეტყველმა და მოქადაგემ, დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინე, დუქანში რომ მოხვედი და დაუყვედრებლად დაგველაპარაკე.

რუმიმ თბილად შემომხედა, გაუხსნელ ბოთლებს ხელი წამოავლო და გარეთ გავიდა.

ალადინი

1246 წლის თებერვალი, კონია

ბოლო სამი კვირის მანძილზე მოსვენება დაკარგული მქონდა. ხელსაყრელ წუთს ველოდი, რომ მამაჩემისათვის კიმიას ხელი მეთხოვა. გულში საათობით ველაპარაკებოდი ამაზე, წინადადებებს წაღმაუკუღმა ვატრიალებდი და შეძლებისდაგვარად ვხვეწდი, რომ სათქმელი უკეთ გამომეხატა. ნებისმიერ მოსალოდნელ წინააღმდეგობაზე პასუხი მზად მქონდა. რომ ეთქვა, შენ და კიმია და-ძმა ხართო, იმ წუთში შევახსენებდი, რომ ღვიძლი და-ძმა არ ვიყავით. სხვა ეშმაკობაც მქონდა გულში; ვიცოდი, როგორ უყვარდა მამას კიმია და მის დაყოლიებას ამ გზითაც ვაპირებდი: თუ ნებას დამრთავ და ცოლად შემართვევინებ, სხვაგან წასვლა აღარ მოუწევს და ჩვენს ოჯახში სამუდამოდ დარჩება-მეთქი.

ერთი სიტყვით, სათქმელი მომზადებული მქონდა, ოღონდ ეგ იყო, მამაჩემი სასაუბროდ ვერა და ვერ მოვიხელთე. იმ საღამოს კი ძალიან ცუდ დროს შევეჩეხე. მეგობრებთან ვაპირებდი წასვლას, ის იყო, სახლიდან უნდა გავსულიყავი, რომ კარმა

დაიჭრიალა და ოთახში მამაჩემი შემოვიდა. ხელში ორი ბოთლი ეჭირა. გავშეშდი, პირი ღიად დამრჩა:

– ეს რა მოგაქვს, მამა?

– ესა? ჰოო... ეს ღვინოა, შვილო... – მიპასუხა აუღელვებლად.

– მართლა? – წამოვიძახე მე. – მაშ, სულ ეს არის, რაც დიდი მევლანასგან დარჩა? ბებერი დარდიმანდი...

– წესიერად ილაპარაკე, – კბილებში გამოცრა ვიღაცამ ჩემ ზურგს უკან.

შამსი იყო...

– მამას ასეთი სიტყვები არ უნდა აკადრო. დუქანში წასვლა კი მე ვთხოვე, – მითხრა მან.

– რას მეუბნები!.. – წამოვიძახე დაუფარავად თვალთმაქცური, ყეყეჩური ღიმილით.

შეიძლება ეწყინა კიდეც, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ცივად მომიჭრა:

– ალადინ, მე და შენ უნდა ვილაპარაკოთ. აჰა, ისმინე, ერთერთი წესი:

„თუ გსურს, რწმენა გაგიძლიერდეს, შინაგანად უნდა მოლბე. იმისთვის, რომ შენი რწმენა სალ კლდესავით გამყარდეს, შენი გული თივთიკივით ნაზი და რბილი უნდა გახდეს. ცხოვრებაში ყველა ადამიანი აწყდება სიძნელეებს ავადმყოფობა იქნება ეს თუ უბედური შემთხვევა, დანაკარგი თუ შიში. ეს ყველაფერი გასწავლის, როგორ განაგდო თავკერძობა და ახირება და როგორ უჩვენო მოყვასს რაც შეიძლება მეტი გულისხმიერება და სულგრძელობა. ზოგი ჩვენგანი იოლად ითვისებს ამ გაკვეთილებს და უფრო ლმობიერი ხდება, სხვებს კი პირიქით უარესად უქვავდებათ გული. ჭეშმარიტებასთან მიახლოების ერთადერთი გზა ეს არის: შენი გულის კარი ისე ფართოდ უნდა გააღო, რომ შიგ მთელი კაცობრიობა დაიტიო და კიდევ დაგრჩეს ადგილი სიყვარულისთვის“.

– ნუ ერევი ამ საქმეში, – ვუთხარი მე, – ლოთი დავრიშების შეგონებებს არ ვემორჩილები. მამაჩემი კი არ ვარ...

– გრცხვენოდეს, ალადინ! – გამაწყვეტინა მამამ.

დანაშაულის გრძნობამ მწარედ მიჩხვლიტა, მაგრამ გვიანღა იყო. მთელი ძალით კვლავ მომაწვა სიძულვილი, რომელიც ჩემი ჭკუით, უკვე დაძლეული მქონდა.

– ეჭვი არ მეპარება, რომ გულწრფელი ხარ და მართლა ისე გძულვარ, როგორც შენი სიტყვებიდან ჩანს, – მითხრა შამსმა, – მაგრამ არა მგონია, მამაშენის სიყვარული ოდესმე, ერთი წუთით მაინც გაგინელდეს. ნუთუ ვერ ხედავ, რომ გულს სტკენ?

– ნუთუ ვერ ხედავ, რომ ცხოვრებას გვინგრევ? – კითხვა შევუბრუნე მყისვე.

მამაჩემი პირგამეხებული მომეჭრა და მარჯვენა ხელი მომიქნია. მეგონა, გამარტყამდა, მაგრამ როცა ეს არ (ან ვერ) გააკეთა, კიდევ უფრო უხერხულად ვიგრძენი თავი.

– შენ მე მარცხვენ... – მითხრა მან და მზერა ამარიდა.

თვალები ცრემლით ამევსო, თავი მივაბრუნე და უცებ პირდაპირ კიმიას შევეჩეხე. ვინ იცის, რამდენ ხანს იდგა იქ, კუთხეში ატუზული, რამდენ ხანს გვადევნებდა შეშინებულ მზერას ან რისი გაგონება მოასწრო...

მამა რომ ამხელა კაცს დაგამცირებს, თან იმ ქალის თვალწინ, რომელსაც საცოლედ იგულებ...

სირცხვილისგან დამცეცხლა, პირი თითქოს შხამით ამევსო, ოთახი კი ისე დაბზრიალდა, მეგონა, ჭერი თავზე ჩამომექცევამეთქი. მოსასხამს ხელი დავავლე და გარეთ გავვარდი. ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლოდი. შორს კიმიასგან, შორს, შორს ყველასგან...

შამსი

1246 წლის თებერვალი, კონია

ბოთლები შუაში გვედგა. ღვინოს ოხშივარადენილი მიწის, ველური ბალახისა და შავი კენკრის კეთილსურნელება ასდიოდა.

ალადინის წასვლის შემდეგ რუმი ისე დაღონდა, კარგა ხანს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ერთად გამოვედით თოვლით გადაპენტილ ეზოში. თებერვლის სუსხიანი საღამო იყო. ჰაერი თითქოს სიცივეს გაეშეშებინა და დაემძიმებინა.

ვისხედით, ცაზე მიმქროლავ ღრუბლებს ვაყოლებდით თვალს და ვაყურადებდით დედამიწას, რომელიც იმ წუთში არაფერს გვათავაზობდა, დუმილის გარდა. მხოლოდ ქარს მოჰქონდა შორეული ტყის ფშვინვა მუშკივით სურნელოვანი და საამური...

წამით ორივემ ვიგრძენით ამ ქალაქის სამუდამოდ დატოვების დაუძლეველი სურვილი. ღვინის ერთერთ ბოთლს ხელი დავავლე, გაშიშვლებული, ეკლებად ქცეული მცოცავი ვარდის ბუჩქის წინ, თოვლში ჩავიმუხლე და მისი ძირი ღვინით მოვრწყე. რუმის თავისმა ჩვეულმა, ფიქრიანმა და ოდნავ მღელვარე ღიმილმა გაუნათა სახე. ცოტაც და ჰოი, საოცრებავ, შიშველი ბუჩქი გაცოცხლდა, მერქანი ადამიანის კანივით დაურბილდა და ჩვენ თვალწინ ერთადერთი ვარდი გაიშალა. კიდევ ვაპკურე ღვინო. ამჯერად ვარდმა საამო ნარინჯისფერი გადაიკრა. კვლავ მოვრწყე მისი ძირი და ნარინჯი ალისფერში გადაიზარდა...

ბოთლში ერთი ჭიქაღა ჩარჩენილიყო. ღვინო ჭიქაში ჩავასხი, ნახევარი დავლიე და მეორე ნახევარი რუმის შევთავაზე. შუქმფინარი, სათნო, აუმღვრეველი ღიმილი შემომაგება და ჭიქა ათრთოლებული ხელით გამომართვა... და ეს გააკეთა კაცმა, რომელსაც სასმლისათვის პირი არასოდეს დაეკარებინა!..

– რელიგიური წესები და აკრძალვები ანგარიშგასაწევია, მაგრამ ისინი ტაბუდ არ უნდა იქცეს. სწორედ ამ მოსაზრებით ვსვამ ახლა ღვინოს შენთან ერთად და მწამს, რომ სიყვარულით თრობას სულის დიდი სიფხიზლე უდევს სარჩულად, მითხრა მან. ის იყო, ჭიქა ბაგესთან უნდა მიეტანა, რომ ხელიდან გამოვტაცე და ძირს დავანარცხე. ღვინო სისხლის წვეთებივით მოეპკურა თოვლს.

– ნუ დალევ! – ვუთხარი მე.

აღარ მსურდა ამ გამოცდის გაგრძელება.

– მაშ, რისთვისღა გამიშვი დუქანში? – მკითხა რუმიმ.

ხმაზე ვატყობდი: მთელი გულით ჩემკენ იყო, განზრახვას მიწონებდა. ეს შეკითხვაც იმიტომ დამისვა და არა ცნობისმოყვარეობის გამო.

– შენ კარგად იცი, რისთვისაც გაგიშვი, – ვუთხარი ღიმილით, – სულიერი ზრდა მთლიანად მოიცავს ცნობიერებას და არა მის რომელიმე სფეროს. აჰა, ისმინე წესი ოცდამეთორმეტე:

„არავინ უნდა ჩადგეს შენსა და ღმერთს შორის. არც იმამი, არც მღვდელი, არც რაბინი, ან სხვა რომელიმე რჯულისკაცი და ზნეობის სადარაჯოზე მყოფი პირი; არც სულიერი მოძღვარი და ასე გასინჯე, არც თავად რწმენა შენი. მტკიცედ იწამე შენი ღირებულებები, ბოლომდე უერთგულე შენს მრწამსს, მაგრამ სხვებს ნურასოდეს მიაძალებ მას. რაც უნდა პირნათლად ასრულებდე სარწმუნოებრივ მოვალეობას, თუ ადამიანებს გულს ატკენ, რიგიანი არაფერი გამოგივა ხელიდან.

შორს დაიჭირე თავი ყველა სახის კერპთაყვანისმცემლობისაგან, რადგან იგი თვალებზე ბინდს აგაკრავს. მხოლოდ უფალი იყოს შენი მეგზური. დაეუფლე ჭეშმარიტებას, მეგობარო, მაგრამ ფრთხილად იყავი, კერპად ნუ გაიხდი მას“.

ყოველთვის აღტაცებული ვიყავი რუმის პიროვნებით და ვიცოდი, რომ მის საარაკო სათნოებას (სწორედ იმას, რასაც მე მოკლებული ვიყავი) საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ იმ დღეს იგი ერთიასად გაიზარდა ჩემს თვალში.

ეს ქვეყანა სიმდიდრეზე, სახელის მოხვეჭაზე, ძალაუფლებაზე შეშლილი ადამიანებით იყო სავსე. რაც მეტ ყურადღებას იპყრობდნენ, მით მეტი მოთხოვნილება უჩნდებოდათ. ხარბებმა და გაუმაძღრებმა, მიწიერი ავლადიდება აქციეს თავიანთ ქიბლად. დღენიადაგ ნივთიერისკენ მაცქერალნი, ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ თანდათან იმ ნივთების მონები ხდებოდნენ, რომლებსაც ასე მიელტვოდნენ. ეს თითქმის ყველას ეხებოდა. ძვირფასი ლალივით იშვიათობად ქცეულიყო კაცი, რომელმაც ოქროც მოიხვეჭა, სახელიცა და ძალაუფლებაც, მაგრამ ამ ყველაფერს ერთ მშვენიერ დღეს ზურგი აქცია, სახელის გატეხას არ დაერიდა და ყოველივე ზემოთქმული ანაცვალა საკუთარ თავში მოგზაურობას, რომლის სავარაუდო შედეგს ვერავინ უწინასწარმეტყველებდა. სწორედ რუმი გახლდათ ეს იშვიათი ლალი...

– ღმერთი მოკრძალებას და თავმდაბლობას ითხოვს ჩვენგან, – ვთქვი მე.

– ამადაც სურს, რომ მთელი ჩვენი არსებით, ლამის ყველა უჯრედით შევიგრძნოთ და გავითავისოთ იგი; ამადაც გვიჯობს ფხიზლად ყოფნა და არა ღვინით გაბრუება, სიტყვა ჩამომართვა რუმიმ.

მეც დავეთანხმე...

სანამ კარგად არ ჩამობნელდა და არ აგრილდა, ეზოში ვისხედით და შევხაროდით ჩვენ თვალწინ აღმოცენებულ ობოლ ვარდს. საღამოს გრილ ნიავს საიდანღაც ტკბილი, მასულდგმულებელი სურნელი მოჰქონდა. სიყვარულის ღვინისაგან ოდნავ თავბრუ გვესხმოდა. გული სიხარულითა და მადლიერებით მიძგერდა, რამეთუ ქარი ამჯერად სასოს წარმკვეთ სიტყვებს აღარ ჩამსისინებდა.

ელა

2008 წლის 2 ივნისი, ნორთჰემპტონი

– ბაო, ქალაქში ახალი ტაილანდური რესტორანი გაუხსნიათ. ძალიან აქებენ. ხომ არწავსულიყავით? მე და შენ ვიქნებით, სხვა არავინ.

ელას სულ არ ეპიტნავებოდა ქმართან ერთად რესტორანში წასვლა, მაგრამ დევიდი ისე დაჟინებით სთხოვდა, უარი ვეღარ უთხრა.

„ვერცხლის მთვარე“ ასე ერქვა პატარა რესტორანს, რომლის დარბაზი სტილიზებული ლამპრებით, ტყავისტიხრებიანი კაბინებით, შავი ხელსახოცებითა და სარკეებით იყო მორთული. სარკეები ყველა კედელზე ეკიდა და სტუმრებს ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, რომ თავიანთ გამოსახულებებთან ერთად სადილობდნენ. ელამ ძალიან მალე თავი ცუდად იგრძნო, თუმცა ამის მიზეზი რესტორანი კი არა, მისი ქმარი გახლდათ.

აშკარად, რაღაც ხდებოდა დევიდის თავს. თვალები უჩვეულოდ უელავდა. შეფიქრიანებული, მეტიც, შეწუხებული ჩანდა. რამდენჯერმე ენა დაება კიდეც, რამაც ელა საბოლოოდ ააფორიაქა, რადგან იცოდა, რომ ქმარს ბავშვობის დროინდელი დეფექტი მაშინ ახსენებდა თავს, როცა ძალიან ღელავდა.

ცოტა ხანში მათ მაგიდას ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ოფიციანტი გოგონა მოადგა შეკვეთის მისაღებად. დევიდმა ჩილითა და ბაზილიკით შეკაზმული მოლუსკები შეუკვეთა, ელამ კი ტოფუს საწებელში ჩაშუშულ ბოსტნეულსა და ქოქოსის სოუსზე შეაჩერა არჩევანი. ორმოცი წლის რომ გახდა, ხორცისაგან თავის შეკავების მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და ახლა ცდილობდა, მისთვის არ ეღალატა.

ბოლოს ღვინოც შეუკვეთეს.

რამდენიმე წუთი რესტორნის დახვეწილ დეკორსა და შავთეთრი ხელსახოცების ეფექტურ შეხამებაზე ილაპარაკეს, მაგრამ ცოტა ხანში გაჩუმდნენ.

მაშ ასე ოცწლიანი ცოლქმრული ცხოვრება, საზიარო ლოგინი, საზიარო შხაპი, ერთობლივი სადილები, სამი შვილის გაზრდა ეს ყველაფერი დუმილით დასრულდა. ან იქნებ ელა ფიქრობდა ასე...

– ვხედავ, რუმის კითხვა დაგიწყია, – ჩაილაპარაკა დევიდმა.

ელამ თავი დაუქნია, მაგრამ თან გაოცება ვერ დამალა. არც კი იცოდა, რა უფრო აკვირვებდა – ის, რომ დევიდმა რუმის არსებობის შესახებ იცოდა, თუ ის, რომ დევიდისთვის სულერთი არ იყო, რას კითხულობდა მისი ცოლი.

– თავიდან იმიტომ დავიწყე, რომ სამუშაოსთვის მჭირდებოდა. მერე დავინტერესდი და ახლა ისე, ჩემთვის ვკითხულობ, – თქვა ელამ, თითქოს თავს იმართლებდა.

დევიდმა სუფრაზე ღვინის ლაქა შეამჩნია და დიდხანს ჩაციებით უყურა. შემდეგ ამოიოხრა და სიკვდილმისჯილივით წარმოთქვა:

– ელა, მე ვიცი, რაც ხდება. ყველაფერი ვიცი...

– რა იცი? – ჰკითხა ელამ, თუმცა, პასუხის მოსმენის დიდი სურვილი არ ჰქონდა.

– ...შენი რომანის შესახებ... ჰო... ვიცი... – ენა დაება დევიდს.

ელა გაოგნებული უყურებდა ქმარს. ამ დროს ოფიციანტმა გოგონამ კვლავ მოირბინა და მათ სუფრაზე სანთელი აანთო. მის შუქზე დევიდის სახე უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა. საცოდავი სანახავი იყო.

– ჩემი რომანის? – თავისთვისვე მოულოდნელად ისე ხმამაღლა აღმოხდა ელას, რომ მათ უკან მჯდომმა წყვილმა უნებურად მათკენ მოიხედა. ელა უხერხულად შეიშმუშნა, ხმას დაუწია და კითხვა ჩურჩულით გაიმეორა:

– რა რომანის?

– სულელი ხომ არ გგონივარ? შენი ფოსტა შევამოწმე და თქვენი მიმოწერაც წავიკითხე, – უთხრა დევიდმა.

– რაო?! – წამოიძახა ელამ.

დევიდმა წაუყრუა და სახე ისეთი სიმწრით დაეღრიჯა, რომ აშკარა იყო, თავისთვის მეტისმეტად მძიმე რაღაცის თქმას აპირებდა:

– მე არ გადანაშაულებ, ელა. მე ამის ღირსი ვარ, – ამოთქვა ბოლოს, – ყურადღება მოგაკელი... აბუჩად გიგდებდი... შენც ადექი და თანაგრძნობას სხვაგან დაუწყე ძებნა...

ელამ თვალები დახარა და ჭიქას მიაშტერდა. ღვინოს საუცხოო ფერი ჰქონდა მუქი ლალისფერი. წამით ელას მოეჩვენა, რომ მის ზედაპირს ცისარტყელას ფერები დასთამაშებდა, თითქოს განათებულ ბილიკსაც ხედავდა, რომლითაც უნდა ევლო. ამ ყველაფერს სიურრეალისტური ელფერი დაჰკრავდა.

დევიდი გაჩერდა. როგორც ჩანს, ფიქრობდა, როგორ აჯობებდა, ან საერთოდ, ღირდა თუ არა იმის გამხელა, რაც ახლა გულში ჰქონდა.

– მე მზად ვარ, ყველაფერი გაპატიო და დავივიწყო, – თქვა მან ბოლოს.

ელას ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი. ენაზე მწარე სიტყვები მოადგა, მაგრამ არჩევანი ყველაზე მარტივ კითხვაზე შეაჩერა. თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და იკითხა:

– საკუთარ რომანებზე რას იტყვი? მათაც დაივიწყებ?

ამასობაში კერძებიც მოიტანეს. ელა და დევიდი გაჩუმდნენ, საზურგეებს მიაწვნენ და დაელოდნენ, როდის წავიდოდა ოფიციანტი გოგონა, ხაზგასმული თავაზიანობით რომ ალაგებდა სუფრაზე თეფშებს და ჭიქებს ღვინით ავსებდა. როგორც კი იგი წავიდა, დევიდმა ელას სწრაფი მზერა ესროლა და ჰკითხა:

– ესე იგი, შური იძიე?

– არა, – უპასუხა ელამ და თავი გულდაწყვეტილად გაიქნია, – შურისძიება არაფერ შუაშია.

– მაშ რაღაა „შუაში“?

ელამ ხელებიერთმანეთს გადააჭდო და პასუხისთვის მოემზადა. თითქოს ყველა და ყველაფერი მათ ირგვლივ – რესტორნის სტუმრები, ოფიციანტები, მზარეულები და თვით აკვარიუმში მოლივლივე ტროპიკული თევზებიც კი – წამით ამ პასუხის მოლოდინში გაინაბნენ.

– სიყვარული, – თქვა მან ბოლოს, – მე მიყვარს აზიზი.

თავიდან ეგონა, რომ ქმარი სიცილით მოკვდებოდა, მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს გამბედაობა მოიკრიბა და შეხედა, დევიდის სახეზე მხოლოდ საშინელი შეშფოთება

ამოიკითხა, თუმცა ეს გამომეტყველება სწრაფადვე გაქრა. წამიც და ელას წინაშე უკვე სულ სხვა კაცი იჯდა. კაცი, რომელიც აშკარად ცდილობდა, პრობლემა ფრთხილად, მინიმალური „დანაკარგებით“, მოეგვარებინა.

ელა ჩაფიქრდა და კარგად მიხვდა ქმრის შეშფოთების მიზეზს; სიტყვა „სიყვარული“ ხომ განსაკუთრებულ წონას იძენს და განსაკუთრებით უჩვეულოდ ჟღერს იმ ქალის პირიდან, რომელიც ამ მოვლენას მანამდე მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდა...

– ჩვენ სამი შვილი გვყავს, – ჩაილაპარაკა დევიდმა.

– დიახ, სამი შვილი გვყავს და ისინი ძალიან მიყვარს, მაგრამ მე აზიზიც მიყვარს... – უპასუხა ელამ და მხრები აიჩეჩა.

– ნუ ამბობ ამ სიტყვას, – შეაწყვეტინა ქმარმა და კარგა მოზრდილი ყლუპი მოსვა. – მართალია, ბევრი დავაშავე, მაგრამ ყოველთვის მიყვარდი, ელა. შენ გარდა სხვა მართლა არავინ მყვარებია. შეცდომებზე ორივემ უნდა ვისწავლოთ. გპირდები, მსგავსი რამ აღარ განმეორდება. შენ აღარ დაგჭირდება სიყვარულის სხვაგან ძებნა.

– მე სიყვარულის საძებნელად არსად წავსულვარ, – წაიჩურჩულა ელამ უფრო თავისთვის, ვიდრე ქმრის გასაგონად, – რუმი ამბობს, რომ სიყვარულზე ნადირობა საჭირო არ არის, უბრალოდ, უნდა წავშალოთ ის მიჯნა, რომელიც სიყვარულს გვაშორებს.

– რა მოგდის?! ვიღაც სხვა მგონიხარ. საიდან ეს რომანტიკულობა? გახდი ისეთი, როგორიც იყავი... გეხვეწები...

ელა მოიღუშა და საკუთარ ფრჩხილებს ისე დააკვირდა, თითქოს ფრჩხილებზე რაღაც სჭირდა. სინამდვილეში ერთი რამე გაახსენდა და ეს უღრღნიდა გულს: მან ხომ არსებითად იგივე სიტყვები უთხრა მაშინ თავის ქალიშვილს...

თითქოს წრე შეიკრა...

ხელსახოცი გვერდზე გადადო, თავი ოდნავ დააქნია და ქმარს უთხრა:

– მოდი, წავიდეთ აქედან. სრულებით არ მშია...

იმ ღამით ცალცალკე ეძინათ. დილაადრიან კი ელამ პირველ რიგში აზიზს წერილი მისწერა.

ფანატიკოსი

1246 წლის თებერვალი, კონია

– ბუკსა ვკრათ! ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი! შეიხო იასინ! გაიგე, რა მომხდარა? – ყვირილით წამომეწია ქუჩაში ჩემი ერთ-ერთი მოწაფის მამა, აბდულა. – წუხელ ებრაული უბნის ერთ ერთ დუქანში რუმი უნახავთ!

– კი ბატონო, გავიგე, მაგრამ სულ არ გამკვირვებია. კაცს ცოლად ქრისტიანი ქალი ჰყავს, საუკეთესო მეგობრად კი ურჯულო კაცი! რაღას ელოდი მისგან? – ვუპასუხე მე.

– ცამდე მართალი ბრძანდები, – კვერი დამიკრა აბდულამ, – ჩვენთვის ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

ამასობაში გამვლელები შემოგვეხვივნენ. გამოითქვა აზრი, რომ რუმისთვის დიდ მეჩეთში ქადაგება უნდა აეკრძალათ, სანამ საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდიდა. ამ აზრს მეც დავეთანხმე, მაგრამ მედრესეში მაგვიანდებოდა, ამიტომ ჩემი თანამოსაუბრეები ერთმანეთს შევატოვე და სასწრაფოდ გავეცალე.

ყოველთვის მქონდა ეჭვი, რომ რუმი მთლად წმინდა სული არ იყო; ისიც ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს კუდი გამოუჩნდებოდა, მაგრამ ბოთლს თუ ხელს მოჰკიდებდა, ამას ნამდვილად არ ველოდი. ჭირივით შემზიზღდა ეს კაცი.

ხალხს რომ მოუსმინო, მისი ასეთი დაცემა პირველ რიგში შამსს მოეკითხება. შამსი რომ არა, რუმი დღეს უწინდებურად იცხოვრებდაო, ამტკიცებენ. მე კი სხვაგვარად ვფიქრობ: შამსი რომ ბოროტი კაცია და რუმიზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა, ეჭვი ერთი წუთითაც არ მეპარება, მაგრამ ისმის კითხვა: რატომ სხვა ღვთისმეტყველები (მაგალითად, მე) არ მოექცნენ ამ ზეგავლენის ქვეშ? პასუხი ერთია: ხალხს იმის აღიარება უჭირს, რომ ამ ორ ადამიანს ბევრად მეტი აქვთ საერთო, ვიდრე მათ ეგონათ.

მე ვიცნობ ადამიანებს, რომელთაც თავისი ყურით გაუგონიათ შამსისაგან, ღვთისმეტყველი ნაკალმარს მიჰყვება, სუფი კი ნაკვალევსო. ჩავუკვირდეთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები? გამოდის, რომ ღვთისმეტყველები მხოლოდ ლაპარაკობენ, სუფი კი გზა ადგას. მაგრამ მოდი, ერთიც ვიკითხოთ: განა რუმი ღვთისმეტყველი არ ბრძანდება? თუ თავი მათ რიგებში უკვე აღარ ეგულება?

აბა, ერთი ჩემთან მოსულიყო შამსი! ბუზადაც არ ჩავაგდებდი და ჩემი თანდასწრებით იმ თავის სისულეებს ნამდვილად არ ვაბჟუტურებდი. რატომ რუმიმაც იგივე არ გააკეთა? არა, რაღაც უბედურებაა მის თავს... თუმცა, რა გიკვირთ, კაცს ქრისტიანი ცოლი ჰყავს! მერე რა, რომ ამ ქალმა მაჰმადის რჯული აღიარა? ქრისტიანობა სისხლში აქვთ გამჯდარი მასაც და მის შვილსაც.

საუბედუროდ, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები ქრისტიანობას სერიოზულ საფრთხედ არ მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ჩვენ გვერდიგვერდ უნდა ვიცხოვროთ. სწორედ ასეთ გულუბრყვილოთა საყურადღებოდ ვსვამ კითხვას: მითხარით, შეიძლება თუ არა წყლისა და ზეთის შეზავება?.. აი, ასეა ჩვენი ამბავიც... მაჰმადიანსა და ქრისტიანს ერთად არ ეცხოვრება, არა!

ქრისტიანი რომ ითხოვა ცოლად, მაშინვე არ იყო ეგ კაცი სანდო. შამსი რომ ჩაისახლა, მას შემდეგ ხომ სულ აერია გზაკვალი. ჩემს მოწაფეებს ყოველდღიურად ვუჩიჩინებ, რომ ეშმაკს არ სძინავს და სიფრთხილეს თავი არ სტკივა. შამსი კი ხორცშესხმული ეშმაკია, ამას წყალი არ გაუვა. დარწმუნებული ვარ, დუქანში რუმის გაშვებაც მისი განზრახვა იყო. ნეტავ ვიცოდე, როგორ დაარწმუნა... თუმცა, შაითანს ხომ ყველაზე კარგად სწორედ ეს ეხერხება მართალი ხალხის ცოდვაში ჩათრევა...

შამსი რომ ეშმაკის კერძი იყო, განა თავიდანვე არ ვიცოდი? როგორ გაბედა მუჰამად წინასწარმეტყველის (მშვიდობა მისდა!) იმ ურჯულო სუფისთან, ბისტამისთან შედარება?! განა ბისტამიმ არ ბრძანა: შემომხედეთ! რა დიდებით მოსილი კაცი ვარო?! იგივე ბისტამიმ არა თქვა ჩემი თვალით ვნახე, ქააბა ჩემს ირგვლივ ტრიალებდაო?! რაღა

შორს წავიდეთ, კაცმა იმის თქმაც კი იკადრა, ჩემი თავის მჭედელი მე თვითონა ვარო! რა არის ეს, თუ არა მკრეხელობა?!

და აი, ასეთ კაცს შამსი საუბრის დროს დიდის ამბით იმოწმებს ხოლმე. თუმცა, რა გიკვირთ? ეგ ხომ თვითონაც ბისტამისნაირი მწვალებელია.

ნუგეშად ისღა დამრჩენია, რომ ამ ბოლო დროს ხალხი სიმართლეს ხვდება. მადლობა ღმერთს! შამსის მაძაგებელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ისეთ რამეებს ამბობენ, ზოგჯერ მეც კი მეცემა ხოლმე ელდა. აბანოებსა და ჩაიხანებში, მინდვრებსა და ხეხილის ბაღებში, ყველგან, ყველგან შამსს ლანძღავენ!

იმ დღეს იმდენი ვიფიქრე ამ ყველაფერზე, გული ისე დამიმძიმდა, რომ მედრესეშიც კი შემაგვიანდა. კლასის კარი შევაღე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც ამბავი იყო. ჩემი მოწაფეები ჩამწკრივებულები კი ისხდნენ, მაგრამ სახეზე არც ერთს ფერი არ ედო და ისე იყვნენ ენაჩავარდნილები, თითქოს მოჩვენება დაინახესო.

შევედი და რას ვხედავ! ფანჯარასთან შამს თებრიზი წამოსკუპებულა და იმ თავის ქოსა სახეზე ქედმაღლური ღიმილი დასთამაშებს!

– სალამ ალეიქუმ, შეიხიასინ! – მომესალმა და ოთახის ბოლოდან გამჭოლი მზერა მტყორცნა.

შევყოყმანდი. არ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს გადავწყვიტე, სალამზე არ მეპასუხა. მოწაფეებს მივუბრუნდი და ვკითხე:

– რას აკეთებს აქ ეს კაცი? რატომ შემოუშვით?!

ბიჭები უხერხულად შეიშმუშნნენ. სიტყვა ვერავინ დაძრა პასუხად. ისევ შამსმა დაარღვია სიჩუმე. უტიფრად მომიბრუნდა, თვალი თვალში გამიყარა და მეუბნება:

– ბიჭებს ნუ დატუქსავ, შეიხო იასინ. აქ მოსვლა ჩემი განზრახვა იყო. ამ უბანში ჩამოვიარე და ვიფიქრე, მოდი, მედრესეში შევივლი, მოვინახულებ ადამიანს, რომელსაც მთელ ქალაქში ყველაზე მეტად ვძულვარ-მეთქი.

ჰუსამი, მოწაფე

1246 წლის თებერვალი, კონია

ბიჭები საკლასო ოთახის იატაკზე ვისხედით და ვჟრიამულობდით, როცა უცებ შამს თებრიზი შემოვიდა. ყველას თავზარი დაგვეცა. მასზე იმდენი ცუდი და უცნაური რამ გამეგო (უმეტესად ჩვენი მასწავლებლისაგან), რომ ცოცხალი შამსის დანახვისას უნებურად მეც სხვებივით ავიმრიზე.

სამაგიეროდ, თვითონ ლაღად და მეგობრულად ეჭირა თავი. ჯერ ყველას მოგვესალმა, შემდეგ გვითხრა, შეიხ იასინთან სათქმელი მაქვს და ამისთვის მოვედიო.

– ჩვენს მასწავლებელს არ უყვარს, როცა სკოლაში უცხოები შემოდიან. იქნებ სადმე სხვაგან გესაუბრათ? – ვუთხარი მე იმ იმედით, რომ შეხლაშემოხლა აგვცდებოდა.

– მზრუნველობისთვის დიდ მადლობას მოგახსენებ, ახალგაზრდავ, მაგრამ შეხლა-შემოხლა ზოგჯერ არა მხოლოდ გარდაუვალი, არამედ საჭიროც არის, მიპასუხა შამსმა, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხაო, თუმცა, ნუ გეშინია. ეს დიდხანს არ გაგრძელდება!

– შეხედე, შეხედე, წარბსაც არ იხრის. ხორცშესხმული სატანაა... – ჩაილაპარაკა ჩემ გვერდით მჯდომმა ირშადმა.

თავი დავუქნიე, მაგრამ გულში ვყოყმანობდი. შამსს სატანას ნამდვილად ვერ ვამსგავსებდი. მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ ვიყავი განწყობილი, უნებურად აღტაცებაში მოვყავდი მის პირუთვნელობასა და ვაჟკაცობას.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში ჩაფიქრებული და კოპებშეყრილი შეიხი იასინი შემოვიდა. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა თუ არა, უცებ გაჩერდა, დაუპატიჟებელი სტუმრისკენ გაიხედა და თვალები ააცეცა:

– რას აკეთებს აქ ეს კაცი? რატომ შემოუშვით?!

ბიჭები შიშით ავიწურეთ და ერთმანეთს გადავხედეთ. ატყდა ჩურჩული და ფუსფუსი, მაგრამ სანამ რომელიმე ჩვენგანი ხმის ამოღებას გაბედავდა, სათქმელი თვითონ შამსმა უთხრა:

– ამ უბანში ჩამოვიარე და გადავწყვიტე, სტუმრად ვწვეოდი კაცს, რომელსაც კონიაში ყველაზე მეტად ვძულვარ.

რამდენიმე მოწაფემ ჩაახველა. დავინახე, როგორ შეეკრა სუნთქვა ირშადს. მომეჩვენა, რომ დაძაბულობისგან თითქოს ჰაერიც კი შედედდა.

– მე არ ვიცი, რას აკეთებ აქ, მაგრამ შენთან სალაპარაკოდ არ მცალია, ათასი საქმე მაქვს, – უთხრა შეიხმა იასინმა, – გიჯობს, ახლავე წაბრძანდე აქედან და გაკვეთილის ჩატარება დამაცადო.

– შენ ამბობ, რომ ჩემთან ლაპარაკი არ გსურს, მაგრამ ჩემზე ლაპარაკს მაინც რომ არ იშლი? – შენიშნა შამსმა. – დღედაღამ გვლანძღავ მეც, რუმისაც და სუფიურ გზაზე შემდგარ ყველა მისტიკოსსაც...

შეიხმა იასინმა თავისი გრძელი, გაძვალტყავებული ცხვირით ჩაიქსუტუნა და წვრილი ტუჩები ისე მოჭმუხნა, თითქოს რაღაც ემჟავაო.

– მოვრჩეთ ლაპარაკს. შენგან არაფერი მესწავლება. ყველაფერზე საკუთარი აზრი მაქვს.

შამსმა დამცინავად ჩაიღიმა და ჩვენკენ მოტრიალდა:

– აი, კაცი, რომელსაც აზრები თავზე საყრელად აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, კითხვები არ უჩნდება... აქ რაღაც ამბავია!..

– რას მელაპარაკები? – მიუბრუნდა მოულოდნელად გამოცოცხლებული და გახალისებული შეიხი იასინი. – აბა, მოდი, ბიჭებს ვკითხოთ, ვინ უნდა თითოეულ მათგანს, რომ გამოვიდეს: ბრძენი, რომელმაც ყველა კითხვის პასუხი იცის, თუ თავგზააბნეული, შეკითხვების ამარა დარჩენილი კაცი?

ბიჭების უმრავლესობა შეიხ იასინს მიემხრო, მაგრამ ვგრძნობდი, ეს არ იყო გულწრფელი თანხმობა; უფრო მასწავლებლის გულის მოსაგებად აკეთებდნენ ამას. მე დუმილი ვარჩიე.

– ყველაზე უვიცი სწორედ ის არის, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფრის პასუხი იცის, – თქვა შამსმა და მხრები აიჩეჩა. შემდეგ ისევ მასწავლებელს მიუბრუნდა:

– ისე, რადგან ყველაფრის პასუხი იცი, იქნებ შეკითხვა დაგისვა?

არავინ იცოდა, საით წაიყვანდა მათ ეს საუბარი. მდგომარეობა ყოველ წუთს იძაბებოდა. ვბორგავდი, ვწუხდი, მაგრამ რა მექნა მე ვერაფერს შევცვლიდი.

– აი, შენ ამტკიცებ, რომ მე არაწმინდის მსახური ვარ. იქნებ, კეთილი ინებო და განგვიმარტო, როგორია შენი წარმოდგენა შაითანზე? – ჰკითხა შამსმა შეიხ იასინს.

– ბატონი ბრძანდები, – თქვა შეიხმა იასინმა, რომელიც ქადაგად დავარდნის შესაძლებლობას ხელიდან არასოდეს უშვებდა.

– ჩვენი სარწმუნოება, რომელიც აბრაჰამულ სარწმუნოებათაგან უკანასკნელი და საუკეთესოა, გვეუბნება, რომ ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევებაში სწორედ შაითანის ხელი ურევია. ცოდვილთა ჩამომავალნი ვართ და დღენიადაგ ფხიზლად ყოფნა გვმართებს, რადგან შაითანი სახეს იცვლის. ხან მოთამაშის სახით მოგვევლინება და თამაშში გვითრევს, ხან ლამაზი ქალის სახით გამოგვეცხადება, რომ გვაცდუნოს... რა ნიღბით არ შემოგვეპარება ხოლმე, ზოგჯერ სახტად რჩები ადამიანი! მაგალითად, მოხეტიალე დავრიშადაც კი შეიძლება მოგვევლინოს... თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, შამსს პირზე ღიმილი აუთამაშდა.

– გასაგებია. როცა სატანა შენ გარეთ გეგულება, გულარხეინად ხარ და ფონს იოლად გადიხარ.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა შეიხმა იასინმა.

– რას და, თუ შაითანი ასეთი თვალთმაქცი და მოურეველია, როგორც შენ ამბობ, მაშინ ჩვენ, ადამიანებმა, თავიარაფერში არ უნდა დავიდანაშაულოთ. რაც კარგი ხდება, ღმერთს მივაწეროთ, ცუდი კი შაითანს ავკიდოთ. ეგ იქნება და ეგ! ორივე შემთხვევაში თავისუფალი ვართ, არაფერი მოგვეკითხება, ამას რა სჯობს?!

საუბრისას შამსმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ხმას უფრო და უფრო იმაღლებდა:

– მაგრამ მოდი, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ არავითარი შაითანი არ არსებობს. არ არსებობენ ავსულები, რომლებიც ჯოჯოხეთში ქვაბებს ათუხთუხებენ და ყოველ წუთს მზად არიან, შიგ გადაგვიძახონ... ეს საშინელი ხატსახეები ვიღაცამ ოდესღაც იმისთვის გამოიგონა, რომ ჩვენთვის რაღაცის მინიშნება სურდა, მაგრამ მათ ყავლი გაუვიდათ და სათქმელმა, რომელიც ამ სახეების მეშვეობით ჩვენამდე უნდა მოსულიყო, თავისი თავდაპირველი აზრი დაკარგა.

– რას გულისხმობ? – კრიჭაში ჩაუდგა შეიხი იასინი და პასუხის მოლოდინში გულზე ხელები დაიკრიფა.

– აჰა, ესე იგი მაინც გაქვს შეკითხვები, – შენიშნა შამსმა, – კი ბატონო, მოგახსენებ: ის სატანჯველი, რომელსაც ადამიანი თავის თავს თვითონვე უსჯის, უსასრულოა. ჯოჯოხეთი ჩვენშივეა. ჩვენშივეა სამოთხეც. ყურანი ამბობს, რომ ადამიანი ყველაზე ღირსეული ქმნილებაა ამქვეყნად, აღმატებულთაგან აღმატებული. მაგრამ ამავდროულად უმდაბლესთაგან უმდაბლესნიც ვართ. ეს რომ ბოლომდე შეგვეგნო, შაითნის გარე-გარე ძებნას შევწყვეტდით და საკუთარ თავს ჩავუღრმავდებოდით. მოკლედ, სხვისი ნაკლის ჩხრეკას გვიჯობს, საკუთარი თავი შევისწავლოთ.

– გიჯობს, წახვიდე და საკუთარ თავს თვითონ ჩაუღრმავდე. იქნებ ინებოს ალაჰმა და ერთ მშვენიერ დღეს მორჯულდე კიდეც! – უპასუხა შეიხმა იასინმა. – პატიოსან სჯულისკაცებს კი ხალხზე თვალი ფხიზლად უნდა ეჭიროთ.

– მაშინ ნება მიბოძე, ერთი ამბავი მოგიყვე, – უპასუხა შამსმა ისე თავაზიანად და მოწიწებით, რომ შევეჭვდი, ხომ არ დასცინის-მეთქი.

აი, რა გვიამბო მან:

„ოთხი ვაჭარი მეჩეთში ლოცულობდა. ამ დროს მუეძინი შემოვიდა. პირველმა ვაჭარმა ლოცვა შეწყვიტა და იკითხა:

– მუეძინო, ლოცვის დრო კიდევ გვაქვს?

მეორე ვაჭარმა ლოცვა შეწყვიტა და პირველს გაუწყრა:

– ლოცვის დროს რა ლაპარაკი აგიტყდა! სულ ფუჭად წავიდა შენი ლოცვა. თავიდან მოგიწევს დაწყება!

საუბარში მესამე ვაჭარი ჩაერია:

– სულელო, მაგას რომ ჭკუას ასწავლი, შენი ლოცვისთვის მიგეხედა. ახლა ხომ შენი ლოცვაც ფუჭია!

მეოთხე ვაჭარს გაეღიმა და ჩაიროხროხა:

– ერთი ამათ შეხედეთ, სამივეს აერია დავთრები! კიდევ კარგი, მე არაფერი შემშლია!

– როგორ ფიქრობთ, რომელი ვაჭრის ლოცვა იყო ფუჭი?“

კარგა ხანს ვიშმუშნებოდით და ერთმანეთში ვჩურჩულებდით. ბოლოს ვიღაცამ უკანა რიგებიდან წამოიძახა:

– მეორე, მესამე და მეოთხე ვაჭრის ლოცვა იყო ფუჭი, პირველი ვაჭარი კი უდანაშაულოა, ის ხომ მხოლოდ მუეძინს დაეკითხა.

– კი ბატონო, მაგრამ, ლოცვის შეწყვეტის უფლება არც მას ჰქონდა, – ჩაერია ირშადი, – ჩემი აზრით, ყველა ვაჭარმა შესცოდა, მეოთხის გარდა, რომელიც მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებოდა.

გულში არც ერთ პასუხს არ დავეთანხმე და ბიჭებს თვალი ავარიდე, თუმცა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ხმა არ ამომეღო, იმიტომ, რომ ვიცოდი, ჩემს აზრებს არ მოიწონებდნენ. ვერ მოვასწარი ამის გაფიქრება და შამს თებრიზმა მაშინვე ჩემკენ გამოიშვირა ხელი:

– აბა, ერთი, შენ მითხარი, რას ფიქრობ!

სიმწრით ნერწყვი გადავყლაპე და როდისროდის ამოვიღე ხმა:

– ამ ვაჭრების შეცდომა ის კი არ იყო, რომ ლოცვის დროს საუბრობდნენ. იმის მაგივრად, რომ თავისი საქმე ეკეთებინათ და ღმერთთან კავშირი დაემყარებინათ, ის უფრო აინტერესებდათ, რა ხდებოდა მათ ირგვლივ. აი, სად შეცდნენ ეს მლოცველები. მაგრამ თუ მათი განსჯა დავიწყეთ, ვშიშობ, ჩვენც არანაკლებ შევცოდავთ.

– მაშ, რა არის შენი საბოლოო პასუხი? – იკითხა შეიხმა იასინმა, რომელიც უცებ საუბრით დაინტერესდა.

– ჩემი პასუხი ის არის, რომ ოთხივე ვაჭარმა ერთი მიზეზით შესცოდა, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ გავამტყუნებთ, რადგან მათი განსჯა ჩვენი საქმე არ არის.

შამს თებრიზი ჩემკენ წამოვიდა და ისე თბილად შემომხედა, თავი მშობლის სიყვარულით გულნაჯერებ პატარა ბავშვად ვიგრძენი. მერე სახელი მკითხა და როცა ვუთხარი, კლასს გამოუცხადა:

– თქვენს მეგობარ ჰუსამს სუფის გული აქვს!

ისე დავიმორცხვე, რომ ყურებიც კი ამეწვა. ეჭვი არ მეპარებოდა, გაკვეთილის შემდეგ შეიხი იასინიც დამტუქსავდა და ამხანაგებიც დამცინებდნენ, მაგრამ გული დავიმშვიდე, წელში გავიმართე და შამსს გავუღიმე. პასუხად მანაც გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და განაგრძო:

– სუფი ამბობს: „სხვების განსჯას ღმერთთან შინაგანი შეხვედრა მიჯობს“, მართლმორწმუნე ღვთისმეტყველი კი ყოველთვის სხვების შეცდომებს უსაფრდება. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ვინც სხვებს ამხელს, მეტწილად თვითონ არის ხოლმე დამნაშავე.

– მოწაფეებს ნუ მიგიჟებ! – გააწყვეტინა შეიხმა იასინმა. – ჩვენ, ღვთისმეტყველებს, ვინ მოგვცა უფლება, სხვების საქმიანობას თვალი არ ვადევნოთ! ხალხი უამრავ შეკითხვას გვისვამს და ჩვენგან რიგიან პასუხებს ელის, რათა თავიანთი რჯული ბოლომდე პირნათლად დაიცვან. ხშირად გვეკითხებიან, არის თუ არა საჭირო ხელახალი განბანა, როცა, ვთქვათ, ცხვირიდან სისხლი წაგსკდება; ან კიდევ, შეიძლება თუ არა მარხვა მოგზაურობის დროს და ა.შ. შაფი, ჰანეფი, ჰანბალი და მალიქი სხვადასხვანაირად ეხმაურებიან ასეთ საკითხებს. რჯულის კანონის ყველა სკოლა დაწვრილებით პასუხობს ამ კითხვებს. ჩვენ კი გულმოდგინედ უნდა შევისწავლოთ ისინი.

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მეტისმეტი ნუ მოგვივა, – ამოიოხრა შამსმა, – ღვთის სიტყვა სრულყოფილია. ნუ გამოეკიდებით წვრილმანებს და ნუ დაივიწყებთ მთელს.

– როგორ თუ წვრილმანებს?! – თითქოს საკუთარ ყურებს არ დაუჯერა შეიხმა იასინმა. მორწმუნეები ადათს ყოველთვის ანგარიშს უწევენ და მისდევენ, ჩვენ კი, ღვთისმეტყველები, ყოველნაირად ხელს ვუწყობთ და ვხელმძღვანელობთ მათ.

– კი ბატონო, უხელმძღვანელეთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი უფლებამოსილება ღვთის სიტყვას ვერ გადასძალავს, – უპასუხა შამსმა და დასძინა: – თანაც შეეცადეთ, ქადაგებით თავი არ შეაწყინოთ იმათ, ვინც უკვე შეიმოსა ღვთიური შუქით. ყურანის სურები მათი ტკბობის წყაროა და ისინი შეიხთა შეგონებებს არ საჭიროებენ.

ამის გამგონე შეიხი იასინი ისე განრისხდა, რომ დამჭკნარი ლოყები ჭარხალივით აუწითლდა და კისერზე ადამის ვაშლი ამოებურცა.

– ჩვენი ღვაწლი დროებითი როდია, – თქვა მან, – შარიათი წესთა და კანონთა კრებულია, რომლითაც ყოველმა მაჰმადიანმა აკვნიდან კუბოს ფიცრამდე უნდა იხელმძღვანელოს.

– შარიათი მხოლოდ და მხოლოდ ნავია, ჭეშმარიტების ოკეანეში მოცურავე. ღმერთის ჭეშმარიტი მაძიებელი ადრე თუ გვიან დატოვებს ამ ნავს და წყალში ჩაყვინთავს.

– და იქ ზვიგენების ლუკმად გადაიქცევა! – მოშაინურად ჩაიქირქილა შეიხმა იასინმა. – ყველას ეს დღე ელის, ვინც ჩვენს თათბირს უარყოფს!

რამდენიმე მოწაფემ შეიხ იასინის საამებლად გაიცინა, მაგრამ დანარჩენებმა სიჩუმე ვარჩიეთ. უხერხულობის გრძნობა წუთი წუთზე მატულობდა. გაკვეთილი იწურებოდა და სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ამ საუბარს კარგი პირი არ უჩანდა. შამს თებრიზიც აშკარად გრძნობდა ამას. ნაღვლიანი, ის კი არა, უბედური კაცი იჯდა ახლა ჩვენ წინ. თვალებიც კი დახუჭა, თითქოს ამდენი ლაპარაკით ილაჯი წაერთვაო. თან ისე შეუმჩნევლად გააკეთა ეს, რომ ბევრს არც კი დაუნახავს.

– მოგზაურობისას არაერთ შეიხს შევხვედრივარ, თქვა მან, ზოგი მათგანი გულწრფელია, ზოგს დიდ ვინმედ მოაქვს თავი, არადა, ისეთი უვიცები არიან, თვით ისლამისაც არაფერი გაეგებათ. დღევანდელი შეიხები ღვთის ჭეშმარიტი მოყვარულის ფეხთა მტვრად არ ღირან. მაგათ ჩრდილების თეატრის მსახიობებსაც კი ვამჯობინებ. ეს უკანასკნელნი არ მალავენ მაინც, რომ მათი წარმოდგენა ცრუ სანახაობაა.

– კმარა! გააჩერე შენი ორკაპი ენა და გაეთრიე ჩემი კლასიდან! – შეუტია შეიხმა იასინმა.

– ნუ ღელავ, მე ისედაც ვაპირებდი წასვლას, – უთხრა შამსმა ეშმაკური ღიმილით.

შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა:

– რაც დღეს მოისმინეთ, არახალია, ძველია... ეს დავა მუჰამად წინასწარმეტყველის დროიდან იღებს დასაბამს (მშვიდობა მისდა!)... მაგრამ ახლაც დროულია და მას ისლამის ისტორიის მანძილზე არასოდეს გასვლია ყავლი. მეტიც: იგი ყველა აბრაჰამულ რელიგიას უდევს საფუძვლად. ეს არის დაპირისპირება ღვთისმეტყველსა და მისტიკოსს შორის, გონებასა და გულს შორის. არჩევანი კი თქვენზეა!

შამსი ცოტა ხნით დადუმდა, რათა ბოლომდე გვეგრძნო მისი სიტყვების ძალა. მერე მზერა ჩემზე შეაჩერა, თითქოს ამით კარი შემიღო რაღაც იდუმალ, წარმოსახვით საძმოში, რომელიც სინამდვილეში არსად არის.

ბოლოს ამ სიტყვებით მოგვმართა:

– კაცმა რომ თქვას, არც თქვენმა მასწავლებელმა და არც მე ვიცით იმაზე მეტი, რისი ცოდნის უფლებასაც ღმერთი გვაძლევს. ყველას ჩვენჩვენი დანიშნულება გვაქვს. მხოლოდ ერთი რამ არის უდავოდ მნიშვნელოვანი: მზის შუქი არამც და არამც არ უნდა დაჩრდილოს ყველაფრის უარმყოფელთა და დაუნახავთა სიბეცემ!

ამ სიტყვებით შამს თებრიზმა მარჯვენა ხელი გულზე მიიდო და ყველას დაგვემშვიდობა, მათ შორის შეიხ იასინსაც, დაბღვერილი რომ გამდგარიყო განზე და ხმას არ იღებდა.

დავრიში საკლასო ოთახიდან გავიდა და კარი მიიხურა. დავრჩით სრულ სიჩუმეში. კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღეთ და ვერ გავინძერით.

ამ გაოგნებული მდგომარეობიდან ირშადმა გამომიყვანა. შევნიშნე, რომ უკმაყოფილო სახით მიყურებდა. მაშინღა მივხვდი, რომ მარჯვენა ხელი მეც გულზე მქონდა მიდებული, თითქოს ასე ვუძღვნიდი სალამს ჭეშმარიტებას, რომელიც ჩემმა გულმაიმწუთას შეიცნო.

ბაიბარსი, მეომარი

1246 წლის მაისი, კონია

ბნელეთის მოციქულს რა მოუგრეხს კისერს, რა?! ყურებს არ დავუჯერე, როცა ეს ამბავი მომიტანეს. თურმე ბიძაჩემს მოსდგა იმ დღეს, თანაც მოწაფეების წინაშე! არა, სულ წავიდა ეს კაცი ხელიდან... ეჰ, სად ვიყავი! მაგ ავყია პირის გაღებასაც არ ვაცლიდი, კინწისკვრით გავაგდებდი იქიდან! ისე, ეტყობა, დიდხანს ილაპარაკეს. მოწაფეებს იმის მერე სულ ეგ აკერიათ პირზე. თუმცა, მაგ ბიჭბუჭების სიტყვებს დიდად არ ვენდობი, იმიტომ რომ ამბავს არეულად ჰყვებიან ხოლმე, თან ის დამპალი დავრიში ძალიან დიდი ვინმე ჰგონიათ. აქეთ ჩემიც გამჭირვებია. მთელი ღამეა, ვბორგავ, სულ იმ კახპის უდაბნოს ვარდის გამო. ვერა და ვერ ამომიგდია ეს ქალი გულიდან. ზარდახშას მაგონებს, რომელსაც საიდუმლო სამალავი აქვს. გგონია, რომ უკვე შენია, დაისაკუთრე, დაიმორჩილე, მაგრამ თუ გასაღები არ გაქვს, ვერ მოიხელთებ, ბოლომდე ვერ გახსნი.

ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ გნებდება!.. სულ ვეკითხები ჩემს თავს, რატომ არ მეწინააღმდეგებოდა, როცა ვცემდი? რატომ გამეგო ფეხქვეშ, როგორც მოჩვარული, ძველი ხალიჩა?! ხელი რომ შეებრუნებინა, ან ეყვირა და შველა ეთხოვა, მის ცემას აღარ გავაგრძელებდი. მაგრამ – არა! იწვა პირმოკუმული და გაშეშებული, თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც იქნება, იქნება, ყველაფერს უნდა გავუძლოო. დავიჯერო, მართლა არ ადარდებდა, მოვკლავდი თუ არა?

საროსკიპოში წასვლას თავს ვარიდებდი, მაგრამ დღეს ისე მომინდა იმ გოგოს ნახვა, ვეღარ გავძელი და წავედი. ნეტავ რას იზამს, რომ დამინახავს? თუ ამიშარდება და მიჩივლებს, იმ რუმბივით გაბერილ დედაკაცს, მის პატრონს, ქრთამით მოვუქონავ თავს, ან თუ საჭირო გახდა, სულაც დავემუქრები-მეთქი, ვფიქრობდი გზაში. მოკლედ, ყველაფრისთვის მზად ვიყავი, ერთი რამის გარდა: უდაბნოს ვარდი გაქცეული დამხვდა!

– რას ნიშნავს აქ აღარ არის? – ვიღრიალე გამწარებულმა. – სად არის?!

– დაივიწყე ეგ გოგო, – მითხრა საროსკიპოს პატრონმა, პირში რაჰათლუკუმი ჩაიდო და გაწებილი თითები არხეინად გაილოკა, მაგრამ როცა დაინახა, რა გუნებაზე ვიყავი, დამიტკბა:

– რატომ სხვა გოგოებს არ გადაავლებ თვალს, ბაიბარს?

– გყავდეს შენი იაფფასიანი კახპები, შე მსუქანო ალქაჯო. მე უდაბნოს ვარდის ნახვა მინდა, თანაც ახლავე!

ქალკაცამ ასეთი მიმართვა იუკადრისა და თავისი დაქნილი, შავი წარბები აწკიპა, მაგრამ შეკამათება ვერ გამიბედა. მერე კი, თითქოს ამ სიტყვების წარმოთქმის ეშინიაო, ჩურჩულით მითხრა:

– წავიდა შენი უდაბნოს ვარდი... ალბათ, მაშინ გაიპარა, როცა ყველას გვეძინა.

სასაცილოდ არ მეყო ეს ნათქვამი.

– როდის აქეთ იპარებიან კახპები საროსკიპოებიდან ასე თავისუფლად? ახლავე წადი და იპოვე! – არ ვეშვებოდი მე.

ქალკაცამ ისე შემომხედა, თითქოს პირველად მხედავდა.

– ვინ მიგდიხარ, რომ დაგიღია პირი და მბრძანებლობ? – დაისისინა და ურცხვად შემომხედა თავისი ჭრუტა თვალებით, ასე რომ არ ჰგავდა უდაბნოს ვარდის თვალებს.

– ვინ ვარ და მეომარი! ბიძაჩემი ვინ არის, ალბათ, იცი... შემიძლია, ეს ბუნაგი ახლავე დაგიკეტო და ქუჩაში გაგყაროთ, – ვუთხარი მე, მერე ჯამში ხელი ჩავუყავი, რაჰათლუკუმი ამოვიღე და გავღეჭე. რბილი იყო. გემრიელად იწელებოდა. პირი ჩავიტკბარუნე და გაწებილი თითები ქალკაცას აბრეშუმის ყელსახვევს შევაწმინდე. ბრაზისაგან მკვდრისფერი დაედო, მაგრამ ვეღარაფერი შემომბედა.

– მე რას მერჩი?! იმ დავრიშს მოჰკითხე, მაგან დაარწმუნა ეგ გოგო, საროსკიპო დატოვე და ღმერთის საძიებლად წადიო! – თავი იმართლა ბოლოს.

ჯერ ვერ მივხვდი, ვის გულისხმობდა, მაგრამ მერე გამახსენდა: შამს თებრიზი იქნებოდა სხვა არავინ! ჯერ ბიძაჩემს რაები აკადრა მოწაფეების თვალწინ, ახლა კიდევ ეს ახალი ამბავი...

არა, ამ კაცს ნამდვილად ზედმეტი მოსდის!..

ელა

2008 წლის 26 ივნისი, ნორთჰემპტონი

„საყვარელო აზიზ!

გადავწყვიტე, ამჯერად წერილი მომეწერა შენთვის. ჰო, ნამდვილი, ძველმოდური წერილი. მელნისა და არომატიზებული ქაღალდის გამოყენებით, ფერში შეხამებული კონვერტითა და მარკით. დღეს ამ წერილს ამსტერდამში ფოსტით გამოგიგზავნი. თან ახლავე უნდა გავაკეთო ეს, რადგან თუ დავაყოვნე, ვშიშობ, ვეღარასოდეს გადავდგამ ამ ნაბიჯს.

წარმოიდგინე, ხვდები ადამიანს, რომელიც სრულიად განსხვავდება ყველასგან, ვინც ირგვლივ გყავს. ადამიანს, რომელიც ყველაფერს სხვაგვარად ხედავს და გაიძულებს, შენც შეცვალო ხედვის კუთხე, ყველაფერს ახლებურად დააკვირდე, თანაც ყოველი მხრიდან. თავიდან ფიქრობ, რომ ამ ადამიანთან უსაფრთხო დისტანციას დაიცავ, დარწმუნებული ხარ, რომ ამ მიმზიდველ „შტორმს“ გაუძლებ და გზას გაიგნებ, მაგრამ უეცრად ხვდები (თან საკმაოდ მალე), რომ ღია ზღვაში ხარ გადაგდებული და ვეღარაფერს აკონტროლებ.

ზუსტად ვერ გეტყვი, როდის დამატყვევა პირველად შენმა სიტყვებმა. ერთი რამ ვიცი მხოლოდ ჩვენი მიმოწერა მცვლის; მცვლის პირველივე წუთიდან... შეიძლება ოდესმე ვინანო ეს სიტყვები, მაგრამ მე მთელი ცხოვრება სინანულში გავატარე იმის გამო, რაც ვერ გავაკეთე, დაე, ერთხელაც გაბედული ნაბიჯის გამო ვინანო, არაფერი დაშავდება.

მას შემდეგ, რაც შენი რომანისა და წერილების წყალობით გაგიცანი, ჩემს ფიქრებს მთლიანად დაეპატრონე. ყოველთვის, როცა შენს შეტყობინებას ვკითხულობ, ჩემში რაღაც გადატრიალება ხდება და ვაღიარებ, რომ ასეთი კმაყოფილება და სასიამოვნო მღელვარება, კარგა ხანია, არ განმიცდია. გამუდმებით შენზე ვფიქრობ, გულში სულ შენ გელაპარაკები და როცა რამე ხდება, პირველ რიგში შენი აზრი მაინტერესებს. როცა

რომელიმე კარგ რესტორანში მივდივარ, მინდა, შენ მახლდე. როცა რაიმე საინტერესოს ვხედავ, გული მწყდება, რომ შენ ვერ გაჩვენებ.

ამას წინათ ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა მკითხა, თმას რა უყავიო. არაფერიც არ მიქნია, იგივე ვარცხნილობა მაქვს! მაგრამ ფაქტია, სხვანაირად გამოვიყურები, იმიტომ, რომ სხვანაირად ვგრძნობ თავს...

ზოგჯერ საკუთარ თავს ვუწყრები: რა მოგდის, კაცს ჯერ არც კი იცნობ-მეთქი!.. ასეთ დროს ვფხიზლდები და რეალობას ვუბრუნდები. რეალობა კი ის არის, რომ არ ვიცი, რა ვუყო ამ ყველაფერს – ანუ შენ...

რომანის კითხვა დავამთავრე და ანგარიშიც ჩავაბარე (ჰო, მართლა, შენთვის არ მითქვამს, რომ ამ რომანზე ლიტ-სააგენტოსთვის ანგარიშს ვწერდი). იყო წუთები, როცა მინდოდა, ჩემი მოსაზრებები შენთვისაც გამეზიარებინა, ის კი არა, მთელი ანგარიშიც კი გამომეგზავნა, მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ ეს არ იქნებოდა სწორი. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნამუშევრის დეტალებს ვერ გიმხელ, მინდა იცოდე, რომ შენს წიგნზე შეყვარებული ვარ. დიდი მადლობა ამ სიამოვნებისთვის. შენი სიტყვის ძალა ყოველთვის თან გამყვება.

არის თუ არა ჩემი ეს გადაწყვეტილება შენს წიგნთან დაკავშირებული? ალბათ, არა. თუმცა, იქნებ არის კიდეც... დავაზუსტებ და ვიტყვი, რომ წერილი იმ რაღაცამ დამაწერინა, რაც ჩვენ შორის გაჩნდა. ჩემზე ამ ყველაფერმა ძალიან იმოქმედა. თავს ვეღარ ვერევი. ეს ჩემს ძალებს აღემატება.

თავდაპირველად შენმა წარმოსახვის უნარმა და შენმა მოყოლილმა საინტერესო ისტორიებმა მომხიბლა. მოგვიანებით მივხვდი, რომ თვითონ ის კაცი შემიყვარდა, რომელმაც ეს ისტორიები შექმნა. ახლა ნამდვილად არ ვიცი, რა გზას დავადგე. ეს წერილი სასწრაფოდ რომ არ გამოვგზანო, ვიცი, ნაფლეთებად ვაქცევ, მერე კი ისე უნდა დავიჭირო თავი, თითქოს ჩემს ცხოვრებაში ახალი და უჩვეულო არაფერი მომხდარა.

მე შემიძლია გავაკეთო ის, რასაც ყოველთვის ვაკეთებდი თავი მოვიკატუნო, რომ ყველაფერი კარგად არის... დიახ, შევძლებდი გული ამ საამური, ტკბილი ტკივილით რომ არ მქონდეს სავსე...

სიყვარულით, ელა“.

კერა

1246 წლის მაისი, კონია

ბარემ ნემსის ყუნწში გამაძვრინონ და ეგ იქნება! რა დღეში ჩავვარდი, ნეტავ იცოდეთ. ამ დილით, საიდან სადაო, ვიღაც ახალგაზრდა ქალი მომადგა და შამს თებრიზი იკითხა. მოგვიანებით მობრძანდი, ახლა შინ არ არის-მეთქი, ვუთხარი. წასასვლელი არსად მაქვს და ეზოში მოცდა მირჩევნიაო, მიპასუხა. დავეჭვდი და დავუწყე გამოკითხვა, ვინა ხარ და საიდან მოდიხარ-მეთქი. მუხლებში ჩამივარდა, ჩადრი მოიხსნა და დალილავებული სახე მაჩვენა. ნაცემი კი იყო, მაგრამ ძალიან ლამაზი ჩანდა. ცრემლი ახრჩობდა, მაგრამ

ზედმიწევნით დალაგებულად მიამბო თავისი ასავალდასავალი და ეჭვიც დამიდასტურა: საროსკიპოდან გამოქცეული მეძავი გახლდათ.

– ავიკარი გუდანაბადი, მოვცილდი იმ ბუნაგს, წავედი ქალაქის აბანოში, ორმოცჯერ განვიბანე, ორმოცი ლოცვა წარმოვთქვი და ფიცი დავდე, რომ დღეის შემდეგ მამაკაცს აღარ გავეკარები. ამიერიდან ჩემი ცხოვრება ღმერთს უნდა მივუძღვნა, – მითხრა ბოლოს.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ჩავცქეროდი ტკივილით სავსე თვალებში და მიკვირდა, ასეთ ახალგაზარდა და დაუცველ ადამიანს როგორ ეყო იმდენი გამბედაობა, რომ შეჩვეული ადგილი დაეტოვებინა, რომლის მიღმა არაფერს და არავის იცნობდა.

მეძავის სათოფეზე გაკარებაც კი მეთაკილებოდა, მაგრამ რაღაც იყო მასში ისეთი, რამაც გული ამიჩუყა. ასე მიამიტი და უბიწო იშვიათად მენახა ვინმე. მისმა თაფლისფერმა თვალებმა დედა ღვთისმშობლის თვალები მომაგონა. ვერ მოვერიე თავს, ვერ დავუცაცხანე, მომშორდი-მეთქი. ეზოში მოცდის უფლება მივეცი. სხვა რა შემეძლო...

იჯდა იქ, კედელთან, მარმარილოს ქანდაკებასავით უძრავი, და სივრცეს გაჰყურებდა. ერთ საათში სასეირნოდ წასული შამსი და რუმიც დაბრუნდნენ. მაშინვე მოულოდნელი სტუმრის შესახებ ვუამბე.

– შენ გინდა თქვა, რომ ჩემს ეზოში მეძავი ზის? – დაიბნა რუმი.

– დიახ, ასე ამბობს, საროსკიპოდან გამოვიქეცი და ღმერთის ძიებას შევუდექიო.

– უდაბნოს ვარდი იქნება! – წამოიძახა შამსმა. გაკვირვება არ ეტყობოდა, გახარებული უფრო ჩანდა. – გარეთ რატომ ალოდინებ? შინ შემოიყვანე!

– კი მაგრამ, მეზობლები რას იტყვიან, როცა გაიგებენ, რომ ჩვენს ჭერქვეშ მეძავი შევიფარეთ? – ძლივს ამოვიხავლე სიმწრისგან ხმაჩაწყვეტილმა.

– ყველანი ერთ ჭერქვეშ არ ვცხოვრობთ? მეფეებსა და მათხოვრებს, ქალწულებსა და მეძავებს, ყველას ერთი ცა არ გვხურავს, კერა? – მკითხა შამსმა და ზეცისკენ მიმითითა.

მაგასთან მტერმა იკამათოს! ყველაფერზე მზად აქვს პასუხი, ამიტომ მეძავი შინ შევიპატიჟე და გულში უფალს შევთხოვე, ჩვენს არამკითხე მეზობლებს არაფერი დაენახათ.

ოთახში რომ შევედით, უდაბნოს ვარდი შამსს ქვითინით მიეჭრა და ხელები დაუკოცნა.

– რა კარგია, რომ მოხვედი! გაიბადრა ისიც, თითქოს ძველ მეგობარს ელაპარაკებოდა. – შენ იქ აღარასოდეს დაბრუნდები, იცოდე. შენი ცხოვრების ეს მონაკვეთი დასრულებულია. ღმერთმა ქნას, ნაყოფიერად გაგევლოს ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზა.

უდაბნოს ვარდმა ტირილს უმატა.

– ვინ დამაცდის! ჩემი პატრონი, ალბათ, ტურისთავას დამადევნებს! ეჰ, რომ იცოდე...

– ცუდი აზრები მოიშორე, შვილო, – გააწყვეტინა შამსმა, – აჰა, ისმინე მორიგი წესი: „ყველა სადღაც მიისწრაფვის, ყველას სურს, ვიღაც გახდეს. არადა, მათი სიკვდილის შემდეგ ეს მონაპოვარი ნიავქარს გაჰყვება. შენ კი არარას მიელტვი, მის უმაღლეს საფეხურს უმიზნებ. მსუბუქმა, დაცლილმა გაიარე ეს ცხოვრება. დიახ, იყავი ცარიელი, როგორც ციფრი ნული. ადამიანი ქოთანივითაა. ქოთანი ხომ შინაგან სიცარიელეს უჭირავს და არა გარეგან მორთულობას. ფეხზე სწორედ მაშინ დგახარ და წინაც

სწორედ მაშინ მიიწევ, როცა იცი, რომ არარა ხარ, და არა მაშინ, როცა რაღაცას გამალებით ესწრაფვი“.

მოგვიანებით უდაბნოს ვარდს ლოგინი გავუშალე. იმწამსვე ჩაეძინა. მე კი დარბაზში დავბრუნდი, სადაც რუმი და შამსი რაღაცაზე ბჭობდნენ.

– შენც უნდა დაესწრო ჩვენს წარმოდგენას, კერა, – მითხრა შამსმა.

– რა წარმოდგენას?

– ეს არის სულიერი ცეკვა, რომლის მსგავსი არასოდეს გინახავს.

გაოგნებულმა ქმარს გადავხედე.

„ეს რა ხდება?.. რა ცეკვა?“ – გამირბინა გონებაში.

– მევლანა, შენ ხომ ყველასგან პატივცემული ღვთისმეტყველი ხარ და არა გამრთობი. რას იფიქრებს შენზე ხალხი? – მივმართე ქმარს სახეალეწილმა.

– ნუ გეშინია, – მითხრა რუმიმ, – მე და შამსი დიდი ხანია, ამაზე ვმსჯელობთ. ეს არის დავრიშების წრიული როკვა. მას სემა ეწოდება. ვინც ღვთაებრივი სიყვარულისაკენ მიილტვის, შეუძლია, შემოგვიერთდეს.

თავი ძალიან ამტკივდა, მაგრამ თავის ტკივილს ვინღა ჩიოდა, როცა გულში ცეცხლი მიტრიალებდა.

– კი მაგრამ, ხალხს რომ არ მოეწონოს? ცეკვა ხომ ყველას არ მოსდის თვალში...

ვუთხარი შამსს იმ იმედით, რომ საუბარს აღარ გააგრძელებდა, იქნებდროებით მაინც გადადოთ ეს საქმე?

– ღმერთიც ბევრ ვინმეს არ მოსდის თვალში, მაგრამ რა ვქნათ, რწმენაც დროებით გადავდოთ? – კითხვა შემომიბრუნა შამსმა.

ამით დასრულდა ჩვენი კამათი. ერთმანეთისათვის სათქმელი აღარაფერი გვქონდა. ამასობაში ქარის ღმუილმა კარფანჯრის ღრიჭოებიდან ოთახშიც შემოაღწია და პირდაპირ ყურებში მეძგერა.

სულთან ველედი

1246 წლის ივნისი, კონია

– ბრძენს უთქვამს: „სილამაზე მხოლოდ მაცქერლის თვალებში ცოცხლობსო“. ამ ცეკვას ყველა ნახავს, მაგრამ ზოგს მოეწონება იგი, ზოგს არა... – ასე გვაფრთხილებდა შამსი, თუმცა იმ საღამოს, როცა სემა უნდა გამართულიყო, მაინც ეჭვი გამოვთქვი, არა მგონია, ვინმე მოვიდეს-მეთქი.

– დამშვიდდი, – მითხრა შამსმა დაბეჯითებით, – მართალია, კონიელებს გულზე არ ვეხატები, მეტიც: შეიძლება უკვე მამაშენიც აღარ მოსდიოდეთ თვალში, მაგრამ გვერდს ნამდვილად ვერ აგვივლიან. სხვა თუ არაფერი, ცნობისწადილი მაინც მოიყვანთ...

მართლაც, ღია ცისქვეშა დარბაზი გადაჭედილი დამხვდა. ვინ არ მოსულიყო: ვაჭრები თუ მჭედლები, დურგლები თუ გლეხები, ქვისმთლელები თუ მღებავები, მეწამლეები თუ ამქრები, წვრილი მოხელეები თუ მექოთნეები, ხაბაზები თუ მოტირლები, წინასწარმეტყველები, ვირთხებზე მონადირენი თუ მენელსაცხებლენი... თვით შეიხი

იასინიც მობრძანებულიყო მოწაფეებთან ერთად. ქალები უკანა რიგებში ისხდნენ განცალკევებით.

გულზე მომეშვა, როცა წინა რიგში ჩვენს მბრძანებელს – ქეიხუსრევსაც მოვკარი თვალი, თავის მრჩევლებთან ერთად. იმედი მომეცა, რომ ასეთი წარჩინებული კაცის მხარდაჭერა მამაჩემის მძაგებელთა ავსიტყვაობას დააცხრობდა.

ადგილების დაკავებას გვარიანი დრო დასჭირდა, მაგრამ ფუსფუსი და მღელვარება ამის შემდეგაც კარგა ხანს არ ჩაწყნარებულა.

ძალიან მინდოდა, ვიღაც ისეთი მყოლოდა გვერდით, ვინც შამსს ცუდად არ მოიხსენიებდა, ამიტომ ლოთ სულეიმანს მივუჯექი. სულეიმანი ღვინის სუნით ყარდა, მაგრამ ეს არაფრად ჩავაგდე. ვწრიალებდი, ფეხებს ვერ ვაჩერებდი, ხელისგულები მიოფლიანდებოდა. ისეთი თბილი დღე იყო, ხალხმა ლაბადები გაიხადა, მე კი მაინც კბილს კბილზე მაცემინებდა.

ეს წარმოდგენა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მამაჩემის შელახულ სახელს უნდა წაშველებოდა. გულში ლოცვაც კი წამოვიწყე, მაგრამ მთლად დალაგებული ლოცვა ვერ გამომივიდა, რადგან კარგად არ ვიცოდი, რა მეთხოვა უფლისთვის, გარდა იმისა, რომ ყველაფერს კარგად ჩაევლო.

ცოტა ხანში რაღაც ხმა ჩაგვესმა. თავიდან შორიდან ჟღერდა, შემდეგ კი თანდათან მოგვიახლოვდა. ისეთი სულისშემძვრელი ბგერები იყო, რომ მთელი დარბაზი გაინაბა და სმენად იქცა.

– რა საკრავია, ნეტავ? – მკითხა სულეიმანმა. აღტაცებას ვერ მალავდა, მაგრამ შევატყვე, ეშინოდა კიდეც...

– ამ საკრავს ნეი ჰქვია, – განვუმარტე მე (ეს სიტყვა მამაჩემისა და შამსის საუბრების დროს მქონდა გაგონილი), – დააკვირდი, მისი ხმა მიჯნურის ოხვრას ჰგავს...

როცა ნეის ხმა მინელდა, სცენაზე მამაჩემი გამოჩნდა. დინჯი, მოზომილი ნაბიჯით მოგვიახლოვდა და მაყურებელს მიესალმა. უკან ექვსი დავრიში მოსდევდა (ყველანი მამაჩემის მოწაფეები იყვნენ), თითოეულ მათგანს თეთრი, გრძელი კაბა ემოსა.

დავრიშებმა ხელები გულზე დაიკრიფეს, მამაჩემის წინ ქედი მოიხარეს და მის დალოცვას დაელოდნენ. ამასობაში საკრავების ხმამ იმატა და დავრიშებმა ერთმანეთის მიყოლებით ბზრიალი დაიწყეს, თავიდან ნელა, შემდეგ კი თავბრუდამხვევი სისწრაფით. ამ მოძრაობის დროს მათი კაბების ქობები ლოტოსის ყვავილებივით იშლებოდა. ერთ ნახვად ღირდა ეს ყველაფერი. უნებურად სიამაყისა და სიხარულის ღიმილი ვერ შევიკავე. ცალი თვალი მაყურებლისკენ გავაპარე. ყველაზე საზიზღარი ჭორიკანებიც კი აშკარა აღტაცებით შესცქეროდნენ ამ სანახაობას... დავრიშები კი ბზრიალებდნენ და ბზრიალებდნენ დაუსრულებლად, თითქოს დაუსაბამო მარადისობაში შეედგათ ფეხი და ვეღარაფერი აჩერებდათ.

ნეის კვნესასა და დოლების ბრაგუნს ახლა ფარდის უკნიდან რებაბიც აჰყვა. სწორედ ამ დროს უდაბნოს გრიგალივით შემოიჭრა სცენაზე შამს თებრიზი. მას, დანარჩენებისგან განსხვავებით, მუქი სამოსი ეცვა, სხვებზე მაღალიც იყო და სხვებზე სწრაფადაც ბრუნავდა.

გაშლილი ხელები ცისკენ ჰქონდა აპყრობილი. სახეც ზეცისთვის მიეშვირა, მნათობისკენ მაცქერალი მზესუმზირის ყვავილივით. გავიგონე, როგორ აღმოხდა ზოგიერთ მაყურებელს ძრწოლანარევი ოხვრა. ამ მშვენიერი წუთის ხიბლს იმათაც ვერ გაუძლეს, ვისაც შამს თებრიზი ჭირივით სძულდა...

მამაჩემს შევხედე. სანამ შამსი თავგამოდებით ბზრიალებდა, მოწაფეები კი იმავე მოძრაობას თავთავიანთ ადგილზე უფრო ზომიერი სიჩქარით იმეორებდნენ, მამა ბერმუხასავით იდგა.

იდგა ბრძენი და უშფოთველი მევლანა და თავისთვის შეუჩერებლად ბუტბუტებდა ლოცვას. ბოლოს მუსიკა შეწყდა, ყველა დავრიში ერთდროულად გაშეშდა და „ლოტოსის ყვავილებიც“ სათითაოდ დაიხურა. მამამ კიდევ ერთხელ თბილი სალამი მიუძღვნა საზოგადოებას, შემდეგ კი წარმოდგენის მონაწილეები და მაყურებელი ერთად დალოცა.

ეს იყო ადამიანთა სრული შეხმატკბილების წუთი. ყველა დუმდა. არავინ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რადგან მსგავსი რამ მანამდე არავის ენახა. ისევ მამაჩემის ხმამ გაკვეთა ირგვლივ დასადგურებული მდუმარება:

– ჩემო მეგობრებო! ამას ეწოდება სემა, ანუ დავრიშთა წრიული როკვა. დღეიდან ყველა ასაკის დავრიში იცეკვებს მას. ცალი ხელით ზეცისკენ ხელაპყრობილი, მეორე ხელით დედამიწისკენ ხელგაშვერილი დავრიში ამ დროს ღვთისაგან მიღებული სიყვარულის უკანასკნელ ნამცვრევსაც კი უშურველად უწილადებს თანამოძმეებს!

ამ სიტყვებს მაყურებლის ღიმილი და კმაყოფილი ჩურჩული მოჰყვა. დარბაზი აშკარად ნასიამოვნები იყო. ისე გამახარა ამ თბილმა გამოხმაურებამ, რომ ცრემლიც კი მომადგა თვალზე. ვხედავდი, მამაჩემი და შამსი კვლავ იბრუნებდნენ სიყვარულსა და პატივისცემას, რომელსაც უდავოდ იმსახურებდნენ.

ალბათ, ეს საღამოც ასე თბილად და ხალისიანად დასრულდებოდა და მეც, მდგომარეობის გამოსწორების სიხარულით გულმოცემული, ბედნიერ კაცად დავბრუნდებოდი შინ, მაგრამ მოხდა ის, რამაც ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დაანგრია.

სულეიმანი, ლოთი

1246 წლის ივნისი, კონია

ბიჭოს, ეს რა ვნახე! ამას რა დამავიწყებს! დღემდე გონს ვერ მოვსულვარ. თავიდან ხომ იყო და იყო, მაგრამ დასასრულმა მთლად ბოლო მომიღო...

სემა რომ დამთავრდა, დიდი ქეიხუსრევ მეორე წამოდგა და იქაურობას მბრძანებლის თვალი გადაავლო. მერე გაბღენძილი მიუახლოვდა სცენას და სიცილით თქვა:

– მომილოცავს, დავრიშებო, თქვენმა წარმოდგენამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა!

რუმიმ დარბაისლური მადლობა მოახსენა და სცენაზე მდგარმა ყველა დავრიშმაც იგივე გაიმეორა. შემდეგ მუსიკოსებიც ადგნენ და მბრძანებელს დიდი მოწიწებით მიესალმნენ. კმაყოფილებისაგან გაბადრულმა მბრძანებელმა თავისი ერთ-ერთი მცველი იხმო და

მანაც მაშინვე მიაწოდა ხავერდის ქისა. ქეიხუსრევმა ქისა რამდენჯერმე ხელში შეათამაშა, აქაოდა, ნახეთ, რა მძიმეაო და... სცენისკენ ისროლა. ხალხმა ერთი დაიგმინა და ტაში დასცხო. მბრძანებლის გულუხვობამ ყველას გული აგვიჩუყა.

კმაყოფილი და გულდაჯერებული ქეიხუსრევი მოტრიალდა და წასვლა დააპირა, მაგრამ... ნაბიჯიც არ ჰქონდა გასასვლელისკენ გადადგმული, რომ მისი ნაჩუქარი ქისა უკანვე გამოუქანეს. მის ფეხებთან მიმობნეულმა ოქრომ პატარძლის სამაჯურებივით გაიჩხრიალა...

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ერთი წუთი გაუნძრევლად ვისხედით და მომხდარს ვერ ვაცნობიერებდით. რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტად თვითონ ქეიხუსრევი შეცბა. შეურაცხყოფა ისეთი დაუფარავი და თან აშკარად პირადული იყო, რომ პატიებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მბრძანებელმა თავი მოატრიალა, რომ დაენახა, ვინ იყო ამ საშინელების ჩამდენი.

და როგორ გგონიათ, ვინ იყო? რა თქმა უნდა, შამს თებრიზი...

უცებ ყველა სცენაზე მდგარი, ხელებგაშლილი, თვალებჩასისხლიანებული და გააფთრებული შამსისკენ მიტრიალდა.

– ჩვენ ფულისთვის არ ვცეკვავთ! – დაიქუხა მან. – სემა სულიერი ცეკვაა და მხოლოდ სიყვარულისთვის სრულდება. ასე რომ, უკან წაიღე შენი ოქრო, მბრძანებელო. შენი ფული აქ არ ჭრის!

დარბაზი გაისუსა. რუმის უფროს შვილს მკვდრისფერი დაედო. კრინტის დაძვრა ვერავინ გაბედა. სუნთქვა შევიკარით ყველამ. თითქოს ზეცაც ამ ნიშანს ელოდაო, უცებ დაგვიშინა მწერის ნესტარივით წვეტიანი, დიდრონი წვეთები. წვიმის ხშუილმა ერთბაშად ჩაახშო ყველა სხვა ხმა.

– მომყევით! – უღრიალა ქეიხუსრევმა თავის ამალას.

დამცირებისაგან ლოყები უძაგძაგებდა, ტუჩები არ ემორჩილებოდა. ერთბაშად საცოდავად მოიკუნტა და გასასვლელისაკენ დაიძრა. მცველები და მსახურები ძუნძულით დაედევნენ უკან. გზადაგზა თავიანთი მძიმე წაღებით ტკეპნიდნენ აქა-იქ მიმობნეულ ოქროს. ხალხი მაშინვე წამოცვივდა და ფულის აკრეფა დაიწყო. ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა.

როგორც კი მბრძანებელი წავიდა, დარბაზს უკმაყოფილო ჩურჩულმა გადაურბინა.

– ამას ვინ ჰგონია თავი! – კაპასობდა ზოგიერთი.

– როგორ გაბედა ჩვენი მბრძანებლის წყენინება! – ამბობდნენ მეორენი.

მათ სხვებიც აჰყვნენ:

– ვაითუ, ახლა ქეიხუსრევმა მთელ ქალაქზე იყაროს ჯავრი?..

აღშფოთებული ადამიანების ერთი ჯგუფი ადგა და თავის ქნევით გასასვლელისკენ დაიძრა. წინ შეიხი იასინი და მისი მოწაფეები მიუძღოდნენ. ჩემდა გასაოცრად, მათ რიგებში თვალი მოვკარი რუმის ორ ნამოწაფარს და... მის ღვიძლ ვაჟს, ალადინს.

ალადინი

1246 წლის ივნისი, კონია

ბრინჯივით დავიბენი, ალაჰის მადლმა, ასეთი სირცხვილი არასოდეს მიგრძნია. თითქოს თავლაფდასხმად ის არ კმაროდა, მწვალებელს რომ შეეკრა, ახლა იმის ყურებაც მომიხდა, როგორ უძღვებოდა მამაჩემი ამ სამარცხვინო ტაშფანდურას. თავი მოიჭრა მთელ ქალაქში და ეს არის...

ეგ კიდევ არაფერი. ჩემი დამემართა, როცა დავინახე, რომ მაყურებლებში საროსკიპოდან გამოქცეული მეძავიც ერია. ვიჯექი და ვფიქრობდი, კიდევ რას გვიქადდა შამსისა და მამაჩემის სიყვარული, კიდევ რამდენი ასეთი სიგიჟე უნდა გვენახა საკუთარი თვალით. მართალი გითხრათ, ცხოვრებაში პირველად ვინატრე სხვა კაცის შვილობა. მე თუ მკითხავთ, მთელი ეს წარმოდგენა ნამდვილი ღვთის გმობა იყო, მაგრამ რაც შემდეგ მოხდა, ეს ხომ ყოველგვარ საზღვარს გასცდა. როგორ გაბედა იმ თავხედმა ჩვენი მბრძანებლის აბუჩად აგდება? მადლობა თქვას, რომ ქეიხუსრევმა იქვე არ შეაპყრობინა და სახრჩობელაზე არ გაუშვა. როცა დავინახე, რომ შეიხი იასინი ქეიხუსრევს გაჰყვა, მივხვდი, მეც იგივე უნდა გამეკეთებინა. ეგღა მაკლია, კონიელებმა იფიქრონ, რომ ურჯულოს ვემხრობი. ბოლოს და ბოლოს, ყველას უნდა დაენახა, რომ ჩემი ძმისგან განსხვავებით, მამაჩემის სათამაშო ტიკინა არ ვარ.

იმ ღამეს შინ არ მივსულვარ. ირშადთან დავრჩი რამდენიმე მეგობართან ერთად. აღელვებულებმა ბევრი ვილაპარაკეთ მომხდარზე და იმაზეც ვიმსჯელეთ, რა ზომები უნდა მიგვეღო.

– ეს კაცი საშინელ ზეგავლენას ახდენს მამაშენზე. – სიტყვა დაძრა ირშადმა, – ახლა მეძავიც მოგითრია სახლში... შენ უნდა ჩამორეცხო სირცხვილი შენს ოჯახს, ალადინ.

ვუსმენდი მათ ლაპარაკს და მართლაც სირცხვილით ვიწვოდი. ერთი რამ დღესავით ნათელი იყო: შამსმა არაფერი მოგვიტანა უბედურების მეტი. ამიტომ ერთხმად დავასკვენით, რომ მას ეს ქალაქი ნებით თუ არა, იძულებით უნდა დაეტოვებინა.

მეორე დღეს შინ დავბრუნდი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, შამსს კაცურად დავლაპარაკებოდი.

ეზოში მარტო დამხვდა. ჩემკენ ზურგით იჯდა, თავდახრილი და თვალდახუჭული, ნეიზე უკრავდა და თავს აკანტურებდა. ისე იყო მუსიკით გატაცებული, რომ ვერც კი შემამჩნია. თაგვივით ჩუმად მივეპარე და უკეთ დავაკვირდი ჩემს მტერს. რამდენიმე წუთში მუსიკა შეწყდა. შამსმა თავი ოდნავ ასწია. ჩემკენ არც კი გამოუხედავს, დუნედ წაიბუტბუტა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

– რაო, ალადინ, მე ხომ არ მეძებდი?

არაფერი გამკვირვებია. ჩარაზულ კარს ხვრეტდა ხოლმე თვალებით და რა გასაკვირი იყო, ზურგს უკან მდგომი დავენახე...

– მოგეწონა გუშინდელი წარმოდგენა? – მომმართა ისევ.

ახლა უკვე მთელი ტანით მობრუნდა ჩემკენ და ჯიქურ შემომაცქერდა.

– მე თუ მკითხავ, სამარცხვინო იყო, – არ დავაყოვნე პასუხი, – მოდი, პირდაპირ გეტყვი, კარგი? არ მომწონხარ. არც არასოდეს მომწონდი. ეყო მამაჩემს, რაც თავზე ლაფი დაასხი, ამის უფლებას დღეიდან აღარ მოგცემ!

თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, საკრავი გვერდზე გადადო და თქვა:

– აი, თურმე რა გაშინებს... ესე იგი, თუ რუმის სახელს ჩრდილი მიადგა, გამოჩენილი კაცის შვილი აღარ გერქმევა, არა?

მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, არ ავყოლოდი, ამიტომ მის გველურ შეკითხვას ყურადღება არ მივაქციე. თუმცა კარგა ხანი დამჭირდა იმისთვის, რომ გონება მომეკრიბა და მეპასუხა:

– რატომ არ დაგვანებებ თავს და არ წახვალ აქედან? რომ იცოდე, რა კარგად ვიყავით, სანამ შენ გამოჩნდებოდი! – მივახალე ბოლოს. – მამაჩემი ღირსეული ღვთისმეტყველი და ოჯახის კაცია. თქვენ არაფერი გაქვთ საერთო.

კისერი წაიგრძელა, წინ წამოიწია, სახე ერთიანად დაეძაგრა და ჰაერი მძლავრად შეისუნთქა. უცებ მოხუც, უმწეო კაცად მომეჩვენა შამსი. ისიც კი გავიფიქრე, რომ თავისუფლად შემეძლო ერთი მაგრად მიმებეგვა, სანამ ვინმე მის წამოშველებას მოასწრებდა. ავკაცური, საძაგელი აზრი იყო, მაგრამ თან ისეთი მაცდური, რომ შამსს წამით თვალიც კი ავარიდე, რათა ხელი არ წამცდენოდა.

როცა კვლავ გავუსწორე მზერა, დავინახე, რომ თავის ბრიალა თვალებს არ მაშორებდა და ყურადღებით მაკვირდებოდა. ნეტავ, თუ წაიკითხა ჩემი აზრები? ამის გაფიქრებისას მთელ ტანში ისეთი ჟრჟოლა შემიდგა, თითქოს ვიღაც ნემსებით მჩხვლეტდა. მუხლებიც კი მომეკვეთა. „არა, ეს, ალბათ, შავი მაგიაა“, გავიფიქრე მაშინვე. უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ შამსი გრძნეულების ყველაზე შავბნელ სახეობებში იყო გაწაფული.

– შენ ჩემი გეშინია, ალადინ, – მითხრა შამსმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, – იცი, ვის მაგონებ? ელამ ქარგალს!

– რისი თქმა გინდა? – ვკითხე მე

– ეს იგავია. გიყვარს იგავები?

– არ მცალია იგავებისთვის.

შამსმა შემწყნარებლურად ჩაიღიმა და თქვა:

– ადამიანს, რომელსაც იგავებისთვის არ სცალია, ღმერთისთვისაც არ სცალია. არ იცი, რომღმერთი საუკეთესო მეიგავეა?

პასუხი არ დამაცადა, ისე წამოიწყო:

იყო ერთი ოსტატი. ცოტა უკუღმართი ქარგალი ჰყავდა, თანაც ელამი. ეს ქარგალი ყველაფერს ორად ხედავდა. ერთხელ ოსტატმა სთხოვა, საკუჭნაოდან ერთი ქილა თაფლი მომიტანეო. წავიდა ქარგალი, უკან ხელცარიელი დაბრუნდა და ოსტატს შესჩივლა:

– კი მაგრამ, ოსტატო, იქ ორი ქილაა, რომელი უნდა მოგიტანო?!

ხელოსანი კარგად იცნობდა თავის ქარგალს და უთხრა:

– მოდი, ერთი გატეხე და მეორე მომიტანე!

ქარგალი ბრიყვი იყო და შეფარულ სიბრძნეს ვერ მიხვდა. ამიტომ გააკეთა ისე, როგორც უთხრეს. გატეხა ერთი ქილა და გაოცდა, როცა დაინახა, რომ „მეორეც“ გატყდა“.

– ამით რის თქმას ცდილობ? – ვკითხე მე. ვიცოდი, რომ შამსთან დიდგულობა მაინცდამაინც ჭკვიანური საქციელი არ იყო, მაგრამ თავი ვერ შევიკავე: – ეშმაკსაც წაუღიხარ შენი იგავებიანად! რა იქნება, სათქმელი პირდაპირ რომ თქვა?!

– ამაზე პირდაპირი ნათქვამი რაღა გინდა, ალადინ? იმ ელამი ქარგალივით შენც ყველაფერი ორად გეჩვენება. მე და მამაშენი ერთი ვართ. მე თუ გამტეხ, მასაც გასტეხ!..

– შენ და მამაჩემს არაფერი გაქვთ საერთო, – უკან არ დავიხიე, – მეორე ქილა უნდა დაიმსხვრეს, იმისთვის, რომ პირველი გათავისუფლდეს.

რისხვისგან დაბრმავებულმა ამ სიტყვების მოსალოდნელი შედეგები ვერ გავითვალისწინე. ყოველ შემთხვევაში მაშინ. მერეღა მივხვდი ყველაფერს, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო.

შამსი

1246 წლის ივნისი, კონია

ბრიყვები ამბობენ, ცეკვა მკრეხელობააო. მუსიკაც ხომ ღმერთმა გააჩინა, მაშ, მასვე როგორღა უნდა აეკრძალა ჩვენთვის მუსიკის მოსმენა? მხოლოდ იმ ჰანგებზე არ არის საუბარი, რომლებსაც ჩვენი სახმო სიმებით ან საკრავებით გამოვცემთ. მე იმ მუსიკას ვგულისხმობ, რომელიც ჩვენ ირგვლივ, ყველგან და ყველაფერში ისმის.

ნუთუ ვერ ხედავენ, რომ მთელი ბუნება მღერის? ყველაფერს რიტმი აქვს გულის ძგერას, ჩიტის ფრთებს, ძლიერ ქარს, მჭედლის უროს, ან თუნდაც იმ ჩქამს, რომლითაც გარემოცულია ჯერ დაუბადებელი ბავშვი დედის საშოში... ეს ყველაფერი სტიქიურად, მგზნებარედ უერთდება ერთ ჯადოსნურ ჰანგს.

დავრიშთა წრიული როკვა ამ მარადიული ჯაჭვის ერთი რგოლია. ზუსტად ისე, როგორც ზღვის ერთი წვეთი მთელს ოკეანეს შეიცავს, ჩვენი ბზრიალა ცეკვა ერთდროულად კიდეც ინახავს და კიდეც ამჟღავნებს კოსმოსის საიდუმლოებებს. წარმოდგენამდე რამდენიმე საათით ადრე მე და რუმი ოთახში განვმარტოვდით მედიტაციისათვის. წარმოდგენაში მონაწილე ექვსი დავრიშიც შემოგვიერთდა. განბანის წესი აღვასრულეთ, ვილოცეთ და შევიმოსეთ. სამოსზე ადრევე გვქონდა ნაფიქრი. ბევრი ვიმსჯელეთ და ბოლოს არჩევანი სადა ქსოვილებსა და დედამიწის ფერებზე შევაჩერეთ. ქარვისფერი ქუდი სამარის ქვის სიმბოლო იყო, გრძელი, თეთრი ქვედაბოლო სუდარის, შავი მოსასხამი კი სამარის. ამ ცეკვით სუფი სრულად შლის საკუთარ „მე“-ს. თითქოს ძველ კანს იცილებსო...

სანამ დარბაზს დატოვებდა და სცენაზე ავიდოდა, რუმიმ შემდეგი სტრიქონები წარმოთქვა:

გნოსტიკოსი გასცდა ხუთ გრძნობასა და ექვს მიმართულებას...

და ახლა იმას გვასწავლის, თუ რა დევს მათ მიღმა...

ამ განწყობით ავედით სცენაზე. პირველად ნეის ხმა ჩაგვესმა. შემდეგ რუმი გამოვიდა სცენაზე, როგორც სემაზენბაში. მოკრძალებულად თავდახრილი დავრიშები ერთმანეთის მიყოლებით, ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ყველაზე ბოლოს შეიხი გამოჩნდა. ბევრი ვებრძოლე რუმის ამის გამო, მაგრამ ის თავისაზე იდგა. ეს როლი შენ უნდა იკისროო. ამასობაში ჰაფიზმა ყურანის ლექსი წართქვა:

„და ქვეყანაზე სასწაულებია დაჯერებულთათვის და
თქვენს სულებში განა ვერ განჭვრეტთ?“

შემდეგ ნეისა და რებაბის მძაფრ ხმებს კუდუმიც აჰყვა.

ყური მიუგდე ლერწმის შრიალს, ყური მიუგდე;
ვით შემოგკვნესის იგი ამბავს განშორებისას:
„ლელიანიდან ამოძირკვეს ფესვები ჩემი,
ჩემმა გოდებამ აატირა ქალი და კაცი...“

გამოვიდა პირველი დავრიში, მიენდო უფალს და ბზრიალი დაიწყო. მისი კაბის არშია შხუილით კვეთდა ჰაერს და სათითაოდ, ყოველ მის ნაკეცში, თავისთვის ფეთქავდა უჩინარი სიცოცხლე.

ყველანი მას შევუერთდით და იქამდე ვბრუნავდით, სანამ ჩვენ ირგვლივ აღარაფერი დარჩა ერთარსის გარდა. ზეციდან მიღებულს მიწას ვაწვდიდით, ღვთისაგან ბოძებულს ხალხს გადავცემდით... თითოეული ჩვენგანი გადაიქცა დამაკავშირებელ რგოლად შეყვარებულ ადამიანსა და ტრფობის საგანს შორის.

როცა მუსიკა ჩაწყნარდა, ყველამ ერთად მოვუხარეთ ქედი სამყაროს მთავარ ძალებს:

ცეცხლს, ქარს, მიწას, წყალს და მეხუთე ელემენტს სიცარიელეს.

მე არ ვნანობ იმას, რაც წარმოდგენის შემდეგ ჩემსა და ქეიხუსრევს შორის მოხდა. მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, რომ რუმი რთულ მდგომარეობაში ჩავაყენე. იგი მმართველთა მფარველობასა და განსაკუთრებულ წყალობას იყო შეჩვეული, მათგან გარიყული არასოდეს ყოფილა. ახლა კი ოდნავ მაინც არის ჩახედული უბრალო ხალხის განცდებში. თავად იხილა, რა ღრმა უფსკრულია წარჩინებულთა და მდაბიოთა შორის. მიტომ ვფიქრობ, რომ კონიაში ჩემი ყოფნის დრო იწურება.

ყველა ჭეშმარიტ სიყვარულსა და მეგობრობას მოულოდნელი ფერისცვალება მოაქვს თან. თუ სიყვარული ფერს და ზნეს არ შეგვიცვლის და ისევ იგივენი დავრჩებით, ესე იგი, საკმარისად არ გვყვარებია

პოეზიასა და მუსიკასთან ზიარებასა და ღვთიურ როკვაში ჩაბმის გზით რუმის სახეცვლილება თითქმის დასრულებულია. მას, განსწავლულობის მიუხედავად, აღმაფრენა აკლდა და პოეზიას არ სწყალობდა, მოქადაგე იყო და საკუთარი ხმით ტკბებოდა. ახლა კი თავად ხდება პოეტი, თავად ხდება ხმა. ხმა სრული სიცარიელისა. თუმცა ამ ყველაფერს ჯერ თვითონაც ვერ აცნობიერებს, ალბათ...

მეც შევიცვალე და ახლაც ვიცვლები. განუხრელად მივიწევ ყოფიერებიდან არარასკენ, ერთი დროიდან სხვა დროისკენ, ერთი საფეხურიდან მეორისკენ, სიცოცხლიდან სიკვდილისკენ.

ჩვენი მეგობრობა ღვთის საჩუქარი იყო. ერთმანეთით ვხარობდით, ვყვაოდით, ვთბებოდით და ვტკბებოდით. ერთმანეთი შევავსეთ და სრული ნეტარება შევიცანით. მახსოვს, ერთხელ ბაბა ზამანმა მითხრა, აბრეშუმი რომ მზის სინათლეზე ამოშრიალდეს, მისი ამომხვევი ჭია უნდა მოკვდესო.

როცა ხალხი დაიშალა, საკრავების ხმა მიწყდა და საცეკვაო დარბაზში მარტო დავრჩი. მივხვდი, რომ ჩვენი ერთად ყოფნის დრო იწურებოდა. მე და რუმი ურთიერთობისას უჩვეულო სილამაზეს ვეზიარეთ, ერთმანეთის სარკეებად ვიქეცით და ამ გზით უსასრულობას ჩავხედეთ თვალებში, მაგრამ ძველი გამონათქვამი მაინც ძალაში რჩება: სიყვარულიდა გულისტკივილი ერთად დადიან...

ელა

2008 წლის 29 ივნისი, ნორთჰემპტონი

ბევრჯერ გაუგია აზიზისგან: თუ უჩვეულოსა და მოულოდნელთან შესახვედრად მზად ხარ, შეიძლება მართლაც წარმოუდგენელი რაღაცები შეგემთხვესო, მაგრამ იმისათვის, რაც იმ დღეს მოხდა, ელა ნამდვილად არ იყო მზად: აზიზ ზ. ზაჰარამ ბოსტონში ჩამოაკითხა!

კვირა საღამო იყო. რუბინშტეინები უკვე სუფრასთან ისხდნენ. უცებ ელამ თავისი მობილური ტელეფონის ეკრანზე შეტყობინება შეამჩნია. ალბათ, კულინარიული კლუბიდან მწერენო, გაიფიქრა და ტექსტის წაკითხვა არ უჩქარია.

იმ საღამოს მენიუს თაფლში შებრაწული იხვი ამშვენებდა, შემწვარ კარტოფილთან, მოშუშულ ხახვსა და მუქი ბრინჯის გარნირთან ერთად. ამ კერძის დანახვამ ყველა გამოაცოცხლა. თვით ჯენეტსაც კი ნერწყვი მოადგა პირზე, არადა, იმ დღეებში ძალიან მოწყენილი იყო: სკოტი ქუჩაში ახალ შეყვარებულთან ერთად ნახა და მიხვდა, რომ ბიჭი კვლავინდებურად უყვარდა.

გაჭიანურებულ ვახშამს ეშხს და ხალისს მხოლოდ კარგი ღვინო მატებდა. ოჯახის წევრები, როგორც ყოველთვის, ყოფით საკითხებზე საუბრობდნენ. ელა აქტიურად იყო საუბარში ჩართული: ქმარს ტალავერის ლურჯად გადაღებვაზე, ჯენეტს კოლეჯის პრობლემებზე, ტყუპს კი ახალ ფილმზე, „კარიბის ზღვის მეკობრეებზე“, ელაპარაკა. როცა დასვრილი თეფშები ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩააწყო და ოჯახს დესერტი შოკოლადის კრემბრულე ჩამოურიგა, მაშინღა გაახსენდა, რომ გზავნილი უნდა წაეკითხა.

„გამარჯობა ელა. ბოსტონში ვარ. ჟურნალის დავალებით ჩამოვედი. ამ წუთში გადმოვედი თვითმფრინავიდან. შეხვედრაზე რას იტყვი? გაჩერებას სასტუმრო „ონიქსში“ ვაპირებ.

სიხარულით შეგხვდები. აზიზი“.

ელამ ტელეფონი გადადო და რეტდასხმული კვლავ სუფრას მიუჯდა.

– მესიჯი მიიღე? – ჰკითხა ქმარმა და თვალებში ჩახედა.

– ჰო, მიშელი მწერს, – თვალის დაუხამხამებლად იცრუა ელამ.

დევიდმა გატანჯული სახე აარიდა, ხელსახოცით პირი მოიწმინდა და შემდეგ ამ ხელსახოცის გულდაგულ დაკეცვა დაიწყო.

– გასაგებია... – თქვა ჩუმად.

ელამ იცოდა, რომ ქმარმა არ დაუჯერა, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ ამ გამოგონილ ვერსიას ბოლომდე თანმიმდევრულად უნდა მიჰყოლოდა; არა იმიტომ, რომ ქმარი დაერწმუნებინა, ან ბავშვები მოეტყუებინა, არამედ მხოლოდ ერთი მიზნით: როგორმე სახლიდან გასვლის საბაბი ეპოვა და აზიზის ნახსენებ სასტუმრომდე მშვიდობით მიეღწია.

ამიტომ შეეცადა, ყოველი სიტყვა გულმოდგინედ აეწონა:

– ლიტ-სააგენტო მომავალი წლის კატალოგს ადგენს. ხვალ ადრიანად იკრიბებიან და მეც მიბარებენ.

– კარგი, წადი, – თქვა დევიდმა. თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა, რაც იმას მიანიშნებდა, რომ თამაშში თვითონაც ჩაება.

– გინდა, მე წაგიყვან? რაღაც-რაღაცებს გადავდებ და ერთად წავიდეთ, – შესთავაზა ცოლს.

ელა დაიძაბა. „რას აპირებს? ნუთუ ბავშვებს არ დაერიდება და სცენას გამიმართავს?“ გაიფიქრა შეშინებულმა.

– ძალიან კარგი იქნება, – უპასუხა ქმარს და გაღიმება სცადა, – ოღონდ დილის შვიდ საათამდე უნდა გავიდეთ სახლიდან. მიშელმა მითხრა, სხვების მოსვლამდე რაღაცაზე პირისპირ უნდა დაგელაპარაკოო.

– ჰოო, თუ ასეა, არაფერი გამოგივათ, – ჩაერია ორლი, რომელმაც კარგად იცოდა, როგორ ვერ იტანდა დევიდი ადრე ადგომას, – მამა მაგ დროს თავს ნამდვილად ვერ ასწევს!

ახლა ცოლ-ქმარმა გადახედა ერთმანეთს. ერთმანეთისაგან ელოდნენ პირველი ნაბიჯის გადადგმას.

– ჰო, მართალი ხარ, – დათმო ბოლოს დევიდმა.

ელამ შვებით ამოისუნთქა, ქმარს ხალისით დაუქნია თავი, მაგრამ თან წამოწითლდა, რადგან თავისი ასეთი სითამამე ეჩოთირა.

ბოლოს კიდევ უფრო გათამამდა და ასეთი აზრი გამოთქვა:

– ასე ადრე ადგომა მართლაც ძალიან ძნელია. ახლავე ხომ არ წავსულიყავი?

აზიზთან მეორე დღეს შეხვედრაც ძალიან აღელვებდა, მაგრამ მისი ნახვა ახლა უნდოდა და არა ხვალ. ხვალინდელი დღე ძალიან შორეულად ეჩვენებოდა.

ნორთჰემპტონიდან ბოსტონამდე მანქანით ორი საათის სავალი იყო, მაგრამ ეს არ აშინებდა. თუკი აზიზს მის სანახავად ამსტერდამიდან ჩამოსვლა არ დაეზარა, ორსაათიან გზას როგორმე თვითონაც გაუძლებდა.

– ამაღამ ათ საათამდე ბოსტონში ვიქნები. ხვალ კი დილაადრიან სააგენტოში მივალ და მიშელსაც კრების დაწყებამდე დაველაპარაკები.

დევიდი იტანჯებოდა. ამ განცდამ წამით ჩრდილივით გადაურბინა სახეზე. დიდხანს აგვიანებდა პასუხს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ელა თვალებში შესცქეროდა და ხედავდა: ეს იყო იმ კაცის თვალები, რომელსაც ძალა აღარ შესწევდა, რომ საკუთარი ცოლი სხვა მამაკაცთან არ გაეშვა.

– ბოსტონში ჩვენს ბინაში დავრჩები, – თქვა ელამ ვითომ ბავშვების გასაგონად.

სინამდვილეში ეს ინფორმაცია ქმრისთვის იყო განკუთვნილი. ამით ქმარს მიანიშნა, რომ მასთან, ვისთანაც მიდიოდა, ფიზიკურ სიახლოვეს არ აპირებდა.

დევიდი ღვინის ჭიქით ხელში წამოდგა, კარისკენ ხელი გაიშვირა და ცოლს ყოჩაღად და რიხიანად, თან ღიმილით უთხრა:

– კარგი, ფისო.თუ ახლა გირჩევნია წასვლა, წადი.

– კი მაგრამ, დე, შენ ხომ შემპირდი, მათემატიკაში დაგეხმარებიო... – შეახსენა ეივიმ.

ელას სახე აერია:

– მახსოვს, ჩემო კარგო, მაგრამ... მოდი, ხვალისთვის გადავდოთ, გთხოვ...

– თავი გაანებე და გაუშვი, სადაც უნდა. ასე დედიკოს კალთას გამობმული როდემდე უნდა იყო ამხელა კაცი? – შეუტია ძმას ორლიმ.

ეივი მოიბუზა და გაჩუმდა. ორლიმ დედას დაუჭირა მხარი. ჯენეტისთვის სულერთი იყო. ელამ მაშინვე მობილურს სტაცა ხელი, თავის საძინებელში ავარდა, კარი მიიხურა,

საწოლზე დაემხო და ტექსტის აკრეფას შეუდგა:

„არ მჯერა, რომ აქ ხარ. ორ საათში „ონიქსში“ ვიქნები“.

ერთხანს შიშით დაჰყურებდა ტელეფონის ეკრანს და აკვირდებოდა, როგორ იგზავნებოდა მისი შეტყობინება. „ვაიმე, რას ვაკეთებ?“ – გაუელვა თავში, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო. თუნდაც ეს საღამო სანანებელი გახდომოდა, სინანულს მერეც მოასწრებდა.

შხაპის ნაჩქარევად მიღებას, თმის გაშრობას, კბილების გახეხვას, ზედიზედ რამდენიმე კაბის მოზომებას, თმის გადავარცხნასა და სახის მოხატვას სულ ოცი წუთი მოანდომა. მოძებნა პატარა საყურე, თვრამეტი წლისას ბებია რუთმა რომ აჩუქა, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და ცოტა სუნამო დაიპკურა. კელვინ კლაინის „ეთერნითი“ იყო. ფლაკონი აბაზანის პატარა კარადაში წლობით იყო ჩაკეტილი და თითქოს ამ წუთს ელოდა.

დევიდს სუნამოები არ უყვარდა; ამბობდა, ქალს ქალის სუნი უნდა ასდიოდეს და არა ვანილისა და დარიჩინისო. „თუმცა ევროპელი მამაკაცი, ალბათ, სხვანაირად უყურებს ამ ამბავს, გაიფიქრა ელამ, – ევროპაში ხომ სუნამოს კულტია...“

შემდეგ სარკესთან მივიდა და თავისი თავი კარგად შეათვალიერა. „რატომ არ გამაფრთხილა? რომ მცოდნოდა, თმას შევიჭრიდი, ფრჩხილებს დავიქნიდი, სახეს მოვიწესრიგებდი, იქნებ ახალი ვარცხნილობაც კი მეცადა. ვაითუ, არ მოვეწონო... ვაითუ, საერთოდ არ მოგვივიდეს თვალში ერთმანეთი? რომ ინანოს ბოსტონში ჩამოსვლა?“ მაგრამ უცებ გონს მოვიდა და თავის თავს მკაცრად შეუძახა: „რა საჭიროა გარეგნობის

შეცვლა? ამ კაცთან ურთიერთობა ეფემერულია, მე ოჯახი მაქვს, ჩემი წარსულიცა და მომავალიც აქაურობას უკავშირდება...“

მაგრამ ეს „სცენარი“ ისეთი ნაკლებმიმზიდველი ეჩვენა, რომ თავის თავზე გაბრაზდა. ამიტომ ის გააკეთა, რასაც ხშირად აკეთებდა და რაც, როგორც წესი, ყოველთვის შველოდა: უბრალოდ, ტვინი დროებით „გათიშა“.

რვას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ბავშვები გადაკოცნა და სახლიდან გავიდა. დევიდი არსად ჩანდა.

როცა ელამ ბოსტონის ბინის გასაღების ჩხაკუნით მანქანასთან მიირბინა, მისი ტვინი ჯერ კიდევ „გათიშული“ იყო, მაგრამ გული უკვე საგულეს აღარ ჰქონდა.

ნაწილი მეხუთე

სიცარიელე

ყოველი, რაც მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა თვალს ეფარება

სულთან ველედი

1246 წლის ივლისი, კონია

ბარბაცით, გაჭირვებით შემოლასლასდა მამა ჩემს ოთახში; ძლივს სუნთქავდა. აჩრდილიღა დარჩენილიყო იმ ძველი რუმისგან... თვალები ერთი თვის უძინარივით ამოღამებოდა და შეშუპებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მისი ერთიანად გათეთრებული თმა-წვერის დანახვამ შემაშფოთა.

– მიშველე, შვილო... – მითხრა სხვისი ხმით.

მივირბინე და მკლავში ხელი ჩავავლე:

– შენთან ვარ, მამა, რაც გინდა, მთხოვე.

ერთხანს დუმდა, ეტყობა, ძალიან ემძიმებოდა პირზე მომდგარი სათქმელი:

– შამსი წავიდა. დამტოვა, – მითხრა ბოლოს.

წამით გულზე მომეშვა. მართალია, მეც კარგა გვარიანად ვიყავი დაზაფრული, მაგრამ იმასაც ვხედავდი, რომ ასე აჯობებდა და ამიერიდან ყველანი შვებით ამოვისუნთქავდით.

მამაჩემმა ბოლო დროს ბევრი მტერი გაიჩინა შამსის გამო. ვნატრობდი, კვლავ ისე გვეცხოვრა, როგორც შამსის გამოჩენამდე ვცხოვრობდით. იქნებ ალადინი მართალი იყო? იქნებ შამსის გარეშე თავს ყველა უკეთესად ვიგრძნობდით?

– არ დაგავიწყდეს, რამდენს ნიშნავს ჩემთვის შამსი, მითხრა მამაჩემმა, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხაო – მე და შამსი ერთნი ვართ. მთვარეც ხომ ერთია, მაგრამ მას ნათელი და ბნელი მხარეები აქვს. შამსი ჩემი არსების უმართავი ნაწილია.

დარცხვენილმა თავი დავუქნიე. სიბრალულით გული მომეწურა. მას აღარაფრის თქმა აღარ სჭირდებოდა. ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. ადამიანის თვალებში ამდენი ტანჯვა არასოდეს მენახა. ენა კარგა ხანს ვეღარ დავძარი.

ბოლოს მთხოვა:

– შვილო, მინდა, რომ შამსი მოძებნო.

და ჩურჩულით დაამატა:

– უკან მომიყვანე. ოღონდ, რა თქმა უნდა, თუ მისი სურვილიც იქნება. უთხარი, როგორ მტკივა გული. უთხარი, რომ მისი არყოფნა მკლავს.

დავპირდი, რომ თხოვნას შევუსრულებდი. ხელი ისეთი მადლიერებით მომიჭირა, რომ ჩემდა უნებურად, თვალი ავარიდე. არ მსურდა, ჩემს თვალებში ყოყმანი ამოეკითხა.

მთელი კვირა კონიის ქუჩებში ხეტიალს მოვუნდი იმ იმედით, რომ შამსის კვალს მივაგნებდი. ამასობაში ყველამ გაიგო მისი გაუჩინარების ამბავი და იყო ერთი ბჭობა მისი სავარაუდო ადგილსამყოფლის შესახებ.

ქუჩაში ერთი კეთროვანი შემხვდა, რომელსაც შამსი ძალიან უყვარდა. მან იმ გაჭირვებულ ხალხთან მიმასწავლა, რომლებსაც მოხეტიალე დავრიში თავის დროზე დახმარებია. არ ვიცოდი, ამდენ ვინმეს თუ უყვარდა შამსი. თუმცა, საიდან უნდა მცოდნოდა, ეს ადამიანები ხომ ადრე არც არსებობდნენ ჩემთვის.

ერთ საღამოს შინ საბოლოოდ თავგზააბნეული და მოქანცული დავბრუნდი. კერამ ვარდის სურნელით გაჟღენთილი ბრინჯის მობრაწულა მომიტანა. მერე გვერდით მომიჯდა და სევდიანი ღიმილით დამაცქერდა. ახლაღა შევნიშნე, როგორ დაბერებულიყო ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

– გავიგე, რომ შამსის დაბრუნებას აპირებ. იცი კი, სად ეძებო? – მკითხა მან.

– რა გითხრა... ხალხი ამბობს, დამასკოში იქნებაო. ადვილი შესაძლებელია... თუმცა ზოგიერთებს ისპაჰანში, კაიროში, ან სულაც, თავის მშობლიურ ქალაქ თავრიზში ეგულებათ. რა გაეწყობა, ყველგან უნდა ვეძებოთ. მე დამასკოს გზას დავადგები. სხვა ქალაქებში მამაჩემის მოწაფეები გაემგზავრებიან.

უცებ კერას სახე გაუბრწყინდა და ჩაიბუტბუტა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო:

– მევლანამ ლექსების წერა დაიწყო. ულამაზესი ლექსებია. შამსის არყოფნამ რუმის პოეტობა დააწყებინა...

კერამ იატაკზე გაფენილ სპარსულ ხალიჩას დახედა, ღაწვებზე ცრემლი გადმოუგორდა, ერთი ამოიხვნეშა და ბავშვურად გაბუტული ტუჩებით წარმოთქვა:

– ვიხილე მეფე დიდების სახით, ის ცის თვალია, მზეა...

უცებ რაღაც ვიგრძენი, რაც მანამდე არ შემიმჩნევია. კერა შინაგანად იბრძოდა. ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რა ტკივილს განიცდიდა ქმრის ტანჯვის შემხედვარე. შეუძლებელს შეძლებდა, ოღონდ მის სახეზე კვლავ ღიმილი დაენახა. მაგრამ იმავდროულად, მის სახეზე შვებასაც ამოიკითხავდით, გახარებულიც კი ჩანდა იმის გამო, რომ, ბოლოს და ბოლოს, შამსი მოიცილა.

– თუ ვერ ვიპოვე, რა უნდა ვქნათ? – აღმომხდა ჩემთვისვე მოულოდნელად.

– ვერაფერსაც ვერ ვიზამთ. უწინდებურად უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება, – მითხრა კერამ და თვალებში იმედის სხივი აუკიაფდა.

მაშინვე მივუხვდი, რისი თქმაც სურდა: შამს თებრიზი არ უნდა მეძებნა. დამასკოშიც არ უნდა წავსულიყავი. შემეძლო, ხვალვე დამეტოვებინა კონია, ერთხანს მეხეტიალა, სადმე, გზისპირა ფუნდუკში გავჩერებულიყავი, რამდენიმე კვირაში უკან მოვბრუნებულიყავი და მეცრუა, ვითომ შამსი უშედეგოდ ვეძებე. მამა აღარ ჩამეძიებოდა, ჩემს სიტყვას ენდობოდა და ეს ამბავი ამით დასრულდებოდა. ალბათ, ასე აჯობებდა, არა მხოლოდ ალადინისა და კერასთვის, რომლებსაც შამსი ათვალწუნებული ჰყავდათ, არამედ თვით მამაჩემის მოწაფეებისა და ჩემთვისაც კი.

– კერა, მითხარი, რა ვქნა? – ვკითხე ბოლოს.

...და ამ ქალმა, რომელმაც რჯული შეიცვალა იმისთვის, რომ მამაჩემს ცოლად გაჰყოლოდა, რომელმაც მე და ჩემს ძმას სამაგალითო დედობა გაგვიწია, რომელსაც ისე უყვარდა ქმარი, რომ სხვისთვის მიძღვნილი მისი ლექსებიც კი ზეპირად ისწავლა, ტკივილით სავსე მზერა მომაპყრო და დადუმდა. აღარაფერი მითხრა.

ჩემს კითხვაზე პასუხი თვითონვე უნდა მეძებნა.

<u>რუმი</u>

<u>1246 წლის აგვისტო, კონია</u>

ბერწი და უმზეოა ეს ქვეყანა შამსის გარეშე. ეს ქალაქი სევდისა და სიცივის ბუდეა, ხოლო სული ჩემი – ფუღურო. ღამით ძილი არ მეკარება, დღისით ლანდივით დავბორიალებ. აქაც ვარ და არც ვარ. აჩრდილიღა ვარ ადამიანთა შორის. თავს ვერ ვერევი, უნებურად გული მომდის ყველა გარშემომყოფზე. როგორ შეუძლიათ ცხოვრების გაგრძელება ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს? როგორ შეიძლება, ცხოვრებამ უწინდებურად იდინოს შამს თებრიზის გარეშე? ყოველდღე, დილიდან საღამომდე, მარტო ვზივარ ბიბლიოთეკაში და ვერაფერზე ვფიქრობ, შამსის გარდა. მახსენდება, როგორ მითხრა ერთხელ თავისი, ცოტა არ იყოს, ხრინწიანი ხმით:

– ერთ მშვენიერ დღეს შენ გახდები სიყვარულის მესიტყვე.

აბა, რა გითხრათ. დანამდვილებით ერთი რამ ვიცი მხოლოდ: დუმილს მართლაც ვეღარ გავუძლებ. სიტყვებმა უნდა გამომაღწევინონ ჩემს გულში გამეფებული უკუნიდან.

განა ამას არ მიელტვოდა შამსი – ჩემგან პოეტი შეექმნა?

ცხოვრების არსი სრულყოფისკენ სწრაფვაშია. თუ რამ თავს გადაგვხდენია დიადი მოვლენა იქნება ის თუ უმნიშვნელო თუ რამ სიმწარე გვიწვნევია, ყოველივე ღვთის წმინდა განგებულების ნაწილია, რასაც საბოლოოდ ერთადერთი მიზნისაკენ სრულყოფისაკენ მივყავართ. ტანჯვა აუცილებლად უნდა გამოვიაროთ, თუ გვსურს, კაცნი გვერქვას.

აკი ყურანიც გვეუბნება:

„იმათ კი, ვინც იღვწის ჩვენი გულისათვის, ვუწინამძღვრებთ ჩვენი გზებით“.

უფლის ზრახვა შემთხვევითობას არ ცნობს. ორი წლის წინ, ოქტომბრის იმ დღეს, შამს თებრიზს შემთხვევით არ გადაუღობავს ჩემთვის გზა. აკი მითხრა კიდეც, მე შენთან ქარს არ მოვუყვანივარო. მერე იგავიც მიამბო:

„იყო ერთი სუფი ოსტატი, ისეთი ცოდნის პატრონი, რომ ამბობდნენ, იესო ქრისტეს სუნთქვა აქვსო. ერთადერთი მოწაფე ჰყავდა და კმაყოფილი იყო იმით, რაც გააჩნდა. მაგრამ მისი შეგირდი სხვა აზრის გახლდათ. ვერ ისვენებდა ეს კაცი. სულ უნდოდა, მისი ოსტატის უნარს ქვეყანა გაეოცებინა, ამიტომ ეხვეწებოდა, მეტი შეგირდი გაიჩინეო.

– კეთილი და პატიოსანი, – დაჰყაბულდა ოსტატი, – თუკი ეს სიხარულს მოგგვრის, შეგისრულებ ამ საწადელს.

წავიდნენ იმ დღეს ბაზარში. ერთ-ერთ დახლზე ფრინველის ფორმის შაქარყინულები ეწყო. ჩამოჰყვა ოსტატი, სათითაოდ შეუბერა სული ყველას და შაქარყინულის ჩიტები დააცოცხლა.

განცვიფრებული ხალხი შემოეხვია და ხოტბა შეასხა. ის დღე იყო და ის დღე. ქალაქში ყველას ამ საოცარი სუფის სადიდებელი ეკერა პირზე. მალე იმდენი მიმდევარი და თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, რომ თავისი პირველი შეგირდისათვის ვეღარ იცლიდა.

– ეს რა ვქენი, ოსტატო, როგორ შევცდი! თურმე, რა კარგად ვცხოვრობდით მე და შენ!..

– საწყალობლად აწუწუნდა შეგირდი. – გეაჯები, რამე იღონე, რომ ამ ხალხმა თავი გაგვანებოს!

– კეთილი და პატიოსანი, – ისევ დაჰყაბულდა ოსტატი, – თუ ეს სიხარულს მოგგვრის, ხვალვე ყველას თავიდან მოვიშორებ.

მეორე დღეს, შუა ქადაგების დროს ოსტატმა... ქარი გაუშვა. აღშფოთდნენ მიმდევრები. ყველამ ზიზღით ზურგი შეაქცია და სათითაოდ გაეცალა. ძველი შეგირდიღა შერჩა ოსტატს.

– რატომ სხვებს არ გაჰყევი? – ჰკითხა ოსტატმა.

შეგირდმა უპასუხა:

– ქარს არც შენთან მოვუყვანივარ და ვერც შენგან წამიყვანს...

შამსი ყველაფერს ჩემი სრულყოფისთვის აკეთებდა. სწორედ ეს ვერ გაიგეს კონიელებმა.

ის განგებ ანთებდა ჭორების ცეცხლს, განგებ უშლიდა ნერვებს ადამიანებს, განგებ წარმოთქვამდა ისეთ სიტყვებს, რომლებიც მკრეხელურად ჟღერდა და ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ძნელი მოსასმენი იყო. ამ მხრივ ისეთ ადამიანებსაც არ ინდობდა, ვისგანაც მხოლოდ სითბოსა და სიყვარულს გრძნობდა. მან ჩემი წიგნები წყალში ჩაყარა და ამით მაიძულა, იმის დავიწყება, რაც ვიცოდი.

ყველასთვის ცნობილი იყო, რომ შეიხებსა და ღვთისმეტყველებს არ სწყალობდა, მაგრამ ცოტამ თუ იცოდა, ტაფსირის როგორი მცოდნე იყო. ალქიმიაშიც ღრმად იყო განსწავლული, ასტროლოგიაშიც, ასტრონომიაშიც, ღვთისმეტყველებაშიც, ფილოსოფიაშიც და ლოგიკაშიც, მაგრამ თავის ცოდნას უმეცართაგან მალავდა. შამსი ფაკიჰი იყო და ფაკირივით იქცეოდა.

შამსმა ჩვენი სახლის კარი მეძავსაც კი გაუღო და გვაიძულა, პური გაგვეტეხა მასთან; მან დუქანში გამგზავნა და ლოთებთან საუბარში ჩამაბა; მან ერთხელ იმ მეჩეთთან დამაყენა

სამათხოვროდ, სადაც ხშირად ვქადაგებდი, რათა საკუთარ თავზე განმეცადა კეთროვანი გლახაკის ხვედრი.

მან თავდაპირველად ჩემს თაყვანისმცემლებს მომწყვიტა, შემდეგ ამა ქვეყნისა ძლიერთ განმაშორა და უბრალო ხალხთან დამაახლოვა. მისი წყალობით გავიცანი ადამიანები, რომლებსაც სხვაგვარად ვერასოდეს შევხვდებოდი.

შამსს სწამდა, რომ უნდა დაემხოს ყველა კერპი, რომელიც ადამიანსა და ღმერთს შორის დგას: სახელი, კეთილდღეობა, წოდება და თვით რჯულიც კი. შამსმა ყველა ძაფი გაწყვიტა, რომლებიც ჩემთვის ნაცნობ, შეჩვეულ ცხოვრებასთან მაკავშირებდა. თუ დაინახავდა, რომ რაღაც შინაგანი დაბრკოლება, ცრუშეხედულება, ან ტაბუ მეღობებოდა, მყისვე უპირისპირდებოდა მას და ეჭიდებოდა.

მისთვის გავუძელი ყოველგვარ განსაცდელს, გამოვცადე ყველანაირი მდგომარეობა და გადავლახე ყველა დაბრკოლება, რითაც ჩემი უერთგულესი მიმდევრებიც კი დავაფრთხე. ადრე უამრავი თაყვანისმცემლი მყავდა, ახლა კი საზოგადოებაში ყოფნის მოთხოვნილებას ვეღარ ვგრძნობ.

დარტყმას დარტყმაზე აყენებდა შამსი ჩემს პატიოსან სახელს...

მისი წყალობით შევიცანი სიშმაგის ფასი. ვიგემე მარტოობის, უმწეობის, ცილისწამების, გარიყულობისა და ბოლოს გულგატეხილობის სიმწარე.

„იქაურობას გაეცალე, სადაც სარგებელს ნახავ!

შხამი შესვი და სიცოცხლის წყალი გადააქციე!

უსაფრთხო ადგილს გაეცალე და მიაშურე ფათერაკიანს!

დააგდე სახელი და დიდება და თავზე ლაფი დაისხი!..“

ბოლოს და ბოლოს, განა ყველანი გამოცდას არ ვაბარებთ? უფალი ხომ ყოველდღიურად, ყოველწუთიერად გვეკითხება: „გახსოვს თუ არა შეთანხმება, რომელიც შენს ამქვეყნად მოვლინებას უძღოდა წინ? გესმის თუ არა, რა წვლილი მიგიძღვის ჩემი მობარებული განძის გამომზეურებაში?“

ხშირად ამ კითხვებს პასუხს ვერ ვცემთ! ამისთვის მზად არ ვართ. ძალიან გვაფრთხობს ისინი. მაგრამ ღვთის მოთმინებას საზღვარი არა აქვს. ის კვლავ და კვლავ გვიმეორებს ამ კითხვებს. და თუ ეს ჩემი გულისტკივილიც გამოცდის ნაწილია, ჩემი ერთადერთი სურვილია, იგი შამსის პოვნით დაგვირგვინდეს. მზად ვარ, ყველაფერი დავთმო წიგნები, ქადაგებები, ოჯახი, ქონება, სახელი და დიდება, ოღონდ მისი სახე კიდევ ერთხელ ვნახო.

ამას წინათ კერამ მითხრა, შენდა უნებურად მგოსანი ხდებიო. მგოსნები გულზე არასოდეს მეხატა, მაგრამ ამის გაგონება მაინც არ გამიკვირდა. სხვა დროს იქნებ შევწინააღმდეგებოდი მის ნათქვამს, მაგრამ ახლა არა ჩემი პირიდან თავისთავად მოედინება პოეტური სტრიქონები, რომელთა გაგონებისას მავანმა, შესაძლოა, მართლაც დაასკვნას, რომ მგოსანი ვხდები... სიტყვის მეუფე... მაგრამ სინამდვილეში ეს ლექსები მე არ მეკუთვნის. მე მხოლოდ მათი გავრცელების საშუალება ვარ, როგორც სტვირი, რომელიც იმ ჰანგს უკრავს, რომელსაც ჩაჰბერავენ, ან კალამი, რომელიც იმას წერს, რასაც აწერინებენ. ეჰ... სადა ხარ, თავრიზის დიდებულო მზეო?..

შამსი

1247 წლის აპრილი, დამასკო

ბუქნას უვლიდა გაზაფხული დამასკოს ქუჩებში... ათი თვე გავიდა იმ დღიდან, რაც კონია დავტოვე. სწორედ ამ დროს მომაგნო სულთან ველედმა.

ერთ ქრისტიან დევნილს, სახელად ფრანცისკოს, კრიალა ცის ქვეშ ჭადრაკს ვეთამაშებოდი. ეს კაცი წონასწორობიდან ადვილი გამოსაყვანი არ გახლდათ; მან კარგად იცოდა, რა არის მინებება, ხოლო რადგან სიტყვა ისლამი მინებების გზით მიღწეულ შინაგან სიმშვიდეს ნიშნავს, ეს ქრისტიანი სხვებზე მეტი მაჰმადიანი იყო ჩემთვის. ამას გულისხმობს ერთერთი ორმოც წესთაგანიც:

„მინებება არ ნიშნავს არც სისუსტეს და უმოქმედობას, არც ბედისწერის გარდაუვალობასთან შეგუებას და არც ფარხმლის დაყრას. სულ პირიქით არის ყველაფერი. ნამდვილი ძალა სწორედ მინებებაშია, ძალა, რომელიც შიგნიდან მოდის. ვინც სიცოცხლის ღვთაებრივ არსს დაემორჩილება, აუმღვრეველ სიმშვიდეში ჰგიებს მარადჟამს, თუნდაც მთელი ქვეყანა ერთ დღეს დაიქცეს“. ლაზიერით სვლა გავაკეთე და ფრანცისკოს მეფეს დავემუქრე. სწრაფი და გაბედული გადაწყვეტილება მიიღო: ეტლით ითამაშა. მივხვდი, თამაშს ვაგებდი. თავი ავწიე და სულთან ველედი დავინახე.

– მიხარია შენი ნახვა, – ვუთხარი მას, – მაინც გადაწყვიტე ჩემი პოვნა, არა?

სევდიანად შემომღიმა, შემდეგ კვლავ მოეღრუბლა სახე. გაოცდა, როცა ვუთხარი, ფეხს რომ ითრევდი, ისიც ვიცი-მეთქი. პატიოსანი და გულწრფელი ჭაბუკი იყო და სიმართლე არ უარყო.

– კარგა ხანს ტყუილუბრალოდ დავეხეტებოდი, იმის ნაცვლად, რომ მეძებნე. მაგრამ ვეღარ გავაგრძელე ეს თვალთმაქცობა, ვერ ვაიძულე თავი, მამაჩემთან მეცრუა. ჩამოვედი დამასკოში და ძებნა დაგიწყე. მაგრამ ეს იოლი საქმე არ აღმოჩნდა.

– პატიოსანი კაცი და კარგი შვილი ხარ, – ვუთხარი მე, – შორს აღარ არის ის დღე, როცა მამაშენს მხარს დაუმშვენებ, როგორც მეგობარი.

თავი ნაღვლიანად გაიქნია უარის ნიშნად:

– შენ ხარ ერთადერთი მეგობარი, რომელიც მას სჭირდება, მინდა, რომ ჩემთან ერთად კონიაში დაბრუნდე. მამაჩემს სჭირდები.

რა არ დამიტრიალდა თავში ამ სიტყვების გაგონებისას. მაგრამ აზრები ერთმანეთში ირეოდა; არც ერთი მათგანი არ იყო მკაფიო. კვლავ იქ მეპატიჟებოდნენ, სადაც ასე ათვალწუნებული ვიყავი. ჩემი ნაფსი შიშით გამოეხმაურა ამ მიწვევას.

„ნურავის უსმენ. შენი დანიშნულება აღსრულებული გაქვს. კონიაში დაბრუნება აღარგჭირდება. გაიხსენე, რა გითხრა ბაბა ზამანმა. რომ ეს უკიდურესად სახიფათოა; თუ შენ იმ ქალაქს დაუბრუნდი, იქიდან ვეღარ გამოაღწევ“, – ჩამძახოდა იგი.

გარდა ამისა, მინდოდა მოგზაურობა გამეგრძელებინა, ახალი ხალხი გამეცნო, ახალი ქალაქები მენახა... დამასკოც ძალიან მომეწონა, სიამოვნებით დავრჩებოდი აქ ზამთრის პირამდე. მართალია, უცხო ადგილას ახალჩასული ადამიანის სულში გაუსაძლისი სევდა და სიმარტოვე ისადგურებს ხოლმე, მაგრამ უფალი გვერდით მეგულებოდა და ამიტომ სიმარტოვის მიუხედავად გულნაკლული არ ვიყავი.

და მაინც... მიუხედავად ამისა, კარგად ვიცოდი, რომ ჩემი გული კონიაში დარჩა. რუმი ისე მენატრებოდა, რომ მისი სახელის ხსენებაც კი ტკივილს მგვრიდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელ ქალაქში დავიდებდი ბინას, თუკი რუმი გვერდით არ მეყოლებოდა? სადაც ის ცხოვრობდა, ჩემი ქიბლაც იქ იყო.

დაფას დავხედე, მეფეს ხელი დავავლე და გადავაადგილე. ფრანცისკომ თვალები დააჭყიტა. საჭადრაკო დაფაზე საბედისწერო ვითარება შეიქმნა, მაგრამ ჭადრაკში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ზოგი სვლა გამარჯვებისთვის კეთდება, ზოგი კი მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უფრო სწორი და მართებულია.

სულთან ველედმა ისევ მომწყვიტა ჩემს ფიქრებს:

– გეხვეწები, გამომყევი კონიაში. ის ხალხი, ვინც შენზე ჭორაობდა და ცუდად გეპყრობოდა, დღეს ინანიებს. ამჯერად ყველაფერი უკეთ იქნება, გპირდები. მინდოდა მისთვის მეთქვა, ჩემო ბიჭო, ასეთ რამეს ნურც შენ დამპირდები და ნურც სხვა-მეთქი, მაგრამ ამის ნაცვლად სულ სხვა რამ ვთქვი:

– კიდევ ერთხელ მინდა დამასკოში მზის ჩასვლა ვნახო. ხვალ კი კონიისკენ დავიძრათ.

– მართალს მეუბნები?! დიდი მადლობა! – გაიხარა სულთან ველედმა. – შენ არც კი იცი, რა იქნება ეს მამაჩემისთვის!

ფრანცისკოს მივუბრუნდი. იგი მოთმინებით ელოდა ჩემს მორიგ სვლას. როცა მისთვის მოვიცალე და შევხედე, ულვაშებში ჩაიცინა და მითხრა:

– გაფრთხილდი, ჩემო მეგობარო. შამათი!

კიმია

1247 წლის მაისი, კონია

ბურუსით მოცული, კიდევ უფრო გაუცხოებული და მიუწვდომელი ვიხილე ამჯერად შამსი, ჩემს ცხოვრებაში ხელახლა შემობრუნებული. დიდ ცვლილებებს ვამჩნევ. თმა ისე გაზრდია, თვალებს უფარავს, სხეულზე დამასკოური ნამზეური ატყვია, უფრო გაახალგაზრდავებული და მიმზიდველია.

კიდევ ვამჩნევ რაღაც ცვლილებებს, მაგრამ ზუსტად ვერ ვამბობ, რა არის. თვალებს ძველებურად კი აბრიალებს, მაგრამ შიგადაშიგ რაღაც ახალიც კიაფობს მათში. ალბათ, ასეთი თვალები აქვს ადამიანს, რომელმაც უკვე ყველაფერი ნახა და იწვნია, მაგრამ ბრძოლის გაგრძელების სურვილი აღარ აქვს.

თუმცა რუმი კიდევ უფრო შეცვლილი მეჩვენება. თავიდან მეგონა, შამსის დაბრუნება დარდს გაუქარვებდა, მაგრამ როგორც ჩანს, შევცდი. რუმი მას ქალაქის კარიბჭესთან ყვავილების თაიგულით მიეგება, მაგრამ როცა ერთად შეყრის პირველი სიხარული ასე თუ ისე ჩაცხრა, რუმიმ შფოთვას უმატა და ადრინდელზე უფრო გულჩათხრობილი გახდა. მგონი, ვიცი ამის მიზეზი. მას შამსის ხელმეორედ დაკარგვის ეშინია. ჩემზე კარგად არავის ესმის მისი, რადგან მეც იგივე შიში მაწვალებს.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემს განცდებს ვანდობ, რუმის გარდაცვლილი მეუღლე გევერია. მართალია, მას ადამიანი აღარ ეთქმის, მაგრამ აჩრდილსაც ვერ ვუწოდებ. ჩემი

ნანახი სხვა აჩრდილებისაგან განსხვავებით ნაკლებად აქვს ჰაეროვანი, მოუხელთებელი ლანდის იერი. რაც ამ სახლში ფეხი შემოვდგი, იმ დღიდან სულ ჩემ ირგვლივ დალივლივებს.

ჩვეულებრივ, ყველაფერზე ვსაუბრობთ ხოლმე, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენი საუბრების უმთავრესი საგანი მაინც შამსია.

– ვატყობ, რომ მევლანა ძლიერ იტანჯება. ნეტავ მისი დახმარება შემეძლოს... – ვუთხარი დღეს გევერს.

– რა იცი, იქნებ შეძლო კიდეც. ამ დღეებში ერთი აზრი აეკვიატა, რომელსაც ჯერჯერობით არავის უმხელს, – მითხრა გევერმა იდუმალი ჩურჩულით.

– რა აზრი? – ვკითხე მე.

– რუმი ფიქრობს, რომ თუ შამსი ოჯახს მოეკიდება, კონიელებს გული მოულბებათ, ჭორებიც ჩაცხრება და შამსს აქედან ხელმეორედ წასვლა აღარ მოუწევს.

გულმა რეჩხი მიყო. „შამსი და ქორწინება! კი მაგრამ ვინ უნდა შეირთოს?..“

– რუმი შენზე ფიქრობს: ნეტავ შამსს თუ გაჰყვებოდაო... – მითხრა გევერმა და ალმაცერად გადმომხედა.

თავზარი დამეცა, იმიტომ კი არა, რომ გათხოვება სხვა დროს არ მომსვლია აზრად. უკვე თხუთმეტის ვიყავი და ვიცოდი, რომ ქორწინების ასაკს მივაღწიე, მაგრამ იმასაც კარგად ვხედავდი, როგორ იცვლებიან ქალები გათხოვების შემდეგ. რაღაც სხვანაირი გამოხედვა და მიხრამოხრა აქვთ და ეს ისე თვალში საცემია, რომ მათ ხალხიც სხვანაირად ეპყრობა. გათხოვილ ქალს გაუთხოვრისგან პატარა ბავშვიც კი არჩევს. გევერმა ნაზად გამიღიმა და ხელი ჩამჭიდა. ის მიხვდა, რომ შამსის ცოლობა კი არა, ზოგადად, ქორწინება მაფრთხობდა.

მეორე დღეს რუმის თავის ოთახში შევაკითხე. წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული. „ტაჰაფუტალტაჰაფუტს“ („უარყოფის უარყოფა“) კითხულობდა.

– რაო, კიმია, რამე ხომ არ გჭირდება? – მკითხა ალერსიანად.

– თუ გახსოვს, მევლანა, როცა მამამ შენთან პირველად მომიყვანა, ასე უთხარი, სწავლაში ბიჭებს გოგონები ვერ აჯობებენ, რადგან გოგო უნდა გათხოვდეს და ბავშვები უნდა დაზარდოსო.

– როგორ არ მახსოვს, – მიპასუხა მან და თაფლისფერი თვალები ცნობისმოყვარედ აუციმციმდა.

– იმ დღეს ჩემს თავს სიტყვა მივეცი, არასოდეს გავთხოვილიყავი, რათა სამუდამოდ შენს მოწაფედ დავრჩენილიყავი, დავიწყე ღონემიხდილი, მილეული ხმით, რადგან საკმაოდ მიმძიმდა იმის თქმა, რაც გულში მედო, – თუმცა არსებობს ერთი გზა. თუ მას ავირჩევ, ოჯახს ისე შევქმნი, რომ შენთან განშორება აღარ დამჭირდეს... მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ცოლად შენს ჭერქვეშ მცხოვრებ მამაკაცს გავყვები. რას იტყვი?..

– და ვის უნდა გაჰყვე, ალადინს? – მკითხა რუმიმ.

– ალადინს?! – შევშფოთდი მე.

ეს რამ აფიქრებინა? ალადინი ძმად მიმაჩნდა... ეტყობა, შეამჩნია ჩემი გაკვირვება და მითხრა:

– ცოტა ხნის წინ ალადინმა შენი ხელი მთხოვა.

სუნთქვა შემეკრა. კარგად ვიცოდი, რომ ქალს ასეთ დროს ბევრი კითხვის დასმა არ შეშვენის, მაგრამ ერთი სული მქონდა, მეტი გამეგო.

– შენ რა უთხარი, მოძღვარო?

– მე ვუთხარი, ჯერ თვითონ კიმიას უნდა ვკითხო-მეთქი, – მიპასუხა რუმიმ.

– მოძღვარო, – წამოვიწყე ისევ და გავჩერდი, რადგან წამით ხმა ჩამიწყდა, – აქ იმის სათქმელად გეახელი, რომ მინდა შამს თებრიზს გავყვე ცოლად.

ეჭვით შემომხედა:

– დარწმუნებული ხარ?

– ეს ბევრი თვალსაზრისით იქნებოდა კარგი... – ვუპასუხე მე.

ამ საუბრის დროს შინაგანად ვიბრძოდი. ვგრძნობდი, რომ კიდევ უნდა მელაპარაკა, მაგრამ თან ვნანობდი, ზედმეტი ხომ არ მომივიდა-მეთქი.

– შამსი ჩვენი ოჯახის წევრი გახდებოდა და არასოდეს მოუწევდა აქედან წასვლა, – დავასრულე სათქმელი.

– ესე იგი, მასთან ქორწინება მხოლოდ იმიტომ გინდა, რომ აქ დარჩეს? – ჩამეკითხა რუმი.

– არა. უფრო სწორად, დიახ, – ვთქვი მე, – თუმცა ეს არ არის ერთადერთი მიზეზი. მე მჯერა, რომ შამსი ჩემი ბედია...

ამ სიტყვებით ვაღიარე, რომ შამსი მიყვარდა.

ახალი ამბავი პირველად კერამ შეიტყო. გაოცებული დუმილითა და დაბნეული, ნაძალადევი ღიმილით მიიღო იგი, მაგრამ მარტო რომ დავრჩით, კითხვები დამაყარა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ამის გაკეთება გინდა? რუმის დასახმარებლად ხომ არ აკეთებ ამას? შენ ხომ ისეთი ახალგაზრდა ხარ! არ გიფიქრია იმაზე, რომ ასაკით უფრო შესაფერისს უნდა გაყვე?

– შამსი ამბობს, რომ სიყვარული დაბრკოლებებს არ ცნობს, – ვუპასუხე მე.

– ეჰ, ჩემო გოგონა, ნეტავ ასე მარტივად იყოს ყველაფერი, – ამოიოხრა კერამ და თავსაფრის ქვეშ ჭაღარა თმის კულული შეისწორა.

– შამსი მოხეტიალე დავრიშია, თავზე ხელაღებული კაცი. ასეთი კაცები ოჯახურ ცხოვრებას ვერ ეგუებიან. ისინი ქმრებად ვერასოდეს ივარგებენ.

– ეგ არაფერია, შეიცვლება! – ჩემსას არ ვიშლიდი მე. – იმდენ სიყვარულს და ბედნიერებას ვაჩუქებ, რომ მოუწევს შეცვლა. ნახავ, ის აუცილებლად ისწავლის, როგორ გახდეს კარგი ქმარი და კარგი მამა.

ამით დასრულდა ჩვენი საუბარი. არ ვიცი, რა ამოიკითხა კერამ ჩემს სახეზე, მაგრამ აღარ შემწინააღმდეგებია. იმ ღამეს მშვიდად მეძინა. გულში ვზეიმობდი, არაფერი მაეჭვებდა. რა ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ, ყველაზე მძიმე შეცდომას ვუშვებდი, რომელსაც სამყაროს დასაბამიდან ყველა ქალი უშვებს: გულუბრყვილოდ ვიწამე, რომ ქალის სიყვარულს საყვარელი მამაკაცის შეცვლა შეუძლია.

კერა

1247 წლის მაისი, კონია

ბობოქარ ქარიშხალს მუჭში ვერ მოიმწყვდევ. დანამდვილებით იცი, რა ზიანის მოტანაც შეუძლია, მაგრამ მისი ჩაცხრობის ძალა არ შეგწევს. სწორედ ასეა სიყვარულიც. წინ ვერავინ დაუდგება. კიმიას აღარაფერი ვკითხე, იმიტომ კი არა, რომ მისმა ნათქვამმა საბოლოოდ დამარწმუნა, არამედ იმიტომ, რომ მის თვალებში შეყვარებული ქალი დავინახე. აღარაფერი დამიზუსტებია. მოსალოდნელი ქორწინების ამბავი ისე მივიღე, როგორც მორიგი ცხოვრებისეული უცნაურობა, ის, რაც თავისთავად მოსახდენია და რისი თავიდან აცილებაც ჩემს ხელთ არ არის.

რამადანის ერთმა თვემ ისეთ ფაცაფუცში ჩაიარა, რომ დაფიქრების დროც არ მქონდა. ეიდი კვირა დღეს დაემთხვა, ოთხი დღის შემდეგ კი კიმია შამსს მივათხოვეთ.

ქორწილის წინა საღამოს რაღაც ისეთი მოხდა, რამაც სულ სხვა გუნებაზე დამაყენა. სამზარეულოში მარტო ვიყავი და ფქვილმოყრილ დაფაზე სტუმრებისათვის პურის ცომს ვაბრტყელებდი. უცებ, სრულიად დაუფიქრებლად, ცომის გუნდისგან ძერწვა დავიწყე. ცოტა ხანში გუნდამ მარიამ ღვთისმშობლის მოყვანილობა მიიღო. დანის წვეტით ამოვჭერი მისი მწყაზარი სახე და გრძელი სამოსი. ამ საქმით ისე გავერთე, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ დამადგა ვიღაც თავზე.

– რას აკეთებ, კერა?

გული გადამიქანდა. მოვტრიალდი და შამსი დავინახე. ზღურბლზე იდგა და ყურადღებით მაკვირდებოდა. ერთი პირობა გავიფიქრე, ცომს დავმალავმეთქი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მომიახლოვდა, ჩემს ნახელავს დახედა და მკითხა:

– მარიამ ღვთისმშობელია?

არაფერი ვუპასუხე. აშკარად ნასიამოვნები ჩანდა, სახე უცინოდა.

– რა მშვენიერია!.. გენატრება?..

– მე დიდი ხანია, მაჰმადის რჯული ვაღიარე და ახლა მაჰმადიანი გახლავარ, – მივუგე უკმეხად.

თითქოს არც გაუგიაო, საუბარი გააგრძელა:

– გატყობ, გული გწყდება, რატომ არ ჰყავს ისლამს მარიამის მსგავსი ქალი... მართალია, გვყავს აიშე, გვყავს ფატიმა, მაგრამ შენ, ალბათ, ფიქრობ, რომ ისინი მარიამთან ახლოსაც ვერ მოვლენ, ხომ ასეა?

უხერხულად შევიშმუშნე და პასუხი დავუგვიანე.

– გინდა იგავი გიამბო? – მკითხა უცებ.

...და აი, რა მიამბო მან:

„იყო ოთხი მოგზაური: ბერძენი, არაბი, სპარსი და თურქი. ერთხელ ერთ პატარა ქალაქს მიადგნენ და გადაწყვიტეს, საჭმელი ეყიდათ. ფული ცოტა ჰქონდათ, ამიტომ მხოლოდ ერთი კერძი უნდა აერჩიათ. თითოეული მათგანი ამტკიცებდა, საუკეთესო კერძი მე ვიციო. სპარსმა ანგური დაასახელა, ბერძენმა სტაფალიონი, არაბმა ანები, თურქმა კი ქიშმიში. მათ ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, მაგრამ ცხარე კამათი წამოიწყეს. კარგა ხანს კინკლაობდნენ და სულ უფრო და უფრო ბრაზდებოდნენ ერთმანეთზე.

იმ ადგილას შემთხვევით სუფიმ ჩამოიარა და მოგზაურთა კამათში ჩაერია. მან მოგროვილი ფულით ყურძნის აკიდო იყიდა და დაწურა. შემდეგ ოთხივე მოგზაურს წვენი დაალევინა, ჩენჩო კი გადააყრევინა, რადგან მისი აზრით, არსია მთავარი და არა გარსი.

– ქრისტიანები, იუდეველები, მუსლიმები ყველანი იმ მოგზაურებს ჰგვანან, რადგან ისინი, ძირითადად, გარსზე კამათობენ. აი, სუფი კი ყოველთვის არსს ეძებს, – თქვა შამსმა და ისეთი სხივოსანი ღიმილი შემომანათა, ქვაც კი დადნებოდა. – მე იმის თქმა მინდა, რომ დედა ღვთისმშობელს ასე არ უნდა მისტიროდე, რადგან მასთან განშორება არ გჭირდება. მართალია, მაჰმადიანი ხარ, მაგრამ უფლება გაქვს, მარიამი უწინდებურად გიყვარდეს.

– არა, მგონია... ეს სწორი იყოს... – წამოვიწყე ენის ბორძიკით.

– რატომაც არა? სარწმუნოებები მდინარეებს ჰგავს: ყველა მათგანი ზღვაში ჩაედინება. დედა მარიამი თანალმობის, გულმოწყალებისა და პირუთვნელი სიყვარულის სიმბოლოა. ის საკუთრივ შენიცაა და ამავე დროს ყველასიც. მართალია, მაჰმადიანი ხარ, მაგრამ, მარიამ ღვთისმშობლის სიყვარულს ვერავინ დაგიშლის, მეტსაც გეტყვი: შეგიძლია, მისი სახელი შენს ქალიშვილს დაარქვა.

– მე ქალიშვილი არ მყავს, – ვთქვი მე.

– გეყოლება, – იყო პასუხი.

– ასე გგონია?

– კი არ მგონია, ვიცი.

ძალიან გამახარა მისმა სიტყვებმა, მაგრამ ცოტა ხანში ეს სიხარულიც აღარ მახსოვდა, რადგან მე და შამსი კიდევ უფრო ძლიერმა გრძნობამ თანაგანცდამ შეგვაკავშირა. სწორედ ამ განწყობით, სრულიად მშვიდად და უშფოთველად შევყურებდით ახლა ორივენი დედა მარიამის გამოსახულებას.

გული მომილბა შამსის მიმართ. იმ დღიდან, რაც იგი ჩვენს ოჯახში დასახლდა, პირველად დავინახე მასში ის, რასაც რუმი ხედავდა: დიდი გულის კაცი. თუმცა... მაინც ეჭვი მეპარებოდა, რომ იგი კიმიას კარგ ქმრობას გაუწევდა.

ელა

2008 წლის 29 ივნისი, ბოსტონი

ბოსტონის სასტუმრომდე რომ მიაღწია, ელა უკვე ისეთი დაძაბული იყო, აზროვნება უჭირდა. ვესტიბიულში ხანდაზმული, ერთნაირად გაკრეჭილი იაპონელი ტურისტები ირეოდნენ. ელამ კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს დაუწყო თვალიერება, რათა მის ირგვლივ შეკრებილი ხალხისთვის თვალებში არ ჩაეხედა, მაგრამ ცოტა ხანში სიმორცხვეს ცნობისმოყვარეობამ სძლია და მზერა დათქმული ადგილისაკენ გააპარა. აზიზი უკვე იქ იდგა და უყურებდა.

ღილებიანი ხაკის პერანგი და ველვეტის მუქი შარვალი ეცვა. ორიოდე დღის გაუპარსავი იყო, რაც ელას აზრით, ძალიან უხდებოდა. მწვანე თვალებს შუბლზე

ჩამოყრილი, ხუჭუჭა, წაბლისფერი თმა უფარავდა, რაც თავდაჯერებული მამაკაცისა და იმავდროულად, ცელქი ბიჭის იერს სძენდა. ძარღვიანი და ხმელხმელი, მსუბუქი და მოქნილი კაცი იყო. ძალიან განსხვავდებოდა ძვირადღირებულ, შეკვეთილ კოსტიუმებში გამოწყობილი დევიდისაგან. საუბრისას შოტლანდიურად უქცევდა, რაც მას კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენდა ელას თვალში. ლაღად, ძალდაუტანებლად საუბრობდა და გულწრფელად გახარებული ჩანდა ელას ნახვით.

„რა უნდა დაშავდეს იმით, რომ ერთი ჭიქა ყავა დავლიოთ...“ – გაუელვა ელას.

მოგვიანებით უკვე ვეღარც იხსენებდა, როგორ მოჰყვა ერთ ჭიქა ყავას კიდევ რამდენიმე, როგორ შეერია თანდათან მათ საუბარს ინტიმური ინტონაციები, როდის იხელთა აზიზმა დრო, რომ მისთვის თითები დაეკოცნა, ან რატომ ვერ აღუდგა ამას წინ თვითონ ელა. თუმცა ცოტა ხანში უკვე აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. აზიზი გატაცებით საუბრობდა, ელა კი მის სახეზე, ზედ ტუჩთან, ჩაღრმავებულ პატარა ფოსოს თვალს არ აცილებდა და ფიქრობდა, რა იქნება, იმ ადგილას რომ ვაკოცოო.

მაშ ასე, ის ახლა იმყოფებოდა სასტუმროში, მამაკაცთან, რომელზეც არაფერი იცოდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ელექტრონულ შეტყობინებას, სატელეფონო საუბარს და მის მიერ დაწერილ რომანს.

– ესე იგი, ჟურნალის დავალებით ჩამოხვედი? – ჰკითხა ელამ.

– შენს სანახავად ჩამოვედი, – უპასუხა აზიზმა, – წერილი რომ წავიკითხე, შენი ნახვა მომინდა...

ამ „ჩქაროსნულ ტრასაზე“ ჯერ კიდევ იყო მარშრუტების შეცვლის შესაძლებლობა. გარკვეულ მომენტამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა თავის მოტყუება, რომ ეს ყველაფერი მეგობრული ურთიერთობის ჩარჩოებს არ გასცდებოდა: ონლაინმიმოწერაც, სატელეფონო საუბრებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, მზერაც კი. ცხადია, შეიმჩნეოდა ფლირტის ელემენტებიც, მაგრამ სულ ეგ იყო. ყოველ შემთხვევაში, ელასთვის საკმაოდ მკაფიო „გამყოფი ხაზი“ ჯერ კიდევ არსებობდა, სანამ აზიზმა უცებ არ ჰკითხა:

– ავიდეთ ნომერში?

აი, აქ თამაშმა (თუკი ამას თამაში ეთქმოდა) აშკარად სერიოზული სახე მიიღო. ამ შეკითხვამ ყველაფერი მეტისმეტად რეალური და ხელშესახები გახადა. თითქოს წამში ფარდა აეხადა ამდენი ხნის დამალულ სიმართლეს და ახლა ამ სიმართლემ სრულიად გაშიშვლებული სახით ორივეს დაურიდებლად ჩახედა თვალებში. ელამ მუცლის არეში რაღაც ბორგვა იგრძნო. ეს იყო პანიკის მისთვის საკმაოდ ნაცნობი სიმპტომი. მაგრამ უარი მაინც არ უთხრა. ასეთი იმპულსური გადაწყვეტილება ცხოვრებაში არასოდეს მიუღია. თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ ეს გადაწყვეტილება ვიღაც სხვამ მიიღო და მას უხმო თანხმობის გარდა აღარაფერი დარჩენოდა.

608-ე ნომერი სასიამოვნო მორთულობით გამოირჩეოდა. შავი, წითელი, რძისფერი და რუხი ფერები... სითბო, სივრცე... ელამ სცადა, გაეხსენებინა, როდის იყო ბოლოს სასტუმროში. დიდი ხნის წინ ქმარშვილთან ერთად მონრეალში მოგზაურობა მოაგონდა. ეგ იყო და ეგ. მას შემდეგ რუბინშტეინები დასვენებას თავიანთ როდაილენდურ აგარაკზე ამჯობინებდნენ. ამიტომ ეუცხოებოდა ეს გარემო, სადაც პირსახოცებს

ყოველდღე გიცვლიან და საჭმელს სხვა გიკეთებს. სასტუმროს ნომერში ყოფნა უცხო ქვეყანაში ყოფნას ჰგავდა და გარკვეულწილად ასეც იყო. ნომერში რომ შედიოდა, მაშინვე იგრძნო ის თავისუფლება, რომელსაც მხოლოდ მაშინ გრძნობ, როცა უცხო ადამიანებით სავსე ქალაქში ხარ.

მაგრამ ოთახში რომ აღმოჩნდა, ნერვიულობამ ისევ დარია ხელი. ოთახის მორთულობა უკვე მეორეხარისხოვანი იყო მისთვის. შუაგულში უზარმაზარი საწოლი იდგა, მის სიახლოვეს დგომა კი უხერხულობისა და დანაშაულის გრძნობას ბადებდა. იმ წუთში თავი წამოყო უპასუხო, საკმაოდ უხერხულმა კითხვებმაც: „ჩვენ ახლა სექსი გვექნება? და სწორი იქნება ეს ნაბიჯი? თუ ეს მოხდა, ქმარს თვალებში როგორ შევხედო? თუმცა, თვითონ ხომ კარგად მიყურებდა თვალებში, მიუხედავად იმისა, რომ არაფერს იკლებდა? რას იფიქრებს აზიზი ჩემს ტანზე? რომ არ მოვეწონო? ბავშვებს რა ვუყო? საინტერესოა, რას აკეთებენ ახლა, ტელევიზორს უყურებენ, თუ სძინავთ? რომ გაიგონ, რის გაკეთებას ვაპირებ, ოდესმე თუ მაპატიებენ?“

აზიზმა იგრძნო მისი შფოთვა, ხელი მოჰკიდა და საწოლიდან შორს, კუთხეში მიდგმული სავარძლისაკენ წაიყვანა.

– დამშვიდდი, – უთხრა მან ელას, – შენს ტვინში ახლა დიდი ალიაქოთია.

– ნეტავ უფრო ადრე გაგვეცნო ერთმანეთი, – გაიგონა ელამ თავისი ნათქვამი.

– სიყვარულში არ არსებობს ისეთი ცნებები, როგორიცაა ადრე და გვიან, – თქვა აზიზმა, – ყველაფერი დროულად ხდება.

– მართლა ასე ფიქრობ?

აზიზს გაეღიმა და თვალებიდან თმა მოიშორა. შემდეგ ჩემოდანი გახსნა და გვატემალიდან ჩამოტანილი ნივთები ამოალაგა: გობელენი და პატარა კოლოფი, რომელშიც ფირუზისა და წითელი მარჯნის მძივების ასხმა იდო, ზედ გამობმული ვერცხლის მოცეკვავე დავრიშით.

ელამ თავი დახარა, აზიზს ყელი მიუშვირა, სამკაული გააკეთებინა და კანზე მისი თითების სითბო იგრძნო.

– ესე იგი, შეიძლება შეგიყვარდე კიდეც?

– უკვე მიყვარხარ, – უპასუხა აზიზმა.

– კი მაგრამ, შენ ხომ არც კი მიცნობ.

– სიყვარულს ცნობა არ სჭირდება.

– ეს სიგიჟეა, – ამოიოხრა ელამ.

აზიზმა სარჭი მოხსნა, თმა გაუშალა და ფრთხილად წაიყვანა საწოლისკენ. ნელა, წრიულად უსვამდა ხელისგულებს მთელ სხეულზე, ჯერ ტერფიდან წვივებამდე, შემდეგ მუცლის მიმართულებით. თან გამუდმებით ბუტბუტებდა. ეს ბუტბუტი ელას რაღაც იდუმალ, ძველისძველ, გაუშიფრავ ტექსტად ჩაესმოდა. მერეღა მიხვდა: აზიზი ლოცულობდა. სანამ მისმა ალერსიანმა ხელებმა მისხალმისხალ მოიარეს ელას სხეული, თვალები დახუჭული ჰქონდა, ბაგე კი ელასთვის ლოცულობდა. ეს იყო ყველაზე სულიერი რამ, რაც ელას ოდესმე ენახა და ამავე დროს, ეს იყო ყველაზე ძლიერი ეროტიკული განცდა, რომელიც ოდესმე ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს

ტანსაცმელი ეცვა და მათ მოქმედებაში ხორციელებისა და ვნების ნატამალიც არ იყო. ერთბაშად მთელ სხეულში, ხელისგულებზე, იდაყვებსა და მხრებზე უცნაური და სასიამოვნო წიწკნა იგრძნო, თითქოს მთელი სხეული ენერგიით ემუხტებოდა, ვნების თბილ ტალღებზე დატივტივებდა და აღარაფერი შეეძლო ღიმილისა და მინებების გარდა. უცებ ჯერ აზიზის, შემდეგ კი თავისი სხეულის ირგვლივ რაღაც ცხოველმყოფელი ძალის სიახლოვე იგრძნო, თითქოს ორივენი სინათლის მძლავრ ნაკადში ბანაობდნენ. ელამ თვალები დახუჭა და მთლიანად მიენდო ამ გაშმაგებულ მდინარეს. ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდა, მდინარის ბოლოს ჩანჩქერიც ეგულებოდა, მაგრამ გაჩერება არ შეეძლო და რომც შესძლებოდა, ამის სურვილი არ ჰქონდა. ამასობაში აზიზმა მუცელზე ხელისგული დაუსვა და ელას ფეხებშუა მთელი ძალით მოაწვა სისხლი.

თავიდან ძალიან ეჩოთირებოდა თავისი სხეული – ტუჩები, თეძოები და სამშვილიანი, არცთუ ისე ახალგაზრდა ქალის საკმაოდ შელახული მკერდი... მაგრამ ეს უსიამოვნო განცდაც ისევე სწრაფად გაეცალა, როგორც ეწვია. სიცოცხლის სიხარულით აევსო გული, სადღაც გაქრა დაუცველობის გრძნობა. კიდევ წამიც და ნეტარების მორევმა ჩაითრია.

სწორედ მაშინ გაიფიქრა, რომ ამ კაცის შეყვარება შეეძლო, თანაც ძალიან. აზიზს ხელები მოხვია, თავისკენ მიიზიდა და უფრო შორეული მოგზაურობისათვის მოემზადა, მაგრამ აზიზმა უცებ თვალები გაახილა, ცხვირზე აკოცა და გვერდით გაიწია.

– აღარ გინდივარ? – ჰკითხა ელამ და თავისი ყრუ, მისუსტებული ხმა თვითონვე ეუცხოვა

– არ მინდა ისეთი რამე გავაკეთო, რაც მერე თავს უბედურად გაგრძნობინებს, – უპასუხა აზიზმა.

ელას თან ეტირებოდა, თან გულში ზეიმობდა. საოცარ სიმსუბუქესთან ერთად უხერხულობაც იგრძნო, მაგრამ ცხოვრებაში პირველად ეს განცდა რატომღაც სიამოვნებას ჰგვრიდა.

დილის ორის ნახევარზე ელამ თავისი ბოსტონური ბინის კარი შეაღო და იქვე, ტყავის ტახტზე წამოწვა. საძინებელში დაწოლა არ ისურვა. არა იმიტომ, რომ მისი ქმარი იქ სხვა ქალებთან ერთად ნებივრობდა და ელამ ეს იცოდა. უბრალოდ, რატომღაც ასე ირჩია. თითქოს ეს სახლი მას უკვე აღარ ეკუთვნოდა, ისევე, როგორც სასტუმროს ნომერი. თითქოს აქ სტუმრად იყო მოსული, მისი ნამდვილი „მე“ კი სადღაც სხვაგან ელოდა.

შამსი

1247 წლის მაისი, კონია

„ბადრო მთვარევ, პატარძალო,
ხვალ სხვა დარი დაგიდგება,
დღეს რომ ხეზე ჩიტი გალობს,
ხვალ სულ სხვა ხმად ჩაგესმება...“

ჩვენი ქორწილის ღამეს ეზოში განვმარტოვდი. ცოტა ხანს ვიჯექი და ყურს ვუგდებდი ანატოლიურ სიმღერას, რომელიც ათას სხვა ხმასთან ერთად გამოდიოდა სახლიდან. იყო ერთი სიცილი, ლაყბობა და ტაშფანდურა. საქალებოში მუსიკოსი ქალები უკრავდნენ. ვიდექი განაბული, ფიქრებში ჩაძირული, სიმღერას ხმას ვაყოლებდი და თან მის სიტყვებსვუკვირდებოდი.

რატომ მღერიან ხოლმე ქალები სევდიან სიმღერებს ქორწილის ღამეს? სუფიები ქორწილს სიკვდილთან აკავშირებენ, რადგან თავიანთი სიკვდილის დღეს დღესასწაულად მიიჩნევენ, როგორც ღმერთთან შეერთების ჟამს. ქალებიც სიკვდილთან აკავშირებენ ქორწილს, ოღონდ სრულიად სხვა მიზეზით. ქალს ბედნიერი ქორწინების შემთხვევაშიც კი სევდა ერევა. საქორწინო ზეიმი ერთგვარი გლოვაა ქალწულისა, რომელიც მალე ცოლი და დედა უნდა გახდეს.

სტუმრები რომ დაიშალნენ, სახლში შევბრუნდი, კუთხეში შევიყუჟე და ფიქრებს მივენდე. როდის-როდის შევედი ოთახში, სადაც კიმია მელოდა. იგი ლოგინზე იჯდა. ოქროთი მოსირმული თეთრი კაბა ეცვა. თავს მძივებით მოოჭვილი, უამრავი ნაწნავი უმშვენებდა. მისი სახის გამომეტყველებას სქელი, წითელი პირბადის გამო ვერ ვხედავდი. ფანჯრის რაფაზე ერთადერთი სანთელი ბჟუტავდა და ოთახშიც საკმაოდ ბნელოდა. კედელზე ჩამოკიდებული სარკე ხავერდის ქსოვილით იყო დაფარული; აქაურთა რწმენით, პატარძალმა ქორწილის ღამეს თავისი ანარეკლი არ უნდა დაინახოს, თორემ უბედურება დაებედება. ჩვენი საწოლის გვერდით ბროწეული და დანა იდო. დაწოლის წინ ბროწეული უნდა მიგვერთმია, რომ მისი მარცვლებივით გავმრავლებულიყავით.

აქაური ადათები კერამ გამაცნო. ისიც დამაბარა, რომ როცა პატარძალს პირბადეს ჩამოვხსნიდი, მისთვის ყელზე ოქროსმონეტებიანი სამკაული შემეგა. ოქროს ნასახი არ მებადა, ნათხოვარი ოქროთი კი ნამდვილად არ მსურდა ცოლის შემკობა. ამიტომ როცა კიმიას პირბადე ავხსენი, ერთადერთი ნივთი კუს ბაკნისაგან გამოკვეთილი სავარცხელი გავუწოდე და ტუჩებში ვაკოცე. კიმიამ გაიღიმა, მე კი პატარა ბიჭივით დავიმორცხვე და ვუთხარი:

– ძალიან ლამაზი ხარ.

გაწითლდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და მხრებში გაიმართა, აქაოდა, უკვე მოწიფული ქალი ვარ და არაფერი მაკვირვებსო.

– ამიერიდან შენი ცოლი ვარ, – მითხრა მან და თავის ნახელავ წითელ ხალიჩაზე მიმითითა, რომელიც სამზითვოდ დიდი გულმოდგინებით მოექსოვა.

ხალიჩაზე ხასხასა, მდიდრული, მკვეთრად განსხვავებული ფერები ჭარბობდა. როგორც კი ამ ნახელავს დავხედე, მაშინვე მივხვდი, რომ შიგ მე ვიყავი ჩაქსოვილი. ყველა კვანძი და ყველა ნახატი ჩემს ამბავს ჰყვებოდა. კიმიამ თავისი ოცნება მოქსოვა...

დავიხარე და კიდევ ვაკოცე. ერთბაშად ზვირთივით მომაწყდა მისი ტუჩების სითბოთი აღძრული ვნება და სურვილი. ჟასმინისა და მინდვრის ყვავილების სუნი ასდიოდა კიმიას. გვერდით მივუწექი; მის სურნელს ვიწოვდი, მის პატარა და მკვრივ ძუძუებს ვეხებოდი... ერთი სული მქონდა, მასში შემეღწია და მის სხეულს ერთიანად ჩავეყლაპე.

ისიც ხალისით მეძლეოდა, როგორც ახალგაკვირტული ვარდი გაეშლება ხოლმე შხაპუნა წვიმას...

უცებ მოვშორდი და გვერდით გავიწიე.

– მაპატიე კიმია. ამის გაკეთება არ შემიძლია.

კიმია სახტად დარჩა. წამით თითქოს ამოსუნთქვაც კი დაავიწყდა. თვალი ვერ გავუსწორე მის გულდაწყვეტილ მზერას. ფეხზე წამოვხტი და ვთქვი:

– მე უნდა წავიდე.

– არსადაც არ წახვალ, – მითხრა ნირწამხდარმა, – რას იტყვის ხალხი, ახლა რომ ამ ოთახიდან გახვიდე? ყველა იფიქრებს, რომ ცოლ-ქმარი ვერ გავხდით, რომ ეს ქორწინება ქორწინება არ არის. თანაც ყველაფერს მე დამაბრალებენ.

– ამით რისი თქმა გინდა? – ვკითხე ყასიდად. მშვენივრად ვიცოდი, რასაც გულისხმობდა.

ჯერ თვალი ამარიდა და რაღაც გაუგებრად წაილუღლუღა, შემდეგ დამშვიდდა და მითხრა:

– ხალხი იტყვის, რომ ქალწული არ ვიყავი და ამ სირცხვილს მთელი ცხოვრება ვეღარსად წავუვალ.

სისხლი ყელში მომაწვა. რად დაუწესა საზოგადოებამ თავის წევრებს ეგზომ ბრიყვული კანონები? რა საერთო აქვს ამ ვითომ ღირსების დამცველ კანონებს ღვთიურ ჰარმონიასთან? ისინი ხომ მხოლოდ მოკვდავთა დადგენილ წესებს ემყარება...

– სისულელეა, ხალხმა თავის თავს მიხედოს, – აღვშფოთდი მე, თუმცა გულში ვაღიარებდი, რომ კიმია მართალი იყო.

გადავიხარე და დანას ხელი ვტაცე. კიმია შეკრთა, მაგრამ მალევე მიხვდა ყველაფერს და ხმა აღარ ამოიღო. სწრაფად ჩამოვისვი დანა მარცხენა ხელისგულზე. სისხლი ალისფერ ლაქებად დააჩნდა ჩვენს ზეწარს...

– აი, ეს ზეწარი უჩვენე ყველას. ისინი გაჩუმდებიან და შენი სახელიც შებილწვას გადაურჩება.

– გეხვეწები, ნუ წახვალ! – მთხოვა კიმიამ, ზეწამოიჭრა და ერთხელ ნათქვამი კვლავ გამიმეორა: – მე ხომ შენი ცოლი ვარ...

იმწუთში მივხვდი, რა საშინელი შეცდომა დავუშვი მასთან ქორწინებით. საშინლად ამტკივდა თავი. ოთახიდან გავედი და სიბნელეს შევერიე...

ჩემისთანა კაცი ქორწინებისთვის არ არის გაჩენილი. უეჭველი იყო, მე არ შემეძლო ცოლ-ქმრული მოვალეობების შესრულება. მაგრამ ყველაზე მეტად ის მიკლავდა გულს, რის ფასად მივხვდი ამას.

უცებ გიჟურმა სურვილმა წამომიარა, გავქცეოდი არა მხოლოდ ამ ოჯახს, ამ ქორწინებას და ამ ქალაქს, არამედ ღვთის ბოძებულ საკუთარ სხეულსაც... მაგრამ გამახსენდა, რომ მეორე დილით რუმის ვნახავდი და ამან შემაჩერა. მას ხელმეორედ ვერ მივატოვებდი.

ერთი სიტყვით, ხაფანგში აღმოვჩნდი...

ალადინი

1247 წლის მაისი, კონია

ბეჭედი დასმული იყო. ვიცოდი, რომ სასტიკად ვინანებდი, მაგრამ სხვების ნებას ბრმად დავყევი, ამ ქორწინებას დუმილით შევხვდი და არ დავუპირისპირდი. კიმიასა და შამსის ქორწილის დღეს, გაღვიძებისთანავე გაუსაძლისი, ჯერარგანცდილი ტკივილი ვიგრძენი და დამდუღრულივით წამოვხტი. ვიხრჩობოდი, ჰაერი არ მყოფნიდა...

საკუთარი თავის სიბრალული ვერაფერი კაცობაა, ასე როგორ უნდა წახდე-მეთქი, შევუძახე თავს და სახეში რამდენჯერმე ხელიც კი შემოვირტყი. მოგუდული გმინვა აღმომხდა და ამ ხმამ მომაგონა, რომ ამიერიდან მამაჩემის შვილი აღარ ვიყავი. აღარც დედა მყავდა, აღარც მამა, აღარც ძმა და აღარც კიმია. მარტო ვიყავი ამქვეყნად. მამის მიმართ შემორჩენილი იოტისოდენა პატივისცემა ერთ ღამეში გამქრალიყო. მას კიმია შვილივით ჰყავდა გამოზრდილი, მაგრამ ეტყობა, მაინც ერთადერთი ადამიანის შამს თებრიზის დარდი ჰქონდა ამქვეყნად. როგორ მიათხოვა კიმია ასეთ კაცს,

როგორ? ვინ არ იცოდა, რომ შამსი ყოვლად უვარგისი ქმარი იქნებოდა?!

რაც მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო ნათელი ხდებოდა ჩემთვის, რომ მან შამსის უსაფრთხოებას შესწირა კიმიას ბედნიერება და ჩემიც ზედ მიაყოლა. მთელი ის საშინელი დღე ამ ფიქრებში გავატარე.

ჩვენი ოჯახი კი ამ დროს ქორწილისთვის ემზადებოდა. სახლი საზეიმოდ მოირთო და მოიკაზმა. ნეფე-პატარძლის საძინებელს ავი სულების დასაფრთხობად ვარდის წყალი აპკურეს. თუმცა ყველაზე დიდი ავსული არ გაახსენდათ! შამს თებრიზს რა დააფრთხობდა?!

ვეღარ ავიტანე ეს ფაცაფუცი და გადავწყვიტე, ქორწილს არ დავსწრებოდი. ჩემთვის ეს ნამდვილი წამება იქნებოდა. ამიტომ ავდექი და გასასვლელისაკენ დავიძარი.

– ალადინ, მოიცადე! სად მიდიხარ? – მომაძახა ჩემმა ძმამ.

– ამაღამ ირშადთან დავრჩები, – ვუპასუხე ისე, რომ მისთვის არც შემიხედავს.

– ხომ არ გაგიჟდი? ქორწილში არ იქნები? მამამ რომ გაიგოს, გული გაუსკდება!

სისხლი ამემღვრა და მთელი ხმით შევყვირე:

– ჩვენ რომ გულები დაგვიხეთქა, ეგ არაფერი?!

– რას ამბობ, რას?!

– რაღა რას ვამბობ? ნუთუ ვერ ხვდები, ეს ქორწინება რისთვის მოაწყო? იმისთვის, რომ შამსისათვის ესიამოვნებინა, იმისთვის, რომ შამსი აქედან აღარასოდეს წასულიყო! ადგა და კიმია ვერცხლის ლანგრით მიართვა!

სახე აერია, აშკარად არ ეპიტნავა ეს სიტყვები და ჩემი გადარწმუნება სცადა:

– მე ვიცი, რასაც ფიქრობ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ცდები. შენ გგონია, რომ ეს ნაძალადევი ქორწინებაა. არადა, კიმიას თვითონ უნდოდა შამსის ცოლობა.

– ვითომ არჩევანი ჰქონდა! – ვუპასუხე მე.

– ოჰ, ღმერთო! – წამოიძახა ჩემმა ძმამ და ორივე ხელი ზეცისკენ აღაპყრო, თითქოს უფალი მართლა ჩამოუწვდიდა დახმარების ხელს. – როგორ არ გესმის, რომ კიმიას უყვარს ეს კაცი!

– ეგ მეორედ არ გამაგონო. მაგას ვერ დავიჯერებ! – ავყვირდი, მაგრამ ხმა უცებ წყალშემდგარი ყინულივით ჩამიწყდა.

– ჩემო ძმაო, – წამოიწყო ისევ სულთან ველედმა, – გთხოვ, გრძნობებს თვალს ნუ დააბრმავებინებ. შენ ეჭვიანობ. მაგრამ თუ დამიჯერებ, ეჭვიანობაც შეიძლება გონიერებას დაუმორჩილო და უფრო კეთილშობილური მიზნისაკენ მიმართო. ურწმუნოება ყოველთვის როდია ცუდი. აჰა, ისმინე წესი ოცდამეთხუთმეტე: „განცდების ზედმიწევნითი მსგავსება ვერაფერი წინაპირობაა ცვლილებისა და წინსვლისათვის. ურთიერთსაპირისპირო განცდები ყოველი ჩვენგანის თანამდევია, ამიტომ მორწმუნეს აუცილებლად სჭირდება საკუთარ არსებაში ჩასაფრებული ურწმუნოს აღმოჩენა, ხოლო ურწმუნოს სულაც არ აწყენდა, თავის თავში შეეცნო ფარული მორწმუნე. ინსანიქამილის, ანუ სრულყოფილი ადამიანის მდგომარეობას ერთი ხელის მოსმით ვერ მიაღწევ. რწმენა აუჩქარებლად, თანმიმდევრულად ყალიბდება შენში და მას საამისოდ აუცილებლად სჭირდება საპირისპირო მოვლენა ურწმუნოება“.

ეს უკვე ბოლო წვეთი იყო.

– იცი, რას გეტყვი? დავიღალე ამ ბრტყელბრტყელი, დაშაქრული სუფიური იწილო-ბიწილოსაგან. თანაც მოსმენის ღირსი ნამდვილად არ ხარ. რაც აქ ხდება, სულ შენი ბრალია. დაგეტოვებინა შამსი დამასკოში, რატომ ჩამოიყვანე?! თუ საქმე ცუდად წავიდა (და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება), პასუხს შენ აგებ, იცოდე!

სულთან ველედმა ტუჩი მოიკვნიტა. მის თვალებში შიშიც კი ამოვიკითხე. მივხვდი, ჩემი ეშინოდა. აშკარად ფიქრობდა, რომ ყველაფრის ჩადენა შემეძლო. ასეთი რამ პირველად შევატყვე. კი მეუცნაურა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, გულზე მომეფონა...

ირშადის სახლისკენ აქოთებული, ბინძური ჩიხებითა და ქუჩაბანდებით მივიპარებოდი, რომ მტირალი არავის დავენახე. თავში ერთი და იგივე აზრი მიტრიალებდა: „შამსი და კიმია ერთ ლოგინში...“

იმის გაფიქრებაც კი მაგიჟებდა, რომ შამსი იმ ღამით მას კაბას გახდიდა და თავისი მახინჯი, უხეში ხელებით მის რძესავით თეთრ სხეულს შეეხებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა ამ თავგასულობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოღებოდა.

<u>კიმია</u>

<u>1247 წლის დეკემბერი, კონია</u>

ბედნიერი ახალდაქორწინებულები გვქვია თითქოს. არადა, ჩვენი ქორწილის შემდეგ შვიდი თვე გავიდა, შამსი კი არც ერთხელ არ წოლილა ჩემთან. როგორ არ ვცდილობ, ხალხს სიმართლე დავუმალო, მაინც მგონია, რომ ყველამ იცის. ვშიშობ, რომ ეს ჩემი სირცხვილი შუბლზე მაწერია და ყველა შემხვედრი პირველ რიგში ამას მამჩნევს. როცა ქუჩაში მეზობლებს ველაპარაკები, ბაღში ვმუშაობ, ან ბაზარში გამყიდველებს ვევაჭრები, ადამიანები (მათ შორის უცხოებიც კი) ერთი შეხედვით ხვდებიან, რომ გათხოვილი ქალწული ვარ.

რა თქმა უნდა, შამსი ჩემს ოთახში შემოდის. ჩემი ნახვა რომ მოუნდება, წინასწარ მითანხმებს ხოლმე და მეც ყოველ ჯერზე ერთსა და იმავეს ვეუბნები:

– მობრძანდი, ბატონო. შენ ხომ ჩემი ქმარი ხარ.

მერე მთელი დღე სულგანაბული ველოდები. იმედს არ ვკარგავ, რომ ამჯერად ჩვენი ცოლქმრობა ცოლქმრობას დაემსგავსება. მაგრამ რა? საღამო ხანს მოადგება ჩემს ოთახს, კარზე მომიკაკუნებს, მერე დაჯდება და ენად გაიკრიფება ხოლმე. სხვა არაფერი ნებავს...

ჰო, მართლა, ძალიან უყვარს, როცა ერთად ვკითხულობთ. რა აღარ წავიკითხეთ უკვე: „ლეილი და მაჯნუნი“, „ფარჰადი და შირინი“, „იუსუფი და ზულეიქა“, „ვარდი და ბულბული...“ ეს სულ სასიყვარულო ამბებია. გმირებს, მიუხედავად ყველა სიძნელისა, ერთმანეთი უყვართ. გაუტეხელი, ძლიერი პიროვნებები არიან, მაგრამ მაინც მამწუხრებს მათი ამბების მოსმენა. ალბათ, ნაკლებად მეიმედება, რომ ასეთ ვნებას ოდესმე თავად გავუგებ გემოს. თუ წიგნებს არ ვკითხულობთ, შამსი მოხეტიალე მისტიკოსების წესებს სიყვარულის რელიგიის ორმოც ძირითად დებულებას მაცნობს.

ერთხელ თავი კალთაში ჩამიდო და ერთ-ერთი წესის განმარტება დაიწყო. თანდათან რული შეეპარა, ჯერ ჩურჩულზე გადავიდა და ბოლოს მიიძინა. გრძელი თმა თითებით ჩამოვუვარცხნე და შუბლი დავუკოცნე. უსასრულოდ დიდხანს იწვა ასე. მერე თვალი გაახილა, მიმიზიდა და ნაზად მაკოცა. ეს იყო ყველაზე ნეტარი წუთი, რაც ერთად გვქონია.

მაგრამ... სულ ეს გახლდათ. მისი სხეული დღემდე „უცნობი მიწაა“ ჩემთვის. მართალია, ოთახში ხშირად ვაკითხავ ხოლმე, მაგრამ რამდენჯერაც გაუფრთხილებლად ვეწვევი, შიშით გული მიკანკალებს, რადგან წინასწარ არასოდეს ვიცი, როგორ მიმიღებს.

საერთოდ შამსს წინასწარ ვერაფერს გაუგებ. ზოგჯერ ისე მომესიყვარულება, ისე დამიყვავებს, რომ ეს ჩემი სადარდებელიც კი მავიწყდება, მაგრამ უდიერადაც ბევრჯერ მომქცევია. ერთხელ კარი ცხვირწინ მომიჯახუნა და ღრიალი ატეხა, ეს რა ხალხია, მარტო ყოფნას არ გაცლიანო. მეც ალღო ავუღე და ვცდილობ, გულთან ახლოს არაფერი მივიტანო. ისიც ვისწავლე, რომ მედიტაციის დროს მისი შეწუხება არასგზით არ შეიძლება. ჩვენი ქორწილის შემდეგ თვეები გავიდა. დიდხანს ვიკატუნებდი თავს, ვითომ კმაყოფილი ვიყავი, თუმცა სხვების მოსაჩვენებლად კი არა, საკუთარი თავის დასარწმუნებლად უფრო ვაკეთებდი ამას. იძულებული ვიყავი, შამსში ქმარი კი არ დამენახა, არამედ მეგობარი, მოძღვარი და ასე გასინჯეთ, ვაჟიშვილიც კი. წარმოსახვაში ხან ერთ ნიღაბს მოვარგებდი, ხან მეორეს, იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზე ბრძანდებოდა თვითონ იმ წუთში.

ერთხანს კარგად გამომდიოდა ეს. ბევრს არაფერს ველოდი, მასთან საუბრებით კმაყოფილდებოდი და დრო ამ საუბრების მოლოდინში გამყავდა; ძალიან მსიამოვნებდა, ჩემს მოსაზრებებს ანგარიშს რომ უწევდა, ხატოვან აზროვნებას რომ მაჩვევდა; მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ მოგვიანებით იმასაც მივხვდი, რომ რაღაცები ჩემგანაც ესწავლებოდა. სწორედ მე ვაზიარე ოჯახური ცხოვრების სიტკბოს, რომელიც ადრე არასოდეს უგემია. გარდა ამისა, დღემდე მჯერა, რომ ჩემსავით ვერავინ გააცინებს. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. რაც უნდა გამეკეთებინა, ვერ ვიცილებდი თავიდან იმ აზრს, რომ

მას არ ვუყვარდი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ცუდი თვალით არ მიყურებდა, მაგრამ სად ეს და სად ნამდვილი სიყვარული...

სულს მიმწარებს ეს მტანჯველი აზრი. თანდათან გავერიდე ადამიანებს. მეგობრებსაც ჩამოვშორდი და მეზობლებსაც. ჩემს ოთახში ყოფნას და მიცვალებულებთან საუბარს ვამჯობინებ. ცოცხლებისაგან განსხვავებით, მკვდრები არასოდეს განგსჯიან...

თუმცა ცოცხლებში ერთი მეგობარი მყავს უდაბნოს ვარდი. ორივენი გარიყულები ვართ და ამან დაგვაახლოვა.

უდაბნოს ვარდი უკვე სუფი გახლავთ. საროსკიპო დატოვა და ცხოვრებას მარტოობაში ატარებს. ერთხელ ვუთხარი, მშურს შენი სითამამისა და სიმტკიცის, რომელმაც ცხოვრების თავიდან დაწყება შეგაძლებინა-მეთქი.

მან თავი გაიქნია და მითხრა:

– მე ცხოვრება თავიდან არ დამიწყია. მე სიკვდილამდე მოვკვდი.

დღესაც ვესტუმრე უდაბნოს ვარდს, მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამ მედო გულში. გადაწყვეტილი მქონდა, გრძნობები როგორმე მომეთოკა და მშვიდად მეამბო მისთვის ჩემი სატკივარი, მაგრამ როგორც კი შევედი, ქვითინი წამსკდა.

– რა ამბავია, კიმია, ხომ მშვიდობაა? – მკითხა უდაბნოს ვარდმა.

– ეჰ...არ არის მშვიდობა, – ვუპასუხე მე, – ალბათ, შენი დახმარება დამჭირდება.

– კი ბატონო, – მითხრა მან, – მითხარი, რით დაგეხმარო?

– შამსზე უნდა გელაპარაკო... ეს კაცი არ მეკარება... ხომ გესმის, რასაც ვამბობ... – ენის ბორძიკით დავიწყე, მაგრამ სათქმელი მაინც დავამთავრე: – მინდა, უფრო მიმზიდველი გავხდე მისთვის... და მინდა, რომ ეს შენ შემაძლებინო.

უდაბნოს ვარდმა ამოიოხრა და დაღლილი ხმით მიპასუხა:

– კიმია, მე ფიცი მაქვს დადებული. ღმერთს აღვუთქვი, სიწმინდე შევინახო და ასეთ რამეებზე არც კი ვიფიქრო...

– მე ფიცის გატეხას კი არა, დახმარებას გთხოვ. მასწავლე, თავი ბედნიერად როგორ ვაგრძნობინო საკუთარ ქმარს! – შევევედრე მე.

– შამსი განათლებული კაცია, – რატომღაც ფრთხილი ჩურჩულით მითხრა უდაბნოს ვარდმა, – არა მგონია, ეს სწორი გზა იყოს მასთან მისაახლოებლად.

– შამსი მამაკაცია, – შევეცადე დასაბუთებას, – ბოლოს და ბოლოს, ყველა მამაკაცი ადამის ძეა და ხორციელ ვნებებს ვერსად წაუვა. ვართ თუ არ ვართ განათლებულები, სხეული მაინც ყველას გვაქვს, თვით შამსსაც კი!

– მართალი ხარ, მაგრამ...

უდაბნოს ვარდი დადუმდა, ხელში კრიალოსანი აათამაშა, თავი გვერდზე გადახარა და ფიქრებს მიეცა.

– გემუდარები, – არ ვეშვებოდი მე, – შენ ერთადერთი ხარ, ვისაც შეიძლება ვენდო. უკვე შვიდი თვეა, რაც ამ დღეში ვარ. ყოველ დილით გულგასივებული ვიღვიძებ, ყოველ ღამე ატირებული ვწვები ლოგინში. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ქმარი როგორმე უნდა ვაცდუნო!

უდაბნოს ვარდი დუმდა. წამოვხტი, თავსაფარი გადავიძრე, ხელი ვტაცე და ვაიძულე, ჩემთვის შეეხედა.

– სიმართლე მითხარი. ასეთი მახინჯი ვარ?

– რას ამბობ, კიმია, ულამაზესი გოგო ხარ!

– მაშინ მიშველე რამე! მამაკაცის გულის მონადირება მასწავლე! – არ ვეშვებოდი მე.

– მამაკაცის გულისაკენ მიმავალ გზაზე ქალი შეიძლება საკუთარ თავს დაშორდეს, – ჩამიარაკა უდაბნოს ვარდმა.

– არაფერია. თუ საქმემ მოითხოვა, საკუთარ თავს მოუსავლეთში გადავეკარგები.

უდაბნოს ვარდი

1247 წლის დეკემბერი, კონია

ბევრი მეეედრა საბრალო კიმია. ბავშვივით ზლუქუნებდა, სახე დასივებოდა, მღელვარებისაგან მკერდი გამალებით აუდჩაუდიოდა...

რა გზა მქონდა, შევპირდი, გიშველი-მეთქი. კი დავამშვიდე, მაგრამ გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ უიმედო საქმე იყო და რომ მისი ხვეწნისთვის ყური არ უნდა მეთხოვებინა. დღემდე მიკვირს, წინასწარ როგორ ვერ განვჭვრიტე ეს უბედურება? დანაშაულის გრძნობა სულს მიმწარებს. გამუდმებით ვეკითხები ჩემს თავს, როგორ გავბრიყვდი, როგორ ვერ მივხვდი, რომ საქმე ასე შემოტრიალდებოდა? თუმცა იმ დღეს, როცა ჩემთან ატირებული კიმია მოვიდა, სხვა გზა მაინც არ იყო. აბა, უარი როგორ მეთქვა, როგორ გამეწბილებინა? იჯდა ჩემ წინ ეს მორიდებული, კალთაზე ხელებდაწყობილი გოგო და დახმარებას მთხოვდა. ხმაზე ეტყობოდა, რომ ხელჩასაჭიდს ბევრს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ იმედი მაინც ჰქონდა. სიბრალულით გული შემეკუმშა და გავიფიქრე: „რა მოხდება, რომ დავეხმარო? ბოლოს და ბოლოს ქმრის ცდუნება უნდა და არა უცხო მამაკაცისა. თანაც ერთადერთი რამ ამოძრავებს: სიყვარული. მართალია, დიდი ვნება უდუღს გულში, მაგრამ ეს ხომ გულწრფელი გრძნობაა“.

გულმა მიკარნახა, რომ ხაფანგი მელოდა, მაგრამ ეს ხაფანგი თვით ღვთის დაგებული იყო, ამიტომ გადავწყვიტე, მისთვის გვერდი არ ამევლო...

ასე გავუწოდე დახმარების ხელი ამ სოფლელ გოგოს, რომელსაც ეგონა, რომ თავის გალამაზება და მოვლა მხოლოდ ინის ხმარებით ამოიწურებოდა.

ძალიან ბეჯითი მოწაფე აღმოჩნდა, ხარბად იწოვდა ყველაფერს, რასაც ვასწავლიდი. ვასწავლე ხანგრძლივი, სურნელოვანი აბაზანების მიღება, ნელსაცხებლებით კანის დარბილება და რძისა და თაფლის ნიღბების წასმა. თმაში ჩასაწნავად ქარვის მძივები ვაჩუქე, რათა მის თმას ხანგრძლივად ჰქონოდა მათრობელა სურნელი. ლავანდის, გვირილის, როზმარინის, ურცის, მაიორანის, შროშანისა და ზეითუნის ზეთის ხმარებაც ვასწავლე და ვუთხარი, რომელი საკმეველი დაეკმია ხოლმე ღამღამობით თავის ოთახში. ვასწავლე კბილების გათეთრება, ფრჩხილების ინით შეღებვა, თვალწარბის სურმით მოხატვა, ტუჩებისა და ღაწვების შეწითლება; ვასწავლე, როგორ მიენიჭებინა თმისთვის აბრეშუმის მბზინვარება, მკერდისთვის კი მეტი სისავსე.

შემდეგ ბაზარში წავედით. ნაცნობ დახლიდარს მივაკითხე და კიმიასთვის ისეთი კაბები და თეთრეული შევარჩიე, თვალით რომ არასოდეს ენახა. მერე ვასწავლე, როგორ ეცეკვა მამაკაცის წინაშე, როგორ გამოეყენებინა ღვთით ნაბოძები სხეული მისი მოხიბვლვის მიზნით. კარგა ხანს გრძელდებოდა ეს ჩვენი ფუსფუსი. ორი კვირის თავზე კიმია მზად იყო.

იმ დღეს ისე გამოვაწყვე ეს გოგო შამსისათვის, როგორც მწყემსი მოამზადებს ხოლმე სამსხვერპლო კრავს. ჯერ თბილი აბაზანა მივაღებინე, კანი აქაფებული ნეჩოებით გავახეხინე და თმაში ნელსაცხებლები შევაზელინე. შემდეგ ჩაცმაში მივეშველე. ისეთი სამოსი შევურჩიე, რომელიც ქალმა მხოლოდ ქმრისთვის უნდა ჩაიცვას, ისიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, ან ორჯერ. ჯერ ვიწრო, ალუბლისფერი კაბა მოვარგე. ზედ ჰიაცინტებით მოქარგული ვარდისფერი მოსასხამი გადავაცვი. ეს ყველაფერი ხაზს უსვამდა მის აბურცულ, ლამაზ მკერდს.

სახე საგულდაგულოდ მოვუხატე, შუბლი კი მარგალიტების აცმით დავუმშვენე. ისეთი მშვენიერი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდით. უკვე აღარ ჰგავდა გამოუცდელ და მორცხვ გოგოს. ვნებით აღგზნებული ქალი იდგა ჩემ წინ, ქალი, რომელიც მზად იყო, საყვარელი მამაკაცისაკენ თამამი ნაბიჯი გადაედგა და თუ საჭირო გახდებოდა, საამისოდ საკმაოდ ძვირიც გადაეხადა.

თვალს არ ვაშორებდი კიმიას და მახსენდებოდა ყურანის ლექსი, რომელიც იოსებისა და ზულეიქას შესახებ მოგვითხრობს. ზულეიქასაც კიმიას დარად შეჰყროდა მამაკაცის სურვილი, მაგრამ ვერა და ვერ მოეწონებინა მისთვის თავი. ქალაქის მეჭორე დედაკაცებმა ენები აილესეს. მაშინ ზულეიქამ ისინი ნადიმზე აწვია, დანები ჩამოურიგა და იოსებს უთხრა: „გამოდი, დაენახვე სტუმრებს“.

იოსებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ქალებზე, რომ მათ ხელები დანებით დაისერეს და იოსებს ქება შეასხეს: „ღმერთო, შენ შეგვეწიე, ამას რას ვხედავთ! მოკვდავი კი არა, ანგელოზია! ვინღა გაამტყუნებს ამიერიდან ზულეიქას?!“

– როგორ გამოვიყურები? – მკითხა აფორიაქებულმა კიმიამ, სანამ სახეს პირბადით დაიფარავდა და ქუჩაში გავიდოდა.

– ავ თვალს არ დაენახვები, – ვუთხარი მე, – შენი ქმარი ამ ერთი ღამით არ დაკმაყოფილდება და საალერსოდ ხვალაც მოგაკითხავს!

კიმია წამოწითლდა; მე გამეცინა; კიმიაც ამყვა. მზის სხივებივით გამათბო მისმა კისკისმა...

იმ წუთში ნამდვილად არ ვტყუოდი. გულწრფელად მჯეროდა, რომ კიმია შამსს ისე მიიზიდავდა, როგორც ნექტრით სავსე ყვავილი ფუტკარს. მაგრამ როცა ერთმანეთს მზერა გავუსწორეთ, მის თვალებში ეჭვი შევნიშნე.

უეცრად მუცელში რაღაცამ დამიარა... ცუდი წინათგრძნობა იყო. გუმანი რაღაც საშინელების მოახლოებას მამცნობდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე.

ეჰ, ეს რა ვქენი... სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს თავს ამას ვერ ვაპატიებ.

კიმია

1247 წლის დეკემბერი, კონია

ბუნებით დაუდგრომელი, თავზე ხელაღებული, ჭკუაგონებით სავსე შამსისთვის, ცხადია, სიყვარულიც არ იყო უცხო ხილი, მაგრამ ერთი რამ არ გაეგებოდა: უპასუხო სიყვარულით მიყენებული ტკივილის ფასი.

იმ საღამოს, როცა უდაბნოს ვარდმა საგანგებოდ გამომაწყო, ისე გავთამამდი და ავცქმუტდი, მე თვითონვე გამიკვირდა. თან მეხამუშებოდა და თან უჩვეულო გამბედაობას მმატებდა სხეულზე მოტმასნილი აბრეშუმის შრაშუნი, სუნამოს სურნელი და პირში ვარდის ფურცლების საამური გემო.

შინ დაბრუნებულმა სარკეში ჩავიხედე. ძალიან გათქვირული არ მეთქმოდა, არც გულმკერდი მქონდა ისეთი სავსე, როგორსაც ვისურვებდი, მაგრამ მაინც მომეწონა ჩემი თავი.

როცა დავრწმუნდი, რომ ყველამ დაიძინა, გრძელ, სქელ შალში გავეხვიე და შამსის ოთახში ფეხაკრეფით შევიპარე.

– კიმია, შენა ხარ? არ გელოდი... – მითხრა მან, როცა კარი შევაღე.

– შენი ნახვა მინდოდა, – ვუთხარი, შეპატიჟებას აღარ დაველოდე და ოთახში შევაბიჯე, – თუ არ შეწუხდები, კარი ჩაკეტე.

შეცბა, მაგრამ დამემორჩლა.

რამდენიმე წამი საკუთარი თავის გამხნევებას მოვანდომე. შამსს ზურგი ვაქციე, ღრმად ჩავისუნთქე, ხელის ერთი მოქნევით შალი გადავიძრე და კაბა გავიხადე. თითქმის იმწუთშივე ვიგრძენი, როგორ შემავლო ქმარმა თხემით ტერფამდე თავისი მძიმე მზერა. საოცარ სითბოს ვგრძნობდი ყველგან, სადაც თვალს მკიდებდა.

მაგრამ ეს სითბო (ვინ იცის, წარმოსახვითი იყო იგი, თუ ნამდვილი) სულ მალე ოთახში ჩამოწოლილი ცივი დუმილით შეიცვალა. სული ყელში მებჯინებოდა, ავი წინათგრძნობა მკერდს მიფორიაქებდა, მაგრამ მაინც ვიდექი შამსის წინ, შიშველი და მაცდური, როგორც ჰურია სამოთხეში.

კარგა ხანს გრძელდებოდა ეს მრავლისმეტყველი და მძიმე დუმილი. ვიდექით ერთმანეთის პირისპირ და ყურს ვუგდებდით ქარს, ღმუილით რომ მოსდებოდა მთელ ქალაქს...

– რა ჩაიფიქრე? – მკითხა შამსმა ცივად.

ძალიან გამიჭირდა ჩაწყვეტილი ხმის ამოღება, მაგრამ როგორც იქნა, ამოვთქვი:

– მინდიხარ...

შამსმა ირგვლივ შემომიარა, წინ დამიდგა და მაიძულა, მისთვის თვალებში შემეხედა. მუხლი მომეკვეთა, მაგრამ არ გავნძრეულვარ. ცოტა ხანში მივუახლოვდი და მთელი სხეულით მივეკარი. ოდნავ, სულ ოდნავ ვირხეოდი და ჩემს სითბოს ვუზიარებდი, როგორც უდაბნოს ვარდმა მასწავლა. მკერდზე ვეფერებოდი, ნაზად ვეჩურჩულებოდი სიყვარულზე, ხარბად ვეწაფებოდი მისი სხეულის სუნს და თითებით დაკუნთულ ზურგს ვუსრესდი.

უცებ გველნაკბენივით შეკრთა, განზე გადგა და მითხრა:

– შენ გგონია, რომ მე გინდივარ. სინამდვილეში მხოლოდ ერთი რამ გინდა: შენი შელახული თავმოყვარეობის დაამება.

ყელზე მოვეხვიე, ტუჩებით ტუჩებზე მივეკარი და სასაზე რამდენჯერმე ენა ავუსვი. კარგად მახსოვდა უდაბნოს ვარდის სიტყვები: „მამაკაცებს უყვართ ცოლებთან ენით ალერსი, კიმია. ყველა მამაკაცი აკეთებს ამას“.

შამსის ტუჩებს მაყვლის გემო დაჰკრავდა, ერთდროულად ტკბილიცა და მომჟავოც... ვხედავდი, თვითონაც აიტაცა სურვილმა, მაგრამ ვერც კი მოვასწარი ამის გაფიქრება, რომ უცებ გამაჩერა, ხელი მკრა და მითხრა:

– იმედი გამიცრუე, კიმია. ახლავე გადი ჩემი ოთახიდან.

ეს სიტყვები ძალიან უხეშად ჟღერდა, მაგრამ მათი წარმოთქმისას სახეზე ძარღვიც არ შესტოკებია. არათუ ბრაზი, ოდნავი გაღიზიანებაც კი ვერ შევატყვე. მიჭირს თქმა, რა უფრო მეწყინა: მისი უკმეხი სიტყვები, თუ მისი გამტკნარებული სახე. ასე დამცირებულად თავი არასოდეს მიგრძნია. კაბის ასაღებად დავიხარე, მაგრამ ხელები ისე მიკანკალებდა, რომ სრიალა, ნაზი ქსოვილი ვერა და ვერ მოვიხელთე. მაშინ შალს დავწვდი და სხეულზე შემოვიხვიე.

აქვითინებული, ნახევრად შიშველი გამოვვარდი ოთახიდან და გავშორდი ამ კაცს, გავშორდი ამ სიყვარულს, რომელიც, ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო.

ის იყო და ის. მას შემდეგ შამსი არასოდეს მინახავს. ოთახიდან ფეხს აღარ ვდგამდი. მთელ დღეებს საწოლში ვატარებდი. ვერ ვიტყვი, რომ გარეთ გასასვლელად ძალა არ მყოფნიდა. უბრალოდ, ამის სურვილი არ მქონდა.

გავიდა ერთი კვირა, გავიდა მეორე, და მეც შევწყვიტე დღეების თვლა. თანდათან მთლიანად გამომეცალა ძალა. ზეზეურად ჩამოვჭკნი. სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ ხელისგულებზეღა შემრჩენოდა, რადგან მათ შამსის შეხება და მისი კანის სითბო ახსოვდათ.

ადრე არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ სიკვდილს თავისებური სუნი აქვს, თანაც საკმაოდ ძლიერი. ეს მძაფრი და მქისე, მაგრამ არცთუ უსიამოვნო სუნი ჯანჯაფილის მწნილისა და წიწვის სუნს მაგონებდა. პირველად მაშინ ვიგრძენი იგი, როცა ჩემს ოთახში დატრიალდა და სქელი, ნოტიო ბურუსივით შემომეხვია. ამის შემდეგ სიცხემ ამიწია და ბოდვა დავიწყე. დამესივნენ მნახველები მეზობლები და მეგობრები. სასთუმალთან თვალებამოღამებული, ფერწასული კერა მეჯდა, თავზე კი ნაზად მოღიმარი გევერი მადგა, რომელსაც ღიმილის დროს ღაწვებზე კვლავინდებურად აჩნდა საყვარელი ფოსოები.

– ღმერთმა შეაჩვენოს ეგ ღვთისპირიდან გადავარდნილი! – თქვა საფიამ. – როგორ მოუკლა გული საწყალ გოგოს. სულ შამსის ბრალია ყველაფერი!

რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე.

– მაგას რად ამბობ?! განა შამსი ღმერთია? რატომ ანიჭებ მოკვდავს ასეთ თვისებებს? გამოესარჩლა შამსს კერა, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა, მე კი კამათი არ შემეძლო. ან რა აზრი ჰქონდა შეწინააღმდეგებას? შამსის მტრებს მისი კიდევ უფრო შეძულების

მშვენიერი საბაბი გაუჩნდათ ჩემი ავადმყოფობა! მე კი, რომც მნდომოდა, ვერ შევიძულებდი, იმიტომ, რომ უკვე ამქვეყნად აღარ ვიყავი. ეს ის მდგომარეობა იყო, როცა შენ ირგვლივ საგნები ფერს კარგავს, ყველაფერი ერთბაშად თეთრდება და ყველა ბგერა ერთ გაბმულ ზუზუნად ჩაგესმის. ვეღარც სახეებს ვარჩევდი უკვე და ვეღარც სიტყვებს. არ ვიცი, შამსი მაკითხავდა თუ არა. ალბათ, არა. იქნებ უნდოდა კიდეც ჩემი ნახვა და ქალები არ უშვებდნენ; თუმცა, რა ვიცი, იქნებ მოდიოდა და სასთუმალთან საათობით მეჯდა თავისი ნეით ხელში, ჩემი ხელი ეჭირა და ჩემი სულისათვის ლოცულობდა. ეჰ, ნეტავ ასე იყოს...

თუმცა მაშინ არაფერს ჰქონდა ჩემთვის მნიშვნელობა. აღარც ვბრაზობდი და აღარც რამე მწყინდა. რაღა დროს ბრაზი და წყენა იყო, როცა ცოდნის მდინარეში დავცურავდი? იქ ღვთიურ სათნოებას ბოლო არ უჩანდა, იქ ყველაფერს ახსნა ჰქონდა, იქ ყველაფერი სიყვარულის ნატიფ და სრულყოფილ წესრიგს ემყარებოდა.

ათი დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც ძვირფას, სურნელოვან აბრეშუმში გახვეულმა შამსს ოთახში შევაკითხე, ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ავად გავხდი და არყოფნის მდინარეში გადავეშვი. გული ვიჯერე იქ ბანაობით და ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ სწორედ ამას გრძნობ ყურანის ყველაზე ღრმა, მეოთხე წაკითხვისას. ანუ წვეთი ხარ უსასრულობის ზღვაში...

და მეც მივყვებოდი მის ჩქერებს, რომლებიც სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ მიმაქანებდა...

ელა

2008 წლის 3 ივლისი, ბოსტონი

„ბოსტონი არასოდეს მინახავს ასეთი მჩქეფარე და ფერადოვანი, ფიქრობდა ელა, რამ დამაბრმავა, რატომ ადრე ვერ ვხედავდი ამ ქალაქის სილამაზეს?..“

აზიზმა ხუთი დღე გაატარა ბოსტონში და ელა ნორთჰემპტონიდან ყოველდღე მანქანით აკითხავდა.

ჯერ კაფე „პატარა იტალიაში“ დანაყრდებოდნენ, შემდეგ ხელოვნების მუზეუმში შეივლიდნენ, შემდეგ ბოსტონის პარკებს „ბოსტონ ქამანსა“ და „ვოთერფრანტს“ ესტუმრებოდნენ. აკვარიუმში ვეშაპებს აკვირდებოდნენ, ჰარვარდ სქვერის პატარა, ხალხით გატენილ კაფეებში ყავას ყავაზე სვამდნენ... და ლაპარაკობდნენ. ლაპარაკობდნენ დაუსრულებლად. რა აღარ იყო მათი საუბრის საგანი: ადგილობრივი კერძების თავისებურებები თუ მედიტაციის ტექნიკა, აბორიგენების ხელოვნება თუ გოთური რომანი, ბერდვოჩინგი თუ მებაღეობა, პომიდვრის მოყვანა თუ სიზმრის ახსნა. საუბრისას მუდმივად აწყვეტინებდნენ ერთმანეთს. ერთის დაწყებულ წინადადებას მეორე ამთავრებდა. ელას ამდენი არასდროს არავისთან ულაპარაკია.

თავდაპირველად, ქუჩაში ყოფნისას, ცდილობდნენ, დისტანცია დაეცვათ, მაგრამ ეს თანდათან სულ უფრო ძნელდებოდა. პატარ-პატარა, უწყინარი „შეცოდებები“ სულ

უფრო მეტ მიმზიდველობას იძენდა და ელა უკვე მოუთმენლად ელოდა, როდის შეეხებოდა აზიზის ხელი.

უჩვეულოდ გათამამებული, რესტორნებსა და ქუჩებში ხელჩაკიდებული დაჰყვებოდა და ტუჩებში კოცნიდა. თანაც არათუ არ ადარდებდა ის, რომ ვინმე თვალს შეასწრებდა, არამედ გულის სიღრმეში სურდა კიდეც, რომ ვინმეს დაენახა. სასტუმროშიც არაერთხელ დაბრუნებულან ერთად და ხშირად სექსამდეც არაფერი უკლდათ, თუმცა ამას არასოდეს აკეთებდნენ.

იმ დილით, როცა აზიზი ამსტერდამში უნდა გამგზავრებულიყო, კვლავ სასტუმროს ნომერში განმარტოვდნენ. შუა ოთახში ჩემოდანი იდგა, მოახლოებული განშორების გარდაუვალობის საზიზღარი, ნივთიერი დასტური.

– რაღაც უნდა გითხრა, – უთხრა ელამ, – კარგა ხანია, ამაზე ვფიქრობ.

აზიზი დაიძაბა, ქალის ხმაში რაღაც ცვლილება იგრძნო. მერე ფრთხილად შეაპარა:

– მეც მაქვს სათქმელი...

– კარგი, მაშინ შენ მითხარი.

– არა, ჯერ შენ მითხარი.

პირზე ჯერ კიდევ ღიმმომდგარმა ელამ თავი დახარა, აზრებს თავი მოუყარა და დაიწყო:

– სანამ ბოსტონში ჩამოხვიდოდი, მე და დევიდი ერთ საღამოს რესტორანში წავედით. შენზე ჩამომიგდო სიტყვა. როგორც ჩანს, ჩვენი წერილები წაიკითხა. ძალიან გავუბრაზდი, მაგრამ სიმართლე არ დამიმალავს.

ელამ თავი ასწია და შიშით შეხედა აზიზს. აინტერესებდა, რა რეაქცია ექნებოდა იმაზე, რასაც ახლა ეტყოდა.

– მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ სხვა მიყვარს.

ამ დროს ქუჩის გნიასში სახანძრო მანქანის კივილი შემოიჭრა. ელას მაშინვე ყურადღება გაეფანტა, მაგრამ სათქმელი მაინც დაასრულა:

– ალბათ, სიგიჟედ მოგეჩვენება, რასაც ახლა გეტყვი, მაგრამ ამაზე უკვე ბევრი ვიფიქრე. მინდა, ამსტერდამში წამოგყვე.

აზიზი ფანჯარასთან მივიდა და ქუჩის ფუსფუსს თვალი გააყოლა. ერთერთი შენობიდან სქელი, შავი კვამლის ფთილები იფრქვეოდა. აზიზმა ჯერ ჩუმად ილოცა მათთვის, ვინც ამ სახლში ცხოვრობდა, მერე კი ისე ალაპარაკდა, თითქოს მთელ ქალაქს მიმართავდა:

– სიამოვნებით წაგიყვანდი, მაგრამ ვერ შეგპირდები, რომ იქ რაღაც მომავალი გელის.

– რისი თქმა გინდა? – ანერვიულდა ელა.

აზიზი მოტრიალდა, ელას გვერდით ჩამოჯდა, ხელი ჩაავლო და დაიწყო:

– როცა პირველად მომწერე, საკმაოდ უცნაური პერიოდი მქონდა...

– ეს როგორ გავიგო, ვინმე გყავს?

– არა, საყვარელო, არა, აზიზს სულ ერთი წამით ჩაეღიმა, მსგავსი არაფერი იფიქრო. თუ გახსოვს, ჩემი ცხოვრების სამ პერიოდზე გწერდი, სიტყვა სუფის შემადგენელი პირველი სამი ასოს შესატყვის სამ ეტაპზე. შენ არასოდეს არაფერი გიკითხავს ბოლო,

მეოთხე ეტაპის შესახებ... როგორ არ ვცდილობდი, მაგრამ ვერა და ვერ ვაიძულე თავი, გამემხილა შენთვის ასო ი-სთან ჩემი შეხვედრის საიდუმლო. გინდა, ახლა მომისმინო?

– მინდა, – თქვა ელამ და გულის კანკალით დაელოდა მეხის გავარდნას.

და აი, ივლისის იმ დღეს, სასტუმროს ნომერში, ამსტერდამში გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე, აზიზმა უამბო ელას, როგორ ეზიარა სუფიზმს 1977 წელს, როგორ დაირქვა ახალი სახელი, რითაც, როგორც თვითონ ფიქრობდა, ახალი ბედიც დაიბედა.

პროფესიით ფოტოგრაფმა და სულით დავრიშმა ქვეყანა შემოიარა; ექვსივე კონტინენტზე განუყრელი მეგობრები შეიძინა; ეს ადამიანები ლამის ოჯახის წევრად თვლიდნენ; მართალია, ცოლი აღარ შეურთავს, მაგრამ ორი აღმოსავლეთევროპელი ბავშვის მამობილი გახდა; არასოდეს იხსნიდა ყელიდან მზის ფორმის სამკაულს, შამსის პატივისცემის ნიშნად. ასე გაატარა ცხოვრება სუფი დავრიშების კვალდაკვალ, მოგზაურობაში, კითხვასა და სწავლაში. სადაც მივიდოდა, ყველგან და ყველაფერში ზეციურ მინიშნებებს ხედავდა. ორი წლის წინ კი უეცრად გაიგო, რომ ავად არის. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ იღლიის ქვეშ რაღაც ჯირკვალი აღმოაჩნდა, რომელიც, როგორც ჩანს, გვიან შენიშნა.გაირკვა, რომ ეს იყო ავთვისებიანი მელანომა, კანის კიბოს უკურნებელი ფორმა. ექიმებმა საშიში ვარაუდი პირველი გასინჯვისთანავე გამოთქვეს, მაგრამ საბოლოო დიაგნოზის დადგენას საკმაოდ ბევრი ანალიზი დასჭირდა.

ერთ კვირაში პასუხიც მოვიდა: სიმსივნეს უკვე შინაგან ორგანოებში შეეღწია და ფილტვებს მოსდებოდა. ამ დროისთვის აზიზი ორმოცდათორმეტი წლის იყო. ექიმებმა უთხრეს, რომ სამ წელზე მეტს ვერ იცოცხლებდა.

ელამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა და პირი გაუშრა. ღაწვებზე ორი ცრემლიც ჩამოუგორდა, მაგრამ სახე სასწრაფოდ შეიმშრალა. აზიზს ძარღვი არ შესტოკებია, დინჯად აგრძელებდა ლაპარაკს. მისი თქმით, იმ დღიდან მისთვის ცხოვრების ახალი და გარკვეულწილად, ნაყოფიერი ეტაპი დაიწყო. ჯერ კიდევ ეგულებოდა მოსანახულებელი ადგილები, ამიტომ სასწრაფოდ დაიჭირა მგზავრობის თადარიგი. ამ მიზნით ამსტერდამში სუფიზმის ფონდი გახსნა, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან ჰქონდა კავშირი. როგორც ნეის მოყვარული დამკვრელი, სუფი მუსიკოსებთან ერთად ინდონეზიაში, პაკისტანსა და ეგვიპტეში კონცერტებსაც მართავდა. ესპანეთის ქალაქ კორდოვაში ებრაელ და მაჰმადიან მისტიკოსებთან ერთად ალბომიც კი ჩაწერა.

შემდეგ მაროკოში დაბრუნდა და მოინახულა ის თავშესაფარი, სადაც ცხოვრებაში პირველად შეხვდა ნამდვილ სუფიებს. ოსტატი სამიდი დიდი ხნის გარდაცვლილი დახვდა. აზიზი დიდხანს ლოცულობდა მის საფლავთან, დიდხანს ფიქრობდა მის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე...

– შემდეგ გავეცალე ყველაფერს და განვმარტოვდი, რათა ბოლოს და ბოლოს ჩავჯდომოდი რომანს, რომლის დაწერა სულ მქონდა გულში, მაგრამ სიზარმაცით თუ გაუბედაობით წარამარა სახვალიოდ ვდებდი. მართალი გითხრა, ეს იყო ერთადერთი რამ, რისი სურვილიც ბოლომდე შემომრჩა, თქვა აზიზმა და ელას თვალი ჩაუკრა. – წიგნს „საამო მკრეხელობა“ დავარქვი და ამერიკულ ლიტ-სააგენტოს გავუგზავნე. ბევრს

არაფერს ველოდი, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ერთ კვირაში კი ქალაქ ბოსტონიდან იდუმალი ქალბატონის საკმაოდ დამაინტრიგებელი შეტყობინება მივიღე.

ელას ძალაუნებურად გაეღიმა. ტკივილნარევი, ნაზი, მოწიწებითა და თანაგრძნობით სავსე იყო ეს ღიმილი...

– იმ დღიდან ყველაფერი შეიცვალა, – განაგრძობდა აზიზი, – კაცი, რომელიც სიკვდილისათვის ემზადებოდა, უცებ გადაიქცა კაცად, რომელსაც სრულიად მოულოდნელად სიყვარული ეწვია. უცებ გაირკვა, რომ სასწრაფოდ უნდა „გადამეადგილებინა“ ყველაფერი, რისთვისაც კუთვნილი ადგილი თითქოს ერთხელ და სამუდამოდ მქონდა მიჩენილი. ვგულისხმობ ისეთ ცნებებს, როგორიცაა სულიერება, სიცოცხლე, სიკვდილი, ოჯახი, რწმენა და სიყვარული. აღმოჩნდა, რომ მათ მნიშვნელობას გადაფასება და ხელახლა გააზრება სჭირდებოდა, რაც გავაკეთე კიდეც. ამ წუთიდან სიკვდილი აღარ მინდოდა. ჩემი ცხოვრების სწორედ ამ ახალ და საბოლოო ეტაპს ვუწოდე შეხვედრა ასო ისთან. ეს ეტაპი, ყველაზე რთული აღმოჩნდა, რადგან ისეთ დროს დადგა, როცა მეგონა, რომ შინაგანი წინააღმდეგობები გადალახული მქონდა და სულიერად დაღვინებული ვიყავი.

სუფიზმი გასწავლის, როგორ უნდა მოკვდე სიკვდილამდე. მე ყველა ეს ეტაპი ნაბიჯ-ნაბიჯ გავიარე...

წარმოიდგინე, გგონია, რომ ყველაფერი დახარისხებული და „დაბინავებული“ გაქვს... და უცებ საიდანღაც ჩნდება ქალი. იწყება მიმოწერა; ყოველი გზავნილის შემდეგ სულმოუთქმელად ელი მის პასუხს. სიტყვებს ოქროს ფასი ედება. მთელი სამყარო ერთ დიდ, ცარიელ ეკრანად ქცეულა, სუფთა დაფის მსგავსად რომ ელოდება, როდის დააწერენ რამეს. არ გასვენებს ამ ქალის გაცნობის სურვილი. ამისთვის დროა საჭირო, შენი ცხოვრება კი საამისოდ ძალიან მოკლეა. ხვდები, რომ სიკვდილის გეშინია და შენი არსების რაღაც ნაწილი უჯანყდება ღმერთს, რომელსაც აქამდე მხოლოდ ეთაყვანებოდი და მორჩილებდი.

– დრო ჯერ კიდევ არის... – თქვა ელამ, როცა ხმის ამოღება შეძლო.

– ჩემი ექიმები მეუბნებიან, რომ თექვსმეტი თვე დამრჩა, მოუჭრა აზიზმა თითქოს დაუდევრად, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ, არ ვიცი, ზუსტია თუ არა მათი პროგნოზი. ერთადერთი, რაც შემიძლია შემოგთავაზო, არის აწმყო, ერთად ყოფნის ეს წუთი. სულ ეს არის ჩემი ავლადიდება. თუმცა, სიმართლე თუ გინდა, არც არავის აქვს ამაზე მეტი. ჩვენ მხოლოდ გვგონია, რომ გვაქვს.

ელამ ფეხებზე დაიხედა და გვერდზე გადაიხარა, თითქოს მისი სხეულის ერთი ნაწილი სკამიდან ჩამოვარდნას ლამობდა, მეორე კი უძალიანდებოდა. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა.

– ნუ ტირი, გთხოვ. მე ისე არაფერი მინდოდა, როგორც შენი წაყვანა ამსტერდამში. მინდოდა მეთქვა, მოდი ერთად ვიმოგზაუროთ, ვნახოთ შორეული ქვეყნები, გავიცნოთ ადამიანები და უფლის დიდებული ნახელავით ერთად დავტკბეთ-მეთქი.

– რა კარგი იქნებოდა... – ამოისლუკუნა ელამ ბავშვივით, რომელსაც დასამშვიდებლად სათამაშო მიაჩეჩეს.

აზიზს სახე მოეღრუბლა. ელას მზერა მოარიდა, ფანჯარაში გაიხედა და განაგრძო:

– თავიდან ამ ყველაფერს ვერ გიმხელდი... იმიტომ, რომ მეშინოდა. შენი შეხებისაც კი მეშინოდა, რომ არაფერი ვთქვა სხვა, უფრო სერიოზულსიახლოვეზე. როგორ უნდა მეთხოვა, ოჯახი დატოვე და გამომყევი-მეთქი, როცა მომავალს ვერ გთავაზობდი?

ელა მოიბუზა, მაგრამ მაინც შეეპასუხა:

– რატომ ვართ ხოლმე ასეთი პესიმისტები? შენ შეგიძლია ებრძოლო ამ ავადმყოფობას შენ ეს ჩემთვის... ჩვენთვის უნდა გააკეთო.

– ყოველთვის რატომ გვაკერია პირზე სიტყვა „ბრძოლა“? – წარმოთქვა აზიზმა, – დააკვირდი, სულ რაღაცას ვებრძვით: ინფლაციას, შიდსს, კიბოს, კორუფციას, ტერორიზმს, ზედმეტ კილოგრამებსაც კი... ნუთუ მოვლენებთან გამკლავების სხვა გზა არ არსებობს?

– მე სუფი არა ვარ, – მოუთმენლად შეაწყვეტინა ელამ ხრინწიანი, თითქოს ვიღაც სხვა, უფრო ხნიერი ადამიანის ხმით.

უეცრად მოგონებები მოეძალა: გაახსენდა მამის სიკვდილი, უახლოესი ადამიანის თვითმკვლელობით გამოწვეული ტკივილი, გაუნელებელი გულისწყრომა და სინანული, რომელიც ამ შემთხვევას მოჰყვა, დაღუპულის წარამარა გახსენება, ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ყველა დეტალში მისხით მისხამდე ჩაძიება, განუწყვეტელი ფიქრი იმაზე, როგორი იქნებოდა ცხოვრება, ყველაფერი რომ სხვანაირად მომხდარიყო.

– ვიცი, რომ სუფი არა ხარ, – გაიღიმა აზიზმა, – შენ ეს არც გჭირდება. მხოლოდ ერთს გთხოვ: რუმი იყავი.

– არ მესმის, – უთხრა ელამ.

– თუ გახსოვს, შენ ერთხელ მკითხე, შამსი ხომ არ ხარო. ასე მითხარი, შამსს მაგონებო. ძალიან კი გამახარე ამ სიტყვებით, მაგრამ შამსი ნამდვილად არ ვარ და ვერ ვიქნები. შამსი ბევრად მეტია ჩემზე, ბევრად მაღლაა. აი, შენ კი ნამდვილად შეგიძლია, რუმი გახდე, თუკი სიყვარულს მთლიანად დააპყრობინებ და შეაცვლევინებ თავს, ჯერ შენს ცხოვრებაში მისი არსებობის, შემდეგ კი არარსებობის გზით.

– მე პოეტი არ ვარ, – თქვა ელამ.

– არც რუმი იყო პოეტი, მაგრამ პოეტად იქცა, – უპასუხა აზიზმა.

– როგორ არ გესმის, მე ერთი ჩვეულებრივი ქალი, სამშვილიანი დედა და დიასახლისი ვარ! – წამოიძახა ელამ.

მღელვარებისგან სულთმობრძავივით სუნთქავდა და თევზივით გამალებით აღებდა პირს.

– ყველანი ის ვართ, რაც ვართ, წაიჩურჩულა აზიზმა, მაგრამ ცვლილება არავის აგვცდება. ეს მოგზაურობაა. შენ შეგიძლია, ამ გზას ახლავე გაუდგე. თუ ორივეს გამბედაობა გვეყო, კონიაში წავიდეთ. იქ მინდა მოვკვდე.

– ეგ არ გამაგონო! – გააწყვეტინა ელამ.

აზიზმა წამით მზერა გაუსწორა, შემდეგ თვალები დახარა. ახლა მის სახეზე რაღაც ახალი გამომეტყველება გაჩნდა. მისი ხმა კი ისე შორიდან და ისე ყრუდ მოისმოდა, თითქოს ეს კაცი უკვე ეცლებოდა აქაურობას, როგორც ქარს გაყოლილი ხმელი ფოთოლი...

– თუ არადა... ჩუმად დასძინა მან, თუ არადა, შინ წადი, ელა. დაუბრუნდი შვილებს, ოჯახს. გადაწყვიტე, საყვარელო. მე პატივისცემით მოვეკიდები ყველა შენს გადაწყვეტილებას... და ყოველთვის მეყვარები.

სულეიმანი, ლოთი

1248 წლის მარტი, კონია

ბედი არ გინდა?! ამ სისხლად, ცრემლად და ოფლად გაღვრილ ხალხს სათვალავში არავინ გვაგდებს! ლოთი ყველას უქნარა ჰგონია. ეჰ, მაგათ რა იციან, რომ ღვინის სმაც დიდი შრომაა, ხუმრობა ხომ არ არის ყოველდღე ამდენი დალევა! ჩვენ, ლოთებს, რომ გვიყურებთ, ეს ქვეყანა მხრებით დაგვაქვს!

იმ დღეს რაღაც ვერ ვიყავი გუნებაზე, ცოტა დაღლილიც გახლდით, ამიტომ იქვე, მაგიდაზე დამხობილს მიმძინებოდა და რაღაც უჟმურ სიზმარს ვხედავდი. ვითომ ვეებერთელა, შავი ხარი გაცოფებული დამდევდა უცნობ ქუჩებში. ვერაფრით გამეგო, რამ გააცოფა, ან რას მერჩოდა. დავძუნძულებდი, გზადაგზა სავაჭრო დახლებს ვაყირავებდი, გასაყიდ საქონელს აქეთიქით ვფანტავდი; გამწარებული გამყიდველები მიყვიროდნენ, მე კი გავრბოდი და გავრბოდი. მერე სადღაც გადავუხვიე და ჩიხში ამოვყავი თავი. უცებ, რას ვხედავ: ჩემ წინ, უზარმაზარი, ლამის სახლისხელა კვერცხი დევს. ცოტა ხანში ეს კვერცხი გაიბზარა და იქიდან უმახინჯესი, გალუმპული, ჭყიპინა ბარტყი გამოიჩეკა. გაქცევა დავაპირე, მაგრამ უცებ ცაში დედაფრინველი გამოჩნდა. ისე მიბრიალებდა თვალებს, თითქოს მისი ბარტყის სიმახინჯე ჩემი ბრალი იყო. ფრინველმა ნელ-ნელა დაშვება დაიწყო და თავისი ბასრი ნისკარტი და კიდევ უფრო ბასრი ბრჭყალები მომიღერა. ამასობაში გამეღვიძა, თვალი გავახილე და მივხვდი, რომ ფანჯარასთან, მაგიდაზე ჩამძინებოდა.

პირში ჟანგის გემოს ვგრძნობდი, წყურვილით ვკვდებოდი, მაგრამ დამძიმებულ თავს მაგიდიდან ვერ ვწევდი. ბოლოს მთლად მივიბნიდე. კარგა ხანს ვეგდე ასე ცნობამიხდილი. ყურში ფუტკრის ბზუილივით ჩამესმოდა დუქნის ჩვეული ხმები. ვიღაცები გაცხარებით კამათობდნენ. ხან ხმამაღლა ალაპარაკდებოდნენ, ხან უცებ ჩაიკმენდდნენ ხმას. ეს ყველაფერი ჩემ გვერდით მაგიდასთან ხდებოდა. ერთი პირობა გავიფიქრე, მივტრიალდები და შევხედავ-მეთქი, მაგრამ არც ერთი კუნთი არ დამემორჩილა. სწორედ მაშინ გავიგონე ავბედითი სიტყვა: მკვლელობა.

თავიდან წავუყრუე, მთვრალების ჩვეული როშვა მეგონა. დუქანში რას არ გაიგონებ კაცი. დროთა განმავლობაში ეჩვევი და ყურადღებას აღარ აქცევ. მაგრამ კარგად რომ მოვუსმინე, მივხვდი, წაყრუება არ გამოვიდოდა ისეთი ჟინით ლაპარაკობდნენ, ისე

იმუქრებოდნენ, რომ ცხადი იყო, არ ხუმრობდნენ. ამასობაში ნაცნობი სახელიც გავიგონე და პირკატა მეცა: შამს თებრიზს უპირებდნენ მოკვლას!

თავის მომძინარების დრო აღარ იყო, როგორც კი დაიშალნენ, წამოვხტი და დაფეთებულმა ვიღრიალე:

– ქრისტოს, აქ მოდი! ჩქარა!

– ჰა, რა ხდება? რა მოგელანდა?! – მოირბინა ქრისტოსმა და ხმა რომ არ ამოვიღე, შემომიტია: – რა დაგემართა, კაცო, აღარ იტყვი?!

ვერაფერს ვამბობდი. ქრისტოსსაც კი ვერ გავუმხილე გაგონილი. უკვე ყველას ეჭვის თვალით ვუყურებდი. ვაითუ, შამსის წინააღმდეგ ამ შეთქმულებაში უფრო მეტი ხალხი იყო ჩაბმული? ვხედავდი, ასი თვალი და ასი ყური უნდა გამომება.

– ისეთი არაფერი, მომშივდა, – ვუთხარი ქრისტოსს, – ერთ თეფშ წვნიანს თუ მომიტან, კარგს იზამ. ბლომად ნიორი უქენი, იცოდე. ცოტა უნდა გამოვფხიზლდე.

ქრისტოსმა დამცინავად გადმომხედა, მაგრამ ჩემს ხუშტურებს შეჩვეული იყო და აღარაფერი უკითხავს. რამდენიმე წუთში სანელებლებით შეკაზმული თხის შიგნეულის ნახარში მომიტანა. წვნიანი ისეთი ცხარე იყო, ენა ამეწვა. გაცივებაც არ ვაცალე, საჩქაროდ შევხვრიპე და კარგად რომ გამოვფხიზლდი, მაშინვე ქუჩაში გავვარდი შამს თებრიზის გასაფრთხილებლად.

ჯერ რუმის სახლს მივადექი, მაგრამ შამსი იქ არ დამხვდა. სად არ ვეძებე: მეჩეთში, მედრესეში, ჩაიხანაში, საცხობში თუ ჰამამში. ხელოსნების ქუჩაზე ხომ სულ გადავჩხრიკე ყველა დახლი და სარდაფი. ძველ ნანგრევებში დაბანაკებული ერთი ბოშის კარავშიც კი შევიხედე, იქნებ მას მიაკითხა კბილის ამოსაღებად ან ჯადოს მოსახსნელად-მეთქი.

ყველგან, ყველგან ვეძებე... ამ სირბილში კიდევ უფრო დავიზაფრე: „ვაითუ, უკვე გვიანია? ვაითუ, უკვე მოკლეს?“

რამდენიმე საათში, როცა უკვე მისი პოვნის იმედი გადამეწურა, ყურებჩამოყრილი და სიქაგამოლეული წავლასლასდი დუქნისაკენ... და ჰოი, საოცრებავ! სწორედ მის კართან არ შევეჩეხე?

– რაო, სულეიმან, რაღაც აფორიაქებული ჩანხარ, – გამიღიმა შამსმა.

– ცოცხალი ხარ?! მადლობა ღმერთს! – წამოვიძახე, ვეცი და ისე ჩავეხუტე, ხელიდან ძლივს გამისხლტა და გაკვირვებული მომაშტერდა:

– რა თქმა უნდა, ცოცხალი ვარ. დავიჯერო, მოჩვენებას ვგავარ?

გამეღიმა, მაგრამ სულ ერთი წამით. თავის ტკვილი არ მასვენებდა. სხვა დროს ალბათ ერთორ ბოთლს კიდევ დავლევდი, კარგად დავთვრებოდი და ერთ პირ ძილსაც გამოვაცხობდი.

– რა მოხდა, აღარ იტყვი? მკითხა შამსმა და ეჭვით შემომხედა.

ნერწყვი ძლივს გადავყლაპე. ვაითუ, არ დამიჯეროს, რასაც ახლა ვეტყვი, ვაითუ, მითხრას, მთვრალი ხარ და მოლანდებები გაქვსო. ისიც კი გავიფიქრე, იქნებ, მართლა სიმთვრალით მომდის-მეთქი...

– მოკვლას გიპირებენ, – ვუთხარი ბოლოს, – წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არიან. მათ სახეებსვერ ვხედავდი, იმიტომ, რომ მეძინა. თუმცა ეს ამბავი ნამდვილად არ დამსიზმრებია. სიზმრად სხვა რამე ვნახე, ეგ კიდევ ცხადში ხდებოდა, დამიჯერე. მთვრალიც არ ვიყავი, სულ ერთი-ორი ჭიქა მქონდა დალეული...

შამსმა მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– კარგი, დაწყნარდი. ყველაფერი გასაგებია.

– ვითომ?..

– ჰო. ახლა კი დუქანში დაბრუნდი და ჩემზე ნუ იდარდებ.

– არსადაც არ წავალ! არც შენ გაგიშვებ, – გავიქაჩე მე, – ფრთხილად იყავი, შამს, ეგ ხალხი არ ხუმრობს, იცოდე. შენ ახლა რუმის სახლშიც კი არ წაგესვლება. პირველ რიგში მანდ დაგიწყებენ ძებნას.

შამსი არც განძრეულა. ჩემი დაფეთება არად ჩააგდო, იდგა და ხმას არ იღებდა.

– მომისმინე, დავრიშო, ერთ ციცქნა, დახუთულ ქოხში ვცხოვრობ, მაგრამ თუ მიკადრებ, შემეფარე, რამდენი ხნითაც გინდა.

– დიდი მადლობა მზრუნველობისთვის, – წაიბუტბუტა შამსმა, – მაგრამ ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება, იცოდე. აჰა, ისმინე, ერთერთი წესი: „სამყარო უკუგების პრინციპს ემყარება. ერთი წვეთი სიკეთე, ერთი მწიკვი ბოროტება არ ჩაივლის შემოუქცევლად. ნუ შეუშინდები შეთქმულებებსა და ფანდებს. თუ ვინმე ხაფანგს გიგებს, უღმერთოდ არც ეგ იქნება, იცოდე. იგია შეთქმულებების დიდოსტატი. ხეზე ფოთოლი არ გატოკდება მისი ნების გარეშე. ბოლომდე ირწმუნე ეს. ღმერთს არაფერი ეშლება, მისი ყოველი ნაბიჯი მშვენიერია“.

შამსმა თვალი ჩამიკრა და ტალახიან ქუჩას გაუყვა. თვალი გავაყოლე. ჩემი გაფრთხილება არაფრად ჩააგდო და პირდაპირ რუმის სახლისაკენ აიღო გეზი...

მკვლელი

1248 წლის მარტი, კონია

ბაიყუშები, ნაბიჭვრები!.. რამდენჯერ ვუთხარი, ნუ გამომყვებით, არ მიყვარს, როცა მუშტარი ჩემს საქმეში ცხვირს ყოფს და ამიტომ ყოველთვის მარტო ვმუშაობმეთქი. არა, არ მომეშვნენ, გინდა თუ არა, ჩვენი თვალით უნდა ვნახოთ ყველაფერი, მაგ დავრიშს სასწაულებრივი ძალა აქვს და ემანდ, არაფერი გამოგვეპაროსო. ჯანი გავარდეს, წამომყევით, მაგრამ იცოდეთ, სანამ საქმეს არ მოვრჩები, სათოფეზეარ გამეკაროთ-მეთქი, გავაფრთხილე.

ამჯერად სამნი იყვნენ. ორს წინა შეხვედრიდან უკვე ვიცნობდი. მესამეც მათსავით ახალგაზრდა და ცანცარა იყო. თავპირი შავი ყელსახვევებით ჰქონდათ ახვეული, თითქოს ძალიან მენაღვლებოდა, ვინ იყვნენ. შუაღამე რომ გადავიდა, რუმის სახლთან გავჩნდი, გალავანს გადავახტი და ბუჩქს ამოვეფარე.

ჩემი მუშტრები მიმტკიცებდნენ, რომ შამს თებრიზს ღამღამობით, განბანის შემდეგ (ზოგჯერ მანამდეც), მედიტაციისთვის ეზოში განმარტოება სჩვეოდა... სხვა გზა არ მქონდა, ამ წუთს უნდა დავლოდებოდი.

ქარიანი ღამე იყო, წელიწადის ამ დროისთვის უჩვეულოდ ცუდი ამინდი იყო. ხანჯალი მძიმე და ცივი მეჩვენა. ტარში რომ მარჯნის მძივები ჰქონდა ჩატანებული, ისიც კი მაწუხებდა. ყოველი შემთხვევისთვის ერთი პატარა, ქარქაშიანი ხანჯალიც მქონდა წამოღებული.

მთვარე რაღაც ბაც, ცისფერ ბურუსში იყო გახვეული. შორიდან ცხოველების ყმუილი ისმოდა. უცებ, ქარმა, რომელიც განუწყვეტლივ არხევდა ხეებს, საიდანღაც ვარდის სუნი მოიტანა. უცნაურად ამაფორიაქა ამ სუნმა. მაინცდამაინც კარგ გუნებაზე იქ მისვლამდეც ვერ ვიყავი, ახლა კი მთლად წავხდი. ვიდექი ვარდის ტკბილი სურნელით გაბრუებული და ერთი სული მქონდა, მიმეფურთხებინა ამ ყველაფრისთვის და იმ ოხერ ადგილს გავცლოდი, თუმცა სიტყვა აღარ გავტეხე და დავრჩი.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. ქუთუთოები დამიმძიმდა, მთქნარება ამიტყდა. ამასობაში ქარი გაძლიერდა... რატომღაც მოგონებები წამომეშალა. ერთბაშად გამახსენდა ჩემი ბნელბნელი, ავი საქმეები და ყველა ის კაცი, ვინც კი ოდესმე ჩემი ხელით მომკვდარა. მიკვირდა, რა მომდის-მეთქი.

წარსული დიდად არ მაწუხებს ხოლმე. ბევრჯერ ჩავფიქრებულვარ, საკუთარ თავში ბევრჯერ ჩავკეტილვარ უჟმურშეყრილივით, მაგრამ შეწუხებით არასოდეს შევწუხებულვარ.

თავი რომ გამემხნევებინა, ნაცნობი ჰანგების სტვენა დავიწყე, მაგრამ როცა ამანაც არ მიშველა, სახლის უკანა კარს შევხედე და მოუთმენლად წავიჩურჩულე:

– გამოდი, შამს, ნუ მალოდინებ ამდენ ხანს. საშველი დამაყენე.

ერთი ხმა. ერთი მოძრაობა. ჩამიჩუმი არ ისმოდა... გაწვიმდა. ჩემი სამალავიდან ეზოს კარგად ვხედავდი. მალე ისეთი თქეში წამოვიდა, რომ ქუჩები ადიდებულ მდინარეებს დაემსგავსა. თავით ფეხამდე გავიწუწე.

– ჯანდაბა... ჯანდაბა... – ვიძახდი გამწარებული.

ამაღამ არაფერი გამოვა, სხვა დროს იყოსმეთქი, გავიფიქრე და წასვლაც კი დავაპირე, მაგრამ უცებ რაღაც მკვეთრი ხმა გავიგონე, მიუხედავად იმისა, რომ წვიმა ყურისწამღები ხმაურით უშენდა ქვაფენილსა და სახურავებს. ეზოში შამს თებრიზი გამოვიდა. ხელში ზეთის ლამპარი ეჭირა. ჩემკენ მოდიოდა, რამდენიმე ნაბიჯიღა აშორებდა ჩემს სამალავს.

– მშვენიერი ღამეა, არა? – იკითხა უცებ.

თავი ვერ შევიკავე და ამოვიოხრე. „ვინმე ახლავს, თუ თავის თავს ელაპარაკება? დავიჯერო, იცის, რომ აქ ვარ? ნუთუ ასეთი რამეებიც ხდება?“ – ამ კითხვებით ტვინი მიდუღდა.

უცებ კიდევ ერთმა აზრმა გამირბინა: „კი მაგრამ, ასეთ ქარსა და თავსხმაში ლამპარი როგორ არ უქრება?“..

ამის გაფიქრება იყო და ჟრუანტელმა დამიარა.

გამახსენდა, რას ჰყვებოდნენ ხოლმე შამსზე. შავი მაგიის დიდოსტატიაო, ამბობდა ხალხი. ადამიანს თუ მიეპარა, ტანსაცმელზე ერთ პატარა ნასკვს გაუკეთებს, მერე თავის მზაკვრულ შელოცვას წაიბუტბუტებს და ამ ადამიანს ერთ წამში ყროყინა ვირად ან უსინათლო ღამურად გადააქცევსო.

მართალია, ამ სისულელეების არასოდეს მჯეროდა და არც ახლა ვაპირებდი დაჯერებას, მაგრამ იმ თავსხმასა და ქარში მოციმციმე ალის შემხედვარე მთელი ტანით ავცახცახდი.

– წლების წინ თავრიზში ერთი მოძღვარი მყავდა, – ალაპარაკდა შამსი და ლამპარი მიწაზე ისეთ ადგილას დადო, რომ მე ვერ დამენახა, – მან შემაგონა, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. აჰა, ისმინე ბოლო წესთაგან ერთერთი...

„რა წესებზე მელაპარაკება? რას ბნელსიტყვაობს? დრო აღარ იცდის: ან ახლა უნდა გამოვიდე ბუჩქებიდან, ან მოვიცადო, როდის დადგება ჩემკენ ზურგით. თუმცა, ან დადგება და ან არა... თუკი იცის, რომ აქა ვარ, მალვას რაღა აზრი აქვს, თუ არ იცის, მაშინ შესაფერისი დრო უნდა შევარჩიო და ბოლოს და ბოლოს გამოვძვრე აქედან.“..

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, უცებ ჩემს მუშტრებს შევავლე თვალი, ბაღის გალავანთან, მოფარებულში რომ მელოდნენ. თითქოს ჩემი გაჭირვება მაკლდა, მათ შემხედვარეს მთლად გული შემიღონდა: მოუსვენრად ცქმუტავდნენ, სული კბილით ეჭირათ, აშკარად უკვირდათ, რაღას უცდის, რატომ არ კლავსო.

ამასობაში შამსი ლაპარაკს განაგრძობდა:

– აჰა, ისმინე წესი ოცდამეჩვიდმეტე: „ღმერთი გულმოდგინე მესაათეა. მისი წესრიგი ისე ზუსტია, რომ დედამიწაზე ყველაფერი თავის დროზე ხდება არც ერთი წუთით გვიან და არც ერთი წუთით ადრე. ეს საათი უკლებლივ ყველასთვის ზუსტად მუშაობს. ყველას თავის დროზე დაუდგება ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიკვდილისა“.

აი, მაშინ კი მივხვდი, რომ მე მელაპარაკებოდა. მან იცოდა, იქ რომ ვიყავი. სანამ ეზოში გამოვიდოდა, მანამდე იცოდა...

გული ამიჩქარდა. ასე მეგონა, ჰაერი გამოილია და ვეღარ ჩავისუნთქავ-მეთქი. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. წამოვდექი და ბუჩქიდან გამოვძვერი. წვიმა ისევე სწრაფად შეწყდა, როგორც დაიწყო. თითქოს ყველა ხმა ერთბაშად ჩაყლაპა სიჩუმემ. ახლა უკვე პირისპირ ვიდექით მკვლელი და მსხვერპლი. უცნაური სურათი იყო, მაგრამ თან თითქოს სრულიად ბუნებრივი და... მშვიდობიანიც კი... ხმალი ვიძრე და მთელი ძალით მოვუქნიე. დავრიშმა დარტყმა ისე სწრაფად აიცდინა, რომ მისი აგებულების კაცისგან გამიკვირდა. ის იყო, მეორეჯერ დავუპირე ხმლის მოქნევა, რომ უცებ ბნელში ვიღაცებმა გაიშლიგინეს; საიდანღაც ექვსი კაცი გამოვარდა და დავრიშს ხელკეტებითა და შუბებით ეცა.

თურმე იმ სამ ბედოვლათს მეგობრები მოეყვანა. ერთი ამბავი ატყდა. ყველანი მიწაზე გაგორდნენ. კოტრიალებდნენ, ისევ დგებოდნენ, ისევ ძირს ცვიოდნენ... შუბები ჩხირებივით ემტვრეოდათ ხელში.

ო, როგორ გავმწარდი! წარმოიდგინეთ, ვიდექი და მოწმესავით ვუყურებდი მკვლელობას, რომელშიც ფული მე გადამიხადეს! ასე არასოდეს არავის დავუმცირებივარ!

ეს რა მიქნეს, ამ ტუტუცებმა! მზად ვიყავი, დავრიში გამეშვა და მის მაგივრად ამათ დავტაკებოდი.

უცებ რომელიღაცამ განწირული ხმით იბღავლა:

– გვიშველე, ტურისთავა! ვერ ხედავ, გვხოცავს!

ელვის სისწრაფით გადავაგდე ხმალი, ხანჯალი გავიძრე და წინ გავვარდი. შვიდი კაცი დავეძგერეთ დავრიშს და მიწაზე დავაგდეთ. ხანჯალი გულში ჩავკარი. ხრინწიანად შეჰყვირა, მაგრამ მას შემდეგ აღარ განძრეულა და არც ხმა ამოუღია. მერე ყველამ ერთად ავწიეთ მისი უცნაურად მსუბუქი სხეული და ჭაში გადავუძახეთ. წელში გავიმართეთ, სული მოვითქვით და დაველოდეთ ხმას, რომელიც სხეულის წყალში ჩავარდნას უნდა მოჰყოლოდა. ვერა და ვერ ვეღირსეთ მის გაგონებას...

– რა ჯანდაბაა? – იკითხა ერთმა. – არ ჩავარდა, თუ რა ხდება?

– ჩავარდა, აბა, სად წავიდოდა, – დაამშვიდა მეორემ.

მაგრად დაფეთდნენ. თუმცა არც მე მედგა უკეთესი დღე.

– იქნებ ჭის კედელზე რამე კაუჭი იყო და იმას გამოედო? – გამოთქვა აზრი ერთერთმა.

ეს აზრი ჭკუაში დაგვიჯდა და ხალისით ჩავებღაუჭეთ. ამ უცნაურობისთვის რაღაც ახსნა ხომ უნდა მოგვეძებნა... თუმცა ყველას კარგად გვესმოდა, რომ ეს სისულელე იყო. ჭაში კაუჭს რა უნდა?!..

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცდიდით ასე, ჭასთან ატუზულები. ვიდექით და ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით. ამასობაში ცივმა ქარმა ერთხელაც ჩამოგვიქროლა და ჩვენს ფეხებთან ტირიფის ხმელი ფოთლები დაყარა. დილის მუქლურჯ ცას თანდათან მელნისფერი გაერია. ალბათ, ასე ვიდგებოდით, სანამ თავზე არ დაგვათენდებოდა, მაგრამ უცებ სახლის უკანა კარი გაიღო და იქიდან კაცი გამოვიდა. იმ წუთში ვიცანი. მევლანა იყო.

– სადა ხარ?! – ამოიხავლა სიმწრისაგან ხმაჩავარდნილმა. – სადა ხარ, შამს?

ამ სახელის გაგონება იყო და შვიდივე ადგილს მოვწყდით. ექვსი კაცი გალავანს გადააფრინდა და სიბნელეში გაუჩინარდა. მე ხანჯლის ძებნას მოვუნდი და ჩამოვრჩი. როგორც იქნა, ვიპოვე; ბუჩქის ქვეშ ეგდო, ტალახში ამოთხვრილი. ზოზინის დრო აღარ იყო, მაგრამ სულმა წამძლია და უკან მოვიხედე.

რუმი ეზოში დაბარბაცებდა. უცებ, თითქოს გულმა უგრძნო, ჭისკენ წავიდა, გადაიხარა და შიგ ჩაიხედა. ცოტა ხანს სიბნელეს თვალს აჩვევდა. მერე ჭას მოშორდა, მუხლებზე დაეცა, მკერდში მუშტები დაიშინა და იღრიალა:

– მომიკლეს! მომიკლეს ჩემი შამსი!!!

მაშინ კი ვიშვირე ფეხი და გალავანს გადავახტი. ვიღას ახსოვდა ხანჯალი, რომელსაც დავრიშის სისხლი ჰქონდა შემხმარი. უკანმოუხედავად გავრბოდი. ასე არასოდეს მირბენია.

ელა

2008 წლის 12 აგვისტო, ნორთჰემპტონი

ბრწყინვალე, კრიალა, ზაფხულის თბილი დღე იყო. ელა გაღვიძებისთანავე ოჯახის წევრებისთვის საუზმის მომზადებას შეუდგა. შემდეგ ზოგი სამსახურში, ზოგიც ჭადრაკისა და ჩოგბურთის კლუბში გაისტუმრა, სამზარეულოში შებრუნდა, რეცეპტების წიგნი გადაშალა და სადილის მენიუ შეარჩია:

ისპანახის სუპპიურე სოკოთი; მიდიები მდოგვის მაიონეზით;

კარაქში ჩაშუშული და ესტრაგონით შეკაზმული ხამანწკები;

ბოსტნეულის სალათა მოცვით; ყაბაყისა და ბრინჯის გრატენი;

ვანილის კრემიანი ღვეზელი რევანდის სატენით...

ამ ყველაფრის მომზადებას თითქმის ნახევარი დღე დასჭირდა. როცა ელა საქმეს მორჩა, საუკეთესო ფაიფურის სერვიზი გამოიღო, სუფრა გაშალა, ხელსახოცებითა და ყვავილებით გააწყო და ღუმელი ისეთ ტემპერატურაზე დააყენა, რომ გრატენი შვიდი საათისთვის თბილი ყოფილიყო. მერე პატარა ორცხობილებიც მოამზადა და სალათას, ეივის გემოვნებით, სქელი და მსუყე არაჟანი დაამატა.

სანთლების ანთებაც უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა.

„დარჩეს ასე, ნატიურმორტივით უძრავად," – გადაწყვიტა ბოლოს.

შემდეგ წინასწარ მომზადებულ ჩემოდანს ხელი დაავლო და სახლიდან გავიდა. გასვლისას შამსის ერთერთ წესს ბუტბუტებდა: „არასოდეს არის გვიან შენს თავს ჰკითხო: „ვარ თუ არა მზად, შევცვალო ჩემი ცხოვრება? ვარ თუ არა მზად, შევიცვალო მე თვითონ?" ერთი დღეც თუ დაემსგავსა გუშინდელს, ნამდვილად დასანანი იქნება. ადამიანი ყოველწუთიერად, ყოველ ამოსუნთქვასთან ერთად უნდა ახლდებოდეს. თუ გსურს ხელახლა იშვა, სიკვდილამდე უნდა მოკვდე".

ალადინი

1248 წლის აპრილი, კონია

ბევრი ვიწვალე, სანამ გადავწყვეტდი, როგორ უნდა დამეჭირა თავი შამსის სიკვდილის შემდეგ. სამი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, მოვიკრიბე გამბედაობა და მამაჩემს ბიბლიოთეკაში მივაკითხე. განმარტოებით მიმჯდარიყო მოგიზგიზე ბუხართან, თაბაშირის ქანადაკებასავით უძრავი. მხოლოდ სახეზე დასთამაშებდა ჩრდილები.

– მამა, შეიძლება დაგელაპარაკო? – ვკითხე.

თავი ნელა მოატრიალა, თითქოს ზმანებების ზღვა გადმოლახა და სიცხადის ნაპირს მოადგა, დანისლული თვალები მომაპყრო და არაფერი მიპასუხა.

– მამა, მე ვიცი, შენ ფიქრობ, რომ შამსის სიკვდილში ჩემი ხელიც ურევია, მაგრამ მინდა დაგარწმუნო...

უცებ თითი ასწია და გამაწყვეტინა:

– მე და შენ, შვილო, სათქმელი გამოგველია. სიტყვები ხელში ჩაგვადნა... მე აღარაფერი მაქვს შენგან მოსასმენი და აღარაფერი მაქვს საპასუხო.

– მაგას ნუ მეტყვი, მამა! – შეევევედრე ხმის კანკალით. – ღმერთს გეფიცები, ეს მე არ ჩამიდენია. არ უარვყოფ, რომ ამის ჩამდენ ხალხს პირადად ვიცნობ, მაგრამ ჩემი ხელით მართლა არ მომიკლავს.

– ყური მიგდე შვილო, – ისევ გამაწყვეტინა მან. ამჯერად მწუხარების ნაცვლად სიცივე ედგა თვალებში. სიცივე ადამიანისა, რომელიც უკვე შეეგუა საშინელ სიმართლეს, აი, შენ ამბობ, რომ უბრალო ხარ, მაგრამ მე შენი კაბის კალთაზე სისხლს ვხედავ. საქციელი წამიხდა. იმ წუთში კაბის კალთაზე დავიხედე.

„სისხლი? როგორ? რამდენი ხანი გავიდა! ნუთუ სისხლი ჯერ კიდევ ზედ მაქვს?!“ გულდასმით დავითვალიერე ტანსაცმლის ქობა, სახელოები, ხელები, ფრჩხილები... ყველაფერი წესრიგში მქონდა. როცა თავი ავწიე, მამამ თვალი თვალში გამიყარა და მაშინღა მივხვდი, რომ ეშმაკური მახე დამიგო. დაუფიქრებლად მოვიქეცი და ამით უნებლიეთ თავი გავეცი...

ჰო, ვაღიარებ. იმ საღამოს დუქანში შეკრებილებს მეც შევუერთდი. მე შევატყობინე მკვლელს, რომ შამსს ღამღამობით ეზოში გამოსვლა სჩვეოდა. მოგვიანებით, როცა შამსი მკვლელს წვიმის ქვეშ ელაპარაკებოდა, სწორედ მე ვიყავი ერთი იმ ექვს კაცთაგანი, რომელიც გალავანთან ყურებდაცქვეტილი იდგა. ხოლო როცა ტურისთავას ყოყმანი შევატყვეთ და შეტევაზე გადასვლა გადავწყვიტეთ, სწორედ მე მივუთითე, საიდან შესულიყვნენ. მაგრამ სულ ეგ იყო. ამის შემდეგ განზე გავდექი და ბრძოლაში აღარ ჩავრეულვარ.

თავიდან ბაიბარსი დაეძგერა, ბაიბარსს ირშადი და სხვები წამოეშველნენ, ხოლო როცა შიშმა სძლიათ, საქმეში ტურისთავა ჩაერია და მანვე მოუღო ბოლო...

ეს ყველაფერი იმდენჯერ დავატრიალე თავში, რომ უკვე ვეღარ ვარჩევდი, სად იყო სიმართლე და სად ჩემი გამონაგონი. ერთხელ თუ ორჯერ ისიც კი მომეჩვენა, თითქოს შამსი ხელიდან გაგვისხლტა და სიბნელეს მისცა თავი. ეს სურათი იმდენად ცოცხლად წარმომიდგა, რომ ლამის ვირწმუნე მისი სიცხადე.

შამსი აღარ არის, მაგრამ მისი კვალი ყველაფერს ატყვია. ცეკვამ, პოეზიამ, მუსიკამ ყველაფერმა, რაც, მეგონა, მასთან ერთად გაქრებოდა, მკვიდრად მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში.

მამაჩემი პოეტი გახდა. შამსი მართალი აღმოჩნდა. როცა ერთი ქოთანი ტყდება, მეორეც მიჰყვება თან.

მამაჩემი მოსიყვარულე კაცია. განა მხოლოდ მაჰმადიანს, ყველა სარწმუნოების ადამიანს სწყალობს ქრისტიანს, იუდეველს, წარმართსაც კი... როცა მის ცხოვრებაში შამსი შემოვიდა, ეს წრე უფრო გაფართოვდა და ფსკერზე მყოფი ადამიანებიც მოიცვა მეძავები, ლოთები, მათხოვრები, მდაბიოთაგან მდაბიონი... რომ იცოდეთ, შეიძლება შამსის მკვლელებიც კი უყვარდეს. მხოლოდ მე, მისი უმცროსი ვაჟი, ვერ ვეღირსე მის სიყვარულს...

სულთან ველედი

1248 წლის სექტემბერი, კონია

ბოგანოებს, ლოთებს, მეძავებსა და ქურდბაცაცებს... ყველა ბოროტმოქმედს ჩამოურიგა თავისი ოქრო-ვერცხლი...

იმ საშინელი ღამის შემდეგ მამაჩემი სულ სხვა კაცი გახდა. ყველა ამბობს, ამ უბედურებამ შეშალაო. როცა ეკითხებიან, რასა იქმო, არაბთა მეფის, იმრულქაისის ამბავს ჰყვება.

ამ მეფეს არც სიმდიდრე აკლდა, არც პატივი და არც სახიერება, მაგრამ ერთხელაც დაკრა ფეხი და გაეცალა ამ განცხრომას, დავრიშის ჯვალო გადაიცვა, მთელი სიმდიდრე დაარიგა და ცხოვრება ხეტიალში გალია.

– ასეა საყვარელი ადამიანის დაკარგვაც, – ამბობს მამაჩემი, – იგი მეფურ სამოსს მტვრად აქცევს და შენს დავრიშულ არსს სააშკარაოზე გამოიტანს. მას შემდეგ, რაც შამსი აღარ არის, არც მე აღარ ვარ. ამიერიდან აღარც სწავლული გახლავართ და აღარც მოქადაგე. მე ვარ ხორცშესხმული არარა. ეს არის ჩემი ფანა, ეს არის ჩემი ბაქა...

ამას წინათ სახლის კარზე ვიღაც მწითურმა ვაჭარმა მოგვიკაკუნა. დიდი ცრუპენტელა ვინმე ჩანდა. ერთ დროს ბაღდადში ვცხოვრობდი და შამს თებრიზს ვიცნობდიო, გამოგვიცხადა. მერე შეთქმულივით აჩურჩულდა და დაიფიცა, შამსი ცოცხალი და საღ-სალამათია, თავს ინდოეთის აშრამს აფარებს, მედიტაციით არის დაკავებული და გამოსაჩენად ხელსაყრელ დროს ელოდებაო. მე მაგ კაცს გულმართლობის ვერაფერი შევატყვე და ეჭვით მოვეკიდე, მაგრამ მამაჩემი კინაღამ შეიშალა.

– რით დაგასაჩუქრო ასეთი საუცხოო ახალი ამბისთვის? – ჰკითხა მან მოსულს.

ბიჭობაში დავრიშობაზე ვოცნებობდი, მართალია, ცხოვრებამ სულ სხვა გზით მატარა, მაგრამ ძალიან გავიხარებ, თუ რუმისნაირი სახელგანთქმული სწავლულის ხალათი მაინც მერგება საჩუქრადო, მოურიდებლად განაცხადა მწითურმა.

მამამ თავისი ხავერდის ხალათი მოძებნა და საჩუქრად გადასცა.

– კი მაგრამ, მამაჩემო, რატომ მიეცი შენი ძვირფასი ხალათი კაცს, რომელიც თვალდათვალ გატყუებდა? – ვკითხე მამას, როცა ვაჭარი წავიდა.

აი, რა მიპასუხა:

– შენ რა გგონია, ხალათი ძალიან დიდი საფასურია ასეთი სიცრუისთვის? ეგ რომ სიმართლეს ამბობდეს და შამსი მართლა ცოცხალი იყოს, სიცოცხლეს არ დავიშურებდი მისთვის!

რუმი

1260 წლის 31 ოქტომბერი, კონია

ბევრი წყალი ჩაივლის, ტკივილს მწუხარება ჩაენაცვლება, მწუხარებას დუმილი, დუმილს კი მარტოობა ბნელი ოკეანესავით უძირო და უნაპირო...

დღეს თექვსმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მეშაქრეთა ფუნდუკის წინ შამს თებრიზს შევხვდი. ყოველწლიურად, ოქტომბრის ბოლო დღეს, ჩემს თავში ვიკეტები. იწყება ჩემი მარტოობა, რომელიც დღითი დღე უფრო აუტანელი ხდება. ორმოც დღეს ვატარებ ჩილაში და ამ დროს ფიქრებით ორმოც წესს დავტრიალებ. ყველა მათგანი სიტყვასიტყვით მახსოვს, ყველა მათგანზე სათითაოდ მაქვს ნაფიქრი. მაგრამ ჩემი გონების ყველაზე ღრმა შრეებში მხოლოდ შამს თებრიზი კაშკაშებს.

ზოგჯერ გგონია, რომ ვეღარ გააგრძელებ ცხოვრებას, გგონია რომ შენი სულის სინათლე ჩაქრა და სამუდამო ბნელში ჰგიებ. მაგრამ სწორედ ბნელში დანთქმისას, როცა ორივე თვალი დახუჭული გაქვს და სამყაროს აღარ ჭვრეტ, უცებ მესამე გულის თვალი აგეხილება და მხოლოდ მაშინ ხვდები, რომ თვალით ხედვა ერთია, გულით ხედვა კი სულ სხვა.

არაფერს აქვს ისეთი მახვილი მზერა, როგორიც მწუხარებას. მწუხარების დროს სხვა ჟამი გიდგება, სხვა ველი იშლება შენ წინ; ამიერიდან ყველგან და ყველაფერში ხედავ საყვარელ ადამიანს, რომელიც ადრე არსად ჩანდა.

შენ ხედავ მას წყლის წვეთში, რომელიც ოკეანეს უერთდება, ზღვის მიქცევაში, მთვარის კლებას რომ მოსდევს თან, დილის ნიავში, თავის ნაზ სურნელს რომ აფრქვევს ყოველგან, გეომანსიურ სიმბოლოებში, მზეზე მბზინავ პაწაწინა ქვის ნატეხებში, ახალშობილი ბავშვის ღიმილში ან კიდევ შენი ძარღვის ფეთქვაში.

როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ შამსი აღარ არის, როცა ის ყველგან და ყველაფერშია?

ნელა ვტრიალებ მწუხარებისა და მონატრების დუნე მორევში და ყოველდღე, ყოველ წუთს შამსთან ვარ. ჩემი გული შამსის სამყოფელია, სადაც იგი შეხიზნულა, როგორც გამოქვაბულში. როგორც მთა ინახავს თავის წიაღში ექოს, ისე დავატარებ ჩემს არსებაში შამსის ხმას. ნასახიც აღარ დარჩა იმ სწავლულისა და მოქადაგისაგან, რომელიც ოდესღაც ვიყავი.

სიყვარულმა სამუდამოდ ჩამომაცილა ყველა ჩემი საქმიანობა და ჩვევა. სამაგიეროდ, პოეზიით ამავსო... და თუმცა კარგად ვიცი, რომ არ არსებობს სიტყვები, რომელთაც ჩემი ამ შინაგანი მოგზაურობის აღწერა ძალუძთ, მე მაინც მწამს სიტყვისა. მე სიტყვისმოსავი ვარ!..

ყველაზე მძიმე დღეებში ორი ადამიანი დამეხმარა: ჩემი უფროსი ვაჟი და ერთი წმინდანი, ოქრომჭედელი, სახელად სალადინი. სწორედ მის პატარა სახელოსნოში სტუმრობის დროს, როცა ის ჩემ თვალწინ ოქროს უნატიფეს ფირფიტებს ჭედავდა, მეწვია ნამდვილი აღმაფრენა და დავრიშთა წრიული როკვის საბოლოოდ დახვეწის სურვილი. სალადინის სახელოსნოში ატეხილი რიტმული კაკუნი ეხმიანებოდა სამყაროს მაჯისცემას, მის ღვთიურ რიტმს, რომელზეც შამსი ამდენს საუბრობდა.

ცოტა ხანში ჩემმა უფროსმა ვაჟმა სალადინის ქალიშვილი ფატიმა შეირთო ცოლად. ეს სახეგაცისკროვნებული და ცნობისმოყვარე გოგონა კიმიას მაგონებს. მას ყურანს ვასწავლი და ისეთი ძვირფასი გახდა ჩემთვის, ჩემს მარჯვენა თვალად მიმაჩნია, მისი და, ჰიდრია კი მარცხენა თვალად.

დიდი ხნის წინ ჩემმა საყვარელმა კიმიამ დამიმტკიცა, რომ გოგონები ისეთივე კარგი (თუ უკეთესი არა) მოწაფეები არიან, როგორიც ვაჟები. მალე ქალებისთვის სემას შესასწავლი გაკვეთილებიც დავაწესე და სუფი დეებს ამ ტრადიციის გაგრძელება ვურჩიე. ოთხი წლის წინ კი „მათნავის“ ხმამაღლა კითხვა დავიწყე. ამ ნაწარმოების პირველი სტრიქონი თითქოს არსაიდან, განთიადისას მეწვია, როცა მზის პირველმა სხივმა ბნელი გაკვეთა.

მას შემდეგ ლექსები თითქოს თავისით იღვრება ჩემი ბაგიდან. მე მათ არასოდეს ვიწერ. ჩემი ადრეული ლექსები სალადინმა ჩაიწერა დიდი გულმოდგინებით, ჩემმა ვაჟმა კი თითოეული მათგანის ასლი გადაიღო. მათი წყალობით გადარჩა ეს სტრიქონები, თორემ ვინმეს რომ ეთხოვა, ზეპირად წაიკითხეო, ალბათ, ვერ შევძლებდი.

სიტყვები (პროზა იქნება ეს თუ პოეზია) გადამფრენი ჩიტებივით გუნდ-გუნდად შემომესევიან ხოლმე და უცებვე მიდიან. მე მხოლოდ წყლის ზედაპირი ვარ, რომელზეც ისინი თბილ ქვეყნებში გადაფრენისას დასასვენებლად სხდებიან. როცა ლექსის შეთხზვას ვიწყებ, წინასწარ არასოდეს ვიცი, რის თქმას ვაპირებ. ლექსი შეიძლება გრძელიც გამოვიდეს და მოკლეც. არც ამას ვგეგმავ წინასწარ. როცა ლექსი მზად არის, კვლავ ვმშვიდდები. მე სიჩუმის ბინადარი ვარ. ჩემს ყაზალებს ხელს ორგვარად ვაწერ: სიჩუმე (ხამუში) და შამს თებრიზი...

სამყარო ისეთი საოცარი სისწრაფით მოძრაობს და იცვლება, რომ ჩვენ, მოკვდავნი, მას ვერც ვმართავთ და ვერც გონებით ვწვდებით.

1258 წელს მონღოლებმა ხელთ იგდეს ბაღდადი. ქალაქმა, რომელიც ოდესღაც თავისი გამაგრებული მისადგომებითა და საუცხოო სილამაზით ამაყობდა და თავი მსოფლიოს გულად მოჰქონდა, მარცხი იგემა. იმავე წელს გარდაიცვალა სალადინი. მე და ჩემმა დავრიშებმა დიდი ზარზეიმით ჩამოვუარეთქუჩებს დოლებით, ლერწმის სტვირებითა და ცეკვასიმღერით, რადგან წმინდანს სწორედ ასეთი დაკრძალვა ეკადრება.

1260 წელს კი მონღოლების დამარცხების ჯერი დადგა. მათ ეგვიპტის მამლუქებმა სძლიეს. გუშინდელი გამარჯვებულები დღეს დამარცხებულებად იქცნენ. ყველა გამარჯვებულს ჰგონია, რომ მისი ზეიმი სამუდამოა. ყველა დამარცხებული შიშობს, რომ სამუდამოდ არის ძლეული. მაგრამ ორივე ერთი მიზეზით ცდება: ყველაფერი იცვლება, შემოქმედის სახის გარდა.

სალადინის სიკვდილის შემდეგ ლექსების ჩაწერაში ყოფილი მოწაფე, ჰუსამი დამეხმარა. იგი ახლა სულიერების გზას ადგას და უკვე იმდენს მიაღწია, რომ ყველა ჰუსამ ჩელების ეძახის. იგი ხელნაწერის ოსტატია და ჩემი კარნახით მთელი „მათნავი“ ჩაიწერა. თავმდაბალი და კეთილშობილი კაცია ჰუსამი. ვინმემ რომ ჰკითხოს, ვინ ხარ და რას აკეთებო, უყოყმანოდ გიპასუხებთ, მე შამს თებრიზის მოკრძალებული მიმდევარი ვარო.

წლები გარბიან. ჯერ ორმოცის ხდები, შემდეგ ორმოცდაათის, შემდეგ სამოცის... ყოველი ათწლეულის შემდეგ უფრო სრულყოფილად გრძნობ თავს. სვლა კი მაინც უნდა განაგრძო, თუმცა დანიშნულების ადგილი არ არსებობს. სამყარო განუხრელად, მარადიულად ბრუნავს, მასთან ერთად ტრიალებენ დედამიწაცა და მთვარეც, მაგრამ მათი მამოძრავებელი ძალა მოკვდავის სულში ჩაკირული საიდუმლოა და სხვა არაფერი.

ჩვენ, კი დავრიშები, მარადჟამს ვიცეკვებთ... ვიცეკვებთ, თუნდაც ვერავინ გაიგოს, რისთვის ვაკეთებთ ამას. ცეკვით გავიკვლევთ გზას სიყვარულსა თუ გულისტკივილში, ომსა თუ მშვიდობაში, ტკივილსა თუ სიხარულში, ერთად თუ კენტად, ნელა თუ სწრაფად, წყლის ნაკადივით შეუჩერებლად...

საკუთარ სისხლშიც კი ვიცეკვებთ...

სრულყოფილი ჰარმონია, წონასწორობა და თანაფარდობა შეიმჩნევა ყველაფერში, რაც სამყაროში ოდითგან ყოფილა და არის. წერტილები მუდმივად გადაადგილდება და ერთმანეთს ცვლის, წრე კი მაინც გაურღვეველი რჩება.

და აჰა, ისმინე წესი ოცდამეცხრამეტე: „ნაწილები იცვლება, მთელი კი ყოველთვის მთელად რჩება, რამეთუ ამქვეყნიდან წასული თითოეული ქურდბაცაცის ნაცვლად ახალი ქურდბაცაცა ევლინება მას, ხოლო თითოეულ გარდაცვლილ პატიოსან ადამიანს ყოველთვის გაუწევს მაგივრობას სხვა, მისივე სწორი. ქვეყნად არაფერი იცვლება და, ამავე დროს, არაფერი რჩება უცვლელი.“

იმ ქვეყნად წასული ყოველი სუფის ადგილს სადღაც დაბადებული მეორე სუფი იკავებს. ჩვენი რელიგია სიყვარულის რელიგიაა. ჩვენ, ყველანი, გულებით ვართ გადაჯაჭვულნი. თუ ჯაჭვის ერთი რგოლი ჩაწყდება, მას უთუოდ სხვა რგოლი ჩაემატება. ყველა შამს თებრიზს, რომელიც ამ ქვეყანას დატოვებს, სხვა საუკუნეში, სხვა სახელით, უცილობლად ჩაენაცვლება მისივე მსგავსი.

სახელები იცვლება. ისინი მოდიან და მიდიან. არსი კი იგივე რჩება...

<u>ელა</u>

<u>2009 წლის 7 სექტემბერი, კონია</u>

ბნელ ოთახში, აზიზის სასთუმალთან პლასტმასის სკამზე მოკუნტულმა ელამ ძილს თავი წაართვა და ყური მიუგდო ხმას, რომელიც მოულოდნელად ჩაესმა. ვიღაც მისთვის უცნობ სიტყვებს წარმოთქვამდა. ელა მიხვდა, რომ ხმა გარედან ისმოდა. ლოცვისკენ მოწოდება იყო. სადაცაა, ახალი დღე დაიწყებოდა. მაგრამ ელა იმასაც გრძნობდა, რომ ამ დღეს რაღაც უნდა დასრულებულიყო.

ჰკითხეთ ნებისმიერ ადამიანს, რა გრძნობა დაეუფლა, როცა დილის ლოცვა პირველად მოისმინა. ყველა ერთხმად გეტყვით, რომ იგი დიდებულია, მჟღერი, იდუმალებით მოცული. მაგრამ, ამავე დროს, არის მასში რაღაც ისეთი, რაც ენით არ ითქმის, რაც ძრწოლას გგვრის. სიყვარულივით...

როცა ამ ბგერებმა ღამის სიჩუმე გაკვეთა, ელა ერთხანს დაბნეული ახამხამებდა თვალებს. მოგვიანებითღა გაარჩია მამაკაცის ხმა, რომელიც ოთახში ფანჯრიდან

აღწევდა. ერთი წუთი დასჭირდა იმის გასახსენებლად, რომ იგი აღარ იყო ამერიკაში, თავის დიდ სახლში, სადაც ქმარსა და სამ შვილთან ერთად ამდენი ხანი იცხოვრა. ეს ყველაფერი სხვა დროის კუთვნილება გამხდარიყო უკვე, თანაც ისეთი შორეული და ბუნდოვანი დროისა, რომელიც ზღაპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე წარსულს.

დიახ, მასაჩუსეტსი შორს იყო აქედან. ელა მსოფლიოს სრულიად საპირისპირო მხარეს, თურქეთში, ქალაქ კონიის ერთერთ საავადმყოფოში ათენებდა ღამეებს მამაკაცი, რომლის მშვიდი სუნთქვა ახლა დილის ლოცვას ერთვოდა, მისი ქმარი კი არ იყო, რომელთანაც ოცი წელი ერთ ჭერქვეშ გაატარა, არამედ საყვარელი, რომლის გამოც მან შარშან, ზაფხულის ერთ მზიან დღეს, ქმარი მიატოვა.

– როგორ? უმომავლო კაცისთვის ქმრის დატოვებას აპირებ?! – წარამარა ეკითხებოდნენ მეგობრები და მეზობლები. – ბავშვებს რას უპირებ? შენ გგონია, ამას გაპატიებენ?

სწორედ მაშინ აღმოაჩინა ელამ ერთი რამ: საზოგადოების თვალში ქმრის მიმტოვებელ ქალზე უარესი მხოლოდ აწმყოს გამო მომავალზე უარის მთქმელი ქალი გახლდათ.

სანათური აანთო და მის ქარვისფერ შუქზე ოთახი შეათვალიერა, თითქოს უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ სრულიად არაფერი შეცვლილიყო მას შემდეგ, რაც რამდენიმე საათის წინ ღრმად ჩაეძინა.

ელას ასეთი პატარა პალატა არასოდეს ენახა, თუმცა, საავადმყოფოებში ყოფნა ხშირად არც უწევდა. თითქმის მთელ სივრცეს საწოლი იკავებდა. დანარჩენი ნივთებიც იქვე, საწოლთან იყო თავმოყრილი: ხის კარადა, ოთხკუთხა ყავის მაგიდა, კიდევ ერთი სკამი, ცარიელი ლარნაკი და ფერადი აბებით სავსე ლანგარი. იქვე იდო წიგნი, „მე და რუმი“, რომელსაც აზიზი ამ მოგზაურობის პირველი დღიდან კითხულობდა.

აზიზი და ელა კონიაში ოთხი დღის წინ ჩავიდნენ. პირველი ორი დღე ჩვეულებრივი ტურისტებივით გაატარეს: ათვალიერებდნენ ძეგლებს, მუზეუმებს, ესწრებოდნენ არქეოლოგიურ გათხრებს, მიირთმევდნენ ადგილობრივ კერძებს, იყო თუ არ იყო საინტერესო, თითქმის ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდნენ. თითქოს არც ისე ცუდად იყო საქმე. მაგრამ ერთხელ, რესტორანში ყოფნისას, აზიზი წაიქცა და უახლოეს საავადმყოფოში გააქანეს. მას შემდეგ ელა მის სასთუმალს არ მოშორებია. იჯდა და ელოდა რაღაცას. უიმედობის მიუხედავად იმედით ცოცხლობდა და თან უსიტყვოდ საყვედურობდა ღმერთს იმისთვის, რომ ნაგვიანევად ბოძებული სიყვარული ასე მალე წაართვა.

– გძინავს? – ჰკითხა ცოტა ხანში აზიზს.

ნამდვილად არ უნდოდა მისი შეწუხება, მაგრამ მასთან გამოლაპარაკების სურვილმა სძლია.

აზიზმა ჯერ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ერთიორჯერ მისი სუნთქვის რიტმი დაირღვა.

– მღვიძავს, – გამოეპასუხა მერე ჩუმად, – შენ რატომ არ გძინავს?

– დილის ლოცვაა... – ჩაილაპარაკა ელამ და წამით დადუმდა, თითქოს ამ ორი სიტყვით სურდა ყველაფრის ახსნა; აზიზის გაუარესებული ჯანმრთელობა, მისი დაკარგვით გამოწვეული შიში (ყოველ წუთს რომ ძლიერდებოდა) და ის სრული სიგიჟე, რომელსაც სიყვარული ერქვა. ეს ყოველივე ამ ორ სიტყვას უნდა დაეტია...

აზიზმა ლოგინზე წამოიწია. თავისი მწვანე თვალებით დიდხანს მიშტერებოდა ერთ წერტილს. სანათურის სუსტი შუქისა და გახამებული ზეწრების ფონზე მისი ლამაზი სახე საოცრად ფერმკრთალი ჩანდა, მაგრამ თან რაღაც აუხსნელ ძალას ასხივებდა. მეტიც: თითქოს თავად უკვდავება აღბეჭდილიყო ამ სახეზე.

– დილის ლოცვას განსაკუთრებული მადლი აქვს, – წაიჩურჩულა მან, – იცი, რომ იმ ხუთი ლოცვიდან, რომლებიც მუსლიმმა ყოველდღიურად უნდა აღავლინოს, დილის ლოცვა ყველაზე წმიდათაწმიდაა და ყველაზე მეტად გვცდის?

– რატომ?

– პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ ძილს გვიფრთხობს, ჩვენ კი ეს არ მოგვწონს. ძილის გაგრძელებას არაფერი გვირჩევნია... ამიტომ არის დილის ლოცვაში სიტყვები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება: „ლოცვა ძილზე უმჯობესია“.

„ეჰ, ჩვენთვის იქნებ მართლაც ძილი ჯობდეს... ნეტავ ორივეს ჩაგვძინებოდა,“ – გაიფიქრა ელამ და მთელი გულით ინატრა ეს მშვიდი, უდრტვინველი მდგომარეობა, ზღაპრული მზეთუნახავის ძილქუშივით ჯადოსნური და მარადიული, რომელიც ყველაფერს ერთბაშად მოსწყვეტდა და ამ გაუსაძლის ტკივილს შეუმსუბუქებდა.

ცოტა ხანში ლოცვა დასრულდა და ახლა მის ექოს ზღვის ტალღები მიაქროლებდნენ ნაპირიდან შორს...

როცა უკანასკნელი ჩქამიც მიწყდა, სამყარო გაირინდა. თითქოს ლოცვის მადლი გადაეფარა და აღარაფერი ემუქრებოდა, თუმცა სწორედ ეს სიჩუმე იყო აუტანელი. ერთი წელი გავიდა, რაც ერთად იყვნენ. სიყვარულისა და თვითშეცნობის ერთი წელი. თავიდან აზიზი მხნედ იყო, მოგზაურობას კარგად იტანდა, მაგრამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა...

...ცოტა ხანში აზიზმა ისევ მიიძინა. ელამ ერთხანს უყურა მის მშვიდ, საყვარელ სახეს, გამუდმებული შიშისა და შფოთვისაგან ღონემიხდილმა მძიმედ ამოიოხრა და ოთახიდან გავიდა. შემდეგ მწვანედ შეღებილ დერეფნებს ჩამოუარა, რამდენიმე პალატაში შეიხედა და თვალი შეავლო პაციენტებს მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ქალებსა და მამაკაცებს. ზოგი უკვე გამოჯანმრთელების გზაზე იყო, ზოგს კარგი არაფერი ელოდა. ელა ცდილობდა, ამ ადამიანების გამომცდელი მზერისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ ქერა თმა და ცისფერი თვალები მის უცხოურ წარმომავლობას აშკარას ხდიდა. ძალიან ეხამუშა ეს გრძნობა. ასეთი დისკომფორტი არასოდეს უგრძნია, თუმცა დიდი მოგზაურიც არასოდეს ყოფილა.

რამდენიმე წუთში უკვე საავადმყოფოს პატარა, ლამაზ ბაღში, წყლის შადრევანთან იჯდა. შადრევანს ანგელოზის ფიგურა ამშვენებდა, მისი ფსკერი კი ვერცხლის მონეტებით იყო მოფენილი. ადამიანთა იდუმალ ნატვრას ინახავდა თითოეული მონეტა...

ელამ ჯიბეები მოიქექა, მაგრამ ქაღალდის ნაფლეთებისა და გრანოლის ნატეხის გარდა ვერაფერი იპოვა. მიწას დახედა და შავი, პრიალა კენჭები დაინახა. ერთ-ერთს დასწვდა, თვალები დახუჭა, კენჭი შადრევნიან აუზში ჩააგდო და ჩაიბუტბუტა ნატვრა, რომელიც

კარგად იცოდა, რომ აღარასოდეს აუხდებოდა. კენჭი აუზის კედელს მიენარცხა, ასხლტა და ქვის ანგელოზს პირდაპირ კალთაში ჩაუვარდა.

„აზიზი რომ აქ ყოფილიყო, ამაში რაღაც ზეციურ ნიშანს დაინახავდა“, – გაიფიქრა ელამ.

როცა ნახევარი საათის შემდეგ უკან მობრუნდა, პალატაში ექიმი და თავსაბურავიანი ექთანი დახვდა. აზიზს ზეწარი ჰქონდა გადაფარებული.

იგი აღარ იყო.

აზიზ ზაჰარა, თავისი საყვარელი რუმის მსგავსად, კონიაში დაკრძალეს. დაკრძალვაზე ელამ იზრუნა. ძალიან ეცადა, წესისამებრ გაეკეთებინა ყველაფერი, რასაც მოერეოდა, დანარჩენი კი უფალს მიანდო.

ჯერ საფლავის ადგილი შეარჩია ძველ მაჰმადიანურ სასაფლაოზე, ვეებერთელა მაგნოლიის ქვეშ; შემდეგ სუფი მუსიკოსები მოძებნა და შეუთანხმდა, რომ საფლავთან ნეიზე დაეკრათ; შემდეგ აზიზის ყველა მეგობარს შეტყობინება გაუგზავნა და დაკრძალვაზე მიიწვია. მისდა სასიხარულოდ, საკმაოდ ბევრმა მოახერხა ჩამოსვლა, თანაც ისეთი შორეული ქალაქებიდან, როგორიც იყო კეიპტაუნი, სანქტპეტერბურგი, მურშიდაბადი და სროპაულო. აქ იყვნენ აზიზის კოლეგები ფოტოგრაფები, მეცნიერები, ჟურნალისტები, მწერლები, მოცეკვავეები, მოქანდაკეები, ბიზნესმენები, ფერმერები, დიასახლისები და აზიზის შვილობილები.

ეს იყო თბილი, ჩუმი სიხარულით გაჯერებული რიტუალი, რომელსაც ყველა აღმსარებლობის ადამიანი ესწრებოდა. მათ ნამდვილი ზეიმივით აღნიშნეს მეგობრის გარდაცვალება, რაც, მათი ღრმა რწმენით, თავად აზიზს გაუხარდებოდა. ირგვლივ ლაღად და თავისუფლად თამაშობდნენ ბავშვები; მექსიკელმა პოეტმა პან დე ლოს მუერტოსი ჩამოარიგა; ერთმა შოტლადნიელმა, აზიზის ძველმა მეგობარმა, ირგვლივ ვარდის ფურცლები მიმოაბნია. ისინი ცერემონიის მონაწილეებს თავზე ათოვდა, როგორც სიკვდილის შიშის სრული უსაფუძვლობის დასტური, სადღესასწაულო კანფეტივით თვალისმომჭრელი და ფერადოვანი.

ყოველივე ამას კონიის ერთი მკვიდრი, კუზიანი, მოხუცი მაჰმადიანი პირზე ღიმმომდგარი აკვირდებოდა თავისი დიდრონი, მწვანე, გამჭოლი თვალებით.

– მსგავსი ამბავი კონიას არასოდეს მოსწრებია, თუ არ ჩავთვლით მევლანას დაკრძალვას საუკუნეების წინ... – თქვა მან.

გავიდა ორი დღე. მარტო დარჩენილმა ელამ ქალაქი მოიარა. ხედავდა ოჯახებს, რომლებიც ქუჩებში მის გვერდით მიმოდიოდნენ, ხედავდა ვაჭრებსა და დახლიდარებს, ყოველ ნაბიჯზე ეჩეხებოდა ქუჩის მეწვრილმანეებს, რომლებიც თავგამოდებით ცდილობდნენ, რამე შეეტყუებინათ მისთვის.

თავის მხრივ კონიელებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ ტირილისაგან თვალებშეშუპებულ ამერიკელ ქალს, რომელიც მათ შორის დადიოდა. ის სრულიად უცხო იყო აქ. სრულიად უცხო იყო ყველგან...

ბოლოს სასტუმროში დაბრუნდა, ამოეწერა და აეროპორტის გზას დაადგა. წასვლამდე პიჯაკი გაიხადა და მსუბუქი, ატმის ყვავილისფერი ანგორის სვიტერი ჩაიცვა.

„ზედმეტად მშვიდი და თვინიერი ფერია ისეთი ქალისთვის, რომელიც აღარც სიმშვიდით გამოირჩევა და აღარც თვინიერებით“, – გაიფიქრა მან და ჯენეტს დაურეკა.

სამი შვილიდან მხოლოდ ჯენეტმა დაუჭირა მხარი გულისთქმას აყოლილ დედას ორლი და ეივი ჯერ კიდევ არ ელაპარაკებოდნენ.

– დე, როგორ ხარ? – ჰკითხა ჯენეტმა, რაც შეიძლება თბილად და ალერსიანად.

ელა წინ გადაიხარა და ისე გაიღიმა, თითქოს შვილი იქვე, მის პირისპირ იდგა. შემდეგ კი ძლივს გასაგონად თქვა:

– აზიზი გარდაიცვალა.

– ძალიან ვწუხვარ,დე... – იყო პასუხი.

ცოტა ხნით ორივე გაჩუმდა. ფიქრობდნენ, კიდევ რა უნდა ეთქვათ. დუმილი ჯენეტმა დაარღვია.

– რას იზამ, სახლში არ წამოხვალ?

ელამ თავი დახარა და დაფიქრდა. ქალიშვილის შეკითხვაში სხვა შეკითხვებიც იგულისხმებოდა. ჩავიდოდა თუ არა იგი ამერიკაში და შეაჩერებდა თუ არა ქმართან გაყრის პროცესს, რომელიც უკვე ურთიერთსიძულვილისა და ბრალდებების ჩახლართულ ლაბირინთად ქცეულიყო? სამომავლოდ რას აპირებდა? მას ხომ არც ფული ჰქონდა და არც სამუშაო...

თუმცა... თავისუფლად შეეძლო კერძო გაკვეთილების ჩატარება, რომელიმე ინგლისურენოვან ჟურნალთან თანამშრომლობა, ან სულაც (ვინ იცის!) მხატვრული ლიტერატურის რედაქტორობა.

წამით თვალები დახუჭა და ხალისით, გულდაჯერებით შეავლო თვალი თავის წარმოსახვით მომავალს. ცხოვრებაში არასოდეს დარჩენილა ასე მარტოდმარტო და მაინც, რაოდენ საოცარიც უნდა ყოფილიყო, თავს ეულად არ გრძნობდა.

– მენატრები, დედიკო, – უთხრა შვილს, – ტყუპიც ძალიან მომენატრა. ხომ ჩამომაკითხავთ ხოლმე?

– აბა, რას ვიზამთ, დე! ყველანი ჩამოგაკითხავთ. მაგრამ მაინც რას აპირებ? მართლა აღარასოდეს დაბრუნდები?

– ამსტერდამში უნდა წავიდე, – უპასუხა ელამ, – ამ ქალაქში საოცრად პატარა, კოხტა ბინებია, მათი ფანჯრები არხებს გადაჰყურებს. ვიქირავებ ერთერთ ასეთ ბინას და ველოსიპედის წესიერად ტარებას ვისწავლი. სხვა არაფრის დაგეგმვა აღარ მინდა, ჩემო საყვარელო. როგორ გითხრა... ერთი დღით უნდა ვიცხოვრო. საკუთარ გულს უნდა მივუგდო ყური. ეს ხომ ერთ-ერთი წესია...

– რა წესი, დედა, რას ამბობ?

ელა ფანჯარას მიუახლოვდა და ზეცას ახედა. თვალი ვერ შეაწვდინა განსაცვიფრებლად ხასხასა, მუქლურჯ ცარგვალს. მისი უძირო წიაღი უხილავად, გამალებით ბრუნავდა, არარას ერწყმოდა და შესაძლებლობების ზღვარს წაშლას უქადდა, როგორც ბზრიალა დავრიში...

...აჰა, ისმინე წესი მეორმოცე... – წამოიწყო ელამ ჩურჩულით: – „უსიყვარულო სიცოცხლე სიცოცხლე არ არის. ნუ ეკითხები საკუთარ თავს, როგორ სიყვარულს ეძებ, სულიერსა თუ ხორციელს, ღვთიურსა თუ მიწიერს, დასავლურსა თუ აღმოსავლურს...

ამგვარ გამიჯვნას მხოლოდ დაწვრილმანებისაკენ მივყავართ. სიყვარული განსაზღვრებებს ვერ იტანს; იგი სუფთაა და მარტივი. სიყვარული სიცოცხლის წყალია, ხოლო შეყვარებული ადამიანი ცეცხლის სული. სამყარო სხვაგვარად იწყებს ბრუნვას, როცა ცეცხლს წყალი შეუყვარდება“

© 2016 4Love.Ge